აფხაზური პროზა



დიმიტრი გულია
ალექსი გოგუა
ჯუმა ახუბა
ალექსი ჯენია

კავკასიური სახლი

უაკ (UDC) 821·352·2-3
ა–209

80-იანი წლებიდან მოყოლებული ხშირი ურთიერთობები მქონდა აფხაზ მწერლებთან. არაერთხელ შევხვედრილვარ მათ ყოველწლიურ ლიტერატურულ სიმპოზიუმებზე, რომელიც 80-იანი წლებიდან ბიჭვინთის ლიტერატორთა სახლში იმართებოდა. შემდეგში ვთარგმნე კიდეც მათი ზოგიერთი ნაწარმოები, რომელიც ერთ წიგნში მოვათავსე და დღეს ქართველ მკითხველს ვთავაზობ. ეს იქნება ერთგვარი შეხმიანება აფხაზებთან, ვისთანაც ბედის უკულმართობამ ასე დაგვაშორა...

აქვე მინდა გულწრფელი მადლიერებით მოვიხსენიო არაჩვეულებრივი აფხაზი ქალბატონი, „კავკასიური სახლის" ერთ-ერთი დამფუძნებელი, ქართულ-აფხაზური კულტურული და სამეცნიერო, მოგვიანებით კი უკვე სამშვიდობო ურთიერთობების ამაგდარი ადამიანი, ანგარდაცვლილიანა წვინარია-აბრამიშვილი, რომლის მიერ მომზადებული პწკარედებით შესაძლებელი გახდა წინამდებარე ნაწარმოებების თარგმნა.

• • • • • • • • • • • • • • •

პროექტის ავტორი ნაირა გელაშვილი

მხატვარი კოტე სულაბერიძე

ISBN 978-9941-400-55-1

მდუმარე, ფიქრიანი დიალოგი

როდესაც ქვემეხები ხმიანობენ, მაშინ, რა თქმა უნდა, მუზები ყუჩდებიან. ეს კარგად ვიცით. ვის ახსოვს ლიტერატურა, როდესაც ომი ტბორავს სოფლებსა და ქალაქებს? ფელინის ერთ-ერთ ფილმში პატარა ბიჭი უფროსებს ეკითხება: „სად მიდის მუსიკა, როდესაც მუსიკოსები დაკვრას ამთავრებენ?!" — ვერავინ პასუხობს.

აფხაზებისა და ქართველებისთვის საბედისწერო აღმოჩნდა 1992 წლის 14 აგვისტო. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ დღესაც ჩვენი საზოგადოებები ერთმანეთისაგან ზურგშექცევით ცხოვრობენ.

კავშირები გვჭირდება, საყრდენი გვჭირდება დაშორიშორებულ ადამიანებს.

და აი, ისევ ლიტერატურა გვიბრუნდება სამომავლო ხიდის ბურჯად. მიხო ბეროშვილის მიერ აფხაზი მწერლების ნაწარმოებების თარგმნილი კრებული ერთ-ერთი გამორჩეულია უკანასკნელ წლებში აფხაზურიდან თარგმნილ წიგნებს შორის.

აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის დიმიტრი გულიას, აწ განსვენებული ალექსი ჯენიას, შესანიშნავი მწერლების: ალექსი გოგუასა და ჯუმა ახუბას მოთხრობებია წარმოდგენილი ამ წიგნში. კარგად ვიცნობდი ალექსი ჯენიას, ვმეგობრობდი ალექსი გოგუასა და ჯუმა ახუბასთან. განსაკუთრებით, ალექსი გოგუასთან. ხშირად ვსაუბრობდი მასთან ლიტერატურაზე, ტრადიციებზე, აფსუარაზე... კარგად მახსოვს, მისი დიდებული მოთხრობები „სად იკეთებენ ბუდეს თოლიები?" და „თეთრი ცხენი"; სამწუხაროა, რომ ეს უკანასკნელი არ არის კრებულში შეტანილი.

ჯუმა ახუბაც ალექსი გოგუასთან ერთად XX საუკუნის აფხაზური პროზის საუკეთესო წარმომადგენელია. ამ წიგნში მისი ორი ვრცელი მოთხრობაა შესული — „ბზოუ" და „კერია". განსაკუთრებით საინტერესოა „ბზოუ", რომელიც ნოდარ დუმბაძეს XX საუკუნის ერთ-ერთ საუკეთესო მოთხრობად მიაჩნდა.

ძალიან საინტერესოა ალექსი ჯენიას ვრცელი მოთხრობა „ცოდვას ნუ დაიდებ, ძმაო!" როგორც ამ მწერლის შემოქმედებისთვისაა დამახასიათებელი, აქაც ძირითადი თემა აფხაზური სოფელი, მისი ადამიანები და მათი ურთიერთობებია.

ამ წიგნში შესული ნაწარმოებებიდან კარგად ჩანს აფხაზი კაცის კეთილშობილება, რაინდული ბუნება, ცოცხალი იუმორი, ყოფა და ტრადიციები...

ომის შემდეგ არ მინახავს არც ალექსი გოგუა, არც ჯუმა ახუბა, არც წერილი მიმიწერია. და თუ მივწერდი, რას მივწერდი, ნეტავ? ან თუ მომწერდნენ, რას მომწერდნენ?...

მაგრამ ლიტერატურა ხომ დიალოგია, როგორც მწერალსა და მკითხველს, ასევე ხალხებს შორის?! მდუმარე, ფიქრიანი დიალოგი. ამის დასტურია შესანიშნავი მთარგმნელისა და მეგობრის — მიხო ბეროშვილის მიერ თარგმნილი ეს წიგნიც.

გურამ ოდიშარია
მწერალი

დიმიტრი გულია

კამაჭიჭი

I

გაზაფხული იდგა.

დილა-სისხამზე ალიასი თორყანთან მივიდა. თორყანს ის-ის იყო გაღვიძებოდა და ახლა ნაჩქარევად იცვამდა ტანსაცმელს. თენდებოდა, საქონელი კი ჯერ ისევ ბოსელში ზმუოდა. ამიტომ ჩქარობდა თორყანი.

— დილა მშვიდობისა! — მიესალმა ალიასი თორყანს და კიბეზე ავიდა.

— გაგიმარჯოს, ალიას, — შეაგება თორყანმა და თან ახალუხის ღილებს იბნევდა. — ხომ მშვიდობაა?

— მშვიდობაა, რა გვიჭირს. ქალები მოგროვდნენ ჩვენთან. გუშინს აქეთიქ არიან. გამოვერიდე იმ რია-რიას და შენთან წამოვედი.

— რაო, — ქალებმა — რა გვინდაო? — თქვა თორყანმა და რუხი ყაბალახი მოიხვია. ალიასი რატომღაც დაბნეული იდგა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ყოყმანობდა. ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა. კაცების საუბარს თორყანის მოხუცმა დედამ — შარიფამ მოჰკრა ყური და თავშლის სწორებით ფანჯარაში გამოყო თავი.

— ნამდვილად ესმა მშობიარობს, გუშინ საღამოს რაღაც მოუსვენრად იყო.

— ალბათ მაგიტომ შემოგესივნენ ქალები, ალიას, — თქვა ჩაღიმებით თორყანმა, ეზოში ჩამოვიდა და საქონელი ბოსლიდან გამოუშვა. დამშეული პირუტყვი ხარბად ძოვდა ნამიან, ლორთქო ბალახს.

— აბა, მოუსვით აქედან, — დაუტატანა თორყანმა საქონელს. — გადაძოვეს აქაურობა, ხბორებს რაღა ვაჭამო, შე სამგლეე, შენა! — სდრუზა ჯოხი თორყანმა მოზვერს და საქონელი მდინარის პირას ჩარეკა. ამასობაში მზეც ამოიწვერა, მზის სხივი ჯერ ხის ფოთლებს დაეცა, მერე ნამიან ბალახზე ჩამოცურდა და აციაგდა, აბრჭყვიალდა ათასფერად. ხან ალმასივით გაბრწყინდა, ხან ქარვისფრად აკიაფდა, ხანაც წითლად ღუოდა და თორყანს უცინოდა.

თორყანმა თვალი ვერ მოსწყვიტა ნამიან ბალახზე მოცეკვავე მზის სხივს. — ღმერთო, ეს რა სასწაულიაო, — ჩაიდუდუნა ნეტარებით. მერე ფრთხილად ხელი შეაპარა ნამნაპკურებ ბალახში, თითქოს მარგალიტი იპოვა და ეშინია არ დაეკარგოსო, მაგრამ მხოლოდ სისველე იგრძნო თითებში. თორყანს გაეღიმა...

ამ დროს თორყანმა ალიასის სახლის აივანზე, მდინარის გაღმა რომ იდგა, მეზობლის ქალს, სელხას, მოჰკრა თვალი. სელხა ხელებს იქნევდა და რაღაცას ანიშნებდა მას.

— ბიჭია თუ გოგო? — გასძახა თორყანმა.

— გოგოა, გოგო, — უპასუხა სელხამ და სახლში შევიდა. სწორედ ამ დროს კაკლის ძირში დაყუნცულმა ბომბორა ძაღლმა ყურები ცქვიტა, იქნებ პატრონს ერთი სიტყვა მეც შევაწიოო და ყეფა ატეხა. ხის კენწეროზე შემოსკუპებულ შაშვს კი სულაც არ მიუქცევია ყურადღება ამ გადაძახილ-გადმოძახილისათვის. იგი თავისთვის გალობდა. არც გაემტყუნებოდა. ზამთრის სუსხსა და შიმშილგამოვლილს ახლა სიხარული მოსჭარბებოდა, მღეროდა და სტვენდა თავდავიწყებით. უფრო გაინაზა ხმა, მდინარის გაღმა ხეზე მჯდომ შაშვს ეჯიბრებოდა გალობაში და აბა რა მისი საქმე იყო, რას უყვიროდა თორყანი სელხას.

ძაღლის ყეფა, შაშვების გალობა, ჩიტების ჭიკჭიკი ერთმანეთში აირია და ამიტომ თორყანმა კარგად ვერ გაარჩია სელხას ნათქვამი. ალიასს ბიჭი ეყოლაო, ასე გაიგო მან და გახარებულმა სახლისკენ გაუჩქარა.

II

თორყანი სწრაფად შევიდა სახლში. სამახარობლო მეკუთვნის, ესმას ბიჭი შეეძინაო, — შესძახა ხმამაღლა, დაავლო თოფს ხელი — ღმერთმა ამრავლოს ჩვენი გვარ-ჯილაგიო — და დააქუხა.

ხის კენნეროზე შემომჯდარმა შაშვმა გალობა შეწყვიტა, დაფრთხა, ფრთა ფრთას შემოჰკრა და ტყეში შეიმალა. თორყანის უმცროსი ძმა, ქუაბლუხი, რომელიც შეუძლოდ გრძნობდა თავს და ადრიანად ვერ ამდგარიყო, უფროს ძმას მიეჭრა, თოფი გამოსტაცა — ღმერთმა გვამრავლოსო — შესძახა იმანაც და თოფი დაცალა.

ძმები და მეზობლის ბიჭი ქესქინჯი ალიასს ჩააცივდნენ — გინდა თუ არა, შენც უნდა ისროლოო. ალიასი ერთხანს ყოყმანობდა, მერე მაინც გამოართვა ძმებს თოფი და ქუხილმა ერთხელ კიდევ გააყრუა არემარე.

— თოფი კი ძალიან დავარისხეთ, მაგრამ სინამდვილეში წესიერად ისიც კი არ ვიცით, ბიჭი დაიბადა თუ გოგო, — ჩაიდუდუნა ალიასმა მორიდებით ისე, რომ მოხუც შარიფას არ გაეგო, მაგრამ ქალის მახვილ სმენას არ გამოპარვია არაფერი.

— რას ამბობ, ალიას, რა მოხდა, თუ თოფი ისროლე? გოგო იყოს რა, განა ამით რამე დაშავდება? ჩვენი წინაპრები გონიერი, ბრძენი ხალხი იყო, მაგრამ როცა ამბობდნენ — თოფი მაშინ უნდა გაისროლო, როცა ბიჭი დაიბადებაო — არ იყვნენ მართლები.

— ეს მართალია, — თქვა თორყანმა, — ჩვენი წინაპრები თოფს მაშინ ისროდნენ, თუ ოჯახში ვაჟი იბადებოდა ან თუ ქორწილი იყო. თოფს მაშინაც ისროდნენ, როცა ვინმე კვდებოდა. დღეს თუ ვინმე მოკვდა, თოფს უკვე აღარ ისვრიან. ჰოდა, მოდით, დღეიდან ასეთი წესიც შემოვიღოთ: ბიჭი დაიბადება თუ გოგო, ოჯახში მაინც უნდა გავარდეს თოფი.

ამასობაში მთელ სოფელს მოედო — ალიასს ბიჭი შეეძინაო. ალიასს ბევრი ნათესავი და მოგვარე ჰყავდა, ჰოდა, ატყდა მალე ერთი ბათქაბუთქი.

ხარობდა სოფელი, მხიარულობდა, მღეროდა. ან კი როგორ არ უნდა გახარებოდათ, — ესმას დიდი ხნის ლოდინის შემდეგ შვილი შეეძინა და ალიასი, რა თქმა უნდა, მალე დიდ ლხინს გადაიხდიდა.

აქვე გადაწყვიტეს სახელი მოეძებნათ ბიჭისთვის.

III

ხუმრობას თავი ანებეს და სახელის ამორჩევას შეუდგნენ.

— ჯერ გავიგოთ, ბიჭია თუ გოგო, — თავისას არ იშლიდა ალიასი.

— რახან ასეა, — თქვა აზამათმა, — ახალშობილს ისეთი სახელი დავარქვათ, ბიჭსაც რომ მოუხდება და გოგოსაც. მოდით, კამაჭიჭი დავუძახოთ.

— მე გუაგუაც მომწონს. თქვენ რას იტყვით? არც ეს უნდა იყოს ურიგო სახელი.

ახლა ქალებმა გამოიდეს თავი. აბა, უიმათოდ ბავშვს სახელს ვინ დაარქმევდა!

— ყველას მაინც კამაჭიჭი სჯობია, — თქვა ბოლოს თაკუნამ.

თორყანმა და აზამათმაც თაკუნას დაუკრეს კვერი.

— კამაჭიჭი როგორ არ სჯობია, — თქვა თორყანმა, — ეს სახელი აფხაზურ ღვინოს მაგონებს, ძარღვებში სისხლს რომ აჩქროლებს, ძალას გმატებს და სიცოცხლის სიყვარულით გავსებს.

— მართალია, მართალი, — დაუდასტურეს სხვებმაც. მერე კი გადაწყვიტეს, მკიდი და ჰარიჰანი გაეგზავნათ ალიასის

სახლში. ქალებს უნდა გაეგოთ, ვინ ეყოლა ესმას, მიელოცათ მისთვის მშვიდობით გადარჩენა და ისიც გადაეცათ მელოგინე დედისთვის, რა სახელი შეურჩიეს ახალშობილს თორყანის სახლში შეგროვილმა მეზობელ-ნათესავებმა.

ქალები დიდხანს აღარ დაყოვნებულან, მაშინვე ალიასის სახლისკენ გაუჩქარეს. ამ დროს მოხუცი ჰაზარათი, აქამდე რომ ჩუმად იჯდა, დინჯად წამოდგა, აივანთან მივიდა, თავის ალაბაშას დაეყრდნო და ქალებს გზად დაადევნა:

— რა თავქუდმოგლეჯილები გარბიხართ, ქალებო, ცოტა შეიცადეთ, მეც მინდა გითხრათ ორიოდ სიტყვა.

მკიდი და ჰარიჰანი შეჩერდნენ.

— თუ ესმას ვაჟი შეეძინა, ასე მიულოცეთ: ნაფხა კიაგუასავით ვაჟკაცი გაგეზარდოს-თქო. კარგი მხედარი, სიტყვაპასუხიანი, სოფლისა და თავისი ხალხის სასახელო შვილი ყოფილიყოს-თქო.

თაკუნაც წამოეწია ქალებს და ორი სიტყვით უთხრა:

— თუ გოგო დაიბადა, ჩვენი ქალების სახელით მიულოცეთ და უთხარით: ლამაზი ქალი გაგეზარდოს, ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახუროს, ღმერთმა ბედნიერად და კეთილად გიმყოფოს-თქო. ახლა კი წადით, ნუღარ აყოვნებთ.

მკიდი და ჰარიჰანი ალიასის ეზოში შევიდნენ თუ არა, პირველსავე შემხვედრ ქალს ჰკითხეს — ესმას გოგო ეყოლა თუ ბიჭიო.

— გოგოა, — უპასუხა ქალმა.

ქალები, ცოტა არ იყოს შეაცბუნა ასეთმა პასუხმა, მაგრამ არაფერი დაიმჩნიეს, ოდაში შევიდნენ და ყველაფერი წვრილად გადასცეს ესმას.

ისიც უთხრეს, რომ ყველამ ერთხმად გადაწყვიტა, ბავშვისთვის კამაჭიჭი დაერქმიათ. ესმასთვის რომ გული გაეკეთებინათ, შიგადაშიგ ხუმრობაც გაურიეს.

ღამენათევ, დაღლილ ქალებს სახე გაუნათდათ, სულ

გადაავიწყდათ უძილობა. ატყდა ერთი ხუმრობა და სიცილ-კისკისი. ოთახში სულ ექვსი ქალი იყო, მაგრამ სახლიდან ისეთი ხმაური გამოდიოდა, გეგონებოდათ, მთელი სოფლის დედაკაცობას აქ მოუყრია თავიო. ყველას ბავშვის სახელი ეკერა პირზე. ჰკვირობდნენ, ნეტავ ვინ მოიგონა ასეთი სახელიო.

— დაიხსომეთ ჩემი სიტყვა, ქალებო, ნახეთ თუ ამ გოგომ საქვეყნოდ არ გაითქვას სახელი, ტყუილად კი არ მითამაშებს თვალი, — თქვა მეზობლის ქალმა რაფიდამ და ახალშობილს სიყვარულით გადახედა.

IV

როგორც გითხარით, ალიასის სახლი მდინარის გაღმა მხარეს იდგა, თორყანისა — გამოღმა. თორყანის სახლი უკანა ფეხებზე ჩაყუნცულ დიდი ძაღლივით გადმომდგარიყო ფერდობზე. აქედან მშვენივრად მოჩანდა ყვავილებში ჩამჯდარი ალიასის ოდასახლი. ეს სახლები მდინარის გაღმა-გამოღმა კი იდგნენ, მაგრამ მათ შორის მანძილი დიდი არ იყო.

ალიასი ყველას ეუბნებოდა — როგორც კი ესმა მომჯობინდება, დიდ ლხინს გადავიხდიო. ესმა მარტოხელა ქალი იყო და დიდხანს ლოგინში რა გააჩერებდა. ამიტომაც მალე წამოდგა და ოჯახის საქმეებში ჩაეფლო.

ერთხელ, ბინდბუნდზე, ესმამ დოქი აიღო და ხევში ჩავიდა წყლის ამოსატანად. როცა სახლში დაბრუნდა, რატომღაც წელი აიტკივა და დაწვა. აღმართმა თუ დამღალაო, — გულში ფიქრობდა. ღამით წელი უფრო ასტკივდა, ჰოდა, ვერც მეორე დღეს ადგა. ჩაწვა და ჩაწვა. მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა.

ბავშვს ხელი არ დააკლდესო, — იფიქრა ალიასმა და მეზობლის ქალს — რაფიდას სთხოვა ხანდახან ძუძუ მოეწოვებინა ბავშვისთვის.

რაფიდა, გარდა იმისა, რომ მეზობელი იყო, ენათესავებოდა კიდევაც ალიასის ოჯახს. მკვირცხლი და გულკეთილი ქალი პატარა კამაჭიჭს თავზე დაჰფოფინებდა, ყურადღებას არ აკლებდა. თავის პატარას აკვანში ჩააწვენდა, უფროსს დააძინებდა ხოლმე და ესმასთან გარბოდა. არც სხვა მეზობლის ქალები აკლებდნენ ყურადღებას, ზედ ევლებოდნენ ესმასა და ახალშობილს. ბავშვს ხშირ-ხშირად აბანავებდნენ, გახდიდნენ, ჩააცმევდნენ, გახდიდნენ ჩააცმევდნენ და ერთმანეთს ეუბნებოდნენ — ნახეთ ერთი, რა თვალ-ნარბი, რა კოხტა ცხვირი და გრძელი წამწამები აქვსო.

პატარა კამაჭიჭს არაფერი ესმოდა მათი, მშვიდი და უშფოთველი ძილით ეძინა.

ქალები მზრუნველობას არ აკლებდნენ არც ბავშვსა და არც დედამისს. კამაჭიჭს რა უჭირდა, ესმას კი არაფერი ეშველა, აგერ, მეორე კვირა გადიოდა, ის კი ვეღარ მომჯობინდა და ვეღარ.

ქალები ყოველ საღამოს აკითხავდნენ ესმას, ბავშვს უვლიდნენ, ღამეს უთევდნენ ავადმყოფს, ხუმრობდნენ და უნდოდათ ესმაც გაერთოთ, მაგრამ ავადმყოფს ვერაფრით შველოდნენ. მადლიერი ალიასი საკლავს არ იშურებდა, ხან რით უმასპინძლდებოდა კეთილ მეზობლებს, ხან რით.

ერთ საღამოს ქალებმა დიდხანს იჩურჩულეს, იტუტუნეს და დაასკვნეს — ესმა ნამდვილად გათვალული უნდა იყოსო. ბოლო ხანებში ისე უაზროდ ლაპარაკობს, ნამდვილად ავსული დაპატრონებია მის სულსო. იმასაც ამბობდნენ, ხევში, წყალი საიდანაც მოგვაქვს, უკვე დიდი ხანია ალს დაუდია ბინაო.

— რას ჩურჩულებთ, ქალებო, თუ საიდუმლო არ არის, მეც მითხარით, — მიმართა იქ მყოფთ მოხუცმა შარიფამ, რომელიც ის-ის იყო შემოვიდა ოთახში.

— რას ვამბობდით და ამ დილას სარკუტას ცოლი დავინახე, ძაძებში ჩაცმული. ძლივს მოლასლასებდა, წინ კი ვიღაც ცხენო-

სანი მიუძღოდა, ნეტავ, ვინ მოუკვდა იმ საწყალს-მეთქი, მინდოდა მეკითხა, — გაეპასუხა შარიფას ერთ-ერთი იქ მყოფი.

— უი, ღმერთო, რომ იცოდეთ რა შეემთხვა იმ საცოდავს. მაგის ახლო ნათესავი, თავადი ამარშანი გარდაიცვალა, — თქვა მკიდმა.

— რომელი ამარშანი? — დაინტერესდნენ ქალები.

— აი, თქვე სასიკვდილეებო, მაგას რა მათქმევინებს, ჩემი უფროსი მაზლის სახელია!

— ჰაბუგი?

— ჰო, ის დიდებული ადამიანი, — ყველამ გულამოსკვნით თქვა, ამოიოხრეს და ისევ ავადმყოფს მიუბრუნდნენ.

როცა ესმას ტკივილი დაუვლიდა და კვნესოდა, მაშინ რაფიდა პატარა კამაჭიჭს აკვნიდან ამოიყვანდა ხოლმე და დედასთან მიჰყავდა. ესმას წამით ავიწყდებოდა ტკივილი, ხოლო თუ ჩვილი დააცემინებდა ან დედას ცხვირზე ფუნჩულა თითებს მოუცაცუნებდა, ესმა იღიმებოდა და ლაპარაკის ხასიათზეც მოდიოდა.

რაფიდა კარგად ხედავდა ამას და ცდილობდა, ხშირად ჩამომჯდარიყო ავადმყოფის საწოლთან პატარა კამაჭიჭთან ერთად. მათი შემყურე სხვა ქალები დედა-შვილს ლოცავდნენ, ღმერთმა ერთმანეთს არასოდეს დაგაშოროთო.

ერთხელ, თორყანის დედამ — შარიფამ თქვა: ყველას გვგონია, რომ ესმა დღეს თუ ხვალ გამოჯანმრთელდება, ის კი დღითიდღე უარესად ხდება, ქალი სანთელივით გვადნება ხელში. მე თუ რამე დამეჯერება, ესმას ნამდვილად თვალი ეცა. აბა, სხვა რა უნდა სჭირდეს!

— ღმერთო ჩემო, რამდენი ხანია მაგის თქმა მინდოდა და ვერ მოვახერხე, — თქვა ჰაუიდამ, — ან აქამდე როგორ ვერ მივხვდით. ჩვენმა წინაპრებმა ასე იცოდნენ: ახალი მოლოგინებული ქალი წყალზე არ წავიდოდა, სანამ წყაროსთან არ შეულოცავდნენ — ავმა სულმა არ გათვალოსო. ესმას, ეტყო-

ბა, დაავიწყდა ეს, აიღო კოკა და წყალზე წავიდა, თანაც საღამოს...

— რადგან მიზეზი უკვე ვიცით, დროა იმაზეც ვიფიქროთ, როგორ მოვარჩინოთ ქალი, — მიუბრუნდა იქ მყოფთ რაფიდა.

— გათვალვა ასე დააგდებს ადამიანს? — გაიკვირვა ხიკამ, რომელსაც მაინცდამაინც არ სჯეროდა ასეთი რამეებისა.

— თუ ადამიანს თვალი ეცა, დაავადმყოფებას ვინ ჩივის, ესმას ჯვარი სწერია და შეიძლება მოკვდეს კიდევაც, — ჩაერია საუბარში ჰარიჰანი, რომელიც ის-ის იყო შემოვიდა ოთახში. — ხიკა, ნან, შენ ქალაქში გაზრდილი ქალი ხარ და ამიტომაც არ იცი ჩვენი წესები.

ქალებმა მოითათბირეს და გადაწყვიტეს, ვინმე ისეთი მოეძებნათ, ესმას რომ შეულოცავდა და ავი თვალისაგან განკურნავდა.

ქალებმა თავიანთი ნაფიქრალი ალიასს გაანდეს. ალიასსაც ეჭვი უღრღნიდა გულს: ესმა გათვალული არ იყოსო და, რადგანაც ქალებმა იგივე უთხრეს, უსიტყვოდ დაეთანხმა. ბევრი აღარ უფიქრიათ, მაშინვე ბიჭი გააგზავნეს სელმასთან, რომელსაც, როგორც ამბობდნენ, ეხერხებოდა გათვალულის შელოცვა და თურმე კურნავდა კიდევაც მათ.

V

ალიასის გაგზავნილმა ბიჭმა სელმას ყველაფერი უამბო და სთხოვა, შეელოცა ესმასთვის. სელმაც, თითქოს ამას ელოდაო, სწრაფად გაემზადა და ბიჭს გაჰყვა.

მალე ორივენი ალიასის ეზოს მიადგნენ. სელმას მოსახვევი ისე წაეკრა, თვალები ძლივსღა უჩანდა, ალაბაშას დაყრდნობილი დედაკაცი ჩიბუხს აბოლებდა, ტალახი არსად იყო, მაგრამ შავი, გრძელი კაბის ბოლოები მაინც აეკაპიწებინა და ქუსლ-

ჩაჭყლეტილი ფლოსტებით ყოჩაღად მოხუსხუსებდა. მკითხავს თავი ჩაეღუნა, თითქოს ფიქრობდა, ე მანდ, ენა არ დამებას და ხალხში არ შევრცხვეო. ეზოში შემოსულ სელმას ქალები გამოეგებნენ, მოხუცს მხარში ამოუდგნენ და სახლისკენ წაუძღვნენ.

სელმა ავადმყოფის ახლოს, დაბალ სამფეხაზე ჩამოჯდა.

— როგორ ხარ, ნან, რას უჩივი? — ჰკითხა ესმას. მერე ავადმყოფს თვალებში ჩახედა, თავი გააქნია, თითქოს რაღაცას მიხვდაო, იქ მყოფთ გადახედა:

— ნამდვილად თვალი აქვს ნაცემი, რატომ წამალი არ უშოვეთ? — თავმოწონებითმიმართა ქალებს.

— შენ მეგულებოდი და წამალი არც კი მიძებნია. არ ვიცი, რა დამემართა, აქამდე რატომ არ მოგაკითხე! იმასაც ვფიქრობდი, აციებს-მეთქი ალბათ ესმას. ციებას კაცი არ მოუკლავს და დავრჩი ასე, დღეს-ხვალეობით. ახლა, რაკი შენს იქით გზა აღარ გვაქვს, უნდა მიმიხედო ავადმყოფს და თუ კაცი ვარ, არც მე დაგრჩები ვალში. — უთხრა სელმას ალიასმა.

— ნუ გეშინიათ, ესმას ჯვარი სწერია, სიკვდილის პირას მისული რამდენი ავადმყოფი გამომიბრუნებია სააქაოსკენ, — ტრაბახით თქვა სელმამ და ჩაახველა.

— მართალია, ნან, მართალი. ხომ გახსოვთ, ქალებო, როგორ ავად იყო არუხანი, ვინღა იტყოდა იმის გადარჩენას. სწორედ სულზე მიუსწრო სელმამ საწყალს. ჰარიჰანის გუაჯალაც ხომ მაგის გადარჩენილია! — ხმა ამოიღო ტიშმა და თავსაფრის კიდე პირზე აიფარა.

— რა წამალს გვირჩევ? — ჰკითხა ალიასმა მკითხავს.

— ქალი ისედაც გატანჯულია, ნან, და წამლებით ნულარ შევაწუხებთ, ცოდოა, შევულოცავ ერთი-ორჯერ და მალე ესმას აღარც კი ეხსომება, ავად თუ იყო როდისმე.

— ღმერთი გიშველის, ოღონდ მოარჩინე და დანარჩენი ჩემზე იყოს, გულნაკლულს არ დაგტოვებ, — იმედი მიეცა ალიასს.

სელმა ავადმყოფის წინ, სამფეხა სკამზე ჩამოჯდა, ავადმყოფს საბანი ოდნავ გადახადა და ბუტბუტი დაიწყო.

— თუ ხედავდით, ნან, როგორ ამთქნარებდა ავადმყოფი ყოველ შელოცვაზე? — იკითხა თავმომწონედ სელმამ, როცა ბუტბუტი შეწყვიტა.

— მთქნარება რაღას უნდა ნიშნავდეს, ნეტავი? — გაუკვირდა ხიკას.

— აბა, შენ საიდან უნდა იცოდე, ნან, ქალაქში არაფერი ესმით ჩვენი წესებისა. არც შენ გჯერა ჩვენი, მაგრამ გეტყვი მაინც: გათვალულს თუ შეულოცე, უეჭველად მთქნარება აუტყდება. ასეა, ნან!

სელმამ ავადმყოფს შუბლზე ხელი დაადო, თითქოს სიცხეს უსინჯავსო, და თქვა:

— დღეისთვის ვაკმაროთ. ხვალაც შემოვივლი, შევულოცავ და ნახავთ, თუ ფეხზე არ წამოვაყენო. მე ვიცი და ჩემმა ქალობამ. აბა შენ იცი, — უთხრა მერე ესმას და წასვლა დააპირა.

— ღმერთმა გისმინოს, — თქვეს ქალებმა და მკითხავის გასაცილებლად წამოდგნენ. სელმა აქეთ-იქით იხედებოდა, ალიასს ეძებდა თვალებით, აბა რას მომცემსო.

მართლაც, ალიასი ჭიშკართან დაეწია სელმას — ახლა ეს აიღე და როცა მოარჩენ ესმას, დანარჩენი მერე იყოს, — უთხრა და დაემშვიდობა. მკითხავმა ხარბად დახედა ფულს, უმალ კაბის სარჩულზე გამოკერებულ ჯიბეში ჩაიჩურთა.

— არც ამას გამოგართმევდი, ნან, მაგრამ ავადმყოფისთვის ჯობია ასე... ამის გარეშე შელოცვას ძალა არ ექნება, — უთხრა სელმამ ალიასს და კმაყოფილი გაუდგა გზას შინისაკენ. გაგაცილებო — უთხრა ალიასმა სელმას, მაგრამ სელმამ იუარა.

— სელმას ყველაფერი შეუძლია, მალე მოარჩენს ესმას, — თქვეს ქალებმა და წავიდ-წამოვიდნენ. ზოგიერთი მათგანი კი ალიასს შეჰყვა სახლში, აბა, ვნახოთ, ესმას უკეთესობა დაეტყო თუ არაო.

მართლაც, ესმას ცოტა ფერი მოსვლოდა. ქალებმა კიდევ შეაქეს სელმა და ძალიან გამხიარულდნენ. ატყდა ერთი ხუმრობა-სიცილი. მალე მათ ესმას სანახავად მოსული ქუაბლუხიც შეუერთდათ და სიცილმა ახალი ძალით იფეთქა. რაფიდას, რომელიც სულ თავზე ადგა ესმას, არაფრად ეჭაშნიკებოდა ეს ხორხოცი, მაგრამ არაფერს ამბობდა. უხერხული არ იყოსო — ფიქრობდა. ქალები კი არა და არ ცხრებოდნენ, მკიდსა და ჰარიჰანს თავები ერთმანეთისთვის მიედოთ და რაღაცას ჩურჩულებდნენ.

— რას ჩურჩულებთ მანდ, ჩვენზე ჭორაობთ, არა? — ვერ მოითმინა ჰაუიდამ.

— არა, შენს თავს ვფიცავ, ედგიცის ცოლზე ვლაპარაკობდით. ამას წინათ ქალაქში წასულა სავაჭროდ, გოგოსთვის კაბა უყიდია, თავისთვის ლამაზი ჩითის საკაბე, საპონი, მარილი და კიდევ ათასი წვრილმანი ოჯახისათვის.

— ქალი ვარო, მაგან უნდა თქვას. ხალხი კაპიკებზეა გამწარებული, იქნებ როგორმე გადასახადი გადავიხადოთო, თაკუნა კი ქალაქში მიბრძანდება და ზიზილ-პიპილოებს ყიდულობს, — აქაქანდნენ ქალები.

— ქათამი გაყიდა, ბატი გაყიდა, ცოტა დანაზოგიც დაუმატა და ივაჭრა ქალმა, რას ერჩით! — თქვა მკიდმა.

— ნეტავი როგორი კაბა უყიდა თავის ქალიშვილს? — იკითხა რაფიდამ.

— ბამბანარევი შალია, ზოლებიანი, ძალიან კარგი ფერისაა, ბაცი ყავისფერი, — აუხსნა მკიდმა.

— ვიშ, რა ლამაზი იქნება! — თქვეს დანარჩენებმა.

— ქალებო, თაკუნამ ბატი გაყიდაო, რომ თქვით, ყაზირხანი გამახსენდა, ჰაჯმათის ცოლი. რომ იცოდეთ, რა დაემართა იმ საცოდავს, — ჩაერია საუბარში ქუაბლუხი.

— ღმერთო უშველე, რა მოხდა, ჩქარა გვითხარი!

— რა გგონიათ, თქვენს მეტი ახალი ამბავი არავინ იცის? — ღიმილით გადახედა ქუაბლუხმა ქალებს.

— გვითხარი, ჩქარა გვითხარი, — ვერ ისვენებდნენ ქალები.

— გეტყვით, გეტყვით. გუშინ თურმე ჰაჯმათთან მამასახლისი მისულა. ჰაჯმათი შინ არ ყოფილა და ცოლი გამოსულა გარეთ. მამასახლისს უთქვამს, თუ გადასახადს არ გადაიხდით შარშანდელივით აღარ მოგითმენთ, იმ თქვენ ცხენს წავიყვან და მერე მე არაფერი დამაბრალოთო. რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდეო — უფიქრია თურმე ყაზირხანს და გადაუწყვეტია — რაც არის, არის, ისევ ჩემი ყვერულები უნდა გავყიდოო. ყვერულები კი ისეთები ჰყავდა ყაზირხანს, ავ თვალს არ დაენახვებოდა.

— ეგ ჩვენც ვიცით, მერე რა მოხდა?

— რა მოხდა და თურმე სწორედ ამ დროს თურქ მეწვრილმანეს ჩამოუვლია, ყაზირხანის ეზოში ყვერულები დაუნახავს, ჩასციებია ქალს, გინდა თუ არა, უნდა მომყიდოო. რამდენს მომცემ თითოშიო — უკითხავს ყაზირხანს. თითო ოთხ აბაზადო, — უთქვამს თურქს. ყაზირხანი შევაჭრებია და ბოლოს მანეთად მორიგებულან, მეწვრილმანე ხის ძირში ჩამომჯდარა, ქალი კი ყვერულებს ეძახდა. საწყლებმა იფიქრეს, საჭმელად გვეძახიანო და თავპირისმტვრევით გამოიქცნენ პატრონისაკენ. ყაზირხანი კი სათითაოდ იჭერდა მათ, ფეხებს უკრავდა და თან იცრემლებოდა. თურქმა ფეხგაკრული რვა ყვერული ჯოხზე წამოაცვა და ქალს უთხრა: როცა თითოში ოთხი აბაზი შემოგთავაზე, მაშინ ფული მყოფნიდა. ახლა მანეთად ვყიდულობ და ფული მაკლდება, ათივეს ვერ ვყიდულობ. მოდი ასე მოვიქცეთ: ამ რვა ყვერულს წავიყვან, მაღაზიაში ჩავირბენ, ფულს ვიშოვი და მალე მოვბრუნდები. მანამდე ეს ორი ყვერული აქ იყოს. იცოდე, გენდობი და ნუ დამაღალატებ. — თქვა ეს თურქმა და გაშორდა იქაურობას. ყაზირხანს ძალიან ეძნელებოდა შვილივით ნაზარდ ყვერულებთან განშორება და ცრემლიანი თვალებით მიაცილებდა. მერე ორი დარჩენილი ყვერული სამზარეულოში შეიყვანა და თურქს დაუწყო ლოდინი.

— ოხ, თქვე საცოდავებო, — ქვითქვითებდა ყაზირხანი, —

ძალიან მენანებით, მაგრამ რა ვქნა, თუ გადასახადი არ გადავიხადე, მამასახლისი ცხენს წაგვართმევს და რა გვეშველება...

ასე შესტიროდა ქალი თავის ყვერულებს და თან წამდაუწუმ გარეთ იყურებოდა, თურქი მეწვრილმანე ხომ არ გამოჩენილაო.

— მერე, მერე? — სუნთქვა შეკვროდათ ქალებს.

— აღარ დაბრუნდა თურქი, დატოვა ყაზირხანი ხახამშრალი.

— ვაიმე, დაულუპია საწყალი ქალი და ეგ არის! — ამოიგმინეს ქალებმა.

როგორც კი ქუაბლუხმა ამბის მოყოლა დაამთავრა, ქალები მაშინვე თავ-თავიანთ სახლებში გაიკრიფნენ.

— ეს ქალები შენ გააქციე, ქუაბლუხ? — ჰკითხა ღიმილით ალიასმა, რომელიც ეზოში თორყანს ელაპარაკებოდა და ის-ის იყო სახლში შემოვიდა.

— ქუაბლუხის ნაამბობი უნდათ მოუყვნენ ყველას, ეშინიათ, სხვამ არ დაასწროთ, — ჩუმად თქვა ესმამ.

— შენ შემოგევლოს რაფიდა, შენც მიხვდი მაგათ ეშმაკობას, არა? — გაუხარდა რაფიდას და ავადმყოფს აკოცა.

— ღმერთმა გაგახაროს, ქუაბლუხ. ავადმყოფმა ხმა ამოიღო.

— ნახე, ნახე, იღიმება კიდევაც!

იქ მყოფთ სახე გაებადრათ.

— სელმა როდის მოვა? — იკითხა ქუაბლუხმა.

— ხვალ, ხვალ უნდა მოვიდეს.

— ვნახოთ, იქნებ უშველოს კიდეც ესმას.

VI

სელმას მოლოდინში ალიასის სახლში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. მალე მკითხავიც გამოჩნდა. მოხუცს ქალები გაეგებნენ და ოთახში შეიყვანეს.

— როგორ არის ავადმყოფი, ხომ გამოკეთდა? — იკითხა სელმამ და ესმას შუბლზე ხელი დაადო. ამასობაში სელმას სკამიც გამოურბენინეს. ექიმბაში სკამზე ჩამოჯდა და გააბა ლოცვა-ტუტუნი.

სელმამ კარგად იცოდა, მისი ლოცვები ავადმყოფს ვერას უშველიდა, მაგრამ ხალხს აჩვენებდა, აქაოდა აი, რა შემიძლიაო. გულში კი იმედოვნებდა, იქნებ ეს საწყალი თვითონ გამობრუნდეს, ხალხი კი იტყვის, სელმამ მოარჩინაო. ამას ფიქრობდა მკითხავი, ხმამაღლა კი თქვა: — კარგი იქნება, თუ ავადმყოფის გარშემო რომელიმე ცხოველს შემოვატარებთ, ალიას...

— თუ სელმამ ვინმეს განკურნება განიზრახა, უეჭველად უშველის, — თქვა იქ მყოფი ქალებიდან ერთ-ერთმა.

— ჰო, არ მიყვარს საქმის მიფუჩეჩება. თუ ვთქვი — მოვარჩენ კიდევაც, — ცოტა არ იყოს, თავმომწონედ ჩაილაპარაკა მკითხავმა.

სელმას რჩევით ავადმყოფი საბანში გაახვიეს, ეზოში ჯორკოზე დასვეს და თეთრი ზეწარი მოახურეს. ალიასს უკვე მოეყვანა ცხენი, რომელიც სამგზის შემოატარეს ესმას გარშემო. „წაიღე ავადმყოფობა, შორს წაიღე, წაიღე ტკივილი ამ სახლიდან, გაათავისუფლე ავადმყოფი“. — დუდუნებდა მკითხავი, მერე ცხენს აღვირი წამოჰყარა და გააგდო.

— ახლავე სახლში შეიყვანეთ ავადმყოფი, — დაუძახა ქალებს სელმამ. მერე ჩიბუხი გააწყო და დიდის ამბით თქვა: — ამას წინათ ერთ ავადმყოფს შევულოცე ასე. ცხოველი მოკვდა, ავადმყოფი კი გადარჩა. ეჭვიც არ მეპარება, რომ ესმაც მალე დადგება ფეხზე.

სელმა მალე დაემშვიდობა იქ მყოფთ და ჩუმი დუდუნ-ტუტუნით შინისაკენ გაუდგა გზას.

მთელ ამ რია-რიას ოდნავაც არ შეუწუხებია პატარა კამაჭიჭი. ქალებმა ბავშვი აკვნიდან ამოიყვანეს და დედას მიუყვანეს, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ მოესურვილებინა თავისი პატარა.

ესმა მოეფერა შვილს, მოესიყვარულა, მაგრამ ქალებმა დიდხ-ანს აღარ დაუტოვეს მას ბავშვი — არ დაიღალოსო და ისევ აკვანში ჩააკრეს.

გაუძნელდათ ქალებს კამაჭიჭის აკვანში ჩაწვენა, ფეხებს იქნევდა, არ ისვენებდა, მაგრამ ბოლოს მაინც დამშვიდდა, თითქოს ამბობდა, ახლა კი მომერიეთ, მაგრამ მერე ვნახოთო. ქალებმა აკვანი გადაარწიეს, კამაჭიჭმა ერთი დაამთქნარა და დაიძინა.

გავიდა ერთი კვირა, მაგრამ ესმას უკეთესობა არ დასტყო-ბია. სიცხით იწვოდა ავადმყოფი, ბოდავდა. ხიკამ ექიმის მოყვა-ნა ურჩია ალიასს.

— ხიკა, შენ ექიმი ღმერთი ხომ არ გგონია. ჩვენი შინაური წამლები უფრო უებარია, ვიდრე რომელიმე ექიმის გამოწერი-ლი წამალი, — აიმრიზა მკიდი.

— ასე ნუ ამბობ, მკიდ. იქნებ დაგვეჯერებინა კიდევაც ხიკასთვის, მაგრამ ექიმი ოჩამჩირიდან აქეთ აღარ მოდის, ამას წინათ წამოეყვანათ, მაგრამ ცხენი წაქცეოდა, ტლაპოში ჩავარდნილიყო და გაციებულიყო საწყალი. სანამ გზას არ გაა-კეთებთ, მაქეთ ჩემი ფეხი არ იქნებაო, ამბობს თურმე. მანდ გზის გამკეთებელი არავინაა და დავრჩენილვართ უექიმოდ და ეგ არის, — თქვა ქუაბლუხმა.

— თუ მაინცდამაინც ექიმის მოყვანა გინდათ, სხვა მოი-ყვანეთ, თქვე კაი ხალხო, — ხმა ამოიღო ჰაუიდამ.

— შე დალოცვილო, ისე ლაპარაკობ, გეგონება ოჩამჩირე ექიმებით იყოს დასახლებული. ერთი იყო და იმ ერთსაც ფეხი ამოვუგდეთ, სხვა ვინ მოვიყვანოთ?! — თქვა ქუაბლუხმა.

— აღარ ყოფილა ჩვენი საშველი, — დაიჩივლა ჰაუიდამ.

— რომელი ექიმი და რომელი წამალი უშველის, როცა საცოდავ ქალს ალი დაპატრონებია. ესმამ რომ ბორგვა დაიწყო და სიცხისაგან ბაბანებდა, მაშინვე მივხვდი, რომ ყველაფერი იმ წყეული წყლის დედოფლის ბრალი იყო, მაგრამ ვერ ვკადრე

საწყალს ამის თქმა, — თქვა ხურანძამ, რომელსაც ამ სიცხე-პაპანაქებაში თბილი შალი წამოესხა, იქვე კუთხეში მიმჯდარიყო და აქამდე ხმა არ ამოუღია. იგი ხმადაბლა ლაპარაკობდა, რათა მისი ხმა ავადმყოფს არ გაეგონა.

— ვერ ვხედავდი, მაგრამ რაკი ხურანძამ თქვა, მეც ვიტყვი. აგერ, ერთი კვირაა ჩემს მეუღლეს ვეუბნები, ესმას ნამდვილად ალი დაეპატრონა-მეთქი, — ჩაერია საუბარში ყუაბჭა. ციებისგან ერთიანად გაწამებულ-გაყვითლებული ქალი კართან იდგა.

— ვერ ვამბობდით, თორემ ჩვენც ამას ვფიქრობდით, — ახმაურდნენ სხვებიც.

— ჩუმად, ხალხო, ესმამ არ გაიგოს! — გააჩუმეს ერთმანეთი ქალებმა და ესმასკენ გაიხედეს, რომელსაც ის-ის იყო ჩასძინებოდა.

VII

— ჩემი სადარდებელი ის იყო, რომ არ ვიცოდი, რა სჭირდა ესმას. ახლა რაკი ყველა ერთხმად მეუბნებით, ავადმყოფი წყლის დედოფლის მოჯადოებულიაო, მეც რამეს ვიღონებ, არაფერზე უკან არ დავიხევ, — თქვა ალიასმა.

— მოლა ჰალილზე ამბობენ, კარგი მკურნალიაო, მაგრამ მისი მორჩენილი კაცი მე არ მინახავს, — იჭვნეულად გააქნია თავი ჰაზარათმა.

— შირინის ქალიშვილი რომ ლოგინად იყო ჩავარდნილი, ხომ გახსოვთ, — ჩაერია საუბარში ალხასი. — ისიც ალის მოჯადოებული იყო თურმე. გამწარებულმა შირინმა და მისმა ნათესავებმა ვერაფერი რომ ველარ გააწყვეს, მოლა ჰალილი მოიწვიეს, ეს თუ უშველის ჩვენს ქალიშვილს, სხვა ვერავინო — ფიქრობდნენ. ჰალილმა გავარვარებული ნაკვერჩხალი ამოუდო თავთან ავადმყოფს და ზედ პილპილი მოაყარა. იმდენი აყარა

პილპილი, ვიდრე ავადმყოფს თვალები არ დაეწვა და სიმწრისაგან თავი არ წამოსწია. თითქოს ამას ელოდაო, ჰალილმა აიღო და კომბალი სთხლიშა თავში ავადმყოფს. როცა შეუძახეს — რას შვრები, რას ერჩი ავადმყოფსო, ავადმყოფს კი არა, მის ავადმყოფობას ვერჩიო, — ასე უთქვამს ჰალილს. შირინმა გარეთ გაიყვანა გულწასული ავადმყოფი, ძლივს მოაბრუნეს სანყალი. ოთახში პილპილის ისეთი სუნი იდგა, ხალხს ხველებისგან ხმა ჩაეხლიჩა. რა ვიცი, ჰალილი ნათესავად ეკუთვნის ალიასს და იქნებ უშველოს კიდევაც ესმას, — თქვა ბოლოს ალხასმა.

იქ მყოფთ ღიმილი მოერიათ ალხასის ნათქვამზე.

— მაინც რა ნათესავები არიან ალიასი და ჰალილი? — დაინტერესდნენ ცნობისმოყვარენი.

— როგორ თუ რა ნათესავები არიან! შარშან მღვდლებმა მოლებს უჩივლეს და გასახლება მოუნდომეს. ოჩამჩირედან ბოქაული ჩამოვიდა ჰალილის წასაყვანად. ალიასმა და ჰაზამათმა ის ბოქაული კარგად გამოათვრეს, რაღაც-რაღაცები უფეშქაშეს და გაუშვეს. ის საცოდავი ისე გამომთვრალიყო, რომ ფეხის გადადგმა აღარ შეეძლო. რაღა უნდა ექნათ, ისევ ალიასმა და ჰაზამათმა გააცილეს. გზაში ერთი სამჯერ მაინც ლაფში ჩავარდნოდათ. ისე ბნელოდა თურმე, კაცი თითს ვერ მიიტანდა თვალთან. ძლივს ჩაუყვანიათ ოჩამჩირეში. ბოქაულს გზაში ფაფახიც კი დაჰკარგვია. ძებნით კი უძებნიათ, მაგრამ აბა იმ სიბნელეში რას იპოვიდნენ.

გამობრუნდნენ უკან ალიასი და ჰაზამათი და ჩვენი მოლა ჰალილი გააქრეს. მერე, როცა დროება შეიცვალა, ჰალილი ისევ დაბრუნდა.

— დიდი ნათესაობა ჰქონიათ! — თქვა აგდებით ერთ-ერთმა. — მოლა ჰალილი არამზადა და გაიძვერაა, სულ იმაზეა გამეცადინებული, როგორ მოატყუოს ხალხი.

— ალის მოჯადოებულ ადამიანს გიდი მკურნალობს კარგად და უწვალებლად, — წამოიძახა ვიღაცამ.

— ეხ, მართალი გითხრათ, გადამიწყდა კიდევაც იმედი, რომ ესმა გამოჯანმრთელდება, მაგრამ რა ვიცი, ვცადოთ. მეც გამიგია მაგისი ქება. მოვიყვანოთ, ოღონდ მოარჩინოს ქალი და მე არაფერს დავიშურებ, — თქვა ალიასმა. მერე მეზობლის ბიჭს, ყადირს, დაუძახა, ცხენზე შესვა და გიდის მოსაყვანად ააჩქარა.

— დიდად პატივცემული კაცია გიდი, ყადირ, ხანდაზმულიც არის, მაგრამ სთხოვე, გაიგებს ჩვენს გასაჭირს და წამოვა, არ გაგვაწბილებს, — დაადევნა გზად მიმავალს ალიასმა.

— მე არ გამიგია, რომ გიდი ალის ტყვეობიდან ათავისუფლებდეს ადამიანს, — იჭვნეულად გააქნია თავი ქუაბლუხმა.

— შენ არ გჯერა, ქუაბლუხ, მაგრამ მე ერთ ამბავს მოგიყვები და მაშინ დაიჯერებ, — შეაწყვეტინა სიტყვა ჰაზარათმა.

— თქვენ ყველამ კარგად იცით, როგორი ჩაცმა-დახურვა იცის გიდმა. ცხენიც ყოველთვის კოხტად ჰყავს შეკაზმული. მართალია დაბერდა, მაგრამ ჩვეულებას მაინც არ ღალატობს და არც ახლა გამოიყურება ურიგოდ. ჰოდა, აი რა გადახდა ერთხელ მას: კუნაპეტ ღამეში თომიშის ნაპირს მიადგა თურმე, გაღმა უნდოდა გასულიყო. სწყვიტა ცხენს მათრახი, მაგრამ ცხენს ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია, ჭიხვინებდა და ყალყზე დგებოდა თურმე. გაუხედავს გიდს და შუა მდინარეში თმაგაწეწილი ალი დაუნახავს. ჩამომხტარა გიდი ცხენიდან, უძვრია ხანჯალი და წინ დახვედრია ალს. ალს ხანჯლისა ეშინია. ხანჯალს ხომ ორივე პირი ბასრი აქვს, აი, ხმლისა კი არ ეშინია, ბლაგვი მხრიდან შეუძლია მოკიდოს ხელი და იმიტომ.

ხანჯლის დანახვაზე ალს უკან დაუხევია, მერე შეჩერებულა და ხუთი თითი უჩვენებია გიდისთვის. ხუთი წელი ჩემი ქმარი უნდა იყოო, უნიშნებია. გიდს ხელითვე უნიშნებია, არაო. ხმის ამოღება არ შეიძლება თურმე, როცა ალს დაინახავ. ენას ამოგაცლის მაშინვე. მერე გიდს ხანჯალი ქარქაშში ჩაუგია და ალს დაჭიდებია. გიდს სცოდნია, რომ ალს ქუსლი წინა აქვს მოქ-

ცეული, აუღია და ალი მიწაზე ქუსლით დაუნარცხებია, დაუჭერია ზევიდან მუხლი და ფიცით უთქმევინებია, რომ დღეის ამას იქით ალი მისი გვარის ხალხს არას დაუშავებდა. გარდა ამისა, თუ ალი ვინმეს დაეპატრონებოდა, გიდის გამოჩენისთანავე უნდა მიეტოვებინა თავისი მსხვერპლი.

— თუ ესმას მართლა ალი დაეპატრონა, გიდი უსათუოდ მოარჩენსო, — ჩაილაპარაკეს აქეთ-იქიდან. სიტყვა არა ჰქონდათ დამთავრებული, რომ ეზოში გიდმა შემოაგელვა თავისი ბედაური.

გიდი თეთრ ნიშა ცხენზე იჯდა, რომელიც ადგილზე ვერ ისვენებდა, ცმუკავდა და ლაგამს ხრავდა. ჩანდა, გიდი ძირძველი აფხაზი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მზე გვარიანად აჭერდა, უნაგირზე კოხტად დაკეცილი ნაბადი დაემაგრებინა, თავზე ფაფახი ეხურა, თეთრი ყაბალახის გრძელი მოსირმული ფოჩები კი საქამრემდე სწვდებოდა. თეთრი სპეტაკი წვერი მკერდამდე სცემდა და მის ახოვან აღნაგობას განსაკუთრებულ იერს აძლევდა.

ეზოში რომ შემოვიდა, გიდმა ცხენს დეზი ჰკრა და ყალყზე შეაყენა. ეტყობოდა, ჩინებული მხედარი იყო, ამაოდ ცდილობდა მისი თეთრონი, აღვირი წაერთმია მისთვის. ამასობაში გიდს ახალგაზრდები გაეგებნენ და ისიც თავმომწონედ ჩამოხტა ცხენიდან.

— გამარჯობათ, — თქვა გიდმა.

— გაგიმარჯოს, — არ დაუხანეს სალამი ახალგაზრდებმა და სახლისკენ გაუძღვნენ მოხუცს.

— რა სჭირს ავადმყოფს? — იკითხა გიდმა, თუმცა ყადირისგანაც მშვენივრად იცოდა ესმას გასაჭირი.

— ასე და ასე არის საქმე. ძალიან გაწვალდა საცოდავი, შენი იმედი გვაქვს და ახლა ღმერთმა ხელი მოგიმართოს, — უთხრა თორყანმა.

— ღმერთმა უარესისგან დაგიფაროთ, თორემ ასეთი ავად-

მყოფის მორჩენას რა უნდა, რა დიდი საქმე ეგ არის! — თქვა გიდმა და თორყანს ოთახში შეჰყვა.

გიდი იქ მყოფთ მიესალმა და ავადმყოფს მიუახლოვდა.

ოთახში მყოფმა ქალებმა მოწიწებით მიაგებეს სალამი და სკამზე დასვეს. გიდმა შეხედა ავადმყოფს და რა გჭირს, როგორა ხარო, — ჰკითხა.

— არა მიშავსო, — ძლივს ამოილუღლუღა ავადმყოფმა.

გიდმა ყალიონი გამართა. ირგვლივ ისეთი სიჩუმე ჩამოწვა, ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდით. ამ დროს ჰაზარათი მიუახლოვდა ავადმყოფს და უთხრა:

— ესმა, დად, ნახე, გიდი მოვიდა შენთან, ის ნამდვილად მოგარჩენს, აწი ნუღარ გეშინია, ხვალ-ზეგ ფეხზე წამოდგები.

— რითი დავიმსახურე მისი ასეთი ყურადღება? — ძლივს ამოთქვა ესმამ, რომელსაც ცოტა ფერი მოსვლოდა. გიდმა შეამჩნია ეს და თამამად უთხრა:

— ნუ გეშინია, შვილო, რაკი ვთქვი მოვარჩენ-მეთქი, მოგარჩენ კიდევაც. რამდენი შენისთანა მომირჩენია! — ესა სთქვა გიდმა და არხეინად გააბოლა ყალიონი, — აქაოდა, მე უკვე მოვრჩი ჩემს საქმესო.

— ახალს რას გვეტყვით, გიდი ბატონო, გვითხარით რამე ან მთისა ან ბარისა... — სთხოვა „მკურნალს“ თორყანმა.

— ახალი არაფერი ვიცი და რა გითხრათ. აძიუბჟაში კი რაც მოხდა, თქვენც გაიგონებდით.

— რა მოხდა, ჩვენ არაფერი ვიცით, — იქ მყოფებმა გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს და ისევ გიდს მიაჩერდნენ ცნობისმოყვარე თვალებით.

— რადგან არ გცოდნიათ, გეტყვით. ოჩამჩირის ბოქაულს აძიუბჟაში წერილი გაუტანებია, რომელშიც მამასახლისს უბრძანებდა: ხვალ შუადღისთვის მანდ მოვდივარ და ყველა, როგორც ერთი კაცი, სოფლის მოედანზე შეიკრიბოსო. აძიუბჟაში მიმავალ იასაულს გზად ტამიშის ფოსტაში შეუვლია და

თავის მეგობარ სტრაჟნიკებთან ერთად ისე გამომტყვრალა, რომ იმ ღამეს იქვე გაუთენებია. მეორე დღეს აძიუბჟაში ჩასულ იასაულს მამასახლისი შუადღემდე ვერ უპოვია. მამასახლისმა ბრძანება კი მიიღო, მაგრამ ხალხს ველარ მოუყარა თავი. ამასობაში ბოქაულიც ჩამოსულა, ხალხი რომ ვერ ნახა, მამასახლისისთვის ერთი ამბავი დაუწევია, როგორ თუ ჩემი ბრძანება არ შეასრულეო. მამასახლისს უთქვამს, რა ჩემი ბრალია, წერილი ეს-ეს არის მომიტანეს, ასე უცებ ხალხს როგორ შევკრებდიო. ბოქაული გაცეცხლებულა, როგორ თუ სიტყვა შემიბრუნეო და მათრახი გადაუჭერია მამასახლისისათვის.

— ნეტავ, ვინ არის აძიუბჟას მამასახლისი? — იკითხა თორყანმა.

— ვინა და ექუბვ კუწნია.

— ეხ, ეგ რა თქვით, გიდი ბატონო, ვერ მომხდარა კარგი ამბავი.

— ქამარ-ხანჯალი და თოფ-დამბაჩა ზედმეტი ბარგი ყოფილა მაგისთვის, წელი არ მოსწყვიტოს მაგ საწყალს, — გაბრაზდა ყადირი.

— ყადირ, დად, თუ მომისმენ, კარგი იქნება, ხოლო თუ ჩემზე კარგად შენ იცი ეს ამბავი, მაშინ შენ გვიამბე და ჩვენ მოგისმენთ, — შუბლი შეიკრა გიდმა.

თორყანი გაუწყრა ყადირს, უფროსს ლაპარაკს რატომ არ აცლიო და გიდს სთხოვა, გვითხარით, ბოლოს რა მოხდაო.

— რა მოხდა და მამასახლისმა ველარ მოითმინა ბოქაულის თავგასულობა, ფიცხლად მოტრიალდა და მისი მათრახი ბოქაულის ბეჭებზე აწივლდა.

— მაგის მარჯვენას ვენაცვალე! — წამოიძახა ყადირმა.

— არ შეარჩენდა ბოქაული ამას მამასახლისს, — თავი გააქნია თორყანმა.

— მამასახლისი ცხენს მოახტა და გაშორდა იქაურობას. სტრაჟნიკებმა სროლა აუტეხეს, მაგრამ უკვე გვიან იყო. მამა-

სახლისი პირდაპირ სოხუმში ჩავიდა ოლქის უფროსთან, რათა პირადად მოეხსენებინა ყველაფერი.

მეტი არაფერი ვიცი, ახლა კი მეჩქარებაო, — დაუმატა გიდმა და წამოდგა. მერე ავადმყოფს მიუახლოვდა — ფიქრი ნუ გაქვს, ანი მალე მორჩებიო, — უთხრა და ოთახიდან გავიდა.

ეზოში გამოსულ გიდს ალიასი შეეგება და უთხრა:

— დიდი მადლობა მომიხსენებია მობრძანებისთვის, გიდი ბატონო. გაჭირვებამ მაიძულა შემეწუხებინეთ. ღმერთსა ვთხოვ, მომცეს შეძლება სიკეთე სიკეთით გადაგიხადოთ.

— რას ამბობ, ალიას, კაცნი ვართ, ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ, აბა, სხვანაირად როგორ იქნება, — მიუგო გიდმა და ცხენზე შეჯდომა დააპირა. ახალგაზრდები უმალ შემოეხვივნენ მას, ზოგმა უზანგი დაუჭირა, ზოგმა აღვირი და ცხენზე შესვეს. გიდმა ჭაბუკური სიფიცხით, თამაშ-თამაშით გაიყვანა ცხენი ეზოდან.

— იქნებ ახლა მაინც ეშველოს ესმას, — ჩაიდუდუნა ქუაბლუხმა. ღმერთმა ქნასო, — თქვეს სხვებმაც და თავ-თავიანთ სახლებში წავიდ-წამოვიდნენ.

გავიდა სამი დღე, ერთი კვირა, მაგრამ ესმას მაინც არაფერი ეშველა, ბევრმა წინასწარ გამოიგლოვა საწყალი ქალი, აღარავის სჯეროდა მისი გამოჯანმრთელებისა.

მეზობლის ქალიშვილმა ხიკამ, რომელმაც აღარ მიაქცია ქალების ლაპარაკს ყურადღება, გადაწყვიტა, თვითონ მიეხედა ავადმყოფისათვის. გოგო წავიდა ოჩამჩირეში და ექიმს რაღაც წამლები გამოართვა. ექიმისვე რჩევით ავადმყოფს საგანგებოდ უმზადებდა საჭმელებს, არ შორდებოდა, თავთან ეჯდა და შუბლზე ცივ ტილოს ადებდა. ექიმის წამლებმა და ხიკას გულმოდგინეობამ თავისი გაიტანა. ავადმყოფმა მოიხედა. უკვე თავისით ჯდებოდა საწოლზე და პატარა კამაჭიჭის ხელში აყვანაც შეეძლო, სულ მალე კი საწყალი ქალი ფეხზე წამოდგა. შარიფა, ჰაუიდა და რაფიდა ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ,

ნახე, ქალო, რა სულ ტყუილად ვაქილიკებდით ხიკას, მართლა ჭკვიანი გოგო ყოფილა, მოგვირჩინა და ეგ არის ავადმყოფიო.

— ავადმყოფის წამალი კარგი მოვლა-პატრონობაა, ხელს თუ არ დააკლებ, უეჭველად გამოჯანმრთელდება, — თქვა ხიკამ.

— ყოჩაღ, რა ჭკვიანი ქალი გვყავხარო, — გაიცინეს ქალებმა.

VIII

ესმა მალე მოღონიერდა. ავადმყოფობის დაწყებიდან სამი თვის მერე საბოლოოდ დადგა ფეხზე. რაფიდამ უდედობა არ აგრძნობინა პატარა კამაჭიჭს. ბავშვი უკვე კარგად იყო მოჩიტული, ყველა იმას დაჰკანკალებდა თავზე, მეზობლები ერთმანეთს არ ანებებდნენ ჩვილს. ბავშვი ისე სწრაფად იზრდებოდა, რომ ქალები შიშნარევად ჩაუჩურჩულებდნენ ხოლმე ერთმანეთს, — ღმერთმა დაიფაროს ჩვენი კამაჭიჭი და ამბობენ, — ბავშვი რომ აკვანში ვეღარ ეტევა, იმას გრძელი დღე არ უწერიაო.

გამოხდა ხანი.

ერთ მშვენიერ დღეს მეზობლის ეზოში სოფლელებს მოეყარათ თავი და ჰყვებოდნენ მთისას და ბარისას. სწორედ ამ დროს სოფლის შუაში ალიასი გამოჩნდა. ალიასის დანახვაზე მეზობლებს გაახსენდათ მისი დანაპირები: ძეობაზე ყველას დაგპატიჟებთ, კარგ პურს გაჭმევთო. მეზობლები კვიმატობდნენ ამის გახსენებაზე და გულიანად იცინოდნენ. იქვე მოილაპარაკეს, შეეხსენებინათ ალიასისათვის დანაპირები, თუმცა ზოგიერთები უარზე იდგნენ, — კაცი ცოლის ავადმყოფობამ ხარჯში ჩააგდო და არ ღირს ახლა მისი შეწუხებაო. ბოლოს ისევ თქმა გადაწყვიტეს. ახლა იმაზე აყაყანდნენ, ვინ ეტყვის, ვინ შეაბამს კატას ეჟვანსო. ბევრი იყაყანეს და ბოლოს

ქუაბლუხზე გადატეხეს ჯოხი, შენ უნდა უთხრაო. ქუაბლუხმა იუარა, მე როგორ ვუთხრა, უფროსი კაცია, როგორ შევკადრო, მაქეიფე გინდა თუ არაო.

— ქუაბლუხს მარტო უფროს-უმცროსობისა კი არ ერიდება, საქმე იმაშია, რომ ალიასი მაგის ახლო ნათესავია და ეჭინია, ხარჯში არ ჩააგდოს, — გაიცინეს ზოგიერთებმა.

— მაგის მე სულაც არ მეშინია. ალიასი შეძლებული კაცია და ერთი ლხინის გადახდა არ გაუჭირდება, რომც გაუჭირდეს, ნათესავები გავუმართავთ ხელს, მაგრამ ვიმეორებ, უფროს კაცს მაგის თქმას ვერ შევკადრებ-მეთქი.

— მართალია ქუაბლუხი, — თქვა მაშინ ერთ-ერთმა იქ მყოფთაგან. — მართალია ქუაბლუხი და თორყანი ალიასის ნათესავები არიან, მაგრამ არც ჩვენ ვართ უცხონი და შორეულნი. სადაც წვრილია, იქ გაწყდეს. მე ვეტყვი ალიასს. კარგი ბანია ქელეხი მაგას არ გადაუხდია და ქორწილი. ერთი ძეობა არ გააღარიბებს. ვნახოთ ერთი, როგორი მასპინძელია...

— აბა ეგ რა სათქმელია, — შეაწყვეტინეს ქალებმა, — კაცს ახლახან შეეძინა შვილი, ახლა იწყებს ცხოვრებას, ქელეხი და უბედურება აქ რა მოსატანია.

— ვიხუმრე, თქვე კაი ხალხო, თორემ რაც მაგას ავი მე ვუსურვო, ჩემზე მოიქცეს. ვიფიქრე, თუ მამამისის, საგიასის სულის მოსახსენიებლად თითო ჭიქას აგვაწევინებს, მადლს მოისხამს-მეთქი, — იხტიბარი არ გაიტეხა მეზობელმა.

— ჰაიტ, შენ შენსას მაინც არ იშლი, ხომ? ალიასის მამა ორმოცი წლის წინ გარდაიცვალა და შენ ახლა გინდა მისი სულის მოსახსენიებელი დალიო? იმას თავის დროზე წლისთავიც გადაუხადეს და კარგი პატივიც მიაგეს. მამაშენი კი დიდი ხანი არ არის, რაც გარდაიცვალა და ვინმემ რომ გითხრას, სად არის მამაშენის საფლავიო, შეიძლება ვერც კი იპოვო, — წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

— ახლა რომ ერთი კარგი პურ-მარილი გადაიხადო, მამაშე-

ნიც კმაყოფილი დაგრჩება და ჩვენც, — არ ცხრებოდნენ ენაკვიმატი მეზობლები.

— შვილოსა, რამდენჯერაც თქვენ შემწვარ-მოხრაკული მოგინდებათ, იმდენჯერ რომ პურმარილი გაგიმართოთ, მამაჩემს შეიძლება ხორცი სულ შესძულდეს, — არ ცხრებოდა ენაკვიმატი მეზობელი. ატყდა ერთი სიცილ-ხარხარი, ის კი განაგრძობდა:

— მამაჩემის წლისთავზე ყველანი იქ იყავით, ცოლი შევირთე და ქორწილში დაგპატიჟეთ. ეს მე სამი წლის განმავლობაში მოვახერხე. ახლა თქვენი ჯერია, ან ქორწილში დამპატიჟეთ, ან წლისთავზე, თუ არადა, ალიასს ქეიფის გადახდა არ ასცდება.

— ნან, ლუმან, — შეაწყვეტინა მას შკუაკუამ. — ხუმრობა კარგია, მაგრამ აი, უფროსების თანდასწრებით რომ იძახი — ცოლი მოვიყვანე და დაგპატიჟეთო, — ეგ ვერ მოგივიდა კარგად. ახალგაზრდა ხარ და არ გეკადრება.

— ეგ არაფერი, ხუმრობაა. ხუმრობაში ყველაფერი წამოცდება კაცს, მაგრამ მამამისი ვერ მოიხსენია მთლად კარგად. რას ჰქვია — ხორცი შესძულდებაო, — განყრა თაკუნა.

— ძალიანაც ნუ გაუწყრები ლუმანს, ჩემო თაკუნა. ენაკვიმატი ბიჭია ხომ იცი, ხუმრობა-ხუმრობაში ხანდახან წამოცდება ხოლმე ზედმეტი, თორემ დედ-მამის უპატივცემულობას მაგას ვერავინ დააბრალებს.

ლუმანმა ყური მოჰკრა ქალების საუბარს და გაეცინა.

— თქვენ გინდათ, რომ ყველა ჭკუისკოლოფი იყოს? ხომ დაიხოცებოდით მოწყენილობისაგან, რაღა გეშველებოდათ მაშინ?

მეგობრები დაეთანხმნენ ლუმანს. მშაგუმ კი თქვა:

— ქალების მოსაწონს ღმერთიც ვერ იზამსო — ამბობენ. დინჯ, დარბაისელ კაცზე იტყვიან, ბაიყუშია, ნამჯიღეჭია, მაგისგან სიტყვას ვერ გაიგონებო. შენ გაიცინებ, სხვას გააცინებ და — პირში არაფერი დაუდგება, რაც ენაზე მოადგება, ყველაფერს ამბობსო. მაშინვე გაგჭორავენ.

ამასობაში ალიასი მოუახლოვდა შეკრებილთ.

— ძაღლი ახსენე და ჯოხი ხელში დაიჭირეო — ტყუილად კი არ უთქვამთ. სწორედ შენზე ვლაპარაკობდით, ალიას, — მიეგება ლუმანი მეზობელს.

— შენს გარდა, აბა, ვინ ამოიღებდა ჩემზე ხმას, — გაეცინა ალიასს.

ამ დროს სახლიდან სხვებიც გამოვიდნენ და მიესალმნენ ახალმოსულს.

— ოჰო, მშაგუ და კამშიშიც აქ ყოფილან — რამ შეგყარათ აქ, თქვე მუცელღმერთებო, ცუდად შემოეჩვიეთ ჩვენს უბანს, ჩიჩია ხომ არ მოგენატრათ?

— გვეყო, ალიას, რაც ქალებმა შენს მოსვლამდე დაგვაწიეს. შენ მაინც ნულარ გვეჩხუბები. ისევ გიჯობს, ერთი კარგი პურმარილი გაგეშალა ჩვენთვის, ან...

— ეს „ან" რაღას უნდა ნიშნავდეს?

— ეს ისე, სიტყვის მასალად ვიხმარე, — თქვა ლუმანმა. ყველას გაეცინა.

— კარგი, გასაგებია, რაც თქვი, მაგრამ თქვენ სამის მისვლას ერთ ოჯახში, მტრის ოჯახსაც არ ვუსურვებ. აი, თქვე ქვისნატეხებო. ღმერთმა დაიფაროს შკუაკუას ოჯახი ავი თვალისაგან.

— შკუაკუასაგან დღეს ისედაც მაგრად მოგვხვდა, შენ ნულარ დაგვიმატებ, ალიას.

— შკუაკუას კი არ უნდა ეჩხუბა, ცოცხი უნდა აეღო და კინწისკვრით გაეყარეთ აქედან. — ყველამ გადაიხარხარა.

— ამ გაგანია სიცხეში სახლში რამ დაგსვათ, ხალხო. ბუმიცის ასე: დღისით გარეთ არ გამოდის, ჩიტებმა არ დამინახონო — ეშინია და ფუღუროში არჩევს ჯდომას. ასე ხართ თქვენც, ბუებივით მობუზულხართ სახლში და ლაყბობით კლავთ დროს, — დაუმატა ალიასმა.

— ხუმრობა იქით იყოს, ალიას, და შენ ის გვითხარი, ლხინის გამართვას როდის აპირებ? — ჰკითხა ლუმანმა.

— ხუმრობის ხალისი ღმერთმა ნუ მოგვიშალოს. ქეიფით კი ნამდვილად გაქეიფებთ.

— როდისღა, ალიას? მატყუარა მამის შვილი სიხარულმა მოკლაო — ხომ გაგიგონია? შენ გვპირდები, ჩვენ კი ლოდინით დავიღალეთ.

— არ გატყუებთ, გახდება თუ არა ბავშვი წლისა, დიდ ლხინს გადავიხდი. აქამდე ესმას ავადმყოფობამ შემიშალა ხელი, ახლა კი დაველოდები, სანამ კამაჭიჭი ერთი წლისა არ გახდება.

— ასე, შე კაი კაცო, გვეცოდინება, როდის უნდა ვიქეიფოთ და აღარ ვინერვიულებთ, — თქვა კამშიშმა.

— არ დაგავიწყდეს, კამშიშ, დავთარში ჩაიწერე! — შეუძახა ლუმანმა.

— მაგას რომ დაავიწყდეს, მე არ დამავიწყდება, — ჩაურთო მშაგუმ.

— ხშირ-ხშირად გაიმეორეთ, არ დაგავიწყდეთ, — უთხრა ალიასმა სამივეს. მეზობლები სიცილით გადაბჟირდნენ.

— აღდგომა და ხვალაო, ვნახოთ, დაგელოდებით, — ყველამ ერთხმად უთხრა ალიასს.

— ეხ, ეტყობა, მოცლილები ხართ, უსაქმო ხალხთან მე რა ხელი მაქვს, — თქვა ალიასმა და წასვლა დააპირა.

— დარჩი ცოტა ხანს კიდევ, — ჩააცივდნენ ალიასს ლუმანი და მისი მეგობრები, ალიასი აღარ გაჩერდა.

— სხვის სახლში კარგი მასპინძლები ხართ, აბა თქვენსას იყოთ, მაშინ გნახავდით, რა ბიჭებიცა ხართ, — ამ სიტყვებით ალიასი გამოემშვიდობა ყველას და წავიდა.

— შემთხვევით შევიყარენით, კარგი ქეიფის ადგილი და დრო კი დავადგინეთ, — თქვა ლუმანმა. მეგობრებმა კვერი დაუკრეს ლუმანს და სიცილ-სიცილით დაიშალნენ.

IX

გაზაფხულის მშვენიერი დილა გათენდა. ყვავის ბუნება, ყვავის ისე, როგორც ერთი წლის წინათ, მზეც ისევე კაშკაშებს, ჩიტები კვლავ გალობენ, შეჰხარიან ცასა და მიწას.

ახლაც გალობს თორყანის ეზოში შაშვი.

ეგ არის მხოლოდ, თოფის სროლის ხმა არ ისმის, შარშან ამ დროს კამაჭიჭის დაბადება რომ ამცნო ქვეყანას...

დღეს ალიასის სახლში ლხინია, დიდი ლხინი. ბლომად დაიკლა ცხვარ-ძროხა. ერთი წლის კამაჭიჭი კი უკვე ეზოში დაცუნცულებს. ალიასის ოჯახი დღეს იხდის ძეობას, ეს პურ-მარილი შარშან ამ დროს უნდა გადახდილიყო, მაგრამ მაშინ არ მოხერხდა, ესმას ავადმყოფობამ ხელი შეუშალა ალიასს.

პატარა კამაჭიჭი ყველგან ცხვირს ჰყოფდა — ხან დიდ ქვაბებთან მიირბენდა მზარეულებთან, ხან პურის მცხობელ დედაკაცებთან გაჩნდებოდა, აქაოდა მასპინძელი ვარ და სტუმრებთან არ შევრცხვეო.

ოჯახის სიხარულს საზღვარი არა აქვს.

დილიდან გროვდებიან სოფლელები ალიასის ოჯახში, მოდიან, იცინიან, მხიარულობს დიდ-პატარა.

ხელცარიელი თითქმის არავინ მოსულა. ზოგს შემწვარი ქათამი მოაქვს, ზოგს ცხელ-ცხელი ხაჭაპური, ზოგს კიდევ რა.

საღამო ხანს სტუმრები სეფაში დასვეს. მთელი სოფელი დიდიან-პატარიანად აქ მოსულიყო. ლუმანი და კამშიში ხომ აქაც პირველობდნენ ხუმრობა-სიცილში. არსად ჩანდა მხოლოდ მშაგუ, რომელიც ავადმყოფობის გამო გამოკლებოდა საერთო მხიარულებას.

როცა სტუმრებმა სუფრასთან თავ-თავიანთი ადგილი დაიკავეს, წამოდგა მაშინ ალიასი და სტუმრებს ასეთი სადღეგრძელო შესთავაზა:

— პატივცემულო სტუმრებო!

უპირველეს ყოვლისა, მინდა მადლობა მოგახსენოთ ჩემი დაფასებისათვის, იმისათვის, რომ ასე ერთსულოვნად გაიზიარეთ ჩემი ოჯახის სიხარული და დღეს აქ მობრძანდით. პატარა, რომლისთვისაც დღეს აქ შევიკრიბეთ, ჯერ არ იმსახურებს ამდენ ყურადღებას, მაგრამ ის ერთადერთი პირმშოა ჩემი და ალბათ, გასაგებია თქვენთვის მშობლის სიხარული. ბევრი მილოცავს და მეუბნება, რომ ჩემი შვილი სასახელო ადამიანი გაიზრდება. ვინ იცის, იქნებ გამართლდეს თქვენი კეთილი სურვილი, გაიზარდოს და თქვენთვის, ჩემი ნათესავ-მეგობრებისთვის სიკეთით გადაეხადოს, ხოლო თუ მტერი მყავს ვინმე, გულბოროტი და მოშურნე, ნურც თვითონ დაეჩაგვრინება და ნურც ჩვენს თავს დააჩაგვრინებს. ,აცი იმედით ცოცხლობს და მეც მინდა მოვესწრო შვილის ბედნიერებას, მაგრამ რა ვქნა, წლებს თავისი მიაქვს და ვშიშობ, რომ ამაოა ჩემი ამაზე ფიქრი. ამიტომ მოგიწვიეთ დღეს, მინდა დამილოცოთ შვილი. ახლა კი გთხოვთ მოილხინოთ, იქეიფოთ, გამილამაზოთ დღევანდელი სუფრა და დღე.

ყველანი დასხდნენ.

თამადად თორყანი აირჩიეს, თუმცა დიდხანს იდგა უარზე.

— თავი დამანებეთ, ხალხო, მე მასპინძელი ვარ და უნდა გემსახუროთ. — გაიძახოდა.

— შენი უმცროსი ძმა მოგვემსახურება, შენ კი დაგვიჯექი სუფრასთან და გვითამადე, — არ უთმობდნენ მაგიდის წევრები. ბოლოს ალიასმაც სთხოვა თორყანს და რაღა გაეწყობოდა, დაჯდა და დაიწყო თამადობა.

— დღევანდელი ლხინის მიზეზი სად არის, დაგვანახეთ, აქ მოგვიყვანეთ! — გაისმა შეძახილები.

შემოიყვანეს პატარა კამაჭიჭი. ბიჭურად ჩაცმული, ლამაზი, ლამაზი რომ თვალი უკეთესს ვერაფერს ნახავდა. თორყანი წამოდგა და სასმისი ასწია.

— ეს ბიჭურად ჩაცმული გოგო, შარშან გაზაფხულის ასეთ-

სავე ლამაზ დღეს დაიბადა. ბევრს გახსოვთ, ალბათ, როგორ ვეღოდებოდით მის დაბადებას, რამდენს ვმარჩიელობდით, გოგო იქნებოდა თუ ბიჭი. ეს კეთილხმოვანი სახელი ერთნაირად უხდება ბიჭსაც და გოგოსაც, და რადგანაც ჩვენ ვაჟი უფრო გვინდოდა, სახელიც ისეთი შევარჩიეთ. ბევრი თბილი და კარგი სიტყვა ითქვა იმ დღეს. ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას უსურვებდა დიდ-პატარა კამაჭიჭს. მაშ, დავლიოთ იგი დღესაც, მისი დაბადების ერთი წლის თავზე, ვუსურვოთ მას ბედნიერება, ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე!

ყველამ ერთსულოვნად დალია კამაჭიჭის სადღეგრძელო.

კამაჭიჭი გაოცებული აფახულებდა თვალებს, უყურებდა მომღიმარ სახეებს, თვალები ჰქონდა ფიქრიანი, ფიქრიანი...

ქეიფმა დილამდე გასტანა. თითო-ოროლა მარტოხელა თუ გამოაკლდა სუფრას, ვისაც სახლში არავინ ეგულებოდა და სახლ-კარი უპატრონოდ ვერ მიატოვა. მხიარულობდა ყველა, დიდი თუ პატარა. გათენებისას ნელ-ნელა წამოიშალნენ, ერთხელ კიდევ დაულოცეს ალიასს ფუძე და დაიშალნენ.

X

გლეხი კაცის კვალობაზე ალიასი შეძლებულად ცხოვრობდა. შვილის შეძენის შემდეგ უფრო მეტი ხალისით დატრიალდა ოჯახში, მისი ეზო-ყურე და სახლი ავ თვალს არ ენახვებოდა. კარგი შვილის მამას წლები არ ემატებაო — ხალხს უთქვამს. მეზობლები სულ იმას გაიძახოდნენ: ნახეთ ერთი, როგორ გაახალგაზრდავდა ჩვენი ალიასიო.

მაგრამ მეხი როდის და საიდან გამოტყვრება, არავინ იცის. ერთ საღამოს აბრაგად გაჭრილი სალითბეი თავის ორ ამხანაგთან ერთად ალიასის ეზოს მოადგა.

ალიასს გულმა რეჩხი უყო, არ ესიამოვნა ამ დაუპატიჟებე-

ლი სტუმრების დღისით-მზისით მის სახლში გამოჩენა. მან კარგად იცოდა, რომ სულ მალე ამ ამბავს ზედამხედველი გაიგებდა, მაგრამ რა უნდა ექნა, სტუმარს კარს ხომ არ გადაურაზავდა. სტუმრებს ჭიშკართან მიეგება და სახლში შეუძღვა. ჩუმად, ისე, რომ მეზობლებს არ გაეგოთ, საკლავიც დაკლა, სუფრა გაუშალა და გვარიანადაც აქეიფა.

როცა სტუმრები კარგად დანაყრდნენ და შეზარხოშდნენ, სალითბეის ერთ-ერთმა ამხანაგმა ალიასი განზე გაიხმო და უთხრა:

— ახლა ჩვენი სტუმრობის მიზეზიც მინდა გითხრა, ალიას. გავიგეთ, კარგი ცხენი გყოლია თურმე. ჩვენს პატრონს, თავად სალითბეისაც არ ჰყავს ცუდი ცხენი, მაგრამ დაიღალა მეტისმეტად, ჩვენ კი შორი გზა გვიდევს წინ. სალითბეი გთხოვს, დაუთმო შენი ბედაური, მაგიერში კი მისი ულაყი დაიტოვო: სალითბეიც და ჩვენც, მისი მეგობრები, არ დავივიწყებთ ამ სიკეთეს.

ალიასი მიხვდა, რომ ეს ყველაფერი კარგს არაფერს უქადდა მას და მის ოჯახს. „მატყუებს მამაძაღლი, — გაიფიქრა გულში, — ვიცი, ეგ ცხენის დამტოვებელი არ არის. რომც მოინდომოს, მე ვეტყვი უარს. რად მინდა ნაქურდალი ცხენი, რამე უბედურებას გადამკიდებს. სჯობია ისე წაიყვანოს".

— ასეთ ღირსეულ კაცს ცხენს როგორ დავუჭერ?! — უპასუხა ალიასმა. — თავადს რომ ჩემი ცხენი მოეწონა, ისიც დიდი პატივია ჩემთვის. წაიყვანოს და ღმერთმა სიკეთეში მოახმაროს. მაგიერს კი არაფერს ვთხოვ.

აბრაგი მივიდა სალითბეისთან და ალიასის პასუხი გადასცა.

— გმადლობ, მასპინძელო! — მედიდურად უთხრა სალითბეიმ ალიასს და მის ცხენს უნაგირი დაადგა. — ღამე მშვიდობისა, — დაემშვიდობნენ აბრაგები ალიასს, სალითბეის ცხენიც გაიყოლეს და ბნელ ღამეში გაუჩინარდნენ.

„ცხენს არ ვჩივი, — ფიქრობდა ალიასი, — ზედამხედველმა არ გაიგოს ეს ამბავი, თორემ უსიამოვნება არ ამცდება“.

გამართლდა ალიასის შიში. სალითბეის სტუმრობიდან მესამე დღეს ალიასის ეზოს „ურიადნიკი“ მოადგა, ორ ჩაფართან ერთად. ალიასს ხმა არ ამოაღებინეს, ხელები ზურგს უკან გაუკრეს და წინ გაიგდეს. ალიასს ცუდად ესმოდა რუსული, მაგრამ მაინც მიხვდა, რომ უთხრეს „ნაჩალნიკთან“ უნდა წაგიყვანოთო. ერთ-ერთმა ჩაფარმა ისიც ჰკითხა, სად არიან შენი აბრაგებიო.

— ბაწარმა ხელები ჩამიჭრა, ხალხნი არა ხართ, მოუშვით ცოტა, სად გაგექცევით, აქ არა ვარ? — ითხოვა ალიასმა, მაგრამ ჩაფრებს მისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ.

ეზოში ესმა გამოსულიყო და იმდუღრებოდა:

— რა უბედურებაა ჩვენს თავს, ჯერ იყო და აბრაგებმა ცხენი წაგვართვეს, ახლა კი ოჯახის მარჩენალი ხელებგაკრული მიჰყავთ სადღაც ამ ურჯულოებს. თოკი მაინც მოუშვით ცოტა, ცოდოა კაცი, — ტირილით იხვეწებოდა ესმა.

ჩაფრებს მისი ენა არ ესმოდათ, თუმცა კარგად ხვდებოდნენ, რას ითხოვდა ქალი, მაგრამ ძაღლადაც არ ჩაუგდიათ საწყალი.

პატარა კამაჭიჭი დედის კალთას ჩაფრენოდა და შეშინებული თვალებით იყურებოდა. მერე მამას მიეკრა, მუხლებზე მოეხვია საწყალობლად და ატირდა.

— არ გაგიშვებ, მამა, არ გაგიშვებ! — ტიროდა ბავშვი, მერე თოკის შეხსნაც დააპირა, მაგრამ ჩაფარმა რომ დაინახა, დაჰკივლა ბავშვს და ხელი ჰკრა. კამაჭიჭმა ტირილს უმატა, მერე დასტაცა ხელი ბალახის გამხმარ ღეროს და იმ ჩაფარს ესროლა.

ჩაფარი გაცეცხლდა, რაღაც ხმამაღლა თქვა თავის ენაზე და უფრო მაგრად ჰკრა ხელი პატარას. კამაჭიჭი წაბარბაცდა, მაგრამ არ წაქცეულა, ძალა მოიკრიბა და ისევ ჩაფრისკენ გაექანა.

— არ გაგატანთ მამაჩემს, არა! — ყვიროდა ბავშვი.

ურიადნიკი და მისი თანმხლები ჩაფრები ცხენებს მოახტნენ, ალიასი წინ გაიგდეს და წავიდნენ.

კამაჭიჭი უკან გამოედევნა და მამას ჩამოეკიდა. ესმა ტირილით მოსდევდა შვილს.

— დაბრუნდი უკან, შვილო, ცხენებმა არ გაგსრისონ. ესენი კაციჭამიები არიან, ვერაფერს გააგებინებ.

ალიასს გული ყელში მოებჯინა, თვალებზე ცრემლი მოადგა, მაგრამ თავი შეიკავა და ცოლს გასძახა:

— ღმერთმა იცის, როდისღა დავბრუნდები, შიმშილით თავს ნუ დაიხოცავთ, ბავშვს მიმიხედე, ხელს ნუ დააკლებ. რა ვქნა, მეზობელი რომ იყოს ვინმე, ორიოდ სიტყვას დავუბარებდი, მაგრამ ეს ძაღლები არ მაცლიან...

ამ დროს ერთ-ერთმა ჩაფარმა ცხენი ზედ ალიასზე მიაგდო. ალიასი წაბარბაცდა და წაიქცა.

— მამა მომიკლეს, მამა! — იკივლა კამაჭიჭმა და გაიწია, მაგრამ ესმამ აღარ გაუშვა. ალიასი წამოდგა და მალე ჩაფრებთან ერთად ტყეს მიეფარა.

— სად მიჰყავთ მამაჩემი? რატომ შეუკრეს ხელები, რატომ წააქციეს? — ტიროდა პატარა. ესმამ ძლივს შეიყვანა ბავშვი სახლში.

ეზოში თორყანი შემოვიდა.

— ეს-ეს არის, რუსებს შევხვდი გზაში. ალიასი მიჰყავდათ. ძლივს ვაიძულე, ხელები შეეხსნათ მისთვის. ვეჩხუბე, ფეხით რატომ მიგყავთ-მეთქი. ამ დროს ედგიაციც წამოგვეწია ცხენით. ალიასი რომ ამ ყოფაში დაინახა, ცხენიდან ჩამოხტა და ალიასი შესვა. ხვალ ან ზეგ დავბრუნდებიო — ასე დამიბარა ალიასმა, კამაჭიჭს კი საჩუქრებს ჩამოვუტანო. — დაუმატა თორყანმა და ბავშვს მოეფერა. დიდხანს აწყნარებდა ის კამაჭიჭს, ვიდრე ბავშვი არ დაიღალა და არ ჩაეძინა.

ესმამ დაწვრილებით მოუყვა თორყანს ყველაფერი. ძალიან დაღონდა თორყანი, მაგრამ არ შეიმჩნია და ქალი დაამშვიდა:

— რა ვქნათ, ჩემო რძალო, ასეთია ცხოვრება. უნდა გავიჭირვოთ და მოვითმინოთ. ხვალვე მივაკითხავ ალიასს და ამბავს მოგიტან. შენ ბავშვს მიხედე, ძალიან ჯავრობს, ე მანდ არაფერი დაიმართოს...

შუაღამისას კამაჭიჭს გაეღვიძა. ესმას ხომ ისედაც არ მოუხუჭია თვალი.

— დაიძინე, შვილო, გენაცვალე! — მოეფერა ესმა პატარას. კამაჭიჭმა თვალები დახუჭა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ საწოლზე წამოჯდა და დედას ჰკითხა:

— რა თქვა ძია თორყანმა, მამას ხელები გაუხსნესო?

— ჰო, შვილო, გაუხსნეს. მერე ცხენზე შესვეს და თავიანთ უფროსთან წაიყვანეს.

— სახლში რატომ არ წამოვიდა? განა ხვალ ვერ წავიდოდა იმ უფროსთან?

— შუაგზამდე იყო, შვილო, მისული და უკან ვეღარ დაბრუნდა. მაინც წასასვლელი იყო ქალაქში და რაღა წინ და უკან ვიაროო — იფიქრა. გახსოვს, ამას წინათ მამა რომ დაგპირდა, ახალ კაბას და სხვა რამერუმეებს გიყიდიო. გახსოვს?

— მახსოვს, მაგრამ ახალ კაბასა და იმ რამერუმეებს მირჩევნია, თვითონ დაბრუნდეს სახლში... იმ სტუმრებმა რატომლა წაიყვანეს ჩვენი ცხენი? ამდენ ხანს რატომ არ მოაბრუნეს უკან?

— ისინი აღარ დაბრუნდებიან, შვილო. შენ კი დაიძინე, დედა გენაცვალოს, რა შენი სადარდებელი ეგ არის, — უთხრა ესმამ შვილს. მერე დაფიქრდა და გადაწყვიტა, სიმართლე ეთქვა შვილისთვის.

— ჩვენი ცხენი აბრაგებმა წაიყვანეს.

— აკი თავადებმა წაიყვანესო, მომატყუე?

— არა, შვილო, როგორ მოგატყუებდი. ჩვენი ცხენი მართლა თავადმა წაიყვანა. ის თავადიც და მისი ამხანაგებიც ცუდი კაცები არიან, შვილო. ასე დადიან სოფლიდან სოფელში კარ-

დაკარ. ვის რას წაგლეჯენ და ვის — რას. ზოგს ცხენს წაართმევენ, ზოგს უნაგირს და ცხოვრობენ ასე ავკაცობით. ათადანბაბადან ეგენი არიან ჩვენი ბედის გამგებლები. მაგათ ხელშია ჩვენი გამწარებული სიცოცხლე. ცხენზე რომ უარი გვეთქვა, ძალით მაინც წაგვართმევდნენ, ის კი არადა, შეიძლება საქონელიც ზედ მიეყოლებინათ და სულ ცარიელზე დავესვით, ამიტომ გავიკმინდეთ ხმა და მივეცით ცხენი. ჭირში და სატკივარში მოხმარდეთ იმ უღმერთოებს...

— მამას იმიტომ შეუკრეს ხელები, რომ ჩვენ ცხენი წაგვართვეს?

— იმ აბრაგებს ცხენი რატომ მიეცითო, იმიტომ დაიჭირეს მამაშენი, შვილო.

— ის ყაჩაღები ჩვენ ხომ არ მოგვიწვევია, დედი, დაუპატიჟებლად მოგვადგნენ კარზე და ცხენიც ძალით წაიყვანეს. მამაჩემს რას ერჩიან?

— რა ვიცი აბა, შვილო, ორ ცეცხლს შუა იტანჯება და იდაგება გლეხობა. აქედან თავადები გვაწუხებენ, იქიდან — მთავრობის მოხელეები გვიშრობენ სისხლს, — თქვა ესმამ და ამოიოხრა.

ესმა მიხვდა, რომ მეტისმეტი მოუვიდა და იქვე დაუმატა:

— გზად რომ ის კაცი არ შეხვედროდათ, შეიძლება მართლა დაეპატიმრებინათ მამაშენი.

— აბა მამა მალე დაბრუნდება?

— მალე, დედა გენაცვალოს!

— დედა, მითხარი, ბევრნი არიან თავადები? მე რომ გავიზრდები, ასე ადვილად ცხენს არავის დავუთმობ, — დაიმუქრა კამაჭიჭი.

— რას ამბობ, შვილო, შენ იმათ რა უნდა დააკლო. ქალი ხარ, კაცებსაც ვერაფერი მოუხერხებიათ მაგათთვის...

— აი, ნახავ, გავიზრდები, კაცის ტანსაცმელს ჩავიცვამ, ხანჯალს ჩამოვიკიდებ, თოფ-დამბაჩას გავმართავ და ვნახოთ, რას დამაკლებენ ეგ ცხენიპარიები.

— ჰო, შვილო, ნეტავი შენს გაზრდას შევესწრო და მაშინ აღარაფრის შემეშინდება. შენი იმედი გვაქვს მეც და მამაშენსაც. სულ შენ შემოგყურებთ... შენ უნდა დაგვიცვა მტრისაგან. ახლა კი დაიძინე, ჩემო გოგო, სადაცაა გათენდება, — უთხრა გოგონას ესმამ ალერსით.

— მაშ, მამა ხვალ მოვა, არა დედი? — იკითხა ისევ ბავშვმა.

— ჰო, შვილო, ხვალ თუ არა, ზეგ მაინც აუცილებლად მოვა და ლამაზ-ლამაზ საჩუქრებსაც მოგიტანს. ახლა კი ნუღარაფერს მკითხავ, დაიძინე.

კამაჭიჭმა თვალები მილულა და დაღლილს მალე ჩაეძინა კიდეც.

ალიასი იმ დროს მოაშორეს სახლ-კარს, როცა მუშახელი განსაკუთრებით სჭირდება ოჯახს.

ერთ ღამეს კამეჩს თოკი გაეწყვიტა და ყანაში გადასულიყო. იმის დანახვაზე სხვებს რაღა დააკავებდათ, ისინიც მიჰყვნენ კამეჩს და შეესივნენ ყანას. ამ ყანას შესციცინებდა მთელი ოჯახი, ეს იყო მათი სარჩო-საბადებელი. ფუჭდებოდა, ოხრდებოდა წვითა და დაგვით მოყვანილი ყანა. ესმას კამეჩებს მეზობლის ცხენებიც დაემატნენ და ყანა ერთიანად გაანადგურეს. რაც შეჭამეს, ხომ შეჭამეს, რაც ვერა და ჩლიქებით გათქერეს და გადაქელეს.

გათენდა. მოჰკრა თუ არა თვალი ესმამ ამას, კინაღამ იქვე არ გათავდა საწყალი ქალი.

— რა ვქნა, რაღა მეშველება, თუ ერთხელ მიაჩვიეს პირი ამ გასაწყვეტლებმა, ველარც მოიგერიებ და ეგ არის! — ქვითინებდა ქალი და გადაწყვიტა სიმინდი დროზე ადრე მოეტეხა, მაგრამ ეს რას გასწვდებოდა ოჯახს მთელი წლის მანძილზე.

დიდი ხანი არ იყო იმ დღიდან გასული, რომ ესმას ორი მეწველი ძროხა მგლებმა დაგლიჯეს. ამ ამბის მონელება ვერ მოასწრო უბედურმა, რომ ზამთრის პირას საუკეთესო უღელი ხარი მოპარეს. ზამთარში კი ორი კამეჩი მოუკვდა. გაზაფხულ-

ზე, საჭმელი რომ შემოაკლდათ, ერთი ძროხა გადაცვალა იმ-
დენ სიმინდში, საჭმელადაც რომ ეყოფოდათ და სათესლედაც
გამოადგებოდათ.

სულ ერთი წელი გავიდა ალიასის დაპატიმრებიდან და
ოჯახი, რომელიც ერთ დროს სავსე იყო, მტერს თვალებს
უვსებდა, ერთიანად გაჩანაგდა და გაპარტახდა. როდის დაბ-
რუნდებოდა ალიასი, არავინ იცოდა.

პატარა კამაჭიჭმა ბევრი იტირა — მამა მინდა, მამა მომი-
ყვანეთო, მაგრამ ალიასი რომ აღარ და აღარ გამოჩნდა, ისიც
დაწყნარდა, დადინჯდა, დედას ამოუდგა მხარში და ლოდინად
იქცა.

ხანდახან ძილი კი უფრთხებოდა, ეჩვენებოდა, რომ მამა
ეძახდა, მერე ისევ იძინებდა, დილით კი დედას ეკითხებოდა,
წუხელ მამაჩემი ხომ არ დაბრუნებულაო.

— არა, შვილო, არ დაბრუნებულა, — ეტყოდა ხოლმე ესმა
შვილს და იქვე დააიმედებდა ხოლმე, ნუ გეშინია, მალე მოვა
მამაშენიო. გულში კი წყევლა-კრულვას უთვლიდა მათ, ვინც
დასაღუპად გასწირა მათი ოჯახი.

ასე გადიოდა დღეები, თვეები, ალიასი კი არა ჩანდა.

XI

ახალი გამოზაფხულებულია. მწვანედ ხასხასებს ბალახი.
მზე ჯერ კიდევ ვერ აცხუნებს მთელი ძალით.

ბულბულები მოიღალნენ გალობით და მშვიდად სძინავთ
ხის ტოტებზე სადღაც. ახლა უკვე ტოროლები შენაცვლებიან
მათ, ისინი მღერიან თავდავიწყებით. გაზაფხულზე აფეთქე-
ბულ ნორჩ ყლორტებს გაუმაგრდათ კანი და უკვე ხეთა კენწ-
ეროებს ეტოლებიან.

ბაღ-ბოსტანი მწვანედ ღაღანებდა, ბიბინებდა სიმინდის

ყანა, უკვე იმხელა აზიდულიყო! ტანმაღალი კაცი ვეღარ გამოჩნდებოდა მის ტევრში.

ქალი და კაცი მინდვრად გამოსულიყო სამუშაოდ. ზოგს თუ ერთხელაც ვერ მოესწრო სიმინდის გათოხნა — ზოგი უკვე მეორედ თოხნიდა.

ერთი სიტყვით, საძოვრებიც კი გადაეხნათ და ყველგან ბაღ-ბოსტანი გაეშენებინათ. საქონელს საკვები შემოაკლდა. შიმშილს მიუჩვეველი პირუტყვი ღობეებს ანგრევდა და ყანებს განადგურებით ემუქრებოდა.

ესმას კამეჩები სულ გადაირივნენ. უმეთვალყურეოდ დარჩენილ პირუტყვს ვეღარაფერი აკავებდა. მარტოხელა ქალს კი ყველაფერზე ხელი როგორ მიუწვდებოდა, ისედაც თავზესაყრელად ჰქონდა საქმე.

ერთხელ ესმას კამეჩები მეზობლის, ჰაბახუს ყანაში შეიჭრნენ და მიწასთან გაასწორეს. ჰაბახუ და მისი ჯალაბი იმ დროს სახლში არ იყო. ყანა შორს ჰქონდათ და იქ იყვნენ ყველანი გაკრეფილნი. საღამოს შინ მობრუნებულმა ჰაბახუმ გამოდენა ყანიდან კამეჩები და ესმას მიურეკა სახლში.

„მარტოხელა ქალია, უკაცოდ დარჩენილი, საყვედური როგორ შევკადრო, ცოდოა“. — გაიფიქრა ჰაბახუმ და ესმას უთხრა:

— ესმა, დად, შენმა კამეჩებმა ყანა წამიხდინეს. ადრეც შესულიყვნენ ჩემს ეზოში, მაგრამ დროზე დაენახათ და გამოერეკათ. მესმის, მარტოხელა ქალი ხარ, ვერ აუდიხარ ამდენ საქმეს, მაგრამ რა ვქნა, კიდევ თუ შევიდნენ შენი კამეჩები ჩემს ყანაში, ერთი ტარო სიმინდი აღარ დამრჩება საშემოდგომოდ.

— ვაიმე, დამიდგეს თვალი! ორი-სამი სული დამრჩა და იმასაც ვეღარ ვუვლი. ავდგები და გავყიდი, რა ვქნა, აბა, ამათ გულისთვის კარგი მეზობლისთვის თვალი ვეღარ გამისწორებია. ღმერთმა იმათ მიუზღოს სამაგიერო, ვინც ასე დაგვანელა და დაგვაჩიავა, სახლ-კარი უპატრონოდ დაგვიგდო და გაგვანიავა.

ოჯახის უფროსი რომ სახლში იყოს, საქონლის გამო მეზობელს გულს როგორ დასწყვეტდა, მაგრამ რა ვქნათ, ჯერ იყო და ვიღაც ძაღლთაპირები დაგვესხნენ თავს და საუკეთესო ცხენი წაგვართვეს, ჩემი ქმარი იმ ცხენს ანაცვალეს და დაგვყარეს ასე, ღვთის ანაბარა, მერე კიდევ მგლებმა და მგელ-კატებმა აღარ დაგვინდეს, დღე არ გავიდოდა, პირუტყვი რომ არ მოეპარათ... — სათქმელი ვეღარ დაამთავრა, თვალები აუცრემლიანდა ესმას.

— ეჰ, ალიასს ეს საქმე არ დამართოდა და ჩემი ორივე ყანა თუნდაც ერთ დღეს ამოეგდოთ. რა ისმის, მართლა, სად არის, როგორ არის?

— რა ვიცი, ზოგი მეუბნება სოხუმშია დაპატიმრებულიო, ზოგი ამბობს გადაასახლესო. ვეღარა გავიგე რა, — ამოიოხრა ესმამ.

— გულს ნუ გაიტეხ, მეზობელო, თუ პატარა კამაჭიჭს ბედი აქვს, ალიასს მალე გამოუშვებენ, — დაამშვიდა ჰაბახუმ ქალი და იქვე მდგომ გოგონას მოეფერა, რომელიც გაფაციცებით უგდებდა ყურს უფროსების საუბარს.

— საქონელს კი მიხედე როგორმე, თორემ თუ ერთხელ კიდევ შევიდნენ, დავიღუპე და ეგ არის, — მორიდებით თქვა ჰაბახუმ და წასვლა დააპირა.

— ჰაბახუ, შენს წყენინებას სიკვდილი მირჩევნია, შენს გახარებას, იქნებ მონახო ორი-სამი ჭკვიანი კაცი, ანახე წანახდენი და აგინაზღაურებ ზარალს, გავყიდი ერთ სულს და გაგისწორდები როგორმე! — უპასუხა ქალმა.

ჰაბახუმ წესიერად არც კი მოუსმინა ესმას, აქ იმისთვის კი არ მოვსულვარ, რომ ზარალი ამინაზღაურო. თუ საქონელს მიხედავ როგორმე, ხომ კარგი და კარგი, თუ არადა, რა ვქნა, რაც იქნება იქნება, — უთხრა ქალს და შინ წავიდა.

ესმა ძალიან დაღონდა.

— რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე, განა მარტო ჰაბახუს ყანა

აიკლეს ჩემმა კამეჩებმა, ამას წინათ თორყანმა შემომჩივლა, ბოსტანი გამინადგურესო, კამშიშია და იმ დღეს ძლივს მოესწროო ამ სამგლეებისთვის და უკან გამოეყარა. ყველას ხომ ვერ მოვიმდურებ ამათ გულისთვის?! — დაიჩივლა ესმამ და კამეჩები, გემრიელად რომ იცოხნებოდნენ ეზოში, ბოსელში შერეკა, კარი მაგრად გამოკეტა და სახლში შევიდა. კამაჭიჭი დედას შეჰყვა. ესმამ გოგონა გულში ჩაიკრა და მწარედ ამოიოხრა.

— მწყემსი მაინც მეგულებოდეს ვინმე ახლო-მახლო. პატარა კამუგუს მივაბარებდი, მაგრამ იმდენი ჰყავს, იმათაც ველარ უვლის. შორს მივაბარო და — საღამოობით ისევ მე უნდა ვირბინო მათ მოსადენად. არადა, მაგათით გვიდგია სული: ვხნავთ, ვთესავთ, მოსატანია რამე და ისევ მაგათ ვაბამთ უღელში. სხვაც რომ არა იყოს რა, ის კაცი რომ დაბრუნდება, ცარიელტარიელი ხომ ვერ დავუხვდები.

კამაჭიჭი უსმენდა დედას და პატარა გული სიბრალულით ევსებოდა.

— ამდენს ნუ დარდობ, დედი, ხვალ მე გავრეკავ კამეჩებს. შენ მხოლოდ ბორკილი გამატანე, რომ საქონელს ფეხები გავუკრა. თომიშის პირას ბიჭები აძოვებენ თავიანთ საქონელს, ისინი მომეხმარებიან, საღამოზე კი მე თვითონ მოვდენი შინ.

ესმას ძალიან ესიამოვნა გოგონას ნათქვამი.

— ნან, დედა გენაცვალოს, ეს რა მითხარი, დედისერთა გოგოს მწყემსად როგორ გაგიშვებ?! — თქვა ესმამ და ბავშვი გულში ჩაიკრა. — არა, შვილო, არა, ჯერ პატარა ხარ, კამეჩებს როგორ უნდა მოუარო. ერთი რომ შემოგიტიოს, გაგაქრობს იქვე, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თუ ბედმა გაგვიღიმა და მამაშენი დაბრუნდა, არ მაცოცხლებს, — უარზე იდგა ესმა.

— მამას მე ვეტყვი, დედა, რომ თვითონ მოვინდომე მწყემსად წასვლა. კამეჩების კი სულაც არ მეშინია, იმდენს ვეფერები, იმდენს, რომ ვიცი ძალიან ვუყვარვარ მათ, — არ ცხრებოდა კამაჭიჭი.

— მესმის, დედა გენაცვალოს, ჭკვიანი შვილი მყავხარ, მაგრამ არ დაგავიწყდეს, რომ შენ გოგო ხარ, კამეჩებს კი ბიჭები მწყემსავენ, — არ უთმობდა ესმა.

— სულერთია, მაინც წავალ, ხვალ ბიჭის ტანსაცმელს ჩავიცვამ და წავალ, გავრეკავ კამეჩებს, სადაც სხვები აძოვებენ, საღამოს კი სახლში მოვდენი, აი ნახავ! — დაიქადნა კამაჭიჭმა. ფეხები დაიბანა, დაწვა და დაიძინა.

ესმა შუაცეცხლთან იჯდა და ფიქრობდა. მას მოსვენებას არ აძლევდა ბავშვის ნათქვამი. თუ არ დაიშალა და მაინც გარეკა კამეჩები, მეც გავყვები, მწყემსებს ჩავაბარებ, საღამოს კი მივაკითხავ და ერთად მოვრეკავთ პირუტყვს სახლშიო, ეს წყეული მწერალი თუ არ ტყუის, შეიძლება მამამისიც მალე გამოუშვან და მერე თვითონ მიხედავსო, — ფიქრობდა ქალი. შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, როცა დაღლილ-დაქანცულს ჩაეძინა.

კამაჭიჭს დილით ადრე გაეღვიძა. — დედა, წუხელ მამა ხომ არ მოსულა? — იკითხა მაშინვე.

— არა, ნან, არ ჩამოსულა, მაგრამ ნუ გეშინია, მალე ჩამოვა...

— უჰ, გათენებულა უკვე, მე კი კამეჩები მყავს გასარეკი. იქ, თომიშის პირას ბევრი ბავშვი იყრის თავს, თამაშობენ, ერთობიან. მთელი დღე იმათთან ვიქნები, თან ჩვენს კამეჩებს მივხედავ. — კამაჭიჭი ლოგინზე წამოჯდა და ჩაცმა დაიწყო. ესმა ბევრი ეხვეწა შვილს, არ გინდა, ნუ წახვალო, მაგრამ ველარ გადაათქმევინა. სხვა რომ არაფერი დარჩენოდა, თვითონაც გაჰყვა გოგონას, თომიშის პირამდე მიაცილა, იქ ბიჭებს ჩუმად სთხოვა ყური ეგდოთ საქონლისთვის და შინისკენ გამოსწია, თუმცა ფეხები უკან რჩებოდა.

სახლში მობრუნებული ესმა ადგილს ვერ პოულობდა. თავის თავზე ბრაზობდა — ეს რა ვქენი, ბავშვის ლაპარაკს როგორ ავყევი ამ ხნის ქალი, რამე რომ დაემართოს, ხომ თავი მოვიკალი, სირცხვილით სოფელს როგორ ვუჩვენო პირიო. არა,

საღამომდე მოვითმენ როგორმე და მერე წავალ, ვინმე მწყემსს მოვნახავო.

ესმამ ძლივს დააღამა, თავსახვევში საჭმელი გამოაკრა და ბავშვის სანახავად წავიდა. კამეჩები მშვიდად ძოვდნენ, კამაჭიჭი კი ბავშვებთან თამაშობდა. ესმა ცოტა დამშვიდდა. სახლში რომ დაბრუნდნენ და კამეჩები დააბინავეს, ესმამ ჰკითხა გოგონას, მომიყევი, როგორ გაატარე დღევანდელი დღე, ხომ არ მოიწყინეო.

— რას ამბობ, დედა, იქ ვინ მოგაწყენს, მთელი დღე ვთამაშობდით, კამეჩები კი ძოვდნენ არხეინად. ორ-სამჯერ წყალზეც კი ჩავრეკეთ გასაგრილებლად.

— ახალუხი და ყაბალახი სველი რატომ გაქვს, წყალში ხომ არ ჩავარდი?

კამაჭიჭი ჯერ არაფერს ამბობდა, მერე კი, როცა ესმა აღარ მოეშვა, უთხრა:

— მდინარის მეორე ნაპირზე რომ გადავდიოდით, ბიჭები თავიანთ კამეჩებს მოაჯდნენ ზურგზე. მეც ჩვენს პატარა ზაქს მოვახტი. ის კი გაფხუკიანდა, დაიწყო ხტუნვა და ცმუკვა და მდინარეში რომ შევედით, გადმომაგდო. წყალი წელამდე მწვდებოდა და ადვილად გავედი მეორე ნაპირზე.

ესმას კინაღამ გული გაუსკდა შიშისაგან და მტკიცედ გადაწყვიტა, მეორე დღეს კამაჭიჭი სამწყემსურში აღარ გაეშვა.

ფიქრში წასული, ერთმანეთს ჩახუტებული დედა-შვილი შუაცეცხლთან იჯდა, გვიანი ღამე იყო. უეცრად ეზოში ძაღლები აღავლავდნენ, მერე აწკმუტუნდნენ და გაჩერდნენ.

— ვიღაც ნაცნობი უნდა იყოს, ძაღლები გაჩუმდნენ, — თქვა ესმამ, სწრაფად წამოდგა, კარი გააღო და გარეთ გავიდა. კამაჭიჭი წამოხტა და დედას გაეკიდა.

— მამა ხომ არ მოვიდა, დედი? — წამოიძახა ბავშვმა.

დედა-შვილის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა: ეზოში ალიასი იდგა და ძაღლს ეფერებოდა.

XII

ერთ საღამოს ესმა აივანზე გადმომდგარიყო და ქმარს ელოდებოდა. მალე ალიასიც გამოჩნდა. ის მეზობლის ეზოდან გამოვიდა და ჩქარი ნაბიჯით შინისკენ გამოსწია. მსუბუქად მოაბიჯებდა ალიასი, სახე ერთიანად გაბადროდა, შევერცხლილ ულვაშს წარამარა იგრეხდა და ჩამავალ მზეს გახედავდა ხანდახან. დიდი, წითელი მზე ერთიანად დამრგვალებულიყო, გაფუებულიყო და ჰორიზონტი ვარდისფრად შეეღება, ნელ-ნელა ჩადიოდა, თითქოს ემშვიდობებოდა დილამდე ცასა და ქვეყანას, ტკბებოდა თვითონაც და მიწასაც ატკბობდა. ალიასიც შეჰხაროდა მზეს, ბუნებას, მოაბიჯებდა ამაყი, თავაწეული, მხრებგამართული. ძალიან უხდებოდა თეთრი ჩოხა, მზეზე მოელვარე ვერცხლის ქამარ-ხანჯალი.

ალიასი ტანმორჩილი, თხელი კაცი იყო, მაგრამ ახლა გოლიათივით მოაბიჯებდა.

მზემ ალიასი აივნამდე მიაცილა, მერე მშვიდობის ღამე უსურვა, მერე უფრო გაწითლდა, გაწითლდა და ჰორიზონტს მიღმა მიიმალა.

— რა იყო, კაცო, რა გიხარია, ისე მოდიხარ, გეგონება ქვეყანა შენი იყოს?! — ღიმილით შეეგება ესმა ქმარს.

— არაფერი ისეთი, მერე ვილაპარაკოთ. კამაჭიჭი სად არის?

— ცხენი წაიყვანა მდინარეზე, ვაბანავებ, წყალს დავალევინებ და მოვიყვანო.

— არ ჩამოაგდოს ცხენმა, რაიმე ფარსაგს არ გადაეკიდოს ეს გოგო. ახალი ნაყიდი მყავს ეგ ცხენი, წესიერად არც კი გამიხედნია, ის კი მოახტება და მთელი დღე გაღმა, ველზე დააჯირითებს... ისევ ბიჭურად ჩაიცვა, არა?

— ცხენი როცა მიჰყავს, ყოველთვის ბიჭურად იცვამს.

— ნამდვილად საჯირითოდ წაიყვანა, როგორ არ ეშინია ნეტავი?

— ეშინია კი არადა, ამას წინათ ჰაჯმათის წლისთავზე ჯირითი გაიმართებაო, რომ თქვეს, გადამეკიდა, გინდა თუ არა მამას უთხარი, უფლება მომცეს მეც მივიღო ჯირითში მონაწილეობაო. ტანსაცმელიც კი მოიმზადა. მადლობა ღმერთს, ჯირითი აღარ გამართულა, თორემ ნამდვილად მოგთხოვდა, შემსვი ცხენზეო, — თქვა ესმამ.

— არაფრის არ ეშინია ამ მამაძაღლს, ჯირითს თავი დაანებე, ბიჭებს დამბაჩას ართმევს და სროლაში ეჯიბრება. ამას წინათ ჩემი სანადირო თოფი გამოეტანა და ისროდა... მეშინია, არაფერი დაიმართოს, — თავი გააქნია ალიასმა.

— შენ ის მითხარი, წეღან რის თქმას აპირებდი?

— კარგი, რადგან ვეღარ ითმენ — გეტყვი. ამას წინათ, თორყანის შვილის — ჟიაცის ქორწილში ჩვენმა ქალიშვილმა ყველანი მოხიბლა ცეკვით. ასეთ ნიჭიერ ბავშვს სკოლაში რატომ არ მიიყვანო, მითხრეს იქ მყოფებმა. ამ საღამოს ქუაბლუხთან ვიყავი და მისი ნათლიის, ქესქინჯის შვილი მიხა ვნახე. ჰოდა, მიხამ მითხრა, ოთხ-ხუთ დღეში მამაჩემს სკოლაში მივყავარო. გამახსენდა ქორწილში ხალხის ნათქვამი და ვკითხე, რა არის საჭირო სკოლაში შესასვლელად-მეთქი. მღვდლის მოწმობა უნდა ბავშვის დაბადების შესახებ, მეტი არაფერიო, — მითხრა. ისიც მითხრა, გოგოს მიღება უფრო ჭირს, ვიდრე ბიჭისო. თუ მღვდლის მოწმობის გარდა არაფერია საჭირო, ხვალვე გამოვართმევ ჩვენს მღვდელს დაბადების მოწმობას, რა ვიცი, იქნებ გაგვიღიმოს ბედმა და შევიყვანოთ ჩვენი ქალიშვილი სკოლაში.

— ვიცი, დიდი ხანია გულში გაქვს ეს ამბავი, მაგრამ არა მგონია, რამე გამოგივიდეს. ტყუილად იწვალებ. ქესქინჯის შვილი სხვა არის, ჩვენ მამამისთან რას მივალთ? თავადებს რას ეჯიბრები? „კამეჩთან მარქენალ ხარს რქები დასცვივაო“ — ხომ გაგიგონია? ტყუილად ხარჯში ჩავარდები, დამიჯერე.

— არა, ვცდი მაინც, ცდა ბედის მონახევრეაო — ესეც ხომ ხალხის ნათქვამია?

ესმა აღარ შეკამათებია ქმარს, იფიქრა, ერთადერთ შვილს მაინც ვერ გაიმეტებს შორს გასაგზავნადო და დამშვიდდა.

ცოლ-ქმარი ისევ საუბარში იყო გართული, როცა ჭიშკარი გაიღო და კამაჭიჭმა თამაშ-თამაშით ცხენი ეზოში შემოიყვანა, გააჭენ-გამოაჭენა და აივნის წინ მკვირცხლად ჩამოხტა. გოგონას გრძელი თმა ქუდქვეშ შეემალა, სახე ალანძოდა, თვალებში კი ცეცხლი უკრთოდა. კამაჭიჭმა ჩოხის კალთები გაისწორა, რამდენიმე ნახტომით აირბინა კიბე და მამას გადაეხვია.

— ახ, შე ქვისნატეხო, მოფერე მამას, მოეფერე, იცი, რომ აღარ გაგიჯავრდება, არა? ერთხელაც იქნება გადმოვარდები ცხენიდან და კისერს მოიტეხ. იქნებ მაშინ მაინც მიხვდე, რა დღე დაადგება დედის წინ მორბენალ კვიცს, — გაუჯავრდა გოგოს ესმა.

ალიასს განზრახული ჰქონდა გაეკიცხა ქალიშვილი ურჩობისთვის, მაგრამ შვილის საქციელმა გული აუჩუყა და ესღა უთხრა:

— დად, აი, მეფერები და ვიცი, რომ ჩემი ქალიშვილი მეალერსება. ნაზი, მორცხვი გოგონა, ცხენს მოახტები და — ბიჭი მგონიხარ, დავიბენი კაცი, რომ გადმოვარდე და რამე დაგემართოს, ხომ გაგვიცივდა კერა, შვილო. ეს რა არის? გაოფლილია ცხენი თუ მდინარეში აბანავე?

— ვაბანავე, — უპასუხა კამაჭიჭმა.

— ხომ არ მატყუებ? — ალიასი ეზოში ჩამოვიდა, ცხენს შეხედა. საწყალი პირუტყვი ოფლად ქცეულიყო. იმ დღეს განსაკუთრებით ცხელოდა.

ახლა კი გაუჯავრდა შვილს ალიასი: — ეს რა გიქნია, ცხენი გაქაფულია, გაატარ-გამოატარე მაინც, დაასვენე და მერე საბალახოდ გაუშვი.

კამაჭიჭი მაშინვე ცხენთან გაჩნდა.

— ხედავ, რას აკეთებს? მაგას ან ეგ ცხენი მოატეხინებს კისერს, ან წყალში ჩაიხრჩობა, — მიუბრუნდა ალიასი ესმას.

— არა, ნამდვილად სკოლაში უნდა მივაბაროთ, მშვიდად მაინც ვიქნებით.

— მაგას იმიტომ იმიზეზებ, რომ სოხუმში წაიყვანო, მაგრამ ტყუილად გაირჯები. სულერთია, არ მიიღებენ. სჯობია შინ დარჩეს, შენ კიდევ მამა ხარ და ცოტა მკაცრად მოექეცი, ძალიან გაგვითამამდა ეს გოგო.

— მესმის შენი გულისტკივილი, მაგრამ არც განათლებული შვილის ყოლაა ცუდი. ყველანი პირშეკრულებივით მეუბნებიან, ნიჭიერი გოგოა, ყურადღება მიაქციეთ, ხელი შეუწყვეთო. სირცხვილია, სხვას ჩვენზე მეტად რატომ უნდა შესტკიოდეს გული ჩვენს შვილზე, ყურს ნუ მოვიყრუებთ, მივხედოთ გოგოს. „დღე მეხვალიე კაცსაო, თოვლი მოადგა კარსაო“ — ხალხს უთქვამს. ჰოდა, არ ღირს ამ საქმის გადადება. ხვალვე მივალ ჩვენს მღვდელთან და დაბადების მოწმობას გამოვართმევ.

იმ საღამოს სულ კამაჭიჭის სკოლაში გაგზავნაზე კამათობდა ცოლ-ქმარი. ესმას მაინცდამაინც არ მოსწონდა ეს ყველაფერი და უარზე იდგა. ბოლოს კამაჭიჭიც ჩაერია უფროსების საუბარში.

— რატომ არ გინდა გამიშვა ქალაქში? — უთხრა დედას, — თუკი მასწავლიან, შენ რა გენაღვლება?

— თუკი არ დაგიშლია, აგერ შენ და — აგერ მამაშენი, როგორც გინდათ, ისე მოიქეცით, — მიუგო შვილს ესმამ.

მეორე დღეს ალიასი უთენია წავიდა მღვდელთან. მღვდელი შინ არ დაუხვდა. ოდიშს წავიდა და ათი დღე მაინც დააგვიანდებაო — უთხრეს ალიასს. ალიასი ძალიან დააღონა ამ ამბავმა.

მომდევნო დღეს სოფლის კრებაზე ალიასმა მამასახლისს უთხრა, მღვდლის არყოფნის გამო გოგო სკოლაში ვეღარ მიმიყვანია და რა ვქნაო. მამასახლისმა და სოფლის მწერალმა მოითათბირეს და გადაწყვიტეს, თვითონ დაეწერათ ცნობა. მართლაც შეადგინეს ქაღალდი, სადაც აღნიშნული იყო, სად და როდის დაიბადა კამაჭიჭი და ახლა რამდენი წლისაა. ქაღალდს

მამასახლისმა და სოფლის სამმა დარბაისელმა კაცმა მოაწერეს ხელი, ალიასს გზა დაულოცეს — შენგან ხუთ-ხუთი შაური გვეკუთვნის, მაგრამ არ ავიღებთ, შეერგოს შენს გოგოსო, — უთხრეს და გამოისტუმრეს.

ალიასი შინ გახარებული დაბრუნდა. ესმას უთხრა, გეყოფა ბუზღუნი, გზაზე დამდგართ ნულარაფერს გვეტყვიო და სთხოვა, მეორე დღისთვის წასვლის თადარიგი დაეჭირა.

ესმას ძალიან უჭირდა კამაჭიჭის გაშვება, მაგრამ მეტი რა გზა ჰქონდა, ბედს შეურიგდა: — აქ მო, ქალაქს მიმავალო ქალო, მეზობლებში რომ ტრაბახობ, მამას სოხუმში მივყავარო, ტანსაცმლის მომზადება არ გინდა? — გასძახა ქალიშვილს.

— ჩოხა-ახალუხი, ქუდი და ჩექმები მზად მაქვს, წასვლისას ჩავიცვამ, მეტი რა მინდა?

— რას ამბობ, გოგო, სულ ნუ გამოსულელდი, იქნებ გგონია, მამაშენს ცხენზე საჯირითოდ მიყავხარ სოხუმში. სკოლაში მიყავხარ, სკოლაში!

გოგონა დაფიქრდა.

— აბა ჩემი ჩოხა-ახალუხი არ წავიღო?

— შენმა მზემ, ბიჭურად ჩაცმულს მიგიღებენ გოგონების სკოლაში.

— არა უშავს, უცხენოდაც გავძლებ როგორმე. მამა მიყვებოდა, სკოლის ეზოში ბავშვები ბევრს დარბიან, თამაშობენო. თუ ასეა, აბა, მე რატომღა უნდა მოვიწყინო? — წამოიძახა კამაჭიჭმა და მეზობლის ბიჭებთან გაიქცა სათამაშოდ.

— გაიგონე, კაცო, რა მითხრა?

— გავიგონე, გავიგონე, — ღიმილით უპასუხა ცოლს ალიასმა, რომელიც ის-ის იყო შემოვიდა ოთახში.

— არც იცის, სად მიდის!

ცოლ-ქმარი სახვალიოდ ემზადებოდა, კამაჭიჭი კი მეზობლის გოგო-ბიჭებში თამაშობდა. ალიასმა დაუძახა შვილს და უთხრა, ხვალ დილით ადრე მივდივართო. კამაჭიჭი გაიქცა და

თავის ტოლ-ამხანაგებს უთხრა ყველაფერი. დაღონდნენ ბავშვები, ეძნელებოდათ მასთან განშორება, მაგრამ მერე თამაშში გაერთნენ და გადაავიწყდათ. საღამოს კი, როცა ყველანი თავთავიანთ სახლებში წავიდნენ, არავინ დამშვიდობებია კამაჭიჭს, არც გზა მშვიდობისა უსურვეს, ეგონათ, თუ კეთილ მგზავრობას ვუსურვებთ, წავა, თუ არადა — არაო. კამაჭიჭი შინ დაბრუნდა და საქმით გართული დედ-მამა რომ დაინახა, მაშინ კი მოიწყინა, მიხვდა, მართლა მიდიოდა, სტოვებდა მშობლებს, სოფელს, ტოლ-ამხანაგებს.

იმ ღამეს დედას არ მოშორებია, სულ მის სიახლოვეს ტრიალებდა, არ დაწვა, სანამ დედა არ მორჩა სამზადისს და მასთან ერთად არ ჩაწვა ლოგინში. დაიღალა ესმა. სოხუმში ახლო ნათესავი ჰყავდათ, გაჭირვების შემთხვევაში მასთან უნდა მისულიყვნენ და აბა ქმარ-შვილს ხელცარიელს ხომ არ გაუშვებდა. დაღლილობის მიუხედავად, იმ ღამეს ძილი არ გაჰკარებია. უჭირდა ქალიშვილთან განშორება, წუხდა დედის გული, სად იქნება, როგორ იქნება მისი დედისერთა გოგო, მისი კამაჭიჭი...

არ ეძინა არც ალიასს. იწვა ასე, გაუნძრევლად. უამრავი საფიქრალი გასჩენოდა და აბა, რა დააძინებდა.

კამაჭიჭს დილით ადრე გაეღვიძა. დედის ლოგინიდან მამის საწოლში გადაიპარა და მერე ისევ დაბრუნდა, ცოტა ხანს იწვა გაუნძრევლად, ისევ მამასთან დააპირა გადასვლა...

— რა იყო, ნან, რატომ ვერ ისვენებ, სხვა დროს სულ ჩემთან გინდოდა წოლა და ახლა რა მოგდის? — ესმას ხმაზე ეტყობოდა, რომ ეტირა. ალიასმა შეამჩნია ეს და ცოლს გაუჯავრდა: — რა იყო, ქალო, სოხუმში მიმყავს, ციმბირში ხომ არა?

— ჩვენთვის სოხუმიც შორია! — არ ცხრებოდა ესმა.

ცოლ-ქმარმა კამათს თავი ანება და შვილს დაუწყო დარიგება, როგორ უნდა მოქცეულიყო უცხო სახლში, სკოლაში, ახალ ამხანაგებთან.

გათენდა. ცხენები შეკაზმეს და წასასვლელად მოემზადნენ.

ლაგუსტანიც მოვიდა. შარაგზაზე რომ გავლენ, ცხენები მან უნდა წამოიყვანოს უკან, ალიასი და კამაჭიჭი კი დილიჟანსით წავლენ სოხუმში.

ისაუზმეს და მერე ყველანი აივანზე გავიდნენ — წამსვლელებიცა და გამცილებელიც. აქ იყვნენ რაფიდა, ძუძუს რომ აწოვებდა პატარა კამაჭიჭს, მისი მეუღლე მაცი, თხელი, მეტად ცოცხალი კაცი. მაცის კეხიანი ცხვირი, შევერცხლილი თმა და წვრილი წელიჰქონდა. მაცი გულკეთილი კაცი იყო და ძალიან უყვარდა კამაჭიჭი. დღეს დილას სხვაგან აპირებდა წასვლას, მაგრამ აბა მის უნახავად როგორ წავიდოდა. კამაჭიჭს ძალიან უყვარდა რაფიდაც და მისი მეუღლე მაციც.

იმათ გარდა აქ იყვნენ თორყანი და მის მოხუცი დედა. მეზობლები, სხვა ნათესავები.

ყველა კამაჭიჭს ეფერებოდა, ჰკოცნიდა, ჭკუას არიგებდა, ბოლოს ცხენზე შესვეს და გზა დაულოცეს. ალიასმა ცხენს აღვირში მოჰკიდა ხელი, მერე წამით შეჩერდა და სახლის წინ აღმართულ ტანმაღალ ხეს შეხედა. ყველამ მას გააყოლა თვალი.

— ეხ, ტყუილად მივდივართ სოხუმში, აგერ, ხედავთ იმ ჩიტს, სტვენა-სტვენით ხის კენწეროდან ქვევით რომ ეშვება? ეს კარგს არაფერს გვიქადის, მაგრამ რადგან უკვე გზაზე ვდგავართ, უკან აღარ დავიხევ, წავალ მაინც.

იქ დამსწრენიც მიხვდნენ, რომ ეს კარგი ნიშანი არ იყო, მაგრამ ალიასი დაამშვიდეს და გზა მშვიდობისა უსურვეს.

ალიასი ცხენს მოახტა, კამაჭიჭმა დედისკენ გაიხედა. ესმა მშვიდად იდგა.

— კამაჭიჭ, ნუთუ ისე წახვალ, რომ ცხენს შენებურად არ გააჯირითებ? — შეუძახეს ტოლ-ამხანაგებმა. კამაჭიჭმა უხალისოდ გააჭენ-გამოაჭენა ცხენი ეზოში, უკან მას ლაგუსტანი მიჰყვა და სამივენი ეზოდან გავიდნენ.

მალე ცხენოსნები თვალს მიეფარნენ. ყველა კამაჭიჭს ულო-

ცავდა გზას, შინ მშვიდობით დაბრუნებას უსურვებდა. ესმამ მეტი ვეღარ მოითმინა და წასკდა ცრემლები, აქამდე რომ უმალავდა შვილს. მეზობლები სახლებში წავიდ-წამოვიდნენ. ბევრ მათგანს თვალებში ცრემლი უბრწყინავდა.

XIII

ალიასმა ცხენს დეზი ჰკრა და დაეწია კამაჭიჭს, რომელიც წინ წასულიყო. კამაჭიჭმა თავი მიაბრუნა, მაგრამ ალიასმა მაინც დაინახა მისი ცრემლიანი თვალები. ალიასმა გადაწყვიტა, როგორმე გაერთო ქალიშვილი.

— სოხუმი დიდი, ლამაზი ქალაქია, ქვის სახლები ზღაპრულ კოშკებივით აღმართულან, ხალხი ეტლებით დადის, სკოლებიდან ბავშვების ჟივილ-ხივილი ისმის.

საუბარში დრო სწრაფად გადიოდა. უცებ ალიასმა თავის ორ თანასოფლელს მოჰკრა თვალი.

— ეხ, ბედი არ გინდა? ჯერ იყო და სახლიდან ჭრელმა ჩიტმა გამოგვაცილა, ახლა კიდევ ალხასი გამოგვიტყვრა. საიდანღაც, ალხასს რომ ცუდი ფეხი აქვს, ყველამ იცის, — წამოიძახა ალიასმა.

— ნუ გეშინია, ალიას, არც ისეთი ცუდი ფეხი მაქვს, როგორც ამბობენ. ასეც რომ იყოს, შენ მაინც არაფერს გავნებს, — გაეხუმრა ალხასი.

— ჰო, ალიას, ნამდვილად უგონებენ ალხასს, ცუდი ფეხი აქვსო, აი, მაგალითად...

— რაო, ლუმან, რაღაც გინდა დამაბრალო და თქმა ვერ მოგიხერხებია, — თქვა ალხასმა.

— შენ ნუ მომიკვდები, ალხას, ტყუილს როგორ ვიკადრებ... უბრალოდ, ერთი ამბავი გამახსენდა: ერთი კვირის წინ ტყეში ფიცარს ვთლიდი, ის-ის იყო უნდა მოვრჩენილიყავი საქმეს,

რომ ვილაცამ გამარჯობა მითხრა. ავიხედე და ალხასი მადგა თავზე!

— კარგი ფიცარი გამოგითლია, ლუმან, — მითხრა. სიტყვა არც კი ჰქონდა დამთავრებული, რომ ჩემი გამოთლილი ფიცარი შუაზე გაიპო. ეს ისე ვთქვი, თორემ ვინც ალხასზე იტყვის ცუდი ფეხი აქვსო, დიდ ცოდვას დაიდებს ნამდვილად, — თქვა ლუმანმა. ყველას გაეცინა. ვერც კამაჭიჭმა შეიკავა სიცილი. მეზობლები დაემშვიდობნენ მგზავრებს და თავ-თავიანთი გზით წავიდნენ.

— ავი თვალისა და ცუდი ფეხისა მაინცდამაინც არც მე მჯეროდა ადრე, — დაიწყო ლაგუსტანმა, — მაგრამ ამას წინათ ისეთი საოცარი რამ გადამხდა, რომ დიდხანს გონს ვერ მოვედი კაცი. გზაზე ვდგავართ და დროს მაინც მოვკლავთ, ამიტომ მოვყვები ამ ამბავს, თუ თავს არ შეგაწყენთ:

როგორც მოგეხსენება, ჩემო ალიას, ეს ჩვენი თავადები არც ჭირში და არც ლხინში უგლეხებოდ არ ვარგანან. კიჭინი ქორწილს რომ იხდიდა, მთხოვა ათარაში წავსულიყავი და ორმათისაგან ორი კასრი ღვინო ჩამომეტანა. ახალ გაწყობილ ურემში ორი ზორბა კამეჩი შევაბი და კიჭინთან მივედი. შევაგორეთ ორი დიდი კასრი ურემზე, დავჯექი კოფოზე და ის-ის იყო ეზოდან უნდა გამოვსულიყავი, რომ ჭიშკარში შააბანი შემოვიდა. სხვებისგან გამეგონა, შააბანს ცუდი ფეხი აქვსო, მაგრამ მე არ მჯეროდა. გადავკარი კამეჩებს მათრახი და გავწიე ჩემი გზით. სულ სიმღერ-სიმღერით შევედი ტყეში. უცებ — რას ვხედავ, მუხის ერთ დიდ ფუღუროსთან ბზიკები ირევიან. გავშტერდი კაცი, იმხელა ბზიკები არც მენახა და არც გამეგონა. ბელურასხელები იქნებოდნენ თითქმის. გავაჩერე კამეჩები და დიდხანს ვუყურებდი მათ ფუსფუსს ფუღუროსთან. მერე, არ ვიცი, რა ეშმაკი შემომიჩნდა, ნაჯახი ავიღე და ფუღუროს ვესროლე, აბა, რამდენს მოვკლავ-მეთქი, — ვიფიქრე. უცებ ფუღუროდან უთვალავი ბზიკი გამოფრინდა და დამესია. კინაღამ არ შემჭამეს.

ძლივს ავღოღდი ურემზე, თვალები გავახილე და დავინახე, რომ ბზიკის გუნდი ახლა კამეჩებს დასეოდა, საწყლებმა ვეღარ გაუძლეს, მოსწყდნენ ადგილიდან და გავარდნენ ტყეში. ურემი ხეს დაეჯახა და გაისმა ჯახანი.

ვიფიქრე, მგონი გადავრჩი-მეთქი და ახლა მეორე ხეს დავეჯახეთ. დაიმსხვრა ურემი, კამეჩებმა აპეურები დაწყვიტეს და ტყეს შეერივნენ. მე ურმის გვერდით ვეგდე, ერთიანად დაბეგვილი და გასიებული. ბედად ჰალილმა გამოიარა და შინ წამომიყვანა. გზაში მთლიანად გავსივდი. სახლში ხან მარილიან წყალს მისვამდნენ და ხან — მაწონს. ერთი სიტყვით, მომასულიერეს. მეორე დღეს ჩემი კამეჩები ძლივს ვიპოვე ტყეში და შინ მოვრეკე.

— ტყუილად გგონია, რომ ეგ შაბაანის ცუდი ფეხის ბრალია, ჩემო ლაგუსტან. გაგიღიზიანებია ბზიკები და დაგესეოდნენ, აბა რა იქნებოდა, — დინჯად თქვა ალიასმა.

მგზავრები შარაგზაზე გავიდნენ. მალე დილიჟანსიც გამოჩნდა. ალიასი და კამაჭიჭი დილიჟანსში გადაჯდნენ, ლაგუსტანმა კი ცხენები წინ გამოირეკა და შინისკენ გამოსწია. წასვლის წინ ალიასმა ერთხელ კიდევ სთხოვა ლაგუსტანს, ჩემს ჩამოსვლამდე ეზო-კარსა და საქონელს მიმიხედე, ღმერთი გაგახარებსო.

კამაჭიჭი დილიჟანსში უფრო გამხიარულდა. ცნობისმოყვარე გოგონამ უამრავი კითხვა დააყარა მამამისს, ეს ამხელა სახლი ვისია, ეს რა მდინარეა, ამ მაღალ მთაზე ციხე როგორ ააშენესო?

მალე სოხუმიც გამოჩნდა. ალიასმა დილიჟანსი გააჩერებინა. მამა-შვილი გადმოვიდა და მაშინვე თავიანთი ნათესავის, მახაზის სახლს მიაშურეს. მახაზს ძალიან გაუხარდა თავისი ნათესავების დანახვა, ძღვენით ხელსავსე ალიასს კი გაუჯავრდა, ასე რატომ შეწუხებულხარო.

ალიასი მოუყვა მახაზს, რისთვის იყო ჩამოსული. მახაზი

ჯერ ჩაფიქრდა, მერე კი ერთი კაცი მოიყვანა, რომელმაც რაღაც ქაღალდები შეადგინა, — ესენი აუცილებლად დაგჭირდებათო, — თქვა იმ კაცმა. ერთი ქაღალდი ოლქის უფროსის, ხოლო მეორე ქალთა გიმნაზიის ხელმძღვანელის სახელზე იყო შედგენილი.

მეორე დილით მახაზი, ალიასი და კამაჭიჭი გიმნაზიაში წავიდნენ. იქ დიდხანს ელოდნენ, მაგრამ ხელმძღვანელი ვერ ნახეს, უთხრეს — დღეს არა სცალიაო. მერე ოლქის უფროსთან წავიდნენ, მაგრამ არც იმან მიიღო. რა უნდა ექნათ, წამოვიდნენ ისევ შინ, დაპურდნენ და კვლავ ოლქის უფროსს მიაკითხეს. მოსაცდელში უამრავი ხალხი დახვდათ. დღეს მაინც არაფერი გამოვაო, — იმედი გადაიწყვიტეს და შინ დაბრუნდნენ.

მეორე დღემაც ასე ჩაიარა, — ვერც ოლქის უფროსი ნახეს და ვერც ქალთა გიმნაზიის ხელმძღვანელი. მესამე დღეს ოლქის უფროსის მოსაცდელში ნაკლები ხალხი დახვდათ. ზოგს ფული გამოლეოდა, ზოგსაც ხელი ჩაექნია, — მაინც არაფერი გამომივაო და სახლებში წასულიყვნენ. ბოლოს გამოაცხადეს: აბა, ვის რა თხოვნა აქვს, წარმოადგინეთო. ალიასმა თავისი ქაღალდები მოხელეს გადასცა. დიდხანს ელოდნენ პასუხს. ბოლოს, როგორც იყო, მოხელე ისევ გამოჩნდა და ალიასს ქაღალდები უკან დაუბრუნა. ქაღალდზე ასეთი წარწერა იყო: „ქალთა გიმნაზიის უფროსს! განიხილეთ!"

ალიასს გული უგრძნობდა, რომ ამაო იყო მისი ჯახირი, მაგრამ გადაწყვიტა, ქაღალდს ბოლომდე მიჰყოლოდა. ჯერ იფიქრა, ოლქის უფროსს ვნახავ პირადადო, მაგრამ ვინ შეუშვა! რაღას იზამდნენ, ისევ ქალთა გიმნაზიაში დაბრუნდნენ. პატარა კამაჭიჭიც გრძნობდა, რომ მას სკოლაში არ მიიღებდნენ, მაგრამ გული მაინცდამაინც არ დასწყვეტია, რადგან გაიგო, რომ გიმნაზიის ხელმძღვანელი ავი, გულქვა და უხეში ქალია, ბავშვებს თვალის დასანახად ეჯავრებათო.

იქაც დიდხანს ალოდინეს. ბოლოს გაიღო კარი და გამოჩნდა

მაღალი, მსუქანი, თვალებშესიებული ქალი. ქალს შავი ტანსაცმელი ეცვა, წელზე ბრტყელი ქამარი ერტყა და სათვალე ეკეთა.

„ვინ მელოდება?“ — იკითხა ბოხი ხმით ქალმა.

— ჩვენ გელოდებით, ქალბატონო, — ფეხზე წამოდგა მახაზი. — ამ ჩემს ნათესავს ბავშვი უნდა სკოლაში და თქვენ...

მახაზს სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ქალმა ზურგი შეაქცია და ოთახში შევიდა.

ალიასი დაღონდა. — ტყუილად ვირჯებით, მახაზ, ეს ქალი ჩვენ არაფერს გაგვიკეთებს, თუ ვინმემ არ დააშინა, შენც ტყუილად მოგაცდინე და ბავშვიც...

ამ დროს კართან ისევ ის ბოხხმიანი ქალი გამოჩნდა და იკითხა:

— ალიასი რომელია?

— მე ვარ, ქალბატონო, — წამოდგა ალიასი.

— ბავშვს ვერ მივიღებთ. ჯერ ერთი, თქვენს თხოვნაზე დართული საბუთი ბავშვის დაბადების შესახებ უკანონოა. ასეთ საბუთს მხოლოდ მღვდელი იძლევა და არა სხვა ვინმე. მეორეც — განცხადებების შემოტანა უკვე დაგვიანებულია. ვინც მისაღები იყო, გუშინ უკვე მივიღეთ. ასე რომ, მომავალ წლამდე არაფერი გამოვა.

— შე კაი ქალო, გუშინ დამთავრდა მიღებაო, რომ მეუბნები, სამი დღე რომ აქა ვართ ატუზულები, ლოდინში რომ ჩამოვწყდით ხალხი, ყურადღება რატომ არავინ მოგვაქცია? — ვეღარ მოითმინა ალიასმა. — მღვდელი არ გახლავთ ადგილზე, ამიტომ მომიწერეს ხელი საბუთზე მამასახლისმა და სამმა მოსამართლემ. რაო, ისინი მთავრობის ხალხნი არ არიან? რატომ არის ეს საბუთი უკანონო?

რომ დაატყო ალიასმა, ქალი ყურს არ მიგდებსო, ჰკითხა: — ის მაინც მითხარით, მომავალი წლისთვის მაინც მქონდეს იმედი?

— ვნახოთ, ვნახოთ — ცივად უპასუხა ქალმა და კარი მიიხურა.

ალიასი სიბრაზისგან წამოჭარხლდა.

— წავიდეთ, მახაზ, ესენი ადამიანები არ ყოფილან. სამი დღეა შენც მოგაცდინე და ბავშვიც გავაწვალე. გული მწყდება, ფსჰუში წასული კაცივით ხელცარიელი რომ უნდა დავბრუნდე უკან. ამისთანა მთავრობის ხელში ყოფნას სულ რომ არ ვიყოთ, ის გვირჩევნია.

— ეხ, რას იზამ ალიას, უნდა მოვითმინოთ, — თქვა მახაზმა და სამივენი სახლში დაბრუნდნენ.

ალიასმა და კამაჭიჭმა ის ღამეც მახაზთან გაათენეს, მეორე დილით კი წასვლას დაეჩქარნენ. ალიასმა ცოლსა და შვილს საჩუქრები უყიდა, მასპინძლებს დაემშვიდობა და წავიდა. მახაზმა დილიჟანსების გაჩერებამდე მიაცილა მამა-შვილი. დილიჟანსი ჯერ არ ჩანდა. მახაზი და ალიასი იქვე ჩამოჯდნენ და საუბარი გააბეს.

— ალიას, გუშინ გიმნაზიის მოსაცდელში რაღაც ქარაგმა თქვი ფსჰუში წასულ კაცზე, რისი თქმა გინდოდა, მითხარი, თუ კაცი ხარ.

— ჰოო, — ჩაიცინა ალიასმა, — გეტყვი. ერთხელ ერთმა თავადმა თავის მსახურს უხმო და უთხრა: — ხვალ ფსჰუში უნდა გამეგზავნო და იცოდეო. ბატონი ბრძანდებიო, უპასუხა მსახურმა და თან გაიფიქრა, რაღა ხვალამდე ვიცადო, სიცხეში სიარულს სჯობია ამაღამვე წავიდე ფსჰუში, არც ეცხელება და ბატონიც შემაქებსო, — თქვა და გაუდგა გზას.

მსახური დილაადრიან ჩავიდა ფსჰუში. არ იცოდა, ვისთან მისულიყო. ბატონი წასვლის წინ აპირებდა საქმის დავალებას და ამიტომ მსახური ცოტა არ იყოს დაიბნა. ბოლოს გადაწყვიტა, ალბათ, აქაურ ბატონთან უნდა მივიდეო და ეახლა კიდევაც მას.

— ვინ გამოგაგზავნა? — ჰკითხეს სასახლეში.

— ჩემმა ბატონმა.

— რა დაგაბარა?

— არაფერი დაუბარებია. ბატონმა მითხრა ხვალ წადიო, მე კი წუხელ წამოვედი, ვიფიქრე შემაქებს ჩემი პატრონი-მეთქი. ის კი ვერ ვკითხე, რისთვის მგზავნიდა.

იქაური ბატონი ცოტას ჩაფიქრდა, მერე იმ კაცს მიუბრუნდა და უთხრა:

— სწორედ მოქცეულხარ, რომ არაფერი გიკითხავს. ჩვენ წინასწარ ვიყავით მოლაპარაკებულები, რა საქმეზეც უნდა გამოეგზავნე. აი, იმ დიდ ქვას ხომ ხედავ, იმ ქვას მთხოვს შენი ბატონი, აიღე და წაიღე, ოღონდ ფრთხილად იყავი, არ გატეხო იცოდე.

მსახურმაც აიკიდა ის იმხელა ლოდი და წამოუღო თავის ბატონს.

— მეც გამიგონია ეს ამბავი, ახლაღა გამახსენდა, — თქვა მახაზმა. ორივეს გაეცინათ. მალე დილიჟანსიც ჩამოდგა. მახაზმა გადაკოცნა მამა-შვილი, კამაჭიჭს ტკბილეულობით სავსე კალათა მისცა და გზა მშვიდობისა უსურვა. ალიასმა კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ნათესავს მასპინძლობისთვის და დილიჟანსიც დაიძრა.

XIV

ალიასი ძალიან წუხდა, რომ კამაჭიჭი სკოლაში ვერ მიაღებინა. ამიტომ, როგორც კი სოფელში დაბრუნდა, გადაწყვიტა, ახლავე უნდა გამოვართვა მღვდელს მოწმობა, თორემ ვინ იცის, მერე ისევ სახათაბალო გამიხდესო.

— თქვენმა აქ არყოფნამ დიდად შემიშალა ხელი, მამაო. ჩემი გოგონას სკოლაში მიღება გადავწყვიტე და მისი დაბადების მოწმობა დამჭირდა, რადგან თქვენ აქ არ ბრძანდებოდით, მა-

მასახლისმა და სოფლის მოსამართლეებმა მომიწერეს საბუთზე ხელი. სოხუმში უარი მითხრეს ბავშვის სკოლაში მიღებაზე. საბუთი არასწორადაა შედგენილი, დაბადების მოწმობა თქვენს მღვდელს უნდა გამოართვათო, — ასე ამიხსნეს. თქვენს მოწმობას უფრო მეტი ძალა ჰქონია, მამაო, — შეეცადა მღვდლის გულის მოგებას ალიასი.

— ეხ, ჩემო ალიას, განა აქამდე არ იცოდი ეს, მამასახლისს და სოფლის მოსამართლეებს მღვდელთან როგორ ადარებ? მღვდელი ხელმწიფის დანიშნული კაცია, მამასახლისი და მოსამართლეები სოფლის — შენი, თორყანისა, მშაგუსა და სხვათა არჩეულია.

— მართალი ბრძანდები, მამაო, — კვერი დაუკრა ალიასმა, რომელიც ცდილობდა არაფერი წამოსცდენოდა ისეთი, მღვდელს რომ ეწყინებოდა.

— მოწმობის გამო როგორ შეგაფერხებ. როცა დაგჭირდება, მოდი და მოგცემ.

— შენი ჭირიმე, მამაო, ნულარ გადავდებთ ამ საქმეს. თუ დღესვე მომცემ ამ ცნობას, დიდი მადლობელი ვიქნები, — შეეხვეწა ალიასი მღვდელს.

— კარგი, კარგი, რადგან გეჩქარება, არ დაგაყოვნებ, — თქვა მღვდელმა და საეკლესიო წიგნი გადაშალა, დიდხანს ფურცლა, მერე თავი ასწია და ალიასს უთხრა:

— მონათლული თუა შენი შვილი?

— მგონი, არ არის.

— ჰოდა, ამიტომ არაა საეკლესიო წიგნში მისი დაბადების წელი აღნიშნული.

— ჩემი გოგოს დაბადების წელი თორყანმა, მშაგუმ, მაციმ და სხვებმა იციან. ჩემი თუ არ გჯერათ, ისინი დამემოწმებიან. ახლავე მოვიყვან ყველას.

— იმათი მოყვანა რა საჭიროა, შვილო ჩემო. შენიც მჯერა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ თუ შენი შვილი მონათლული არ არის, დაბადების მოწმობას ვერ მოგცემ.

— უჰ, ეგ რა მითხარი, მამაო, ბავშვის მონათვლა ადვილი ხომ არ არის. სად მაქვს მე მაგის თავი. თუ მომცემ მოწმობას, მთელი ცხოვრება შენი მოვალე ვიქნები. მღვდელი უარზე იდგა. არაფრით არ უნდოდა ალიასისთვის ცნობის მიცემა. ის იყო ალიასმა იმედი გადაიწყვიტა და წასვლა დააპირა, მღვდელმა, რომელიც დავთარში იქექებოდა, ჰკითხა, ჯვარდაწერილი თუ ხარო.

— ახლა ეგ მომთხოვე, მამაო. შენ ცნობის მოცემა არ გინდა და ახალ-ახალ მიზეზს ეძებ. სულერთია, მაგეების გამკეთებელი მე მაინც არა ვარ. ხელმეორედაც რომ მოიწადინონ ჩემი დაპატიმრება, ჯვრისწერაზე მაინც უარს ვიტყვი. ერთი რამე კი ძალიან მაინტერესებს. მოუნათლავ ბავშვს რომ სკოლაში არ მიიღებენ, გავიგე ასე თუ ისე, მაგრამ ეს ჯვრისწერა რაღა აუცილებელია? ამიხსენი მამაო, თორემ დავიბენი კაცი, ველარაფერი გამიგია.

— მომისმინე, დად, ალიას, ჯვარდაწერილი ცოლ-ქმარი ღმერთისა და ხელმწიფისგან კანონიერ მეუღლეებად არიან გამოცხადებული. ჯვრისწერის შემდეგ ცოლი და ქმარი მთავრობის ნებართვის გარეშე ველარც ერთმანეთს გაშორდებიან.

— ამიტომ იწერს ხალხი ჯვარს?

— დიახ, ამიტომ.

— ეხ, მამაო კუასტა, ისე მელაპარაკები, თითქოს გუშინდელი ბავშვი ვიყო. ვინც ჩვენი წესი და ზნე არ იცის, იმას კიდევ ეპატიება, მაგრამ შენგან ძალიან გამკვირვებია ამგვარი ლაპარაკი. აფხაზის ქალიშვილს ან დას რომ გაეყარო, ეკლესიაში და მთავრობაში ჩივილს ვინ დაიწყებს, — მაშინვე ცხელი ტყვიით გაგიხვრეტენ შუბლს. ამიტომაა, რომ ჩვენში იშვიათად ეყრება ცოლ-ქმარი ერთმანეთს. ჰოდა, მამაო, ნუღარც მე გამაწვალებ, ღმერთი გიშველის. იმასაც გირჩევ, სხვას ნუ ეტყვი ასეთ რამეს, თორემ შეიძლება ჩხუბიც კი აგიტეხონ.

— რა გითხარი, ალიას, ასეთი?

— რა მითხარი და შენი ცოლი და შვილი უკანონონი არიანო.

— რა ვქნა, რა ჩემი ბრალია, საეკლესიო დავთარში მხოლოდ ჯვარდაწერილი ცოლ-ქმრის გვარ-სახელი იწერება, ხოლო ვისაც ჯვარი არ დაუწერია, მათი ქორწინებაც და შთამომავლობაც უკანონოდ არის გამოცხადებული.

— ცუდი კანონი გქონიათ, მამაო, ცუდი. როგორ შეიძლება კაცის ასე გაწვალება? შეირთო კაცმა ცოლი, არა? — შეიტანეთ დავთარში, ეყოლათ შვილი და — ისიც იქ ჩაწერეთ. განა არ შეიძლება? მაშ, ის მიგაჩნიათ სწორი, რომ ეკლესიაში, ამდენი ხალხის წინ, ახალშეუღლებულნი საჯაროდ დგანან ერთმანეთის გვერდით. ბავშვი მონათლეთო — გაიძახით. არც ეს არის ადვილი. ნათლია უეჭველად თავადი ან აზნაური უნდა იყოს, დიდი ძღვენი უნდა მიუტანო და წვეულება გაუმართო. მთელი ცხოვრება იმის მონა-მოსამსახურე უნდა იყო.

— ეს კანონი ღმერთმა ყველასთვის დააწესა, ალიას, და არც შენ უნდა გწყინდეს, — გაბრაზდა მღვდელი.

— მე არ ვიცი, ვისთვის არის ეს კანონი გამოცემული, ჩვენთვის, გლეხისთვის ის ნამდვილად არ ვარგა. ეს კანონი გვაბეჩავებს ჩვენ და იძულებულს გვხდის, მთელი ცხოვრება თავადაზნაურობასა და მღვდლებს ვემსახუროთ. თქვენ რა გენაღვლებათ, მდიდრდებით, ჩვენ კი ლამის ლუკმაპურიც სანატრელი გაგვიხდეს. არა, მამაო, არა, რაც წესად არ მქონია, ვერც ახლა ვიზამ იმას, — თქვა გულდაწყვეტით ალიასმა და შინისკენ გაეჩქარა გულდამძიმებული.

XV

ალიასი მოღუშული დაბრუნდა სახლში.

— რა დაგემართა, მღვდელთან ხომ არ გიჩხუბია? — ჰკითხა ესმამ ალიასს, როცა ქმარს უგუნებობა შეატყო.

— ეხ, ნეტავ ეცემნა ჩემთვის და ის სიტყვა კი არ ეთქვა, — ამოიოხრა ალიასმა. — გოგო მოუნათლავიაო, მოუნათლავებს კი დაბადების მოწმობას არ ვაძლევთო, გესმის? ამის თავი გვაქვს ახლა ჩვენ? მთავრობის ყველა მოხელე, ჩვენი წვერცანცარა მღვდლის ჩათვლით, უსულგულო და უსინდისო ხალხია. სოხუმში სამი დღე ფეხზე დგომით ჩამოვწყდი, ოლქის უფროსის ნახვას კი მაინც ვერ ვეღირსე. სკოლის ხელმძღვანელი იყო და — წესიერად არც კი გამცა ხმა. ისე შემაქცია ზურგი, გეგონება მამა მომეკლას მისი. აქ ჩამოვედი და ჩვენმა მღვდელმა არ დამიწყო კანონებზე ლაპარაკი?

— მოეშვი მაგ საქმეს. ადრეც გეუბნებოდი, ჩვენს შვილს სკოლაში არავინ მიიღებს-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერე. სწავლა-განათლება გლეხის შვილისთვის არ არის მოგონილი. დიდკაცობას და თავადაზნაურობას რატომ ეჯიბრები?

— მართალია, ჯერ ნასწავლი გლეხის შვილი არ მინახავს, მაგრამ ეს ალბათ იმიტომ ხდება, რომ მათ მშობლებს მოთმინება არ ჰყოფნით და მალევე იღებენ ხოლმე ამ საქმეზე ხელს. მე კი გადავწყვიტე, რომ სანამ მუხლებში ძალა არ გამომლევია, არაფერი არ დავიშურო და ჩემი კამაჭიჭი სკოლაში მივიყვანო.

— კარგი, კარგი, — შეეცოდა ესმას ქმარი. — ეცადე, იქნებ მართლა გამოგივიდეს რამე. თუ სხვა გზა არ არის, იქნებ ბავშვიც მოვნათლოთ, აი ჯვრისწერაზე კი მეტი აღარაფერი მითხრა, მე მაგაზე ვერ დაგთანხმდები. — ამით დამთავრდა მათი საუბარი. თავ-თავიანთ საქმეს მოჰკიდეს ხელი. საღამოს კი, როცა საქონელი დააბინავეს და საქმეები მოითავეს, ისევ ნათლობაზე დაიწყეს ლაპარაკი.

— მონათვლით კი მოვნათლოთ, მაგრამ ნათლიად ვინ მოვიწვიოთ? თავადსა და დიდკაცს ვერ მოვიპატიჟებ, იმათ მასპინძლობას მე ვერ გავწვდები. გარდა ამისა, ყოველთვის ძღვენით უნდა იარო მათთან, თვითონ კი არაფერში წაგადგებიან, — თქვა ესმამ.

— არც მე მეხატებიან ეგენი გულზე, — დაეთანხმა ალიასი.

კამაჭიჭმა, რომელიც ცეცხლისპირას იჯდა და მშობლების საუბარს ყურს უგდებდა, მოულოდნელად თქვა:

— სოფლის მამასახლისთან მწერალი ლევანი რომ ცხოვრობს, იმას მოანათვლინეთ ჩემი თავი. წიგნის კაცია, იქნებ წერა-კითხვაც ესწავლებინა ჩემთვის.

ალიასი გაიბადრა.

— ძალიან მომწონს ეს აზრი, არ იქნება ლევანი ცუდი ნათლია!

— დედა გენაცვალოს, შვილო, ჭკვიანი გოგო გვყავხარ, კარგად მოიფიქრე, — მოეფერა ესმა შვილს.

— რადგან ნათლიაც შევარჩიეთ, ნუღარ გავაჭიანურებთ ამ საქმეს, — თქვა ალიასმა. — ლევანი კარგი კაცია, ჩვენთან ნათესაობაზე უარს არ იტყვის. ის წვერცანცარა მღვდელიც გავაფრთხილოთ. ჯვრისწერის თაობაზე კი კიდევ შევეკითხები, რა იცი, იქნებ მაშინ ისე — სასხვათაშორისოდ მითხრა...

— ჯვრისწერას ნუღარც კი მიხსენებ, ამ სიბერეში ხალხს ნუ გავაცინებთ. სირცხვილით თავი სადღა გამოვყოთ...

— მართალი ხარ, მართალი, — კვერი დაუკრა ქმარმა.

ერთ საღამოს კვლავ ესტუმრა ალიასი მღვდელს, მოჰყვნენ ხან მთისას, ხან — ბარისას, ცოტა ხნის შემდეგ კი, ვითომ სხვათაშორის, ალიასმა მღვდელს უთხრა: — გოგოს მონათვლა გადავწყვიტეთ, სოფლის მწერალი რომ არის, ლევანი, იმას გვინდა მოვანათვლინოთ და თქვენ რას იტყვითო.

— კარგად მოგიფიქრებია, ალიას, კეთილ საქმეს იქმ ნამდვილად, — მოუწონა აზრი მღვდელმა.

— რა ვქნა აბა, დაბადების მოწმობა თუ არ ექნება გოგოს, არც მომავალ წელს მიიღებენ სკოლაში, — ფრთხილად თქვა ალიასმა.

მღვდელი მოიღრუბლა.

— ამ საბუთის გაცემას მარტო ნათლობა რომ არ შველის?

— აბა, კიდევ რა არის საჭირო, დასწყევლოს ღმერთმა, — აიმღვრა ალიასი.

— ჯვარი უნდა დაიწეროთ შენ და შენმა ცოლმა. ისე იმ საბუთს ძალა არ ექნება.

— რატომ, მამაო?

— რატომ და ჯვარდაუწერელი ცოლ-ქმრის შვილი უკანონოდ ითვლება.

— როგორ, ჩემი შვილი უკანონოა?

— ნუ გეწყინება, ალიას და მართალს გეუბნები.

ალიასს სახე აელეწა და წამოდგა. მღვდელს ფერმა გადაჰკრა, ისიც წამოიწია სკამიდან, შეეცადა შეელამაზებინა ნათქვამი, მაგრამ ველარ მოეხერხებინა.

— ეს რა მითხარი, მამაო, როგორ, ჩემი შვილი...

— სწორედ გამიგე, ალიას. მე ის კი არ მითქვამს, შვილი შენი არ არის-მეთქი. შენს ოჯახში გაჩნდა ბავშვი, შენმა ცოლმა შობა, შენია, აბა, ვისია, მაგრამ თუ შენ და ესმამ ჯვარი არ დაიწერეთ, საბუთს ვერ მოგცემ. ამის თქმა მინდოდა, თორემ ქალიშვილი ღმერთმა გაგიზარდოს...

— ჩვენს სოფელში ბევრია ჯვარდაუწერელი ცოლ-ქმარი. მაშ, იმათი შვილებიც უკანონონი ყოფილან, არა?

— რას ამბობ, ალიას? ეგ რამ გაფიქრებინა! თქვენი წესით ისინი თქვენი კანონიერი შვილები არიან, ჩვენი სამღვდელოების წესით კი — არაკანონიერი. არ ვიცი, რატომ გიჭირს ასე ჯვრისწერა. იცი რას გეტყვი? მოდი, ასე მოვიქცეთ: ნათლობის დღეს რომ დანიშნავ, მოდით შენ, შენი ცოლი, ნათლია და ბარემ ჯვარსაც დაგწერთ. ჰა, რას იტყვი?

— ძნელია, მამაო, ძნელი ჩემთვის ამის გადაწყვეტა. ამ სიბერეში მე და ჩემი ცოლი საჯაროდ ეკლესიაში ერთმანეთის გვერდით როგორ დავდგეთ? მე კარგი, ჯანდაბას, უარს არ ვამბობ, მაგრამ მეუღლე არ დამთანხმდება, ნამდვილად.

— რა არის აქ სასირცხვილო? ქრისტიანებისთვის ჯვრ-

ისწერა რა სირცხვილია? ქალიშვილზეც იფიქრეთ, კაცო. საბუთი ხომ გინდათ? ისე თქვენს შვილს სკოლაში არავინ მიიღებს. არ გინდათ ნასწავლი შვილი გყავდეთ? — გაცხარდა მღვდელი.

— მესმის, მესმის, მაგრამ რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე? — თქვა ალიასმა, თავი ჩაქინდრა და სახლში წავიდა.

— ჯვრისწერის გამო შვილს გზა როგორ გავუმრუდო, ამხელა ცოდვა როგორ ვიტვირთო. იქნებ სჯობია, დავთანხმდე და ჩემი დიასახლისიც გადმოვიბირო როგორმე, — ფიქრობდა შინმიმავალი ალიასი.

სახლში მისულმა ალიასმა ცოლს უცებ ვერ უთხრა ვერაფერი. ცოტა ხნის მერე კი, როცა შეატყო ესმას გუნება გამოუკეთდაო, წვრილად მოუყვა ცოლს მღვდელთან ნაუბარი.

— მოგთაფლა არა, იმ წვერცანცარამ. ჯვრისწერაზეც თანახმა ხარ, გატყობ, დამეკარგეთ აქედან შენცა და ის წვერგაბურძგნული მღვდელიც. ღმერთო, შენ მანახე ყველა მღვდელი წვერგაპუტული!

— მღვდელს რას ერჩი, ქალო, ან მე რა დაგიშავე, შვილს მინდა წერა-კითხვა ვასწავლო და მღვდელთან და დიაკვანთანაც იმიტომ ვაგდივარ ყოველდღე.

— ეგენი შენ ხეირს არ დაგაყრიან, ხალხს ნუ გავაცინებთ-მეთქი, გეუბნები!

— ოღონდ ჩემმა შვილმა ისწავლოს და ჯვარს, თუ გინდა ორჯერ დავიწერ. განათლებული შვილი ჩვენც გვასახელებს და თავის თავსაც.

— მაგის იმედი გქონდეს შენ. შენი ნასწავლი გოგო რომ სასიყვარულო ბარათების წერას დაიწყებს, სახელი და დიდება მერე ნახე შენ! — თქვა ესმამ და ხუმრობით თავში წაუთაქა კამაჭიჭს, რომელიც იქვე იჯდა და თოჯინას კაბას უკერავდა.

— სათქმელი რომ გამოგელიათ, ახლა მე მომდექით და მასხრად მიგდებთ, — აიბზუა ტუჩი გოგონამ და ადგილი შეინაცვლა.

— რას კერავ, შვილო? — შეეკითხა ალიასი გოგოს, — ჩვენ გვგონია, ქალიშვილი მოგვესწროო და შენ ისევ თოჯინებს ეთამაშები?

ალიასმა, როგორც იქნა, დაითანხმა იმ საღამოს ესმა ჯვრისწერაზე. ცოლ-ქმარმა მოითათბირა, როდის გადაეხადათ ნათლობა და სამზადისსაც შეუდგნენ.

ალიასმა ლევანს შეუთვალა, ნათლიად გვინდიხარ და რას იტყვიო. ლევანი ალიასთან დანათესავებაზე უარს როგორ იტყოდა, სიამოვნებით დათანხმდა.

ალიასი მოელაპარაკა მღვდელს, დათქმულ დღეს ნათლიასთან ერთად ცოლ-ქმარი ეკლესიაში მივიდა. ჩუმად, ისე, რომ კაციშვილს არ გაუგია, ჯვარი დაიწერეს და ალიასის სახლში წავიდნენ, სადაც უკვე გროვდებოდნენ ნათესავები, მეგობრები და მეზობლები.

გახურდა ქეიფი. თამადამ კამაჭიჭის სადღეგრძელო დალია. ყველანი ფეხზე წამოდგნენ და ჯანმრთელობა უსურვეს გოგონას, მომავალი უდღეგრძელეს, თავსაც გამოადექი და ხალხსაცო — უთხრეს. მღვდელმა დაუმატა, მღვდლისა და ეკლესიის ღირსეული შვილი ყოფილიყოსო.

— რაო, მამაო, ვინც სამღვდელოებას და ეკლესიას ძირი უნდა გამოუთხაროს, შენ ასე ლოცავ? — წამოიძახა ლევანმა.

— ეხ, ლევან, შენ ფარულად თუ აშკარად ყოველთვის იმის თქმას ცდილობ, რაც სულისთვის დიდ ცოდვად ითვლება. ეტყობა მართალია, რასაც ლაპარაკობენ, სოციალისტებთან აქვს კავშირიო, — გულმოსულად თქვა მღვდელმა და ერთიანად წამოჭარხლდა.

— შენღა გაკლდა ამის თქმა და აკი მითხარი კიდევაც. ამას წინათ მამასახლისმაც იგივე მითხრა, შენ ხომ არ დამასმინე, მამაო!

— რას ქვია, დაგასმინე! როგორ მელაპარაკები, თუ იცი! — გაცეცხლდა მღვდელი და სუფრიდან წამოდგა. ალიასი მივიდა

მღვდელთან და ძლივს დაითანხმა, უარი ეთქვა წასვლაზე. მერე ლევანს შეეხვეწა, შენი ჭირიმე, ნუღარაფერს იტყვი, ლხინს ნუ ჩაგვიმწარებო. სუფრა ისევ ჩაცხრა და ლხინი გაგრძელდა. დილით მასპინძელი დალოცეს და დაიშალნენ.

ყველანი რომ წავიდნენ, ალიასმა ცოლს უთხრა:

— ხარჯი კი დიდი მოგვივიდა, მაგრამ არა უშავს, ბავშვი ხომ მოვნათლეთ, გვინდოდა თუ არა, ჯვარიც დავიწერეთ. ახლა მაინც მიიღებენ ჩვენ შვილს სკოლაში და ამ სიბერეში იქნებ ჩვენც გავიხაროთ.

— შეუძლებელი შევძელით. ახლა მაინც გაგვიმართლებდეს! — ინატრა ესმამ.

— ერთი რამის მეშინია მხოლოდ, — თქვა ალიასმა, — სოხუმში რომ ვიყავი, სკოლის უფროსმა მკითხა, ბავშვმა წერა-კითხვა თუ იცისო. რა ვიცი, ახლა ამაზე არ ამიშარდნენ.

— მერე, რას ფიქრობ, რა გადაწყვიტე?

— რას ვფიქრობ და, ეს ჩვენი ნათლია სხვა სოფლიდან მოსული კაცია, დედა მაგას აქ არა ჰყავს და მამა, ჩვენს მამასახლისთან უდევს ბინა. ვთხოვოთ, გადმოვიდეს ჩვენთან საცხოვრებლად. იმისთვისაც კარგი იქნება და ჩვენს კამაჭიჭსაც წერა-კითხვას ასწავლის.

— სიზმარში თუ ცხადში სულ ამ ბავშვის სწავლა-განათლება გელანდება! კარგი, ვცადოთ, ვნახოთ რას იტყვის ლევანი.

— არა მგონია უარი თქვას. ჩვენი მამასახლისის ხასიათი არ იცი? აქ ურჩევნია.

— მიკვირს, ან ამდენ ხანს როგორ გაჩერდა მაგასთან... თქმით კი ასე უცებ ნუ ეტყვი, — ურჩია ესმამ.

გავიდა ათიოდე დღე და ალიასი და ლევანი სოფლის კრებაზე შეხვდნენ ერთმანეთს. ალიასმა უთხრა ლევანს, — ასე და ასე ვფიქრობ და შენ რას იტყვიო. მადლობის მეტი რა მეთქმისო, — გაუხარდა ლევანს და აღარც დიდხანს დაუხანებია — შეაჯდა თავის ცხენს და გადაბარგდა ალიასთან. მოსვლის დღიდანვე ლევანმა მეცადინეობა დააწყებინა ნათლულს.

ალიასისა და ესმას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. გაიხარა ოჯახმა.

ექვსი-შვიდი თვის მერე კამაჭიჭი უკვე გამართულად წერდა და კითხულობდა. ლევანმა თქვა, ძალიან ნიჭიერი ბავშვია, დროზე უნდა მიიყვანოთ სკოლაში, დაგვიანება აღარ ივარგებსო.

XVI

დრო სწრაფად გადის ყველასთვის — ზარმაცისთვისაც და მუყაითისთვისაც. ზარმაცისთვის ეს დრო დაკარგულად ითვლება, ხოლო ვინც იბეჯითა, იშრომა, მასზე ამბობენ, დრო კარგად მოიხმარაო.

ყოჩაღი გოგო იყო კამაჭიჭი. მოკლე ხანში კარგად ისწავლა წერა-კითხვა, ანგარიში. ეგ იყო, რუსულის სწავლა გაუჭირდა ძალიან. ოჯახში კი არა, თითქმის მთელ სოფელში არავინ იცოდა რუსული და აბა, მარტო ლევანი ყველაფერს ხომ ვერ აუვიდოდა.

ერთ დღეს ლევანმა სოხუმში გაგზავნა კამაჭიჭის საბუთები.

მალე წასვლის დროც დადგა.

წელს მამა-შვილს ლევანიც მიჰყვებოდა. აუცილებლად უნდა მივაღებინოთ კამაჭიჭიო, — ამბობდა ლევანი.

ისაუზმეს თუ არა, ცხენებზე შესხდნენ და გზას გაუდგნენ. სოხუმში შებინდებამდე ჩავიდნენ. ისევ მახაზი იყო მათი მასპინძელი. საღამოს მახაზმა კინოში წაიყვანა ბავშვები. კამაჭიჭი აღტაცებული დაბრუნდა კინოთეატრიდან. ასეთი რამ არასოდეს ენახა.

მეორე დღეს მახაზმა ყველანი პროგიმნაზიაში წაიყვანა. ძლივს მოახერხეს სკოლის უფროსის ნახვა, გადასცეს

განცხადება და თან დაუმატეს, რომ ბავშვმა წერა-კითხვა იცოდა.

— ხვალ ოლქის უფროსი მოდის ჩვენთან, განცხადებებსაც მაშინ განვიხილავთ, პასუხს კი ზეგ გაიგებთ, — ცივად თქვა სკოლის უფროსმა.

დათქმულ დღისთვის მივიდნენ სკოლაში ამბის გასაგებად, საღამომდე უცადეს, მაგრამ ვერა გაიგეს რა. მომდევნო დღეს ისევ წავიდნენ. ნაშუადღევს გაიღო კარი და ერთ-ერთი მასწავლებელი ქალი გამოვიდა, თან ატირებული პატარა გოგონა გამოჰყვა.

— ამ გოგონას ვერ მივიღებთ, — განაცხადა ქალმა, — პატარაა და ჯერ თავს ვერ მოუვლის, მათი ძიძაობის თავი ჩვენ არა გვაქვს.

ქალმა ამოიკითხა იმ ბავშვების სია, რომელთა მიღებაზე უარი თქვა სკოლის ხელმძღვანელობამ. როცა კამაჭიჭის გვარი წაიკითხა, იმ ქალმა თქვა:

— ამ გოგონას კი იმიტომ ვერ მივიღებთ, რომ უკვე გასული აქვს სასკოლო ასაკი, თანაც ვერც სათანადოდ არის მომზადებული.

— შარშან მოგიყვანეთ ბავშვი და მითხარით: დაიგვიანეთ, მიღება დამთავრებულიაო, ახლა კიდევ — დიდია, თან მომზადებული არ არის კარგადო — გაიძახით. თქვე დალოცვილებო, თუკი ყველაფერი ეცოდინებოდა, ამ სიშორეს ბალღს რაზე ჩამოვიყვანდი...

— მე რაც დამავალეს, ის გითხარით, დანარჩენი მე არ მეხება, — აიმრიზა ქალი.

— მიღებული ბავშვების გვარები წაიკითხეთ, თუ შეიძლება.

ქალმა რვა გვარი ამოიკითხა.

— ჰმ, ასეც ვიცოდი, — გამწარდა ალიასი, — თავიდანვე გეთქვათ, ეს სათავადაზნაურო სკოლაა და გლეხებს აქ არა-

ფერი გესაქმებათო. ამდენს მაინც აღარ გავწვალდებოდი ეს დროული კაცი.

ქალმა ზურგი შეაქცია მას და გატრიალდა.

შეურაცხყოფილსა და სასოწარკვეთილ ალიასს ფერი აღარ ედო სახეზე.

— როდის მოეღება ბოლო ამ უსამართლობას? — ამოიოხრა მან.

— ეგ დროც მალე დადგება, ალიას, — გაეპასუხა ლევანი.

— გაჩუმდით, თუ ღმერთი გწამთ, — ხმა ამოიღო მახაზმა, — ისედაც ყველას პირში შესცი‌ცინებენ; აბა, ვის რა წამოცდებაო, რომ მაშინვე დააბეზღონ მთავრობაში. განსაკუთრებით შენ უნდა იყო ფრთხილად, ლევან! — თქვა ბოლოს მახაზმა.

— არ შეიძლება ასეთი უსამართლობა დიდხანს გაგრძელდეს, — თქვა ლევანმა და ყველანი მახაზის სახლში წავიდნენ.

მეორე დღეს ალიასი, ლევანი და კამაჭიჭი უთენია დაადგნენ გზას შინისაკენ. ლევანსა და ალიასს დანა პირს არ უხსნიდა.

ესმამ შორიდანვე დაინახა მომავალნი, თვალი მოჰკრა თავის გოგონასაც და არ ესიამოვნა.

ესმა ჭიშკარში შეეგება ქმარ-შვილს.

— დედა მოგიკვდეს, შვილო, დედას როგორ უნდა ეწყინოს შვილის შინ მობრუნება, მაგრამ რომ ვერ აისრულე გულისწადილი, იმაზე მიკვდება გული. რას ვიფიქრებდი, თუ წელსაც უარს გეტყოდნენ...

— ნუ გეშინია, დედი, სახლში ვისწავლი იმდენს, რაც იქ უნდა მესწავლა, — დაამშვიდა მშობელი კამაჭიჭმა.

— შემოდით სახლში, ნამგზავრები ხართ, დაისვენეთ, ცოტა შეჭამეთ რამე და მერე ვილაპარაკოთ.

თითქოს გული უგრძნობდა ესმას, რომ დღეს ჩამოვიდოდნენ და კარგი სადილი მოემზადებინა. ხელდახელ გაშალა სუფრა, სათითაოდ დააბანინა ყველას ხელ-პირი და სუფრას შემოუსხდნენ. არავინ ხმას არ იღებდა. ბოლოს ისევ ალიასმა

დაარღვია სიჩუმე და დაიწყო მოყოლა, რაც ნახეს და გაიგეს სოხუმში.

— მაინც რა დაუწუნეს ჩვენს ქალიშვილს? — იკითხა ესმამ.

— რა და სკოლის ასაკი გასული აქვს და ვეღარ მივიღებთო.

— აი, გაწყდეს მაგათი სინსილა, ფულები რომ ვერ ჩაიჯიბეს, იმიტომ ხომ! არ გაიხარონ ამ ბავშვის ცოდვით, არ გაიხარონ! — წყევლა და წყევლა ესმამ სკოლის ხელმძღვანელები.

— მე კაცი არ ვიყო, თუ მაგათ ჯიბრზე კამაჭიჭს სწავლა-განათლება არ მივაღებინო! — დაიქადნა ლევანმა.

— ეხ, არ დამიჯერა ამ ჩემმა ქმარმა და რა ვქნა. ნათქვამია — გამოსაშვები სისხლი უნდა გამოვიდესო. ჰოდა, მეც ვაცადე და აგერ, არაფერი გამოვიდა, — საყვედურით გადახედა ესმამ ალიასს.

— როგორ თუ არაფერი გამოვიდა? კარგი ნათესავი ხომ შევიძინე? — თქვა ალიასმა და ლევანს გადახედა.

— მართალია, ღმერთმა მიცოცხლოს მაგის თავი. შენ რომ ტყუილად დაიწყვიტე გული, იმისთვის მეცოდები. განა არ ვიცოდი, რომ დიდკაცებთან და ბობოლებთან ჯიბრი ჩვენ არაფერში გამოგვადგებოდა!

— მაგაში მართალი ხარ, — ხელები გაშალა ალიასმა.

— სულ იმაზე უჭირავთ თვალი, როგორ გაღლიტონ უბრალო ხალხი, ძაღლადაც არ გვაგდებენ, — არ ცხრებოდა ესმა.

— შენმა სიტყვებმა ერთი ამბავი გამახსენა, — უთხრა ცოლს ალიასმა და მერე ნათლიას მიუბრუნდა: — ლევან, შენ თვითონ მოსწრებიხარ ამ ამბავს და გვიამბე ერთი, რა იყო და როგორ იყო. ხვდები, ალბათ, რომელ ამბავზეც გელაპარაკები.

ლევანმა ესმას სთხოვა, დამჯდარიყო, მაგრამ ქალმა იუარა, ასე მირჩევნიაო და იქვე გაჩერდა, ფეხზე მდგომიარე.

— ამას წინათ სოფელ გუფში კრება გაიმართა, რომელსაც თვით ოჩამჩირის მაზრის უფროსი ფილიპოვიჩი ესწრებოდა. იმავე საღამოს თავადმა დიმიტრიმ დიდი პურ-მარილი გაშალა

და მაზრის უფროსი თავის ჩაფრებიანად სახლში დაპატიჟა. ქეიფმა გვიანობამდე გასტანა. გოგო-ბიჭების ცეკვას ბოლო არ უჩანდა. ძალიან გამოთვრა მაზრის უფროსი. ამ დროს ვიღაცამ თქვა: — მამასახლისმა ბაბიჩმა ისეთი ცეკვა იცის, იმის ნახვას არაფერი სჯობიაო. გაიგო თუ არა ეს ფილიპოვიჩმა, — ახლავე გამოიყვანეთ მამასახლისი და აცეკვეთო, — ბრძანა. თავადმა სთხოვა მამასახლისს და ისიც გავიდა საცეკვაოდ. ბაბიჩი ხმელი, მოხდენილი ტანის მამაკაცი იყო. მართლაც რომ დიდებულად ცეკვავდა. სტუმრები აღფრთოვანებით უკრავდნენ ტაშს, ის კი, ქურციკივით მარდად დაჰქროდა წრეში, მისი ჩოხის კალთები ისე ფრიალებდნენ, იფიქრებდით სადაცაა ქარბორბალა ამოვარდებაო. უცებ — არ ვიცი, რამ გადარია — მაზრის უფროსი ჯერ მაგიდაზე შეხტა, იქიდან კი ისკუპა და ზურგზე მოაჯდა მოცეკვავე ბაბიჩს. გაშრა დარბაზი. გარეთ საკმაოდ ციოდა და დიმიტრის ებრძანებინა, ცეცხლი დაენთოთ. მამაპაპურ ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა.

— ბუხარში შეაგდე! — დაიძახა ვიღაცამ. თითქოს ამას ელოდაო, ბაბიჩი ირმის ნახტომით ბუხართან აღმოჩნდა, წელში მოიდრიკა და მაზრის უფროსი ბუხარში მოისროლა, მაგრამ გადარჩა ის მამაძაღლი. იქვე მდგომმა ჩაფარმა დროზე სტაცა ხელი და გვერდზე მიაგდო, თორემ შიგ გამოიბუგებოდა შენი ფილიპოვიჩი.

— მერე, მამასახლისი როგორ გადაურჩა მაგ ამბავს? — იკითხა ალიასმა.

— ხომ გითხარით, მაზრის უფროსი უგონოდ იყო მთვრალი და არაფერი ახსოვდა. ჰოდა, აღარც სხვებს გამოუდიათ მაინცდამაინც თავი.

— ვაუკაცი კაცი ყოფილა ეგ ბაბიჩი. აძიუბჟელი მამასახლისის მერე ასეთი რამ სხვას აღარ ჩაუდენია.

— აძიუბჟელი მამასახლისისათვის მაგას მოურტყამს მათრახი, — თქვა ესმამ.

— არა, ის გვარად ჩეჩელოვი იყო.

— აბა გაცოფებულა ყველა მაზრის უფროსი და ეგ არის, ღმერთმა მართლა გააცოფოს ეგენი! — მიაწყევლა ესმამ.

— ყველანი ეგეთები არიან, უკლებლივ.

— შარშან ზაფხულს რაღაც დიდი ამბის გამო მთელი ოჩამჩირის მაზრის მოსახლეობა მოქვში შეყარეს ერთად. ზღვა ხალხი შეგროვდა. ელოდნენ მაზრის უფროსს, გვარად კულიკოვს.

მოშუადღევდა. ამ დროს ვიღაცამ დაიძახა, მოდის უფროსიო და ყველანი ფეხზე წამოდგნენ. მართლაც, გამოჩნდა მაზრის უფროსი ჩაფრების თანხლებით, დაოთხილ ცხენებს პირდაპირ ხალხისკენ მოაგელვებდნენ.

— დიდი ვაჟკაცი უნდა იყოს ჩვენი უფროსი, ნახეთ, რა დღით მოდის! — გაიცინა ვიღაცამ.

ამასობაში მაზრის უფროსი მიუახლოვდა ხალხს, მაგრამ იმის მაგივრად, რომ შეჩერებულიყო, ცხენი პირდაპირ ხალხში შეაგდო. ჩაფრებიც უკან მიჰყვნენ. ხალხმა გზა უტია, იფიქრეს, ალბათ ცხენს ვერ მორევიაო, მაგრამ შენც არ მომიკვდე, მაზრის უფროსმა შემოაბრუნა ცხენი და ისევ მათზე მიაგდო.

— დასწყევლოს ღმერთმა, ნამდვილად მთვრალია ეს ოხერი! — შესძახა ვიღაცამ.

როცა ხალხმა დაინახა, რომ მაზრის უფროსი განგებ შვრებოდა ამას, გადაირივნენ. განრისხებულმა უხუცესებმა: ომანმა, კიაგუამ, ჰაბიჯმა, გუაჯამ და სხვებმა ხალხს შეუძახეს, — დაჰკარით ერთი მაგ წუწკს, ცხენიდან ჩამოაგდეთ, ვინ ვგონივართ, როგორ გვიბედავსო. უფრო ყოჩაღები ვინც იყვნენ, ღობიდან სარები ამოაძვრინეს და დაერივნენ იმ თავხედებს. ჩაფრები გარს შემოეხვივნენ თავიანთ უფროსს და როგორც იქნა გაიტაცეს იქიდან. მაზრის უფროსი, მართალია, ცხენიდან ვერ ჩამოაგდეს, მაგრამ გვერდები კი მაგრად დაურბილეს. ასე ვდიეთ ოჩამჩირემდე, იქ კი კაზაკების ასეული შემოგვეფეთა და თავი ვანებეთ. ერთი გენახათ, როგორ თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ, — დაამთავრა მოყოლა ალიასმა.

— მერე, მაგათ შემყურეს, რა იმედი გაქვს, რომ შენს გოგოს სკოლაში მიიღებენ? — ისევ გადასწვდა ესმა ქმარს.

— გული ნუ გაგიტეხია, ნათლიდედ, კაცი არ ვიყო, თუ თქვენი კამაჭიჭი უსწავლელი დაგიტოვოთ, — თქვა ლევანმა.

XVII

სოხუმიდან მობრუნებულ კამაჭიჭს გული არ გაუტეხია. პირიქით, უფრო ბეჯითად დაიწყო სწავლა. გუნებაში სოხუმის პროგიმნაზიის მოსწავლეებს ეჯიბრებოდა. ლევანი ცოდნასა და ენერგიას არ იშურებდა, რომ გოგონასთვის რაც შეიძლებოდა ბევრი ესწავლებინა.

ერთხელ მეცადინეობით დაღლილი კამაჭიჭი ეზოში გავიდა, სადაც მეზობლის ბავშვებს გაჰქონდათ ჟრიამული.

ბავშვებს ძალიან გაუხარდათ მისი გამოჩენა, რადგან იცოდნენ, კამაჭიჭი მათ სოხუმის ამბებს მოუყვებოდა. მერე რა კარგი მოყოლა იცოდა!

კამაჭიჭი ჰყვებოდა, დიდი, ქვის სახლების, გაჩახჩახებული ქუჩების, ქალაქში შეხვედრილ ათასნაირი ხალხის ამბავს, მაგრამ ბავშვებს განსაკუთრებით კინოფილმში მომხდარი ამბები აინტერესებდათ. ახლაც, დაინახეს თუ არა, ხვეწნა დაუწყეს, კინოში რომ გაცოცხლებული სურათები ნახე, ის გვიამბეო.

— რამდენჯერ მოგიყევით, მეტი რაღა გითხრათ? — უთხრა ღიმილით ბავშვებს კამაჭიჭმა და ჩაფიქრდა, მერე ზევით აიხედა და... უცებ — თითქოს რაღაც გაახსენდაო, — ბავშვებს მიმართა:

— აბა, გაიხედეთ იქით, იქით, ზღვის სანაპიროსკენ, ზევით, უფრო ზევით ხედავთ ღრუბლებს?

მართლაც, შორს, ზღვის კიდურზე, თეთრი, ბამბის ქულასავით თეთრი ღრუბლები გაწოლილიყვნენ. მათგან ცოტა მოშორე-

ბით, მუქი ღრუბელი იქუფრებოდა, იბოლქვებოდა, თითქოს იმ თეთრ ღრუბლებს უბრაზდებოდა რატომღაც. სადღაც მიიჩქაროდნენ ღრუბლები, ყველაზე წინ კი ის რუხი ფერის ბრაზიანი ღრუბელი მიდიოდა, ისე მიდიოდა, რომ სხვებს აინუნშიც არ აგდებდა. ზოგი ღრუბელი კი ფოთოლგაცვენილ ხეს ჰგავდა, მოწყენილი და მარტოსული.

ცოტა უფრო ქვემოთ დიდ, თეთრ ღრუბელს არწივივით გაეშალა ფრთები, დინჯად, დიდებულად მოძრაობდა და პატარ-პატარა ღრუბლის ქულებს ზედაც არ უყურებდა.

სწორედ ცაზე მონანავე ეს ღრუბლები დაანახვა კამაჭიჭმა ბავშვებს.

— აი, ხედავთ, თეთრი ღრუბლის მაღლა მხართეძოზე წამოწოლილ შავ ღრუბელს? ხომ ჰგავს გოლიათს? შეხედეთ ერთი, რამხელა ცხვირი აქვს. მარჯვენა ხელში კი თოფი ჩაუბღუჯია. ეტყობა ბევრი მტერი ჰყავს, არა, ბავშვებო? — წამოიძახა კამაჭიჭმა.

პატარა გოგო-ბიჭები ცას შესცქეროდნენ და ერთმანეთს აჩვენებდნენ ხან თოფს, ხან ცხვირს.

კამაჭიჭმა ბავშვებს ახლა ცხენოსანი დაანახვა, რომელიც გოლიათისკენ მიჰქროდა. ცხენებს უკან ძაღლი მიჰყვებოდა.

— ნახეთ ახლა რა მოხდება, — თქვა ერთმა ბიჭუნამ. — თუ გოლიათმა არ გამოიღვიძა, ცხენოსანი შუბს აძგერებს და მოკლავს.

ყველანი დაძაბული უყურებდნენ ორი „გმირის“ შებრძოლებას, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. როგორც კი ცხენოსანი გოლიათს მიუახლოვდა, იგი სადღაც გაქრა.

— ეეხ, დაიმალა, ეგ მშიშარა, — თქვეს ბავშვებმა და გაიცინეს.

კამაჭიჭმა მათ ახლა მთის წვერზე გადმომდგარი უზარმაზარ რქებიანი ხარი დაანახვა.

— უხ, შენი გულისა, რა ლამაზია! — გაიძახოდნენ ბავშვები

წამდაუწუმ და ახლა უკვე თვითონ პოულობდნენ სხვადასხვა გამოსახულებებს ცის კამარაზე: აგერ, გრძელთმიანი ქალი თმას იბანს მდინარეში, ცოტა იქით ორი კაცი კეტებით დარევია ერთმანეთს, მერე ხარები გამოჩნდნენ, მერე... მერე უკვე მზეც ჩავიდა და გაქრნენ გოლიათიც, ხარებიც და თმაგაწეწილი ქალიც...

— აი, ასეთი ფილმებია სოხუმში, ოღონდ იქ ყველაფერი უფრო ლამაზია, — უთხრა ბავშვებს კამაჭიჭმა.

— ის კაცი, პირველად რომ დაგვანახე და გვითხარი გოლიათიაო, როგორ გაჩნდა ცაზე? — ჰკითხა კამაჭიჭს პატარა ბიჭმა.

— გოლიათები უღრან ტყეებში და მიუვალ მთებში ცხოვრობენ, ის კი, ვინც ცაზე დაგანახეთ, უბრალოდ, გოლიათის მსგავსი ღრუბელი იყო, — უპასუხა კამაჭიჭმა.

ბავშვები ერთმანეთს არ აცლიდნენ, ყველა რაღაცას ეკითხებოდა კამაჭიჭს.

— დევები სადღა ცხოვრობენ?

— დევებიც ტყეში ცხოვრობენ. იმათაც ჰყავთ კამეჩები, ოღონდ უფრო დიდები, ვიდრე ჩვენ. იმ კამეჩებით მიწას ხნავენ, დილით კი წველიან და რძეს მიირთმევენ. დევების გარდა ტყეში ქონდრისკაცებიც ცხოვრობენ. ისინი თხებს წველიან და იმით იკვებებიან. ცხენების მაგივრობას ქონდრისკაცებს კურდღლები უწევენ. ყველაზე ცუდები მაინც ტყისკაცები არიან. ისინი ადამიანებს ჰგვანან, ოღონდ გულ-მკერდი ეკლებით აქვთ დაფარული. თუ ტყეში ადამიანს მოჰკრეს თვალი, მაშინვე მოიტაცებენ.

ალებიო, რომ მეკითხებით, ალები ქალები არიან და მდინარეებში ცხოვრობენ. შებინდდება თუ არა, ბანაობას იწყებენ, თუ ამ დროს ახლომახლო ადამიანი დაინახეს, ჩაავლებენ ხელს და სიცილ-კისკისით ჩაათრევენ მდინარეში.

კამაჭიჭმა რომ მოყოლა დაამთავრა, უკვე კარგად იყო

შელამებული. ახლა კი დროა სახლებში წავიდეთ, ჩიტმაც კი თავისი ბუდე იცისო, — უთხრა ბავშვებს.

— მეშინია, ვერ წავალ სახლში, — ატირდა ერთ-ერთი ბავშვი. ეტყობა, ვერც სხვები ბედავდნენ წასვლას, თვალებში შიში ჩასდგომოდათ და პატარა გულები უცახცახებდათ.

კამაჭიჭმა სათითაოდ მიაცილა ყველანი სახლამდე. ბოლოს უკვე თვითონვე შეეშინდა თავისივე მონაყოლი ამბების და მის საძებნელად წამოსული ალიასი რომ არ შეხვედროდა, ლამის ატირებულიყო.

კამაჭიჭი მოუყვა მშობლებს, როგორ შეეშინდათ ბავშვებს მისი მონაყოლი ამბებისა და ბოლოს თვითონაც რომ კინაღამ შეშინდა.

— გოგო, აქ რომ ერთხელ ჰაბახუმ რაღაც-რაღაც ზღაპრები მოყვა, შენ მართალი ხომ არ გგონია? მას არც დევი უნახავს, არც ქონდრისკაცი და არც ალი. ტყუილია ეს ყველაფერი. ასეთი რამეები მხოლოდ ზღაპრებში ხდება ხოლმე, — უთხრა გოგონას ალიასმა.

— ჰაბახუმ მე მომატყუა, მე კი ბავშვები მოვატყუე, — გაიცინა კამაჭიჭმა და ალერსიანად გადახედა მშობლებს.

XVIII

ზაფხულის პაპანაქება იყო.

ხალხი გაამწარა გვალვიანობამ. ცას შესცქეროდნენ წარამარა, იქნებ სადმე შავი ღრუბლის ნაფლეთი გამოჩნდესო, მაგრამ ამაოდ.

ხალხი ისე შეწუხდა, გადაწყვიტეს სახალხო ლოცვა — ზეიმი მოეწყოთ, მაგრამ მოულოდნელად კოკისპირული წვიმა წამოვიდა. ერთი დღე და ღამე გადაუღებლად წვიმდა. ცა ფეხად ჩამოდიოდა. ადიდდა მდინარეები, წალეკა სანაპიროები.

— რადგან მდინარეები ადიდდა, წვიმა მალე გადაიღებსო, — თქვეს მოხუცებმა, მაგრამ ამინდს პირი მაინც არ უჩანდა, ასე წვიმდა ოთხი დღე. — ეტყობა, ვიღაც დაიხრჩო და სანამ არ გამორიყავს, არ გადაიღებსო, — დაასკვნეს მაშინ.

მეექვსე დღეს, როგორც იქნა, მზემ გამოანათა.

იმავე საღამოს ხალხში ხმა დაირხა, მეზობელ სოფელში ვიღაც ჭაბუკი, — სახელად ჰალილი — დაუხრჩვია წყალსაო. დილით მთელი სოფელი დამხრჩვალის საძებნელად გამოვიდა. დიდი ხნის ძებნის შემდეგ, როგორც იქნა, იპოვეს საცოდავი რიყეში, ქვა-ღორღითა და ქვიშით ჩაჩუმქრული. მაშინვე გამოიტანეს მიცვალებული იმ ღორღიდან და დაასაფლავეს.

მოიყვანეს მიცვალებულის მშობლები, ნათესავ-მეგობრები. ორმა-სამმა სოფელმა დიდ-პატარიანად იქ მოიყარა თავი. ყველას თეთრი ტანისამოსი ეცვა, გლოვის ნიშნად. იქ, სადაც ჰალილის გვამი იპოვეს, მდინარის გაღმა-გამოღმა მხარეს, აბრეშუმის ძაფი გაჭიმეს. ხალხის ერთი ნაწილი გაღმა გავიდა, ნაწილი გამოღმა დარჩა. გაისმა აფხიარცას ხმა. გაიმართა სამგლოვიარო ცეკვა-თამაში. ყველას ყურადღება მიიქცია კამაჭიჭმა, რომელსაც ბადალი ვერ გამოუჩნდა ცეკვაში.

დამხრჩვალის ყველაზე ახლო მეგობარმა კუადაცმა აიღო ახალთახალი გუდა, შეაბა აბრეშუმის ძაფზე და შუა მდინარეში შეიტანა. გუდის პირი ღია იყო და ოდნავ ეხებოდა წყალს. კუადაცმა ახსენა დამხრჩვალის სახელი და თქვა:

— მოდი, ჰალილ, ძმაო, ნუ გეშინია, შედი აქ. მე კუადაცი ვარ, შენი მეგობარი. მე წაგიყვან შენს ხორცთან და ძვალთან. შეხედე, რამდენი ხალხი მოვიდა შენს შესახვედრად! მოდი, ძმაო ჰალილ, ნუ გეშინია, შენს ხორცთან და ძვალთან წაგიყვან! — თქვა მეორედ კუადაცმა და მოეჩვენა, რომ გუდა ოდნავ გაიბერა. ალბათ ჰალილის სული შევიდაო და კუადაცმა სასწრაფოდ მოუკრა გუდას პირი. მერე წყლიდან გამოვიდა და ხალხში შეერია. გაღმელები და გამოღმელები შეერთდნენ და

ჰალილის საფლავისკენ წავიდა ყველა. წინ კუადაცი მიუძღოდათ. სიმღერით, ცეკვა-თამაშით მიდიოდა ხალხი ჰალილის საფლავისაკენ.

— წავიდეთ, ძმაო ჰალილ, წავიდეთ შენს ძვალთან და ხორცთან, — იმეორებდა კუადაცი და გუდას მაღლა სწევდა.

საფლავთან რომ მივიდნენ, კუადაცმა ოდნავ გაქექა მიწა, მოხსნა გუდას თავი, მიწაში ჩაყო და თქვა: — შენ უკვე მოხვედი შენს სახლში, ძმაო ჰალილ! — მერე გუდას ხელი მოუჭირა, რომ მასში დამწყვდეული სული საფლავში ჩასულიყო.

ამ დღეს კამაჭიჭი ლევანის ახალ ნაყიდ ცხენზე იჯდა. ქალის ტანსაცმელში გამოწყობილი კამაჭიჭი უკვე დასრულებულ გოგოს ჰგავდა, ლამაზი იყო, მოხდენილი, ამაყად იჯდა ცხენზე, ბევრიც აქებდა. მნახველები ძალიან უქებდნენ კამაჭიჭს ჯირითობას, ბევრს კი ამბად გაეგო მხოლოდ, ნახვით კი არ ენახა.

როცა სოფელში ბრუნდებოდნენ, ზოგიერთებმა ჩუმად მოილაპარაკეს, — მოდი ერთი ვნახოთ, როგორ ცხენზე ზის კამაჭიჭი და თვითონაც რა ცხენოსანიაო.

ერთ-ერთმა ჭაბუკმა შეათამაშა თავისი ცხენი და გამოიწვია კამაჭიჭი, მაგრამ ქალიშვილმა არ მიიღო ეს გამოწვევა. იქვე მყოფმა ქალებმა შენიშვნა მისცეს ჭაბუკს:

— რას სჩადიხარ, შვილო! მართლა აპირებ ქალიშვილთან გაჯიბრებას? რომ გადმოვარდეს ცხენიდან და მოიტეხოს რამე?

— ვერ გცნობიათ კარგად ეგ გოგო. მაგას ცხენიდან რა გადმოაგდებს, — თქვა ბიჭმა და ისევ მიუახლოვდა ქალიშვილს.

ერთ-ერთმა კაცმა, რომელიც, ეტყობა, არ იცნობდა კამაჭიჭს, ჭაბუკს მკაცრად შეუძახა:

— მაგ ქალს თავი ანებე, თუ ვაჟკაცი ხარ, ვაჟებს გაეჯიბრე!

ამ დროს კამაჭიჭს მეორე ჭაბუკი მიუახლოვდა: — თუ შეიძლება, ჩვენ გავეჯიბროთ ერთმანეთს, — სთხოვა ქალიშვილს.

კამაჭიჭმა ის იყო უარის თქმა დააპირა, რომ ლევანის ხმა გაიგონა:

— რადგან არ გეშვებიან, აჩვენე, რომ ცხენიც მარდი გყავს და მხედარიც სანაქებო ხარ!

კამაჭიჭმა ერთბაშად მოატრიალა ცხენი და მათრახი გადაჰკრა. ცხენი ყალყზე შედგა. კამაჭიჭმა ჯერ მოუდრიკა გაფიცხებულ ცხენს ურჩი კისერი, მერე მოუშვა აღვირი და ველზე გაიჭრა, ცოტა ხანს გააჭენ-გამოაჭენა თავისი ბედაური და იმ ბიჭს მიუახლოვდა, ჯირითში რომ გამოიწვია.

ყალყზე შემდგარი ცხენები მკერდით შეეხალნენ ერთმანეთს. ჭაბუკის ცხენმა მოულოდნელად წაიფორხილა და კინაღამ ჩამოაგდო მხედარი, მაგრამ მალევე გაიმართა და გაემართა კამაჭიჭის ცხენისკენ. ამჯერად კამაჭიჭმა ისე სწრაფად და მოხერხებულად შეახალა თავისი ცხენი მეტოქის ცხენს, რომ მხედარმა თავი ვეღარ შეიკავა და უნაგირიდან გადმოვარდა.

გამარჯვებულმა კამაჭიჭმა შურდულივით ჩაუქროლა დამარცხებულს და გაშლილ ველს მისცა თავი.

აღფრთოვანებულმა ხალხმა ყიჟინა ატეხა.

— ღმერთმა დღეგრძელობა მოგცეს, შვილო, ასე რომ გვასახელე, არ შეგვარცხვინე, — ლოცავდნენ ქალები კამაჭიჭს.

— გასახელა, ლევან, დღეს ამ გოგომ, ვაჟკაცები დაჯაბნა, — ულოცავდნენ ლევანს აქეთ-იქიდან.

— ამიტომაც ყველას გასაგონად ვამბობ: დღეიდან ეგ ცხენი მაგისია! — თქვა ხმამაღლა ლევანმა.

— ყოჩაღ, ლევან, ქალიშვილი კი ღირსია ასეთი საჩუქრისა, მაგრამ შენც ძალიან ვაჟკაცურად მოიქეცი.

ალიასს ყოველი მხრიდან კამაჭიჭის ქება ესმოდა, უხაროდა, მაგრამ არ იმჩნევდა, ულვაშებში ეღიმებოდა მხოლოდ.

ასე რომ, ეს ამოდენა ხალხი იმ დღეს მარტო კამაჭიჭის სილამაზეზე, მის ცეკვა-თამაშსა და ჯირითობაზე ლაპარაკობდა.

XIX

მარიამობის წინა საღამოს კამაჭიჭთან მეზობლის ბიჭი დათა მოვიდა და უთხრა: — იცოდე, ამაღამ ჩვენი სოფლის გოგო-ბიჭები თქვენთან მოვდივართ ღამის სათევად.

ბიჭი რომ წავიდა, კამაჭიჭმა მშობლებს უთხრა, ასე და ასეა საქმე, ჩვენი სოფლის ახალგაზრდები ამაღამ ჩვენთან ღამის სათევად აპირებენ მოსვლასო.

— რას ამბობ, შვილო, ღვთის წყალობით ყველანი ჯანმრთელადა ვართ, ვის უნდა უთიოთ ნეტავი ღამე? — გაუკვირდა ცოლ-ქმარს.

— ავადმყოფობისაგან ღმერთმა დაგვიფაროს, მამა. ეგ რა სათქმელია. ხვალ ხომ მარიამობაა. ჰოდა, ამაღამ აბა ვინ დაიძინებს. მოვლენ, დიდ კოცონს დავანთებთ, შიგ ეშმაკებს და კუდიანებს გამოვბუგავთ. შარშანდელი მარიამობის ღამე ქუაბლუხთან გაათენეს. გახსოვთ? მეც კი მინდოდა იქ წასვლა, მაგრამ არ გამიშვით.

— გვახსოვს, შვილო, როგორ არ გვახსოვს. ასეთია ჩვენი ძველი ადათი, თუმცა დღესდღეობით ეს წესი თითქმის დავიწყებას მიეცა. შენ აბა რა გეხსომება, მაშინ ერთი ციცქნა იყავი და ასე ათი-თორმეტი წლის წინ მარიამობა ღამე მთელმა სოფელმა ჩვენთან გაათია. შემოგვითვალეს — მოვალთო და არც ჩვენ ვამბობთ უარს, მოვიდნენ. ხორცი გვეშოვება, ღვინო კარგი მაქვს, ქათმებიც დაკალით და მერე თქვენ იცით, შენი ჭირიმე, იმხიარულეთ, მოილხინეთ, როგორც გაგიხარდებათ, — თქვეს ესმამ და ალიასმა.

— სადაც ღამეს ათევენ, იქ სუფრასაც შლიან? — იკითხა კამაჭიჭმა.

— არა, აუცილებელი არ არის, მაგრამ კარგ ვახშამზე არც ჩვენ ვიტყოდით უარს, — გაიღიმა ალიასმა.

ამასობაში მოსაღამოვდა კიდევაც. ნელ-ნელა გროვდებოდ-

ნენ ახალგაზრდები. მერე იფეთქა ალმა და გაჩაღდა ჭიაკოკონა. ბურბურებდა ცეცხლი, ახალგაზრდები კი უშიშრად ხტებოდნენ ავად მოთამაშე ცეცხლის ენებზე. იმატა გოგო-ბიჭების რიცხვმა, აქა-იქ უფროსებიც გაერივნენ. აქ მოსულიყო სოფლის მწერალი, კამაჭიჭის ნათლია ლევანიც. როგორც კი ცეცხლის ალი მინელდებოდა, მაშინვე მიაყრიდნენ კაჭაჭს და ჭიაკოკონა ახალი ძალით აბურბურდებოდა ხოლმე. კაჭაჭი რომ ჩაიწვა, ალიასმა საბძელიდან ქეჩეჩი გამოიტანა და ახლა ის დააყარა კოცონს. ბოლოს მოსწყინდათ ჭიაკოკონაზე მალაყების გაჭიმვა, დიდი კეტები აიღეს, კოცონის გარშემო დაიწყეს ხტუნვა და თან, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ცეცხლს დაუშინეს. აქრობდნენ ჭიაკოკონას და თან დასძახოდნენ: „დაიწვა ეშმაკი ჯანგერი, შიგ გამოიბუგაო!" მერე ყველამ ეზოს შუაგულში მდგარ დიდ ვაშლის ხესთან გადაინაცვლა და გაჩაღდა ცეკვა-სიმღერა. დიდხანს იმხიარულეს, მათმა სიცილ-კისკისმა იქაურობა სულ გააყრუა. ბოლოს მასპინძელმა ყველანი სუფრასთან მიიპატიჟა და ახლა იქ გამართეს ტაშ-ფანდური.

ადგნენ თუ არა სუფრიდან, ახლა თამაში დაიწყეს. ერთმა ენაკვიმატმა ბიჭმა — ვითომდა მაზრის უფროსმა — ორი ჩაფარი და ერთი თარჯიმანი ამოირჩია, მერე იქ მყოფთ „რუსულად" დაუწყო ლაპარაკი. იმ ბიჭმა რუსული არ იცოდა და რაც ენაზე მოადგებოდა, იმას ლაპარაკობდა. მისი შემყურე ხალხი დაოსდა სიცილისაგან, გულს ვეღარ იბრუნებდა. „მაზრის უფროსი" კი ზოგს ლანძღავდა, ასამართლებდა, ზოგს კი ციხეში — საკუჭნაოში გზავნიდა. ბიჭის ხუმრობაზე ლევანმა იმდენი იცინა, რომ ცრემლები მოერია და აივანზე გავიდა. ეს რომ „უფროსმა" დაინახა, ჩაფრებს უბრძანა, ის კაცი ახლავე აქ მომგვარეთო. ალიასი „თარჯიმანის" საშუალებით „უფროსს" შეეხვეწა, მოწყალება გაეღო და პატიმრები გაეთავისუფლებინა.

— ვინ არის ეს კაცი? — თარგმნა „თარჯიმანმა" „უფროსის" შეკითხვა.

— მასპინძელია-თქო, შენი ჭირიმე, უთხარი.

„უფროსი“ გაგულისდა და გაიფხორა.

— რას ნიშნავს მასპინძელი?

— მასპინძელი იმას ნიშნავს, შენი ჭირიმე, რომ ამ სახლის პატრონი მე გახლავართ.

„უფროსმა“ რაღაც გადაულაპარაკა „თარჯიმანს“.

— უფროსი გეკითხება — საბუთი თუ გაქვს, რომ ამ სახლის პატრონი ნამდვილად შენა ხარო, — „უთარგმნა“ „თარჯიმანმა“ ალიასს.

ალიასმა ჯიბეები საგულდაგულოდ მოიჩხრიკა, მერე იქიდან გაზეთის ნაგლეჯი ამოაძვრინა და „უფროსს“ მიაწოდა. „უფროსმა“ ქაღალდს სანთლის შუქზე დახედა, წაიკითხა და ალიასს დაუბრუნა.

— უფროსს აინტერესებს „ბაშფორთი“ თუ გაქვს?

ალიასმა ისევ მოიჩხრიკა ჯიბეები, მაგრამ იქ ველარაფერი იპოვა, პორტსიგარის გარდა.

— მაჩვენე! — შეუბღვირა „მაზრის უფროსმა“ ალიასს და პორტსიგარი ხელიდან გამოგლიჯა. თუთუნი გაახვია და გააბოლა.

— საჩივარზე ვინც ხართ მოსულები, შემოდით, ოღონდ თითო-თითოდ, უფროსს თავს ნუ მოაბეზრებთ! — დაიძახა „თარჯიმანმა“.

— უფროსს რომ პატივი ვცე, თუ დამეხმარება? — ჰკითხა ერთ-ერთმა „მომჩივანმა“ „თარჯიმანს“.

— როგორ უბედავ დიდი ხელმწიფის მსახურს დღისითმზისით ქრთამის შეთავაზებას! — „გაცეცხლდა“ „თარჯიმანი“.

— დღისით რათა, შენი ჭირიმე, დაღამდებოდა და მაშინ მივუტანდი.

— ეგრე გეთქვა. იცოდე, თუ ფულს მისცემ, დღისითაც შეგიძლია მიუტანო, ხოლო თუ საკლავის ან კასრით ღვინის მიტანას აპირებ, მაშინ დაღამებას უნდა დაუცადო და შინ მიართვა, — აუხსნა „თარჯიმანმა“.

— მაშინაც ხომ არ გამიბრაზდება? არ ეწყინოს, კაცო!

— რატომ უნდა ეწყინოს, დღეს ხომ არ იღებს პირველად ქრთამს? — გაიკვირვა „თარჯიმანმა“ და მერე ხმამაღლა დაიძახა: — შემოუშვით ხალხი! — და ისევ გაგრძელდა „საქმეების გარჩევა“.

სიცილ-ხარხარს ბოლო არ უჩანდა. ლევანმა აივნიდან დაიძახა: — ხალხნი არა ხართ, გააჩერეთ ეგ ბიჭი, მეტი აღარ შემიძლია, მოვკვდი კაციო.

„უფროსი“ სკამზე შედგა და „თარჯიმანის“ დახმარებით სიტყვით მიმართა ხალხს. სიცილმა ახალი ძალით იფეთქა.

— სოხუმშიც ვყოფილვარ, ბათუმშიც, ცირკიც მინახავს და თეატრიც, რამდენი სხვა ქალაქი მომივლია, მაგრამ ასეთ რამეს არსად შევსწრებივარ, — გაიძახოდა ლევანი.

— ჯერ ადრეა, თუ არ გეძინებათ, მაშინ მოდით, ასე ვქნათ, — მიმართა იქ მყოფთ ალიასმა, — ყველა ჩვენთაგანი, სათითაოდ მოჰყვეს რაიმე სასაცილო, პატარა ამბავს. ჰა, რას იტყვით?

ყველას მოეწონა ალიასის აზრი.

— რაკი შენ წამოიწყე, პირველი ამბავიც შენ მოგვიყევი, — უთხრა თამშიგუმ ალიასს და მანაც დაიწყო:

ძველად, როცა ჩვენს ქვეყანას თავისი მეფე ჰყავდა, ჩვენს მხარეში ერთი დიდად პატივცემული თავადი, მაან ჰასანი ცხოვრობდა. ერთხელ ჰასანმა მეფის დაუკითხავად რაღაც საქმის გაკეთება მოისურვა. ეს რომ მეფემ გაიგო, განრისხდა და ყველას გასაგონად თქვა:

— თუ ჰასანი ასე ჩამიდგა ჯიბრში, მეფურ სიტყვას ვიძლევი, თავისი მხლებლებით ჯანდაგ ცხენზე შევსვამ, ხელში მათრახის მაგივრად წნელს დავაჭერინებ, მოკლე ჩოხას და ისეთ ფეხსაცმელს ჩავაცმევ, რომ ფეხის თითები უჩანდესო.

გაიგო ეს ჰასანმა და ღრმად ჩაფიქრდა. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს აი, რა მოიფიქრა: მონახა ერთი დავარდნილი ცხენი,

ძველი, გახეხილი უნაგირი დაადგა, ძველი ჩოხა ჩაიცვა, კურდ-ღლის ტყავის ქუდი დაიხურა, ხელში წნელი დაიჭირა და თავის ჯანდაგზე ამხედრებული მეფის ეზოში შევიდა.

სწორედ ამ დროს მეფე აივანზე იდგა თავისი თანმხლები დიდებულებით და ძალიან გაუკვირდა თავის სასახლეში ასერ-იგად ჩაცმულ-აღკაზმული მხედრის გამოჩენა.

ჰასანს არავინ გამოგებებია ცხენის ჩამოსართმევად. თვითონ ჩამოქვეითდა, ცხენი იქვე, ხეზე მიაბა და კიბეს აუყვა.

— ეს ხომ ჰასანია, მაან ჰასანი, დიდი თავადი! — წამოიძახეს გაკვირვებულმა დიდებულებმა.

მეფე ყველაფერს მიხვდა.

— ფუი, დაგწყევლოს ეშმაკმა! — წამოიძახა და პირზე ღიმილი გაუკრთა. — ახლავე სახლში შეიყვანეთ და ჩააცვით, როგორც ეკადრება. ის ცხენი კი თავის უნაგირიანად გარეთ გააგდეთ!

როცა ჰასანი მეფეს დაემშვიდობა და შინ წასვლა დააპირა, მეფის ბრძანებით ლამაზი ცხენი მიართვეს, შესვეს და გზა მშ-ვიდობისა უსურვეს. — დაამთავრა ალიასმა მოყოლა.

— რაკი ჰასანზე ჩამოვარდა სიტყვა, ერთი მისი ეშმაკობის ამბავს კიდევ მოგიყვებით, — თქვა ალიასმა და განაგრძო:

— მეფეს თურმე ქალიშვილი მოუკვდა. სამძიმარზე ზღვა ხალხი შეგროვილა. ყველა გლოვობდა, დასტიროდა მეფის ქა-ლიშვილს და მარხულობდა. ზოგს მართლა ეცოდებოდა მეფის ასული, ზოგი კი მოსაჩვენებლად, მეფის შიშით იმშრალებდა ცრემლებს. მაან ჰასანიც, რა თქმა უნდა, იქ იყო. რომ დაინახა, ხალხი მარხულობსო, მე აქ ლობიოს მეტს არაფერს მაჭმევე-ნო, — გაიფიქრა და გამოსავალის ძებნას შეუდგა. ბევრი აღარ უფიქრია, სასახლიდან გარეთ გამოვიდა და მეზობლის სახლში შევიდა. გამოეგებნენ მასპინძლები, რაღაც შეუძლოდ ვარო, — იცრუა ჰასანმა და ტახტზე წამოწვა. მასპინძლები საგონებელში ჩავარდნენ: — სამარხულო საჭმელი რომ შევთავაზოთ, ვაითუ

იუკადრისოს. სხვა რამე საჭმელს მივართმევდით, მაგრამ ახლა იმაზე არ გაგვიწყრეს, მეფე ქალიშვილსა გლოვობს და ამას როგორ მიბედავთო.

ჰასანი ჩუმად ყურს უგდებდა მასპინძლების ჩუჩუნ-ტუტუნს, მაგრამ ხმას არ იღებდა და ჩუმად უთვალთვალებდა, აბა, რას იზამენო. ბოლოს ველარ მოითმინა და იკითხა:

— იმ ქვაბში რა იხარშება?

— ლობიო, — უპასუხეს.

— მეორე ქვაბში რაღა თუხთუხებს?

— რძეა, შენი ჭირიმე, ამ წუთში მოვადუღეთ.

ჰასანმა თაროზე ორჯამიანს მოჰკრა თვალი და მასპინძელს უთხრა: — აი, ამ ჯამში დამისხით.

მიაწოდეს რძით სავსე ორჯამიანი.

ჰასანმა ჯამი სვენებ-სვენებით გამოცალა, კედლისკენ გადაბრუნდა და დაიძინა. მასპინძლებს გაეცინათ, — კარგად გამოძღა, მაგას რაღა მოკლავსო და თავი მიანებეს.

— ახლა შენი რიგია, ლევან, უნდა მოგვიყვე რამე, — შესძახეს აქეთ-იქიდან.

— რაც ამ საღამოს მოვისმინე და ვნახე, იმაზე უკეთესს მე რას გიამბობთ! — თქვა ლევანმა, მაგრამ აღარ მოასვენეს და იმანაც დაიწყო:

— ერთ წელიწადს მე, ბესლანი და ბათა მოწმეებად წაგვიყვანეს ქუთაისის სასამართლოში. მაშინ ჩვენი ოლქის უფროსიც იქ ბრძანდებოდა.

სასამართლოზე დაგვკითხეს, ბევრი გვაწვალეს, მაგრამ ახლა ამის მოყოლას მე არ ვაპირებ.

სასამართლო რომ დამთავრდა, ყველანი ცირკში წავედით.

ცირკის შუაგულში, კაი დიდ სიმაღლეზე თოკი იყო გაჭიმული და ზედ კაცი გადიოდა. ბათამ ეს რომ დაინახა — მოგეხსენებათ მაგისი სიფიცხის ამბავი — წამოხტა და ყვირილი ატეხა: ჩამოვარდება ეს კაცი, ხალხო, არიქა, ვუშველოთო. მოიხსნა ყა-

ბალახი, გადახტა შუა არენაზე და გაჭიმული თოკის ქვეშ დადგა. თურმე იმ დღეს წარმოდგენას გუბერნატორიც ესწრებოდა. ბათა რომ ამ დღეში ნახა, იფიქრა გიჟია ან ახლა გაგიჟდაო და ბრძანა: სასწრაფოდ საგიჟეთში წაიყვანეთო. ახლა გენახათ ბათას ყვირილი. ბესლანს უხმობდა საშველად. ბესლანი აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ აბა, ჯარისკაცებთან რას გახდებოდა, ისინი ხომ გუბერნატორის ბრძანებას ასრულებდნენ. წაიყვანეს ბათა საგიჟეთში.

მეორე დღეს ბესლანმა ძლივს დაარწმუნა გუბერნატორი, რომ ბათა გიჟი არ იყო და ისევ გუბერნატორის ბრძანებით წამოვიყვანეთ ბათა საგიჟეთიდან. სულზე მივუსწარით, თორემ ცოტა ხნით კიდევ რომ დაგვეგვიანებინა, ნამდვილად გაგიჟდებოდა.

— კაცმა არ იცის, მეხი საიდან გამოტყვრება. ხედავთ, სულ პატარა რაღაცის გამო კაცი კინაღამ არ გაგიჟდა, — სიცილით თქვა ალიასმა.

ამასობაში ირიჟრაჟა კიდევაც. ახლა კი დროა დავიშალოთო, — თქვეს ზოგიერთებმა. მაშინ მასპინძელმა მაგიდა ეზოში გამოატანინა და სუფრა ისევ გაიშალა. ღამისმთევლებმა მადლობა გადაუხადეს მასპინძელს, ერთმანეთს ჯანმრთელობა უსურვეს, მრავალს დავსწრებოდეთო, — თქვეს და თავ-თავიანთ სახლებს მიაშურეს.

XX

ერთ დილას ესმასთან მეზობლის ქალი მოვიდა და უთხრა: — თორყანის დედა, შარიფა, მძიმედ არის ავადო. ეს რომ ალიასმა გაიგო, ცოლს უთხრა:

— წადით შენ და კამაჭიჭი და ინახულეთ შარიფა, მე ვერ წამოვალ, რაღაც შეუძლოდ ვგრძნობ თავს.

— ძალიან ცუდად არისო, კაცო, ხომ გაიგონე, ღმერთმა დაიფაროს და რამე რომ დაემართოს იმ ქალს, ხომ მოგვეჭრა თავი.

— ასე უცებ რა უნდა დაემართოს?

— რა იცი, მოხუცია და... — თქვა ესმამ.

— შე კაი ქალო, აქაოდა მოხუციაო, რა მაშინვე სიკვდილისკენ უქცია პირი. „მწიფეს ესროდნენ და მკვახე ცვიოდაო", ხომ გაგიგონია. მოხუცია, მაგრამ რამდენი ახალგაზრდა გაისტუმრა! თუმცა იმასაც ამბობენ, „კოკა წყალს ყოველთვის ვერ მოიტანსო". თუ მართლა მძიმედ ავად არის, მაშინვე შემატყობინეთ. თუ არადა, ვერ ვარ კარგად, სხვაც არა იყოს რა, სახლსაც ხომ ვერ დავაგდებ ღვთის ანაბარა. აგერ, გაიხედე, ბოშებს კარვები გაუშლიათ მდინარის პირას, სულ აგვაოხრებენ.

— ეგეც მართალია, — დაეთანხმა ესმა ქმარს, კამაჭიჭს დაუძახა — წავიდეთო და ორივენი გარეთ გავიდნენ. გზაში რაფიდა შემოხვდათ. რაფიდამ რომ გაიგო, სად და რისთვის მიდიოდა დედა-შვილი, ისიც მათ გაჰყვა.

ალიასი მარტო დარჩა სახლში. ფიქრი მოეძალა მარტო დარჩენილს. აგერ, ერთი წელია სულ თავის სიბერეზე და ავადმყოფობაზე ფიქრობს. დღეს კი განსაკუთრებით მოეჯარა ფიქრი.

— მოჯამაგირე რომ დავიყენო, ერთ წელიწადს თუ გამიჩერდება, მეტს ვერა. ვიდრე საქმეს მიეჩვევა, სტუმარივით იქნება, ამასობაში ის ერთი წელიც გავა და ისევ სხვა უნდა ვეძებო. წისქვილში ერთი რუსი, სახელად ივანე, მუშაობს. ლევანი ახსენებს ხოლმე ხშირად. იქნებ ის ვიძმო და სახლში მოვიყვანო. რუსმა რა ძმობა უნდა გამიწიოს, მაგრამ რა ვქნა, ხალხს უთქვამს „უძმო კაცი ბოძს ეხვეოდაო". რატომ უნდა მითხრას უარი, პატივისცემა ჩემგან არ მოაკლდება, რაც მაქვს, თანაბრად გავუყოფ. ისიც ხომ ადამიანია, ჩვენს სიყვარულში დარწმუნდება, გული გაუთბება და თვითონაც შეგვიყვარებს. ასე გავიტანთ ერთმანეთს. მართალია, მე მისი ენა არ მესმის, იმას — ჩემი,

მაგრამ რა უჭირს, კამაჭიჭმა ხომ იცის ასე თუ ისე რუსული, ერთი-ორი სიტყვა მეც კი მესმის, ეს არაფერია, მთავარია კაცი იყოს, ადამიანი. თუ წესიერი და ალალი კაცი აღმოჩნდება, მეც მეტი რა მინდა. ვინც ჩვენ ვერ შეგვეწყობა, ის ვერც სხვაგან ივარგებს.

თუ ღმერთმა ინება და ივანე ჩემი ძმა გახდა, უცებ მაინც ყველაფერს ვერ დავპირდები. ვნახო ჯერ, რა კაცია. მაშინვე სახლ-კარს ხომ არ შევთავაზებ. მწყემსად ან მოჯამაგირედ რომ მომყავდეს, მაშინ კი ვიცი, როგორც უნდა მოვიქცე, სხვა კაცის ძმად მიღება კი სულ სხვა, საძნელო საქმეა. პირველ ხანებში სასმელ-საჭმელს და ტანსაცმელს მივცემ. სამი მეწველი კამეჩი და ექვსი მეწველი ძროხა მყავს. დღიდან ჩემთან მოსვლისა, ნამატის ნაწილი მისი იქნება. თუ ავად გახდება, მოვუვლი, არაფერს გავუჭირვებ. მიწას ერთად დავამუშავებთ, ერთად მოვხნავთ, ერთად დავთესავთ. უღელი ხარ-კამეჩი მყავს, გუთანი და ფარცხი კარგი მაქვს, მიწა კიდევ ბარაქიანი და მეტი რა გვინდა, ერთად ვიშრომებთ, ერთად ვიცხოვრებთ და არც საჭმელ-სასმელი მოგვაკლდება და არც ჩასაცმელ-დასახურავი.

ჩემი საქონლის ნამატის ნახევარი რომ მას მივცე, ორ-სამ წელიწადში საკუთარი საქონელი ეყოლება. უნდა გაყიდოს და მოიხმაროს, უნდა გაამრავლოს. ლევანი ამბობს, ნასწავლი კაცია, მისი დაწერილი არზა ქვას გახეთქავსო. კამაჭიჭიც რამეს ისწავლის მისგან. ჩემი ნატვრაც ხომ ის არის, ნასწავლ-ნაკითხი შვილი მყავდეს. თუ ცოლის მოყვანა მოინდომა, აგერ სახლ-კარი. ყველაფერში შევეხიდები. წისქვილში რა უნდა, მტვერში ამოგანგლული ლამის არის დაყრუვდეს.

დიდი ხანია გულში მაქვს ეს ამბავი, მაგრამ საკუთარ თავსაც ვერ ვუმხელდი. მეტი აღარ შემიძლია. როგორც კი ლევანი მოვა, ყველაფერს ვეტყვი. თუ მომიწონა განზრახვა, წავიყოლებ წისქვილში და მოელაპარაკოს ივანეს.

ამ ფიქრებში იყო ალიასი გართული, როცა ესმა და კამაჭიჭი შინ მობრუნდნენ. ალიასმა ღიმილით შეხედა ცოლ-შვილს.

— რაშია საქმე, კაცო, ისე იცინი, თითქოს დღეს მზე შენთვის ამოსულიყოს, — გაეხუმრა ესმა ქმარს.

— ხუმრობას თავი ანებე, შენ ის მითხარი, როგორ გრძნობს თავს ავადმყოფი?

— არც ისე ურიგოდ არის, მაგრამ რომ გადასულიყავი და გენახა, კარგი იქნებოდა, — მიუგო ესმამ.

ალიასს მეტი არაფერი უთქვამს, ადგა და შარიფას სანახავად წავიდა.

მეორე დღეს ლევანი მოვიდა და ალიასმაც გაანდო გულისნადები.

— ლევან, გულწრფელად მითხარი, მოგწონს თუ არა ჩემი არჩევანი?

ლევანი ჩაფიქრდა.

— ლევან, თუ რამე არ მოგეწონა ჩემს ნათქვამში, მითხარი, ნუ დამიმალავ.

— არჩევანი კარგია, ალიას, ვერ დაგიწუნებ, მაგრამ... ივანე, ცოტა არ იყოს, ერიდება ხალხში გამოსვლას და ამიტომ დადგა მეწისქვილედ. შენ გენდობი და გეტყვი: — ივანე სოციალისტია.

— ეგ რას ნიშნავს?

— მოკლედ გეტყვი. ივანე მეფისა და მისი წყობილების მტერია. მას მუშებისა და გლეხების კეთილდღეობისთვის აქვს თავი გადადებული, ამისთვის იბრძვის. ის ნამდვილი „ერთობის“ კაცია. „ერთობა“ ხომ გახსოვს?

— როგორ არ მახსოვს.

— ჰოდა, ივანე ერთ-ერთი იმათგანია. რუსეთიდან გამოქცეულმა თავი აქ შეაფარა.

— მე რომ ის სახლში მოვიყვანო, ამით მე ვითომ რამე დამიშავდება?

— საბუთები წესრიგში აქვს. აქ სხვისი სახელით ცხოვრობს. თუ ვინმემ არ დააბეზღა, ვერავინ ვერაფერს გაიგებს. ამიტომაც არ დადის ქალაქში და აქ, ამ მთის ძირას დაბინავდა.

— ქალაქში წასვლა რა აუცილებელია? მეც მირჩევნია სახლში იყოს. თუ საჭირო იქნება, ქალაქში მე თვითონ წავალ. ლევან, თუ ეს საქმე უდღეურად არ მიგაჩნია, მაშინ წამომყევი წისქვილში და ბარემ ივანესაც მოველაპარაკოთ.

ლევანი დაეთანხმა და ორივენი წისქვილისაკენ დაეშვნენ.

ალიასი და ლევანი რომ წისქვილში მივიდნენ, მეწისქვილე მოუსვენრად დაფუსფუსებდა და ფქვილით სავსე ტომრებს ერთმანეთზე აწყობდა. საქმეს რომ მორჩა, გარეთ გამოვიდა. მეწისქვილე მაღალი, თხელი, წვერგაუპარსავი და თმაგაბურძგნული კაცი იყო. ძველი, გახუნებული ტანსაცმელი ეცვა და სასიამოვნო ხმა ჰქონდა.

ლევანმა დაწვრილებით უამბო ივანეს, რისთვისაც იყვნენ მოსულები. როცა ლევანი ლაპარაკობდა, ივანეს სახე უნათდებოდა, ეტყობოდა, სიამოვნებდა რასაც ეუბნებოდნენ.

— ორ-სამ დღეში აქედან წასვლას ვაპირებდი, — თქვა ივანემ, როცა ლევანმა დაამთავრა ლაპარაკი... — მომბეზრდა წისქვილი, საერეკელას რაკუნმა ყურები გამიხვრიტა, ღამე აღარ მაძინებს. ალიასს კარგად ვიცნობ, როგორც ამ სოფლის ყველა მცხოვრებს. ვიცი, რომ ძალიან კარგი ადამიანია. მომწონს მისი წინადადებაც, მადლობის მეტი რა მეთქმის, მაგრამ... — აღარ დაამთავრა და ლევანს გადახედა.

— მეც ვიცი ეგ „მაგრამ“ რასაც ნიშნავს და ალიასმაც. ჩვენი მხრიდან საფრთხე არ მოგელის, თუ შენ თვითონ არაფერს გადაეყრები.

ერთი სიტყვით, ივანეს ჭკუაში დაუჯდა ალიასის ნათქვამი. ალიასმა სთხოვა ლევანს, ქაღალდზე ჩამოეწერა ყველაფერი, რის მიცემასაც ჰპირდებოდა ივანეს. ივანემ უარი განაცხადა ამაზე, მაგრამ ლევანმა უთხრა — ასეა საჭიროო და იმანაც ხმა აღარ ამოიღო. ალიასს სურდა გაეგო, როდის აპირებდა ივანე მასთან გადასვლას. — დღეს და ხვალ არ შემიძლია, მეწისქვილესთან რაღაც ანგარიშები მაქვს გასასწორებელი, ზეგ კი

უეჭველად გადმოვალო, — თქვა ივანემ და მერე დაუმატა: — თუ შეიძლება, ნათესავ-მეზობლებს ჯერ ნურაფერს ეტყვით, მერე ხომ თვითონაც დამინახავენ. ჯერ ვიტყვი, წისქვილმა თავი მომაბეზრა და ალიასს შევეკედლე-მეთქი. დიდხანს რომ დავრჩები, მერე იტყვიან, წასასვლელი ვერსად მონახა და შერჩა ალიასსო. თანდათან თვალსაც შემაჩვევენ და თუკი როდისმე რამეს იტყვიან, კიდევ მოვიგონებთ რაიმესო.

— ძალიან კარგად მესმის, რასაც შენ ამბობ, მაგრამ მე სულ სხვანაირად მქონდა მოფიქრებული. ჩვენი დაძმობილების აღსანიშნავად სუფრა არ გავშალო, ჩემი სირცხვილი იქნება.

— ეს შეუძლებელია. სუფრა კი არა და ჩვენი შეთანხმების ამბავიც კი არავინ არ უნდა გაიგოს. თორყანი, ქუაბლუხი, რაფიდა და მისი მეუღლე მაცი თქვენი ახლო ნათესავები არიან, მაგრამ ჯერჯერობით მათაც ნურაფერს ეტყვით იმაზე მეტს, რასაც თვითონ დაინახავენ, — უთხრა ალიასს ივანემ. ლევანმაც მას დაუკრა კვერი.

თავიდან ალიასს მაინცადამაინც არ მოეწონა ეს ყველაფერი, მაგრამ ცოტა რომ დაფიქრდა, — იქნებ ასე აჯობებსო — თქვა იმანაც.

— მაშ ასე, ზეგ საღამოს ორივეს ჩემთან გელოდებით. — ამ სიტყვებით დაემშვიდობა ალიასი ლევანს და ივანეს და გახარებული სახლში დაბრუნდა.

როგორც კი ალიასი ეზოში შევიდა, ესმას და კამაჭიჭს მოჰკრა თვალი, რომლებიც აივანზე გადმომდგარიყვნენ და მას ელოდებოდნენ.

— ისეთი რიხით მოდიხარ, გეგონება შენია ეს ქვეყანა, — გაკენწლა ესმამ ქმარი.

— ახალი ამბის გაგონება გინდა და ვერ ისვენებ, ხომ! ისა სჯობია, რამე მაჭამო, დილას აქეთ ლუკმა არ ჩამსვლია პირში, — უპასუხა ცოლს ალიასმა და სახლში შევიდა.

— დარწმუნებული ვარ, მართლაც იცი რაღაც ახალი ამბავი

და მიმალავ. მაგრამ ნურას უკაცრავად, სანამ არ იტყვი, საჭმელს ნურც მოიკითხავ, — მიუგო ესმამ ისე, რომ აივნიდან ფეხი არ მოუცვლია. ცოდვა გატეხილი სჯობია და, ალიასს თვითონაც ერთი სული ჰქონდა, ყველაფერი ეამბნა ცოლ-შვილისთვის, მაგრამ უნდოდა შეხვეწნოდნენ და ამიტომაც არ იღებდა ხმას.

— რაკი არ იშლი, გეტყვით, — თქვა ბოლოს ალიასმა და სათქმელად მოემზადა. კამაჭიჭიც იქვე ჩამოჯდა და სმენად იქცა.

— დღეს მე და ლევანი მეწისქვილე ივანესთან ვიყავით, ხომ იცი რუსი ივანე, ლევანი ახსენებს ხოლმე ხშირად.

— რაო მერე, რა გითხრა? რა კაცი ხარ, თუ იქ მიდიოდი, ვერ გვითხარი? — უსაყვედურა ესმამ ქმარს და სახეზე მოუთმენლობა დაეტყო.

— ვიფიქრე, ვაითუ არაფერი გამოვიდეს ამ საქმიდან და ცოლ-შვილს გული ტყუილად რატომ დავწყვიტო-მეთქი, — მიუგო ალიასმა. — ახლა კი ყველაფერს დაწვრილებით გეტყვით.

— ჩქარა გვითხარი, კაცო, რაღას აჭიანურებ, როგორ არის საქმე?

— დამთანხმდა, ქალო, დამთანხმდა. ზეგ საღამოს მოვალო — შემპირდა. ის და ლევანი ერთად აპირებენ მოსვლას.

ესმამ და კამაჭიჭმა ერთმანეთს გადახედეს და სახე გაუნათდათ.

— მაინც რაო, რა თქვა, ან შენ რას დაპირდი?

— რაც მე და შენ არაერთხელ გვიფიქრია და აგვიწონ-დაგვიწონია, იმას დავპირდი, დიდად ნასიამოვნები დარჩა. არც არაფერი საბუთი მინდა, ვიცი რა ხალხიც ხართ და გენდობითო, — ასე მითხრა, მაგრამ მე მაინც ჩემი გავიტანე. თურმე ისედაც აპირებდა წისქვილიდან წასვლას, — ვინმეს მინდოდა შევკედლებოდიო — მითხრა. ჩემი სიტყვა ძალიან მოეწონა და მაშინვე დამთანხმდა.

— მაშ ზეგ მოვა, არა? — თითქმის ერთდროულად წამოიძახეს დედა-შვილმა.

— ჰო, ასე მითხრა, ზეგ მოვალო. მენისქვილესთან ჰქონია რაღაც საქმეები მოსაგვარებელი.

ალიასმა შეხედა გახარებულ, პირმცინარ ესმასა და კამაჭიჭს და ღიმილით უთხრა:

— მარტო ამბად ნათქვამმა რომ ასე გაგახარათ, ის კაცი რომ მართლა მოვა, მაშინ რაღას იზამთ.

— რა ვიცი აბა, რატომ არ უნდა მიხაროდეს, აგერ, ერთი წელია სულ იმ კაცზე და მასთან დაძმობილებაზე მელაპარაკები და, მგონი, აგიხდა კიდევაც გულისწადილი. ჩვენ უკვე დროული ხალხი ვართ, ლამის წაგვიღოს ამდენმა საქმემ. ცოტას წამოგვეშველება ის კაცი, აბა რას იზამს. ამ გოგოს რომ უყურებ, დღედაღამ წიგნებს ჩაჰკირკიტებს, მაგრამ ოჯახის საქმეც ბევრი აქვს, ხბორებს ეგ უვლის, აქეთ მეც მეხმარება. დაიღალა საწყალი. ლევანი ამბობს, ის ივანე ნასწავლი კაციაო. ჰოდა, ჩვენი გოგო მისგანაც ისწავლის რამეს, ჩემი სიხარულის მიზეზიც ეს არის.

— იმ კაცს ხომ უნდა დახვედრა, რას აპირებ? — ჰკითხა ესმამ ქმარს.

— ზედმეტი ხმაური საჭირო არ არის. ასე მირჩია ლევანმა და მართალიცაა. ადრეც მითქვამს შენთვის, ივანე, ცოტა არ იყოს, ხალხს ერიდება და ნურც ახლა გადაუვალთ იმ კაცის ნებას. არც ის ვთქვათ, რატომ და რისთვის მოდის ის კაცი ჩვენთან. მობეზრდა წისქვილში მუშაობა და ჩვენ შემოგვეკედლა-თქო, ასე თქვით.

— მესმის, ყველაფერი კარგად გავიგე. რადგან ასე სურს, ჩვენ წინ როგორ წაუვალთ, — თქვა ესმამ.

ოჯახი დიდი ხნის მონატრებული ნათესავივით ელოდებოდა ამ კაცის მოსვლას.

გაიხარა ალიასმა და ოჯახიც გაახარა. ახლა შეუძლია ტკბილად, უდარდელად დაიძინოს, მაგრამ ორი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. ძილგამტყდარს კი ფიქრი მოეძალა. ფიქრობდა

თავის წარსულზე, დღევანდელ დღეზე, ფიქრობდა ოჯახზე, ნათესავ-მეგობრებზე, მეზობლებზე, თავად-აზნაურობაზე, წრიალებდა ლოგინში, ვერ ისვენებდა.

— ორი კაცი რომ მოტრიალდება ოჯახში, სულ სხვა საქმეა. თუ ღმერთმა ხელი მოგვიმართა, სასმელ-საჭმელის, ჩასაცმელის და სხვა ხარჯების ფული რომ არ ვიანგარიშოთ, მარტო სიმინდმა ორას-სამასი მანეთი უნდა მოგვცეს წელიწადში. თუ ვენახმა არ გვიმტყუნა, ერთი ორას-სამასი მანეთი იქიდანაც უნდა დაგვრჩეს. რასაც ჩვენ დავლევთ, იმას არა ვთვლი. ამდენი ფული სოფელში მცხოვრები კაცისთვის კაი სიმდიდრეა. თუ ხელი არ დავაკელით, სამ-ოთხ წელიწადში საქონელიც მოგვიმრავლდება და მეტი არც ჩვენ გვინდა, — ფიქრობდა ალიასი და უცებ გაყუჩდა. გულში რაღაცამ გაჰკრა და არ ესიამოვნა, საიდანღაც ნაღველი შემოპარვოდა. მერე ეს ნაღველი გაიზარდა, გაიზარდა და ალიასის გულსა და გონებას დაეპატრონა:

„ეხ, როგორც კი ცოტა ფულს მოვიქონიებთ, მაშინვე უამრავი მტერი და მოშურნე გამოგვიჩნდება. თავადაზნაურობას ხომ სულ ჩვენს გაყვლეფაზე უჭირავს თვალი. თუ ერთი შეგატყვეს, რომ ოჯახი ფეხზე გიდგას და საჭმელ-სასმელი გეშოვება, დაიწყებენ სუნსულს მშიერი მგლებივით და სანამ უკანასკნელ ძვალს არ გამოხრავენ, თავს არ დაგანებებენ. ნებით არ მისცემ და — ძალით წაგართმევენ, წინ ვინ დაუდგებათ. არჩევანი შენზეა — ან ნებით უნდა გაატანო, ან არადა გაუძელი იმათ თარეშს, თუ ბიჭი ხარ! თუ კარგი ცხენი გყავს, გიჟდებიან, ჩვენზე უკეთესი ცხენი მაგას რატომ უნდა ჰყავდესო, საქონელს შეგაგულებენ და — იმათი ქორწილი თუ ქელეხი შენ უნდა გაისტუმრო. ცოტანი რომ იყვნენ, კიდევ აუვიდოდათ კაცი, მაგრამ იმდენი არიან, თითოს თითო ცხვარი რომ მისცე, შენ ულუკმაპუროდ დარჩები.

აგერ, ძმები ჯიკირბები. ბევრნიც იყვნენ და მუშაობაც კარ-

გი იცოდნენ. ოცამდე მარტო ცხენი ჰყავდათ, ოცი-ოცდაათი სული კამეჩი, ცხვარ-ძროხა და სხვა წვრილფეხა საქონელი. ისე მოამრავლეს პირუტყვი, რომ საკუთარი ნიშანიც კი შემოიღეს — „ჯიკირბების ნიშანი". ამ ნიშნით დაღავდნენ თავიანთ პირუტყვს, მაგრამ დიდხანს ვინ ახეირათ! „ჯიკირბებს საკუთარი ცერის უფლება ვინ მისცა, ჩვენ რატომ უნდა გვიტოლებდნენ თავსო", — ატყდნენ თავად-აზნაურები და იმდენი ქნეს, ორ წელიწადში თიკანი აღარ დაუტოვეს საწყლებს. თუ მოგვდგნენ, არც ჩვენ დაგვაყრიან ხეირს.

უქნარა და ავყია ხალხია თავადობა, სხედან ფეხი-ფეხზე გადადებულები თავიანთ სახლებში და იმის ფიქრში ამოსდით სული, ვის რა წავართვათ და წავგლიჯოთო. ეშმაკობაც ხომ მაგათი მოგონილია. წაკიდებენ ერთმანეთს საწყალ გლეხობას, ერთი მეორეს საქონელს იპარავს და იმ ნაპარავსაც თავადთან მიარბენინებს, ვინც ის გააქეზა. ჩივილი რომ გინდოდეს, ვერ იჩივლებ. გაიკითხ-გამოიკითხავ და გაიგებ, რომ ის შენი ძროხა თუ კამეჩი, აგერ, შენს მეზობელს, ნათესავს და მეგობარს მოუპარავს. მერე იმ ქურდს აპატიმრებენ, ის კი, ვინც მთავარი დამნაშავეა, ყურსაც არ იბერტყავს, ზის სახლში არხეინად და დაშაქრულ ჩაის მიირთმევს.

ჩაის სმაზე გამახსენდა, ამას წინათ ალმასხანთან მივედი რაღაც საქმეზე. თოფი მქონდა თან, ცხენის ფასად ნაყიდი. შემომიჩნდა ალმასხანი, — გამჩენს გაფიცებ, რამდენი ხანია ასეთ თოფზე ვოცნებობ და თუ ჩემი პატივისცემა გაქვს, უნდა დამითმოო. რა უნდა მექნა, მივეცი. კიდევ კარგი, ადამიანურად მაინც მთხოვა...

ოთახში რომ შევედი, ქალბატონი დავინახე, ტახტზე წამოწოლილიყო და ჩაის სვამდა. ავად ხომ არ ბრძანდებით-მეთქი? — ვკითხე, — რაღაც შეუძლოდ ვარო, მითხრა, გავიხედე და ალმასხანიც ჩაის არ ხვრიპავს! ასე თუ მომიარეს, ასს კი არა, ორას წელს ვიცოცხლებ. თუმცა, თავადები იშვიათად ცოცხ-

ლობენ ას წლამდე. ალბათ იმიტომ, რომ ბოღმით აქვთ გულები სავსე, ბოღმიანი კაცი კი დიდხანს ვერ ცოცხლობს“.

ამ ფიქრებში იყო ალიასი გართული, როცა ფანჯარაში მზის პირველმა სხივმა იჭიატა. ალიასმა ჩაიცვა, მერე გარეთ გავიდა და საქონელს გახედა.

მთელი დღე მუხლი არ ჩაუხრია. საღამოს პირუტყვი დააბინავა და დაწვა. ორი ღამის უძილოს და დაღლილ-დაქანცულს მაშინვე ჩაეძინა და დილამდე მშვიდად ეძინა. დილით მამლის დაყივლებამდე ადგა. კარგ გუნებაზე იყო. დღეს საღამოს ხომ ივანე უნდა მოსულიყო. ესმა და კამაჭიჭიც ჩვეულებრივზე ადრე ადგნენ, ყველას ერთი საფიქრალი გასჩენოდა, თქმით კი არაფერს ეუბნებოდნენ ერთმანეთს. საქმეში გაერთნენ, მაგრამ ბოლოს მაინც ველარ მოითმინეს:

— ივანეს ალბათ ლევანიც მოჰყვება და ქათმები მაინც დაგვეკლა, — თქვა ესმამ.

— ერთი-ორი ქათამი დაკალი. ღვინო კარგი გვაქვს, ვერ დაგვიწუნებენ, დავჯდეთ და დავლოცოთ ერთმანეთი, — მიუგო ალიასმა.

ახალი შებინდებული იყო, როცა ლევანმა და ივანემ ჭიშკარი შემოაღეს. მასპინძლები სტუმრებს გაეგებნენ. ყველას უხაროდა მათი დანახვა. ლევანი რომ მხიარული კაცი იყო, იცოდნენ, მაგრამ კამაჭიჭის ნათლიას არც ივანე ჩამორჩებოდა ხუმრობაში. ისე თავისუფლად ეჭირა თავი, თითქოს ამ ოჯახის ხშირი სტუმარი და შინაური კაცი ყოფილიყოს.

— აბა, სად არის ის თქვენი მორუსულე ქალიშვილი, დამანახეთ, — თქვა ივანემ.

დაუძახეს კამაჭიჭს და ივანეს გააცნეს. გოგონამ ჯერ დაირცხვინა, ხმა ვერ ამოიღო რუსულად, მერე კი ნელ-ნელა მოერია თავს და თამამად ჩაერთო საუბარში. უყურებდა მათ ალიასი და გული სიხარულით ევსებოდა. ეს ივანეც როგორი გამოცვლილია. სადღაა ფქვილში ამოგანგლული, წვერგაუპარსავი კაცი. გამოუძინია, სუფთად ჩაუცვამს და ნახე, რა ვაჟკაცია...

ცოტა ხანში სუფრას შემოუსხდნენ. პირველად ჭიქა ალიასმა ასწია და თქვა:

— დად, ლევან, ამ ჭიქით მე ივანე მინდა ვადღეგრძელო, რომელიც დღეს პირველად არის ჩემს ოჯახში და ვისაც მე ძმობა და მეგობრობა შევთავაზე. დად, ივანე, რასაც ახლა მე შენ გეტყვი, ლევანი ყველაფერს გითარგმნის. დღესდღეობით ჩვენ ერთმანეთის ენა არ გვესმის, მაგრამ როგორც უკვე გითხარი გუშინწინ, ერთ წელიწადში ან შენ აგალაპარაკებ აფხაზურად, ან მე ვისწავლი რუსულს. ცოტას უკვე ლაპარაკობ აფხაზურად, ჩემი დამტვრეული რუსულიც ხომ მოგასმენინე გუშინწინ. რა გაცინებს, ლევან, ვერ გამოვიჩინე დიდად თავი, ხომ? ეგ არაფერი, — თქვა ალიასმა და სადღეგრძელო გააგრძელა:

— ღმერთმა ქნას, არ მოგბეზრებოდეთ. ჩვენი მხრიდან კი ეს არასოდეს მოხდება. დღეიდან ჩემი ოჯახის წევრი ხარ, ჩემი ჭირისა და ლხინის მოზიარე. მე საქონელსა და ქონებას დაგპირდი, მაგრამ თუ დაგჭირდა, თავს განაცვალებ. მე საქონელი კი არა, ადამიანი მჭირდება. ასეთ ადამიანად კი შენ დაგიგულე. დღეიდან ჩვენ ძმები ვართ და მხოლოდ ერთგულება გვმართებს ერთმანეთისა. იცოცხლე! — დაამთავრა ალიასმა სადღეგრძელო და ჭიქა გამოსცალა.

ლევანმა ალიასის ნათქვამი სიტყვა-სიტყვით უთარგმნა ივანეს და ახლა თვითონ აიღო ჭიქა ხელში, დალოცა ივანე, — თქვენს ძმობას გაუმარჯოსო — თქვა და დალია. მერე ესმამ თქვა სადღეგრძელო. კამაჭიჭსაც დაალევინეს ცოტა ღვინო.

ბოლოს ივანე ადგა, ჭიქა ასწია და ასეთი სადღეგრძელო წარმოთქვა:

— დიდ მადლობას მოგახსენებთ დღეგრძელობისთვის. სიკეთით გადამეხადოს თქვენი პატივისცემა, ნამდვილი ძმობა გამეწიოს. ალიას, საქონელი ახსენე წეღან შენ. ღმერთმა სიკეთეში მოგახმაროს შენი ნაშრომ-ნაამაგარი, ამაზე მერე ვილაპარაკოთ. მუშაობა კი კარგი ვიცი. ლევანმა იცის ჩემი ამ-

ბავი, მერე და მერე თქვენც გამიცნობთ. იცოცხლეთ! — დაამთავრა ივანემ სადღეგრძელო.

გვიანობამდე ისხდნენ მოყვრები სუფრასთან. ხან მთისა თქვეს, ხან — ბარისა. კამაჭიჭი გიტარას უკრავდა და მღეროდა, მღეროდა ტკბილად, გულისშემძვრელად. მერე ლევანიც აჰყვა და ბოლოს ივანემაც თქვა ბანი. გათენებას აღარაფერი უკლდა, რომ აიშალნენ. კაცები აივანზე გავიდნენ და ახლა იქ გააგრძელეს საუბარი. სიტყვამ მოიტანა და ლევანმა თქვა, გუშინ ოჩამჩირეში ვიყავიო.

— რა არის ახალი ოჩამჩირეში? — ჰკითხა ალიასმა.

— ისეთი არაფერი, მაგრამ შენ რომ აქებდი, — გამომძიებელი წერეთელი კარგი კაციაო, — იმის შესახებ მოგიყვები რაღაცას. ივანეს უკვე მოვუყევი და ახლა შენ გეტყვი, რა ქნა იმ გამომძიებელმა. რამდენიმე დღის წინ ოჩამჩირეში სოხუმის პროკურორი, ფონ კლუგენი ჩამოვიდა, გამომძიებელ წერეთელთან ჰქონია რაღაც საქმე. ოლქის უფროსის მოადგილეს პარხანოვს — შენც ხომ იცი, ვინ არის ის პარხანოვი — სუფრა გაუშლია და ფონ კლუგენი და წერეთელი დაუპატიჟნია. პურ-მარილზე მათ გარდა რამდენიმე სხვა კაციც ყოფილა მოპატიჟებული. სადილის შემდეგ კარტის თამაში დაუწყიათ. პროკურორ ფონ კლუგენს მეფის სამსახურზე, მოხელეების მუშაობაზე ჩამოუგდია ლაპარაკი: „ყველა როდი ვართ ღირსი ხელმწიფის სამსახურში ვიდგეთო. ზოგი მართლა კარგად მუშაობს, უმეტესობა კი მეფესაც ატყუებს და ქვეყანასაც. ნამდვილი საქმისთვის თავდადებული მუშაკები ცოტანი არიანო"...

— რატომ, ისეთი მუშაკები, ხელმწიფეს რომ ერთგულად ემსახურებიან, არც ისე ცოტააო, — შეპასუხებია წერეთელი.

— არ გეთანხმებით, — არ იშლიდა თურმე თავისას პროკურორი.

— თქვენ მაინც რომელ ნაწილს მიეკუთვნებით, — უკითხავს ახლა წერეთელს.

— ჩემისთანა ერთგული მსახური მეფეს თითზე ჩამოსათვლელად ეყოლებაო, — უთქვამს ფონ კლუგენს. სიტყვა ბოლომდე არ ჰქონია დამთავრებული, რომ წერეთელს მუშტი უთხლეშია პროკურორისთვის სახეში და ორი წინა კბილი ჩამოუმტვრევია. სტუმრები ძალიან შეწუხებულან., მაგრამ მოჩხუბრები უხმოდ გასულან გარეთ და მათაც აღარაფერი უთქვამთ. ფონ კლუგენი ყბაახვეული იჯდა ოთახში და ფეხი არ მოუცვლია სოხუმიდან გემის ჩამოსვლამდე. გემი ნაშუადღევს ჩამოვიდა, ჩამჯდარა პროკურორი გემში და პირდაპირ ბათუმში წასულა კბილების ჩასასმელად. სოხუმში უკბილოდ გამოჩენა არ უნდოდა თურმე...

— მერე, არ უჩივლა წერეთელს? — ჰკითხა ალიასმა ლევანს.

— რომ ეჩივლა, ორივე დაკარგავდა სამსახურს.

— თუ სამაგიეროს გადახდის თავიც არა აქვს, ახი ყოფილა მაგაზე. იაროს ახლა ნაბეგვმა და იძახოს, მე ვარ, ვინცა ვარო.

მერე ალიასმა ლევანსა და ივანეს ძილი ნებისა უსურვა და თვითონაც დაწვა დასაძინებლად.

ალიასი ალიონზე დგებოდა ხოლმე. მეორე დილას კი, თითქოს მოილაპარაკესო, ყველა დილაუთენია ადგა. ლევანმა და კამაჭიჭმა ივანე ალიასთან მიიყვანეს, რომელიც საქონელს დასტრიალებდა თავს. ალიასმა აჩვენა ივანეს სახბორე, დაათვალიერებინა საჯინიბო, მარანი, სასიმინდე და ბაღ-ვენახი. ამასობაში ესმამ საუზმეზე უხმო ყველას. საუზმის მერე ლევანს ცხენი შეუკაზმეს, მან მადლობა გადაუხადა ალიასს მასპინძლობისთვის, ივანეს გასძახა — აბა შენ იციო — და წავიდა. მარტო დარჩენილმა ალიასმა და ივანემ კი განაგრძეს საუბარი. ახლა მათ კამაჭიჭი თარჯიმნობდა.

XXI

აღდგომა დღე იყო. სოფელი ლხინობდა და პურმარილობდა. ალიასის სახლშიც საღამომდე არ გამოლეულა წამსვლელ-მომსვლელი, შეღამებულზე კი თორყანი, მაცი, ედგიაცი და სამი სხვა კაცი ესტუმრნენ. მერე ლევანიც შემოესწროთ. ყველა მხიარულობდა, მათ შორის ივანეც, რომელიც ხუმრობა-სიცილში დანარჩენებს არ ჩამორჩებოდა. მალე სუფრაც გაიშალა და ალიასმა ღვინო ჩამოასხა. სტუმრები დიდად აღარ დასძალებიან სასმელს, რადგან მთელი დღე სვამდნენ და ისედაც საკმაოდ იყვნენ უკვე შეზარხოშებულნი. საუბრობდნენ და ერთმანეთს ათასგვარ ამბავს უყვებოდნენ. მერე კამაჭიჭმა ჩონგური აიღო და დაამღერა.

— მომენატრა კამაჭიჭის სიმღერა და ჩონგური, იმიტომაც უფრო მოვედი, — თქვა თორყანმა, რომელსაც სიამოვნებისაგან თვალები უბრწყინავდა.

— მეც ეგ უნდა მეთქვა და შენ დამასწარი, — გაიცინა მაციმ და გოგონას ალერსით გადახედა.

ამ ლაპარაკში იყვნენ, როცა თორყანმა ივანეს ჰკითხა, რასა იქმს „შენი ბოსტანიო“.

— ბარაქიანია აფხაზეთის მიწა, — დაიწყო დინჯად ივანემ. — ზამთარ-ზაფხულ მოსავალს იძლევა. საქონელიც კარგად მრავლდება. როცა ეს ყველაფერი ვნახე და გავიგე, ერთი პირობა გავიფიქრე, აფხაზები ალბათ ზარმაცი ხალხია, თორემ ცხოვრება ასე არ უნდა უჭირდეთ-მეთქი. მერე და მერე დავრწმუნდი, რომ არც მთლად ასეა საქმე. ალიასმა კარგი ყანა და თამბაქო მოიყვანა, მე კი ბაღჩა-ბოსტანს ვუვლიდი და კარგადაც მიმიდიოდა საქმე. ძალიან იყოჩაღა კამაჭიჭმაც, ხან მე მეხმარებოდა, ხან — ალიასს. საუბედუროდ, სოფელში თანდათან მოშურნეები გამოგვიჩნდნენ. აქვე, ყურისძირში ერთი უქნარა ცხოვრობს, სახელად ალდიზი. დიდი ქურდბა-

ცაცა ვინმეა. ხშირად აუვლიდ-ჩაუვლიდა ხოლმე ჩვენს ბაღ-ჩას და დიდხანს ათვალიერებდა. ერთ ღამეს კი თხუთმეტამდე ძროხა და კამეჩი შეესია ამ ჩვენს ბოსტანს და სულ ერთიანად გააპარტახა. ალდიზის საქონელიც შიგ ერია თურმე და რო-გორც გავიგეთ, თვითონ იმ ძაღლთაპირს გაურღვევია ღობე და გზა მიუცია პირუტყვისთვის. ნაკლები დღე არც იმ ჩვენს ყანას დასდგომია. აბა, რაღა მოსავლის იმედიღა უნდა გვქონოდა. წყ-ალში ჩაგვეყარა ამოდენა შრომა. ან რა ხალისით უნდა ვიმუშ-აოთ წელს. ეგ კიდევ არაფერი. ცხენი ვიყიდეთ მე და ალიასმა, კარგი, მუშა ცხენი, მაგრამ რად გინდა! — ამ შემოდგომაზე მოგვპარეს. ცხენს ორი ხარი და ერთი ძროხაც ზედ მიაყოლეს. ალიასი კი იძახის, მგლებმა დაგლიჯეს ალბათო, მაგრამ კვალს რომ ვერსად მივაგენით! ძნელია ასე ცხოვრება, ძალიან ძნელი. აბა, ასე რა ბარაქა შემოვა ოჯახში. სადაც ასეთი ქურდობა და მოშურნეობაა, იქ კაცი საქმეს თავს ვერ დაადგამს და ცხოვრე-ბაც გაუჭირდება, — დაასრულა ივანემ ნათქვამი.

— ეხ, დად, ივანე, შენ ეგ ახლა გაიგე და გიკვირს, ჩვენ კი ლა-მის ბოღმითა და დარდით თავები დავიხოცოთ. წელებზე ფეხს ვიდგამთ, დილიდან საღამომდე მუხლს არ ჩავხრით, რომ ოჯახს სარჩო-საბადებელი არ მოვაკლოთ და სტუმართანაც სირცხვი-ლი არ ვჭამოთ. მაგრამ რა გამოდის — ქურდი ჩვენა გვპარავს, აბრაგი ჩვენ გვძარცვავს და სხვა ათასი ჯურის მუქთახორა შემოგვყურებს კიდევ ხელებში. ვინ არის ჩვენი გამკითხავი და პატრონი, — თქვა თორყანმა.

— თქვენ დღეს ხომ არ გაიგეთ, ვინ არის ჩვენი მტერი და მოყვარე. თავადაზნაურობა რომ პირიდან ლუკმას გვაცლის, ეს რა ახალი ამბავია. ახალ ამბავს, თუ გინდათ, მე მოგიყვებით, — ჩაერთო საუბარში ლევანი. — დღეს ნაჰარბეი ჩაჩბა სოხუმიდან ტამიშში, თავის მამულში ამოვიდა, დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი ძღვენს ეზიდება მასთან.

— დღეს რომ ასეთი ამბავია, ხვალ ალბათ, მისასალმებლა-დაც ველარ მიუახლოვდები, — თქვა თორყანმა.

— მართალია, — დაუდასტურა ლევანმა, — ჩემი ყურით გავიგონე, ერთი ეუბნებოდა მეორეს, — დღესვე თუ არ მიუტანე რაიმე, ხვალ უკვე ველარ გაიგებს, ძღვენის მოსატანად მიხვედი თუ ისე, სანახავადო. სჯობია დღესვე მიხვიდე, არც ხალხია იმდენი, მიდი, დაგინახავს, შეიძლება გითხრას კიდეც რაიმე, გამოგელაპარაკოსო.

ალიასმა ესმას გადასძახა: — გესმის, რას ამბობს ლევანი, ნაჰარბეი ჩაჩბა ჩამოსულა, კარგი ძღვენი მოუმზადე... დილით ადრე წავალთ ალბათ.

— რაც არ უნდა ადრე ავდგეთ, თქვენ იქ პირველები მაინც ვერ მიხვალთ, ისე კი, რა თქმა უნდა, მაინც ადრე წასვლა სჯობია, — თქვა თორყანმა. მერე გაიცინა და ალიასს უთხრა:

— ნაჰარბეისთან ძღვენი არავის გაატანოთ იცოდეთ, თვითონ წაიღეთ, თორემ კუასტას ბედი არც თქვენ აგცდებათ, ხომ იცით, რა დაემართა მაგ საცოდავს! ნაჰარბეი ჩაჩბასთან ძღვენი წაეღო თურმე, მაგრამ რაც რამ მიჰქონდა, ყველაფერი იალსას ბიჭს — კუჭირს დააჭერინა ხელში და ისე ეახლა ნაჰარბეის. დიდი ეშმაკი ვინმეა ნაჰარბეი. დაინახა კუასტა, მიხვდა, რომ ძღვენი მოჰქონდა, მაგრამ მისი გაპამპულება მოინდომა თუ რა, არ ვიცი, — კუჭირს კიბეზე დახვდა, ყვერული და ხაჭაპურები გამოართვა და სახელი ჰკითხა. „კუჭირი მქვია" — უპასუხა ბიჭმა.

— ვისი ხარ?

— გიდის.

— დედაშენს რა ჰქვია?

— იალსა.

— დღეგრძელი იყავი, დად, კუჭირ. ჩემგან დიდი მადლობა გადაეცი გიდის და იალსას ძღვენისათვის. ახლა კი გაიქეცი.

ბიჭი გაწითლდა, დაიმორცხვა, მაგრამ ჩუმად მაინც უთხრა თავადს:

— დედაჩემმა გუშინ მოგართვათ, ეს ძღვენი კი კუასტას მორთმეულია.

კუასტას ფეხქვეშ მიწა რომ გახეთქოდა და შიგ ჩაეტანა, ის ერჩივნა.

— არა, დად, კუასტა ამაყი კაცია, ჩემთან ძღვენის მოტანას არ იკადრებდა. მოტანა რომ ნდომებოდა, მაშინ თავისი ხელით მომიტანდა. რადგან ეს ყვერულები და ხაჭაპური შენ გამოგართვი, ესე იგი, შენი მოტანილია, გიდიმ და იალსამ გამოგატანეს ჩემთან, — უთხრა ბიჭს ნაჰარბეიმ და ყვერულები და ხაჭაპური ზანგ ქალს — ფატმას გადასცა.

გაშრა კუასტა, დანა რომ დაგერტყათ, წვეთი სისხლი არ გამოუვიდოდა. გამოტრიალდა უკან და ხალხს შეერია, ისეთი გრძნობა დაუფლებოდა, თითქოს ვინმეს პანღური ამოეკრას მისთვის. ჰოდა, გაფრთხილდი, ალიას, მარცხი არაფერი დაგემართოთ, — კვიმატობდა თორყანი.

— არაფერი რომ არ მიიტანოთ, ვითომ რა მოხდება? მიმსვლელების ნახევარს, ალბათ, ვერც კი იცნობს ნაჰარბეი ჩაჩბა, — უთხრა მამას კამაჭიჭმა.

თორყანს ნაღვლიანად გაეღიმა.

— ეჰ, შვილო, ნაჰარბეი ჩაჩბას არაფერი გამოეპარება. თვითონ თუ ვერ დაინახავს, იმდენი მაბეზღარაა მის კართან ატუზული, რომ მაინც გააგებინებენ. იმათ რომც არ უთხრან, ჩიტი ეტყვის და თუ გაბრაზდა, ვაი, შენი ცოდობრალი მერე, სად გიხიმანდრებს, ვერც კი მიხვდები.

სტუმრები მალე დაიშალნენ. ალიასი დასაძინებლად გაემზადა, მხოლოდ ესმაღა ტრიალებდა ფეხზე, ძღვენს ამზადებდა სახვალიოდ.

უყურებს ამას ყველაფერს ივანე, არ მოსწონს ეს ფუსფუსი, მაგრამ რა ქნას, არ უნდა მათი წყენინება და თავს იკავებს.

კარგად არც კი იყო გათენებული, ცოლ-ქმარი რომ თავადს ეახლა.

მალე მზემაც გამოანათა, დილა-სისხამზე უკვე ისე იკბინებოდა, რომ ალბათ შუადღისთვის მაგრად ჩამოცხებოდა. ნაჰა-

რბეი ჩაჩბას სასახლის ეზოში დიდი, ტოტებგაბარჯღული კაკლის ხეები შრიალებდა. სწორედ მათ ჩრდილში შეეფარებინა ხალხს თავი. ეზო მწვანედ იყო მოხავერდებული, გარემოს კი ჩიტების ჭიკჭიკი ატკბობდა.

თავადის სასახლე ხით იყო ნაგები. ორი არშინით აწეული იყო მიწიდან და პირი აღმოსავლეთით ჰქონდა მიქცეული. აივანზე ვიღაც ახოვანი გრძელკაბიანი კაცი მიმოდიოდა და აივანზე გამოშლილ ხალხს ელაპარაკებოდა. ცოტა რომ მიუახლოვდნენ, იცნეს: სწორედ ეს იყო ნაჰარბეი ჩაჩბა. ტანთ „ხალათი" ეცვა, მელოტი თავი უპრიალებდა და ტუჩებზე ხშირი ულვაშები გაფანჩოდა.

ზოგს უკვე მიერთმია ძღვენი თავადისთვის და ახლა კიბეზე ჩამოდიოდა, ზოგი კი — ახალმოსულები — ალიასს და ესმას მიჰყვებოდნენ ხელდამშვენებულები.

ალიასი და ესმა უკვე კიბეზე ადიოდნენ, როცა თავადმა დაინახა ისინი და ქვევით ჩამოსვლა დააპირა.

— გამჩენს გაფიცებ, ნუ შეწუხდები, შენი ჭირიმე, — სთხოვა ალიასმა და ძღვენი მიართვა. ნაჰარბეი დიდად ნასიამოვნები დარჩა მათი ასეთი საქციელით და ალიასს მიმართა:

— დად, რაღაც ვერ გიცანით, სადაურები ხართ, რა გვარის ხალხნი ხართ?

მათ უთხრეს თავიანთი ვინაობა და დიდხანს აღარ შეჩერებულან კიბეზე, ქვევით ჩამოვიდნენ და სხვებს მისცეს გზა...

— ხედავ, რა გულიანად გამოიკითხა ჩვენი ვინაობა, — გადაულაპარაკა ცოლს ალიასმა, რომელიც ერთიანად გაბადრულიყო სიამოვნებისაგან. ესმამ თავი დაუქნია და ცოლქმარი ეზოში მორიალე ხალხს შეერია. ჩრდილს შეფარებული ხალხი ერთმანეთს ეჩურჩულებოდა. ვერ გაეგოთ, რატომ იყო ნაჰარბეი ჩაჩბა ქალის ტანსაცმელში გამოწყობილი. სოფელში გაზრდილებს, აბა, საიდან უნდა სცოდნოდათ, რომ ეს „ქალის კაბა" კი არა, დიდკაცების შინ ჩასაცმელი ხალათი იყო.

ცოტა რომ დაისვენეს, ალიასმა ცოლს უთხრა, იმდენი ხალხი მოგროვდა ნაჰარბეის გამოსამშვიდობებლად, ახლოსაც ვეღარ ვნახავთ, სჯობია სახლში წავიდეთ, სანამ უფრო არ ჩამოცხაო.

მართლაც, ნაშუადღევს ხალხი გააფრთხილეს, თავადი სადილობს და ჯერჯერობით ვეღარავის მიგიღებთო. ხალხი კი მოდიოდა და მოდიოდა. ეს ამხელა ეზო ყვერულებით, თიკნებითა და ცხვრებით გაივსო.

ნაჰარბეი ჩაჩბა კი ამ დროს ნათესავ-მეგობრებში იჯდა და ლხინობდა. კარგა ხნის მერე სუფრა აიშალა და თავადმა ისევ გააგრძელა მნახველების მიღება.

მზემ რომ დასავლეთისკენ იბრუნა პირი და ხალხის დენამაც იკლო, თავადმა ტამიშელების მამასახლისს უხმო და უთხრა: „ყველას მივიღებ, მაგრამ, პირველ რიგში, ტამიშელები მომგვარე აქ, სიტყვა მაქვს მათთან სათქმელი“.

მამასახლისმა ხალხს გადასძახა: — გაიწ-გამოიწით, ჯერ ტამიშელები გამოატარეთ, თავადს მათთან საუბარი სურს.

ტამიშელები წინ გამოვიდნენ და სასახლის აივნის წინ შეგროვდნენ.

— დად, ქრისტე აღდგა, მრავალს დაესწარით. თქვენს სანახავად ჩამოვედი მე სოხუმიდან, ყოველთვის მენატრებით, მაგრამ წელიწადში ოთხ-ხუთჯერ ძლივს ვახერხებ ჩამოსვლას. რა ვქნა, ვერ ვიცლი. აი, თქვენ კი გატყობთ, რომ დიდად არ გიხარიათ ჩემი ნახვა.

მამასახლისმა კიაგუამ ნაბიჯი წინ წადგა.

— ამას რატომ გვეუბნები, ნაჰარბეი, გენაცვალე. შენი ნახვა აღდგომა დღეზე ნაკლებად როდი გვიხარია. ასე რომ არ იყოს, ეს ამოდენა ზღვა ხალხი აქ არ მოვიდოდა.

— მაშინ აი, რას გეტყვით, — ხმას აუმაღლა ნაჰარბეი ჩაჩბამ, — ამას წინათ ერთ ჩემს მოიჯარადრეს ხარი მოჰპარეს. ვინ მეტყვის, ვინ მოიპარა? ეს ტამიშელი კაცის ნახელავია, უცხო აქ არავინ მოვიდოდა. მე რომ პატივსა მცემდეთ, ჩემს

მსახურს ასე არ გაანაწყენებდით. ახლა რა ქნას კაცმა, რით მოხნას, რით დათესოს? თქვენ დაარჩენთ მაგის ცოლ-შვილს? შიმშილისათვის გაგიწირავთ კაცი და ეგ არის! მამასახლისო, შენს გასაგონად ვამბობ. უხმე სოფლის უხუცესებს, ითათბირეთ და ქურდს საკადრისი მიუზღეთ, ხარის საფასური გადაახდევინეთ. ძალიან გთხოვ, ეს საქმე ჩემი აქ ყოფნის დროს მომიგვარო, თორემ ვიცი, წავალ და მერე ყველაფერს გადაივიწყებთ. გაიყვანე უხუცესები კაკლის ჩრდილში და იქ გადაწყვიტეთ.

— ნაჰარბეი, შენი ჭირიმე, — დაიწყო ისევ მამასახლისმა, — შენს მოიჯარადრეს ჩვენ არაფერს ვერჩით. რომც არ მოგვწონდეს, შენი ხათრით მაინც არაფერს დავუშავებთ. ქურდობა კი, მართალი გითხრა, დიდ უბედურებად იქცა ჩვენში. დღე არ გავა, რომ ვინმეს ხარი, ძროხა ან ცხენი არ დაეკარგოს. იმ ხარის ამბავს კი გაგიგებთ, მაგრამ კარგი იქნებოდა, მაზრის უფროსს თქვენც მოლაპარაკებოდით, იქნებ მიეხედა ამ საქმისთვის...

— თქვენ ეს საქმე მომიგვარეთ, დანარჩენი ჩემზე იყოს, — დაიმედა თავადმა მამასახლისი და ანიშნა, მოვრჩეთ ახლა ამაზე ლაპარაკსო.

ტამიშის უხუცესები უზარმაზარი კაკლის ჩრდილში შეიკრიბნენ და მამასახლისს სთხოვეს, დაზარალებული მოიჯარადრე მოეყვანა. როდესაც მოიჯარადრე მოვიდა, ერთ-ერთმა უხუცესმა, სახელად მამსირმა, უთხრა:

— დად, ანდრია, ჩვენ ყველანი, ვინც აქა ვართ, გთხოვთ, ნუ მოგვერიდები და გვითხარი, ვინმეზე ხომ არა გაქვს ეჭვი. შენ თუ იცი, ვინ არის ქურდი და არ გვეტყვი, შეიძლება ჩვენ სულ უდანაშაულო კაცს დავადოთ ხელი. ცოდვას ნუ ჩაგვადენინებ ამ დროულ ხალხს. ბოლოს მაინც გაირკვევა ქურდის ვინაობა და ის კაცი, ვისზეც ტყუილად მივიტანეთ ეჭვი, მტრად გადაგვეკიდება. ამიტომ, აქ დამსწრე უფროსები გთხოვენ, სიმართლე გვითხრა.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, პატივცემულნო, — მიესა-

ლმა მათ ანდრია. — ერთი ხარის გამო ამ აღდგომა დღეს რა ქურდს დაეძებთ. თქვენს თავს გეფიცებით, არ ვიცი ვინ მოიპარა ჩემი ხარი, ტყუილად ვისი ცოდო დავიდო.

— შენი მეზობელი მოიჯარადრეებიდან ხომ არ არის ვინმე ქურდობაში შემჩნეული? — ჰკითხა მამსირმა.

— არიან, როგორ არ არიან, მაგრამ ნიშნეულად ხელს მაინც ვერავის დავადებ, მაინცადამაინც ეს არის ქურდი-მეთქი, — უპასუხა ანდრიამ.

— კარგი, შენ მეტად აღარ გვჭირდები, ჩვენ კი ან ვიპოვით ქურდს, ან არადა გადაგიხდით საზღაურს, მოვიფიქრებთ რაღაცას, — თქვა მამსირმა და ანდრია წავიდა.

უხუცესებმა ბევრი ითათბირეს, მაგრამ ქურდის ვინაობა მაინც ვერ დაადგინეს. ბოლოს ნიკუალას დაუძახეს და ქუაბლუხს სთხოვეს მოლაპარაკებოდა მას.

— დად, ნიკუალა, — უთხრა მას ქუაბლუხმა, — ახალგაზრდა კაცი კი ხარ, მაგრამ სინდის-ნამუსის საკითხში კარგად ერკვევი. ცხონებული მამაშენი სახელიანი კაცი იყო და არც შენ დაგეწუნება სიტყვა-პასუხი. ჰოდა, გვითხარი, რა ვქნათ, გზაზე დაგვაყენე. აგერ, ანდრიას, დიდი ნაჰარბეის მოიჯარადრეს, ხარი მოპარეს თურმე. შენც გაიგონებდი ალბათ. ნაჰარბეიმ ქურდის მოძებნა დაგვავალა, ეჭვი კი არც ხარის პატრონსა და არც ჩვენ არავისზე არა გვაქვს. შენ ქვეყანაზე გამოსული კაცი ხარ, რა დასამალია და, თითქმის ყველა ქურდს იცნობ. ამიტომ გთხოვთ, ნუ დაგვიმალავ და გვითხარი, ვინ გაიმრუდა ხელი ამ საქმეში.

— ღმერთმა სიკეთე ნუ მოგიშალოთ, კაი სიტყვა მითხარით, თუმცა ამისი ღირსი არა ვარ ალბათ, — თქვა მორიდებით ნიკუალამ, — თქვენი არ იყოს, არც მე ვიცი ვინ მოიპარა ანდრიას ხარი, მაგრამ რადგან ასეთი სადავიდარაბო გახდა ეს ამბავი, მე გადავუხდი ხარის საფასურს მოიჯარადრეს და გავათავოთ ეს ამდენი მითქმა-მოთქმა.

— ღმერთმა დაგვიფაროს, შენ რატომ უნდა გადაგახდევინოთ, — წამოიძახეს უხუცესებმა და ახლა ძიკურს უხმეს, იქნებ იმან იცოდეს რამეო, მაგრამ არც იმან იცოდა არაფერი.

დიდი ხნის თათბირის შემდეგ გადაწყვიტეს, სოფელში ქურდობაში შემჩნეული ხალხის სია შეედგინათ და მათთვის გადაეხდევინებინათ ხარის საფასური, მაგრამ საბოლოოდ ვერც ამაზე შეთანხმდნენ. ზოგის ძმისშვილი მოხვდა ამ სიაში, ზოგის — ბიძაშვილი და არავის უნდოდა თავისი ნათესავი გაემეტებინა.

ესენი რომ ამ დღეში იყვნენ, ნაჰარბეის ვაჟები — საათი და ჩაგუ ერთი დიდი კაკლის ჩრდილში წამოგორებულიყვნენ და ერთმანეთს აქილიკებდნენ. ჩაგუ დიდი ტრაბახა და მატყუარა ვინმე იყო, ისე კარგად იცოდა ამბის მოყოლა, რომ მსმენელები სიამოვნებით უსმენდნენ. თვითონაც კარგი ხუმარა იყო და სხვისიც არაფერი სწყინდა. ორი დიდი ძაღლი ჰყავდა ჩაგუს, ბოხვერები და ლამაზები.

— ჩაგუ, მაგ შენ ძაღლებს მარტო ცხვირ-პირი აქვთ ლამაზი თუ ნადირობაც კარგი იციან? — ჰკითხა კიამშიშმა.

— ჩემი ძაღლები მგლებზე ნადირობენ. აი, ხომ ხედავთ, ყელზე რკინის საყელურები რომ უკეთიათ, მგლებს ეგეთი ჩვევა აქვთ, ძაღლს რომ შეებრძოლებიან, პირველად ყელში ეცემიან ხოლმე. ჰოდა, აი ეს რკინის საყელურები იცავს მათ მგლის ყბისაგან.

— რამდენი ხანია ეგ ძაღლები გყავს და მაგათი დაჭერილი მგელი კი არა, ტურა არ მინახავს, — გაიცინა კიამშიშმა.

— ტყეში სანადიროდ ეგენი ჩვენ არ წაგვიყვანია, თვითონ ვერ მიდიან და მგლები თავისი ფეხით ხომ არ მოგვადგებიან შინ, — თქვა ჩაგუმ. — მაგრამ რადგან ძაღლებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ერთ ამბავს მოგიყვებით: ერთი ჩვენი სიძე ბზიფში ცხოვრობს. ისეთი ძაღლები ჰყავს — მთელ აფხაზეთში მათი მომრევი ძაღლი არ არის. ამას წინათ ეზოში ისხდნენ და გაგრისკენ მიმავალი გემი დაინახეს. წამოცვივდნენ მაშინვე,

იმ გემს გამოენთნენ, შეცვივდნენ ზღვაში, გემს გზა გადაუ-ღობეს, არ უშვებენ. ამ დროს ჩვენი სიძე მივიდა ცხენით ზღვის სანაპიროზე და დაუძახა ძაღლებს. იმათაც რა ექნათ, პატრონს ხათრს ხომ ვერ გაუტეხავდნენ, გამოვიდნენ უკან და გემმაც გზა განაგრძო.

გადაბჟირდნენ ყველანი სიცილით. ყველაზე მეტს თვითონ ჩაგუ იცინოდა.

— ახლა შენ მოგვიყევი საათ რამე, თორემ დაგჯაბნა ძმამ ტყუილებში და ეგ არის! — წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

— მე რა უნდა გითხრათ ისეთი, თქვენ რომ გაინტერესებთ, მაგრამ ჩაგუსთან მაქვს ერთი კითხვა: ჩაგუ, ძაღლები და ცხ-ენები რომ სანაქებო გყავს, ვიცით, მაგრამ მწყერზე მონადირე კატა თუ გყავს?

— არა, ასეთი კატა ნამდვილად არა მყავს, — უპასუხა ჩაგუმ.

— მე მყავს მწყერზე მონადირე კატა, — თქვა საათმა. — გაზაფხულზე, ზაფხულში, შემოდგომაზე და ხანდახან ზამთარ-შიც ვუშვებ მინდვრად და მოჰყავს მწყერები. თუ მწყერი ბევრია, ორასი-სამასი მოჰყავს, თუ ცოტაა — ასე, ოცამდე მოაგროვებს ხოლმე, მაშ!

სიცილმა ახალი ძალით იფეთქა.

— მაჩუქე ეგ კატა. ძმა ხარ და უარს ნუ მეტყვი, — დაანა-მუსა ჩაგუმ საათი.

— ჩუქებით კი გაჩუქებდი, მაგრამ ჩაკეტილი მყავს და რომ გამოვუშვა, ვაითუ გაგექცეს! — უთხრა ძმას საათმა.

ამ ლაზღანდარობაში იყვნენ ძმები, როცა ნაჰარბეიმ მოურავს დაუძახა და ჰკითხა:

— რა ქნეს უხუცესებმა?

— ქურდობაში შემჩნეული ხალხის გვარები შეაქვთ სიაში, მათ უნდა გადაახდევინონ მოიჯარადრის ხარის საფასური. ამ სიაში სხვებთან ერთად მურზაყანი, კუასტა, ნესტორი, შმაფი

და ზოგიერთი სხვა ტამიშელია შეტანილი. სოფელში ბევრი ხარი, ძროხა თუ ცხენი დაიკარგა. თუ მთელი მათი საფასური ამ ხალხს გადაახდევინეს, დაიღუპნენ ეგ საცოდავები და ეგ არის!

ოთხივე ჭაბუკი, მოურავმა რომ დაასახელა, ნაჰარბეის ნათესავები იყვნენ. ნაჰარბეი ჩაფიქრდა.

— ახლავე აქ მომიყვანეთ უხუცესები! — უბრძანა მოურავს.

მოთათბირენი მოწიწებით ეახლნენ ბატონს.

— იპოვეთ ქურდი?

— ქურდი ვერ ვიპოვეთ, შენი ჭირიმე, მაგრამ ხარის ღირებულება იმ ხალხს გვინდა გადავახდევინოთ, ვინც ყველაზე მეტად არის შემჩნეული ქურდობაში...

— ნუღარ იწვალებთ. თუ ქურდი იპოვეთ, ხომ კარგი, თუ არადა დაანებეთ თავი.

უხუცესებმა დიდი მადლობა მოახსენეს ბატონს ასეთი გულისხმიერებისთვის.

— მამასახლისო, გადაეცი ხალხს, დაიშალონ. ისიც უთხარი, ვისაც ბურთის თამაში შეუძლია, ხვალ უსათუოდ მოვიდეს საბურთალოზე, — უთხრა ნაჰარბეი ჩაჩბამ მამასახლისს და სახლში შევიდა.

XXII

იმ საღამოს ნაჰარბეი ჩაჩბას დიდი წვეულება ჰქონდა. ამ მხარეში თუ ვინმე თავადი და აზნაური იყო, ყველას იქ მოეყარა თავი.

დიდად მოილხინეს სტუმრებმაც და მასპინძლებმაც, ვერ გაძღნენ სიმღერითა და ცეკვა-თამაშით, გახურდა კაფიაობაც. ნაჰარბეი ძალიან ენამოსწრებული კაცი იყო და კაფიაობაში ვერავინ სჯაბნიდა. მერე ლაპარაკი დღევანდელ ასპარეზობაზე

ჩამოვარდა. ნაჰარბეიმ მობურთალთა პაექრობის გამართვა ორ ყველაზე ყოჩაღ ახალგაზრდას, თათლასტანსა და ალმას მიანდო.

— ნაჰარბეი, წყურვილის ტყე ფრანგებს რომ მიჰყიდე, მახსოვს, კარგი ტყე იყო, ფრანგებს კი ძალიან უზარალიათ, რაშია ნეტავი საქმე? — ჰკითხა ბესლანმა თავადს.

ნაჰარბეიმ რაღაც თქვა, სათქმელი მიკიბ-მოკიბა, მაგრამ ბოლოს სიმართლე მაინც ვერ დამალა.

— ფრანგებმა ჩემი მოტყუება განიზრახეს, — შენი ტყე დავათვალიერეთ და მაინცადამაინც არ მოგვეწონა. მთელი დღე ვიარეთ და წესიერი მუხნარი ვერსად ვნახეთო, — მითხრეს.

ჯერ ერთი, ტყე უჩემოდ არ უნდა დაგეთვალიერებინათ-მეთქი — ვუთხარი, — მეორეც, რომ გაიძახით, მთელი დღე ვიარეთ და ერთი წესიერი მუხნარი ვერ ვნახეთო, ჩემი ტყის ერთ დღეში დათვალიერება ვინ გაიგონა! მე თვითონ გაჩვენებთ ჩემს მუხნარს და ფასზეც მერე მოვილაპარაკოთ-მეთქი. მეორე დღეს აზამათს დავუძახე, ის ფრანგებიც შევკრიბე და წავედით. სამი დღე ვიარეთ ცხენებით. წინ აზამათი მიგვიძღოდა. ის კარგი მონადირეა ჩემი ტყე ხუთი თითივით იცის. ჰოდა, ერთ დღეს სამხრეთიდან გვაჩვენა მუხნარი, მეორე დღეს იმავე მუხნარში ჩრდილოეთიდან შეგვიყვანა, მესამე დღეს კი — დასავლეთიდან. ამას ისე მოხერხებულად აკეთებდა, კინაღამ მეც დავიჯერე, ეს რამხელა სიმდიდრის პატრონი ვყოფილვარ-მეთქი. ბოლოს დაღლილ-დაქანცულები ზღვის სანაპიროზე გავედით და იქ ჩამოვქვეითდით, წყაროსთან. აზამათის ეშმაკობით თავბრუდახვეული ფრანგები ახლა მე გადავრიე — იმდენი ზღაპარი თუ ლეგენდა მოვუყევი იმ წყაროს შესახებ. ეს წყარო-მეთქი, — ვუთხარი, — იმის გარდა, რომ ცივია და სასმელად სასიამოვნო, სამკურნალოც არის, უამრავი სნეულებისგან კურნავს ადამიანს. განსაკუთრებით კი ციებისთვის არის უებარი. ძველ კოლხებს ამ წყაროს გამო აუშენებიათ აქ სახელ-

განთქმული ქალაქი დიოსკურია, ხოლო აქვე ახლოს რომ მდინარე კოდორი ჩამოდის, ისიც ამ ხალხის საყვარელი სასმელი წყალი ყოფილა-მეთქი. ამ საუბრის მერე ჩქარა მოვრიგდით, ფასიც კარგი მომცეს, — დაამთავრა მოყოლა ნაჰარბეიმ.

— მგონი სამჯერ მეტი აიღე იმ ტყეში, ვიდრე ნამდვილად ღირდა, — ვერ ისვენებდა ბესლანი.

— მაგისი რა მოგახსენოთ, მაგრამ ფასი რომ მართლა კარგი მომცეს, ეს უკვე გითხარით. მალე ამ მიდამოებში ხე-ტყის სახერხი ქარხანა ააშენეს, ტყის რამდენიმე ალაგას ვიწრო ლიანდაგიც გაიყვანეს და დაიწყეს ტყის გაკაფვა. ათი წლის განმავლობაში ეს მუხნარი მთლიანად გაჩეხეს და მერე თვითონაც აიკრეს გუდა-ნაბადი და წავიდნენ. იმათ თუ რამე ზარალი ნახეს, ჩემი ბრალი ნამდვილად არ არის, — მიუგო ნაჰარბეიმ.

— იმ წყარომ თუ უშველათ ციებისაგან? — ეშმაკურად იკითხა ბესლანმა.

— უშველათ კი არა და, მესამე წელს ისეთი ციება დაერიათ, ფეხებს ძლივსღა დაათრევდნენ, — გაიცინა ნაჰარბეიმ.

ლხინი კვლავ გაგრძელდა. უკვე ნაშუაღამევი იყო, როცა მოქეიფეები აიშალნენ და დასაძინებლად წავიდნენ.

მეორე დილით ნაჰარბეი ჩაჩბამისევ განაგრძო ძღვენის მიღება. გუშინ ვისაც ვერ მოესწრო მოსვლა, დილით უკვე თავადის ეზოში იდგა და თავის რიგს ელოდა. ამ დროს თათლასტანი და ალმა ბურთაობის თადარიგს იჭერდნენ.

მზე უკვე შუბის ტარზე იდგა, როცა სოფლის სამხრეთ ნაწილის ახალგაზრდობა გამოჩნდა თათლასტანის მეთაურობით. თავადის სახლს რომ მოუახლოვდნენ, ჭაბუკები ჩამოხტნენ ცხენებიდან და გახურდა ცეკვა-თამაში. მალე სოფლის ყმაწვილი ქალებიც გამოჩნდნენ და ცეკვა და სიმღერა უფრო გაცხოველდა.

შორიდან სიმღერის ხმა გაისმა და „ჩრდილოელი“ ჭაბუკების გუნდიც გამოჩნდა, ალმას მეთაურობით.

— ეჰეი! — დაიძახა ხმამაღლა თათლასტანმა, — ვინც ვაჟკაცია, გზა გადაუღობოს ჩრდილოელებს და დროშა წაართვას!

თათლასტანის გუნდელები ცხენებს მოახტნენ და მოწინააღმდეგის ბანაკისკენ გაქუსლეს, მაგრამ ალმას მხედრობა როდი დაფრთხა. მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვა, გაიმართა ერთი ძიძგილაობა და ცხენთა ძგერება. გაფიცხებული ახალგაზრდების ყიჟინა იქაურობას აყრუებდა. მათი შემყურე ნაჰარბეი და მისი მხლებლები გულიანად ხარხარებდნენ. ცოტა ხნის შემდეგ დაცხრნენ მხედრები, ეზოში შემოვიდნენ და ახალი ძალით გახურდა ცეკვა-თამაში.

კამაჭიჭი დედას გამოჰყოლოდა და ისიც აქ მოსულიყო. მისმა ცეკვამ და წრეში ნავარდმა მოხიბლა დიდი და პატარა, ყველას მისი სახელი ეკერა პირზე. აზნაურთა შვილები ერთმანეთს არ აცლიდნენ, ყველა ცდილობდა თვითონ გამოეწვია საცეკვაოდ კამაჭიჭი. სილამაზითა და ცეკვით ხომ მოხიბლა ეს ამოდენა ხალხი, მაგრამ ცხენოსნობაში და სროლაში ისეთი სიმარჯვე გამოიჩინა, რომ ხალხი გაოცდა, ამ პატარა გოგოს ეს რამდენი შეძლებიაო.

— ეხ, ყველაზე წვრილი აზნაურის შვილიც რომ ყოფილიყო, სარძლოდ მაინც არ დავიწუნებდი, მაგრამ გლეხის შვილია და რა ვქნა, — ჩაილაპარაკა ერთ-ერთმა თავადმა, სახელად იუნამ.

— ალიასის ქალზე ამბობ? — ჰკითხა ჰაბიგუმ.

— დიახ!

— მართლაც რომ მშვენიერი ქალიშვილია. თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ძლივს იქნება და მისი სილამაზის ამბავი მთელ აფხაზეთშია ცნობილი. თავადები და აზნაურები გლეხისშვილობით იწუნებენ, გლეხები კი ახლოსაც ვერ ეკარებიან.

განა მარტო ლამაზია, ნასწავლიცაა, წერა-კითხვა იცის და რუსულადაც მშვენივრად ლაპარაკობს.

ამ საუბარს ერთ-ერთმა თავადიშვილმა მოჰკრა ყური და ჰაბიგუს უთხრა:

— ეგ გოგონა დიდებული ცხენოსანია, არც ერთ ვაჟკაცს ტოლს არ დაუდებს. ვერც მიზანში სროლაში შეედრება ვინმე. თავადებიდან ნათლია ვინა ჰყავს ნეტავი?

— ალიასი ვერ იტანს თავადებს და ამიტომაც არავის მოანათვლინა. სოფლის მწერალი რომ არის — ლევანი, — ეგ არის მაგისი ნათლია, — უპასუხა იმ ახალგაზრდამ.

— თქვენი ბრალია ყველაფერი, — წამოენთო იუნა, — ავდგებოდი და ალიასს სარჩო-საბადებელს ერთიანად წავართმევდი, ისე გავამწარებდი, რომ თქვენთან დანათესავება სახვეწარი გაუხდებოდა, მისი გოგო კი ფეხების დაბანას აღარ დაგზარდებოდათ.

— ვინა თქვა მერე, რომ არ ვართმევთ, მაგრამ ერთბაშად ხომ არ გავუწყვეტთ ყველაფერს. ეგეც არ იყოს, ჩემს მტერს გადაეკიდა ივანე, მოსვენებას აღარ მოგცემს. ამიტომაც დაიარება ალიასი ასე გაფხორილი. საკუთარი დამღაც კი შემოუღია პირუტყვისთვის.

— თქვენი შიში და რიდი არა აქვს და იმიტომ. საკუთარი დამღის შემოღების უფლება გლეხს ვინ მისცა! ასეთ გლეხს ფეხმოტეხილი თხა აღარ უნდა დაურჩინო სახლში.

იქ დამსწრე თავადებმაც კვერი დაუკრეს იუნას.

— ეგ კიდევ რა არის, — შენიშნა ალმასხანმა, — ამას წინათ მღვდელმა მითხრა, თურმე ალიასის სახლში სოციალისტები იკრიბებიან ფარულად.

— გლეხი თუ ნებაზე მიუშვი, უარესს იზამს, — აბუზღუნდნენ თავადები.

ამ დროს მობურთალებს შიკრიკი გამოეყო, ნაჰარბეისთან მივიდა და მოახსენა:

— ასპარეზობა იწყება!

ნაჰარბეის ძალიან უყვარდა ცხენბურთი, ამიტომაც მაშინვე სტუმრებიანად აივანზე ავიდა, საიდანაც კარგად მოჩანდა საბურთაო მოედანი და მდინარე დღამში.

მობურთავეები ორ დიდ გუნდად იყვნენ გაყოფილები — „სამხრეთელებად“ და „ჩრდილოეთელებად“. პირველი გუნდის მეჩოგნე საბიდა იყო, მეორისა — ლაზი.

დაიწყო თამაში.

ბურთი დიდხანს ვერ დაიძრა ადგილიდან. ხშირად იმართებოდა შუა მოედანზე ზედახორა. ორივე მხარე თავგანწირვით იბრძოდა, მაგრამ ბურთის ხელში ჩაგდება ჯერჯერობით ვერავინ შეძლო.

მოულოდნელად ვიღაცამ ბურთი ჰაერში ისროლა და გრძელტარიანი ჩოგნით, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თავისიანებისკენ გასტყორცნა, მაგრამ ბურთი შემთხვევით ერთ-ერთ „ჩრდილოელს“ ჩაუვარდა ხელში, რომელმაც ელვის სისწრაფით გაქუსლა ცხენი მოწინააღმდეგის მხარეს. „სამხრეთელები“ მაშინვე უკან გამოენთნენ, „ჩრდილოელი“ კი მიაჭენებდა თავის ცხენს, დამხვდურთ ადგილზევე ცელავდა და წინ მიიწევდა, მაგრამ მდევარი მაინც ეწეოდა. „ჩრდილოელი“ ცხენს ხან მარჯვნივ გააქანებდა, ხან — მარცხნივ, ცდილობდა თავი დაეძვრინა, მაგრამ ვერ მოეხერხებინა. ამასობაში მდევრებიც დაეწივნენ და ის-ის იყო მახეში უნდა გაებათ, რომ „ჩრდილოელი“ ისარივით გადაეშვა მორევში, „სამხრეთელები“ უკან მიჰყვნენ და ახლა შუა მდინარეში გაჩაღდა საოცარი ბრძოლა. არავინ იცოდა ზუსტად, ვის ჰქონდა ბურთი. „სამხრეთელები“ ზედიზედ ძირავდნენ წყალში „ჩრდილოელებს“. მდინარე ცოტა მოდიდებულიყო და რამდენიმე მობურთავე ქვევით გაიტაცა. მათ მისაშველებლად სხვებიც გადახტნენ წყალში. ნაპირზე არც ერთი კაცი აღარ დარჩენილა. აქაფდა მდინარე. შეშინებულმა ქალებმა კივილი ატეხეს.

ზოგიერთ თავადს არ მოეწონა ასეთი თავაშვებულობა:

— ოსმან, კიაგუა, გუაჯა, მიხედეთ მაგ ბრიყვებს, შიგ არ ჩაიხრჩვნენ.

ამ დროს, მოთამაშეთა არევ-დარევით ისარგებლა ერთ-

ერთმა „ჩრდილოელმა“, ბურთიანად სწრაფად ამოვიდა წყლიდან და ის იყო ლელო უნდა გაეტანა, რომ „სამხრეთელები“ გამოუდგნენ და დროზე შეაკავეს, თორემ სულ ორიოდე ნაბიჯიღა აკლდა საზღვრამდე.

თამაში ცოტა ხნით შეწყდა. ნაპირზე გამოსული მობურთავენი ტანსაცმელს იწურავდნენ.

როგორც კი თამაში დაიწყო, ლაზმა ღონივრად მოიქნია ჩოგანი და ბურთი კინაღამ მოწინააღმდეგის საზღვარს მიაწვდინა.

— ჩვენი მეჩოგნე სუსტია, ლაზი სჯობნის, უნდა გამოვცვალოთ, — თქვეს „ჩრდილოელებმა“ და მოედანზე ლაგუსტანი გამოიყვანეს.

თამაში უფრო გამძაფრდა.

ელვის სისწრაფით დაჰქროდნენ მობურთალნი მოედანზე. ახლა „სამხრეთელები“ გაყოჩაღდნენ.

ერთ-ერთმა „სამხრეთელმა“ ბურთი ჩაიგდო ხელში და წინ გაიჭრა. გზის შემკვრელები ამაოდ ცდილობდნენ მის შეკავებას, მაგრამ ბოლოს იმანაც წაიფორხილა და ცხვირწინ ააცალეს ბურთი.

ასპარეზობამ მზის ჩასვლამდე გასტანა. ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო ლელოს გატანა. ანაზდად ლაზმა მოედანზე შემთხვევით გადმოვარდნილ ბურთს მძლავრად გაჰკრა ჩოგანი და... ბურთი მოწინააღმდეგის მიჯნასთან მიგორდა. გამარჯვება, ბოლოს და ბოლოს, „სამხრეთელებს“ დარჩათ.

ნაჰარბეი და მისი სტუმრები კმაყოფილნი დარჩნენ მობურთალთა თამაშით.

თვითონ მოთამაშეები კი ძლივსღა იდგნენ ფეხზე, ზოგს ხელი სტკენოდა, ზოგს — ფეხი და შინ ნაბადზე დაწოლილები მიიყვანეს. ერთმანეთს მაინც გულთბილად ემშვიდობებოდნენ და მომავალ ასპარეზობამდე გამოჯანმრთელებას უსურვებდნენ.

XXIII

— ესმა! — გაისმა რაფიდას ხმა. ქალს მხარზე ცარიელი დოქი შემოედგა და ჭიშკართან იცდიდა.

ესმამ გამოიხედა. წყალზე მიმავალი რაფიდა რომ დაინახა, თვითონაც დოქს წამოავლო ხელი და გარეთ გავიდა.

— რა იყო, ქალო, წუხელ მლაშე ხაჭაპური ხომ არ გიჭამია, ასე ადრიანად წყალზე რომ გარბიხარ? — გაეხუმრა ესმა მეზობელს.

— უფრო ადრე რომ არ მოგადექი, არ გიკვირს? შენი გაღვიძება მომერიდა თორემ... მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს.

— რა დაგემართა, ბავშვი ხომ არ გაგიხდა ავად, თუ კოღოებმა არ მოგასვენეს?

— ბავშვებს არა უჭირთ რა, არც კოღოებს შევუწუხებივარ მაინცადამაინც, მაგრამ გუშინ ისეთი რამ გავიგე, ერთი სული მქონდა შენთვის მეთქვა.

— რა გაიგე ისეთი, რომ ძილი დაგიფრთხო? — ჰკითხა ესმამ. ამასობაში დაღმართიც ჩაათავეს, ხელ-პირი დაიბანეს, დოქები აავსეს და თვითონაც იქვე ჩამოსხდნენ სულის მოსათქმელად.

— ყველაფერი რომ დაწვრილებით მოგიყვე, ამის დრო არ არის. მოკლედ გეტყვი, კამაჭიჭზე უნდა გითხრა რაღაც.

— უიმე, ქალო, რაიმე ფრსაგი ხომ არ არის ჩვენს თავს!

— კამაჭიჭის ცუდი ამბავი ღმერთმა ნუ გამაგონოს. ხვალინდელი დღე ნუ გაუთენდეს, ვისაც მასზე ენა ცუდად მოუტრიალდეს. კარგად მომისმინე: კამაჭიჭი პატარა გოგო აღარ არის, თანაც ძალიან ლამაზია და დღეიდან მოტრფიალე აღარ დაელევა. ცუდიც მას დაუწყებს დევნას და კარგიც. ვისაც ხელს ჰკრავს და უარს ეტყვის, ცხადია, იმისგან კარგს არაფერს უნდა მოელოდეს. გუშინ ცხენბურთის საყურებლად შეყრილი ის იმოდენა ხალხი, გლეხი თუ აზნაური, სულ შენს გოგოზე ლაპარაკობდა. ყველა მოხიბლული დარჩა მისი სილამაზით,

მიხრა-მოხრით თუ ცეკვა-თამაშით. კიდევ კარგი, გუშინ ცხენით არ იყო მოსული, თორემ მაშინ გენახა მათი გადარევა... კამაჭიჭი უკვე დაქალიშვილდა. მოწიფული ქალიშვილის შინ გაჩერება კი არ ღირს. ზოგი შეაქებს, ზოგი — გალანძღავს. აბა, რას იზამ, ხალხს პირს ხომ ვერ აუკრავ! სულ პატარა, უშნოდ ნათქვამმა სიტყვამ, შეიძლება სახელი გაუტეხოს. ჭიქას თუ პირი აქვს მომტვრეული და თან შიგ მღვრიე წყალი ასხია, წყურვილისგანაც რომ კვდებოდე, ვისი მოწოდებულიც გინდა იყოს, მაინც ვერ დალევ. ჭკვიანი ქალი ხარ და გამიგებ, რისი თქმაც მინდა.

— რაფიდა, შენ შემოგევლე, ნურაფერს დამიმალავ, ცუდი ხომ არაფერი გაიგე?

— პირიქით, აქებენ შენს გოგოს, მეტისმეტად აქებენ და სანამ დროა, მოუნახეთ ვინმე მისი შესაფერისი ვაჟი, თვითონ პატრონი გაუჩნდება და თქვენ კი ახალი შვილი შემოგემატებათ...

— შენს პირს შაქარი, რაფიდა. მართალია, კამაჭიჭი ჯერ კიდევ ყმაწვილია, მაგრამ თუ ვინმე შესაფერისი ვაჟი გამოუჩნდება მთხოვნელი, ნამდვილად არ ვიტყოდი უარს. რაღა დასამალია და, მე და ჩემს ქმარსაც ბევრი გვიფიქრია ამაზე. გვეშინია, ვინე უხეიროს არ გადაეყაროს და არ გაგვაუბედუროს.

— მეც ეგ მადარდებს, — განაგრძო რაფიდამ. — რადგან ჩემი ნათქვამი სწორად გაიგე და გულთან ახლოს მიიტანე, ბარემ ბოლომდე გეტყვი სათქმელს. გუშინ ადყიამ, ბასიათის ცოლმა — შორიდან თქვენც ხომ გენათესავებათ მგონი — გვერდზე გამიხმო და მითხრა: მოდი, კამაჭიჭი ძიკურის შვილს — ალხასს გავურიგოთო. მშობლებს ძალიან მოსწონთ კამაჭიჭი სარძლოდ, ვაჟს კიდევ ხომ მზე და მთვარე მაგ გოგოზე ამოსდისო. კამაჭიჭიც კარგად იცნობს იმ ბიჭს. ჯერ სულ ახალგაზრდაა — ოცდახუთი წლისა თუ იქნება. კარგი ვაჟკაცია, ლხინში კარგი თანამეინახეა და ჭირში გვერდში ამომდგომი. შესახედავად

ხომ არაფერი დაეწუნება! მშობლები კარგი, შეძლებული ხალხია. თავადებს თვალში რომ ჩაუვარდეთ, თითს არ ამოისვამენ. ხომ ხედავ, ირგვლივ კაცს ვერ ნახავ, რამე რომ არ მოჰპარონ და არ ააწიოკონ, მაგათი ოჯახისთვის კი ჯერ თითიც არავის დაუკარებია. ძიკურთან დანათესავებას ყველა ინატრებს. რა ენად გავიკრიფე, ეს ყველაფერი არც შენ იცი ჩემზე ნაკლებად. უნდა როგორმე დღესვე ჩააწვეთო ყურში ეს ამბავი ალიასს. გადასადები აქ არაფერია, პასუხიც დროზე შემატყობინეთ...

— მართალი ხარ, მართალი, წავიდეთ, — თქვა ესმამ და აღმართს შეუყვნენ. — აქ როგორ აცხუნებს მზე, ქვევით, ხევში კი ციოდა კიდეც. არც ჩიტები ჟღურტულებდნენ ძველებურად, — თქვა ესმამ, როცა გაივაკეს და მუხლიც შეასვენეს.

— მეც შევამჩნიე, — მიუგო რაფიდამ, მერე ესმა ჭიშკრამდე მიაცილა, დაემშვიდობა და გზა გააგრძელა.

გზაზე დამდგარ კაცს რომ ისეთი მგზავრი შემოეყრება, ვისი დანახვაც ეზარება, სახეზე ყაბალახს ჩამოიფარებს და ისე გაივლის. ამ დილით ასე მოიქცა მზეც, — თავისი სხივიანი თვალები მოარიდა ხევს, თითქოს წყაროსთან ქალების ნაუბარი არ მოეწონაო.

ეს ხევი დილ-დილაობით ფრინველთა ჭიკჭიკითა და გალობით ივსება. განსაკუთრებით გაზაფხულზე, მათ მოსმენას არაფერი სჯობს. ბულბულები ისე გალობენ, ყველა საქმეს გადაგავიწყებენ, უნდა გაყუჩდე და ყური უგდო ამ საოცარ მუსიკას. და განა მარტო ბულბულები? შაშვი ჭახჭახებს, გუგული გუ-გუ-ს დასძახის, აბეზარი კაჭკაჭი კი ხან ქალის ხმით კივის, ხან თხასავით კიკინებს, ზოგჯერ კიდევ ბავშვივით ატირდება. ქვევით, ბებერ მუხაზე, ერთი კოდალა ცხოვრობს, უკაკუნებს ხუროსავით მთელი დღე, არ იღლება. ახლა ბეღურებს აღარ იკითხავთ? ყველა თავისთვის გაჰკივის, გააქვთ ერთი გნიასი.

ძნელია ამის აღწერა. იქ უნდა ცხოვრობდე, ტყესთან ახლოს, შენ თვითონ უნდა ნახო და მოისმინო ტყის ულამაზესი სიმღერა...

ამ დილით კი, თითქოს ყველანი სადღაც გადაიხვეწნენო, ჩქამიც არსაიდან ისმოდა.

საღამოს, როცა კამაჭიჭმა დაიძინა, ესმა ქმარს მიუჯდა და დაწვრილებით მოუყვა რაფიდას ნათქვამი.

— რაფიდასთვის არ გამიმხელია, რომ კუჭირმა და რასტამაც გამოგვიგზავნეს მაშვლები. ჩემი აზრი თუ გაინტერესებს, მე ყველას ალხასი მირჩევნია...

— აგერ ამ ორი-სამი თვის განმავლობაში მესამე კაცი გვთხოვს კამაჭიჭის ხელს. მალე სხვებიც მოგვადგებიან და თუ რამე არ ვიღონეთ, ნათესავების მაგივრად მტერი გაგვიმრავლდება. დროზე უნდა გავათხოვოთ ჩვენი ქალიშვილი, ჩვენი იმედი, თორემ შეიძლება უბედურებას გადავეყაროთ. ამიტომ ნულარ დავაყოვნებთ, ამ დღეებში ჩვენი ახლობლები — თორყანი, ქუაბლუხი, რაფიდა და მაცი მოვიწვიოთ და მოვეთათბიროთ, რჩევა ვკითხოთ.

— უიმე, შარიფა როგორ გამოგრჩა? უიმისოდ ამ საქმის გადაწყვეტა ნამდვილად არ ღირს. მართალია, მოხუცდა, მაგრამ გონება ძველებურად უჭრის.

— კიდევ კარგი, გამახსენე, შარიფა აუცილებლად უნდა მოვიწვიოთ.

— ივანე და ლევანიც მინდოდა აქ ყოფილიყვნენ. სად დაიკარგნენ ნეტავი, ამდენ ხანს?

— იმათ თავი დაანებე. ისინი ისეთ საქმეზე არიან წასულები, შეიძლება კარგა ხანს არ დაბრუნდნენ. ივანე, ლევანი, მიხა და აკაკი სოხუმში წავიდნენ. იქ ერთი სანდო კაცი ჰყავთ, რომელიც მათ საიდუმლო საქმეებს ხელმძღვანელობს მთელ აფხაზეთში. იმ კაცის გვარიც მითხრა ლევანმა, მაგრამ დამავიწყდა. ის არის ყველა მათი საქმის მოთავე და სულისჩამდგმელი.

— რა საიდუმლო საქმეები, ნეტა ხელმწიფის გადაყენება ხომ არ უნდათ?

— ჰო, ხელმწიფის ჩამოგდება სურთ.

— ზოგს რა გამბედაობა აქვს, ღმერთო ჩემო, ამხელა ხელმწიფის გადაყენება ადვილი საქმე ხომ არ ჰგონიათ!

— ეგა სურთ, ეგ... ის კაცი ადგილზე თუ არ დახვდათ, მაშინ უნდა დაელოდონ. აქ ამდენი საქმეა — მოხვნა, დათესვა, ბოსტანსაც ხომ უნდა მიხედვა, რა დროს ახლა იმის იქ წასვლა იყო. ჩვენს თათბირს თუ არ დაესწრებიან, იქნებ სჯობია კიდევაც. ერთზე იტყვიან, ქურდიაო, მეორეზე — უსწავლელიაო, კამაჭიჭი ჯერ სულ ახალგაზრდაა, რა დროს მაგის გათხოვებააო, — დაიჟინებენ. მათი რჩევა ახლა ჩვენ არ გამოგვადგება.

— მაინც, სად უნდა გადაკარგულიყო ის კაცი, ვისთანაც ისინი წავიდნენ, — ვერ ისვენებდა ესმა.

— იცი, რას გეტყვი? ამ ჩვენი ბიჭების — ლევანის, ივანეს და სხვების ამბავი არავის უთხრა. მე რომ ქალების ამბავი ვიცი, ტყუილსა და მართალს ერთმანეთში აურევთ და ის ხალხი ხიფათს არ გადავყაროთ.

— თუ აგრეა, რაღას დაველოდოთ, შევკრიბოთ ნათესაობა და გადავწყვიტოთ. ამაზე დიდი საქმე ჩვენ არცა გვქონია და არც გვექნება, — თქვა ესმამ.

— მთელ ნათესაობას ნუ შეყრი, ვინც წელან ჩამოვთვალეთ, ისინი მოვიწვიოთ. დროზე უნდა მოვრჩეთ ამ საქმეს.

— შენ რაღაც ვერა ხარ გუნებაზე. ისე ლაპარაკობ, თითქოს რაღაცის გეშინია. რაშია საქმე, ცუდი ხომ არაფერი გაგიგია?

— ნუ იცი, ქალო, ჩაციება! უსიამოვნო რაღაც მითხრეს, მაგრამ ვერ გეტყვი... ნეტავი ჩემთვისაც არ ეთქვათ და...

— ვინმე უღირსი ხომ არ გადაეკიდა ჩვენს ქალიშვილს?

— თითქმის ასეა, მაგრამ ახლა მეტს ვერაფერს გეტყვიმეთქი. ხვალვე დავუძახოთ იმ ხალხს, სტუმრებს დახვედრა უნდა და თადარიგი დაიჭირე.

— შუაღამეა უკვე, დაწექი და დაისვენე, ხვალ კი ერთად მივხედოთ ამ საქმეს, — თქვა ესმამ. ქმარს ლოგინი გაუშალა. თვითონ ერთხანს კიდევ იჯდა ჩაფიქრებული. სულ იმაზე იმტ-

ვრევდა თავს, რას მიმალავს ეს კაცი, ნეტავი მაცოდინაო. მერე თვითონაც დაწვა და დაიძინა.

XXIV

ახალი შებინდებული იყო, როცა ჭიშკარი გაიღო და სტუმრები შემოვიდნენ, სალამი უთხრეს მასპინძლებს და აივანზე ჩამოსხდნენ. კამაჭიჭს გულმა უგრძნო, რომ ეს ხალხი მისთვის იყო აქ მოსული და დედას ჰკითხა, რაშია საქმეო, მაგრამ ესმამ გარკვევით ვერაფერი უთხრა.

ცოტა ხნის მერე, კამაჭიჭს რომ არ გაეგო მათი საუბარი, სტუმრები ეზოში ჩავიდნენ და დიდი ხის ქვეშ განაგრძეს ლაპარაკი.

— უკვე ნამდვილი გაზაფხულია, დათბა კიდევაც, მაგრამ მიწა ჯერ კიდევ ნესტიანია, — თქვა ალიასმა. — კარგი იყო კამაჭიჭი მეზობლებში გამეშვა, მაშინ სახლშიც შეგვეძლო თავისუფლად გვესაუბრა, მაგრამ დროზე ვერ მოვიფიქრე და ახლა არ ვიცი რა ვქნა...

— არა უშავს, ალიას, აქაც საკმაოდ თბილა, — დაამშვიდეს მეზობლებმა მასპინძელი.

ალიასმა კიდევ ერთხელ შეახსენა სტუმრებს, რისთვისაც შეაწუხა დღეს ისინი.

ყველა ჩაფიქრდა.

პირველმა თორყანმა დაიწყო:

— დღეს ჩვენ კამაჭიჭის გათხოვების საკითხი უნდა გადავწყვიტოთ. ნასწავლი და განათლებული ხალხი ამ ასაკის ქალიშვილის გათხოვებას არ ჩქარობს, მაგრამ ჩვენი საქმე სხვა არის... ეს ქალიშვილსაც უნდა გავაგებინოთ და თვითონაც თადარიგი დავიჭიროთ. მე თუ დამეჯერება, ალხასზე უკეთესი ვაჟკაცი ამ მხარეში იშვიათად თუ მოიძებნება. ისევ ვიმეორებ — კამაჭიჭის

გათხოვება ცოტა ნაადრევი კია, სოფელში ბევრი მასზე უფროსი ქალიშვილია გასათხოვარი, მაგრამ აქ სხვა ამბავია. ძალიან გაითქვა სახელი კამაჭიჭმა, ბევრი მთხოვნელი ჰყავს, ამიტომ ამ საქმის გადადება არ ღირს. რაფიდას ნუ ეწყინება, მაგრამ მარტო მის ნათქვამს — ისიც კაცის კაცით გაგონილს — ვერ დავეყრდნობით, მაგრამ, თუ ის ვაჟი სანდო ხალხს გამოგვიგზავნის, უარს ნუ ვეტყვით!

მაცი თორყანს დაეთანხმა და თან დაუმატა:

— ივანე და ლევანი რომ აქ ყოფილიყვნენ, უთუოდ ხელს შეგვიშლიდნენ. ისინი ცდილობენ, კამაჭიჭი თავიანთ საქმიანობაში ჩააბან და მისი საშუალებით სოფლის ქალებზე მოახდინონ გავლენა, ამიტომ ეს საქმე მათ ჩამოსვლამდე უნდა მოვაგვაროთ როგორმე.

— ამ პატარა გოგოს კაცებთან გაშვება ვინ გაიგონა, ან ვინ დაუგდებს ყურს? მასხრად აიგდებენ და გამოუშვებენ, არ იცით ჩვენი ხალხის ამბავი! — გაბრაზდა შარიფა.

კიდევ დიდხანს ისაუბრეს და ბოლოს შეთანხმდნენ, რომ ჯერჯერობით არავისთვის გაემხილათ დღევანდელი შეკრების მიზეზი, ყველა ნათესავსაც კი ნუ გააგებინებთო, — დაიჟინეს.

— ჩვენ უკვე თითქმის გავათხოვეთ კამაჭიჭი, მაგრამ ის კი არ ვიცით, თვითონ თუ არის თანახმა, — ალიასს შეხედა თორყანმა.

— მე ხშირად გამიგონია კამაჭიჭისგან იმ ვაჟის ქება, — თქვა რაფიდამ. — საუცხოო ცხენოსანია, სიტყვა-პასუხი კარგი იცის, შესახედავადაც მშვენიერი ვაჟკაცია, ასეთ ახალგაზრდას ჩვენს სოფელში მეორეს ვერ ნახავო. მე მგონი, უარს არ იტყვის.

გადაწყვიტეს, რაფიდა მიუგზავნონ კამაჭიჭს, აუხსნას, რატომ უნდათ ასე ჩქარა მისი გათხოვება და თქვას, თანახმაა თუ არა.

რაფიდას ბევრი აღარ უყოყმანია, წამოდგა და კამაჭიჭთან წავიდა.

— ვიდრე რაფიდა კამაჭიჭს ელაპარაკება, თქვენ აქეთ მობრძანდით, — სუფრაზე მიიწვია სტუმრები ალიასმა.

ის-ის იყო ივახშმეს და წამოდგნენ, რომ რაფიდა გამოჩნდა, ალიასი აივანზე გაიყვანა და უთხრა:

— როგორც მოვილაპარაკეთ, ყველაფერი ისე ვუთხარი. მგონი უარს არ ამბობს, მაგრამ დღეს გადაჭრით მაინც არაფერი უთქვამს. ზეგ კიდევ მოველაპარაკები და ეგებ დავითანხმო.

— თუ კამაჭიჭი ასე იოლად დაგვეთანხმება, ჩვენი ხელმეორედ თავშეყრა საჭირო აღარ არის. რაფიდამ შეატყობინოს იმ ხალხს, ვინც ეს დაავალა, გამოგვიგზავნონ შუაკაცები, როგორც წესი და რიგია და პასუხსაც საკადრისს გასცემ. ჩვენ თუ რამეში დაგჭირდებით, აქა ვართ, ნუ მოგვერიდები, — ამ სიტყვებით დაემშვიდობნენ ალიასს იმღამინდელი სტუმრები და საბლებში წავიდნენ.

რაფიდამ იმდენი ქნა, ორ-სამ დღეში კამაჭიჭს თანხმობა ათქმევინა. ამ დროს ვაჟის მშობლებმა შემოუთვალეს, ქალიშვილისაგან იმედის მომცემი რაიმე სიტყვა ხომ არ გაგიგიაო.

— ჯერჯერობით არა, მაგრამ იმედი მაქვს, მალე დავითანხმებ, თქვენ კი მშობლებს მოელაპარაკეთ მანამდეო, — შეუთვალა რაფიდამ.

— ხალხის გამოგზავნა ჩვენ არ გაგვიჭირდება, მაგრამ უარი რომ გვითხრან, შევრცხვებით. ამიტომ, არ უნდა გახმაურდეს ჩვენი მოლაპარაკებაო, — უთხრეს რაფიდას ვაჟისიანებმა.

XXV

როგორც კი რაფიდას დანაბარები გაიგო, ალხასის მამამ — ძიკურმა, სოფელში ორი ყველაზე პატივსაცემი კაცი — ბასიათი და ჰაჯარათი ამოარჩია და კამაჭიჭის მშობლებთან გააგზავნა.

მაშვლები შებინდებისას მოადგნენ ალიასის სახლს, ჩამოქვეითდნენ. მოვიდა რაფიდაც. მოსულებმა რაფიდა გვერდით გაიხმეს და ჰკითხეს, ახალსა და კარგს რას გვეტყვიო?

— ერთი ამათ დამიხედეთ, — გაეცინა რაფიდას, — ორი დღის წინ საქმე დამავალეს და დღეს კარზე არ მოგვადგნენ! დღეს საღამოს რომ ქალი არ დამეყოლიებინა, მაშინ ხომ საყვედურებით ამავსებდით, ეს რა გვიქენი, რატომ მოგვატყუეო. მე ვარ ასეთი ყოჩაღი ქალი, მე დავითანხმე გოგო, თორემ იმასაც ვნახავდი, რა პასუხს მოგცემდათ.

— თუ ქალი თანახმაა, ერთ კვირაში მივგვრით კიდევაც ალხასს, — ხუმრობითვე უპასუხეს მოსულებმა.

— რა გაჩქარებთ, ნეტავი ვიცოდე. თუმცა, რა ჩემი საქმეა, გოგო ჰოობაზეა, მის მშობლებს კიდევ თქვენ მოელაპარაკეთ, — თქვა რაფიდამ.

— ეგ საქმე ჩვენ მოგვანდე, ახლა უკვე უშენოდ მოვუვლით ამ ამბავს, — უთხრა ჰაჯარათმა.

— თუ ყველაფერი ისე მოგვარდა, როგორც ჩვენ გვინდა, ქორწილის ღამეს ხარს დავკლავთ, ტყავს ჩემი ხელით მოგართმევ, — გაიცინა ბასიათმა.

— პირობა პირობაა, იცოდე, — სიცილითვე მიუგო რაფიდამ და სტუმრებს ეზოში შეუძღვა.

— რაო, ბასიათ, თუ შუამავლად არ მოხვედი, სახლში არ შემოგიშვებთ? მობრძანდით, გთხოვთ, — ღიმილით მიეგება ალიასი სტუმრებს.

— სახლში როგორ არ შემოვალთ, კაცო, — გაეცინათ შუამავლებს.

ამ დროს, ეზოდან მამლის განწირული ყივილი მოისმა.

— ნუ შეაწუხებ დიასახლისს, ალიას, შენი ჭირიმე! დიდხანს დარჩენას ჩვენ არ ვაპირებთ. ძიკური გველოდება, არ დაიძინებენ ჩვენს მისვლამდე, ვახშამს გაამზადებენ და... — დაიწყო ბასიათმა.

— ამაღამ თუ ვერ დაიძინეს, ქვეყანა არ დაიქცევა, ხვალაც ამ თვისაა, იმდენი იძინონ, რამდენიც უნდათ, ვახშამს კი ვერც მე დამიწუნებთ, — თქვა ხუმრობით ალიასმა.

— ბასიათ, როგორც ვატყობ, ალიასს მალე მაინც ვერ დავ-ეღწევით და ტყუილად ნუღარც ჩვენ გამოვიდებთ თავს, — უთხრა ჰაჯარათმა.

— რაღა გაეწყობა, შენც გადამიდექი და მარტო მე ხომ არ გავიქცევი ძიკურთან. მაშინ დიასახლისმა იმ მამალს მეორეც მიაკლას ზედ და ჩვენც აგერა ვართ, — ხელები გაშალა ბასი-ათმა.

— მამალი კი არა, თქვენისთანა ხალხს ხბო უნდა დაუკლას კარგმა მასპინძელმა, მაგრამ ნუ გეშინიათ, მშივრებს მაინც არ გაგიშვებთ, — მიუგო ალიასმა.

— რას შვრები, კაცო, ამოდენა ფრინველს რომ აწყვეტინ-ებ ამ კაცს, იქნებ არ გიკლავდა იმ მეორე მამალს, ასე როგორ შეიძლება! — „გაუბრაზდა“ მეგობარს ჰაჯარათი.

— აბა, აბა, ჩხუბი არ იყოს, — თქვა ალიასმა და ასე, ხუმ-რობა-სიცილით აივანზე დასხდნენ. ალიასმა კაცი გაგზავნა თორყანთან და მაცისთან — ასე და ასე საქმე და გადმოდითო. ცოტა ხანში ისინიც გამოჩნდნენ. ახლა ისინი გაექილიკნენ სტ-უმრებს, თვითონაც გაიცინეს და ისინიც ბევრი აცინეს. მერე კი — საქმეზე ვილაპარაკოთო, — თქვეს.

— ჰაჯარათ, უთხარი მასპინძლებს ჩვენი სტუმრობის მიზეზი, ისინი თავისას გეტყვიან და ჩვენც ყველაფერი წვრ-ილად გადავცეთ მათ, ვინც აქ გამოგვაგზავნა, — დაიწყო ბა-სიათმა.

— შენ თქვი, კაცო, შენზე უკეთესად მე როგორ ვიტყვი, — იუარა ჰაჯარათმა.

— შენ იმიტომ გთხოვე, რომ ლამაზად იტყვი სათქმელს, სა-სიამოვნოა შენი საუბარი, მე კი ორი სიტყვით, მოკლედ მოვჭრი და ამას ვერიდები, — გადაულაპარაკა მეგობარს ბასიათმა.

— მოკლედ თქვი, ასე სჯობია, — შეუძახეს აქეთ-იქიდან და იმანაც დაიწყო:

— ჩვენო პატივცემულო მასპინძლებო! პირველად არ მოვსულვართ დღეს ჩვენ ამ ოჯახში, პური გაგვიტეხია და სადღეგრძელო დაგვილევია. თქვენი სახლის კარი ყოველთვის ღიაა სტუმრისათვის. ავ-კარგიანი ხალხი ხართ, მართალი და პატიოსანი. ისიც კარგად ვიცით, რა გამრჯე და შრომისმოყვარე ხალხი უვლის ამ მშვენიერ კარ-მიდამოს. ბევრი ლაპარაკობს თქვენზე, ზოგი სიხარულით, ზოგიც კიდევ — შურით. რას იზამ, შურმა დაგვჩაგრა და დაგვაცოტავა, მაგრამ ხალხს უთქვამს: „თუ მეგობრები გყავს, მტრებიც გეყოლებაო“. რამდენი მტერიცა და მოშურნეც თქვენა გყავდეთ — ახლობელი თუ შორეული — იმდენი ფეხმარდი ცხენი თქვენ! ხე ფესვებით არის ძლიერი, ადამიანი — ნათესავებითო. კარგი ნათესავის შეძენა დიდი საქმეა, კაცს ჭირშიც და ლხინშიც მოზიარე უნდა. მარტოს ერთის გადატანაც გაუჭირდება და მეორისაც. თუ დაინახეს, რომ კარგი ქალი ან ვაჟი გეზრდება, ავსა და გულღრძო ადამიანს იმაზე უჭირავს თვალი, რით გატკინოს გული, სად გიხიმანდროს. აი, მაშინ გჭირდება ნათესავი და გულშემატკივარი. შენ, ალიას, კარგი სახელი გაქვს, შენი ალალი შრომით ნაამაგარი ავ თვალს არ ენახვის, ოჯახიც კარგი გაქვს და ღმერთმა ბოლომდე შეგარჩინოს ყველაფერი! კარგი ნათესავების შეძენაზე რომ გელაპარაკები, თავადებს და აზნაურებს როდი ვგულისხმობ. მე სხვა ნათესაობაზე გელაპარაკები და ახლავე ყველაფერს აგიხსნი:

დად, ალიას, ღმერთი იყოს მუდამ შენი მფარველი, ვიცი, კარგი ქალიშვილი გყავს, თანაც ერთადერთი ქალიშვილი. შენთვის ქალიც ეგ არის და ვაჟიც. ძიკურის შვილს, ალხასს ჩაუვარდა გულში შენი კამაჭიჭი და ცოლად გთხოვს. ძიკურსაც ძალიან მოსწონს სარძლოდ შენი გოგო. მთელმა ოჯახმა სული ხელში ჩაგვბერა, იქნება, როგორმე უარი არ გვითხრან დან-

ათესავებაზეო. აგერ, ორი კაცი ვართ აქ მოსული და ჩვენც ძალიან გთხოვთ, კეთილად დავაბოლოოთ ეს საქმე. სწორედ ერთმანეთის შესაფერისები არიან და ცოდვაც იქნება, ხელი რომ შევუშალოთ. ალხასი რა ვაჟკაცი და როგორი შვილია, ამაზე ლაპარაკს ახლა არ დავიწყებ. ძიკურის შვილს არაფერი დაეწუნება. თქვენი ქალიშვილის ქება ხომ მთელ ჩვენს მხარეს მოედო. ჰოდა, მათი შეუღლება ღმერთსაც გაუხარდება და კაცსაც. ქალიშვილი, როგორც ვიცით, არ უნდა იყოს უარზე. ჩვენ, ყველას, ისღა დაგვრჩენია, კეთილად დავაბოლოოთ ეს საქმე, მივათხოვოთ კამაჭიჭი ალხასს, ორი კარგი ოჯახი გავაერთიანოთ და დავანათესავოთ. აი, ეს დაგვავალა ძიკურმა და ახლა სიტყვა თქვენზეა.

— ქალი უკვე დაგითანხმებიათ და წაგეყვანათ ბარემ! — იხუმრა თორყანმა.

— ვითომ არ იცოდეთ თქვენი ქალიშვილის ამბავი. დედამამის უკითხავად მე ვერაფერს გადავწყვეტო, — გვითხრა. ხომ ასეა, რაფიდა? — ჰკითხა ბასიათმა. რაფიდამაც კვერი დაუკრა.

— ასეა ეს, მასპინძლებო, ბასიათის ნათქვამს მე ველარაფერს დავუმატებ. თქვით, რა პასუხი წავუღოთ ძიკურს? — თქვა ჰაჯარათმა.

— ალიას, დად, უთხარი შენი სათქმელი ამ პატიოსან ადამიანებს და ჩვენც შემოგაწევთ მერე თითო სიტყვას, — უთხრეს თორყანმა და მაციმ.

— პატივცემულო სტუმრებო, — დაიწყო დინჯად ალიასმა. — დიდი პატივია ჩემთვის, რომ ასეთი კარგი ხალხი, როგორიც თქვენ ხართ, გაისარჯენით და ამ ბედნიერ საქმეზე მესტუმრეთ დღეს. ყველაფერი ჩვენი წესისა და ადათის მიხედვით მოხდა. ჯერ ქალიშვილს აართვით პირი, მერე კი ჩვენთან მოხვედით. და თუ ჩემი ქალიშვილიც თანახმაა, მე წინ აღარ გადავუდგები. მე მგონი, ჩემი ძმებიც დასტურს მეტყვიან, — თქვა ალიასმა და

თორყანს და მაცის გადახედა. მათ მოეწონათ ალიასის ნათქვამი. თუ ქალიშვილი და მშობლები თანახმანი არიან, ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მივულოცოთ გაბედნიერებაო.

— მე დამრჩა სიტყვა სათქმელი, — თქვა მოულოდნელად რაფიდამ და სტუმრებს გადახედა, — მართალია, წელან გითხარით, ქალიშვილი თანახმაა-მეთქი, მაგრამ ერთი რამის თქმა მაინც გამომრჩა.

— შე კაი ქალო, ჩვენ ვიფიქრეთ საქმეს მოვრჩით-თქო და შენ ახლიდან იწყებ ყველაფერს? თქვი, თუ შენი ნათქვამით არაფერი დაშავდება! — წამოიძახეს ბასიათმა და ჰაჯარათმა.

— არა, დაშავებით არაფერი დაშავდება. კამაჭიჭმა მითხრა, რომ მას ძალიან არ მოსწონს ალხასის მეგობრობა ქურდებთან და თუ მომავალშიც ასე აპირებს გააგრძელოს, იცოდეს, ამ საქმეს კეთილი ბოლო არ ექნებაო.

— ჩვენა ვართ თავდები, რომ ალხასი ამ საქმეს უკვე ჩამოშორდა. და თუ დღეის ამის იქით გაიგოთ, რომ მან იქურდა, მაშინ ჩვენ ორს თავზე ქუდი აღარ გვხურებია. ერთი წელი იქნება უკვე, ალხასი ასეთ საქმეზე სახლიდან გარეთ არ გამოსულა. გვენდეთ, ან ტყუილი რა საკადრისია!

— მოდით, ამით დავამთავროთ. ქალიშვილი უკვე ჩვენია, ახლა კი დროა წაყვანის დღე დავნიშნოთ, — თქვა ჰაჯარათმა.

მაცის, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა ჰაჯარათის ნათქვამი და უთხრა: — ქალიშვილი უკვე თქვენია, ეს მართალია, მაგრამ წაყვანას ასე რატომ ეჩქარებით. ახლა გაზაფხულია, უსუსურობაა, სჯობია ისევ ხვავიან და ბარაქიან ოქროს შემოდგომას დავუცადოთ, ნამდვილი სალხინო დროა, მაგრამ ალიასსა და თორყანსაც ვკითხოთ, ვნახოთ, რას იტყვიან.

თორყანმაც და ალიასმაც მაცის დაუკრეს კვერი.

— რატომ, რატომ გადავდოთ, შემოდგომამდე ნუ გავაჯანჯლებთ ამ საქმეს, — არ გატყდნენ მაშვლები, მერე ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს და ჰაჯარათმა თქვა:

— ძვირფასო მასპინძლებო! ის საქმე, რისთვისაც ჩვენ აქ მოვედით, კეთილად დაგვირგვინდა. ღმერთმა დღეგრძელობა და ბედნიერება ნუ მოუშალოთ ახალგაზრდა წყვილს, იბედნიერონ და გვაბედნიერონ!

— ამინ! — ერთხმად წარმოსთქვა ყველამ.

— ჩემო კეთილებო, — განაგრძობდა ჰაჯარათი, — მე და ბასიათს ბოლომდე არ შეგვისრულებია ის ვალი, რაც ჩვენ დაგვაკისრეს. წამოსვლისას ვაჟისიანებმა სარძლოსთვის რამდენიმე ოქროს ნივთი გამოგვატანეს. ამის მაგივრად სჯობდა ერთი კარგი ცხენი მოგვეყვანა, მაგრამ რა ვიცი, სხვა დრო დადგა და აი, ეს ოქროულობა გამოგვატანეს.

— ჯერ თქვენ გაჩვენებთ, მერე კი ქალიშვილს გადავცემთ. აბა, ბასიათ, ამოატრიალე ჯიბეები და ყველაფერი, რაც მე ვთქვი, მაგიდაზე დაალაგე.

ბასიათმა ჯიბიდან პატარა ფუთა ამოიღო და გახსნა დაუწყო.

— აი, ეს ნიშნობის ბეჭედია, ოქროსი, — თქვა და ალმასის თვალმა მაგიდაზე გაიბრწყინა. — ეს ოქროს საათია, ოქროსივე სამაჯურით, ეს ყელსაბამიც ოქროსია, შიგ რომ ძვირფასი თვალი უზის, იმის სახელიც მითხრეს, მაგრამ დამავიწყდა.

— სახელის გაგებას რა უნდა, შენ ჯიბეში არაფერი დაიტოვო, — გაეხუმრა თორყანი.

— იქნებ მეტი აღარაფერი მაქვს, — განგებ ჯიბიდან ხელს არ იღებდა ბასიათი.

— ისე გატყობ, რაღაცას უნდა მალავდე, — არ ცხრებოდა თორყანი.

— ბასიათ, ჯიბეში არაფერი დაგრჩეს, თორემ ეს ხალხი გაჩხრეკას გვიპირებს და ვაითუ შევრცხვეთ!

ასე, ხუმრობა-სიცილში ბასიათმა ჯიბიდან აბრეშუმის ლამაზი ცხვირსახოცი ამოიღო და ისიც ძვირფასეულობის გვერდით დადო, — მეტი ნამდვილად აღარაფერი მაქვს, — თქვა და დაჯდა.

— ახლა კი დროა, პატარძალი გვაჩვენოთ, — თქვეს ჰაჯარათმა და ბასიათმა. წამოდგნენ, რაფიდა წინ გაიძღოლეს და მეორე ოთახში გავიდნენ. რაფიდა სინათლეს აეფარა, კამაჭიჭიც მაშინვე მის ზურგს უკან შეიყუჟა. ბასიათმა ძვირფასეულობა მაგიდაზე დადო, გაიღიმა და კამაჭიჭს უთხრა:

— პატარძალო, ახლოს ყოფილხარ, გაიგონებდი ჩვენს ნათქვამსაც. წელან დაგლოცეთ და ახლაც გეუბნებით: — დაგვილოცნიხართ შენ და შენი საქმრო, ბედსვიანობას, გამრავლებას გისურვებთ! ახლა კი ნეფის მიერ გამოგზავნილი ნიშანიც მიიღე.

ოთახში დიდხანს აღარ გაჩერებულან, მალე უკანვე გამოვიდნენ. ოთახის კარი ღია დარჩა და იქიდან სანთლის ათინათი იღვრებოდა.

— ხედავთ, მასპინძლებო, ეს ჩვენი მორთმეული ოქროულობა როგორ ანათებს ოთახს, — თქვეს სტუმრებმა.

— თქვენი ოქროულობა კი არა, ჩვენი ქალიშვილი ანათებს, — უპასუხა რაფიდამ. ყველას გაეცინა.

— ბასიათ, კარგი ენაკვიმატი ხარ, მაგრამ არც რაფიდა ყოფილა შენზე ნაკლები, — გადაულაპარაკა მეგობარს ჰაჯარათმა.

— იქნებ ჩემთანაც გამოგატანეს რამე, არ დაგავიწყდეთ და უკან არ გაგყვეთ, — გადაიკისკისა რაფიდამ.

— ძალიან გაგიტკბათ საჩუქრები, აი! ახლა ჩვენი წასვლის დროც დადგა, — უთხრა ბასიათმა ალიასს.

— რაფიდა, ეს იმას ნიშნავს, რაღას უყურებთ, სუფრა გაშალეთო, — იხუმრა ისევ თორყანმა. რაფიდა მაშინვე სამზარეულოში გავიდა.

სტუმარ-მასპინძლებმა საუბარი გააგრძელეს. გარეთ კი შეუჩერებლად ღავღავებდნენ ძაღლები.

— რა ხდება, ალიას, მთელი ღამე ამ ძაღლებს რა აყეფებთ. ყოველ საღამოს თუ ამ დღეში არიან, კარგად ყოფილა თქვენი საქმე! — თქვა ბასიათმა.

— არ ვიცი, რა დაემართათ ამ გასაწყვეტებს, — შეწუხდა ესმა, იგი ის იყო შემოვიდა და სტუმრის ნათქვამი გაიგონა. — ასე არასოდეს უქნიათ, ამაღამ რა ეშმაკ-ქაჯი შეუძვრათ, ამ მართლა ეშმაკის კერძებს!

— ნამდვილად ჩვენი მოსვლა ეწყინათ, — გაიცინა ბასიათმა.

ალიასი აივანზე გავიდა, ძაღლებს დაუტურტურა, მაგრამ ვერა გააწყო რა, იმ საღამოს იმათი ყბა არ გაჩერებულა.

— ახლა კი, გადავწყვიტოთ, ბოლოს და ბოლოს, როდის მიგვყავს პატარძალი, — დაუბრუნდა დაწყებულ საუბარს ჰაჯარათი.

— ასე სასწრაფოდ ან თქვენ როგორ უნდა წაიყვანოთ, ან ჩვენ როგორ გაგატანოთ გოგო, სჯობია, ამაზე სხვა დროს მოვილაპარაკოთ.

— ჩვენ როდი გაჩქარებთ, დღეისსწორამდე არც ვაპირებთ წაყვანას, დღეისსწორს — ხუთშაბათს — კი ნუ გადავაცილებთ, — თქვა ბასიათმა.

მასპინძლებს გაეცინათ, — შემოდგომის ხუთშაბათამდეც მოიცადეთ და ჩვენც მოვემზადებითო, — უთხრეს.

ახლა სტუმრებს გაეცინათ და თქვეს, თუ პატარძალს უკან არ გვართმევთ, ნამდვილად ხუთშაბათს უნდა წავიყვანოთო.

— დად, ჰაჯარათ, ასე გაგონილა? მოძულებული ხომ არა მყავს ეს ჩემი გოგო, ასე უცებ როგორ მოვიგლიჯო მკერდიდან?

— ჩვენი ბრალია, ამდენ ხანს რომ ამ საკითხზე ვერ შევთანხმდით. თავიდანვე უნდა გვეთქვა ძიკურის დანაბარები. ჩუმად უნდათ პატარძლის წაყვანა. დათქმულ საღამოს თქვენმა ქალიშვილმა თავისი ტანსაცმელი მეზობელთან, აი, თუნდაც რაფიდასთან მიიტანოს, იქიდან კი მაყრები წაიყვანენ. ეს წესი ჩვენი მოგონილი არ არის. უმრავლესობა ასე თხოვდება აფხაზეთში. ძალიან გთხოვთ, უარს ნუ გვეტყვით. ეს საქმე ასე

მოვაგვაროთ და მერე თქვენ იცით, როგორ ნათესაობასაც გაუწევთ ერთმანეთს: ქორწილსაც გადაიხდით, მზითევსაც გაატანთ, მაშ როგორ!

„ის, რაც შეიძლება დღეს გაკეთდეს, ხვალისთვის აღარ გადაიდებაო", — ხალხს უთქვამს. ღმერთმა დაგვიფაროს და — რა იცი, წინ რა მოგველის? ამიტომ რაც დროზე მოვაგვარებთ ამ საქმეს, უკეთესი იქნება.

მაინც დიდხანს იკამათეს. ბოლოს მასპინძლებიც დათანხმდნენ.

მალე სუფრაც გაიშალა. დალოცეს სტუმარი და მასპინძელი, ადღეგრძელეს ნეფე-დედოფალი, ძიკურის ოჯახი. არავინ დაუტოვებიათ უდღეგრძელებელი. ბოლოს საყველაწმინდოც შესვეს, სტუმრები გამოაცილეს და გზა მშვიდობისა უსურვეს.

XXVI

ერთ საღამოს ალიასი სამუშაოდან დაბრუნდა, ხელ-პირი დაიბანა და დასასვენებლად სკამზე ჩამოჯდა.

— კამაჭიჭი სად არის? — ჰკითხა მეუღლეს.

— ახლახანს აქ იყო, მერე სად წავიდა, არ ვიცი. — მიუგო ესმამ და დაუმატა: — წეღან ჭიშკართან შევასწარი თვალი, პატარა თამშიგუს ეუბნებოდა, ცხენები შააბანის ნასახლარზე სძოვენ და აქეთ გამორეკეთო. თვითონ კი ვერ დავინახე, სად გაქრა.

— ალბათ თვითონაც ცხენების მოსარეკად წავიდა. ეს რა საქციელია? ზეგ ქალი თხოვდებოდეს და დღეს ცხენებს გაეკიდოს?

— ეგ არ ვიცი, იქ წავიდა თუ არა, მაგრამ რა, ზეგ მართლა თხოვდება?

— ოთხი დღის წინ არ დავნიშნეთ, დაგავიწყდა? დღეს მეხუთე დღეა, ორი დღეღა დარჩა.

— არ მინდა დღეები ვთვალო, ძალიან ჩქარა გარბიან. რა გვეშველება უმაგისოდ? მეზობელთან რომ გადავიდოდა, ერთი სული გვქონდა, როდის მოვიდოდა, — ისე გვენატრებოდა.

— რას იზამ, უნდა მოვითმინოთ. სხვა გზა არ არის.

— გამოდის, რომ ივანესა და ლევანის დაბრუნებამდე წავა კამაჭიჭი.

— დღეს აძიუბჟაში უნახავთ ორივენი. ორ-სამ დღეს აქ დავრჩებითო, — უთქვამთ. მაგათი ორი-სამი დღე ათს ნიშნავს. მაინც რატომ გეჩქარება ასე მათი მოსვლა? ისინი ხელს თუ შეგიშლიან ამ საქმეში. შენ ეს გინდა?

ამ საუბარში იყო ცოლ-ქმარი, როცა ეზოში მაცი შემოვიდა. ისე ჩამოსტიროდა თავ-პირი, დანა რომ დაგერტყა, წვეთი სისხლი არ გამოუვიდოდა.

— საღამო მშვიდობისა, — თქვა და მოშორებით ჩამოჯდა.

— გაგიმარჯოს, — უპასუხეს და წამოდგნენ. ერთხანს ვერაფერი ჰკითხა ალიასმა, მერე კი ველარ მოითმინა:

— რა მოხდა, მაცი, რა თავ-პირი ჩამოგტირის?

— კარგი არაფერი.

— მაინც?

მაცი ერთხანს ყოყმანობდა, ეტყობოდა ეძნელებოდა ამის თქმა, მაგრამ ბოლოს მაინც ამოღერღა:

— ალხასი დაუპატიმრებიათ!

ალიასი და ესმა მეხდაცემულებივით გახევდნენ ადგილზე. დიდხანს ხმა ველარ ამოიღეს, ისხდნენ ასე, გაოგნებულები.

— რატომ დაუპატიმრებიათ, რას აბრალებენ? — ძლივს გასაგონად იკითხა ალიასმა.

— არაფერი, ვიღაცას ენა მიუტანია მასზე.

— რაო, რას აბრალებს?

— რას აბრალებს და ვიღაცას ღუადაში ხარი მოუპარავს და ვითომ კვალს პატრონი ძიკურის სახლამდე მიეყვანოს. ცოლის შერთვას აპირებს და ალბათ ესეც დასაკლავად უნდოდაო, —

უთქვამს. მოიყვანეს ბოქაული, შეუკრეს ალხასს ხელები და ოჩამჩირის ციხეში ჩასვეს. ძიკური ჩამოვიდა დღეს ოჩამჩირიდან. არც კი უნახებიათ შვილი. ის კი გაუგია, თურმე, როგორც კი ალხასი ციხეში ჩაუსვამთ, მაშინვე მძიმედ ავად გამხდარა. ქორწილის ვადა უნდა გადავდოთო, — შენთან დამაბარა.

ელდანაცემ ცოლ-ქმარს მაცის თითოეული სიტყვა ეკალივით ხვდებოდა გულზე.

— ძიკური ხვალაც აპირებს ოჩამჩირეში წასვლას, იქნებ უშველოს რაიმე იმ საწყალ ბიჭს, მაგრამ ღმერთმა უწყის, რა გამოვა აქედან. ეშმაკის ხელი ურევია, მგონი, ამ საქმეში, — თქვა მაცემ.

— მაც, შენი ჭირიმე, იქნებ შენც გაჰყოლოდი ძიკურს ოჩამჩირეში, გაიგებდი მაინც, ვინ უკულმართმა უმუხთლა იმ ბედშავს, წასვლით კი აუცილებლად უნდა წახვიდე.

— კამაჭიჭიც არ არის სახლში, თქვენთან ხომ არ არის, მაც? — ესმა სადაც იყო, ატირდებოდა.

— ჩვენთან არის. როგორც კი ყური მოჰკრა ამ ამბავს, მუხლი მოეკვეთა საწყალს. ჩემი ცოლი ევლება თავზე და ცდილობს, ანუგეშოს როგორმე. მაგრამ კამაჭიჭს ეგრე ადვილად თვალს ვერ აუხვევ, — თუ ვილაცამ განგებ უქნა ეს, წასულია მისი საქმეო, — უთქვამს.

ამ დროს თორყანიც გამოჩნდა. — ამასაც გაუგიაო, — გადაულაპარაკეს ერთმანეთს.

თორყანი აივანზე ამოვიდა და იქ მყოფთ მიესალმა. ყველანი ფეხზე წამოდგნენ, — გაგიმარჯოსო, — მიაგებეს მოსულს და დასხდნენ ისევ. არც ერთი მათგანი ხმას არ იღებდა. თორყანი ალიასს მიუბრუნდა:

— ალიას, მართალია რასაც ამბობენ?

— მეც ახლა შევიტყვე, მაცემ მომიტანა ამბავი. ვილაცამ ბლაგვი დანით გამოგვჭრა ყელი და ეგ არის!

ისევ დუმილი ჩამოწვა.

— მაინც რა გაიგე, მაცი, რა მომხდარა? — ჰკითხა თორყანმა.

— ძიკური იყო ჩემთან, ოჩამჩირიდან გზად შემოიარა და ალიასთან მოსვლა მთხოვა, — გააგებინე ჩვენი ამბავიო.

— მაშ, მართლა დაუპატიმრებიათ ის ბიჭი?

— ჰო, მაგას ვიღა ჩივის, ავად გამხდარა საცოდავი. ძიკური წუხდა, არც კი მაჩვენესო. ხვალ ისევ მიდის...

— მინდოდა მაციც წასულიყო, იქნებ გაეგო რამე, — თქვა ალიასმა.

— ძალიან კარგი იქნება, მაცი, გაიგე, რა ხდება, თუ ალხასი მართლა ავად არის, თავდებით მაინც გამოუშვან, ბოლოს და ბოლოს, ქვეყანა ხომ არ დაუქცევია იმ კაცს! ძიკურს ბევრი ჰყავს ნაცნობ-მეგობრები, შენც იცნობ ზოგ-ზოგებს. გაახერხებთ რამეს!

— ნეტავი მაცოდინა, ვინ ჩადგა ჩვენს ცოდვაში. წინასწარ მოფიქრებული და გაკეთებული მგონია ეს ყველაფერი, — თქვა ალიასმა.

— რაც მე მითხრეს, ის თუ გამართლდა, მაშინ ეჭვი აღარ მეპარება, რომ ამ საქმეში თათლასტანის ხელი ურევია...

— ნეტავი ეს არ გამეგო და თუნდაც ტყვია მომხვედროდა, — ამოიოხრა ალიასმა.

— რაო, ალიას, რამე ხომ არ გენიშნა? — ჰკითხეს ერთხმად თორყანმა და მაციმ.

— ეგ აზნაური მარტო ძიკურის გვარის ამოგდებას არ დასჯერდება, მალე ჩვენც გადმოგვწვდება.

— გადმოგვწვდა და ეგ არის, ძიკურის უბედურება — ჩვენი უბედურებაცაა, — თქვა თორყანმა.

— უარესს გვიზამს, ეგ ძაღლთაპირი, — რაღაცნაირი დაჟინებით იმეორებდა ალიასი.

— შენ რაღაცას გვიმალავ, ალიას, გვითხარი ბარემ, — სთხოვეს თორყანმა და მაციმ, მაგრამ ალიასს მეტი აღარაფერი უთქვამს და თორყანს სთხოვა — გვითხარი, შენ რა გაიგეო.

— თათლასტანი და ალხასი დიდი მეგობრები ყოფილან თურმე, ბოლოს კი ასე უმუხთლა იმ უღმერთომ. თათლასტანს სოფელ ღუადაში ძიძიშვილი ჰყოლია, ლაგასტანი. სწორედ ის ლაგასტანი აბრალებს ალხასს ხარის მოპარვას.

— მართლა გავუწირივართ იმ თათლასტანს, მაგას დაექცა ოჯახი. ხედავთ, რას გვიშვრება ბრიყვი ლაგასტანი! თავადები გლეხების ხელით გვჭრიან ყელს, თვითონ კი შორიდან უყურებენ სეირს. ვიცი მე მაგათი ამბავი!

— შენ მართლა იცი რაღაც, ალიას და უნდა გვითხრა, — ისევ შეუჩნდნენ მაცი და თორყანი.

— რადგან არ იშლით, გეტყვით. — მერე ცოლს მიუბრუნდა და უთხრა:

— გახსოვს, ამას წინათ რაღაცის თქმას რომ მთხოვდი და არ გითხარი? არ მინდოდა დამეღონებინე და ახლა ხედავ, სად ამიხდა ის შიში?

წელს, ჩაჩბების ეზოში გამართულ ბურთაობის მეორე დღეს თათლასტანს თავისი ძიძიშვილისთვის უთქვამს — ლამაზი გოგო ჰყოლია ალიასს, ძალიან მომწონს, ცოლად შევირთავდი, მაგრამ უჯიშო გლეხის ქალი სახლში როგორ მოვიყვანოო. — ასე თუ გადაგრია მაგ გოგომ, — უთქვამს ძიძიშვილს, — რა თავს იკლავ, მიუგზავნე ალიასს კაცები და საქმეც მოათავე, თუ ყოყმანი შეატყო — ადექი და მოიტაცეო. — აზნაური რომ ყოფილიყო ალიასი, გავუგზავნიდი კაცებს, მაგრამ ამ ტლუ გლეხს თავი როგორ გავუყადროო. ვერც მოვიტაცებ, ეს უფრო დიდი სირცხვილი იქნებაო; თუ იტაცებ — შენზე უკეთეს გვარიშვილს მაინც უნდა მოსტაცოო, — უპასუხია თათლასტანს. — შენ არც მწვადი გინდა დასწვა და არც შამფური, თუ ასეა, დაანებე თავი იმ გოგოს, თვითონ მონახავს თავის გზასო, — უთქვამს მაშინ ძიძიშვილს. მაგრამ, მე რომ მაგის ამბავი ვიცი, ასე ადვილად არ მოგვეშვება.

ძალიან დაღონდნენ თორყანი და მაცი. — ეჭვი აღარ არის,

რომ ალხასის დაპატიმრებაში თათლასტანის ხელი ურევია, — თქვა თორყანმა.

— არც ჩვენს გვარს დააყრის ხეირს, ვიცი, გაგვამწარებს, — დაურთო მაციმ.

— ნამდვილად დიდი სიფრთხილე გვმართებს.

— მაცი, აუცილებლად უნდა წახვიდე ხვალ ოჩამჩირეში, იქნებ გაიგო, როგორ არის ალხასი, — უთხრა ალიასმა.

— ვნახოთ, იქნებ არც ისე ცუდად არის საქმე. რომ არ დაუძინია და სიზმარს ჰყვება — იმ კაცისა არ იყოს, გავიგოთ ჯერ, რა ხდება სინამდვილეში. ასე, ცარიელი ლაპარაკი საქმეს ვერ უშველის. გულს ნუ გაიტეხ, ალიას, თუ რამე დაგჭირდა, აქა ვართ, კაცო! — დაამშვიდეს მეზობლებმა ალიასი და შინ წავიდნენ.

— მაცი, კამაჭიჭს უთხარი, წამოვიდეს, — დაადევნა გზაში ალიასმა.

დიდხანს იჯდა გამტკნარებული ცოლ-ქმარი კამაჭიჭის მოლოდინში. ისევ ესმამ დაარღვია სიჩუმე:

— ეხ, ვერ გათხოვდება ჩემი ქალიშვილი, ვიცი, თავიდანვე დათარსულია ეს საქმე. რომ გითხრა, რატომ ვამბობ ასე — დამცინებ, — ქალს მეტი ჭკუა არ მოეკითხებაო, — მეტყვი, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა.

— აბა, მითხარი ერთი, მაინც რამ დათარსა ჩვენი გოგო?

— ჯერ ერთი, რომ ორივე მხარე ძალიან ჩქარობდა. გარეშე პირს უთუოდ გაუკვირდებოდა ქალ-ვაჟის ასე ნაჩქარევად შეუღლება. ყველას რაღაცის შიში გვქონდა, გვინდოდა მოგვესწრო. როცა რაფიდამ წყაროსთან პირველად მითხრა ალხასის დანაბარები, ტყიდან სულ უბრალო ფაჩუნიც არ ისმოდა. სად იყო ჩიტების ჟივილ-ხივილი, ჩვეულებრივ მთელ ხეობას რომ ავსებს ხოლმე. თითქოს, რაღაც უსიამოვნო ამბავს მოჰკრეს ყური და არ ესიამოვნათო. მერე კიდევ — ალხასის შუამავლები რომ მოვიდნენ, იმ საღამოს ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. მათი მოსვლა და კოკისპირული წვიმის წამოსვლა ერთი

იყო, თითქოს ცაც მათ ბედს დასტიროდა. ახლა ისიც გაიხსენე, ძაღლებს მთელი ღამე, — სანამ სტუმრები ჩვენთან იყვნენ — ყბა რომ არ გაუჩერებიათ — ისიც ცუდად მენიშნა და აკი ყველაფერი ამიხდა კიდევაც.

— მაგით იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ ამ საქმეს აღარაფერი ეშველება?

— სწორედ ეს მიხეთქავს გულს. ამას ალხასის დაპატიმრება და თათლასტანის ნათქვამიც დაუმატე და...

— შენ იმ ბიჭის დაპატიმრებამ შეგაშინა ასე და ახლა იმიტომ გაიხსენე ყველაფერი. ან ამდენი რამ როგორ დაიმახსოვრე, ქალო? რადგან ასეა, შემოგეშველები და ცოტა რაღაცას მეც გაგახსენებ. ამ ზამთარს რომ დიდი თოვლი მოვიდა და ხეებს ტოტები სულ ჩამოალეწა? გუშინ რომ ქორმა წიწილა წაიღო, შარშან რომ რაფიდას კოკა გაუტყდა წყალზე, გახსოვს? ჰოდა, ამას ერთი-ორი სიზმარიც მივუმატოთ და შენს ნათქვამს წყალი აღარ გაუვა. ვიცი, ქალს დიდი ჭკუა არ მოეკითხება, მაგრამ ეს უკვე ნამეტანია! მე რომ მითხარი, ეგ არაფერი, მაგრამ სხვაგან არ წამოგცდეს, ხალხი არ გააცინო, — უთხრა ალიასმა.

— მართალია, მე ქალი ვარ და ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ ყველაფერს უნდა ელოდო და წინასწარ თადარიგი დაიჭირო... — თქვა ესმამ.

— სასაცილოა ეგ ყველაფერი. ვინმე ცუდ გუნებაზე რომ ნახო, იმას მოუყევი, გააცინებ, მადლს მოისხამ.

ამ დროს ეზოში კამაჭიჭი გამოჩნდა და ცოლ-ქმარი მაშინვე გაისუსა.

XXVII

მეორე დღეს, ახალი შებინდებული იყო, როცა მაცი ოჩამჩირედან დაბრუნდა. ცხენი იქვე მიაბა და ალიასის სახლისკენ გაეჩქარა.

— ალხასი ცუდად არის, როგორც კი საკანში ჩაუსვამთ, მოჭრილ ხესავით დავარდნილა საწყალი ბიჭი, — დაიწყო მაცომ, — ძიკურმა მთელი თავისი ნაცნობ-მეგობრები შეაწრიალა, მაგრამ შვილის ნახვის უფლება მაინც არ მისცეს: — აქ ბევრი ხდება ავად, მაგრამ ჯერ არავინ მომკვდარა, ზოგი კი თავს განგებ იავადმყოფებს, გაუშვებენ და ისევ ქურდობსო, — უთხრეს. ძიკურს ურიადნიკი მოუქრთამია და მაინც შესულა შვილთან. კვდება თურმე კაცი. ძიკური ისეთ დღეშია — აღარ ინახვის. ძიკურს პატარა ბიჭი — ჟაცი ხლებია თან. როცა ძიკური გასულა, ალხასს ჩუმად უთხოვია ბიჭისთვის: კამაჭიჭს გადაეცი, იქნებ შეძლოს და მოვიდეს, სანამ ცოცხალი ვარ, ერთხელ კიდევ მინდა შევხედოო. საცოდავი, მაინც მორიდებია მამისა, იმისთვის ვერ შეუბედია.

მაცომ ისიც თქვა: ამაღამ თუ კიდევ იქ დარჩა, ხვალამდე ვეღარ გაატანსო.

— მაცი, შენი ჭირიმე, შენ თვითონ უთხარი კამაჭიჭს, ამ საღამოსვე წავიდეს და ნახოს ის საცოდავი, იქნებ ეს მათი უკანასკნელი შეხვედრაა და ცოდვას ნუ დავიდებთ, — თქვა დაღვრემით ალიასმა.

მაცომ ყველაფერი უთხრა კამაჭიჭს და ბოლოს ალიასის ნათქვამიც გადასცა. კამაჭიჭი ერთხანს ჩუმად, გატრუნული უსმენდა, მაგრამ როცა გაიგო, ალხასი კვდებაო — ცრემლები ვეღარ შეიკავა, მეზობელ ოთახში გავიდა და მწარედ აქვითინდა.

„შენი და ალხასის ცოდვით არ გაიხაროს თათლასტანმა, მაინც როგორ გაწირა უდანაშაულო კაცი იმ უღმერთომ“, — ფიქრობდა გულში მაცი.

კამაჭიჭი ოთახიდან გამოვიდა და თან ცრემლებს იმშრალებდა.

— მაცი, თუ წამომყვები, ახლავე შევკაზმავ ცხენს და წავიდეთ, — უთხრა კამაჭიჭმა, ეზოს კუთხეში მობალახე ცხენს

დაუძახა, მარჯვედ დაადგა უნაგირი, მოახტა და წამის უმალ ისარივით გაიჭრა ჭიშკარში.

ჩავიდნენ ოჩამჩირეში თუ არა, მაშინვე ძიკურის მიერ მოსყიდულ ურიადნიკთან მივიდნენ. ურიადნიკმა შეუშვა კამაჭიჭი საკანში და თან დაუბარა, დიდხანს არ დარჩე იცოდეო. შევიდა კამაჭიჭი ალხასთან და ადგილზევე გახევდა. ალხასი, რომელსაც სახე ერთთავად უცინოდა, ხუმრობდა და ენაკვიმატობდა, ახლა, მთლად ჩამომდნარი და სხივჩამქრალი, ძლივსღა ინძრეოდა ხის მაგარ საწოლზე. ფერი სულ დაჰკარგოდა, რაღაცას ბოდავდა გაუგებრად, ლამაზ თვალებს უაზროდ აცეცებდა აქეთ-იქით და კედელს ელაპარაკებოდა. კამაჭიჭი შეკრთა, შეეშინდა, — იქნებ, ალხასიც არ არისო — გაიფიქრა. მერე გადაწყვიტა, მაცის დავუძახებო, მაგრამ ბოლოს გული მაინც გაიმაგრა და მწოლიარეს დაუძახა:

— აქეთ მოიხედე, კამაჭიჭი ვარ, შენს სანახავად მოვედი!

ავადმყოფმა ბოდვა შეწყვიტა და სმენად იქცა. კამაჭიჭი ერთი-ორჯერ კიდევ შეეხმიანა, მერე ახლოს მივიდა და გადმობრუნებაში მიეხმარა. ალხასს ძალიან უნდოდა, სახეში შეეხედა ქალიშვილისთვის, მაგრამ სინათლე ძლივს ბჟუტავდა. სიბნელეში კარგად ვერ დაინახა. — მე ვარ, კამაჭიჭი, — გაუმეორა კიდევ ერთხელ და ლოგინის კიდეზე ჩამოუჯდა. თითქოს განგებო, სწორედ იმ დროს მეორე საკანში ხმაური ატყდა. ალხასმა შუბლი შეიჭმუხნა. მერე და მერე თვალებში შუქი ჩაუდგა, ცრემლები მოერია და ბავშვივით ატირდა. ველარც კამაჭიჭმა შეიკავა თავი გამწარებული ვაჟკაცის დანახვაზე და თვითონაც გულსაკლავად აქვითინდა. ალხასს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. ამ დროს მაცი შემოვიდა და თქვა: — ზედამხედველი ამბობს, მეტხანს დარჩენა აღარ შეიძლებაო, — და ისევ გავიდა. კამაჭიჭმა ალხასს ხელში ჩაუდო ცხვირსახოცი, რომელიც მისთვის უნდა ეჩუქებინა, მეორეთი კი ცრემლები შეუმშრალა, სახე დაუკოცნა და ტირილით გავიდა გარეთ.

ციხის კარიბჭესთან მაცი იდგა და ელოდა.

— მამამისი რატომ არ ჩანს აქ? — ჰკითხა კამაჭიჭმა.

— მამა კი არა, დედა და მთელი მისი და-ძმები აქ არიან, ხმამაღლა ტიროდნენ და გარეკეს აქედან ამ წყეულებმა. ის ეშმაკის კერძი თათლასტანიც ოჩამჩირეში ყოფილა თურმე. თითქოს უხარიაო ალხასის სიკვდილი, მთელი დღე ქეიფობს, — უპასუხა მაციმ.

გათენებას არაფერი უკლდა, როცა მაცი და კამაჭიჭი სახლში დაბრუნდნენ.

მეორე დღეს, დილით ადრე, ოჩამჩირიდან მაცი მოვიდა და ამბავი მოიტანა: ალხასი განთიადისას გარდაიცვალა და შუადღისას მოასვენებენ სოფელშიო.

ალიასი, მაცი და თორყანი მაშინვე ოჩამჩირეში წავიდნენ. გზად ალხასის ნათესაობას წამოეწივნენ. ოჩამჩირემდე აღარ მისულან — გზაზე უკვე მოასვენებდნენ ალხასის ცხედარს.

უკვე მოსაღამოვებული იყო, როცა მიცვალებული შინ მოასვენეს. დაიწყო გლოვა-ტირილი.

იმავე ღამეს ალიასმა, თორყანმა და მაციმ ძიკურს კაცი გაუგზავნეს რჩევის საკითხავად — რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, საიდუმლოდ შევინახოთ კამაჭიჭისა და ალხასის შეუღლების ამბავი, თუ სახალხოდ გავაცხადოთო.

ძიკურმა ასე შემოუთვალა: დასამალი აღარაფერია, ყველამ ყველაფერი იცის, ჩემმა შვილმა დამღუპა და დამაქცია, ჩვენ, უბედურებს, ისღა დაგვრჩენია მაგასღა ვუყუროთ, თუ თქვენ, რა თქმა უნდა, საწინააღმდეგო არაფერი გაქვთო.

ალიასის მთელი ნათესაობა წავიდა იმ ღამეს სატირალში. მათთან იყო კამაჭიჭიც. ახლა ყველა თვალნათლივ დარწმუნდა, რომ კამაჭიჭი ნამდვილად ალხასის დანიშნული იყო. ადათის თანახმად, კამაჭიჭს ყველა წესი უნდა დაეცვა, რაც, — როგორც ალხასის საცოლეს — ევალებოდა. ამიტომ იყო, რომ ალხასის დასაფლავების შემდეგ კამაჭიჭი ორმოც დღეს კიდევ დარჩა ძიკურის სახლში, როგორც მათი რძალი.

ამ დღიდან მოყოლებული, ალიასისა და ძიკურის გვარი სამუდამოდ დაუნათესავდა ერთმანეთს. ამიერიდან მტერიც საერთო ჰყავდათ და მოკეთეც.

XXVIII

ერთ კვირა დღეს, წასვლიდან მესამე კვირის თავზე ალიასის ეზოში ივანე და ლევანი შემოვიდნენ. ორივეს თავ-პირი ჩამოსტიროდა. მასპინძლებიც დაღვრემილები შეხვდნენ სტუმრებს. ალიასი ამოუძღვა მოსულებს სახლში და ყველანი აივანზე დასხდნენ.

— რა მოხდა, ალიას? ჩვენს წასვლას ხომ არ ელოდებოდი, ასე ნაუცბათევად რომ გადაგიწყვეტიათ კამაჭიჭის გათხოვება, რა გეჩქარებოდა, შე კაი კაცო?

— ჩვენ თვითონაც არ ვიცით, რა მოხდა და როგორ მოხდა. თითქოს სიზმარი იყო ყველაფერი. ჯერაც ვერ მოვსულვართ გონზე. არც კი ვიცი, რა პასუხი მოგცეთ. ერთი ეგ არის — ჩვენს შვილს ბედი არ ჰქონია და ალბათ არც ექნება.

— ადამიანს რაც შუბლზე აწერია, იმას ვერსად გაექცევა, — ჩაურთო ნაღვლიანად ესმამ. — ალბათ, ეგ იყო ჩვენი ბედი. თქვენ სად გაიგეთ ჩვენი უბედურების ამბავი?

— სოხუმში... გუდაუთიდან აძიუბჟაში მივდიოდით, მერე რაღაც საქმე გამოგვიჩნდა და ისევ სოხუმში მივბრუნდით. იქ ვიყავით გუშინდლამდე... რას ვიზამთ, მოსახდენი მოხდა უკვე, მაგრამ ასე მაინც რატომ აჩქარდით, ვერაფერი გამიგია, — ჰკითხა ლევანმა.

— არ ვიცი, რა დაგვემართა, ასე ჩქარა ასეთი საქმე ჯერ არსად და არავის გადაუწყვეტია. ვერ გეტყვით, რატომ მოვიქეცით ასე, ან თქვენ როგორღა აგიხსნათ... ეს გვეწერა ალბათ, — თქვა ალიასმა.

— ეგ ყველაფერი გასაგებია, მაგრამ კამაჭიჭი რატომღა ზის ძიკურის სახლში ქვრივი ქალივით? ცოცხალმა ვერ წაიყვანა და სიკვდილის შემდეგ დაუსვით ქალიშვილი სახლში? — წყენას ვერ ფარავდა ივანე.

— რაკი ასეთი უბედურება დაგვატყდა თავს, ეს ვალიც უნდა მოვიხადოთ. ადათს ვერ დავარღვევთ. კამაჭიჭი ორმოც დღეს კიდევ უნდა დარჩეს იქ. გარდა ამისა, კიდევ არის მიზეზი, რისთვისაც კამაჭიჭი იქ დავტოვეთ. ამის მიზეზი აზნაური თათლასტანია. თქვენ იქნებ არც კი იცით, რომ მთელი ეს უბედურება იმ ავგულმა დაგვატეხა თავს, — მიუგო ალიასმა.

— ვიცით, კარგად ვიცით, რა კაციცაა ეგ თათლასტანი. თქვენს გარდა, სხვასაც ბევრს გაუმწარა სიცოცხლე. მაგან ჩვენზეც შეიტანა საჩივარი, მაგრამ გავუსწორდებით, როცა დრო იქნება, — თქვეს ივანემ და ლევანმა.

— მადლობა ღმერთს, რომ აქ არ იყავით, თორემ ხიფათს გადაეყრებოდით აუცილებლად, კამაჭიჭი კი ქვრივი ქალივით იმიტომ ზის ძიკურის სახლში, რომ თათლასტანმა თავი დაანებოს. ხომ იტყვის: „ჭალიების ქვრივი ცოლად რაღად მინდაო“. ჩვენც ეს გვინდა, გვინდა როგორმე ის კაცი მოვიცილოთ თავიდან, თორემ, თუ ერთი გადაგვეკიდა, სიცოცხლეს გაგვიმწარებს. თქვენთანაც მაქვს სათხოვარი: ერიდეთ მაგ კაცს, ნურაფერს იტყვით მასზე, ისე მოიქეცით, ვითომ ეს ყველაფერი თქვენ სულაც არ გაწუხებთ, — ურჩია ორივეს ალიასმა.

ივანესა და ლევანს ჭკუაში დაუჯდათ ალიასის ნათქვამი. — მართალი ხარო, — უთხრეს, მაგრამ ეტყობოდათ, ძალიან სტკენდათ გულს კამაჭიჭის სახლში არყოფნა.

ლევანიცა და ივანეც იმ ღამეს იმათთან დარჩნენ, გვიანობამდე ისხდნენ და უყვებოდნენ ალიასს თავიანთ საქმეებზე, აიმედებდნენ — ჩვენი საქმე გაიმარჯვებს და ყველას გვეშველებაო.

— ღმერთმა გისმინოთ, — ამოიოხრა ალიასმა და ისევ

თავის დარდსა და სატკივარზე ჩამოაგდო სიტყვა: — რაც არ უნდა ბევრი ვეცადოთ, ის უკეთური თათლასტანი თავს ასე იოლად არ დაგვანებებს. იმავე ღამეს, ალხასი რომ დაასაფლავეს, ძიკურს ხარი მოპარეს, გავიდა ცოტა ხანი და ახლა ერთ ჩვენს მოგვარეს — ჩაგუს დაეკარგა ცხენი. მაცი, აგერ, გუშინს აქეთ ხარს დაეძებს და ვერ უპოვნია. მაგ დღეშია თორყანიც. იმათაც მოპარეს ალბათ. მარტო ბოლო ორი კვირის განმავლობაში ჩვენ და ჭალიებს ოთხი-ხუთი სული საქონელი გვყავს დაკარგული. ზოგი აშკარად, ზოგიც საიდუმლოდ გვეუბნება, რომ თათლასტანის ხელი ურევია ამ საქმეშიო, მაგრამ რას იზამ, რომც დაუმტკიცო, რომ ეს ამოდენა საქონელი მისი მოპარულია, მაინც ვერაფერს დავაკლებთ, პირიქით — უფრო გავარისხებთ და ვაი ჩვენი ბრალი მერე...

— კაცი რომ გაბოროტდება, იმისგან დანდობას ნუღარ ელი, — თავი გააქნია ლევანმა.

— ჰო, ძირფესვიანად გვიპირებს ამოგდებას, — განაგრძო ალიასმა. — მაგრამ კიდევ გიმეორებთ და დამიჯერეთ, ნუ ჩაერევით ამ საქმეში, თუ სხვა გამოსავალი არ იქნება, მაშინ როგორმე შინაურულად მოვაგვარებთ ყველაფერს.

დილით, ის იყო ლევანმა ხელ-პირი დაიბანა და წასვლა დააპირა, რომ ალიასი გამოჩნდა ეზოში და აბა რაღას გაუშვებდა. — აფხაზეთში ამბობენ: „სადაც პირს დაიბან, საუზმედაც იქ უნდა დარჩეო". ჰოდა, წესი წესია, ისაუზმე და მერე წადი, — უთხრა ღიმილით მასპინძელმა.

ისაუზმეს თუ არა, ლევანი წავიდა, ივანე და ალიასი კი სამეურნეო საქმეებს დაეშურნენ.

ორმოცი დღის მერე კამაჭიჭი სახლში დაბრუნდა. მადლიერმა ძიკურმა ქალიშვილი ძვირფასი საჩუქრებით ხელდამშვენებული გამოუშვა შინ.

XXIX

ერთ საღამოს ალიასის ეზოს ჭიშკარს იასაული მიადგა და დაიძახა:

— ხვალ აბჟუელების თავყრილობაა გამოცხადებული. ყველა აბჟუელი უნდა მოვიდეს. მაზრის უფროსი ჩამოდის ოჩამჩირიდან.

— ჩამოვა და, მე შენ გეტყვი კარგ ამბავს ჩამოგვიტანს რასმე, — ჩაიბურტყუნა ალიასმა. — გადასახადების გამო ჩამოდის ალბათ, რაც ქურდ-ბაცაცებმა დაგვიტოვეს, ახლა ეგენი წაგვართმევენ და აგვიშენდება კიდევაც ოჯახი. — ალიასმა ხელი ჩაიქნია და პირუტყვის მოსაძებნად გაეშურა.

— ნეტავი რაშია საქმე? — წუხდა ალიასი. — უკვე დაღამდა, საქონელი კი არსად ჩანს. თუ ჩაჩბას კაცებმა გაიტაცეს, მოგჭამეს ჭირი! ნუთუ მოიპარეს? ამდენს ერთად როგორ წაიყვანდნენ! თუმცა რა, სირცხვილი მაგათ არ იციან და ნამუსი მაგათ არა აქვთ. დააღწევ მერე უკან რამეს თუ! თუ ჩაჩბებს ჰყავთ წაყვანილი, ერთ ხარს დავუთმობ და დანარჩენებს დავიბრუნებ.

ამ დროს მინდვრის ბოლოში გამოჩნდა საქონლის ჯოგი, რომელიც დაწალიკებული აქეთ მოემართებოდა.

— მადლობა ღმერთს! — შვებით ამოისუნთქა ალიასმა. — დღესაც უვნებლად გადამირჩნენ, — გაიფიქრა, მაგრამ იმავე წამს შენიშნა, რომ ცხენი არსად ჩანდა. გული შეეკუმშა. ძალიან კარგი ჰყავდა და იოლად ვერ გადაიტანდა მის დაკარგვას.

როცა საქონელი იგვიანებდა, ალიასს ჩვევად ჰქონდა, იქვე გორაკზე ან ეზოს ბოლოში რომ დიდი ხე იდგა, იქ ასულიყო და მეზობლებისთვის გადაეძახა, საქონელმა დაიგვიანა, თვალი ხომ არსად მოგიკრავთო! ახლაც ასე მოიქცა, ხეზე ავიდა და ხმამაღლა დაიძახა:

— ეჰეი, ჯათ, გამოიხედე ერთი აქეთ!

ჯათი მისი სახლიდან კარგა მოშორებით ცხოვრობდა, მაგრამ მაინც გაიგო ალიასის ხმა და გაეხმაურა.

— ჩემი ცხენი ხომ არ დაგილანდავს სადმე?

— არა, არ მინახავს, ალიას!

ალიასმა ახლა ჰაჯარათს გადასძახა, მაგრამ არც იმას ენახა იმ დღეს მისი ცხენი. სულ ბოლოს ბაღირს დაუძახა, ისე, სასხვათაშორისოდ. — მზის ჩასვლისას დაუთის ნასახლართან დავინახეო, — უთხრა ბაღირმა.

— ახლა იქ წასვლა არ გინდა! — ჩაიბუზღუნა ალიასმა და დაუთის ნასახლარისკენ გაუჩქარა.

მეორე დღეს ალიასმა ცოტა წაიმუშავა სახლში, მერე ივანეს აუხსნა, რა უნდა გაეკეთებინა და მეზობლებთან ერთად გაუდგა გზას.

— ნეტავ რისთვის ჩამოეხირა მაზრის უფროსი, ხომ არავინ იცითო, — იკითხა ერთმა.

— ალბათ, გადასახადების შეგროვებაზე გვეტყვის ორიოდ „ტკბილ“ სიტყვას, — ჩაიფრუტუნა ვიღაცამ. მეორემ — ქურდებსა და ყაჩაღებს დააშინებსო, მესამე კი ამბობდა: —გზების გასაკეთებლად რატომ არ გამოდიხართო, იმაზე აგვიხირდება. ეტყობა, გვიჩივლეს ჩვენმა თავადებმა.

ასე, მასლაათ-მასლაათით მიუახლოვდნენ იმ ადგილს, სადაც ყრილობა უნდა გამართულიყო. იქ უკვე დიდძალ ხალხს მოეყარა თავი, უფროსის გამოჩენასღა ელოდებოდნენ. ყველას აინტერესებდა, რისთვის შეყარეს ამოდენა ხალხი, რას იტყოდნენ და რას გადაწყვეტდნენ.

შებინდებას აღარაფერი უკლდა, როცა გამოჩნდა მაზრის უფროსი, მოქრუშული და გაჯავრებული. როგორც კი ჩამოქვეითდა, თავადაზნაურობა მაშინვე ირგვლივ შემოეხვია. დიდხანს ითათბირეს. მერე მაზრის უფროსმა მამასახლისებს დაუძახა ცალკე და რაღაც უთხრა. მათთან საუბარს რომ მორჩა, წინ გამოვიდა და თარჯიმანის საშუალებით რისხვა-მუქარით თავს დაატყდა ხალხს — გზებს რატომ არ აკეთებთ და გადასახადის შეტანას რად აგვიანებთო.

გლეხობას პირველად ჰაბიჯი გამოეყო:

— ვიღაცას გადასახადი არ გადაუხდია, ეგ რა ჩვენი ბრალია, ჩვენ გადასახადიც დროულად გადავიხადეთ და გზებიც, როგორც შეგვეძლო, ისე შევაკეთეთ კიდევაც.

— შარშან რომ ცოტას მიდექ-მოდექით, იმაზე არ გელაპარაკებით. წელს არაფერი გაგიკეთებიათ-მეთქი. გზა ისეა ატალახებული, რომ კაცი დაიხრჩობა შიგ. მამასახლისების გასაგონად ვამბობ — ერთ კვირაში გზები გაკეთებული უნდა იყოს. ვინც ბეგარაზე არ გამოვა, რაც მოუვა, თავის თავს დააბრალოს. გადასახადების შეგროვებაც ერთ კვირაში უნდა მოთავდეს. ვინც ახლა მოიტანა მოსატანი, ოჩამჩირეში წამომყევით და იქ მომეცით.

მამასახლისებმა აუხსნეს უფროსს, — ხალხმა წელს უკვე შეაკეთა გზები, ახლა გაუჭირდებათ სამუშაოზე გამოსვლა, მოგეხსენებათ, შემოდგომაა და ჭირს მუშახელიო.

სიტყვა ბოლომდე არ ჰქონდათ ნათქვამი, რომ იქვე მდგომი თავადები — მურზაყანი, ბათა, ტატაში და სხვები აიფხორნენ და უკმეხად შეუძახეს: — დღეს შემოდგომაა და მოსავალი უნდა ავიღოთო, — გაიძახით, ხვალ გაზაფხული იქნება და — უნდა დავთესოთო, — იტყვით, გზებს როდისღა გააკეთებთ?

ხალხი აჩოჩქოლდა. ძიკურმა, ალიასმა და ზოგიერთმა გაბედულმა ველარ მოითმინეს და თავადებს პირში მიახალეს:

— თქვენ რა გენაღვლებათ, თქვენი გასაკეთებელი ხომ არ არის! ასე გზებს თუ ვინმე გაგვიკეთებდა, ჩვენც დიდ მადლობას მოვახსენებდით. ამ შემოდგომის გაწამაწიაში გზებისთვის ვის სცალია.

მაზრის უფროსმა რომ გაიგო, გლეხები უარს ამბობენ გზის შეკეთებაზეო, გაცეცხლდა: — როგორ ბედავთ, რას ჰქვია, არ გავაკეთებთო! უარის თქმა არავინ გაბედოს, თორემ ჩაფრებს გამოგიგზავნით და გზასაც გაგაკეთებინებთ და გადასახადსაც გადაგახდევინებთ.

მერე თარჯიმნის საშუალებით აუწყა ხალხს, რომ მორჩა თავის საქმეს და მათთან მეტი აღარაფერი ესაქმებოდა. იქ შეყრილმა თავადაზნაურობამ ერთმანეთს გადახედა, — უპურმარილოდ არ გავუშვათ ეს კაციო. ისიც მათ ხელის დაქნევას ელოდებოდა.

ამ დროს ალიასი წინ გამოვიდა და მაზრის უფროსს მიმართა:

— ხალხის სახელით მოგახსენებთ და გთხოვთ, მომისმინოთ. ჯერ კიდევ ოჩამჩირეში მოგაბეზრეთ თავი ჩივილით, გეუბნებოდით — ქურდებმა და ყაჩაღებმა გაცალა ჩვენი გლეხობა-თქო. გვეგონა, დღესაც ამიტომ ჩამოხვედი, მაგრამ შენ თუ არ გაგახსენდა, აგერ, ჩვენ შეგახსენებთ. ავადმყოფმა ექიმს თუ არ უთხრა რა სტკივა, აბა, ექიმმა იმას რა უნდა უწამლოს. ჰოდა, ჩვენი სატკივარიც ეს არის. მოგვეხმარე და გვიშველე, თორემ აღარ არის ჩვენი საშველი!

— ალიასის სატკივარი ჩვენი სატკივარია, — მხარი აუბა ნათესავს ძიკურმა.

— აბა, ბიჭო, ჩამოგივათ აქ მაზრის უფროსი და ჭალიებსა და ცაგუბებს მენახირედ დაგიდგებათ. მანამდე პური არა სჭამოთ! — გაბრაზდა მურზაყანი. სხვებმაც აუბეს მხარი.

— ალიასი და ძიკური ჩვენი სახელით ლაპარაკობენ, — წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

— ქურდები და ყაჩაღები თქვენს შორის მოიკითხეთ. იცოდეთ, ვინც ყაჩაღს შეიფარებს, სასტიკად დაისჯება, მაშინვე ციხეში ამოვაყოფინებთ თავს, გადავასახლებთ. სოფელი ვალდებულია მოძებნოს და დაიჭიროს ყაჩაღი, წარმოუდგინოს მთავრობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეგზეკუციას გამოგიგზავნით. რაც შეეხება ქურდობას, ისევ ძველი წესი შემოიღეთ. შეკრიბეთ ხალხი, აირჩიეთ უფროსი, თითო სოფლიდან ათ-ათი ყოჩაღი ვაჟკაცი მიამაგრეთ და ისინი გაარჩევენ, ვინ მოიპარა საქონელი, ვის მოპარა და სად წაიყვანა. გზები შეკარით, კარ-

გად უდარაჯეთ, პატრონს თუ საბუთი არ ექნება, რომ ცხენი ნამდვილად მისია, წაართვით მაშინვე. მოკლედ, გააკეთეთ რაც გითხარით, — დაამთავრა მაზრის უფროსმა და ხალხს ზურგი შეაქცია. მურზაყანსა და მის თანმხლებ თავად-აზნაურებს სუფრა გაეშალათ და მას ელოდებოდნენ.

ხალხი ადგილიდან არ იძვროდა.

— ჩვენ რომ ყაჩაღების დევნა და შეპყრობა შეგვეძლოს, მაგას კი არ ვთხოვდით დახმარებას, — გაიძახოდნენ გლეხები.

— ან ის ძველი წესი რაღაში გვარგებს, არ ვიცი, ფულიც ჩვენ უნდა ვიხადოთდა გზებიც ჩვენ უნდა შევკრათ, — თქვა ერთმა.

— მაგ წესზე გამახსენდა, — გაიცინა ყადირმა, — ერთხელ დამიძახეს, გზები უნდა შევკრათ და უნდა წამოხვიდეო. წავედი. ვიღაც-ვიღაცებს გაეგოთ, რომ შინ არ ვიყავი და იმ ღამეს უღელი ხარი მომპარეს. ერთ კვირაში კი მომადგნენ ისევ, უფროსისთვის ფულს ვაგროვებთ და შენც უნდა დადოო.

ყველას გაეცინა.

— ჰოდა, თუ ეგ წესი ისევ შემოიღეს, დავიღუპე კაცი და ეგ არის! ფულსაც გადამახდევინებენ, გზებზეც დამაყუდებენ დარაჯად და თუ რამე ერთი-ორი სული პირუტყვი მიბღავის სახლში, იმასაც მომპარავენ, — იცინოდა ყადირი.

ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იშლებოდა.

— ამ ჩვენს მაზრის უფროსს სულ არ ედარდება, რა გიჭირს და რა გტკივა. დღეს ერთი სიტყვაც არ უთქვამს ჩვენს სასიკეთოდ, ეტყობა, საქეიფოდ ჩამოვიდა, — თქვა ალიასმა.

— ალიას, ძალიან ეჯავრები, ეტყობა, მურზაყანს, — უთხრა საკუტმა. — დღეს ყური მოვკარი, როგორ ეუბნებოდა თავის მეგობრებს: „რაც გლეხმა სიტყვა რევოლუცია ისწავლა, ხმას აუწია, გადიდგულდა. შორს ნუ წავალთ. აგერ, ალიასი! ლევანი გაიამხანაგა და სჯერა მისი. მამასახლისებიც რომ მაგათ უგდებენ ყურს! მამასახლისებმა თუ გლეხებს დაუგდეს ყური,

კარგად ყოფილა მაგათი საქმე". განსაკუთრებით, ივანეს ახსენებდა ხშირად, — სოციალისტი ივანე სახლში მიიყვანა და ძმად გაიხადაო. ისე, სიმართლე გითხრა, სხვაგანაც გამიგონია ივანეზე ამგვარი ლაპარაკი და ურჩიე, ფრთხილად იყოს. შენც ფხიზლად იყავი, ხომ იცი, რა დროა... არაფერი გიხიმანდრონ...

ალიასს არ ესიამოვნა საკუტას ნათქვამი და ჩაფიქრდა.

— თავადაზნაურობას არ უყვარს ის ხალხი, ვინც მათ არ უქნევს თავს, — კვერი დაუკრა საკუტას შმაგმაც.

— ავი და გულბოროტი კაცია მურზაყანი, — თქვა ალიასმა. — მადლობა ღმერთს, ჩვენს სოფელში არ ცხოვრობს! ამას წინათ მისას ულრან ტყეში, ერთი ხის ფულუროში ფუტკარი უპოვნია, მისულა და თაფლი ამოუღია. გაუგია ეს მურზაყანს, დაუძახია მისთვის და უთქვამს, ხეებს რატომ მიხმობ, ფუტკარს რატომ მიხოცავ და თაფლს რატომ მპარავო?

მისას არ დაუმალია არაფერი. ტყეში ველური ფუტკარი ვნახე და ცოტაოდენი თაფლი თუ ამოვიღე, რა მოხდა, ამისთვის ნუ დამღუპავო, — უთქვამს.

— ტყეში რომ ვინმემ გაგქურდოს, როგორ მოგეწონება? — უკითხავს მურზაყანს.

— ეს კაცი ნამდვილად დამღუპავსო, — უფიქრია მისას. ამდგარა და ერთი კაი ხარი მიურთმევია მურზაყანისთვის, მაშინღა დაუნებებია თავადს მისთვის თავი, — დაასრულა ალიასმა.

— თუ გგონია, რომ მისამ მაგით თავს უშველა, სცდები, ჯერ კიდევ ბევრჯერ მოუწევს თავის მართლება!

— მისაც დიდი ოხერი ვინმეა, მაგრამ მურზაყანთან რას გახდებოდა, — წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

გზაჯვარედინზე გლეხები თავ-თავიანთ სახლებში წავიდ-წამოვიდნენ. ყველა დაფიქრებული მიდიოდა, ყველაზე მეტად კი მაინც ალიასს მოსჯარებოდა ფიქრი.

XXX

დრო მიდის, იცვლება. გუშინდელი დღე, დღევანდელს აღარ ჰგავს. დღევანდელი — ხვალინდელს. დროს თუ შენ ვერ აუწყვე ფეხი, თვითონ ვერ აგიწყობს.

სამი-ოთხი წლის წინ ალიასს შეეძლო ივანე შინ მიეყვანა და ძმობა ეთქვათ ერთმანეთისთვის, მაგრამ თანდათან ვითარება შეიცვალა. ივანეს ძალიან უთვალთვალებდნენ, ბოლოს და ბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, უკვე აღარ ედგომებოდა ალიასის სახლში. ხალხი ბევრს ლაპარაკობდა ივანეს სოციალისტობაზე, რევოლუციონერობაზე და შეიძლება მალე ორივე დაეპატიმრებინათ.

ორივეს — ალიასსაც და ივანესაც — ძალიან უმძიმდათ ერთმანეთთან განშორება, მაგრამ იმასაც კარგად ხვდებოდნენ, რომ სხვა გზა აღარ იყო და უნდა შეგუებოდნენ ამ ამბავს.

ივანეს წასვლის წინ ალიასმა პატარა სუფრა გაშალა, ისეთივე უბრალო, როგორც მაშინ, როცა ივანემ პირველად შემოაღო მისი სახლის კარი. განსხვავება ამ ორ სუფრას შორის ის გახლდათ, რომ მაშინ ყველანი გახარებულები იყვნენ, იცინოდნენ, ხუმრობდნენ, ახლა კი ყველას თავ-პირი ჩამოსტიროდა. ქუაბლუხს, თორყანს, მაცის და ალიასის მოკეთე-ნათესავებსაც ძალიან სწყინდათ ეს ამბავი, მაგრამ რა ექნათ, ისინი რისი შემძლენი იყვნენ!

— დად, ივანე, ყველაფერი ისე მოეწყო, რომ შენ დღეს იძულებული ხარ, დაგვტოვო, — თქვა ალიასმა და ივანეს შეხედა. — თუმცა, იმედი მაქვს, რომ ეს ჩვენი განშორება დროებითია და მალე ალბათ ისევ შევხვდებით ერთმანეთს. შენ ისევ დაბრუნდები ჩვენს ოჯახში, შენს ოჯახში. ამ სამი-ოთხი წლის განმავლობაში შენ დიდი ამაგი დასდე ჩვენს ოჯახს, კარ-მიდამოს. გააშენე ვენახი, ახარე ბაღი და ბოსტანი, დღეს კი ტოვებ ყველაფერს და მიდიხარ, მაგრამ იცოდე, არაფერი დაგეკ-

არგება. მე ძმა ვარ შენი და ძმურად გავუფრთხილდები შენს ნაამაგარს, ერთს-ორად დაგახვედრებ. ახლა კი, ეს შენი ქონება როგორც გინდა ისე მოიხმარე, აი, საქონელი, გაყიდე, თუ გინდა. ფული დაგჭირდება. მე არაფერი მენანება შენთვის. ჩვენ მხოლოდ შენი წასვლა გვტკენს გულს და დარდს გვიმრავლებს. რა ვქნა, ღვიძლი ძმასავით შემიყვარდი და აღარ მეთმობი, — ალიასი ისე აღელდა, რომ თვალებზე ცრემლი მოადგა.

კამაჭიჭი, ესმა და რაფიდა ქვითინით წამოდგნენ და მეორე ოთახში გავიდნენ. ივანემაც ველარ შეიკავა თავი და მასაც აუკიაფდა თვალში ცრემლი.

— როცა დავძმობილდით, თარჯიმანის გარეშე ვერც კი ვლაპარაკობდით, დღეს კი უკვე აფხაზურად ვლაპარაკობთ, როგორც ნამდვილი ძმები, ენამაც დაგვაახლოვა. არ დაგვივიწყო, როცა შეგეძლება დაბრუნება, ჩვენთან მოდი, შენი ძმის ოჯახში, — უთხრა ალიასმა.

— ძალიან მიჭირს თქვენი მიტოვება, — დაიწყო ივანემ, — მაგრამ ჩემი აქ დარჩენა უკვე შეუძლებელია. უნდა წავიდე ამხანაგებთან და მთელი ჩემი ძალ-ღონე რევოლუციას მოვახმარო. მგონი, დიდხანს აღარ მოგვიწევს ლოდინი. მერე, რა თქმა უნდა, დავბრუნდები. წელან ჩემი წილი ახსენე. იყოს აქ, შენთან, ჩემს ძმასთან, თუ დავბრუნდი, ხომ კარგი, ერთად ვიცხოვრებთ, ერთად ვიშრომებთ. თუ არადა, შენი იყოს, ისე მოიხმარე, როგორც გაგიხარდეს. გული მწყდება, რომ მივდივარ, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს, უნდა წავიდე.

მეზობლებმაც დალიეს ივანეს სადღეგრძელო და მშვიდობიანად დაბრუნება უსურვეს.

ივანე ჩქარობდა. ამხანაგებს უნდა შეხვედროდა დათქმულ ადგილზე. მასპინძლებმა კიდევ ერთხელ დალოცეს, ეზოს კარამდე მიაცილეს და დიდხანს გაჰყურებდნენ გზას.

XXXI

ქურდებისაგან განსაკუთრებით ჭალიები და ცაგუბები იყვნენ შეჭირვებულები. ორ-ორი, სამ-სამი სული პირუტყვი ყველას ჰყავდა დაკარგული. ცალ-ცალკე რომ ველარაფერი გააწყვეს, გადაწყვიტეს — ორივე გვარის ხალხი შეკრებილიყო და მოეთათბირათ, რითი ეშველათ ამ გასაჭირისთვის. ერთხელაც თორყანის სახლში შეიკრიბნენ ფარულად. ერთმანეთის მიკითხვა-მოკითხვის შემდეგ, ალიასი წამოდგა და დაიწყო:

— ჩემო ძმებო! რომ ვამბობ — ძმებო-მეთქი, მარტო ჩემი გვარის ხალხს როდი ვგულისხმობ. უკვე კარგა ხანია, ჭალიებმა და ცაგუბებმა ძმობა შევფიცეთ ერთმანეთს და ერთმანეთის ჭირის და ლხინის მოზიარენი გავხდით. ასე დაგვანათესავეს ორი გვარის ხალხი ჩემმა ქალიშვილმა და შენმა უბედურმა ვაჟკაცმა ალხასმა, ძიკურ. ორივე ახალგაზრდას ბედმა უმუხთლა და მეშინია, ამ ჩვენმა ნათესაობამაც უარესად არ გაგვამწაროს. როცა ალხასისა და კამაჭიჭის გვარები მოიხსენიეს ერთად, სწორედ იმ დღიდან დაიწყო ჩვენი უბედურება: გვპარავენ, გვძარცვავენ, კაცს გვიკლავენ... დღე ისე არ გავა, რომ ჭალიებიდან ან ცაგუბებიდან ვინმემ საქონელი არ დაკარგოს და ღმერთმა იცის, კიდევ რა მოგველის. იქნებ ჩემი ქალიშვილის გამო ხდება ეს ყველაფერი? თუ ასეა, მაშინ ჩემი ოჯახი ყოფილა ამ უბედურების მიზეზი და თავსაც იმიტომ მივეცი უფლება, თქვენზე წინ მე მელაპარაკა...

— მარტო შენ რომ გთვლიდეს დამნაშავედ ჩვენი მტერი, მაშინ მხოლოდ შენი ოჯახის ამოგდებას დასჯერდებოდა, არა, ის ვიღაცა ყველას გვებრძვის, — თქვა თორყანმა.

— მართალია, იმ ჩვენმა მოძალადემ ჩემი ოჯახის გამწარება არ იკმარა და ყველას ერთად დაგვერია, — დაუდასტურა ალიასმა. — ამას წინათ ჩემმა ძმობილმა ივანემ კამაჭიჭს დაბადების დღე გადაუხადა. ვახშამზე მხოლოდ შინაურები ვი-

ყავით. ვადღეგრძელეთ კამაჭიჭი, მან მოგვისმინა, მერე ჭიქა ასწია, წამოდგა და ასეთი სამადლობელი თქვა: „ბავშვობიდან მესმოდა, რომ ბედნიერ ვარსკვლავზე ვიყავი დაბადებული და ვის ოჯახშიაც შევდგამდი ფეხს, ბედნიერებას შევიტანდი, ვაჟკაცობასაც გავწევდი და კაიქალობასაც, მაგრამ ბედმა მიმუხთლა — ვერც ერთი შევიძელი და ვერც — მეორე. ის კი არა და, ყველა ჩვენი უბედურების მიზეზი მე შევიქენი. ამიტომ ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან: ჩემს სადარდებელს თქვენ ნუ იდარდებთ, ჩემს დანაშაულს მე თვითონ გამოვასწორებ“. — აი, ეს თქვა კამაჭიჭმა. არ ვიცი, რას უნდა ნიშნავდეს მისი სიტყვები. აქ ყველანი ახლობლები მეგულებით და იმიტომ გეუბნებით, — თქვა ალიასმა.

— რაკი სიტყვა კამაჭიჭზე ჩამოვარდა, მაშინ მე გეტყვით, რა უთქვამს კამაჭიჭს ჩემი ცოლისთვის, — გადახედა იქ მჯდომთ მაციმ. — ორივე გვარის ამომგდები და გამამწარებელი აზნაური თათლასტანია, ნამდვილად ვიციო. ერთხელ ცოლად შერთვაზე გადამიკრა სიტყვა, მაგრამ მერე თავი შეიკავა, ეტყობა იფიქრა, რომ კისრისტეხით გავიქცეოდი მასთან, ახლა კი, მართალია ქვრივი ქალი ვარ, მაგრამ არ იქნა და არ მოისვენა, არ ვიცი რას აპირებს. ახლა თავი არ უნდა დავზოგო, თორემ ჩემი გულისთვის ნათესავ-მეგობრების აწიოკებას მე ვერ გადავიტანო.

— ეგ მთლად საშინელი რამე გვითხარი, — შეწუხდნენ კაცები.

— სანამ ჩვენ აქ ვთათბირობთ, ის ალბათ რომელიმე ჩვენგანის საქონელს მიერეკება, — ხუმრობის კილოთი თქვა კიაგუამ.

— ყურადღებით ვუსმენდი ალიასსაც და მაცის მიერ მოყოლილი კამაჭიჭის ნათქვამიც კარგად გავიგონე. ჰოდა, ახლა მინდა ჩემი ნაფიქრალიც გაგანდოთ. ის ამბავი, რომ ნამდვილად თათლასტანი შემოგვიჩნდა ცუდად და გვანადგურებს,

მე ნამდვილი მგონია, თუმცა თვითონ ალბათ არ იპარავს. თავადები და აზნაურები ჩვენივე ძმებით, ჩვენსავით გლეხების ხელით გვჭრიან ყელს. ბევრი ძიძიშვილი და ნათლიმამა ჰყავთ სოფლებში, იბრიყვებენ იმ საცოდავებს, აბრიყვებენ და ჩვენს საქონელს აპარინებენ, თვითონ კი შორიდან უყურებენ სეირს. ძველთაგანვე ასე იყო და ასეა დღესაც. ჩვენ იმდენი სად შეგვიძლია, რომ მოვსპოთ ეს წესი, მაგრამ თუ რამე არ ვიღონეთ, ის კაცი მთლიანად მოგვსპობს. ჩვენ, მოხუცებს ბევრი აღარაფერი შეგვიძლია ალბათ, მაგრამ ახალგაზრდებს უკვე აევსოთ მოთმინების ფიალა. ის კი გავიგეთ, ვინ არის ჩვენი დამღუპველი, მაგრამ ვისი ხელით სჩადის ამას, ის არ ვიცით. თათლასტანი გლეხებს აბრიყვებს და ერთიანი ძალით უნდა მოვუღოთ ბოლო ამ საქმეს.

თორყანი დაჯდა თუ არა, ძიკური წამოდგა:

— დიდი საჭირბოროტო საკითხი გვაქვს ჩვენ დღეს გადასაწყვეტი. თორყანის თქმისა არ იყოს, დროა ჩვენისთანა ხანდაზმულებთან ერთად ახალგაზრდობამაც გამოიღოს ხელი. ზოგიერთი მათგანი მზად არის, თავიც კი დასდოს ამ საქმისთვის. თუ შევერთდებით, მაშინ არ გაგვიჭირდება. ქურდი შეიძლება ადგილზევე შევიპყროთ ან კვალმა მიგვაგნებინოს, მაგრამ დღესვე ამას ვერ გადავწყვეტთ. ერთხანს კიდევ ვუყუროთ და თუ მართლა არაფერი გამოვიდა, მაშინ ერთხელ კიდევ უნდა შევიკრიბოთ და საბოლოოდ გადავწყვიტოთ, რა და როგორ მოვიმოქმედოთ.

ყველანი დაეთანხმნენ.

— თვითონ კამაჭიჭი რომ დასწრებოდა ჩვენს შეკრებას, იქნებ არ ყოფილიყო ურიგო. თავისი ნათქვამის მნიშვნელობას მაინც განგვიმარტავდა, — თქვა კიაგუამ.

— მე მგონი, დღეს კამაჭიჭის აქ მოყვანა საჭირო არ არის, — განაცხადა მაციმ. — ის კი არადა, კარგი იქნება, თუ ჩვენი შეკრების მიზეზი უცნობი დარჩება მისთვის. იგი თვითონ გან-

იცდის ამას ყველაფერს და არ იფიქროს, თითქოს მართლა დამნაშავეა და პასუხს ვთხოვდეთ. რა იცით, რას მოიმოქმედებს.

— თუ ამის მეტი არაფერი გვქონდა ერთმანეთისთვის სათქმელი, სჯობდა არც შევკრებილიყავით, — დაიწყო ნაგუმ. — რაც დღეს ვერ გადაწყდა, ის ვერც მერე გადაწყდება. შევიკრიბებით ისევ, იმას ვიტყვით, ამას ვიტყვით და ისევ ისე დავიშლებით. მთავარი ის კი არ არის, რას იტყვის კამაჭიჭი, ან რის გაკეთებას აპირებს! ჩვენ უკვე ვიცით, ვინ არის ჩვენი მტერი და გამჩანაგებელი, სახელიც ვიცით მისი და გვარიც. ახლა იმის გაგება გვმართებს, რას გვერჩის და რატომ გვერჩის, ხოლო მერე ჩვენი შესაძლებლობები ავწონ-დავწონოთ.

— რა არის ამის მიზეზი, ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ არც ერთ ჩვენგანს რომ სახლში არ მიუპატიჟებია, ძღვენით რომ სახლში არავინ მისულა მასთან და არ შეხვეწნია, შენი ჭირიმე, დაგვინათესავდი როგორმეო — ის ნამდვილად ვიცი. არც ძიძიშვილი ჰყავს ჩვენს შორის ვინმე და გაგვირისხდება, აბა რა იქნება. მე ის მიკვირს, აქამდე ბოღმით გული როგორ არ გაუსკდა. აი, რატომ გვერჩის!

— იმის გამო, რომ საქონელი არ მომპაროს, მაგას როგორ დავუნათესავდები. ახლა, დიდი-დიდი წელიწადში ორი ძროხა მომპაროს, მაგრამ, თუ ნათლიად გავიხადე, ორი იმდენი არ ეყოფა. ხან ძღვენი მიართვი, ხან სახლში დაპატიჟე... მაგისთანა ნათესაობას რა თავში ვიხლი!

— მოუკვდება ვინმე — შესაწირავი უნდა მიართვა, ქეიფს დააპირებს და — ძღვენით უნდა მიბრძანდე, — თქვა ძიკურმა.

— არ გვინდა მაგასთან ნათესაობა, ერთხელაც იქნება, დავიჭერთ და ზოგი მაშინ გველაპარაკოს, — დაიმუქრა ნაგუ.

— თუ ამდენი შეგიძლია, მაშინ მეორედ შეკრება რაღა საჭიროა, — უთხრა თორყანმა.

— რა ვქნა, გავმწარდი კაცი. გახურებული ქვა, ერთხელაც იქნება გასკდება, — ჩაიბუზღუნა ნაგუმ.

— ჭალიებსა და ცაგუბებს აქამდე არ ჰქონიათ მასთან დანათესავების სურვილი და არც ახლა აქვთ, — ჯავრიანად დაუმატა ძიკურმა.

— ვერ მოესწრება მაგ დღეს თათლასტანი.

— თუ ვერც დავინათესავებთ და ვერც სხვაგვარად მოვუვლით, ცარიელი ლაპარაკით სულ არაფერი გამოვა. მოდით, ასე ვქნათ: კიდევ ერთხელ კარგად ავწონ-დავწონოთ ეს საქმე და მერე შევიკრიბოთ, — თქვა ბოლოს ქუაბლუხმა.

ყველანი დაეთანხმნენ. ისიც კი თქვეს, — ან შევეწირებით ამ საქმეს, ან ბოლოს მოვუღებთ თათლასტანის პარპაშსო. წასვლის წინ კი ალიასი გააფრთხილეს, კამაჭიჭს აყურადე, თავს არაფერი აუტეხოსო.

XXXII

ერთ საღამოს კამაჭიჭმა ჩემოდანი აიღო და რაფიდასთან მიიტანა. — ხვალ მოვალ შენთან და სარეცხს გავრეცხავ, ამაღამ აქ იყოს, — უთხრა რაფიდას და შინ წავიდა. კამაჭიჭი სხვა დროსაც მოქცეულა ასე და რაფიდას ამაში არაფერი უჩვეულო არ დაუნახავს.

იმავე საღამოს, შებინდებულზე, კამაჭიჭმა ცხენი შეკაზმა, თავისი საუკეთესო ტანსაცმელი ჩაიცვა და დედას უთხრა: — დეიდასთან მივდივარ, ამაღამ იქ დავრჩები და ხვალ დილით დავბრუნდებიო. არც ეს იყო გასაკვირი — კამაჭიჭი დეიდასთან ხშირად რჩებოდა ხოლმე.

გზად რაფიდასთან შეიარა, ჩამოქვეითდა, რაფიდა გვერდზე გაიხმო და უთხრა:

— მე იქ მივდივარ...

— სად, შვილო?

— სად და მოუსავლეთში.

— რას ამბობ, შვილო, მოუსავლეთში ჩვენი მტერი წავიდა!

— ამას წინათ გადაკვრით გითხარი, თუ გახსოვს, იმასთან...

— მერე სად შენ და სად ის? მოგიკვდეს ჩემი თავი, შვილო, კამაჭიჭ, ჩემო კარგო გოგო... შენი ნებით არ შვრები ამას, რაღაც გაიძულებს, მოგიკვდეს რაფიდა! — ცრემლებად დაიღვარა საწყალი ქალი.

— თუ ასე იტირებ, ისე წავალ, არც კი დაგემშვიდობები. ყური დამიგდე: ჩემი წასვლის შემდეგ ერთი ახალგაზრდა კაცი მოვა შენთან, ეს ჩემოდანი იმას გადაეცი. ამაღამ თუ არ დავბრუნდი, იქ წავედი... იქ, იმასთან... არ იდარდონ, ტირილით მე ვერას მიშველიან. ნურც ძებნას დამიწყებენ. დედას, მამას და ნათესავებს ხვალ დილით უთხარი, ახლა კი წავედი, — თქვა და რაფიდას გადაეხვია.

— დილამდე ნურაფერს იტყვი, დილით კი გაუმხილე ყველას. ლევანი და ივანე მომიკითხე, — უთხრა კიდევ ერთხელ, მერე ჩიტივით მოაფრინდა ცხენს ზურგზე და ჭიშკარში გაიჭრა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს იმაზე ბედნიერი დღეს ამქვეყნად არავინ იყო. რაფიდა გაოცებული გასცქეროდა მიმავალს და გონზე ვერ მოსულიყო.

ცოტა ხნის მერე ჭიშკარს ვიღაც ცხენოსანი მოადგა, კამაჭიჭის ჩემოდნის წასაღებად მოსულიყო. რაფიდამ მიაწოდა ჩემოდანი, თან იმდუღრებოდა, მაგრამ ბნელოდა და მხედარმა ვერ შეამჩნია.

რაფიდა შუა ეზოში იდგა და სახლში ვერ შესულიყო, სანამ ბავშვებმა არ დაუძახეს. მან ცრემლები მოიწმინდა და შინ შევიდა დაბნეული. ბოლოს, როგორც იქნა, მოერია თავს, არ უნდოდა მაცის მოსვლამდე რამე დატყობოდა.

გვიანი ღამე იყო. უკვე ყველას ეძინა. მშვიდად ეძინათ კამაჭიჭის მშობლებსაც. არ ეძინა მხოლოდ რაფიდას. ვერ გადაეწყვიტა, დილით ჯერ მეუღლისთვის ეთქვა თუ კამაჭიჭის

მშობლებისთვის. თავი სიზმარში ეგონა. ღამე თეთრად გაათენა. ბოლოს გადაწყვიტა, ჯერ მეუღლისთვის ეთქვა, მერე კი ალიასთან გადასულიყო. რჩევას მაინც მისცემდა მაცი. უცებ კამაჭიჭის ნათქვამი გაახსენდა — ხვალ დილით თუ არ დავბრუნდი, მამაჩემთან გადადი და ყველაფერი უთხარიო. ის იყო ინათა, რომ რაფიდა მაშინვე ალიასთან გადავიდა ჯერ იმის გასაგებად, დაბრუნდა თუ არა წუხელ კამაჭიჭი სახლში. შორიდანვე დაინახა ესმა, რომელიც ეზოს ასუფთავებდა. — კამაჭიჭი ხომ არ დაბრუნებულა წუხელ სახლშიო, — ჰკითხა რაფიდამ.

— არა, არ დაბრუნებულა.

— არ მომატყუო, იქნებ ისე შემოვიდა სახლში, რომ ვერ გაიგე, — უთხრა რაფიდამ და კამაჭიჭის ოთახში შეიხედა. ოთახი ცარიელი იყო.

— მე არ მიჯერებ, ქალო? ხომ გითხარი, არ დაბრუნებულა-მეთქი! — უთხრა ესმამ.

— რა ვიცი, ვიფიქრე მეხუმრება-მეთქი და ოთახში იმიტომ შევიხედე, — თქვა რაფიდამ და თავჩაღუნულმა სახლისაკენ გაუჩქარა.

— რა გაჩქარებს, რაფიდა? — დაუძახა ალიასმა, როდესაც მისი ეზოდან გამოსული ფეხაჩქარებული მეზობელი დაინახა. რაფიდა კი ჩქარობდა — ეშინოდა, მაცის არ გაესწრო სახლიდან.

— რა იყო, ქალო, რა სირბილით მოდიხარ, ხომ არ გამოგაგდეს?

— არა, ვის უნდა გამოვეგდე, მეშინოდა შინ რომ აღარ დამხვედროდი და ამიტომ ვჩქარობდი, — უპასუხა რაფიდამ.

— სად უნდა წავსულიყავი, აქ არა ვარ! რამის თქმა ხომ არ გინდოდა?

— არა, მაგრამ...

— რას ნიშნავს „მაგრამ"? რაიმე ახალი ამბავი ხომ არ გაიგე? რაღაც ვერ გატყობ, რომ სასიხარულო ამბავი მოგქონდეს. ალიასის საქონელი ხომ არ მოუპარიათ?

— არც საქონელი დაუკარგიათ და არც მე ახალი ამბავი არ გამიგია. ან რა უნდა ეთქვათ, ახალი ამბავი მე თვითონ ვიცი, ოღონდ შენს დაუკითხავად ვერც იმათ ვუთხარი.

— რაშია საქმე, ქალო, აღარ იტყვი? რა ფერი გადევს? შენ, მგონი, ტირილსაც აპირებ, რა მოხდა, ჩქარა მითხარი!

— ისიც კი არ ვიცი, კარგია თუ ცუდია... მაგრამ... ნურც ძალიან იდარდებთ, ნურც ძალიან გაიხარებთო... ასე თქვა...

მაცის თვალები გაფართოებოდა და გაოცებული შეჰყურებდა ცოლს, ეტყობოდა, ვერაფერი გაეგო, რა ხდებოდა.

— კამაჭიჭი გათხოვდა!

— რას ამბობ! ოჯახში თუ იციან?

— ჯერ არა.

— შენ ვინ გითხრა?

— თვითონ...

— მაშ, კამაჭიჭი სახლში არ არის?

— სახლში როგორღა იქნება, ხომ გითხარი გათხოვდა-მეთქი!

მაცი მთლად გაოგნდა, ხმა ვეღარ ამოეღო.

— ესღა გვაკლდა, — თქვა ბოლოს. — კი მაგრამ ვის გაჰყვა?

— ვის და... — მაცი სმენად იქცა. — ვის და... როგორ გითხრა... თათლასტანს გაჰყვა.

— როგორ! — იყვირა მაცომ. — საქვეყნოდ მოგვჭრა თავი? ჯანიმს დავცინოდით, ქალიშვილი ასლანმა შეურცხვინაო და ჩვენ თვითონ არ გავხდით დასაცინი? ასეა, კაცმა სხვა კაცს არ უნდა დასცინოს, რა იცი, როდის დაგატყდება თავს უბედურება. სულ დაგვღუპა, მიწასთან გაგვასწორა მაგ კაცმა. მაშ, დედამამამ ჯერ არ იცის?

— არა-მეთქი, ხომ გითხარი.

— წუხელ წასული ქალი ამ დილასაც რომ არ გამოჩნდა სახლში, არ დაუწყეს ძებნა?

— დეიდა ადყიასთან წავიდაო, — ამბობენ და არიან მშვიდად. ასე უთქვამს, იქ მივდივარო...

— მივიდეთ, მივაკითხოთ, — თქვა მაციმ და დაღვრემილი ცოლ-ქმარი ერთად შევიდა ალიასის ეზოში. ალიასი და ესმა გაკვირვებულები იყურებოდნენ აივნიდან.

— რაო, მაცი, რა მევალეებივით იყურებით აქეთ-იქით შენ და რაფიდა, რა თავ-პირი ჩამოგტირით? — გადმოსძახა ხუმრობით ალიასმა.

— ვინ გვაცლის წელში გამართვასა და თავაწეულ სიარულს, — უპასუხა მაციმ და ისე ამოიოხრა, გული თან ამოატანა.

— რას ამბობ, კაცო, რა უცნაურად ლაპარაკობ, ვითომ რატომ ვერ უნდა იარო წელგამართულმა? — შეწუხდა ცოლ-ქმარი და მაშინვე ეზოში ჩამოეგებნენ მაცის და რაფიდას — ნეტავი, რას გვეტყვიანო.

— ეზოში ნუ ეტყვი, — ჩუმად უთხრა რაფიდამ ქმარს. ამასობაში ყველანი სახლში შევიდნენ.

— ახლავე გეტყვით, რაც მოხდა, ოღონდ, ჯერ კამაჭიჭის დანაბარებს გადმოგცემთ, — ნუ ეწყინებათ და ნუ გამიწყრებიანო. არავინ შეამჩნიოს ჩემებს დარდი და მწუხარება, ნურც შეურაცხყოფილად იგრძნობენ თავსო, — დაიწყო რაფიდამ.

— რა უნდა გვეწყინოს... ან რატომ უნდა გვეწყინოს... თვითონ კამაჭიჭი სად არის? — თითქმის ერთხმად იკითხა ცოლ-ქმარმა.

— გათხოვდა, თათლასტანს გაჰყვა, — მიუგო რაფიდამ.

ამის გაგონებაზე ცოლ-ქმარს თავზარი დაეცათ და იქვე ჩაიკრიფნენ.

— ბლაგვი დანით გამომჭრა ყელი ჩემმა ერთადერთმა, ჩემმა სათაყვანებელმა ქალიშვილმა. — თქვა ალიასმა. ესმას ტირილი აუვარდა, მოთქვამდა და ვიშვიშებდა, მაგრამ რაფიდამ გააჩერა, — ჩუმად იყავი, არავინ გაიგოს, თორემ უარესი დღე დაგვადგებაო.

ვერც ესმა და ვერც ალიასი, კარგა ხანს ხმას ვერ იღებდნენ. ბოლოს ისევ ალიასმა ჰკითხა მაცის — რანაირად გათხოვდა ჩემი გოგო, თვითონ წავიდა თუ ძალით წაიყვანა იმ წყეულმაო.

— მე მეტი არაფერი ვიცი. აი, ახლახანს მითხრა რაფიდამ ეს ამბავი და მაშინვე შენსკენ გამოვეშურე. — მერე ცოლს მიუბრუნდა და უთხრა: — თქვი, ქალო, რაც იცი, რაღა არის დასამალი.

— კამაჭიჭი ხშირად მესაუბრებოდა ხოლმე თათლასტანზე, — დაიწყო რაფიდამ, — თან მაფიცებდა, არავისთვის მეთქვა. კარგად იცოდა, რომ თათლასტანი მის გამო გადაგვეკიდა და საქონელიც იმიტომ გვეკარგებოდა. მიყვებოდა ამას ყველაფერს, მაგრამ ერთი სიტყვაც არასოდეს უთქვამს, რომ უყვარდა ის კაცი ან ცოლად გაყოლას აპირებდა. ამას წინათ შეკრებილხართ თურმე და ვერაფერი გადაგიწყვეტიათ, რა მოგეხერხებინათ იმ აზნაურისთვის...

— საიდან გაიგო, რა საჭირო იყო ამის თქმა? — ეწყინა ალიასს.

— თვითონ მიმხვდარა ყველაფერს. იმას არაფერი გამოეპარებოდა. ის ხალხიც ჩემს გამო შეიკრიბაო. — ასე მითხრა: — მე თვითონ უნდა მოვუარო ამ საქმეს, როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ასეო, — ყვებოდა რაფიდა. — გავიდა ცოტა ხანი და ერთხელ, როცა კამაჭიჭი დეიდისგან სახლში ბრუნდებოდა, გზად თათლასტანი შეხვედრია. ეხუმრება თურმე. მერე უთქვამს: მოდი, ცხენები დავაჯახოთ ერთმანეთს, შენ ხომ კარგი მოჯირითე ხარ, ვნახოთ, რომელი მოერევაო და პირდაპირ წამოსულა. კამაჭიჭს ჯერ თავი მოურიდებია, მაგრამ როცა დაინახა, რომ თათლასტანი აღარ ეშვებოდა, თვითონაც შემოუკრავს ცხენისთვის მათრახი. ორჯერ თუ სამჯერ შეუჯახებიათ ცხენები. თათლასტანს კამაჭიჭისთვის ცხენოსნობა შეუქია, მაგრამ გოგოს რომ გულგრილობა დაატყო, საყვედური უთქვამს, შორს რატომ იჭერ თავს ჩემგან, რატომ არ გინდა წამომყვეო. დაუ-

წყია მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი. მე ხომ თვითონ არ გამოვიქცევი შენთან, ან კი როგორ უნდა შემირთო აზნაურის შვილმა გლეხის გოგო, ან ხელი როდის მთხოვე და მე უარი როდისღა გითხარიო, — უთქვამს კამაჭიჭს.

— ნუ ეშმაკობო, — უთქვამს თურმე თათლასტანს, — თუ აქამდე არ მითქვამს, ახლა გეუბნები და გირჩევნია გამომყვეო. — ჩემი ძმების ქონება ქურდებსა და ყაჩაღებს დაატაცებინე, დამაქვრივე და ახლა მთხოვ ცოლობასო? — უთქვამს კამაჭიჭს. თათლასტანი ჯერ გაცეცხლებულა, შენ თურმე გაბრაზებული ყოფილხარ ჩემზე და იმიტომ მეუბნები უარსო. მერე კი დამცხრალა და უთქვამს: — მოუტყუებიხარ ვიღაცას, შენს წინაშე მე უბრალო ვარ, ქურდები და ყაჩაღები ახლა ყველა სოფელშია და მე ტყუილად ნურაფერს მაბრალებო. კიდევ უთქვამს რაღაცრაღაცები, მაგრამ კამაჭიჭმა აღარ გამიმხილა — სხვა დროს გეტყვიო — მითხრა. ამის შემდეგ კიდევ შეხვედრია ერთხელ. მაშინ არ ვიცი რა ილაპარაკეს, კამაჭიჭმა კი მითხრა: — თუ კიდევ ჩამაცივდა, რაღაცას ვიზამ, მაგრამ იმას კი ნამდვილად ვერ გადავიტან, თუ ასლანის ქალიშვილივით მომექცაო. — შენ რომ გამოგყვე, თქვენი ქალბატონები არ გამახარებენ და არც შენ მოგიწონებენ თავადაზნაურები საქციელსო, — უთქვამს თათლასტანისთვის. — შენ მაგისი ნუ გედარდება, — დაუმშვიდებია იმას, — ჩემი საქმისა მე ვიცი და უარს ნუღარ მეტყვიო. მაშინ კამაჭიჭმა მითხრა: — ვიცი, ამ საქმეს კეთილი ბოლო არ ექნება, მაგრამ რა ვქნა, იძულებული ვარ დავთანხმდე, ახლა ასე აჯობებსო. — ხოლო თუ ჩემი მოტყუება აქვს განზრახული, — მითხრა ბოლოს, — იცოდეს, რომ არც მე შევარჩენ არაფერსო. მომიყვა ეს ყველაფერი და თან დამაფიცა, არავისთან არაფერი წამომცდენოდა. გუშინ საღამოს, წასვლის წინ ჩემთან მოვიდა, გადამკოცნა მეც, ბავშვებიც, ყველასთან მოკითხვა დამაბარა და წავიდა. მე მგონია, ორივენი სულ ცოტა ხნის წინ შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ გადაწყვიტეს ყველაფერი... — აი, გით-

ხარით, რაც ვიცოდი, ოღონდ ჩვენს გარდა ეს არავინ არ უნდა იცოდეს, — დაამთავრა მოყოლა რაფიდამ.

ყველანი გაკვირვებულნი უსმენდნენ.

— ჰო, მართლა, სულ დამავიწყდა, — ლევანს და ივანეს განსაკუთრებული მოკითხვა გადაეცით, — მთხოვა. — მათ ძალიან უნდოდათ გვერდში ამოვდგომოდი, მაგრამ რა ვქნა, ბედმა გამწირა და ველარ გავუწიე მეგობრობა, ისე კი იცოდნენ, რომ სულით და გულით მაგათთან ვარ და შეიძლება საქმე ბოლოს ისე დატრიალდეს, რომ ჩვენი გზები ისევ შეიყარნენო. ისიც მთხოვა — განსაკუთრებით მაგ ორმა არ დაიმჩნიოს წყენა, თორემ შეიძლება საფრთხეში ჩაიგდონ თავიო, — თქვა რაფიდამ.

— როგორც კამაჭიჭის დანაბარებიდან ჩანს, ის არც არავის დაუშინებია და არც ძალით წაუყვანია, ყველაფერზე ბევრი უფიქრია და თვითონვე გადაუწყვეტია. თათლასტანს იმიტომ გაჰყვა, რომ ჩვენ ჩამოგვაცილოს, საბოლოოდ თუ არა, დროებით მაინც. ისიც უგრძნობინებია თათლასტანისთვის, რომ თავს არ დააჩაგვრინებს და თუ რამე დაუშავა, მისგან პატიებას არ უნდა ელოდოს. კამაჭიჭი გონიერი გოგოა და თუ გაუჭირდა, ცეცხლს შეუნთებს იქაურობას. ჰოდა, ჩემი აზრით, როგორც მან დაგვიბარა, ისე უნდა მოვიქცეთ, ეს ამბავი კი თორყანსა და ძიკურსაც უნდა გავაგებინოთ.

— მაშინ ახლავე ვუთხრათ, თორემ ცოტა ხანში უკვე მთელ სოფელს ეცოდინება და მეშინია, რამე ცუდი არ წამოსცდეთ თათლასტანის მისამართით.

— მართალია, — დაეთანხმა ყველა რაფიდას და ახალი ამბავი თორყანსაც გააგებინეს.

ნაშუადღევს უკვე მთელმა სოფელმა იცოდა კამაჭიჭის გათხოვების ამბავი.

— ეს ქალიშვილი ან სულ აგვაშენებს, ან სულ მოგვიღებს ბოლოს, — თქვეს ძიკურმა და თორყანმა.

გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც, ცოტა არ იყოს, შურით

ამბობდნენ: „რაც არ უნდა კარგი იყოს, მაინც გლეხის შვილია და აზნაურმა ცოლად როგორ წაიყვანაო“.

„თათლასტანი ხომ აზნაურია და კარგი ვაჟკაცია, მაგრამ არც ეგ გოგო ჩამორჩება რაიმეში, ცეცხლივითაა, სხვებს მაგისთანა ცოლი არც კი დაესიზმრებათ. თუ იუკადრისეს გლეხის ქალის შინ მიყვანა, არც კამაჭიჭი დააჩაგვრინებს თავს, თვითონვე იუკადრისებს მათთან ნათესაობას...“

— მერედა რა ყრია ამაში? — კითხულობდნენ ზოგიერთები.

— რა ყრია და, თუ იმ ქალს ვინმე რამეს ავნებს, თვითონ უარესი დაემართება. მაგას ყველაფერი შეუძლია, თუ გაუჭირდა, აბრაგობასაც შეძლებს, — პასუხობდნენ სხვები.

უსმენდა ამ ყაყანს ალიასის ნათესაობა და თვითონ ხმას არ იღებდნენ, არაფერს იმჩნევდნენ, მაგრამ ყველა რაღაც საშინელების მოლოდინით იყო შეპყრობილი.

— ასეთ ქალს აზნაური კი არა, თავადი არ დაიწუნებს, — ამბობდა ყველა ერთხმად.

— მე ვიცნობ ერთ თავადს, რომლის ცოლიც, უქალბატონოდ სიტყვას რომ ვერ ჰკადრებ, ამისი ფრჩხილის ღირსიც კი არ არის. თუ ეს ასე არ იყოს, ა, თვალებში შემაფურთხეთ! საქმე გვარიშვილობაში კი არა, ადამიანობაშია. კაცი არ ვიყო, თუ ყველა ქალბატონს, რომელსაც მე ვიცნობ, ჩვენი პატარძალი არ სჯობდეს, — ამბობდა ერთ-ერთი მათგანი.

როცა თავადებმა და აზნაურებმა გაიგეს, თათლასტანმა გლეხის გოგო მოიყვანა ცოლადო, თავი შეურაცხყოფილადაც კი იგრძნეს, თუმცა აშკარად ვერ ამჟღავნებდნენ თავიანთ უკმაყოფილებას, რადგან არაერთხელ უთქვამთ თათლასტანის თანდასწრებით — ეს ქალიშვილი დიდი აზნაურის ღირსია და ვინც ამას უარყოფს, მხოლოდ იმიტომ, რომ ეშინია თვითონ კამაჭიჭმა არ დაიწუნოს ის და თავისი სიძლიერით არ დაჯაბ-

ნოსო. ის კი არადა, დიდ თავად მურზაყანსაც მოსწონებია ეგ გოგო. ნაჰარბეი ჩაჩბასთან ბურთაობის დროს უნახავს და გადარეულა კინაღამ. ამბობენ, ერთი-ორჯერ კიდევ რომ ენახა, შეიძლება სარძლოდ წაეყვანაო.

მიუხედავად ამისა, გულში ჰკიცხავდნენ თათლასტანს — გლეხის გოგო მაინც არ უნდა შეერთოო. მალე ალბათ პირშიაც გააგონებდნენ, მაგრამ ჯერ ისიც არავინ იცის, რა აქვს გულში თვითონ თათლასტანს, რას ფიქრობს, რას მოიმოქმედებს... ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს.

ასე გავიდა ორ თვეზე მეტი. კამაჭიჭმა თათლასტანი დაითანხმა და ერთ საღამოს მეზობლის ბიჭის თანხლებით მშობლების მოსანახულებლად წავიდა. ინახულა დედ-მამა, მოეფერა, მოესიყვარულა მათ და მეორე დილას უკან დაბრუნდა, მეზობელ-ნათესავებში არც კი გამოჩენილა.

— თვალი არ გვეცეს და რაც შენ წახვედი, არაფერი დაგვიკარგავს, — უთხრა ალიასმა კამაჭიჭს, დედამ კი ჰკითხა:

— შვილო, კამაჭიჭ, როდემდე უნდა იცხოვროთ ძიძიშვილებთან, თქვენს სახლში გადასვლას აღარ აპირებთ?

— ჩვენს სახლს ჭერი აქვს გამოსაცვლელი, შეაკეთებენ და ჩვენც გადავალთ, —დაამშვიდა კამაჭიჭმა დედა. — აქამდეც გადავიდოდით, მაგრამ ხომ იცი, როგორი ძნელი საშოვარია ხელოსანი. ყველანი ჯარში წაიყვანეს. ორი კაცი ძლივს ვიშოვეთ და ახლა ისინი მუშაობენ.

— ერთი რამ მინდა გკითხო, შვილო და ნუ დამიმალავ, როგორ გექცევიან, მეუღლე თუ გცემს პატივს, ხომ არ თაკილობენ შენს რძლობას, შვილო?

— მერე რა იქნება, არ ვიცი, ახლა კი თავს მევლებიან, სამდურავი არ მეთქმის.

— ჩვენც ყური შენსკენ გვიჭირავს და, ღვთის წყალობით, ჯერჯერობით ცუდი არაფერი გაგვიგონია.

— დედა, თქვენ ჩემზე ნუ იდარდებთ, კარგად მომექცევიან, — მეც კარგად მოვიქცევი, თუ არადა...

— ბავშვობიდან ეგეთი ამაყი ხარ, შვილო, უნდა იყო კიდეც, მაგრამ თავად-აზნაურებთან ბრძოლა შენ სად შეგიძლია! „კამეჩთან მორქენალ ხარს რქები აღარ შერჩაო", — ხომ გაგიგონია, ფრთხილად იყავი!

— რა საჭიროა დედა ახლა ასეთი ლაპარაკი, — გააჩუმა ესმა კამაჭიჭმა, — მე მეგონა, მეტყოდი, — აბა შენ იცი, თავი არავის დააჩაგვრინოო, ყოჩაღად მოიქეცი, შენ კი მორჩილებას მთხოვ... ჯერჯერობით კარგად ვართ და ვნახოთ, მერე რა იქნება.

— მართალი ხარ, დედა გენაცვალოს, მაგრამ მაინც ფრთხილად იყავი, ტყუილუბრალოდ ნურავის აუხირდები, ეცადე, ყველას თავი შეაყვარო.

— კარგად მესმის, დედა, რისი თქმაც გინდა, მაგრამ რა ვქნა, მუდამ ასეთი ვიყავი და ახლა ხომ არ გამოვიცვლები. უხასიათობას ისინი ვერ დამწამებენ, თუ თვითონ არ წამიხდინეს გუნება... — მიუგო კამაჭიჭმა.

ესმას უნდოდა ეთქვა, ამდენი დრო გავიდა და რატომ შენი ქმარი არ გვნახულობს, არ გვკადრულობს ალბათო, მაგრამ მოერიდა შვილის წყენინებას და აღარაფერი უთქვამს. და განა მარტო ესმასა და ალიასს, მათ ახლო ნათესაობასაც ძალიან სწყინდა ეს ამბავი, — ვითომ რატომ არ მოდის, ეს კარგის ნიშანი არ უნდა იყოსო.

კამაჭიჭი, ეტყობა, თვითონვე გრძნობდა მშობლების განწყობილებას და გადაკვრით თქვა, რომ თათლასტანი ძალიან მორიდებული კაცია და თავის ნათესავებთანაც კი იშვიათად დადისო. ამან ცოტა დაამშვიდა ცაგუბები, მაგრამ კამაჭიჭის მომავალი მაინც ყველას აფიქრებდა.

XXXIII

ოჩამჩირეში დიდი თავყრილობა გაიმართა, რომელსაც სოხუმის მაზრის უფროსიც ესწრებოდა. კრება რომ იშლებოდა, მან თავად-აზნაურებთან საუბრის დროს თქვა, რომ ხვალ სოფელ ჯგერდაში აპირებს წასვლას იქ მომხდარი მკვლელობის საქმის გასარჩევად.

— თუ ასეა, — მიმართა მაზრის უფროსს თავადმა მურზაყანმა, — ხვალ ოჩამჩირიდან ჯგერდაში წასვლას გირჩევნიათ ამაღამ მე მესტუმროთ, დილით კი მე თვითონაც გამოგყვებით. იქ მყოფმა აზნაურებმაც მურზაყანს დაუჭირეს მხარი. მაზრის უფროსიც — თითქოს ამას ელოდაო — უმალ დათანხმდა. საღამო ხანს ყველანი ცხენებზე შესხდნენ და გზას გაუდგნენ.

იმდენი სტუმარი შეგროვდა, რომ მურზაყანმა დიდი ხარი დააკვლევინა.

— მურზაყან, თავიდან ალბათ ფიქრობდი, იოლად გადავრჩებიო, მაგრამ არ გაგიმართლდა, — გაეხუმრა თავადს ჩაგუ.

— მადლობა ღმერთს, ერთი ხარით გადავრჩი, მეორეც რომ დამეკლა, რაღა მეშველებოდა, ხომ დამექცეოდა ოჯახი, — ხუმრობითვე უპასუხა მურზაყანმა.

— ძალიანაც ნუ გაიიოლე საქმე, ჯერ კიდევ მოსასვლელია ხალხი, — არ ცხრებოდა ჩაგუ.

— თქვენს გახარებას, შიკრიკები დამიგზავნეთ, რომ არავინ დააკლდეს, — გაეპასუხა მურზაყანი. ყველას გაეცინა.

— მურზაყან ბატონო, მართალია საკლავი არ დაგიშურებია, მაგრამ ეგ ხარი და ცხვარი საღამომდე არ მოიხარშება და თუ რუსული „ზაკუსკა“ მაინც არ მოამზადე, დაგირჩა ეგ ჩვენი მაზრის უფროსი მშიერი და ეგ არის! — უთხრა თავადს კუეიკუეიმ.

— ისემც შენ რა გითხრა, მაგის დარდი შენ არა გქონდეს. თვითონ გინდა, რაც შეიძლება მალე შემოსძახო ვარჰალალე და ის გალაპარაკებს, — მიუგო მურზაყანმა.

— მართალს გეუბნები, შენ ნუ მომიკვდები. გგონია ოჩამჩირეში ჭამა რამე? კაპიკს ვერ გააგდებინებ ხელიდან, — ჩაიცინა ჰაბიგუმ.

— დღეს ოჩამჩირეში კარგად იქეიფა ალექსიმ. ღვინო მოერია და ლაპარაკს აღარ გვაცლიდა, — კალაპოტი უცვალა საუბარს ნაგუმ.

— რატომაც არ იქეიფებს, ამას წინათ მიწა გაყიდა, კარგი ბედაური იყიდა. ზედ ვერცხლით შეჭედილი უნაგირიც დაადგა და ცოტაოდენი ფული ჯიბეშიც ჩაიჩხრიალა.

— ახლა რევოლუციაც რომ მოხდეს, მაგას დასაკარგი უკვე აღარაფერი აქვს, — ჩაიქირქილა კიჭინმა.

— შენ მაგაზე ადრე გაყიდე მიწა, ასე რომ, რევოლუციის ამბავი მაგაზე კარგად შენ გცოდნია, — შეუძახეს აქეთ-იქიდან.

— რევოლუცია სულაც არ გამხსენებია, ფული შემომაკლდა და გავყიდე, — თავი იმართლა კიჭინმა.

— არ მომწონს მე ეს ამბავი, თუ ასე გავაგრძელეთ, ცოტა ხანში ნაჰარბეის, მურზაყანისა და ერთი-ორი სხვა თავადის გარდა, ყველანი ცარიელ-ტარიელები დავრჩებით, — მოიღუშა ნაჰარი.

— ბანქოში რამდენმა წააგო მიწები, იმას არ იკითხავთ? — დაუმატა ნურბეიმ.

მურზაყანმა სტუმრებს ბოდიში მოუხადა და მაზრის უფროსთან შევიდა ოთახში. როგორც კი მურზაყანი გააცილეს, მოსაუბრენი უფრო თამამად ალაპარაკდნენ.

— მოხერხებული კაცია მურზაყანი, ერთი მეჩხერი ტყე აქვს და რამდენ რამეს გამორჩა უკვე.

— საკვირველია, როგორ მოახერხა?

— აი, როგორ: ამ სოფელში ერთი გლეხი ცხოვრობს, სახელად მისა. იმ მისას მურზაყანის ტყეში რამდენიმე ხე მოუჭრია თურმე. მურზაყანმა დაიბარა მისა და ერთი ამბავი დააწია, ხეებს კენწეროები რად დაამტვრიე, ფუტკარი დამიფანტე და

თაფლი რად წაიღეო... მანამდე არ მოასვენა, სანამ ერთი ხარი და ერთი ძროხა არ წაართვა.

— ეგ მისა შეძლებული გლეხია, მურზაყანი ასე იოლად თავს არ დაანებებს, სანამ სულ მშრალზე არ დასვამს, — დაუმატეს სხვებმა.

— მისას ამბავი არ ვიცი, მაგრამ ჟაცი რა დღეში ჩააგდო, ის მკითხეთ, — თქვა კიჭინმა. — ჟაცი კარგი მონადირეა, ერთხელაც მურზაყანის ტყეში გარეული ქათამი და მელა მოუკლავს. გაუგია ეს მურზაყანს, დაუბარებია ჟაცი და შავი დღე დაუყრია, ტყეში ნადირი რად გამიწყვიტეო. ბევრი იმართლა ჟაციმ თავი, მაგრამ აბა რას გახდებოდა. მანამდე არ მოეშვა მურზაყანი, ვიდრე ერთი ძროხა არ წაართვა.

— დიდი უხეირო ვინმე კია ეგ ჟაცი, კარგად უქნია მაგისთვის მურზაყანს, რომ ძროხა წაურთმევია.

— ჯერ სადა ხარ, ისეთ დღეში ჩააგდებს მურზაყანი, სულ თავბედს აწყევლინებს!

— მე კი ის მომწონს, რაც ბინაგუს დამართა, — თქვა ჩაგუმ. — მურზაყანის ტყეში ერთი პატარა მდინარე ჩამოდის. იმ მდინარეზე ფაცერი დაუდგამს ბინაგუს და რამდენიმე ჭიჭყინა დაუჭერია. გაუგია ეს მურზაყანს და ერთი ამბავი დაუწევია, მდინარეში თევზი რად გამიწყვიტეო. ერთი ცხენი და კარგი ჭედილა წაურთმევია, ეს რაც მე ვიცი...

— კარგად შვრება მურზაყანი, — წამოიძახეს აქეთ-იქიდან. — „ღორის ტილი თუ ფეხზე დაისვი, თავზე აგაცოცდებაო“, სწორედ გლეხებზეა ნათქვამი.

— გეყოფათ ახლა ამდენი მასლაათი. სამზარეულოდან ბიჭები მოდიან და არაფერი გააგონოთ. ერთი-ერთმანეთს არც თქვენ ჩამორჩებით. სუფრასთან დავჯდეთ და ახლა სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, — გააჩერა მოსაუბრენი სასრიყვამ. მართლაც, მასპინძლები უკვე სუფრაზე უხმობდნენ სტუმრებს. მოახლე გოგონებმა ყველას ხელ-პირი დააბანინეს და მასპინძლის

თხოვნით დიდ დარბაზში შევიდნენ. ამ დროს მეორე ოთახიდან გაყინჩული მაზრის უფროსი გამოვიდა. მურზაყანმა ყველაზე საპატიო ადგილას დასვა ძვირფასი სტუმარი. ლხინმა გვიანობამდე გასტანა. გათენებას აღარაფერი უკლდა, როცა სტუმრები თითო-თითოდ გაიკრიფნენ მაგიდიდან. მაზრის უფროსი ისე გამოთვრა, ფეხზე ძლივს იდგა. მაშინვე ლოგინი გაუშალეს და მოასვენეს. სტუმრების ერთი ნაწილი მურზაყანთან დარჩა ღამის გასათევად, ნაწილი კი მეზობლებში დააბინავეს.

მეორე დღეს, ირიჟრაჟა თუ არა, სტუმრებმა ისევ იწყეს მოსვლა. ასე ადრიანად მოსული თანამეინახენი რომ დაინახა, მურზაყანს გაეცინა:

— ჯერ ხომ ხეირიანად არც კი გათენებულა, თქვე კაი ხალხო, რა მოგარბენინებდათ, საქმე რომ მქონოდა, საღამომდე კაცი ვერ შეგკრებდათ.

— აქეთ-იქით სირბილით ხომ არ შეგაწუხებდით, აგერ, ყველანი ერთად მოვედით. თუ რამეში გჭირდებით, შენი ხმალი და და ჩვენი კისერი! — მიუგო კიჭინმა.

— რატომ ცრუობ, კიჭინ, სირცხვილია, ყველანი მოვედითო, რომ იძახი. ძალიან ბევრნი არ მოსულან, — გადაულაპარაკა ბათამ ამხანაგს.

— აბა, შენ გინდოდა მთელი ამ მხარის თავადაზნაურობას მურზაყანთან მოეყარა თავი? — ჰკითხა კიჭინმა.

— არა, ყველას არა, მაგრამ... — ბათამ მიიხედ-მოიხედა, — აქ ყველანი შინაურები ვართ, ჩვენს შორის დარჩეს და, ეს გლეხების მოყვარე, ცაგუბების სიძე თათლასტანი რატომ არ ჩანს დღეს?

— კაცს თაფლობის თვე აქვს და აცალე ცოტა ხანს, — უპასუხეს დანარჩენებმა და გაიცინეს.

— მისი ამბავი მე მკითხეთ, ყველაფერი ვიცი, — თქვა მურზაყანმა. — ამას წინათ ჩემთან იყო თათლასტანი. სიტყვას მოჰყვა და ვუთხარი: — ცოლის მოყვანა ვერ მოგილოცე, ქორ-

წილში არ დაგიპატიჟივართ, მაგრამ მაინც „გვეკუთვნოდა“ პატარძლის ნახვა-მეთქი.

— ვიცოდი, რომ ამას მეტყოდი, — მომიგო თათლასტანმა. — დამიჯერე, როცა ნამდვილად დავვოჯახდები, ქორწილსაც გადავიხდი, ყველას შეგატყობინებთ. თუ მთლად გონებაარეული არა გგონივარ, ცაგუბების სიძეს არ დამიძახებო, — ასე მითხრა, თან დაუმატა — კარგად ხვდები, ალბათ, რისი თქმაც მინდა, ოღონდ ჯერჯერობით ეს ამბავი ჩვენს შორის უნდა დარჩესო. თქვენ კი იმიტომ გეუბნებით, რომ აქ გლეხი არავინ გვირევია და ეს ამბავი ყველამ უნდა ვიცოდეთ.

— თუ ასეა, რაღას ვემართლებით იმ კაცს. ისე, კარგი გოგოა ეგ კამაჭიჭი, ძნელიც კია უთხრა თათლასტანს, თავი დაანებეო, — გაიღიმა ბათამ.

— იმ კაცმა თავის საქმე თვითონ იცის. რადგან მურზაყანისთვის ასე უთქვამს, ეტყობა, მართალს ამბობს, მაგრამ ახლა შენ რომ მიხვიდე და უთხრა, ეგ ვინ მოგიყვანია ცოლადო, მე რომ მაგის ხასიათი ვიცი, ადგება და მეორე გლეხის გოგოზე დაქორწინდება, — გააჩერა ამხანაგი ხრიფსმა.

— ცაგუბები და ჭალიები ძალიან იბღინძებიან, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რევოლუციის ამბები გაიგეს. ლამის აგვიბუნტდნენ. ყველა თავყრილობაზე ერთხმად გაიძახიან, ქურდებსა და ყაჩაღებს თავად-აზნაურები უწყობენ ხელსო. სულ დაკარგეს სირცხვილ-ნამუსი. ერთხელ, — კარგად არ მახსოვს, როდის — ალიასმა თავის სახლში აბრაგები აქეიფა, რის გამოც ერთი წლით ციხეშიც კი ჩააყუდეს, ის კი აქეთ გვაბრალებს ყველაფერს, — ისინი არიან დამნაშავენიო — გაიძახის, — თქვა ჰაბიგუმ.

— ჰაბიგუ, ჩვენს შორის დარჩეს და, ალიასი მაშინ მართალი იყო. მაგას ერთი კარგი ცხენი ჰყავდა, ჰოდა, ისინიც იმ ცხენისთვის მივიდნენ იქა და აკი წაართვეს კიდეც.

— მიდი, აბა, და დაუდექი ვექილად, — გაბრაზდა ჰაბიგუ.

— მე ის გითხარი, რაც სინამდვილეში მოხდა. ალიასის ვექილობას კი სულაც არ ვაპირებ, — მიუგო ტაგუმ.

ამასობაში სტუმრები ისევ მომრავლდნენ.

— მაზრის უფროსი ხელებს იბანს, ეტყობა, სუფრას მალე გაშლიან, — გადაულაპარაკეს იქ მყოფებმა ერთმანეთს.

— ბატონებო, დღევანდელი სუფრის გაძღოლა მურადბეის მინდა მივანდო, — წარმოთქვა დიდის ამბით მურზაყანმა და მურადბეის თამადობა მიულოცა. — დარწმუნებუ;ლი ვარ, სუფრას ისე გაუძღვება, როგორც ეს ჩვენს ძვირფას სტუმარს ეკადრება, — თქვა და მაზრის უფროსს გადახედა.

მასპინძელს ყველა ერთხმად დაეთანხმა და თამადად მურადბეი აირჩიეს.

მურადბეი დიდებული თამადა გახლდათ. ლხინი დიდხანს გაგრძელდა. ბოლოს, როგორც იქნა, ადგა მაზრის უფროსი, მას სხვებმაც მიბაძეს, დაიბანეს ხელები, შესხდნენ ცხენებზე და ჯგერდისაკენ გაუჩქარეს.

XXXIV

შემოდგომაზე, როცა პირუტყვი მოსუქდა, ორმოცები და წლისთავები გახშირდა. სოფელში ხმა დაირხა — უაზბაქის სულის მოსახსენებელ აღაპის გადახდას აპირებენო.

ერთ საღამოს თორყანი ალიასთან მივიდა. მალე მაციც გამოჩნდა და გაიბა საუბარი.

— დადგა შემოდგომა და გაევლება მუსრი პირუტყვს, დაიწყება აღაპები და ვინ იცის, რამდენ ხარს, ძროხას და ცხვარს შეინირავს! — თქვა მაციმ.

— ჩვენი უბედურებაც ეგ არის. ჩვენს ნაოფლარსა და ჩვენს ნაამაგარს, მთელი წლის განმავლობაში მუხლჩაუხრელი შრომით რომ გვაქვს მოქონიებული, ერთბაშად, დაუფიქრე-

ბლად ვანიავებთ. გაგვიხდება ვინმე ავად და მარჩიელსა და ექიმბაშს კარს ავუტალახებთ — არიქა, შენი ჭირიმე, მოგვხედე, შენს მეტი ვერავინ გვიშველისო. ავადმყოფმა კი ამასობაში თქვენი ჭირი წაიღო. მერე კიდევ დაიწყება, — ეს ორმოციო, ეს აღაპიო და მთელს ჩვენს ნაოფლარს რამდენიმე დღეში გამოვუყვანთ წირვას. ამას ახლა ეს ქურდობა და ყაჩაღობა დაემატა და დავრჩით ულუკმაპუროდ, — თქვა თორყანმა.

— მართალი ხარ, მაგრამ რას იზამ, ადათს ვერ ვუღალატებთ, ასე იყო ძველთაგანვე და ამ წესს ჩვენ ვერ დავარღვევთ; შენ ნახე, დიდი თავადის, უაზბაქის აღაპზე რამდენი საქონელი დაიკვლება! — თქვა ალიასმა, — ჟრაბი თავისი მამის, უაზბაქის სულისმოსახსენიებელი აღაპის გადახდას აპირებს, გადაიხდის კიდეც. გაუჭირდება თუ რა! საკუთარი, შეიძლება ერთი ხარიც არ დაკლას. ისევ ჩვენ უნდა მივუყვანოთ ხარიცა და ცხვარ-ძროხაც. დატრიალდებიან ძიძიშვილები, ძიძიშვილის ნათესავები, ნათლიები, ნათლიმამები და იმდენი საქონელი მოგროვდება, რომ მამის აღაპის მერე პაპის აღაპიც რომ გადაიხადოს, არ გაუჭირდება.

შარშან ამ დროს ალბუზი იხდიდა მამის წლისთავს, — ჩამოართვა სიტყვა ალიასს თორყანმა. — დიდი მარულა გამართა. ზღვა ხალხი მოგროვდა. თითქმის ყველა აბჟუელი იქ იყო. ბევრი ხალხი მოვიდა ბზიფიდანაც და სამურზაყანოდანაც. დიდძალი საქონელი დაიკლა! ალბუზმა, საკუთარი ერთი ძროხა დაკლა მხოლოდ, დანარჩენი — ალიასის თქმისა არ იყოს, — ჩვენნაირი გლეხების მორთმეული იყო. ხომ ამდენი პირუტყვი გაწყვიტეს, ოცდახუთი ხარი თუ ძროხა ისე დარჩა. თქვენ თვითონ განსაჯეთ, რა ძღვენი მიუღია... ის ხარ-ძროხა ალბუზმა მერე სოხუმელ ყასაბს მიჰყიდა კარგ ფასად.

— ასეთ სარგებელს თუ ვნახავ, მეც გადავუხდიდი აღაპს საწყალ მამაჩემს, — იხუმრა მაციმ.

— ხვალ არის უაზბაქის აღაპი, ჩვენ კი უკვე ორი დღეა, სტ-

უმრების მიღება-გაცილებაში ვართ, — დაიჩივლა თორყანმა. — დღეს უკვე მივიდოდნენ იმ სოფელში.

ცოტა ხანს კიდევ ილაპარაკეს სტუმარ-მასპინძელმა, მერე ხვალინდელ აღაპზე წასვლის დრო დათქვეს და სახლებში წავიდნენ.

დილით, როგორც კი საქონელს მოუყარეს თავი, ერთმანეთს გადასძახეს და გზას გაუდგნენ. ვისაც ცხენი ჰყავდა, შინ კაცი არ დარჩენილა.

კვირის ბოლოს ღრუბლიანი ამინდები იყო, იმ დღეს კი დილიდანვე მზემ გამოანათა. დღევანდელ დღეს ვერავის ნახავდით მოწყენილს, ყველა მხიარულობს, სახეები უცინით. აფხაზეთში აღაპი ხალხის შეხვედრის, გაცნობის თუ დამეგობრების ადგილია. ასეთ ადგილებში ახვედრებენ ერთმანეთს ქალ-ვაჟს, ისინი მალულად უმზერენ ერთმანეთს და ცდილობენ, თავი გამოიჩინონ, ვაჟებმა თავიანთი ვაჟკაცობით, ცხენოსნობით, სიმარჯვით, ქალიშვილებმა კი სილამაზით, სიმღერითა და ცეკვა-თამაშით.

ცხენოსნები შარაგზაზე გავიდნენ. ერთი წლისთავის ხალხი მარტო ალიასის თანასოფლელები იყვნენ. მალე ჟრაბის სახლიც გამოჩნდა, მაგრამ იქ უკვე იმდენ ხალხს მოეყარა თავი, რომ ახლოს მისვლაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ერთი-ორი ვერსის მოშორებით, დიდ მინდორზე შეჩერდნენ. მანძილი — ოცდახუთი ვერსი, სადაც მარულა უნდა გამართულიყო, წინასწარ იყო განსაზღვრული. უნდა დაეწყოთ მდინარე ჯიყუმირის ნაპირებიდან, ზღვის სილიანი სანაპირო უნდა გადაერბინათ იქამდე, სადაც მდინარე დღამში ზღვას ერთვის, მერე ჩრდილოეთით გაეხვიათ, სოფლები ტამიში და კუტოლი გაევლოთ და ჯგერდამდე მისულიყვნენ.

ცხენოსნები ჯიყუმირზე წავიდნენ. თან სანდო პირები ახლდათ, ისინი უხელმძღვანელებდნენ მარულას და თვალ-ყურს მიადევნებდნენ მის მსვლელობას.

მარულაში მონაწილეობის მისაღებად ოცდახუთი ცხენოსანი იყო შერჩეული. ხალხის უმეტესობა მურზაყანის ცხენს უწინასწარმეტყველებდა გამარჯვებას.

ზოგიერთებს წინასწარ შურდათ მურზაყანისა. განსაკუთრებით ვერ მალავდნენ ბოღმას თავადები ზორბაქი და ალმა და ჩუმად მოილაპარაკეს, როგორმე ისე მოეწყოთ საქმე, რომ პირველობა ლევან დადიანის ცხენს მოეპოვებინა. ორივე თავადმა კარგად იცოდა, რა უსიამოვნებაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა მათ საქციელს, მაგრამ ხალხის მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ. ბოლოს და ბოლოს, ისიც შეეძლოთ ეთქვათ, — ლევანი სტუმარია, ოდიშიდან გვეწვია და შერცხვენილს ხომ არ გავუშვებთო. აბა, ასეთ დროს რომელი აფხაზი არ დაუჭერდა მხარს! გარდა ამისა, წინასწარ ვის შეუძლია გამოიცნოს, ვისი ცხენი მივა პირველი. რამდენჯერ მომხდარა, რომ ცხენს ერთიორი ნახტომიღა აკლია, რათა პირველი მივიდეს მიჯნამდე, მაგრამ სწორედ მაშინ უმუხთლებს ხოლმე ბედი და წაიქცევა, გამარჯვება კი სხვა ცხენს რჩება, — ამით იმშვიდებდნენ თავს ზორბაქი და ალმა და განზრახულის სისრულეში მოყვანას შეუდგნენ. — თუ გაჭირდა და ძალაზე მიდგა საქმე, მურზაყანს არც ჩვენ გავექცევით, — იმუქრებოდნენ კიდეც გუნებაში. გზაზე, სადაც მარულას უნდა გაევლო, ზორბაქმა და ალმამ თავიანთი ხალხი დააყენეს, რომელთაც დადიანის ცხენის გამარჯვება უნდა უზრუნველეყოთ.

ჯიყუმირთან რომ ცხენები მდინარე დღამშისაკენ გაუშვეს, ლევანის ცხენი ცხენისწყალთან მოაბრუნეს და მოკლე გზებით კუტოლში ამოაყოფინეს თავი, იქიდან კი გაუშვეს ჯგერდისაკენ. მათ უკან მურზაყანის ცხენი მოჰქროდა.

ეს რომ მურზაყანმა დაინახა და გაიგო, ვინ უმტრო, გაცოფდა. ატყდა ერთი ჩხუბი და აყალ-მაყალი. იარაღითაც კი გაიწიეს ერთმანეთისკენ, მაგრამ ხალხი ჩაერია და მოჩხუბარნი დროზე გააშველეს. პირველობა მაინც ლევან დადიანის ცხენს დარჩა,

მურზაყანისა მეორე იყო, მესამე ალხას აჩბას ცხენი მივიდა. მელიტონ ემხვარის ცხენი სამურზაყანოდან მეოთხე იყო. ასე ხდებოდა: შეფასებას მხოლოდ ოთხ ცხენს აძლევდნენ, დანარჩენებს სათვალავშიც არ აგდებდნენ.

როგორც კი მოჩხუბრები დააშოშმინეს, სტუმრები სეფაში მიიწვიეს, სეფა ათას კაცს იტევდა. წესისამებრ, ჯერ შორიდან მოსულ სტუმრებს გაუმასპინძლდნენ, დანარჩენები კი ათასნაირი გასართობებით იქცევდნენ თავს. ზოგი ხეზე ჩამოკიდებული აბრეშუმის ცხვირსახოცის, ჩექმების და სხვადასხვა ნივთების ჩამოგდებას ცდილობდა; ვინც რას ჩამოაგდებდა, ის მისი საკუთრება ხდებოდა. უფრო მარჯვენი დიდ სიმაღლეზე დაკიდებულ თასს ესროდნენ ტყვიას. ვინც ამ თასს ჩამოაგდებდა, საჩუქრად ხარს აძლევდნენ, მაგრამ თასი ძალიან მაღლა ეკიდა და ცოტას თუ გაუღიმა ბედმა.

ყველაზე საპატიო სტუმრები რომ ადგნენ, ახლა შორი სოფლებიდან მოსული ხალხი დასვეს, ქალები ცალკე, კაცები — ცალკე. საღამოს, როცა ყველა შორიდან მოსული სტუმარი უკვე დაპურებული იყო, მაგიდას იმსოფლელები მიუჯდნენ, სულ ბოლოს კი თვითონ მასპინძლები მოუსხდნენ სუფრას და წლისთავიც ამით დამთავრდა.

შინ მიმავალი ხალხი, გლეხი თუ თავადი — ყველა უცნაურ მარულაზე ლაპარაკობდა. მურზაყანის მოკეთეებს სწყინდათ ეს ამბავი, მტრები კი ამბობდნენ, — ღირსია, ეგრე მოუხდება მაგასო. ზოგი კი გაკვირვებული იყო: — ძველებისგან გვსმენია, ადრე მეფის ცხენებს ატარებდნენ ხოლმე მოკლე გზებით, მაგრამ ჩვენს დროში ასეთი რამ პირველად ვნახეთო.

გლეხობა კი იმით იყო უკმაყოფილო, მოჩხუბრები არ უნდა გაეშველებინათო. ჩვენთვის რა მნიშვნელობა ჰქონდა, დადიანის ცხენი გაიმარჯვებდა თუ მურზაყანისა, გლეხს წინ მაინც არავინ გაუშვებდა და იმათ, თუ გინდა, დაეჭამათ ერთმანეთიო, — გაიძახოდნენ.

XXXV

ზაფხული იდგა. ალიასი დღედაღამ მუხლჩაუხრელად შრომობდა. ერთხელაც ძალიან გაიოფლა და გასაგრილებლად ცივ მდინარეში შევიდა. ეს დღე იყო და ლოგინიდან ვეღარ წამოდგა. მკერდში საშინელ ჩხვლეტებს გრძნობდა: ავადმყოფის მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა. ნათესავ-მეზობლები ეკითხებოდნენ ესმას, რატომ კამაჭიჭს არ შეატყობინებთო. ესმას თვითონაც ძალიან უნდოდა შეეტყობინებინა შვილისთვის მამის ავადმყოფობა, მაგრამ თავს იკავებდა. კამაჭიჭი ჩვილი ბავშვის პატრონი იყო და გაუჭირდებოდა ბავშვიანად მოსვლა, არც ქმარი მოუწონებდა ასეთ საქციელს; დაეტოვებინა ბავშვი და თვითონ წამოსულიყო, იტყოდნენ, თოთო ბავშვი მიაგდო და მშობლების სანახავად წავიდაო. იცოდა, უხასიათო კაცი რომ იყო მისი ქმარი და ეშინოდა, ჩემს შვილს არაფერი დააყვედროსო.

ალიასმა კი ვერა და ვერ მოიკეთა. ერთხელ, ავადმყოფობით გაბეზრებულმა თქვა, სანამ კიდევ პირში სული მიდგას, ჩემი ქალიშვილი მანახეთო. რა უნდა ექნათ, გაბედეს და შეუთვალეს, — მამაშენი ძალიან ცუდად არის და შენს ნახვას ნატრულობსო.

კამაჭიჭის ბავშვს ფეხი ახალი ადგმული ჰქონდა. საოცრად ლამაზი, კარგი ბავშვი იყო. ალი-კვალი დედააო, — ამბობდნენ.

კამაჭიჭმა მეუღლეს უთხრა მამის ავადმყოფობის ამბავი და სთხოვა — წავალ, ვინახულებ, აგერ არ არის, ორ ნაბიჯზე, ვაითუ რამე დაემართოს და სირცხვილით თავი სადღა გამოვყოო. თათლასტანმა პასუხიც კი არ აღირსა. ქალი თვალცრემლიანი გაეცალა ქმარს. ცოტა ხნის შემდეგ ისევ მივიდა და უთხრა: — ნება მომეცი, ავადმყოფი მამა ვინახულოო. თათლასტანმა ჯერ ხმა არ ამოიღო, მერე კი მიახალა — სად გაგონილა, დედამ ბავშვი მიატოვოს და თვითონ ავადმყოფების სანახავად იაროს, ბავშვს მიხედე, რა დროს ეგ არისო.

კამაჭიჭმა იგრძნო, რომ ამ კაცისგან სიკეთეს არ უნდა ელოდოს. ბოლო ხანებში ხშირად მოსდიოდა უსიამოვნება ქმართან, ახლა კი მომაკვდავ მამასთან წასვლის ნებასაც არ აძლევს! — ეს კარგს არაფერს უნდა მოასწავებდესო, — გაივლო გულში.

ეს ყველაფერი კიდევ შეეძლო მოეთმინა, მშობლების უნახაობასაც მოინელებდა როგორმე, მაგრამ ამას წინათ ისეთი რამ გაიგო, თავზარი დაეცა. ერთმა ნაცნობმა ქალმა საიდუმლოდ უთხრა, მგონი შენი ქმარი თავად ჩაგუს ქალიშვილის მოყვანას აპირებს ცოლადო. კამაჭიჭი ამ ბოლო დროს თვითონაც ხვდებოდა, რაღაც უბედურება რომ ტრიალებდა მის თავს, მაგრამ ითმენდა, ელოდა, როდის რა მოხდებოდა.

ამასობაში კიდევ მოვიდა მასთან კაცი და უთხრა, ჩქარა უნდა წამოხვიდე, თუ გინდა მამაშენს ცოცხალს მიუსწროო.

— რა ვქნა, არ წავიდე? — ამბის მომტანის თანდასწრებით შეეკითხა კამაჭიჭი ქმარს.

— თუ გინდა, წადი, — მიუგდო პასუხად.

კამაჭიჭს უნდოდა ბავშვი ქმრის ძიძასთან დაეტოვებინა, მაგრამ მან იუარა — ბავშვი მოგისაკლისებს და იდარდებსო. მეტი რა გზა ჰქონდა, ადგა და ისიც თან წაიყვანა. იმ ღამეს იქ დარჩა, მეორე დღეს კი დილაუთენია დაბრუნდა სახლში. ამის შემდეგ ერთხელ კიდევ ინახულა მამამისი.

სოფელში დაიწყო მითქმა-მოთქმა, სიძე რატომ არ მოდის სიმამრის სანახავადო. ამის გამგონე კამაჭიჭს გული სტკიოდა, მაგრამ არაფერს იმჩნევდა.

— ნათესაობაშიც ასეთი წყალწაღებულია, მორიდებული, თავის დებთანაც კი არ დადის, — ცდილობდა ნამუსი მოეწმინდა ქმრისთვის, მაგრამ ხალხს ხომ პირს ვერ აუკრავ, სულ უფრო და უფრო ბევრს ლაპარაკობდნენ სიძე-სიმამრის ურთიერთობაზე.

— ცუდი ხომ არაფერი უდევს გულში, — ალაპარაკდნენ უკვე კაცებიც, მაგრამ კამაჭიჭი არაფერს იმჩნევდა, ყურს იყრუებდა,

იმედი ჰქონდა, შეწყდებოდა ეს მითქმა-მოთქმა, მაგრამ ალიასის ჯანმრთელობის გაუარესების შემდეგ, ეს მითქმა-მოთქმა კიდევ უფრო გაცხოველდა, თუმცა იმასაც ამბობდნენ, ასეთი ლამაზი ქალის მიტოვება, როგორიც კამაჭიჭია, იოლი არ არის, — ისეთი აზნაურისთვისაც კი, როგორიც თათლასტანიაო.

დრო გადიოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ალიასმა ცოტა მოიხედა. იგი მიხვდა, რომ სიძე მასთან მომსვლელი არ იყო, გრძნობდა, მისი ქალიშვილიც ძლივს რომ ეღწეოდა ქმარს სახლიდან, ამიტომაც დაუძახა შვილს და უთხრა:

— შვილო, ქმრის უნებურს ნურაფერს მოიმოქმედებ. თუ გიშლის ჩვენთან მოსვლას, ნუ მოხვალ, იყავი სახლში, ბავშვს მიხედე. მე თუ მოვკვდი, მოდი და დამიტირე. კიდევ გიმეორებ, ქმრის წყენინებას მოერიდე.

ხშირმა წვიმებმა მდინარის ადიდება იცის. ოჯახიც მდინარეს ჰგავს: თუ გახშირდა უსიამოვნებანი, კარის ზღურბლს გადმოსცილდება, ქუჩაში გავა და ხალხში მორევივით დატრიალდება.

აქა-იქ უკვე დაიწყეს ლაპარაკი, — კამაჭიჭს ქმართან დიდი უსიამოვნებანი ჰქონიაო. რაც აქამდე ოჯახის საიდუმლოებას წარმოადგენდა, ახლა მთელმა სოფელმა იცოდა. ხალხს არც ის გამოპარვია, რომ ქმარი კამაჭიჭს მშობლების ნახვას უშლიდა, მიუხედავად ამისა, კამაჭიჭი თავისას არ იშლიდა და დროდადრო მაინც ნახულობდა ხოლმე ავადმყოფ მამას.

მშობლები არიგებდნენ შვილს:

— ნუ ეურჩები ქმარს, შვილო, დაემორჩილე მის ნებას, ეცადე, საერთო ენა გამონახო. ჩვენი გულისთვის სიცოცხლეს ნუ გაიმწარებ!

ალიასმა სძლია სენს და თანდათან გამოკეთება დაეტყო.

კამაჭიჭმაც შეწყვიტა მშობლებთან სიარული.

დრო გადიოდა, ცოლ-ქმარს შორის კი ურთიერთობა უფრო და უფრო მწვავდებოდა.

„დიდი ურჯუკი კაცია თათლასტანი, შეუძლებელია მისი მორჯულება", — ამბობდნენ ერთნი.

„ვინც კამაჭიჭს ვერ იგუებს, მის სილამაზესა და ზნეკეთილობას ვერ დააფასებს, იმ კაცის მორჯულება მართლაც არ შეიძლება, კამაჭიჭის მსგავსი ქალი სანთლით საძებარია, მალე ინანებს თათლასტანი თავის საქციელს", — ამბობდნენ მეორენი.

ერთ საღამოს ალიასმა თავისი დარდი თორყანს და მაცის გაუმხილა. მათ ისედაც სცოდნოდათ, რაც ხდებოდა საწყალი გოგოს თავზე, მაგრამ ახლა ალიასისაგან ყველაფერი დაწვრილებით შეიტყვეს. ალიასის თქმით, ცოლ-ქმარს მის ავადმყოფობამდეც უნდა ჰქონოდათ უსიამოვნება.

— რომ წავიდე და ვკითხო ჩემს სიძეს, — რა დაგიშავა ჩემმა ქალიშვილმა, რითი არ მოგწონს, სიტყვა-პასუხი არ უვარგა, ცუდი დიასახლისია თუ რას უწუნებ-მეთქი, ვაითუ მითხრას, რა შენი საქმეაო. არ წავიდე და — ხომ იტყვიან, ეს რა ბაიყუში მშობლები ჰყოლია ამ ქალს, ნუთუ არ ესმით, ხალხი რას ლაპარაკობს, რატომ ერთხელ არ მოაკითხავს ვინმეო.

— ღვთის რისხვად დაგვატყდება თათლასტანი, — დაიწყო თორყანმა, — ჩვენს შორის დარჩეს და, ან რომელიმე ჩვენგანი მოკვდება მისი ხელით, ან თვითონ გვაიძულებს მისი სისხლი დავღვაროთ. მე და მაცის ადრეც გვილაპარაკია ამაზე, მაგრამ გამოსავალს დღემდე ვერ ვხედავთ. აქამდე ხომ საქონელს გვპარავდა, იმით გაგვიშრო სისხლი, ახლა უარეს დღეში ჩაგვაგდო. მაინც სჯობია, ცოტა ხანს კიდევ მოვიცადოთ. გავიგოთ, თვითონ კამაჭიჭი რას ფიქრობს, მივცეთ მას საშუალება, კარგად აწონ-დაწონოს ყველაფერი და გადაწყვეტილებაც მიიღოს, მაგრამ გულხელდაკრეფილები მაინც ნუ დავჯდებით, თვალ-ყური ვადევნოთ მათ ურთიერთობას, იქნებ არც ისე ცუდადაა საქმე.

ალიასი დიდი ყურადღებით უსმენდა თორყანს. მისი ნათქ-

ვამი ჭკუაში დაუჯდა. „მართალია თორყანი", — გაიფიქრა თავისთვის. — ჩემს ქალიშვილს არაფერი უთქვამს ჩემთვის, რას ფიქრობს, რას აპირებს..." მაგრამ ალიასმა ისიც კარგად იცოდა, რომ მისი ამაყი ქალიშვილი მასთან არ მივიდოდა და ჩივილს არ დაიწყებდა. ქმარსაც თვითონ გასცემდა პასუხს და თუ დასჭირდებოდა, თავსაც დაიცავდა.

— მე მინდოდა რჩევა მეკითხა თქვენთვის, — უთხრა მათ ალიასმა. — მოსვენება დამიკარგა სოფლად დარხეულმა ჭორებმა. ვინც კი შემხვდება, ყველა კამაჭიჭის ამბავს მეკითხება. ზოგს ვეცოდები, ზოგს კი ალბათ ცნობისმოყვარეობის ჟინი უნდა დაიკმაყოფილოს.

— ალიას, წელან გითხარი და კიდევ გიმეორებ, — უთხრა თორყანმა. — ვიდრე შენი შვილის აზრს არ გაიგებ, ნურაფერს ილონებ. ნათქვამია: — ვინც ახლოა მდინარესთან, ფონიც იმან იცისო. ასეა, კამაჭიჭმა ყველაზე კარგად იცის, რა უნდა მოიმოქმედოს. თუ ჩვენი სიტყვა, გამოცდილება ან ძალა დასჭირდება, თვითონ გვეტყვის, ხოლო ჭორების აყოლა ჩვენ არ გვარგებს.

ამ სიტყვებით დაემშვიდობნენ ნათესავები ერთმანეთს.

XXXVI

იმ დღიდან მოყოლებული, როცა თათლასტანმა კამაჭიჭი ძიძიშვილებთან მიიყვანა, მას ერთხელაც არ დასცდენია პირიდან სიტყვა „მეუღლე". კამაჭიჭი ის ქალი არ იყო, ოჯახური უსიამოვნება გარეთ გაეტანა, მაგრამ ბოლოს იმასაც აევსო მოთმინების ფიალა.

თათლასტანი მარტო ცოლს როდი უღრენდა, სხვებსაც არ ინდობდა, თბილ და კეთილ სიტყვას მისგან ვერ გაიგონებდით. კამაჭიჭი ათასნაირ მიზეზს იგონებდა, რათა გაემართლებინა ქმრის უჟმური ხასიათი. თათლასტანი გამზრდელის სახლშიც

თავს არავის უყადრებდა. გაამაყებული თავისი გვარიშვილობით, გაბღენძილი დადიოდა, კამაჭიჭის მოყვანის შემდეგ კი ცოტა მოლბა, მოთვინიერდა. ამის შემყურე მეზობლები თუ ახლობლები კამაჭიჭს თავს ევლებოდნენ, საჭირო რომ ყოფილიყო, მისთვის სულსაც არ დაიშურებდნენ.

ახლა კი, როცა შეატყვეს, რომ თათლასტანს გული აეყარა კამაჭიჭზე, დიდი და პატარა ამ ქალის ცოდვით იწვოდა და მის უბედურებას თავიანთუბედურებად თვლიდნენ. მაგრამ ისინი, აბა, რას უშველიდნენ.

ერთხელ თათლასტანის გამზრდელმა საგიასმა შებედა გაზრდილ-ს და მიკიბულ-მოკიბულად უთხრა, რომ ისინი ძალიან განიცდიან ამას ყველაფერს და ჰკითხა, — რას აპირებ, რა გიდევს გულშიო. თათლასტანმა თავი აარიდა პასუხს, — წესით ვაჟკაცს არ უხდებოდა ქალთან საკუთარ ცოლზე ლაპარაკი და ვითომ იმიტომ.

დობილ-ძმობილებიც ვერ უბედავდნენ რაიმეს თქმას. ან კი რა უნდა ეთქვათ; თათლასტანი რომ კამაჭიჭზე ლამაზსა და სათნო ქალს ვერ მოიყვანდა, ეს კარგად იცოდნენ, თუმცა გულში მაინც ხინჯად ჩარჩენოდათ მისი გლეხისქალობა.

გარდა ამისა, მთელი ამ ხნის განმავლობაში მათ კარგად გაიგეა კამაჭიჭის ხასიათი, იცოდნენ, რომ ის უბრალო ქალი არ იყო, თავის შეურაცხყოფას არავის არ აპატიებდა და ამიტომ გულში ეშინოდათ კიდეც მისი.

კამაჭიჭი ბავშვობიდან ამაყი და გაბედული იყო, გასაჭირში ვაჟკაცობასაც გასწევდა, მაგრამ ამავე დროს ასეთ ალერსიან, გულკეთილ ქალს სხვაგან ვერსად მოძებნიდით.

— ეგ გოგო სულ რომ უთვისტომო და უქმაგო იყოს, თავს მაინც არავის დააჩაგვრინებს, იმ კაცმა თუ მიატოვა, ველარ დაუძინია მშვიდად და ეგ არის! — ამბობდნენ ისინი, ვისაც გაეგო, ან თვითონ ენახა, რა ქალი იყო თათლასტანის ცოლი, მაგრამ მასავით უშიშარ ვაჟკაცს, — ცოლს უფრთხილდიო, — იმის თქმას როგორ შებედავდნენ!

ყველა ხვდებოდა, რომ თათლასტანი მალე გაეყრებოდა ცოლს. იცოდა ეს კამაჭიჭმაც, უკვე დიდი ხანი იყო ამჩნევდა, რომ ქმარმა გული აიყარა მასზე, მაგრამ არ იმჩნევდა, სიტყვა ერთხელაც არ შეუბრუნებია მისთვის.

კამაჭიჭმა მშობლები და ნათესავები გააფრთხილა, ყველაფერს მე თვითონ მოვუვლი, თქვენ ნუ ჩაერევით ამ საქმეშიო. ისინიც იყვნენ ხმაგაკმენდილები, ან რა უნდა ექნათ!

კამაჭიჭმა ასე შემოუთვალათ, დღეს თუ ხვალ გავიყრებით ალბათ, მაგრამ ბავშვის ამბავი არ ვიცი, როგორ იქნება, მგონი წართმევას მიპირებს და რა მეშველებაო, ჯერჯერობით კი ხმას არ ვიღებ და ნურც თქვენ ეტყვით ვინმეს რამესო.

აქამდე თუ ყურმოკვრით იცოდა, ახლა უკვე დანამდვილებით გაიგო კამაჭიჭმა, რომ თათლასტანს მალულად მართლაც დაენიშნა ჩაგუს ქალიშვილი ხიმური. როგორც კი კამაჭიჭს გააგდებდა, მაშინვე მის ცოლად მოყვანას აპირებდა თურმე, მაგრამ საიდუმლო მალე გამომჟღავნდა და ახლა უკვე დიდსა და პატარას ეს ამბავი ეკერა პირზე.

ალიასი და მისი ნათესავები სულ გადაირივნენ.

— თუ ეგ კაცი მართლა აპირებს სხვა ქალის შერთვას, შენ რაღას უზიხარ მანდ? — შეუთვალეს რაფიდას პირით კამაჭიჭს.

— ვიცოდი, ეს მითქმა-მოთქმა მამაჩემს ძლიერ რომ შეაშფოთებდა და ვინმეს მომიგზავნიდა. გადაეცი, რომ მშვიდად იყვნენ მამაჩემიც და ჩემი ნათესავებიც. როცა გამომაგდებენ, წამოვალ, აბა, რას ვიზამ. სხვაგან სად უნდა წავიდე. ბავშვის გულისთვის ვჩერდები აქ, ცოტა რომ წამოიზრდება, უჩემოდ ვეღარ გასძლებს და იქნება მომცენ მაშინ. თვითონაც ძალიან უყვარს შვილი, ერთი დღე ვერ სძლებს მაგის უნახავად. ახლა უნდა ბავშვი ჩემს ხელში მოჩიტდეს, რომ მერე წამართვას. აი, რატომ ვართ დღემდე ერთად. ასე რომ არ ყოფილიყო, ან ის გამომაგდებდა, ან მე თვითონ მივატოვებდი მას. აი, ამ დღეში

ვარ, ვითმენ, რა ვქნა. კიდევ გიმეორებ, ჩემიანები წყნარად იყვნენ, თუ გამიჭირდა, მე თვითონ გაგაგებინებთ, — უთხრა რაფიდას.

რაფიდა შინ დაღონებული დაბრუნდა.

დღეს დღე ცვლიდა, კვირას — კვირა. თათლასტანი თავის საქმეებს აკვარახჭინებს ჩუმ-ჩუმად, თქმით ჯერ ვერაფერს ამბობს.

ზამთარი იყო. ციოდა. კამაჭიჭმა ბავშვი დააძინა, თვითონ სასთუმალთან უჯდა პატარას და თვალს ვერ აშორებდა. ამ დროს ოთახში თათლასტანის დობილი მინა შემოვიდა ტირილით.

— რა დაგემართა, რა გატირებს, — წამოიჭრა უმალ კამაჭიჭი, მაგრამ მინა ტიროდა და სათქმელს თავს ვერ აბამდა. კამაჭიჭი მოეხვია, მოეფერა ქალიშვილს და ჰკითხა:

— მითხარი, მინა, რა გატირებს?

მინამ, როგორც იქნა, მოიკრიბა ძალა და ძლივს ამოღერღა:

— ჩვენმა გაზრდილმა გამომგზავნა შენთან და დამაბარა, — მეგონა შენ თვითონ მიხვდებოდი ყველაფერს, მაგრამ მოვტყუვდი, ამიტომ მე თვითონ გეუბნები, — ამიერიდან ჩვენი გზები გაყრილია და თუ შინისაკენ გზა არ დაგვიწყნია, ორ დღეში მოშორდი აქაურობასო.

— ბავშვი? — აღმოხდა კამაჭიჭს.

— ბავშვს არ გაგატანენ, — შეჰქვითინა გოგომ.

კამაჭიჭი მეხდაცემულივით იდგა, თვალები დაუბნელდა, მერე ერთბაშად წასკდა ცრემლები, ბავშვი ხელში აიტაცა, მკერდში იკრავდა და გიჟივით ჰკოცნიდა. პატარას გაეღვიძა. შეშინებული, ბუხულა თვალები დედას შეანათა და შეჰღუღუნა: — ნან!

ბავშვი უკვე ენას იდგამდა და რაღაც სიტყვები კიდეც წაიტიტინა, თითქოს საყვედურობდა დედას, — რატომ გამაღვიძე, სხვა დროს ასე რომ არ გიქნიაო!

პატარამ ატირებული დედა რომ დაინახა, თვითონაც გულსაკლავად ატირდა, თითქოს გრძნობდა, დედის კალთას რომ აგლეჯდნენ.

ტიროდა ბავშვი, ტიროდა კამაჭიჭი და მათთან ერთად მინაც.

თათლასტანი? თათლასტანს რა აქვს სატირალი? მალე თავადის ქალს მოიყვანს ცოლად, დიდ ქორწილს გადაიხდის და პირველ რიგში მურზაყანს დაპატიჟებს, იქნება ლხინი, სიმღერა და ცეკვა-თამაში, იცხოვრებს თათლასტანი თავადურად და ნაცნობ-მეგობრებიც სულ აზნაურები ეყოლება.

კამაჭიჭი კვლავ გულში იკრავს შვილს და ჰკოცნის, ჰკოცნის გაუთავებლად, რადგან იცის, რომ მალე დააშორებენ საყვარელ პირმშოს.

დედა-შვილის შემხედვარე ქვაც კი ცოდვით დაიწვებოდა.

მართალია, კამაჭიჭს სიცოცხლე ჰქონდა ქმრისგან გამნარებული, თავისი პირვანდელი სილამაზე მაინც შეინარჩუნა, მაგრამ ახლა ერთბაშად შეიცვალა. შეცბა მისი ვაჟკაცური გული, გატყდა მისი სიამაყე. ამ წუთში ძალიან მოუნდა ყველაფერი მშობლებისთვის შეეტყობინებინა. აკი დღეს აშკარად აგრძნობინა ქმარმა, რომ ცაგუბები მისთვის არაფერს არ წარმოადგენდნენ, მათი არც შიში აქვს და არც რიდი. მოვიდნენ, წაიყვანონ, მოაშორონ აქაურობას, — ფიქრობდა თავისთვის, მაგრამ იმ დღეს არავისთვის შეუტყობინებია თავისი უბედურება, ზამთრის მოკლე დღე ტირილში შემოაღამდა.

საღამოს, როგორც იქნა, დააძინა ბავშვი, უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბა და სთხოვა თათლასტანს, არ გამოეჭრა მისთვის ყელი, არ წაერთმია ბავშვი.

— ჩემი შემონათვალი ხომ კარგად გაიგონე! ეს ჩემი ბოლო სიტყვაა. ნურაფერს მთხოვ. დროზე შეატყობინე მამაშენს, მოვიდეს და წაგიყვანოს, თუ არადა, შენც შეგიძლია მარტო წახვიდე. იმ შენმა ნათესავებმა ათასი რამე დამაბრალეს, ჭალიებიც

მათი ფეხის ხმას აჰყვნენ. იქნებ ახლა მაინც შეიგნონ, რომ დამნაშავე არც მაშინ ვიყავი და არც ახლა ვარ!

— კარგად ვერ გავიგე, რისი თქმა გინდა, უვიცი ქალი ვარ და გამიჭირდება გაგება, ერთი რამ მინდა გკითხო მხოლოდ: — ვიდრე წამოგყვებოდი, ჩვენი ბოლო შეხვედრის დროს შენ რაღაც მითხარი, ის თუ გახსოვს, მაშინ რა გიპასუხე?

— არ მახსოვს და არც მჭირდება. რაღა დროს მაგაზე ლაპარაკია. ბავშვი ძიძას დაუტოვე. თუ გინდა, ჩემს რომელიმე ძმობილს, მინას ვეტყვი და მამაშენის სახლამდე მიგაცილებს.

— გზის გაგნება არ გამიჭირდება. წავალ, მაგრამ ბავშვს ვერ მივატოვებ, ვიცი, ვერ გაძლებს უჩემოდ, იდარდებს და შეიძლება რამე დაემართოს, მაგ ანგელოზის ცოდვას ნურც შენ დაიდებ და ნურც მე დამადებინებ, ამას გთხოვ მხოლოდ...

— ბავშვი ჩემია და არა შენი, კარგად დაიმახსოვრე! მის წაყვანაზე ხმას ნულარ დაძრავ, იცოდე!

— გლეხი ქალის შვილი შენ რად გინდა?

— ეგ მე ვიცი, შენ არავინ გეკითხება!

— კარგი, აგრე იყოს, მაგრამ ვიდრე წამოიზრდება და ჭკუაში ჩავარდება, მანამდე მაინც იყოს ჩემთან, მერე წაიყვანე, თორემ უჩემოდ ეგ ვერ გაძლებს და დაიღუპება. შენ დღეს სახლიდან მაგდებ, მაგრამ არა უშავს, მოვითმენ, გლეხის ქალი ვარ და მიჩვეული ვარ თმენას. ის სიტყვა კი, რომ არ დაგვიწყებოდა, — რაც მაშინ გითხარი, — უკეთესი იქნებოდა შენთვის. ხომ გაგაფრთხილე, — არ დაივიწყო-მეთქი!

— იქნებ დამემუქრო კიდეც? მორჩი, კმარა! — გაცეცხლდა თათლასტანი.

— თუ კმარა, ვნახოთ! — თქვა კამაჭიჭმა და ოთახიდან გავიდა.

— ერთი ამას დამიხედეთ, მემუქრება კიდეც! გითხარი, წადი-მეთქი და წადი, თუ მიდიხარ, თუ სახლ-კარსაც არ მედავებით ცაგუბები, — მიადევნა გზად თათლასტანმა.

კამაჭიჭს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, მძინარე ბავშვს მიშტერებოდა და ტიროდა. ბავშვს ცუდად ეძინა, წარამარა კრთებოდა, თითქოს გრძნობდა, რაც ელოდა.

მეორე დილით თათლასტანის დები, ძმები, გამზრდელები და ძიძიშვილები შეიკრიბნენ და სთხოვეს თათლასტანს, მოესმინა მათთვის.

— რადგან უშვებ სახლიდან, ბავშვიანად გაუშვი, ცალ-ცალკე ბავშვიც ცოდვაა და დედაც, — სთხოვა ყველამ ერთად, მაგრამ თათლასტანმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ბავშვს არ გავატანო. ის კი არადა — დროზე მომაცილეთ აქედან, თორემ უარესს ვიზამო, — ყვიროდა გაანჩხლებული.

იმავე დილით კამაჭიჭის დედა, მამა, თორყანი, მაცი და რაფიდა მოვიდნენ და გამზრდელის პირით კიდევ ერთხელ შეუთვალეს თათლასტანს, ბავშვი დედისთვის დაენებებინა, მაგრამ მან კამაჭიჭის მშობლები არად ჩააგდო და გამზრდელი ცივი უარით გამოუშვა.

რაღა უნდა ექნათ, ბედს უნდა შერიგებოდნენ და დედაშვილი დაეშორებინათ. პატარამ, თითქოს იგრძნო დედას რომ ართმევდნენ, მკერდში ჩაეკრო კამაჭიჭს და აღარ უშვებდა. ადრე არავის უცხოობდა, ყველასთან მიდიოდა, ახლა კი დედის გარდა არავინ გაიკარა.

— თავი ნუ მომაბეზრეს, დროზე მოშორდნენ აქაურობას, — ილრინებოდა თათლასტანი. ყველა ტიროდა, კაცებიც კი ძლივს იკავებდნენ ცრემლს.

ბოლოს, როგორც იქნა, მოგლიჯეს ბავშვი დედას მკერდიდან და აქვითინებული კამაჭიჭი გაუდგა გზას შინისაკენ.

მიდიოდა კამაჭიჭი და უკან მისტიროდა პატარა. საწყალ დედას წარამარა გული მისდიოდა და ესმა და რაფიდა ძლივსღა ასულიერებდნენ.

„ბავშვი ტირილისაა“, — ფიქრობდა თათლასტანი. — გამოიტირებს დედას, დაწყნარდება, ძიძასაც შეეჩვევა და ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდებაო.

მართალია, ქვისგულა იყო, მაგრამ შვილი ძალიან უყვარდა და ცაგუბებისთვის არ ემეტებოდა.

ასე მოელო ბოლო კამაჭიჭის ბედნიერებას, იმ კამაჭიჭისა, ვისაც ბავშვობიდან შენატროდნენ — ნეტავი იმ ოჯახს, სადაც შენ ფეხს შედგამო.

გავიდა ერთი დღე.

კამაჭიჭი სახლშია: არც ჭამს, არც სვამს, ტირის, ტირის გაუთავებლად. საღამო ხანს კაცი გაგზავნა თათლასტანის მეზობლებთან და სთხოვა, — ბავშვის ამბავი გამიგეო.

— ბავშვი პირში არაფერს იკარებს, მიკნავებულია, — მოუტანეს ამბავი. — თათლასტანიც იქ არის. ის ოჯახი, ვისთანაც ბავშვი მიაბარეს, საშინელ დღეშია, დიდიან-პატარიანად ყველა ტირის. უკვდებათ ბავშვი და რა ქნან, არ იციან. ვიღაც ქალი მოუყვანიათ, შენსავით ჩაცმული, პატარა ერთხანს კი გაჩუმებულა, მაგრამ მერე უარესად ატირებულა, ვეღარ აწყნარებენ.

კამაჭიჭმა სიკვდილი ინატრა.

მესამე დღეს თათლასტანის ძიძამ კამაჭიჭს კაცი გამოუგზავნა და შემოუთვალა:

— კარგად იცი, რომ ჩვენ ყველანი შენი უბედურების მოზიარენი ვართ. შენი წასვლის შემდეგ ბავშვი მე მომაბარეს, მაგრამ ვერაფრით დავაწყნარეთ, არ ჭამს საცოდავი, კვდება, მოდი, იქნებ კიდევ მოუსწრო ცოცხალს და გადაგვირჩეს როგორმე.

საღამო ხანი იყო. კამაჭიჭმა მაშინვე ცხენი შეკაზმა და გაქუსლა. იქ მისულმა ცხენი მეზობლებთან დატოვა და თვითონ გიჟივით შევარდა სახლში. ბავშვი გათანგული იწვა, ხმას არ იღებდა. კამაჭიჭმა რამდენჯერმე დაუძახა და აკოცა. პატარამ დანისლული თვალები ძლივს გაახილა, ეტყობა, იცნო დედა: — ნან! — ძლივს ამოილულლულა, მისუსტებული თითებით დედის უბე მონახა და ეგრევე მოკვდა.

კამაჭიჭი ქვითინით დაემხო შვილის ცხედარს. მერე წამოდგა, შვილს თვალები დაუხუჭა და ხელ-ფეხი გაუსწორა.

— მამაშენსაც მალე დაგადევნებ უკან! — ეს თქვა, სწრაფი ნაბიჯებით გავიდა გარეთ, ცხენს მოახტა და სიბნელეს მისცა თავი.

XXXVII

ხშირად ამბობდნენ — კამაჭიჭი ვაჟკაცური ბუნების ქალია, თუ დასჭირდა, შეიძლება ნამდვილი გმირობა ჩაიდინოსო და უკვირდათ, ახლა როგორ დაიჩაგრაო. ზოგი ამბობდა, კამაჭიჭს ეშინია, თათლასტანმა მშობლები და ნათესავები უარესად არ გაუმწაროს და იმიტომ იკავებს თავსო. სხვები კი იძახდნენ, ხელსაყრელ შემთხვევას უცდის ალბათ, თორემ ეგ ისე არ გაჩერდებოდაო.

თათლასტანის და-ძმებსა და ძიძიშვილებს ძილი ჰქონდათ გამკრთალი, სულ იმის შიშში იყვნენ, დღეს თუ არა, ხვალ კამაჭიჭი უთუოდ იძიებს შურსო. იმათ კარგად იცოდნენ, რომ თათლასტანმა იძულებით მოიყვანა კამაჭიჭი, ჯერ ხასად დაისვა და ბოლოს უმიზეზოდ გააგდო.

ესეც არ აკმარეს და ძუძუთა ბავშვი მკერდიდან მოგლიჯეს. მართალია, ისიც მამა იყო და ბავშვის დატოვების უფლებაც ჰქონდა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი ისე დატრიალდა, რომ თითქოს თათლასტანმა განგებ ჩააგდო ბავშვი ამ დღეში, რათა არც ერთს ჰყოლოდა და არ მეორეს. ის ხომ კარგად ხედავდა, რომ ბავშვს დედის გარეშე არ შეეძლო!

კამაჭიჭს რომ დროზე მიესწრო, გადარჩებოდა პატარა, მაგრამ დედას მხოლოდ მაშინ დაუძახეს, როცა მას სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა და მისი მობრუნება აღარაფერს შეეძლო. თათლასტანს მაშინაც არ შეუწუხებია თავი, ისიც ძიძამ შეატყობინა. კამაჭიჭი თითქოს იმისთვისღა დაიბარეს, რომ შვილისთვის თვალები დაეხუჭა.

ბავშვის სიკვდილის შემდეგ კამაჭიჭი სახლში ჩაიკეტა, გახდა, გაფითრდა, შავებით მოსილ მოჩვენებას დაემსგავსა.

იჯდა თავის ოთახში დამცირებული, თავლაფდასხმული და თავის მწარე ხვედრს დასტიროდა.

კამაჭიჭი ერთბაშად დაჩიავდა და დაბეჩავდა. სადღა იყო ის ვაჟკაცივით შემართული, ამაყი ქალიშვილი! ასე ფიქრობდა ყველა, ვინც მის საცოდაობას უყურებდა. თათლასტანის ნათესავებიც თანდათან დამშვიდდნენ, მას საშიშროება აღარსაიდან ელოდა. როგორც ესმოდათ, მისი ნაცოლარი უკვე ცოცხლებში აღარ ეწერა.

ერთ საღამოს კამაჭიჭი განმარტოებით იჯდა თავის ოთახში და ფიქრი მოსძალებოდა. უცებ გაახსენდა, რომ თათლასტანი რაღაც საქმეების გამო ოცდახუთ იანვარს ოჩამჩირეში მოსამართლესთან უნდა გამოცხადებულიყო. სანამ გაეყრებოდნენ, რამდენიმე დღით ადრე, კამაჭიჭმა თვითონ წაუკითხა წერა-კითხვის უცოდინარ ქმარს ოჩამჩირიდან მოსული უწყების ტექსტი.

კამაჭიჭმა კარგად იცოდა ის ბილიკებიც, შარაგზაზე რომ გადიოდა. თათლასტანი, ჩვეულებრივ, დილით ადრე, ღამიანად გადიოდა ხოლმე სახლიდან. ზამთრის დღე მოკლეა და გვიან რომ წამოვიდეს, დააგვიანდება სასამართლოზე, რომელიც ცხრა საათზე იყო დანიშნული. ერთხელ იყო, დაეზარა ადრე წასვლა და და დაგვიანებისთვის ათი მანეთით დააჯარიმეს. ის დღე იყო და, თათლასტანი ყოველთვის ადრე გადიოდა სახლიდან. 25 იანვარი ხომ ხვალ არის, თოვს, ამინდიც ხელსაყრელია!

კამაჭიჭი ჩუმად შეუდგა დამბაჩის წმენდას. ჩოხა-ახალუხიც მოძებნა და ჩასაცმელად მოამზადა. ესმას არ მოეწონა ეს ფუსფუსი.

— რას აპირებ, შვილო, გინდა თავი დაიღუპო და ჩვენც ცოცხლად დაგვმარხო? — ჰკითხა ტირილით.

— შვილის საფლავი მინდა ვნახო ამაღამ, დავხედავ და დავბრუნდები. ოღონდ, არავის უთხრა ეს ამბავი, თორემ მე კი არა, თქვენ დაგვღუპავთ ყველას.

ესმამ ვეღარ მოითმინა და ალიასს უამბო ყველაფერი. ალიასიც ბევრს ეხვეწა, ემუდარა შვილს, მაგრამ ამაოდ. კამაჭიჭი ურყევი იყო.

— მაინც რას აპირებ? — არ მოეშვა ალიასი.

— ხვალ შუადღემდე ყველაფერს გაიგებ, ახლა კი მეტს ნურაფერს მკითხავ და ნურც ვინმეს რამეს ეტყვი. ტანსაცმელს საჯინიბოში დავტოვებ. როცა დავბრუნდები, იქვე გამოვიცვლი ისე, რომ ვერავინ დამინახავს. ჩემს მოსვლამდე თუ ვინმემ მიკითხოს, უთხარით, რომ მეზობელთან ვარ გასული.

ალიასი და ესმა შიშმა დაზაფრა, მაგრამ ისევ გაჩუმება არჩიეს. იცოდნენ თავიანთი შვილის ამბავი და წინ ვეღარ გადაუდგნენ.

კამაჭიჭი კი მზადებას განაგრძობდა. დედ-მამა გაოგნებული ადევნებდა თვალს შვილის ყოველ მოძრაობას და ხმაც ვერ ამოეღოთ.

ნაშუაღამევს კამაჭიჭმა კაცურად ჩაიცვა, ნაბადი მოიხურა და თავლაში გავიდა. ცხენს შუბლზე თეთრი საღებავი წაუსვა, რომ არავის ეცნო, მერე მარჯვედ მოახტა ზედ და სიბნელეში გაუჩინარდა. მალე ტყის ბილიკით შარაგზაზე გავიდა და იქ გაჩერდა. იქიდან დაუწყო თვალთვალი საურმე გზას, საიდანაც თათლასტანი უნდა გამოჩენილიყო.

დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებია. ცოტა ხანში საურმე გზაზე ცხენოსანი გამოჩნდა.

— დილა მშვიდობისა! — შესძახა კაცის ხმით ცხენოსანს. შორიდანვე იცნო თათლასტანი, რომელსაც უკან თავისი ძიძიშვილი მოჰყვებოდა.

— გაგიმარჯოს! — უპასუხა ცხენოსანმა და მარჯვენა ხელი შემართა მისალმების ნიშნად, ნაბადი გადაეღელა მკერდზე და

სწორედ ამ დროს ორჯერ ზედიზედ იგრიალა დამბაჩამ. ორივე ტყვიამ შიგ გულში გაუარა თათლასტანს და ცხენზე გვერდულად გადაეკიდა. ცხენი დაფრთხა და ტყეში შევარდა.

კამაჭიჭს უნდოდა სიკვდილის წინ თვალებში ჩაეხედა კაცისათვის, რომელმაც ასე გაუმწარა სიცოცხლე და გააუბედურა, მაგრამ მოკლულის ცხენი უკვე შორს იყო.

— აჩუ! — ჰკრა კამაჭიჭმა დეზები თავის ბედაურს და გაქრა წამის უმალ. სიბნელე ნელ-ნელა გაიცრიცა. თენდებოდა.

ნაშუადღევს თათლასტანის სიკვდილი მთელმა სოფელმა გაიგო.

სად იკეთებენ ბუდეს თოლიები?

სწავლის დამთავრებისთანავე იშოვა სამსახური. ბედმა გაუღიმა: ერთი დაწესებულების უფროსის მოადგილე ავად გახდა. იმ კაცს ახალგაზრდობის წლებში ბევრი სიმწარე ეწვნია, განსაკუთრებით კი (როგორც ამბობდნენ) უფროსის მამის სახელის წარმოთქმამ გაუშრო სისხლი. თითქოს ამას ელოდნენო, ავადმყოფს ბალიშზე თავის დადებაც არ აცალეს, მაშინვე დაფაცურდნენ და ის მოიყვანეს მის ადგილზე. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ „დასვეს", რადგან ამ თანამდებობის კაცი მეტწილად უნდა მჯდარიყო.

ის კაცი, ვის ნაცვლადაც მას ნიშნავდნენ, ისევ რომ გამოჯანმრთელებულიყო და სამსახურში გამოსვლა მოეწადინებინა, სკამი უკვე დაკავებული დახვდებოდა. რას იზამ, ასეა: „თაობა მიდის, თაობა მოდის, ძველს ახალი ცვლის, მოხუცს — ახალგაზრდა!" ისიც ახალგაზრდაა. საქმისთვის გული ერჩის. ახლა უნდა მოსინჯოს საკუთარი ძალები. ახლაა მისი დრო: „მიდით, თქვენ იცით, ახალგაზრდებო, იჩქარეთ, წინ დიდი საქმეები გელით!" ჰოდა, მანაც უნდა აკეთოს საქმე, თუ ახლა არ გამოიჩინა ფხა, მაშინ როდის...

რა ბევრი უნდა ადამიანს: სამსახური, თავზე ჭერი, ნატეხი პური, ერთი ჭიქა ღვინო...

...ბინასაც მიიღებო, უთხრა უფროსმა. ამ სიტყვებს, ახალგაზრდას გულზე რომ მოეფონა, ერთი სიტყვა აკლდა. ეს სიტყვა დანარჩენებს უნდა მოჰყოლოდა. ამას მთქმელიც ხვდებოდა, მაგრამ ეს ორი სიტყვა იმ ერთს ადგილს არ უთმობდა. სიტყვებსაც შერჩევა უნდა. შეჩვეული სიტყვებისა უფრო გჯერა, უფრო გეიმედებიან ისინი. სიტყვამ კი, რომელიც არ ითქვა, როდისმე

შეიძლება საქმე ისე შეატრიალოს, სულაც წაშალოს ის სიტყვები, რომლებიც წინ უსწრებდა მას და მათ ადგილზე ისეთი სიტყვები მოიხმოს, იმ უფროსს სანანებლადაც კი გაუხდეს ოდესმე. ალბათ ამიტომ, ასეთი სიტყვები ატმის კურკებივით ეჩხირებათ და, ყელზე რომ არ დაადგეთ, ყლაპავენ ხოლმე. ასეთი სიტყვაა, მაგალითად: „თუ დაიმსახურებ", — ეს სიტყვა გულისხმობს, რომ როდისმე შეიძლება დადგეს დრო, როცა მოგიწევს ასეთი სიტყვების თქმა: „დაიმსახურე, გეკუთვნის". ამის შემდეგ ეს სიტყვა თვითონ ირჩევს სხვა სიტყვებს: „ღირსი ხარ, გეკუთვნის, ეს რა არის, კაი ხელფასი, კაი თანამდებობაც ალალია შენთვის". და ასე შემდეგ. იმ უფროსსაც ჯერჯერობით არაფრის შეცვლა არ უნდოდა, სიტყვები ერთ ადგილზე იყვნენ დაბმულები. რაც ის ამ დაწესებულების უფროსია, ეს სიტყვები სხვანაირად არავისთვის უთქვამს, სიტყვებიც ისე შესჩვეოდნენ, შებერებოდნენ მათთვის მიჩენილ ადგილს, რომ უფროსს, ძალიანაც რომ სდომებოდა, მათ უკვე ვეღარ გადაადგილებდა. უფროსის ახალი მოადგილე არ გაუნაწყენებია ამ ნათქვამს: „თუ დაიმსახურებო", — ეს სიტყვა რომ უნდა თქმულიყო, თვითონაც კარგად ხვდებოდა, მაგრამ იმასაც ფიქრობდა, იქნებ, არც არის ასე კატეგორიულად ამის თქმა საჭიროო. ზოგს შეიძლება ეწყინოს კიდეც, — რატომ გგონიათ, ვითომ, რომ ვერ დავიმსახურებო (კაცი ნუ მოინდომებს, თორემ სიტყვას, როგორც გინდა, ისე შეატრიალებ; მისთვის საზღვრები არ არსებობს). არც ღირს, ვინმეს ერთბაშად იმედი მისცე, დაჰპირდე. როცა რაღაცას ელოდები, უფრო მიზანსწრაფული ხარ, მიუწვდომელს ელტვი, გინდა გადაიხედო ჰორიზონტს იქით და იხილო მოუხილველი. ის სიტყვა კი, იმედს რომ გისახავს გულში, ადუნებს კაცს და ის იდუმალი ჰორიზონტიც ბუნდოვანდება.

ახალი მოადგილე ახალგაზრდა კაცი იყო, უფროსის ნათქვამში საჩოთირო არაფერი დაუნახავს და არც არაფერი სწყენია.

ამ ორ სიტყვას რომ ამბობდა, უფროსმა თითი ფანჯრისკენ გაიშვირა, საიდანაც ახალმშენებლობის ფართო პანორამა მოჩანდა. ყანჩასავით ყელგადაგდებული ამწეები უქმად იდგნენ. ზოგან სულ ახლახან ჩაეყარათ საძირკველი. იქვე, შორიახლო კედლები უკვე კაცის სიმაღლემდე, აქა-იქ კი უფრო მაღლა ამოეყვანათ. ახალგაზრდას თვალები აუჭრელდა.

„რა უშავს, იმ სახლის საძირკველი სულ ახალი ჩაყრილიც რომ იყოს, სადაც მე ბინა უნდა მომცენ, დავიცდი, ახალგაზრდა ვარ, რა მეჩქარება" — გაიფიქრა. როცა ფანჯრისკენ გაშვერილ უფროსის თითს თვალი გააყოლა, დაინახა, როგორ გამოჟონა თვალის კუთხეებიდან სისველემ, წამით თითქოს სხივიც გაუკრთა თვალებში. ტუჩები კი არც შერხევია, თითქოს წებო წაუსვესო — ისე კუმავდა. კაცმა რომ თქვას, ვერც გაამტყუნებ. უფროსი იმის უფროსია, რომ ცოტა უნდა დაგაიმედოს, მიგიზიდოს რაღაცით, თან ფხიზლად უნდა გამყოფოს, რომ არ მოდუნდე და უფროს-უმცროსობა, ვინ ვინ არის — არ დაგავიწყდეს.

ჰო, ვიდრე ამ სახლს ააშენებენ, კარგი იქნებოდა სადმე პატარა ოთახი ეშოვა. სჯობია იქვე, შორიახლოს იქირავოს ბინა, სამსახურთანაც ახლოს იქნება და სახლის მშენებლობის ნახვაც გულს გაუხარებს. ნაფიქრალი უფროსს გაანდო, დაეთხოვა და წავიდა.

მიდის, მიუყვება ქუჩას, მშენებარე სახლებს კი ბოლო არ უჩანს. ხარაჩოებზე კაციშვილი არ ჩანდა. ფიქრებს მიენდო (რა თქმა უნდა, რასაც ახლა გულში ფიქრობდა, სხვაგან ამაზე სიტყვა როგორ დასცდებოდა! მართალია, ახალგაზრდაა, მაგრამ იცის, სად და როდის რა უნდა თქვას). ნეტავ, რაში დასჭირდათ ამ პატარა ნაკვეთზე ამხელა მშენებლობის წამოწყება? ყველა უბინაო ქოხმახებში ცხოვრობს? ბევრნი ყოფილან ეს უბინაოები, მაგრამ ბინიანები ვინღა არიან, რამდენი არიან ისინი? ზამთარში, როდესაც დამსვენებლები საბოლოოდ გაიკრიფებიან ხოლმე, ქუჩაში კანტიკუნტადღა თუ გამოჩნდება ორიოდე

კაცი. მაშინ ვილასთვის აშენებენ? ახალ ჰუნებს ხომ არ ელოდებოდნენ, იქნებ, უნდოდათ ბოლო მოეღოთ მათი გაუთავებელი შემოტევა-ხეტიალისთვის, თბილი და ცივი წყლითა და გაზით დაეშოშმინებინათ ისინი?

გაუკაცრიელებული ქუჩის, უქმად მდგარი კისერგადაგდებული ამწეებისა და მშენებლობის მაღალ-დაბალი კედლების შემხედვარე ახალგაზრდა მოადგილეს გული უჩვეულოდ უთრთოდა: „სულ ამოწყდნენ თუ გადაიხვეწნენ სადმე?“ იქნებ, ახალი ჰუნები, რომელთა მორჯულებასაც თბილი წყლითა და გაზით აპირებდნენ, მოახტნენ თავიანთ აქა-იქ შემორჩენილ დამშეულ ბედაურებს და ყიჟინით, ცხენის ფლოქვებიდან ავარდნილ მტვრის ბუღში უგზო-უკვლოდ გადაიკარგნენ? ახალგაზრდა მოადგილეს ეგონა, მათ მიერ მიტოვებულ ნანგრევებში დავიარებიო. ღობეს, მშენებლობას ქუჩასთან ზღვარს რომ უდებდა, ფიცარნაგის მეტად ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული ბილიკი მიჰკვროდა. ამ ვიწრო ბილიკზე ძნელი იყო სიარული და ახალგაზრდა მალე მოიქანცა, მაგრამ არ შეჩერებულა. ირგვლივ მხოლოდ რკინა-ბეტონი, ქვა-ღორღი და გროვა-გროვა დაყრილი აგურები მოჩანდა. მზე მაგრად აჭერდა. მოდიოდა ღობეებს შორის დაგებულ ფიცარნაგზე და ვერც იქით უხვევდა, ვერც აქეთ. ერთ ნედლ ტოტს — სიცოცხლის ნიშანწყალს რომ დაატყობდა აქაურობას — ვერ მოჰკრავდით ვერსად თვალს. ძალიან დაიღალა. ის იყო უკან გამობრუნება დააპირა, რომ წყლის ჩუხჩუხი მოესმა და შეჩერდა. კისერი წაიგრძელა და ღობის იქით გადაიხედა. ცოტა მოშორებით რამდენიმე ხე იდგა, რომელთა შემეჩხერებული ტოტები და ფოთლები ძლივს ფენდნენ ჩრდილს მათ ქვეშ ამოჩრილ თითო-ოროლა ბალახის ღეროს. შეკრთა რატომღაც და შეჩერდა: არ მოელოდა. საიდან გაჩნდნენ აქ ეს ხეები? ირგვლივ მოჩანდა მხოლოდ კედელი, კედელი, კედელი... ხეებში პატარა ხუხულას მოჰკრა თვალი. უფრო იქით ახლად წამოწყებული სახლის მშენებლობა მო-

ჩანდა; ვერ გაიგებდით, მისი შერუჯული კედლები რით იყო ნაგები — ტუფით, აგურით თუ ქვით. სახლის იქით უქმად დაყუდებულიყო ამწე. ამას ყველაფერს გარშემო ხის მაღალი ღობე ერტყა, რომელშიც ჩიტიც ვერ შეფრინდებოდა. მან ცალ ანჯამაზე ჩამოკიდებული კარი შეაღო და შევიდა. ცოტა სული მოითქვა: ტოტებშემოძარცული ორიოდე ხის ქვეშ აქა-იქ ბალახის გაქუცული ღეროები ამოჩრილიყო. ერთი კაცი კი მოითქვამდა სულს ამ ხეების ჩრდილქვეშ. აქ ჰაერიც სხვანაირი, უფრო სუფთა იყო, ცივილიზებული კაცის ლექსიკონს თუ მოვიხმართ — მიკროკლიმატი იყო შექმნილი. გვერდზე წაფერდილი ქოხი თეთრი კირით იყო ფაქიზად შეფეთქილი. პატარა ფანჯრები უჩვეულოდ კრიალებდა. ეტყობოდა, მისი პატრონი დროს არად აგდებდა და გულდადებით გაეპრიალებინა ისინი. ფანჯარაზე არ ჩანდა მარმაშებიანი ფარდები, ასე რომ ეჯავრებოდა ახალგაზრდა მოადგილეს. საერთოდ არ ეკიდა არავითარი ფარდა. ქოხის წინ მშვილდივით მოგრეხილი რკინის მილიდან წყალი გადმოსჩქეფდა.

ახალგაზრდა მოადგილეს უკვირდა, მზით გადახუნებულ პეიზაჟში ასეთი რამ როგორ გადარჩაო.

წყალთან მივიდა და ხელი შეუშვირა, ესიამოვნა — ცივი იყო. ხელები გადაიბანა, მერე წყალი პეშვით სახეზე შეიშხაპუნა და ისევ შეავსო. წყალს ქაფი არ მოუდია, მხოლოდ აქა-იქ ამოიბუშტა ცოტათი. კარგი წყალიაო, გაიფიქრა. დალია, კიდევ შეივსო პეშვი, კიდევ მოსვა და სიამოვნებით ამოიხვნეშა. მერე ჩვეული მოძრაობით ხელი ონკანის დასაკეტად გააცეცა, თითებით მილის გლუვ ზედაპირს წაეპოტინა და მიხვდა, აქ რომ წყალი არასოდეს დაკეტილა. მილს საერთოდ არ ჰქონდა საკეტი...

— ნურც ეძებ...

უკვე მისჩვეოდა, რომ ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო და ცოცხალი ადამიანის ხმამ შეაკრთო. მოიხედა: უცნობი ჟამთა წიაღიდან გადმოსულს ჰგავდა. ნაოჭებით სახე ერთიანად და-

ღარვოდა, უკბილო იყო და ტუჩები პირწაკრულ ქისასავით ჰქონდა მოპრუწული. მის წინ დედაბერი იდგა.

— ამ მილს რომ საკეტი გავუკეთო, ფულის გადახდას ვერ აუვალ, — თქვა მან და ტუჩები ჭიპივით მოუმრგვალდა.

— სულ რომ ასე იდინოს, უარესი არაა?

— უკეთესია... საკეტს გავაკეთებინებ თუ არა, მოვა მაშინვე ათასი ჯურის აღმრიცხველი, გადასახადის ამკრეფი და...

„სრულ ჭკუაზე არ არის, არ იცის, რას ლაპარაკობს", — გაიფიქრა ახალგაზრდამ და გადაწყვიტა ხმა აღარ ამოეღო.

წყალი კი დიოდა და დიოდა. ამასობაში შორიდან მშენებლობის ხმაურმა მოაღწია. აჭრიალდა ამწეები, ვიღაცა ურითი ხიმინჯებს ასობდა, მეორე აფრთხილებდა, ცოტა ნელა მოიქნიე, თავში არ მოირტყაო. ეს ხმები რომ ჩაესმა, წყლის ხმაურმა უფრო გააღიზიანა.

— მიეჩვიეთ, — თითქოს მის გულში იჯდაო, უთხრა დედაბერმა. ახალგაზრდა შეკრთა რატომღაც. — ადამიანი ყველაფერს ეჩვევა, აწი ჩემთვის ყველაფერი სულერთია, აღარაფერი მესმის.

— აქაურობას როგორ შემორჩი, ამდენ სახლებს აშენებენ, ბინა...

— მარტოხელა ვარ, არაფერს წარმოვადგენ...

— ?...

— ეს ხუხულა რომ დამინგრიონ, ცის ქვეშ დავრჩები...

— ცის ქვეშ რას მიქვია, ეს ხომ უსამართლობა იქნება!

— სანამ ააშენებენ?...

„ნამდვილად ვერ არის ეს საწყალი ჭკუაზე", — გაიფიქრა და გაჩუმდა.

— მშენებლებმა რომ ნახეს ჩემი ქოხი, ხელი ჩაიქნიეს, იდგეს, სანამ მშენებლობას დავამთავრებთო, თქვეს და წავიდნენ. დიდი ხანია, აღარავის მოუკითხავს. ამ ნებაზე მიშვებულ წყალს ვგავარ...

— მეც აქ სადღაც უნდა მივიღო...

მოხუცმა ძლივძლივობით მოიმრგვალა ტუჩები და გაიცინა:

— დიდი თანამდებობის კაცი ხარ?

— დიდი რად მინდა, რაც მაქვს, იმითაც კმაყოფილი ვარ.

— ზურგი მაგარი გაქვს?

— ზურგი... ვერ გავიგე...

— პატრონი თუ გყავს, დიდი თანამდებობის კაცი, ვისი სიტყვაც ჭრის — უფროსი ძმა, ბიძა, სიმამრი, სიდედრი?

— მე ვარ, ხელი არ მაკლია და ფეხი, სწავლა-განათლებით ვერავინ დამიწუნებს, ჰოდა...

— „ჰოდა, რაღა ზურგი მინდა", — გინდოდა გეთქვა, არა? გგონია... — მოხუცმა ტუჩები კიდევ უფრო მოკუმა, — დროებით თავშესაფარს ხომ არ ეძებ?

— ვეძებ, მაგრამ ირგვლივ მხოლოდ აშენებენ...

— სადაც მშენებლობა არ არის და ყველაფერი მწვანეშია ჩაფლული, იქ შენ ბინის დაჭერა არ გარგებს. შეიძლება ისეთ სახლში დაიქირავო ბინა, ავ თვალს არ ენახოს, მაგრამ რად გინდა, პატიმარს დაემსგავსები. ისინი, რაც უფრო მდიდრები არიან, მით უფრო გულცივები ბრძანდებიან, ერთ ხეირიან სალამს ვერ ეღირსები იმათგან, ბინიანს უბინაო კაცთან გავლაც კი ეთაკილება, კაცად არ მიაჩნია. ფასს ხომ ნულა იტყვი, უთუსბირს დაგიფასებენ, რასაც იშოვი, ყველაფერს აგაფცქვნიან. ცოტა უარეს მაცხოვრებელთან თუ მიხვალ, არც იქ დაგეყრება ხეირი. გინდა ასეთ სახლში გიცხოვრია, გინდა საერთო საცხოვრებელში. შენს გემოზე წყალს ვერ დალევ, ვერ მიბრუნდ-მობრუნდები, შენს გემოზე ვერ წამოწვები. სულ შენ გარშემო დაიწყებენ ტუსტუსს, თავს მოგაბეზრებენ. ასეთ სახლებში ბევრი შინაბერა შეგხვდება. თმაგაქუცულებსა და ფერგახუნებულებს, ფერუმარული სახეზე აქვთ შემხმარი... შენისთანებს სანთლით დაეძებენ. ჯერ თავს მოიტყუებ, თითქოს ეს ყველაფერი ოდნავაც არ გაღელვებს, მაგრამ ახალგაზრდა კაცი ხარ, როდემდე გაუძ-

ლებ?... ერთ მშვენიერ დღეს რაღაცას მოგიგონებენ... მერე სამსახურის კარებს აგიტალახებენ.

შეცბუნდა, როცა სამსახური უხსენეს.

— გარდა ამისა, — არ იშლიდა მოხუცი, — როგორც კი შეგეჩვევიან, ფულის სესხებას დაიწყებენ შენგან. ბინის ქირას გამოგართმევენ, ნასესხებს არ დაგიბრუნებენ. „შენი კი გვმართებს, მაგრამ...“ გეტყვიან და ამოიხვნეშებენ. რაღა ბევრი გავაგრძელო, მოდი, ჩემთან დარჩი, აქ გირჩევნია. ხანდახან თუ რაღაცას მომცემ, ხომ კარგია, თუ არადა, არც იმაზე დაგემდურები...

— რატომ, რაც გეკუთვნით, იმას გადაგიხდით.

— მაშ კარგი, — პირდაპირ შეხედა ახალგაზრდას, — პურის ფული მომეცი იმდენი, მე რომ მეყოს.

მორიგდნენ. ესეც ასე... ცისქვეშ ხომ მაინც აღარ არის, უმოკლეს ხანში ის სახლიც აშენდება, ბინასაც მიიღებს...

ბინა... ბინა...

მანამდე ხის ძირშიც კი შეუძლია გაათენოს ღამე, ჯერ ახალგაზრდაა, ჯან-ღონით სავსე, ახლა დგამს პირველ ნაბიჯებს, მთელი ცხოვრება წინა აქვს.

იმ ღამეს ღრმა, უშფოთველი ძილით ეძინა. დილით, როგორც კი გამოიღვიძა, თავისთვის მოჩუხჩუხე წყალს ხელი შეუშვირა და სახეზე შეისხურა. მერე ნახევრად ჩამოგდებული ჭიშკარი გამოაღო და გარეთ გავიდა. მის წინ იდო ორ ღობეს შორის მოქცეული ვიწრო ფიცარნაგი, გარს რომ ეკვროდა მშენებლობას. საითაც უნდა გაგეხედათ, ყველგან ახალსაძირკველ-ჩაყრილი ან ნახევრად ამოყვანილი სახლების კედლები მოჩანდა. უტყვად იდგნენ ამწეები. შორს სახლი მოჩანდა, რომლის კედლებიც, სხვებთან შედარებით, კარგა მაღლა აეწიათ, ამ სახლის ერთ-ერთ სართულზე ცისფერი ალი კიაფობდა და ნაპერწკლებს ისროდა. ეტყობოდა, იქ შემდუღებლები მუშაობდნენ.

„რა უფრო ჩქარია, ბგერა თუ სინათლე?“ — გაუელვა თავში.

ფიზიკაში ცოტა უკაცრავად იყო და შეეცადა სკოლაში ნასწავლი გაეხსენებინა.

„ჰო, სინათლე... რაკი ასეა, ბგერაც წამოეწევა ალბათ...“ ნაბიჯს მოუჩქარა.

ასე გავიდა წელიწადის თორმეტი თვე. დილდილაობით სახეზე შეიშხაპუნებდა თავის ნებაზე მოჩუხჩუხე წყლის მაცოცხლებელ შხეფებს და მერე მიდიოდა. ამ ხნის განმავლობაში არსად შეუვლია: მოსაღამოვდებოდა თუ არა, მაშინვე შინ ბრუნდებოდა. შინ მოსულს კი უფრო უძნელდებოდა გარეთ გასვლა.

წყალს სვამდნენ, შუბლს იგრილებდნენ, სარეცხს ავლებდნენ, ის კი დიოდა და დიოდა, ნებაზე მიშვებული... უკვე მთელი წელი გავიდა და ახალგაზრდა მოადგილეს ამ ვიწრო ფიცარნაგზე კაციშვილი არ შეხვედრია. იქნებ იმიტომ, რომ ნახევრად ჩამოგდებული კარიდან ყოველთვის დილა-სისხამზე გადიოდა?

მაგრამ აი, ერთ მშვენიერ დღეს, დილით, როგორც კი ფეხი დააბიჯა ფიცარნაგს, წინ ვილაცის განიერ ზურგს ჰკიდა თვალი. მორგვივით კისერი ქათქათა პერანგის საყელოში ჰქონდა ჩავარდნილი. სქელი, ჭაღარა თმა თითქოს პირდაპირ კისრიდან ამოზრდოდა.

ნაბიჯს მოუჩქარა, მაგრამ ვერ დაეწია. ასე სდია უკან კარგა ხანს, სანამ მშენებლობას არ გასცილდნენ. სახლებისა და აჩონჩხილი ამწეების სიმრავლეში ვერ გაეგო, როგორ დაეკარგა თვალთაგან ის კაცი.

ამ დღიდან მოყოლებული, რა დროსაც უნდა ამდგარიყო, ცხვირწინ ყოველთვის ეს ბეჭბრტყელი კაცი აეტუზებოდა ხოლმე. რამდენი ეცადა, მაინც ვერ დაეწია. ასე ფეხშეწყობით მიაბაკუნებდნენ ხოლმე ორივენი ვიწრო ფიცარნაგზე.

ასე იყო დღენიადაგ. სახლი ისევ იქ იდგა, წყალიც ისევ ისე დიოდა. გადაწყვიტა, რადაც უნდა დაჯდომოდა, გაესწრო ამ

ზურგისთვის, მაგრამ ამაოდ, ის ბეჭბრტყელი კაცი არც იქით უშვებდა, არც — აქეთ.

დასაწყისში ეს ყველაფერი სიცილს ჰგვრიდა მხოლოდ. მერე კი თანდათან ბრაზი მოერია. გზას ხომ მთლიანად იკავებდა და იკავებდა, ეგ არაფერი: ერთხელ არ შეუხედავს მისთვის, მარტო ზურგის ჩვენება რა კაცის საკადრისია! რა იქნება, გვერდზე გაიწიოს და წინ გაუშვას?

ერთ დღესაც გადაწყვიტა, როგორმე უნდა გავასწროო, და ჯიქურ წავიდა წინ, მაგრამ ისიც კარგი მუხლმაგარი ვინმე აღმოჩნდა. ვერაფრით ვერ დაეწია. გაიქცა კიდეც. მის ფეხებს თითქოს იმ კაცის ზურგზე გაუდიოდა ბრაგაბრუგი. მაგრამ ნურას უკაცრავად. წინმიმავალი არც გაწეულა და არც უკან მოუხედავს.

რა უნდა ექნა, ხელს ხომ ვერ ჰკრავდა.

ამასობაში კიდევ ორმა წელმა გაიარა. დილით სამსახურში მიმავალი იმ ზურგს შეჰყურებდა, უკან კი ისევ ამ ვიწრო ბილიკით ბრუნდებოდა, ორ ღობეს შორის გამომწყვდეული.

ამწეები თვეობით იდგნენ უქმად. მხოლოდ ხანდახან, ისიც ცოტა ხნით, აგრიალდებოდნენ და იწყებდნენ მუშაობას. ხანდახან ხარაჩოებიდან ავარდნილი ცისფერი ალი სჭრიდა თვალს. ერთი ეგ იყო, ბგერას ვერ მოეღწია აქამდე.

„სინათლე თუ ბგერა?“

„სინათლე...“

ზოგან, სადაც ადრე მხოლოდ საძირკველი იყო ჩაყრილი, კედლები ღობეს ასცდნენ, ერთი-ორი სახლი გადახურეს კიდეც. ეს იყო და ეს. განსაკუთრებული არაფერი მომხდარა.

ახლა კი დადგა ალბათ დრო, მასაც ჰქონოდა საკუთარი ჭერი თავზე. ბინიან კაცს სტუმარიც ჰყავს და ამხანაგებიც უფრო ხშირად ეპატიჟებიან, გოგოებშიც გაიხედ-გამოიხედავს ხანდახან. მაგრამ ბინას არავინ აძლევდა და ამხანაგებსაც გაურბოდა და გოგოებსაც გარე-გარე უვლიდა. საღამოობით

მოხუცი ქალის ლაპარაკს უსმენდა. ეს გაუთავებელი ლაილაი თავს აბეზრებდა, მაგრამ დედაბერი თითქოს ვერ ამჩნევდა ამას. ლაპარაკობდა მანამდე, სანამ ძილი თავს არ წაართმევდა. ოდესღაც თურმე აქ დიდი ტყე ყოფილა, ტყის იქით კი — ჭაობი, რომელიც სავსე იყო იხვითა და წყლისქათამათი. ჰყვებოდა, როგორ მოდიოდნენ მონადირეები მასთან ხან დღე, ხან — ღამე, როგორ დასტრიალებდა მათ თავზე. ამ მონადირეებიდან ერთ-ერთს უფრო ხშირად, რაღაცნაირი სითბოთი იხსენებდა.

წყალი კი ისევ დიოდა...

ერთი წლის განმავლობაში უფროსი ყოველთვის ღიმილით ხვდებოდა. ისიც სიხარულით შესციცინებდა ხოლმე. მაგრამ გავიდა ერთი წელიწადი და ნელ-ნელა დადგა დრო, ყოველ შემთხვევაში, შეიქმნა საშიშროება, როცა ის სიტყვა — „თუ დაიმსახურებ“ — უკვე უნდა თქმულიყო.

უფროსს ველარ იცნობდით. ღიმილი ნელ-ნელა შეაშრა სახეზე. ეს დღე იყო და ახალგაზრდა მოადგილეს ამ კაცის სიცილი აღარ გაუგონია. მისალმებისას მხოლოდ მის უტყვ თვალებს შეაჩერდებოდა ხოლმე წამით. თანდათან უფრო ადრე დაიწყო სამსახურში მისვლა, უნდოდა უფროსისთვის მიესწრო, მაგრამ რამდენი არ ეცადა, უფროსი ყოველთვის სამსახურში დაუხვდა.

ან კი როგორ მიასწრებდა იმ ზურგის გადამკიდე, არა და არ გაუშვა წინ!

ბოლო ხანებში უფროსი ცოტა მკაცრი გახდა. მაშინვე უფრო ყოჩაღად დაიწყო მუშაობა. გრძნობდა, რომ უთვალთვალებდნენ და წელებზე ფეხს იდგამდა.

„იქნებ, ჰგონია, რომ მაგის ადგილზე მიჭირავს თვალი, მე ჩემი თანამდებობაც სავსებით მაკმაყოფილებს, რა ტყუილად იხეთქავს გულს!“

ისე კი, საცა სამართალია, ის ადგილი მასზე უფრო უპრიანია. სწავლა-განათლებით, თუ საქმის ცოდნით ისინი ცა და

დედამიწასავით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ცოტა თავის ქება კი გამოუვიდა, მაგრამ თუ სიმართლე გინდათ, ეს არის.

ჰოდა, აბა რა ღირსია ეგ ამხელა თანამდებობისა? არა, მას ჩუქებითაც არ უნდა ეს თანამდებობა, ამას ისე ამბობს.

მას ბინა სჭირდება. როდემდე უნდა იყოს სხვისი ხიზანი? პატარაობისას ბავშვი იყო და ბავშვურად ცხოვრობდა, მერე მოსწავლეობის ხანა დადგა, სკოლის დამთავრების შემდეგ სტუდენტი გახდა და ისევ მშობლებს შეჰყურებდა ხელებში. ახლა სამსახური აქვს, ხელფასი აქვს და მაინც სხვაზეა დამოკიდებული, საკუთარი ერთი მეტრი ფართობიც არ გააჩნია. ქვეყანაზე ერთი ქალიშვილიც კი არ ეგულება, ცოტა სხვა თვალით რომ შეხედავდა მას...

მასაც უნდა ჰქონდეს სახლი, უხაროდეს სტუმრის მოსვლა, თავი გამოიდოს კარგი მასპინძლობით, სამსახურიდან შინ დაბრუნებულს უნდა ვინმე დახვდეს სახლში, მისი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი. „ეი, მასპინძელოო“, — შემოსძახებენ ამხანაგები და ისიც ფართოდ გაუღებს კარს სასურველ სტუმრებს...

მაგრამ რა ქნას, სანამ მისი უფროსი და სხვა მისთანანი მრავლად არიან, არაფერი გამოვა. კაცი რომ თვითონ იყოს თავისი თავის მასპინძელი, საკუთარი თავის ბატონ-პატრონი, ამასაც ვერ ჰგუობენ. თითქოს დედის მუცლიდან დაჰყვათ მეპატრონეობის გრძნობა.

მაგრამ რაც უნდა თქვა, ის კაცი მაინც მისი უფროსია და თვითონ მისი თანამშრომელი.

გავიდა კიდევ რამდენიმე წელი.

ელვის სისწრაფით გარბოდნენ დღეები.

მოხუცი ქალი ისევ ისეთი იყო, პირველ დღეს რომ ნახა, მას კი უკვე თმა შეევერცხლა. სამსახურის საქმეებში საკმაო გამოცდილება შეიძინა. რამდენჯერაც შეამოწმეს, იოტისოდენა დარღვევაც კი ვერ აღმოუჩინეს. მიზეზს ვერ გეტყვით, ის კი

იყო, რომ ბოლო ხანებში ხშირ-ხშირად ამოწმებდნენ. თანდათან ნერვებმა უმტყუნეს, პატარა რაღაცაზე ენთებოდა.

ყველაფერი კი იმ ზურგის ბრალია. ამ ბოლო ხანებში ხომ სულ გაუშრო სისხლი, უფრო და უფრო ზანტად მიიზლაზნება. ეს კი ჩქარობს, დროზე უნდა მივიდეს სამსახურში, თორემ საყვედურს არ დაულევენ.

იმის იმედით, რომ ახლა მაინც მისცემს გზას, თანდათან უფრო ხმამაღლა ურტყამს ფეხს ვიწრო ფიცარს. ფეხის ხმა ჯერ ზურგს ენარცხება, მერე სახლის კედლებს ეფშვნება მარილივით და უკან ბრუნდება.

მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ!

ბოლოს და ბოლოს, ხელს ხომ არ ჰკრავს! დაუძახებდა, მაგრამ შეიძლება არც მოიხედოს. ან რა თვალით შეხედავს? მისი სამსახურიც არაა შორს, ყველაფერს მაშინვე გაიგებენ, ათასგვარ კუდს გამოაბამენ...

უფროსი კი ამ ბოლო დროს აშკარად კბენდა, მაგრამ ხელშესავლები ვერაფერი მოუძებნა, შორიდანღა დაუწყო ღრენა.

თუმცა ნერვები დაგლეჯაზე ჰქონდა, უფროსთან მაინც ძალზე თავაზიანად ეჭირა თავი. ის კი არა, ადრე თუ გაურბოდა მისი მამის სახელის წარმოთქმას, ბოლო ხანებში ყოველთვის მამის სახელით მიმართავდა. ახლა ყველაზე კარგად გაუგო თავის წინამორბედს: „დორმინდოტოვიჩ“ — ნელა ამის გამოთქმა ძნელი იყო, სწრაფად მოინდომებდი თქმას და — გინებასავით ჟღერდა. ამ დროს უფროსს ფერფური მისდიოდა. ეს მაინც ძალიან თავაზიანად ექცეოდა, დორმინდოტოვიჩმა კი ასე ღრენა-ღრენით უარა, უარა გარშემო და უცებ თოვლივით დადნა. სახეზე ღიმილიც კი გაუკრთა — ის ღიმილი, ამდენ ხანს რომ მალავდა და ახლა უკვე ობი მოჰკიდებოდა. როცა მისი ობიანი ღიმილი დაინახა, შეამჩნია, რომ უფროსი დაბერებულიყო.

ამან კიდევაც გააკვირვა და კიდევაც ჩააფიქრა.

ღვთის წინაშე ერთი სურვილი კლავს — გაიგოს, რა გზით, რა ფასად ჩაიგდო მან ეს ადგილი. როგორც უთხრეს, უფროსი მასზე ახალგაზრდა ყოფილა, როცა ამ თანამდებობაზე დაუნიშნავთ. აგერ, უკვე დაბერდა, და მაინც ზის და ზის იმ ადგილას ფეხმოუცვლელად. ხანდახან, როცა უფრო ახალგაზრდა იყო, ბრაზი წამოუვლიდა ხოლმე, თუ გაიგებდა, მავანი და მავანი ისევ დაეწინაურებინათ, მისთვის კვლავ აევლოთ გვერდი.

კაცის გაუმაძღარი ბუნება რა ვთქვი, თორემ მეტი რაღა უნდოდა? სულ სახელმწიფოს ხარჯზე ცხოვრობს, თვითმფრინავის ან მატარებლის ფულს ხომ თავისი ჯიბიდან არ დახარჯავს — მივლინებას გაუკეთებენ, გადაუხდიან. ძალზე იშვიათად, დასასვენებლად რომ მიდის ხოლმე, მაშინ თუ გაიკრავს ჯიბეზე ხელს. მანქანაც ხომ ემსახურება! ნეტავ, რამე მაინც ესმოდეს საქმისა, თითის თითზე დამკარებელი არ არის, ყველაფერს მოადგილეები და სხვა თანამშრომლები უკეთებენ, თვითონ კი ერთ თათბირს არ გამოტოვებს, დაიქცევა უიმისოდ ქვეყანა! სულ უფროსებს აეტორღიალება ხოლმე. „დორ-მორ, წყეული დორმინდოტოვიჩი!"

ცოტა ადვილი წარმოსათქმელი მაინც იყოს მისი მამის სახელი, კაცი გულს ასე აღარ გაიხეთქავდა.

აგერ, ის გადაყრუებული ბებერი, ეგ რომ ამ თანამდებობაზე ამოქაჩა, ახლა პენსიაზეა. როცა აქედან წავიდა, ისე იყო მოფამფალებული თურმე, სანამ მხრებში არ შეუდგნენ, გარეთ ველარ გასულა. ერთი ხავსი აღარ ჰქონდა მოკიდებული, თორემ ისე მთლად გადაღრძუებულიყო. ამას თვითონაც კარგად ხვდებოდა და ამიტომაც მოლბა კიდევაც.

მაგრამ ახლა რაღა დროს. თავის დროზე ექნა ასე!

განსაკუთრებით იმაზე სწყდება გული, რომ უკვე აღარც თვითონ არის ყმაწვილკაცი. ერთი ხუთი წელიც და ორივენი ერთად დაბერდებიან. იმას სახლ-კარი, აგარაკი, მანქანა რჩებოდა, ჰყავდა ცოლ-შვილი და შვილიშვილები, მას კი ჯერ არც

სახლი გააჩნია და არც კარი, ის კი არადა, ცოლიც ვერ მოუყვანია, ლამის არის უშვილძიროდ გადაეგოს.

მოხუცი ქალი არ იცვლება, ისევ ისეთია, როცა პირველად ნახა ქოხის წინ, არც არაფერი ემატება და არც არაფერი აკლდება. თავად კი ჭაღარა გაუმრავლდა.

წყალი... წყალი კი მიედინება და მიედინება, თავის ნებაზე მიშვებული.

ერთხელ ის-ის იყო სამსახურში მივიდა, რომ უფროსმა გამოუძახა. არაფერი უთქვამს, ხელი ჩამოართვა და რაღაც მიულოცა. მერე ისიც უთხრა, სულ მალე ვეცდები ბინაც მიგაღებინოთო. მაგრამ ის სიტყვა... ახლაც არ უთქვამს. შესაძლებელია იცის, ახლა აუცილებელიც რომაა ამ სიტყვის თქმა, მაგრამ მაინც დუმს, რადგან ისიც იცის, რომ ეს სიტყვა — „ბინა“ — ციხეა, ბორკილია, კაცს რომ დააბამს ერთ ადგილზე და გასაქანს აღარ მისცემს.

„ვერ მოგართვეს!“

იმ ღამეს ასეთი სიზმარი ნახა: დედაბრის ქოხის გარშემო ტყეა, იმის იქით კი — ჭაობი. ვითომ წყლისქათამაზე ნადირობს. ერთმა ლამაზმა, თოვლივით ქათქათა წყლისქათამამ მოსვენება არ მისცა: მოიღერებს გრძელ კისერს და აუფრინდება წინ წარამარა, აუფრინდება, დაჯდება, აუფრინდება, დაჯდება. ერთხელაც, ვეღარ შეიფრთხიალა ისე ყოჩაღად, ფრთებით ხის ტოტებს წამოედო, მონადირემაც გამოუშალა ჩახმახს ფეხი და წყლისქათამა მის წინ აფრთხიალდა. ის იყო მიიჭრა ნანადირევის მოსახელთებლად, რომ გაოცდა: სადღა იყო მოკლული წყლისქათამა, წინ მშვენიერი ქალწული ედგა და იღიმებოდა. როგორც კი ხელი მისკენ გაიწოდა, ქალიშვილმა უკან, ჭაობის სიღრმეში დაიხია.

— მოიცა, შეჩერდი, ნუ გეშინია, — შეწუხდა მონადირე.

ქალიშვილი არ შეჩერებულა.

— ნუ გეშინია!

— არ მეშინია, მაგრამ ვერ შევჩერდები, მოცდა არ შემიძლია, ერთ რამეს გეტყვი: ყოველდღე რომ შენს წინ კაცი მიდის, იმას გაასნარი როგორმე. აუცილებლად გაასწარი, თუ გინდა ოდესმე ჩემამდე მოაღწიო. იცოდე, თუ ვერ შესძელი, დღეის ამას იქით ვეღარასოდეს მნახავ.

თქვა ეს და გაქრა. მაშინვე გამოეღვიძა. თენდებოდა, ფაცხაფუცხით ჩაიცვა და გარეთ გავიდა. წყალი ისევ ისე მოჩხრიალებდა. მოხუცი ქალი არსად ჩანდა. წყალი შეისხურა და ნახევრად ჩამოგდებულ ჭიშკარში გავარდა. კარები ხეირიანად არც კი ჰქონდა გახურული, რომ მაშინვე ორ ღობეს შორის ჩაკვეხებულ ზურგს მოჰკრა თვალი. ბოღმა მოერია. სულ რკინად და ფოლადად იქცა, ჯიქურ გაემართა წინ. მისი ფეხის ხმა გასცდა ღობეებს და სადღაც შორს, სახლების კედლებს მიასკდა. ზურგი შიშნეულად შეტოკდა და ნაბიჯს აუჩქარა. მაგრამ დიდხანს ვეღარ გაუძლო. გაუჭირდა, ძველებურად ვეღარ მიდიოდა, მუხლი მობოშებოდა. მალე ზედ მიადგა ზურგს და დაინახა, როგორ გასკდა კანი და ჩამოიშალა! სადღა იყო ის სქელი, მორგვივით კისერი, — საცოდავად გაწვრილებოდა, შეთხელებული თმა სახლის ფარღალალა სახურავს დამსგავსებოდა.

...გზას კი მაინც არ უთმობს!

მათ შორის მანძილი უფრო შემცირდა. ანაზდად ზურგი შეირხა, შეტრიალდა და მხარზემოთ გამოიხედა. გაოცდა, არ მოელოდა, კინალამ მუხლი მოეკვეთა, მაგრამ იმავე წამს მთელი სხეულით იგრძნო, რომ არ უნდა შეჩერებულიყო, ცეცხლმოკიდებულივით გავარდა წინ.

...ის იყო, მისი უფროსი!

თურმე როგორ შინებია მისი. რა შესაბრალისი თვალებით გამოიხედა!... შეეცოდა, წამით თითქოს დაავიწყდა კიდევაც, თვითონ როგორ უმოწყალოდ მოექცნენ. „ახლა გახდა მამა აბრამის ბატკანი, როცა იგრძნო, რომ ფეხქვეშ მიწა მოერყა,

იმ მიხრწნილი ბებრისა არ იყოს, ვინც ამ ადგილზე ამოქაჩა. ამ ადგილზევე უნდა ამოსძვრეს სული".

კმარა, თავისი ხომ გაინაღდა, ჰოდა, ახლა გაჩერდეს. საქმის კაცი მაინც იყოს, ნაკლს ვერ დაუთვლი. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კადრების მომზადებაზე ხომ უნდა ეფიქრა; ცას ხომ არ შეაბერდებოდა, შემცვლელი ხომ უნდა?

ბოლო ერთი კვირის განმავლობაში იმდენი იჩანჩალა, რომ კრება მოაწვევინა. კრებაზე თვითონ გამოვიდა სიტყვით და ძალიანაც გამოიდო თავი. კრებას ესწრებოდა ხელმძღვანელი ამხანაგი ზემდგომი ორგანოებიდან, რომელსაც მოეწონა მისი გამოსვლა, რამდენიმე შეკითხვაც მისცა და პასუხები ჩაიწერა. მან ილაპარაკა იმ დიდ სარგებლიანობაზე, საქმიანი დოკუმენტების დროულ და ხარისხიანად შესრულებას რომ შეეძლო მოეტანა. უფროსზეც არ უთქვამს ძვირი, აღნიშნა მხოლოდ, რომ დროს თავისი გააქვს, ბევრი საკითხი ახლებურად უნდა დაისვასო. ხოლო ამისათვის საჭიროა კადრების მომზადებას შევუწყოთ ხელი და ახალგაზრდა სპეციალისტებს გასაქანი მივცეთო, დაუმატა ბოლოს. ერთი სიტყვით, „თაობა მიდის, თაობა მოდის, ძველს ახალი ცვლის, მოხუცს — ახალგაზრდა, მიდით, იჩქარეთ, ახალგაზრდებო, წინ დიდი საქმეები გელით!"

ყოფილი უფროსის ადგილზე მისი დანიშვნის ერთი თვის თავზე სამოთახიანი ბინის გასაღები ჩააბარეს. გულმა აღარ მოუთმინა, კაბინეტის კარი გამოიხურა, ქვევით მომლოდინე მანქანაში ჩაჯდა და წავიდა, — მოხუც ქალს გავახარებ, თან გამოვემშვიდობებიო, გაიფიქრა.

სანამდეც შეიძლებოდა, მანქანით მივიდა, მერე ჩამოვიდა და ფეხით გაიარა ორლობეში მომწყვდეული ვიწრო ბილიკი. შეჩერდა. მიიხედ-მოიხედა და ვერც ცალ ანჯამაზე ჩამოკიდებულ კარსა და ვერც წაფერდებულ ქოხს რომ ვერ მოჰკრა თვალი, შეცბა. მერე ღობის ფიცრებს შორის დარჩენილ ღრიჭოში შეიჭყიტა და ვიღაც ჟანგში ამოსვრილი კაცი დაინახა,

პირში ასევე ჟანგიანი სიგარეტი რომ გაეჩარა. კაცს თავი უკან გადაეგდო და ამწეს შეჰყურებდა. მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, კიდევ ერთხელ მიიხედ-მოიხედა, მუხლებაკანკალებულმა რამდენიმე ნაბიჯი კიდევ გადადგა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, რა დაგიკარგავს და რას ეძებ. ერთი პირობა გაიფიქრა, ალბათ, მხარი მეცვალაო, მაგრამ სხვა ყველაფერი ირგვლივ, განსაკუთრებით კი ის ვიწრო ბილიკი, ძალიან ნაცნობი რომ იყო?

— ბოდიში, აქ ერთი ქოხი იდგა... — უთხრა ჟანგიან კაცს, — ხომ არ აუღიათ? მოხუცი ქალი...

— რაო, რაო? — აიმრიზა უცნობი, — აქედან რომ ეს ქოხმახები ახიკეს, აი ის ბიჭი, ახლა რომ ამწეზე მუშაობს, ჯერ კიდევ აკვანში ჭყიოდა! — თქვა და კისერი ისევ უკან გადააგდო. მანაც ამწეს ააყოლა თვალი და მართლაც, კოშკურა ამწის კაბინიდან გამოყოფილი ბიჭის თავი დალანდა.

ბინა სანაპიროზე წამოჭიმულ ერთ-ერთსახლში მისცეს. სამსახური ორი ფეხის ნაბიჯზე იყო, ღვთის წყალობით აქ არც ამწეები ეჩხირებოდა თვალში და არც იმ ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ ბილიკზე სიარული უწვრილებდა გულს.

მართალია, ჭაღარა მოეძალა, მაგრამ იხტიბარს მაინც არ იტეხდა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარო, ფიქრობდა. სამსახურში ფეხით დადიოდა. აბა ორი ნაბიჯის გულისთვის მანქანას ხომ არ გამოუძახებდა!

ხალხმაც ნახოს, რომ ყოფილ უფროსსა და მას შორის დიდი განსხვავებაა!

საქმე თავზე საყრელად აქვს: ახალგაზრდა კადრებზე უნდა იფიქროს, მოწინავენი გამოარჩიოს, დაეხმაროს. ახალგაზრდებს უნდათ ბინა, თუ უნდათ, აბა, მასავით ხომ არ უნდა ჩამობერდნენ ბინის მოლოდინში! მათი წახალისებაა საჭირო...

ასე მუშაობს ყოველდღე, თავაუღებლივ. სამსახურში დილით ადრე მიდის, თავაწეული მიუყვება სანაპიროს. შორს,

ჰორიზონტზე თოვლით დაფარული მწვერვალები ქათქათებენ თეთრად, აქეთ ზღვა გაწოლილა, უკიდეგანო. წამოიქოჩრებიან ტალღები და გამოენთებიან ერთმანეთს, კუდში დასდევენ. მათი დედა — ზღვა კი ყველას სანაპიროზე მიუხლის თავებს, გაჰ-ფანტავს, მერე ისევ უკან გაიტაცებს და იწყება ისევ თავიდან, დაუსრულებლად.

კაბინეტში ფეხი ხეირიანად არც კი აქვს შედგმული, ერთხ-მად აწკრიალდებიან ტელეფონები, — იწვევენ კრებებზე, თათბირებზე... კადრების მომზადებაზე, მათ კეთილდღეობაზე ფიქრში ათენებდა და აღამებდა.

შინ ჩვეულებისამებრ, მანქანით ბრუნდებოდა, მაგრამ ერთხელ ფეხით გაუყვა სანაპიროს. უცებ ერთ ქალიშვილს მო-ჰკრა თვალი. იგი სულაც არ ჰგავდა გარუჯულ, კანდაშაშრულ პლაჟის გოგონებს, მთელი დღე რომ მზისგულზე იხრუკებიან. სულ თეთრი იყო, და ჰაეროვანი. რატომღაც სიზმარი გაახ-სენდა. თვალი ვეღარ მოსწყვიტა. გოგონამაც იგრძნო მამაკა-ცის დაჟინებული მზერა. კაცი გადასჩვეოდა ქალიშვილებთან ურთიერთობას, უჭირდა ხოლმე მათთან საუბრის წამოწყება, სათქმელს თავს ვერ აბამდა. გოგო უფრო მარჯვე აღმოჩნდა:

— ნეტავი სად იკეთებენ ეს თოლიები ბუდეს? ბარტყებს სად ჩეკენ?

გაუხარდა, სახე წამოუხურდა, ყელიც გაუშრა, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო. ხუმრობის კილოთი ნათქვამ კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა. ქალიშვილს შეხედა და გაიცინა. უყურებდა და უცინოდა. იცინოდა გოგონაც. და ასე, სიცილ-სიცილით მი-ადგნენ მის სადარბაზოს.

— მე აქ ვცხოვრობ, ხომ არ... — არ ამომყვებაო, გაივლო გულში, მაგრამ მაინც შესთავაზა.

— რატომაც არა, შეიძლება.

— მე მარტო ვარ... — ამოილუღლუღა გოგოს თანხმობით დაბნეულმა.

ქალიშვილს არაფერი უთქვამს, ერთად ავიდნენ.

ერთ კვირაში ცოლად მოიყვანა. მაგრამ ქალის რჩევით (ერთს რომ უთხრა, მეორეს ეწყინება, ყველას კიდევ ვერ გასწვდები. ესეც არ იყოს, საჩუქრებს მოგიტანენ და მერე შეიძლება დაგაყვედრონო) ქორწილი არ გადაუხდია.

ასე და ამგვარად, ცხოვრება აეწყო: თანამდებობა, ბინა, ოჯახი...

ცოლსაც სამსახურივით მიეჩვია.

ერთხელ სანაპიროს მიუყვებოდა. უცებ უკნიდან ფეხის ხმა შემოესმა. ეს ხმა ურისავით ურტყამდა ბეჭებზე. უკან მიიხედა: ჩანთიანი მოსწავლე ბიჭი სწრაფად მოაბიჯებდა; რატომღაც შეეშინდა, რომ ბიჭი დაეწეოდა და ფეხს აუჩქარა. რომც გაქცეულიყო, ბიჭს მაინც არ გაუჭირდებოდა მისი დაწევა. ნაბიჯებს მის ზურგზე გაუდიოდა ბრაგაბრუგი. სამსახურში მივიდა თუ არა, თავის მოადგილესთან შევიდა. მისი გაუფროსებიდან ჯერ კიდევ პირველი დღეები გადიოდა, მოადგილედ ეს გაქნილი კაცი რომ დანიშნა, — ყველას თვალებში შესციცინებდა და ფეხისწვერებზე დადიოდა. მალე ამასაც ცალი ფეხი სამარეში ექნება და მის ადგილზე ახალგაზრდა კაცი გახდება მოსაყვანი (კადრების საკითხი). გამოუგზავნიან ვინმე ახალგაზრდას და ისიც სულ იმის ფიქრებში უნდა იყოს, როდის წაართმევენ სკამს და ახალს გადაულოცავენ.

შეხედა და გაუკვირდა. მეტისმეტად მობერებული მოეჩვენა მოადგილე. რაც ის ამ დაწესებულების უფროსი გახდა, ეს კაცი დასასვენებლადაც კი არ წასულა. იჯდა ფეხმოუცვლელად თავის კაბინეტში და მთელი დაწესებულების საქმეებს აწესრიგებდა.

— დღესვე აიღებთ შვებულებას და დასასვენებლად წახვალთ, ჩათვალეთ, რომ ეს ჩემი დავალებაა, გასაგებია? ჩვენ გამოცდილი კადრები გვჭირდება და უნდა გავუფრთხილდეთ მათ. ისინი ყოვლისშემძლენი არიან. შენ ჯერ კიდევ დიდხანს გამოგვადგები!

იმ დღიდან მოყოლებული ყველას ეს ამბავი ეკერა პირზე, სხვა დაწესებულებების მუშაკები გულზე სკდებოდნენ, რა ბედი ეწიათ, უფროსი მაგათ უნდა დაიკვეხონ, კადრებზე როგორ ზრუნავსო!

ბოლო ხანებში სამსახურშიც მანქანით მოდიოდა. მანქანაში იჯდა, სამსახურში იყო თუ თათბირებზე, ყველგან იმ ნაბიჯებს გაჰქონდათ მის ზურგზე ბრაგაბრუგი. აუდიტორიის წინაშე გამოსვლისას, საკუთარ დაწესებულებაში იქნებოდა თუ სხვაგან, ერთთავად კადრების მომზადებაზე, მათ აღზრდაზე ლაპარაკობდა, ბოლოს კი დიდმნიშვნელოვნად დაუმატებდა: არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ძველი, გამობრძმედილი მუშაკების უნარი და შესაძლებლობა ბოლომდე უნდა გამოვიყენოთო. „თაობა მიდის, თაობა მოდის, ძველს ახალი ცვლის, მოხუცს — ახალგაზრდა, მიდით, ახალგაზრდებო, წინ დიდი საქმეები გელით...“

გამოხდა ხანი.

ერთხელ, როცა რომელიღაც თათბირიდან გამოქცეული სულის მოსათქმელად თავის კაბინეტში შეიყუჟა, მასთან ერთი მორიდებული ყმაწვილი კაცი შევიდა. ახალგაზრდის თავდაჭერა, ზრდილი ლაპარაკი და მომხიბლავი სიცილი სურვილს აღგიძრავდათ, ნეტავი ჩემი ნათესავი იყოსო. წინ რაღაც ქაღალდი დაუდო. სამუშაოდ გამოეგზავნათ მასთან.

ერთი თვე არბენინა აქეთ-იქით. უნდოდა ბოლომდე გაეგო, ვისთან ექნებოდა საქმე. ესიკვდილებოდა მისი მიღება, მაგრამ შარი ვერაფერში მოსდო. განათლებული, მცოდნე ბიჭი და, არცთუ ურიგო ადამიანი ჩანდა.

...ახალგაზრდა კადრები, მათზე ზრუნვა — დიდი ხანია ყელში ამოუვიდა ამაზე ლაპარაკი. კარგად იცის, რა შვილებიც ბრძანდებიან, ვერაფერს გამოაპარებ... ისინი მორცხვად გადმოაბიჯებენ ხოლმე ზღურბლს, განათლებულები, წიგნიერები, ზრდილობიანები... ბოლოს იძულებული გახდა მიელო.

— იქ, სადმე... — უთხრა ისევე, როგორც ერთ დროს მას უთხრეს, და თითი ცათამბჯენი ამწეებისკენ გაიშვირა, — ბინასაც მიიღებთ...

ის სიტყვა, მაშინ რომ დაუმალეს, არც თვითონ უთქვამს. ის ცხვირმოუხოცავი კი მაშინვე მიხვდა ყველაფერს და გაიღიმა.

მას შემდეგ, რაც ახალი თანამშრომელი მიიღო, სულ იმის ცდაში იყო, გაეგო — სად ცხოვრობდა, რომელი ქუჩით მოდიოდა სამსახურში, მაგრამ ვერა და ვერ მოახერხა. ყოველთვის შინ მიეჩქარებოდა, იცოდა, თუ დაიგვიანებდა, ცოლი საყვედურს არ დაულევდა. ბავშვებიც წამოიზარდნენ, ერთი უკვე სკოლაშიც დადიოდა და წამდაუწუმ დახმარება სჭირდებოდა გაკვეთილების მომზადებაში.

არ გასულა დიდი დრო, რომ ერთ მშვენიერ დღეს მოადგილე მაგიდაზე დაემხო თავით. ინფარქტი! — დაადგინეს და მაშინვე საავადმყოფოში გააქანეს.

მისი მამის სახელის წარმოთქმა არც ისე ძნელი იყო, ის კი, ნაინფარქტალი, მაინც ნამეტნავად იგრიხებოდა უფროსის წინაშე, წარამარა შესცინებდა ხოლმე, მას კი ერთხელაც არ უღირსებია მისთვის ღიმილი — ასე, უდროოდ ჩამოაბერა.

მომავალში ასე აღარ იზამს, უნდა დაარიგოს ხელქვეითები, გაუცინოს კიდევაც ხანდახან, რომ უდროოდ არ დაბერდნენ, მაგრამ ვინღა დაარიგოს, ყველამ ყველაფერი იცის!

ის ახალგაზრდა ავადმყოფის ადგილზე უნდა დაენიშნა.

იმ საღამოს მშენებარე სახლებამდე მანქანით მივიდა, მერე მანქანა გაუშვა და ფეხით გააგრძელა გზა. აგერ, ის ვიწრო, ღობეს მიტმასნილი ფიცარნაგი ისევ ისეა, მიხვეულ-მოხვეული. ნაცნობი სახლის მშენებლობა შუა გზაში მიეტოვებინათ, იქით გაიხედა და გული კინაღამ საგულედან ამოუვარდა, მუხლები მოეკეცა და გაჩერდა: ყველაფერი ისევე დახვდა, როგორც მაშინ იყო, პირველად რომ გაიარა აქ. ქოხიც ძველ ადგილზე დგას, კარები ისევ ცალ ანჯამაზე ჰკიდია, წყლის ჩხრიალსაც მოჰკრა

ყური. ღობესთან ფრთხილად ჩაიმუხლა და ეზოში შეიჭვრიტა: იქ პარმაღზე იჯდა დედაბერი, ხოლო მის წინ, ჯორკოზე ის ახალგაზრდა კაცი დასკუპებულიყო, ამას წინათ მოადგილედ რომ დანიშნა.

შინ დაბრუნებულმა მეუღლის ლაპარაკში, სიცილში, ბუზღუნში რაღაც ძალიან ნაცნობი კილო შეამჩნია, სხვაგანაც რომ გაეგონა ოდესღაც. ამან უარესად აუმღვრია გული. ერთი წუთით ცოლის სიბერე წარმოიდგინა და მაშინვე ის უკბილო, ტუჩებმოპრუწული დედაბერი წარმოუდგა თვალწინ.

— ფუ ეშმაკს! — წაიდუდუნა ცოლის გასაგონად, მაგრამ ქალს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

— მიდი, მიდი, ბავშვს... ააყენე, მგონი მორჩა! — გამოარკვია ცოლის ხმამ.

მეორე დღეს ქვევით ჩავიდა. სადაც, ჩვეულებრივ, მანქანა ელოდებოდა ხოლმე. ირგვლივ ყველაფერი შემოღობილი დახვდა. მესერს იქიდან მძღოლის ხმა მოესმა:

— ირგვლივ უნდა შემოუაროთ, სანაპიროსკენაც ჩაუკეტავთ გზა.

— შენ წადი მაშინ, — გადასძახა მძღოლს.

ამ ბოლო ხანებში ხშირად ხედავდა, როგორ ღობავდნენ აქაურობას, მაგრამ თვითონ ჰქონდა გასასვლელი და ყურადღებაც არ მიუქცევია, რას აკეთებდნენ. ახლა რაღა ექნა!

ბევრი იბორიალა, მაგრამ გასასვლელი ვერსად ნახა. ერთგან ამწე ჭრიალებდა. ეტყობოდა, კარგა ხანია აღარ ემუშავებინათ. ახლა კი მთელი კედელი გაეჩარა პირში და აქეთ-იქით დააკონწიალებდა. ეს კედელი ზედ მის თავზე ტრიალებდა.

ელდანაცემივით გაიქცა, ერთ ადგილას ღობეზე ავარდნილი ფიცარი ნახა და იმ დიდ ნახვრეტში გაძვრა. როგორც კი ტანი გამოიტანა, იქვე მოსაუბრე მამაკაცების ჯგუფს გადააწყდა. ერთ-ერთმა, მთავარმა, მას გამოხედა. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. ვიღაც მაღალ-მაღალი, გამხდარი, პირში რომ

სიგარეტი გაეჩარა, ზედიზედ არტყამდა ნაფაზს და თვალებს აპარპალებდა. მოკლედ შეკრეჭილ ულვაშებს ქვემოდან სამართებელივით ბასრი ტუჩ-პირი მოუჩანდა, რომელიც მზად იყო ყველაფერი ნაკუწ-ნაკუწ ექცია, რასაც მისწვდებოდა.

შიშისაგან ფერი ეცვალა, ხოლო როცა თვალი მოჰკრა შარვლის ტოტიდან გამოჩრილ, აგურების ნაყარზე შემოდგმულ ფეხს, გულმა რეჩხი უყო, კინაღამ ბუდიდან ამოუვარდა: გამხდარი, წვრილი წვივი ერთიანად ტატუირებული იყო.

— შენ ვისი ტიკიტომარაღა ხარ? — დამცინავი ღიმილით ჰკითხა მან, — პირდაპირ ციდან ხომ არ მოფრინავ?

სხვებმაც გაიცინეს, — ხმები კი ჩაესმა, მაგრამ აღელვებულმა ვერავინ დაინახა.

— გზა ამებნა, — წამოიკნავლა საცოდავად და სამუდამოდ შეეზიზღა საკუთარი თავი, — სანაპიროსკენ... სამსახურში...

— ჰა, ჰა, გზა აბნევია! — ისევ გაიცინეს უჩინმაჩინებმა. ის კი, ნაფაზს ნაფაზზე რომ ურტყამდა და ბოლისაგან დამწვარი თვალები ლამის შუბლზე ასხდა, დაჟინებით მისჩერებოდა.

ამასობაში ერთ-ერთმა მათგანმა მხარში სტაცა ხელი, ღობე გასწი-გამოსწია და ხელი ჰკრა.

— გმადლობთ, — ამოიბლუკუნა გასაწყლებულმა. მესრის მიღმა კვლავ გაიცინეს.

გაიხედ-გამოიხედა და დაინახა, რომ იმ მისთვის კარგად ნაცნობ ორღობეში გამოსულიყო. ბევრი აღარ უმარჩიელია, დაადო თავი და პირდაპირ გასწია. სულ რამდენიმე ნაბიჯი ექნებოდა გადადგმული, რომ უკნიდან ფეხის ხმა შემოესმა. ეს ხმა უმოწყალოდ სწრაფად ახლოვდებოდა.

„ვნახოთ! — შიშნაჭამი კაცის კვალობაზე მაინც დაიმუქრა, თუმცა ეს უკვე აღარ ჰგავდა მუქარას, ისე უღონოდ იყო ნათქვამი... — მე გზა ამებნა და აქ გავიჩხირე, მაგრამ ამას რაღა უნდა აქ, სამსახურში რატომ არ არის...“

უკვე დაეწია; უკანასკნელ ძალას იკრებს და თითქოს გარბის, მაგრამ ის მაინც ეწევა.

თვითონ ასე როდი მოიქცა, ეს მთლად უსინდისო ყოფილა. ფეხის ხმა ტყვიებივით ხვდება ზურგში.

ნუთუ ასე დაბერდა, რომ უკვე ფეხდაფეხ მოსდევენ? ბავშვების გაზრდა მაინც აცალონ!

უცებ მდევრის ხმა გაიგო და გაყუჩდა:

— სიმონ... გვერდით მიდექი, გამატარე, შენთვის უკეთესია... იქნება გირჩევნია, ქუჩაში გტაცო ხელი ჰა, სიმონ?

ბოლმისაგან კინაღამ გაიგუდა: გაგონილა ასეთი უსინდისობა?! თვითონ რამდენი ხანი მიჰყვებოდა იმის ზურგს, მაგრამ სიტყვას როგორ დასძრავდა!

არა... არც თვითონ ყოფილან უნაკლონი, მაგრამ ასეთი რამ სიზმრადაც არ დასიზმრებიათ.

სიმონ... სიმონ...

ორღობეს გასცდნენ თუ არა, მაშინვე მშენებარე სახლის კედლებს ამოეფარა.

„კადრებიო... უნდა აღვზარდოთო... სულ ეს აკერიათ პირზე. კადრები, თორემ დიდი ვინმეები ეგენი არიან! ნეტავ, ვინ აგზავნის, საიდან მოდიან, ვინ იცის...“

დიდხანს მილასლასებდა ასე, უაზრო, არაქათგამოცლილი. მოულოდნელად პარკს მიადგა. პარკში უამრავი ბავშვის ეტლი დაინახა. ბავშვებს ერთი ჟივილ-ხივილი გაჰქონდათ. ზოგი ახალფეხადგმული იყო, ზოგი უფრო მოჩიტებული, ორი-სამი წლისა. ერთი ეტლის წინ თავის ყოფილ უფროსს მოჰკრა თვალი: საყელო მოეღეღა, მკერდი მზისთვის შეეშვირა და მხიარულად ელაპარაკებოდა ხანშესულ ქალებს. ირგვლივ ხალხი ირეოდა, ზოგი ფეხით, ზოგი მანქანით სადღაც მიიჩქაროდა, ზოგს სამსახურში უგვიანდებოდა და საათს დასცქეროდა. ის კი, მისი ყოფილი უფროსი, იდგა მშვიდად და ვერც კი ამჩნევდა მთელ ამ გაწამაწიას.

გულზე მოეფონა ცოტა. თავისი მომავალიც წარმოიდგინა და დამშვიდდა. არც ისე ცუდად ყოფილა საქმე, როგორც მეგო-

ნაო, — გაიფიქრა. ყველაზე უფრო კი ის ახარებდა, ბევრ ბავშვს რომ ხედავდა, ესმოდა მათი ფეხის ხმა, ის ხმა, დღეს რომ მის ზურგს ტყვიებივით ეხლებოდა და სხეულს უცხრილავდა.

„თაობა მიდის, თაობა მოდის, ძველს ახალი ცვლის, მოხუცს ახალგაზრდა, მიდით, ახალგაზრდებო, წინ დიდი საქმეები გელით!“

— მაინც სად იკეთებენ ბუდეს თოლიები, სად ჩეკენ ბარტყებს? — ჰკითხა უცებ საკუთარ თავს, ჩაიცინა და სანაპიროს გაუყვა.

ბზოუ

„... მაშინ ისე დაიჭიხვინა ბზოუმ, ლამის ვარსკვლავი ჩამოსწყდა ზეცას“.

ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან

ბზოუ მიჩვეული იყო დილაობით პატრონის ლოდინს. რა გულისფანცქალით, რა მოუთმენლად ელოდა მის მოსვლას! ინათებდა თუ არა და კარის ჭუჭრუტანიდან შემოჭრილი მზის სხივები საჯინიბოში ოქრო-ვერცხლად დაიღვრებოდა, გამოჩნდებოდა ბადრა ბარყუნიც, მისი პატრონი. ბზოუ ფეხის ხმაზე სცნობდა მას. მოჰკრავდა თუ არა ყურს სახლის სახელურის ჩხაკუნს, რომელიც ფეხქვეშ ჩატეხილი ყინულის ხმას აგონებდა, ბზოუ მაშინვე ხვდებოდა, რომ ბადრას მისთვის ჭის ცივი, კამკამა წყალი მოჰქონდა, პატრონიც, ალბათ, ამ ჭის წყალს სვამდა. გზაში დაღლილ და დაქანცულ ცხენს გუბის წყლის დალევას არ ანებებდა, მაშინვე ძალუმად მოსწევდა ხოლმე ლაგამს. შემოვიდოდნენ თუ არა ეზოში, ბადრას ჭისკენ მიჰყავდა ხოლმე ცხენი. ოწინარზე დიდი სათლი ეკიდა. ბზოუ ისე მიეჩვია ამ ჭის წყალს, მარტო გემოთი კი არა, სუნითაც სცნობდა მას შორიდანვე.

განსაკუთრებით დილით ჰკლავდა ხოლმე წყურვილი; მთელი ღამე ჩალასა და თივას ჭამდა და ყელი უშრებოდა. ერთი სული ჰქონდა, სანამ წყალს დალევდა. კამკამა წყლით გალიცლიცებულ სათლს რომ დაინახავდა, ბზოუ მადლობის ნიშნად ნაზად გაეხახუნებოდა ხოლმე პატრონს.

ბადრა ცხენს თითქმის არასოდეს ეფერებოდა, ხელს ერთხელ არ მოუთათუნებდა ბზოუს ლამაზ კისერზე, არ აკოცებდა გონიერ თვალებში. უჩუმრად აიღებდა ხოლმე თოხს და იქაურობის დასუფთავებას შეუდგებოდა. ბზოუს გული სწყდებოდა. „ვუყვარვარ თუ არა პატრონს?" — ხშირად უღრღნიდა გულს ეჭვი. ბზოუს ის ჰქონდა მიზეზად, რომ ბადრა ხანდახან ისე გააცლიდა ხოლმე ქანცს, იმდენს არბენინებდა ცხენს, გაქაფული, თვალებში ბურუსჩამდგარი ბზოუ ადიდებულ მდინარიდან ამოსულს ჰგავდა.

თუ ფეხის ხმას ჩხრიალიც ერთვოდა, ბზოუს წვრილი ჯაჭვის ჩხარუნს რომ აგონებდა, ცხენი ხვდებოდა, რომ პატრონი გობში სიმინდს ჰყრიდა. ეს გობი საჯინიბოს წინ იდო. ერთხელ, დილით, როცა ბზოუმ გემოზე მიირთვა სიმინდი და გუნებაზე მოსულმა გობს ფეხი მაგრად გაჰკრა, პატრონმა ისე უყვირა, რომ ცხენს ტანში ცივად გააჟრჟოლა.

ბადრა გობს კარების წინ დგამდა, მერე აუჩქარებლად, ჩხრიალით ამოიღებდა ჯიბიდან გასაღებების ასხმულას და მათგან ყველაზე ბრტყელს შეარჩევდა. ჯერ გულმოდგინედ დაათვალიერებდა ბოქლომს, ღამით ვინმეს ხელი ხომ არ წაუცდაო, და მერეღა მოარგებდა ბოქლომზე გასაღებს. უკვირდა ბზოუს პატრონის სიმშვიდე და აუჩქარებლობა. იქნებ არ უნდოდა ბზოუს მიტოვება და ამიტომ არ ჩქარობდა? ბზოუს ადამიანზე ნაკლებ კი არ შეეძლო სიყვარული. მაგრამ ადამიანი მაინც სხვაა. ის ჯერ ასჯერ გაზომავს და მერე მოჭრის. ყველაფრის გაგება არ შეეძლო ბზოუს.

მოუთმენლად ელოდა ხოლმე გათენებას ბზოუ, მთელი ღამე ელოდა ბადრას. მაგრამ მოთმინების ძაფი მხოლოდ მაშინ უწყდებოდა, როცა ყურს მოკრავდა ნაცნობ ფეხის ხმას. ბადრას შემოსვლამდე დარჩენილი წუთები გრძელ ღამეზე უგრძესი ეჩვენებოდა.ყურებდაცქვეტილი, დაჭიმული, კისერს წინ იწვდიდა, ფლოქვებით მიწას ტორავდა და მოთმინებადაკარგული

აქეთ-იქით აწყდებოდა. ნეტავ, რისთვის დაუკიდია პატრონს ამხელა ბოქლომი საჯინიბოს კარზე! ბადრა ჭკვიანი კაცია, უიმისოდ სოფელში არც ერთი მნიშვნელოვანი საქმე არ გადაწყდება. ასეთი ბრძენი კაცი ნუთუ ვერ ხვდება, რომ ცხენი მის გარდა არავის გაიკარებს? არ ახსოვს განა მის პატრონს, ამ რამდენიმე წლის წინათ, დოღზე რა დღე აწია ბზოუმ იმ მხედარს, რომელმაც გაბედა და ზურგზე შეაჯდა?

ბზოუ ახლოსაც არ მიუშვებდა კოჭლ ჰარუნს, პატრონს (ვისიც უსიტყვოდ ესმოდა და ცოტა ეშინოდა კიდეც) მაგრად რომ არ მოექაჩა აღვირი. ბზოუმ თვალებში ჩახედა ამ კაცს და ტანში ცივად გააჟრჟოლა, თითქოს ყინულის ნაჭერი გადაეყლაპოს. იმ დღეს ცხოველმა შეიძლება ადამიანზე კარგად იგრძნო, რომ ეს კაცი არა მარტო ხორცით, სულითაც მახინჯი იყო. მაგრამ ხალხს საკუთარი გონებისა უფრო სჯერა, იგი ყურადღებას არ აქცევს ცხოველის გუმანს.

ჰარუნს თითქოს სურდა ფეხი ეკრა ბზოუსთვის, ისე ლაყუნ-ლაყუნით მოდიოდა; ისე უახლოვდებოდა ცხენს, როგორც შეყვარებული ვაჟი ესწრაფვის ხოლმე სატრფოსთან შეხვედრას, მაგრამ მანძილი ისე შორია, როგორც ცასა და დედამიწას შორის. ხვდებოდა ალბათ, მიუწვდომელი იყო მისთვის ბზოუ და ხარბი თვალებით ჭამდა ცხენს. რაღაც ჩაიდუდღუნა და კისერზე ხელი მოუთათუნა. ბზოუს ურუანტელმა დაუარა, თვალები დააკვესა და ყალყზე შედგომა დააპირა. პატრონს არ გამოჰპარვია მისი მოძრაობა, დაბალი, მაგრამ ძლიერი ხმით შეუძახა ცხენს და სადავე ხელში დაიმოკლა. ბზოუს ყოველთვის თრგუნავდა ყბებში გაჭერილი რკინა და დაჰყვა პატრონის ხელს. ჰარუნს უკან კიდევ ორი კაცი მოსდევდა. ამ ორს რატომღაც ფეხები უკან რჩებოდა. კაცები რაღაცაზე კამათობდნენ, ჰარუნი კი მჯიღს იცემდა მკერდში, თითქოს ღმერთს ავედრებსო სულს და რაღაცას სთხოვდა ბზოუს პატრონს. რა უნდა ექნა ბადრას? ამბობენ, თუ კაცმა გთხოვა, ცხენსა და უნაგირ-

საც ვერ დაუჭერო. რა ექნა ბადრას, ველარ უთხრა უარი ჰარუნს, ათხოვა ცხენი. ბზოუ აქეთ-იქით აწყდებოდა და ჰარუნმა კარგა ხანს ვერ მოახერხა უზანგში ფეხის გაყრა. ბოლოს, როგორც იქნა, აბობღდა ცხენზე. ბზოუმ მაშინვე იგრძნო, უცხო კაცი რომ მოაჯდა ზურგზე. ბადრა, მისი პატრონი, სხვაგვარად იქცეოდა, გამართული იჯდა ხოლმე უნაგირზე, ფეხებიც მტკიცედ ჰქონდა შემოტმასნილი ცხენის გვერდებზე, ჰარუნს კი ფეხები ისე გაეჩაჩხა, თითქოს წისქვილში წასასვლელად გამზადებულაო. უღონო ფეხით ცხენს მუცელში სცემდა წარამარა. დოღზე ამგვარი რამ არასოდეს ენახა ბზოუს. ერთადერთი რამ, რაც მოეწონა, ის იყო, რომ მხედარი პატრონზე მჩატე ჩანდა და მისი ტარება უფრო იოლი იყო.

ბზოუ პირველად არ ხედავდა წრიულ ველს, კარგად ახსოვდა ის სწორი ხაზიც. იგი ცეკვა-ცეკვით გაემართა იქით, სადაც მისი მოძმენი ჩამწკრივებულიყვნენ.

რატომ არ ესმოდა ბზოუს ადამიანების ენა! მაშინ ხომ გაიგებდა, როგორ აქებდნენ მას დოღის მესვეურები, მაყურებლები, რომელთაც კარგად გაეგებოდათ ჯიშიანი ცხენის ყადრი. დღესაც არ ივიწყებენ, რამდენჯერ უსახელებია ბზოუს შინ და გარეთ თავისი სოფელი აფსარა.

— ცხენმა იცის კაცის ცნობა!

— ცხენსაც უნდა გაუგო მუღამი, ზოგი მათრახს არ დაირტყამს, ზოგი — პირიქით. ბზოუმ ვერ აიტანა მათრახი!

— ის მხედარი ლოხ ცხენებს იყო მიჩვეული, დეზების ცემა რომ სჭირდებათ წარამარა.

— მართალია სთხოვა, მაგრამ არ უნდა დაესვა.

— კარგ ცხენს, დად, კარგი ხელი სჭირდება!

ასეთ საუბარს გაიგონებდით დოღის დამთავრების შემდეგ. ახლა კი ბზოუ თავის მოძმეების გვერდით დგას და ყელყელაობს. რამხელა მოთმინება აქვს ამ ხალხს! ელოდებიან, ელოდებიან... რაღას უცდიან? ჰარუნი კი უძლურ ფეხებს კვლავ

უფართხუნებს ცხენს. ჯერ არ მიუციათ ნიშანი, ჯერ კიდევ არ არის გვიან, პატრონს შეუძლია მოვიდეს, მოახტეს თავის ცხენს... ბზოუს მხოლოდ თავისი პატრონი უნდა, მას იცნობს და სჯერა მისი. ცხენმა კარგად იცის თავისი მოვალეობა, მან არ უნდა იგრძნოს, როგორ იმაგრებს თავს მხედარი უნაგირზე, — ეს ხელს შეუშლის. ბზოუმ წინ უნდა იყუროს, მხოლოდ წინ. იქით უნდა იყოს მიმართული მისი გულისყური. ბზოუს მოძმენი ეტოქებიან, ჯიბრით სავსე აქვს ჯიღა თვალები.

გაისმა თოფის ხმა. აზანზარდა მიწა. მტვრის ბუღში ჩაიკარგნენ ცხენები. ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი მხედრები თავაწყვეტით მიაგელვებდნენ ბედაურებს. ერთ მათგანს ყაბალახი მოსძვრა, მეორეს მათრახი გაუვარდა ხელიდან. თავი აიწყვიტა ბზოუმ — ცხვირპირში სცემს სხვა ცხენების ამონასუნთქი ცხელი ოხშივარი, ვინ იცის, იქნებ ვერც კი ცნობენ: უცნობ მხედარს მოაქროლებს ახლა ბზოუ. იქნებ ეს სჯობს კიდეც მის პატრონს. წინათ მუხლი არც კი გაეშალა ხოლმე, რომ ბადრა უკვე მაგრად უჭერდა ლაგამს. სხვა ცხენები წინ გაიჭრებოდნენ, ჯერ ერთი უსწრებდა, მერე მეორე, მას კი თავს უჭერდა პატრონი. ჟინმორეულ ბზოუს ლამის სადავე გაეწყვიტა, ხაფანგში გაბმულივით ცქმუტავდა. ასე გაირბენდნენ პირველ, მერე მეორე წრეს და ბადრა ნელ-ნელა მოუშვებდა ლაგამს. ეს მხედარი კი ასე არ ბორკავს. ნიშანი მისცეს თუ არა, მაშინვე ნებაზე მიუშვა, თანაც პატრონზე გაცილებით მჩატეა. ერთი არ მოსწონს მხოლოდ ბზოუს: მოჩოლფოტებული ზის უნაგირზე — არ ჩამოვარდეს. თუმცა მხედარზე ფიქრობდა, მაინც წინ გაექანა და რამდენიმე ნახტომით ის ორი ცხენიც უკან ჩამოიტოვა, სათავეში რომ ჩასდგომოდნენ დოღს. უკვე აღარ სცემდა თავისი მეგობრების ცხელი ოხშივარი, ფლოქვების თქარუნიც სადღაც უკან დარჩა. შორს ჩამოიტოვა მდევრები. უფრო და უფრო ძალუმად უშხუის ქარი ყურებში. არასოდეს ურბენია ასე სწრაფად, სულ ვეღარ გრძნობდა ლაგამს.

— წავიდა ბზოუ, წავიდა!

— ყველა ჩამოიტოვა და მიდის!

— იჩქარე ბზოუ, მიდი, მიდი!

ბზოუს ესმოდა ბავშვების წკრიალა, გამამხნევებელი ხმები. კაცები ქუდებს იქნევენ, ამხნევებენ ბედაურს. ყველაზე კარგად კი ბზოუს ბადრას მჭექარე ხმა ესმის:

— არ გაუშვა, შეაკავე როგორმე, მაგრად მოსწიე სადავე!

მაგრამ მისი ხმაც ყვითელ ბუღში ჩაიკარგა.

ასეთი რამ არასოდეს დამბართნია ბზოუს. სუნთქვა ეკვროდა, უნდა შეენელებინა სრბოლა. მოუკლო სიჩქარეს. უკვე ესმოდა მდევარი ცხენების თქარათქური. მალე იგრძნო ოფლის ნაცნობი სუნიც, თითო-ოროლამ გაუსწრო კიდეც. ამგვარ რამეს პირველად ხედავდა ბზოუ ამ მრგვალ მინდორზე. ცოტა სული მოითქვა, მერე ძალა მოიკრიბა და კვალში ჩაუდგა წინგაჭრილ ცხენებს, თავაწყვეტილი რომ მიქროდნენ და მიწის ნაფლეთებს ისროდნენ ჰაერში. უცნაურმა ბოლმამ ჩაიბუდა მის გულში. მიწას გაეკრა, ოფლით დაეცვარა თვალები. ერთი ზედმეტი მოძრაობა და, შეიძლება მეწინავე ცხენის ფლოქვები თავში მოხვედროდა. ცხენები ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს, ხან ერთი იყო წინ, ხან მეორე. ჯერ კიდევ ძნელი გზა ედოთ წინ, ჯერ შორს იყო გამარჯვება. რაც უფრო აწვებოდა გულზე ბოლმა, მით უფრო ცდილობდა, ჩქარა ერბინა. ყურს უხვრეტდა გზისპირას ჩამწკრივებული ხალხის ხმაური — ცხენებს რომ ამხნევებდნენ, თითქოს ისინი შემატებდნენ ძალას ბზოუს. ცოტაც და ამ დათქერილ მიწას აღარ შეაწუხებდა ცხენების მძიმე ფლოქვები. ბზოუს ახლა ერთი ცხენიღა უსწრებდა. ბადრა თავის ცხენს უკანასკნელ შემოვლამდე წინ არასოდეს გაუშვებდა ხოლმე: ძალა უნდა დაეზოგა ბზოუს. ახლა კი ძალიან დაიღალა. მაგრამ გულში დაგროვილმა ჯავრმა მუხლში ღონე შემატა. გრძნობდა, თუ პირველი არ მივიდოდა, გული გაუსკდებოდა. თუ მხედარმა დასაწყისში უღალატა, ახლა მაინც ნუ შეუშლის

ხელს. ოფლად გაიღვარა, ერთიანად გაიქაფა ბზოუ. დაბერილ ნესტოებიდან გამონაფრქვევ ორთქლს ქარი უკან უბრუნებდა და პირში სცემდა. ბზოუს ესმოდა სტვენა, ყვირილი, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა ამ ალიაქოთს. მასზე კარგად ვინ იცის, როგორ მოიქცეს? ერთი, ერთადერთი რამ არის ახლა მთავარი — რადაც არ უნდა დაუჯდეს, უკან უნდა ჩამოიტოვოს მეწინავე ცხენი. აგერ უკვე გვერდში ამოუდგა, ერთხანს გვერდიგვერდ მიქრიან ორივენი. ბზოუს თვალებს უწვავს თავისი ამხანაგის ნესტოებიდან მონაბერი ცხელი ოხშივარი, ცხელი ჰაერის ტალღა ფაფარზე ევლება, მერე ზურგისაკენ ინაცვლებს და აი, ბზოუ უკვე ეწევა წინწასულ ბედაურს.

ამ დროს ჰარუნი უნაგირზე შეტოკდა და ცხენს გამეტებით დასცხო მათრახი მკერდზე. ბზოუ შეძრწუნდა, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, აერია ფეხები, ტყვიასავით ჩაუქროლა მდევარმა ცხენმა. საზარლად დაიხვნეშა, დაიჭიხვინა ბზოუმ. ხალხის ხმაური დაფარა ბადრა ბარყუნის ხმამ:

— ნუ სცემ ასე გამეტებით, შე დალოცვილო! — შემდეგ თავისთვის ჩაიბურტყუნა: — რატომ მიწა არ გასკდება და თან არ ჩამიტანს! ვის ვათხოვე ცხენი, მათრახის ხმარება არ იცის კაცმა!

ბზოუს ფეხები რომ აერია, კოჭლ ჰარუნს ეგონა, ცხენი დაიღალაო და ღონივრად დასცხო მათრახი. გაბრაზებულმა ბზოუმ კისერი ძალუმად წასწია წინ და თვალის დახამხამებაში სადავე ხელიდან წააცალა მხედარს. ჰარუნი ფაფარში ჩააფრინდა ცხენს. ცხენებმა ერთიმეორის მიყოლებით გაუსწრეს ბზოუს. ყველა, ერთობლივ, მას უყურებდა. ბზოუ შემობრუნდა, თითქოს სხვა ცხენებს ადგილს უთმობსო და იქით გაექანა, სადაც უფრო ნაკლებად ჩანდა ხალხი, ელვასავით გადასერა მრგვალი მინდორი. პატრონს გული ყელში მოებჯინა, სირბილით შეეგება ბედაურს და აღვირზე უტაცა ხელი. ვეღარ სცნობდა ბადრა თავის ცხენს. თვალებჩასისხლიანებულ, ერთიანად აძაგძაგებულ

ბზოუს აღარავის ნახვა აღარ სურდა. მერე იქით გაიხედა, სადაც მისი მოძმენი მიგელაობდნენ და ჭიხვინით გაეხმაურა მათ. ეს წრიული მინდორი ცხოვრებას ჰგავს, თუ გზიდან გადაუხვიე, მარტო დარჩები.

— გზას როგორ ასცდა!

— არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი, — თქვა განაპირას მდგარმა მოხუცმა, რომელიც თვალს არ აშორებდა ბზოუს. მან მძიმედ დაჰკრა ყავარჯენი მიწას. ეს მოხუცი სოფელ აფსარის მეთულუხჩე გახლდათ. შეაბამდა ხოლმე კამეჩებს უღელში, დააწყობდა ზედ კასრებს და წყალი ამოჰქონდა ყანებში მომუშავე გლეხებისათვის ან ჩაის პლანტაციებში ავიდოდა და მზით გათანგულ ქალებს დაარწყულებდა. არავის უნახავს იგი ცხენზე შემჯდარი. არც ის ახსოვთ, როდისმე ცხენი ჰყოლოდა, მაგრამ არც ერთ დოღს გამოტოვებდა ხოლმე.

გავიდა ერთი წელი და შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს ბზოუმ ისევ ნახა ცხენების ოფლით მორწყული მრგვალი მინდორი. დოღის დაწყებას არაფერი აკლდა, რომ ხალხს ისევ გამოეყო კოჭლი ჰარუნი; ორად გაკეცილ მათრახს პრიალა ჩექმებზე იტყაპუნებდა და პირდაპირ მათკენ მოემართებოდა. აღვირზე უტაცა ხელი ბადრას, ხელებს შლიდა და რაღაცას უმტკიცებდა უწინდებურად. ბზოუმ კინაღამ გაკვნიტა ლაგამი. ბადრა ძირს არ ჩამომხტარა. იგი მხოლოდ მაშინ ჩამოხტა ცხენიდან, როცა ბზოუმ პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი. ცხენი ყმაწვილკაცებს მიანება და ხალხს შეერია. როგორ აქეს და ადიდეს მაშინ ბზოუ!... მუხლი დაულოცეს, მიუალერსეს.

— სადაც ბზოუა, იქ სხვა ცხენი ვერ გაიხარებს!

— ირემსაც შეშურდება ბზოუს კენარი წელი!

— სახლ-კარს ანაცვლებ ასეთ ცხენს, სახლ-კარს! — თქვა სოფელ აფსარის ფერმის მებარგულე შაჰანმა, რომელსაც ქუდი მოეხადა და მლოცველივით გარინდულიყო. ეს შაჰანი მთაში არასოდეს ასულა, ერთხელაც არ გადმოუხედავს მაღალი მთი-

დან ბარისთვის, მთის კალთებამდე ააცილებდა ხოლმე მწყემსებს, მერე უკან ბრუნდებოდა. დიდი და პატარა დასცინოდა ამის გამო შაჰანს.

— არ შემცდარა, ვინც მაგას ბზოუ დაარქვა. მართლაც ნართების ცხენის ჯიშისაა!

— ვერც ერთი ცხენი ვერ გაბედავს და ბზოუს ვერ გაეჯიბრება!

ამ კაცმა, ბზოუს რომ უტრიალებდა და ამას ამბობდა, არ იცოდა, რომ ყოველი დოღის შემდეგ ბზოუს საშინლად სტკიოდა ძვლები. განა ვერ ხედავს, როგორ იწურება ოფლში, ფეხზე ძლივს დგას და მთელი სხეული უკანკალებს? ამ კაცს არ გაეგებოდა ძნელი გამარჯვების ფასი. მრგვალი მინდვრის დანახვაზე ბზოუს ორნაირი გრძნობა ეუფლებოდა ხოლმე, ორივე გრძნობა თანაბრად ძლიერი იყო და ბზოუმ არ იცოდა, რომლისთვის მიენიჭებინა უპირატესობა: ბზოუსთვის დოღი ცხოვრება იყო, სარბენად ამაზე მოხერხებული მინდორი მას არ ეგულებოდა. პირველი ადგილი კი — ქება-დიდება, ტრაბახი, საჩუქრები, — ეს ყველაფერი უცხო იყო მისთვის.

... რა მოუთმენლად ელოდა დილ-დილობით პატრონის მოსვლას! სული ელეოდა ხოლმე, როცა ბადრა ბოქლომის ახსნას დაიწყებდა. მის პატრონს ეჭვი არ უნდა შეჰპარვოდა, რომ ბზოუ უცხო კაცს, კოჭლი ჰარუნის გარდა, ცეცხლივით უფრთხოდა, მაშინვე ცივად გააჟრჟოლებდა ხოლმე ტანში. მაშ, რაღად უნდა ამხელა ბოქლომი, საჯინიბოს კარზე რომ უკიდია და ამდენ ხანს უნდება ხოლმე გახსნას? ხომ არ ეშინია, რომ მოვა კოჭლი ჰარუნი, მალულად შეკაზმავს მას და მათრახით აუწვავს კისერს, მკერდს, გავას?... მეზობლები ხშირად ექილიკებოდნენ ბადრას ამის გამო, ის კი ყოველთვის ერთს პასუხობდა ყველას: — კარგი ცხენი ლამაზ ქალიშვილს ჰგავს, ყველას თვალი ზედ რჩება, ყველა უმალ მის ხელში ჩაგდებას შეეცდება. ბზოუს მამა მოიპარეს და სვანეთს გაუყენეს. მისი საჯინიბო ბოქლომით არ იყო

დაკეტილი და იმიტომ. სვანი აქ არ მოსულა და არ მოუპარავს, აქაურმა თახსირმა კაცმა მოიპარა და მას მიჰყიდა. თქვენ აინუნშიაც არ ჩაგიგდიათ ეს, მე კი მის ძებნაში ლამის სული ამომხდა. მოძებნაზე უფრო მისი უკან დაბრუნება გამიჭირდა. ნაყიდ ცხენს გამომატანდა სვანი? არც მას ახსოვდა, ვისგან იყიდა ცხენი, ვერც მე გავიგე მისი ვინაობა. ყაბარდოულ ცხენს აგრერიგად როგორ დამიბრუნებდა — მოკვდებოდა და არ მომცემდა. ვუჩივლე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. მე ორჯერ მეტი ფული მივეცი და, როგორც იყო, გამოვართვი. საცოდავი არაბია ჩემს ხელში დაბერდა და მოკვდა. ადამიანის შვილივით მივაბარე მიწას. ასეთი მამის სისხლი უდგას ძარღვებში ბზოუს. მართალი გითხრათ, მოპარვის იმდენად არ მეშინია, როგორც მისი წახდენისა. მართალი უთქვამთ — ცხენის და თოფის თხოვება არ იქნებაო. საკუთარი ცხენის და თოფის ყადრი პატრონის გარდა არავინ იცის. ბზოუს თუ გაუგე მუღამი, მერე დაწექი მის ზურგზე და დაიძინე, გინდ დოღი იყოს, გინდ შორეული მგზავრობა. იცის თავის საქმე. მის ადგილას სხვა ცხენი რომ ყოფილიყო, იმ მთებიდან სულს ვერ ჩამოვიტანდი.

და დაიწყებდა ბადრა მოყოლას, რა გადახდა თავს ბზოუსთან ერთად. მთაში თავისუფლად ნავარდს მიჩვეული კვიცი უჩვეევი იყო აღვირს. სოფელ აფსარის მკვიდრთ მრავლად ჰყავდათ ყოველთვის პირუტყვი. ბადრა ბარყუნი მსხვილფეხა საქონლის მწყემსი იყო. ზაფხულში, როცა სოფლის საქონელი მთაში გარეკეს, ბადრამ კვიცი თან გაიყოლა. სუფთა ჰაერმა და ყუათიანმა ბალახმა გაალაღა ბზოუ. ერთხელ ბადრას ნაჩქარევად მოუხდა მთიდან წამოსვლა: სოფლიდან ამბავი ამოუტანეს, მამაშენი ცუდად შეიქნაო. ამბის მომტანმა გააიოლა ავადმყოფის მდგომარეობა, მაგრამ ბადრა მაშინვე მიხვდა, რომ მამამისი მძიმედ იყო ავად, თორემ სოფლიდან კაცი ასე არ ამოქანდებოდა. ბზოუ მწვანედ აბიბინებულ ფერდობზე ძოვდა. მთის ჰაერს დაეცადა და სიმსუქნე ჯერ არ ეტყობოდა. შეკაზმვას ვინ ჩივის,

სათოფეზე არავის იკარებდა. ბადრამ მწყემსები დაიხმარა და ძლივს დაიჭირა ცხენი.

— მზე უკვე შუბის ტარზეა გასული, გზაში შემოგაღამდება. დარჩი ამაღამ, ხვალ კი დილასისხამ დაადექი გზას, — ურჩია ფერმის გამგემ.

არა და არა ქნა ბადრამ, მოახტა ცხენს და ბილიკზე დაეშვა. გზაში დაადევნეს:

— ცხენი უხედნია, სიბნელეში გზის გაკვლევა გაუჭირდება, რამე ხათაბალას არ გადაგყაროს. გზად მწყემსების ნაბინავარი შეგხვდება, ეცადე ღამე იქ გაათიო!

მთის მსუბუქი ჰაერი ყოველ ცოცხალ არსებას აღაგზნებს ხოლმე. აღტკინებული ბზოუ კვიცობდა, აღვირს ვერ ჰგუობდა; „უაღვიროდ გზას ვერ გაიგნებს თურა?!“... პირველად რომ ამოსდეს ღრანჭებში ლაგამი, ლაშები ორივე მხარეს წააჭამა რკინამ, ახლაც, როცა ამ წუთებს იხსენებს, ჟრუანტელი უვლის ტანში. სამ ვაჟკაცს ხელებიდან სისხლი ადინა, რამდენჯერ შეატოვა ხელში მწყემსებს აღვირი და საბელი. აღვირის ჩხარაჩხური მგლის კბილების ღრჭენას აგონებდა ბზოუს. ასე გახედნეს ალბათ მამამისიც, რადგან ისიც ასე გაალაღა მთის ჰაერმა, მასაც უყვარდა თავაწყვეტილი სრბოლა-ნავარდი. რა იქნება, რომ ცოტა მიუშვან თავის ნებაზე! ბზოუ ხვდებოდა, რომ პატრონს ძალიან უჭირდა, მამამისის მდგომარეობა გულს უკლავდა. ცხენს ერთი სული ჰქონდა, ამ წელაფერდა გზაზე გაეკურცხლა, სურვილს უფრო უცხოველებდა ფლოქვებქვეშ დამსხვრეული ნაშალი ქვის ხრიალი. მაგრად ამოჭერილი საძუე ცხენს წინ ერეკებოდა, თითქოს მის გასწრებას ლამობსო, უნაგირიც წინ, კისრისკენ მიხოხავდა. განა უუნაგიროდ არ შეიძლება ცხენზე ჯდომა? — ჯავრობდა ბზოუ. გონიერმა პირუტყვმა არ იცოდა, რომ კაცს ცხენი მანამდე სჭირდება, სანამ საქმეს გამოელის მისგან. არ იცოდა ეს ბზოუმ და ამიტომაც მიენდო პირველად და საბოლოოდ თავის პატრონს. უადგილო ეჩვენა ბადრას ამხ-

ანაგების რჩევა-დარიგება, ღამე სადმე გზაში გაათიეო, თუმცა ისეთ ნაცად კაცს, როგორც იგი იყო, კარგად მოეხსენებოდა, რომ ნაძვნარით დაფარული მთაგორიანი შოუდიდან ორი დღის სავალს მლაშე ზღვის ჰაერით გაჟღენთილ სოფელ აფსარამდე ვერავინ შუადღემდე ვერ გაივლიდა.

შემოღამებამ ოკრობოკრო, კბოდეებიან ადგილას, ფარდღიალს რომ ეძახიან — იქ მოუსწრო. ასე იცის მთაში: დღე არის და ჰაერი საოცრად გამჭვირვალეა, მზე თვალისმომჭრელად კაშკაშებს, ღამე კი ისე ჩამობნელდება, კაცი თვალთან თითს ვერ მიიტანს, ბნელ გამოქვაბულში გეგონება თავი. მალე მთის ფერდობებს მუქი ჩრდილი დაეცა. ასეთ ღამეში, როცა ფარდღიალი გასავლელია და თან კოკისპირულად წვიმს, ერთი რამის გაკეთება შეიძლება და ბადრამაც გააკეთა გასაკეთებელი: ნაბადში გახვეულმა ცხენი ნებაზე მიუშვა და თვითონ აღარც განძრეულა უნაგირზე. ხანდახან, როცა ისე დაიჭექებდა, თითქოს მეხი ჩამოიქცაო, ბზოუ საშინლად აჭიხვინდებოდა; ჩადგებოდა თუ არა ჭექა-ქუხილი, თვითონაც გაილურსებოდა, სიბნელეს თვალს შეაჩვევდა და მაშინვე ისევ გზას გაუტევდა. ხანდახან, როცა ისევ წამოუვლიდა ფიქრი ნავარდზე და ფეხები აქავდებოდა, მაშინვე ივიწყებდა ყველაფერს, თითქოს ხვდებოდა — ახლა რა დროს ეს არისო.

გათენდა. ის მთა, წუხელ ბილიკ-ბილიკ რომ ჩამოათავეს, ახლა ვაკედ მოეჩვენათ. ბზოუს ფეხზე არც ერთი ნალი აღარ შერჩენოდა, მაგრამ მაშინ ამას ვილა ჩიოდა.

ახლა კი აქ, საჯინიბოში, უკვე ერთი კვირაა, ბზოუს ის ღრანტეები და ის უფსკრულები ელანდებოდა. ახლაც ცივი ოფლი ასხამდა ამის გახსენებაზე, ყურში ისევ ჩაესმოდა ჭექა-ქუხილის გამაყრუებელი ხმაური. მის ერთგულ პატრონს სამუდამოდ დაამახსოვრდა ეს ამბავი. შენი თვალების ჭირიმეო, სიყვარულით უთხრა თავის ცხენს და მაგარი ყბები დაუკოცნა. პირველად მიეფერა თავის ცხენს ბადრა.

ბზოუსაც სამუდამოდ დაამახსოვრდა ეს დღე.

ნუთუ ადამიანის გონება პირუტყვისაზე სუსტია? მაშ, რატომ ივიწყებენ ისინი ასე მალე ყველაფერს?

უკვე კარგა ხანია, რაც მზის სხივმა იჭიატა საჯინიბოს ჭუჭრუტანაში. ღობეზე შემომჯდარმა ჩიტუნამაც იჯერა გული ჭიკჭიკით. ყოველ დილით, გარიჟრაჟზე, ეს ჩიტუნა მზის სხივს შემოჰყვება ხოლმე ჭუჭრუტანიდან, სკუპ-სკუპით გარშემო შემოუფრენს ბზოუს, და როგორც კი მზე კარგად დააჭერს, მაშინვე გაფრინდება. სად წაიყვანს დღეს პატრონი ბზოუს? ყველაფერს ის სჯობია, შეხსნას აღვირი და საძოვარზე გაუშვას, აი ისე, დედასთან ერთად რომ ბალახობდა ხოლმე ერთ დროს. გააღებს ბადრა კარებს და თავნება ქარი შემოვარდება საჯინიბოში, ნამიანი ველებიდან შემოდგომის სურნელს მოიტანს. ეს სუნი თავბრუს ახვევს ადამიანს, ბზოუს კი თვალწინ ვრცელი, დაუსაბამო ტრამალები წარმოუდგება. მერე ბადრა შემოვა და დაუძახებს:

— ბზოუ, ბზოუ!

პატრონის ხმის გაგონებაზე ბზოუს ყველაფერი ავიწყდება. სანამ ის სიმინდს ჭამს, ბადრა თავისი გრძელტარიანი თოხით გომურის გამოხვეტას იწყებს: ეშინია, ცხენს მყრალი სუნი არ ეცეს და საჭმელზე უარი არ თქვას. ამიტომაც დიდხანს და გულმოდგინედ ასუფთავებს საჯინიბოს, გააქვს თივის ნარჩენი. ბზოუ არასოდეს ჩატოვებს სიმინდს გობში. იცის, რომ პატრონს ეს სწყინს, და ბოლო ტაროსაც სიამოვნებით შეექცევა ხოლმე. მოიკლავს შიმშილს და პატრონს ნაზად გაეხახუნება მხარზე, როგორც ერთ დროს დედას ეფერებოდა ხოლმე კვიცობაში. როცა ბადრა საბელს მოსდებს კისერზე, ბზოუ მხიარულად ჭიხვინებს და თამაშ-თამაშით გამოდის საჯინიბოდან, გარშემო ურბენს პატრონს და თვალები აქეთ-იქით გაურბის. ხანდახან თავს წაართმევს პატრონს და იმ ველისაკენ გაკურცხლავს, მის კარმიდამოს რომ ესაზღვრება. ერთი მუხლში გაიშალოს, გაინ-

ავარდოს და მერე, გინდაც უყვირონ, მათრახით სცემონ, იგი მაინც ბედნიერია.

ბედზე, საჯინიბოდან გამოვა თუ არა, მაინცდამაინც ის მინდორი შეეფეთება ხოლმე თვალებში. შუაში ერთი ხე დგას, დანარჩენი მინდორი მოტიტვლებულია ერთიანად. მთაში წასვლის წინ იქ უყრიდნენ ხოლმე ცხენებს თავს. ბზოუ ყოველთვის ერთ გაძვალტყავებულ, ნეკნებჩამოყრილ ცხენს ხედავდა. ეს ბეხრეკი, ნაცრისფერი ცხენი ზამთარ-ზაფხულ აქ დაწოწიალებს. ამ ცხენის დანახვაზე ბზოუ წვრილი ხმით ჭიხვინებს, ცხენი კი თავს ასწევს მხოლოდ, მეტი არაფერი, ხმას არ იღებს არასოდეს, მუნჯივით დგას ერთ ადგილას გალურსული. ბზოუს საბელი არ უნახავს მის კისერზე, ყოველთვის შიშველი აქვს კისერი. ერთი სისხლისანი არიან ის ცხენი და ბზოუ, ამიტომაც შესჭიხვინებს მას ყოველთვის, ბეხრეკი კი თავს მძიმედ ასწევს, ზანტად ებლიტება თვალები, მერე ისევ ჩაღუნავს გაწვრილებულ კისერს და ბალახის ძოვას განაგრძობს. რატომ აქვს ამ ცხენს ზურგი ასე ჩავარდნილი? — ამდენი არ იცოდა ბზოუმ. იგი თავისი სინორჩით ტკბებოდა, ჯერ ისეთი მჩატე და ჰაეროვანი იყო, როგორიც მაღალი მთიდან მოვარდნილი ქარია.

ეზოს ერთ კუთხეში თავწაკვეთილი ხე დგას, ქორბუდა ირემივით გაბარჯღული. მიაბამს პატრონი ბზოუს ამ ხეზე, ამოიღებს ქამარში გარჭობილ პრიალა დანას და ცხენს ქაჩაჩებს უწმენდს. ბზოუ კანში ვერ ეტევა, ცქმუტავს, ერთ ადგილზე ვერ ისვენებს.

— დადექ, შე სამგლევ! — ფეხში წაარტყამს პატრონი. ბზოუ წყნარდება. პატრონის რბილი ხელების შეხებას რა უშავს, მათრახით აუწვას გვერდები თუნდაც, ცივ წყალში აყურყუტოს მთელი დღე, ოღონდ ის მწვალებელი, კოჭლი ჰარუნი არ გააკაროს ახლოს. იქნებ თავისი თვისტომისთვის ცუდი არ იყო ჰარუნი, მაგრამ ბავშვობაში ფრთახატულა პეპლების ჭერა ეყვარებოდა ნამდვილად. თავიანთ სილამაზეს ეწირებოდნენ

ლამაზი პეპლები: ჰარუნი ისე ჩაბღუჯავდა მათ მუჭში, პეპლები მაშინვე იღუპებოდნენ ხოლმე.

ბადრა თავისი ბასრი დანით ქაჩაჩებზე ბეწვს აჭრიდა ბზოუს და თან ნალებს უსინჯავდა. მერე ცხენს სამურველით გაწმენდდა და შეკაზმავდა. ამის შემდეგ საშინაო ტანსაცმელს გაიხდიდა და ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, უძიროების ჭრაჭუნით ეზოში გამოვიდოდა.

— უზანგებს როგორ სწვდები, ალბათ კუნძზე ადიხარ და ისე ჯდები ცხენზე, არა? — ეხუმრებოდნენ ბადრას ძმაკაცები.

ჩაფსკვნილი, ჯანიანი კაცი იყო ბადრა. ბზოუსთან შედარებით ჩანდა ტანმორჩილი, თორემ არც ისე დაბალი იყო! ისე დაკეცავდა ხოლმე ნაბადს, რომ უზანგებში გაატარებდით. ეს ნაბადი იყო ბზოუს მთელი ტვირთი. როცა ბადრა ნაბადს უნაგირზე დაამაგრებდა, ბზოუმ უკვე იცოდა, რომ პატრონი სადღაც შორს მიემგზავრებოდა. არც ცხენი და არც მხედარი ავ თვალს არ დაენახვებოდნენ. ჩოხა-ახალუხი ტანზე კოხტად შემოწკეპოდა ბადრას. უხდებოდა აბრეშუმის ყაბალახი, ფართო გულმკერდზე თეთრი მასრები უპრიალებდა. მათრახი ორკეცად ეჭირა ხელში. თვალს ვერ მოსწყვეტდით მაშინ ბზოუს: ცეკვა-ცეკვით მიდიოდა, ყელს იღერებდა და თავს იწონებდა. ბადრა გაჯგიმული იჯდა ხოლმე ცხენზე, რაც ბევრს სიცილს გვრიდა. ის კი აინუნშიაც არ აგდებდა ხალხის ქილიკს. ასეთი გაეჩინა ღმერთს — უყვარდა თავის მოწონება.

სოფელ აფსარის მცხოვრებთ ბადრას ერთი თავგადასავლის მოყოლა უყვარდათ განსაკუთრებით. ყველა, იყო იქ თუ არ იყო, ისე ყვებოდა ამ ამბავს, თითქოს საკუთარი თვალით ენახოს ყველაფერი. გეგონება, სხვაგან არსად ყოფილანო მაყარში, იმ ღამის ამბავი დამახსოვრებოდა ყველას. ბოროტი ენები ამბობდნენ, თავისი ლამაზი ცხენის ხათრით ეპატიჟებიან ხოლმე ბადრას ქორწილებშიო.

ზოგი ბადრას ესარჩლებოდა: „მარტო ცხენი რას იზამს? თუ

მხედარი არ ვარგა, ცხენსა და ჯორს ერთი ფასი აქვს. ბადრა თვითონ არის კაცური კაცი, იცის სად რა თქვას და როგორ მოიქცეს".

ასე იყო თუ ისე, ბადრა მაყრების წინამძღოლად დანიშნეს. პატარძალი ყოველგვარი კუკუმალაობის გარეშე თხოვდებოდა. მღეროდა მაყრიონი და თოფ-დამბაჩას ატრიალებდა. პატარძლის სოფელი ერთ ბექიან ადგილას იყო გაშენებული. გაავდრდა. ცხენებს ფეხები ეფლობოდათ ტალახში. არც მხედრებს ადგათ კარგი დღე. ცა უფრო და უფრო იქუფრებოდა, მაგრამ მაყრებმა მაინც სიცილ-ხარხარით შეაგელვეს ცხენები პატარძლის ეზოში. მასპინძლები მაშინვე ჩაეგებნენ სტუმრებს. მაყრებმა ცხენები ბიჭებს მიანებეს და აივანზე ავიდნენ. ოდასახლი ერთიანად გაეჩახჩახებინათ. ბადრას ამხანაგებმა ერთმანეთს გადახედეს და გაკვირვებისაგან კინაღამ თვალები გადმოსცვივდათ: მათი უძიროები ისე იყო ტალახში ამოსვრილი, რომ დარბაზში შესვლა ვერ გაბედეს. მათრახებიც ზურგს უკან გადამალეს, რადგან მოეხათრათ მასპინძლებისათვის მათი მიცემა. ყველა ბადრას უყურებდა, რომელიც ისე იყო გაწკრიალ-გაკრიალებული, თითქოს მასპინძლებთან ერთად ახლა გამოვიდა ეზოში. ტალახის ერთ წინწკალსაც ვერ იპოვნიდით მის შავ, პრიალა აზიურებზე. მათრახიც ახლახან ბუდიდან ამოღებულ თოფის ლულასავით უბზინავდა.

— უნდა გაიპრანჭო, მაშ როგორ! ვინც არ იპრანჭება, გული დაბერებია და ეგ არის. ასი წელიც რომ იცხოვრო მეუღლესთან ერთ ჭერქვეშ, მაინც უნდა გაეპრანჭო, — თქვა ბადრამ ღიმილით.

— ეგ კია მართალი, მაგრამ შენ ის გვითხარი: მოფრინდი თუ ჩვენთან ერთად ზილე გზაში ტალახი? — მისცვივდნენ ამხანაგები ბადრას. მან სიტყვა ბანზე ააგდო და მათთვის პასუხი არ გაუცია.

როცა შეზარხოშებულმა მაყრებმა „ურაიდას" სიმღერით

პატარძალი თავის ეზოდან გამოიყვანეს და ცოტა გაიმანძილეს, ბადრამ უნაგირს ქვემოდან ტილოს პაჭიჭები გამოაძვრინა და უძიროებზე ამოიცვა. სხვებსაც ეუბნებოდა, ასე მოიქეცითო. მხედრის ყველაზე დიდ სირცხვილად ბადრას ის მიაჩნდა, ცხენის აღკაზმულობა მოუვლელი თუ ჰქონდა.

... რაც ბზოუს თავი ახსოვს, დილით პატრონს გარდა, მისთვის საჯინიბოში არავის მიუკითხავს. მზის სხივმა უკვე კარგა ხანია შემოაღწია საჯინიბოში და ყველა კუთხე-კუნჭული მოირბინა. ბელურა დანაყრებულიყო და გარეთ გასულიყო წყლის დასალევად. ცოტა ხანს არ გამოჩენილა, მერე ისევ შემოფრინდა და ცხენის ფეხთან დასკუპდა. ერთ ადგილას მაინც ვერ მოისვენა, ფეხებში ებლანდებოდა ბზოუს, არც კი ეშინოდა, რომ ცხენს შეიძლება ფეხი დაედგა მისთვის და გაესრისა.

ბზოუს გული გადაელია ლოდინით. პატრონს ასე არასოდეს დაუგვიანებია. იქნებ წყალი ამოაქვს ჭიდან? ან იქნებ თივის მოსატანად არის წასული? მალე მოვა, ალბათ. მისი თბილი ჯუბატყავიც ჩალის სუნით იქნება გაჟღენთილი. ცხენს მუხლები დაეღალა, იმდენ ხანს ტორავდა მიწას, ვინ იცის, იქნებ აშხამლარშუ — მუხლის ავადმყოფობაც კი დაემართოს. ბზოუს ერთხელ უკვე ეგემა, რასაც ნიშნავს აშხამლარშუ. მაშინ ჯერ კიდევ ფიცხი კვიცი იყო. პატრონმა ფლოქვებში თოფის წამალი ჩააყარა და ცეცხლი წაუკიდა. ბზოუს შეეშინდა, ტანში გააჟრჟოლა, მაგრამ მალე ტკივილიც გამოუნელდა.

მოვა ბადრა, ცხენს საჯინიბოდან გამოიყვანს, სამურველით კარგად გაწმენდს და მერე იმ ველზე ჩაიყვანს, სადაც ნაცრისფერი, ჯანდაგი ცხენი ძოვს. იქ ცოტა ხანს გააჭენ-გამოაჭენებს, ხან აღმა გაჰქუსლავს, ხან — დაღმა. რიყის თეთრი ქვების დანახვაზე, მდინარიდან მონაბერი ნესტიანი ნიავის სუნზე ცხენს ცივად დაჭინჭრავს ტანში. პატრონი ძალით შეაგდებს მას შუაგულ მდინარეში. წყალი ისეთი ცივია, რომ ცხენს თავიდან ბოლომდე აკანკალებს. პატრონი კი ნაპირზე დგას და კისერს

უბანს ცხენს. გრძელი კისერი აქვს ბზოუს, შორია ნაპირამდე, მაგრამ ბადრა მაინც სწვდება ცხენს. ბზოუს ყორნისფრად ულაპლაპებს სხეული. წყლიდან ამოსულს სირბილის ჟინმა მოუარა — რა იქნებოდა, მთელი ქვეყანა თვალუწვდენელი ველი ყოფილიყო და მას, უბელოს, თავაწყვეტილს ერბინა...

მზის სხივი გაიზარდა, გაიზარდა და ტბორივით ჩადგა საჯინიბოში. ბელურამაც შეიფრთხიალა და გაუჩინარდა.

... ერთხელ საიდანღაც ბრუნდებოდნენ. პატრონს ალბათ მკლავი დაეღალა და როცა ცოტა გაივაკეს, აღვირი მიუშვა. მეტიც არ უნდოდა ბზოუს, მიწას გაეკრა. ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ პატრონმა თავი ველარ შეიკავა და მაშინვე ძირს მოადინა ზღართანი. ბზოუ კი მიჰქროდა.

— ბზოუ, ბზოუ! — მოესმა ბადრას ხმა და მოიხედა ერთიანად აკანკალებულმა.

ესეც თუ გაახსენდა...

მოვა სადაცაა...

„ბზოუ, ბზოუ", — როგორ ენატრებოდა ბზოუს ახლა ამ სიტყვის გაგონება. საკმარისი იყო, პატრონის ხმა გაეგო, ვერც ღობე და ვერც ჭიშკარი მას ვერ დააკავებდა.

მზე გაფერმკრთალდა. ალბათ ღრუბელი ჩამოეფარა. ნელანელა გაილალა მზის სხივი ჭუჭრუტანიდან და გარეთ კედლებზე ჩამოიღვენთა.

დედადაკარგული კვიცივით დაიჭიხვინა ბზოუმ. მაგრამ როცა იგრძნო, რომ მისი ჭიხვინი საჯინიბოში მოემწყვდია და არავის გაუგონია, ბრაზმორეულმა მიწას დაუწყო ტორვა.

დაეჩვია დილაობით მარილწყალში დასველებულ, ახალთახალი თივის ჭამას. ახლა კი წუხანდელ დაწუნებულ ჩალის ღეროებს არჩევდა და საცოდავად იკირკნებოდა. შიმშილის ატანა კიდევ შეეძლო ბზოუს, წყურვილს კი ძნელად იტანდა. კიდევ ერთი რამის მოთმენა არ შეეძლო — ყოველ დილით, საჯინიბოდან გამოსვლის შემდეგ, მახლობელ ველზე უნდა გასულიყო აუცილებლად.

ცხენმა გაიფიქრა, ხვალ დილამდე არაფერი იქნებაო და ნელ-ნელა დამშვიდდა. შებინდებულზე საჯინიბოში ბელურა შემოფრინდა, ცოტა წაიკენკა და ისევ გაფრინდა. მოშუაღამევ-და. ცაზე, ეტყობა, ერთი ვარსკვლავიც არ ჭიატობს. გარეთაც ისე ბნელა, როგორც საჯინიბოში. ძილ-ბურანში მყოფ ბზოუს ეჩვენებოდა, რომ პატრონი შემოვიდა, ეზოში გამოიყვანა ბზოუ, მერე ჭიშკარი გააღო და დაცემულ ველზე გასულმა მხიარული სიცილით, აღვირი კოჭლ ჰარუნს მისცა ხელში. ბზოუ შეკრთა, თვალები გაახილა და წამოყუნტდა. ამ დროს ეზოდან რაღაც დიდი ხმაური შემოესმა. ამის გაგონებაზე ტანში ჟრუანტელმა დაუარა და ბალანი აეშალა. კვიცის ხმას ჰგავდა, მტაცებელი ნადირი რომ დაეტანება ხოლმე. რატომ არ შეუძლია გარეთ გასვლა, ხომ მიეშველებოდა... ბზოუ კარებთან მივიდა და ხმას მიაყურადა. არა, ეს კვიცის ჭიხვინს არ ჰგავდა, ვიღაც კიოდა. მერე ამ კივილს სხვა გამოეხმაურა... ეზოში საშინელი გნიასი იდგა...

მეორე დღეს საჯინიბოში უცნობი კაცები შემოვიდნენ და ბზოუს თივა დაუყარეს. ჩალა დაუკუწავი იყო, კაცებს კი თავპირი ჩამოსტირიროდათ. მომდევნო დილას ისევ მოვიდნენ ის კაცები, ბზოუს აღვირი წამოაცვეს და საჯინიბოდან გაიყვანეს. ნეტავი, ცოტა ხანს მაინც გაეშვათ ეზოში თავის ნებაზე... ბზოუ შეკრთა და კისერი წაიგრძელა. ეს შემაძრწუნებელი ხმები უკვე სამი დღეა ესმის, მაგრამ ხალხი?... ეზოში ამდენი ხალხი ერთად არასოდეს უნახავს. ამდენი ხალხი ბზოუს მარულაზე ენახა მხოლოდ.

პატრონი სადღაც შორს მიემგზავრება ალბათ. ბზოუს ახ-ალთახალი უნაგირი დაადგეს, აღვირსაც კი ჯერ ტყავის სუნი ასდის. დგას ბზოუ თავწაკვეთილ ხესთან, შეკაზმული და სამგ-ზავროდ გამზადებული. მუხლებამდე სცემს მოქარგული, შავი ქსოვილი. ბზოუს შემხედვარე ხალხი საზარელი ხმით მოთქვამს. თვალებიდან ღვარები გასდით. ცხენს თავბრუ ესხმის, ხალხის

ხმაურმა ყურები გამოუჭედა. რა იქნება, მოვიდეს პატრონი და ეზოდან დაიფრინოს ეს ხალხი, გაარიდოს იგი აქაურობას, ისევე, როგორც დოღის დამთავრების შემდეგ სჩვეოდა — გამარჯვებული, მაგრამ დაღლილი ბადრა მაშინვე განაპირდებოდა ხოლმე.

ისევ იმ უცნობმა კაცებმა დაამწყვდიეს საჯინიბოში, კარებს ბოქლომი დაადეს და წავიდნენ. ირიჟრაჟა თუ არა, საჯინიბოში ბელურა შემოფრინდა და მზის სხივიც შემოიტანა. ეზოში თანდათან შეწყდა ხმაური და მალე ირგვლივ ისევ სიმშვიდემ დაისადგურა. ისეთი სიჩუმე სუფევდა, დიდი ჭექა-ქუხილის შემდეგ რომ ჩამოდგება ხოლმე. ბზოუ ისევ ელოდა დილაობით პატრონს. ეს უკვე აღარ ჰგავდა იმ მოლოდინს, ადრე რომ სჩვეოდა ცხენს. ახლა უფრო მძიმე შექმნილიყო მოლოდინი — ბზოუს ხომ უკვე დიდი ხანია აღარ ენახა თავისი პატრონი. ეზოში სამარისებრი სიჩუმე სუფევდა, არავინ არღვევდა უჩვეულო მყუდროებას.

მოვა ალბათ...

ეზოდან ლაპარაკის ხმა მოისმა; ბზოუს გასაღების ჩხრიალიც ეცნაურა. ერთბაშად გამოფხიზლდა, დაფრთხა და ყურებდაცქვეტილმა მიწას დაუწყო ტორვა. გარედან უცხო, წრიპინა ხმები შემოესმა. კარი გაიღო და საჯინიბოში ბადრას ცოლი მსიგუდა შემოვიდა. ქალს ბზოუს ფაფარივით შავი წინსაფარი ეკეთა. რაც თავი ახსოვს ბზოუს, ამ ქალმა მხოლოდ რამდენჯერმე დაუყარა საჭმელი, ისიც გარეთ, ფაცხასთან. დღესაც ახსოვს ბზოუს ღია კარებიდან გამოვარდნილი შავი, თბილი კვამლის სუნი. მაგრამ ქალი აქ, საჯინიბოში რომ შემოსულიყო, არ ახსოვს.

ბზოუს მაშინვე არ დაუწყია ჭამა. ერთხანს საჯინიბოში იბორიალა ფრუტუნით, მერე გარეთ გაიხედა და კიდევ ერთი გრძელკაბიანი ქალი დაინახა. ცხენს სხვა დროსაც მოუკრავს მისთვის თვალი ეზოში. ამ ქალს ყოველთვის ერთი პატარა ბიჭი დასდევდა — ბიჭი ფეხშიშველი იყო და ისეთი მოკლე შარვალი ეცვა, მუხლებამდე ძლივს სწვდებოდა.

— შეხედე, შეხედე, აი ეს არის შენი ძუძუმტე, ხედავ, ერთ ადგილზე რომ ვერ ჩერდება? — ეტყოდა ხოლმე ის ქალი ბავშვს ბზოუს დანახვაზე. ცხენს ფეხიც რომ აეწია, ცეკვავსო — ამბობდა ხოლმე ის ქალი. ბიჭი მიუახლოვდებოდა ცხენს, დარწმუნებული იყო, რომ ბზოუ მას არაფერს დაუშავებდა. ძალიან ახლოსაც არ მოდიოდა, ეშინოდა, — ცხენი არ დავაფრთხოო. ბზოუს უყვარდა ეს ბიჭი, ძალინ მოსწონდა მისი თვალები. თავისი პატრონის გარდა არავის თვალებში არ დაუნახავს ბზოუს იმდენი სითბო და სიყვარული, ამ ბიჭის თვალებში რომ ჩანდა. ბიჭს უნდოდა ფაფარზე მოფერებოდა ცხენს, მაგრამ ვერ ბედავდა. „მოვიდეს, ბზოუ არაფერს დაუშავებს!" ერთ დღეს, როცა ბადრა სოფლის კრებაზე წასასვლელად ემზადებოდა და ცხენი ჩვეულებისამებრ კოხტად დარახტა, ეზოში პატარამ შემოირბინა.

— მოდი, დად, აქ მო, — დაუძახა ბადრამ.

— არ გამიბრაზდება ბზოუ?

— ნუ გეშინია, არ გაგიბრაზდება! — ბადრამ ბავშვი მაღლა აიტაცა და უნაგირზე დასვა. რა მჩატე იყო ბიჭუნა — ბზოუს რომ არ დაენახა ეს ყველაფერი, ვერც კი მიხვდებოდა, თუ ზურგზე ვინმე შეაჯდა. არც კი განძრეულა, ეშინოდა ბავშვი არ გადმოვარდნილიყო. ბიჭუნამ თავისი პატარა ფეხები სუსტად წაუთაქუნა ზურგში. ბზოუ გაუნძრევლად იდგა და თავით პატრონის მხრებს ეხახუნებოდა.

— ახლა მაინც გაიცანით ერთმანეთი შენ და შენმა ძუძუმტემ, — გაეხუმრა ბადრა ბავშვს.

— რამოდენა ცხენია, მუცელქვეშაც კი გავუძვრები, არა ძია? — თქვა ბავშვმა, როცა ბადრამ ძირს ჩამოსვა. აღტაცებული შესცქეროდა ცხენს და თვალებს სასაცილოდ აფახულებდა.

— შენ გგონია, უბრალო ძიძიშვილი გყავს, კუნტა?

— დედაჩემიც მეუბნება, ბზოუ შენი ძიძიშვილია, ძუძუმტეაო, განა შეიძლება, ადამიანი და ცხენი ძმები იყვნენ?

— რატომ არა! შენ და ბზოუს ერთი ძუძუ გაქვთ ნაწოვი. შენ თითისხელა ბიჭი იყავი, ბზოუ კვიცი იყო, ძუძუს სწოვდა ჯერ კიდევ. ერთხელ ავად გახდი, წითელა შეგეყარა. მაშინ ბზოუს დედა მოვწველე და სქელი, ყვითელი რძე დაგალევინე.

— ცხენის რძე დამალევინე?

— ისე გულიანად შეხვრიპე, რომ!...

— ახლა სად არის ბზოუს დედა?

— გავყიდე.

— მართლა ძმები ვყოფილვართ მე და ბზოუ, — თქვა კუნტამ.

გათამამებულ ბიჭუნას სახე გაბადროდა, ბზოუმ კი არ იცოდა, რარიგ აფასებდა ხალხი ძუძუმტეობის ჩვეულებას, რომელიც კეთილშობილ გრძნობებს აღვიძებს ადამიანთა გულში. ბზოუს კარგად ახსოვს, როგორ ჩაუდგა ძარღვებში სითბო, ამ ვარსკვლავთვალება ბიჭის დანახვაზე. ალბათ ამასვე გრძნობდა მისი პატრონიც. ამ პატარა, სუსტი ბიჭუნას გარდა ბადრას არავინ შეუსვამს თავისი ხელით ცხენზე.

— ღმერთო მომკალი! რატომ გავუშვი კუნტა სკოლაში? ცოტა ხელს წამაშველებდა, — თქვა საჯინიბოს წინ მდგარმა მეზობლის ქალმა, რომელიც მარტო მოსულიყო. მას არ უხსენებია სიტყვა „ძუძუმტე, ბატონო". აღარც ღიმილი დასთამაშებდა ძველებურად სახეზე.

— როგორ გიკითხო, მსიგუდა? — განაგრძო ქალმა ლაპარაკი, — თქვენი ქალიშვილი ხომ კარგად ბრძანდება? სატირალში ვნახე, მაგრამ სიტყვა ვერ ვუთხარი. ფერადში ცხოვრობსო, ამბობენ, ღმერთმა სიკეთე ნუ მოუშალოს!

— რა უჭირს, შენ შემოგევლე. მისი იმედით ვცოცხლობ, ხან ისინი მესტუმრებიან, ხან მე მივდივარ მათთან. მშობელ დედასავით ვუყვარვარ ჩემს სიძეს, იმას ვენაცვალე! — თქვა მსიგუდამ და ამ სიტყვებით წყალი დაუდგა წინ ბზოუს. ასეთი ჭურჭელი ცხენს სხვა დროს არ ენახა, არც ტაშტს ჰგავდა და

არც ვედროს, უფრო მომცრო იყო. ბზოუ დიდხანს ვერ მიეკარა ამ ჭურჭელს, ფეხებს აბაკუნებდა და ფრუტუნებდა. მთელი ღამე თივას ჭამდა, ყელი უშრებოდა, წყალს კი მაინც არ სვამდა. ბოლოს ველარ მოითმინა, თავი ჩაყო ამ მურიან ჭურჭელში. უცნაური სუნი ეცა ბზოუს, დამწვარი ღომის სუნს ჰგავდა. წყალი პირიდან გადმოანთხია და სიბრაზისაგან ერთიანად აკანკალდა.

ბზოუმ კარგად იცოდა, როდის ამოდიოდა ან ჩადიოდა მზე, პირმოქუფრული იყო ცა თუ უღრუბლო, კარგად იცოდა როდის უნდა გათენებულიყო. ყოველთვის მოუთმენლად ელოდა გათენებას. როგორც კი გასაღების ჩხრიალს მოჰკრავდა ყურს, სიხარულით აჭიხვინდებოდა ხოლმე. მსიგუდას შემოსვლა კი არ სიამოვნებდა, თუმცა არ იმჩნევდა ამას, დინჯად, მოთმინებით ელოდა, ვიდრე ქალი საჯინიბოდან გავიდოდა. ამასობაში დაზამთრდა კიდევაც. მთების კალთებზე ჩამოღვრილი პატარა ღელეები გაიყინა, ხეები ისე გამოშრა და დაიზრო, ნაფოტს ვერ გააგდებინებდით. თითქოს ჭვარტლით დაუფარიათო, ისე ჩაშავდნენ მთები, ბზოუ კი ელოდა... მერე მთებმა ისევ ჩამოიფერთხეს კალთები და კვლავ მწვანედ აბიბინდნენ, ღელეებმა გამოამტვრიეს ყინულის საფარი და ქვეყანას გაზაფხულის მოსვლა ახარეს. დედამიწამ გაუძლო ლოდინს, გაუძლო, რადგან ის ძლიერია, უსაზღვროა მისი მოლოდინი!

კარები გაიღო და საჯინიბოში მსიგუდა შემოვიდა. მერე ცხენს საბელი შეაბა კისერზე და გარეთ გაიყვანა. ბზოუმ ჭიშკრისკენ გაიხედა და მინდორში თავჩაქინდრულ ნაცრისფერ ცხენს მოჰკრა თვალი. საწყალი, ზამთარში უარესად ჩამომხმარიყო. უფოთლოდ დარჩენილ ტოტებივით გამოსჩროდა გავაზე ძვლები. მას შემდეგ, რაც ბადრა შორს გაემგზავრა, ის ცხენი სულ უფრო და უფრო ახლოს მოდიოდა ხოლმე ბზოუსთან. ბზოუს გაუხარდა ახლა ამ ცხენის დანახვა, გულიანად შესჭიხვინა. მსიგუდა ისე გამოელაპარაკა ცხენს, თითქოს ადამიანს ელაპარაკებაო:

— ფეხები დაგიბუჟდა, შე საწყალო, გაგიშვებდი, გაგენავარდა ცოტა, მაგრამ მეშინია, არ გამეპარო. მიდი, ცოტა გაიშალე მუხლებში და მოდი მერე ისევ. — ასე ელაპარაკებოდა მსიგუდა ცხენს მაშინაც, როცა დილა-საღამოობით საჭმელს უყრიდა ან წყალი მოჰქონდა. ბზოუ, თავისი დიდი, ჯიღა თვალებით უყურებდა ქალს და ყურადღებით უსმენდა. ადამიანის ენა რომ სცოდნოდა და გაეგო, რასაც მსიგუდა ამბობდა, აღარ დაელოდებოდა პატრონს.

ქალმა ჭიშკარი გამოაღო და გაუშვა ბზოუ. ცხენი მაშინვე ადგილს მოწყდა და ნაზამთრალ, ათქვირებულ ველისაკენ გაექანა. ჰიჰქრის ბზოუ, მიჰქრის და უცებ, თითქოს პატრონმა აღვირი მოქაჩაო, ადგილზე გაქვავდა, მერე ყელი მოიღერა და ყელყელაობით და თამაშობით განაგრძო ჭენება.

— ან ეჭმიათ, ან თოფი ესროლათ და მოეკლათ, მოისვენებდა მაინც ეს საწყალი, თორემ რას დაემგვანა? ავი სულივით დადის ქვეყანაზე. მისი პატრონის სულის საწირავი გახდეს ეს ცხენი! — თქვა მსიგუდამ ნაცრისფერი ჯაგლაგის დანახვაზე. მერე დაიკუზა, მიწას გოროხი შეაფშვნა და ცხენს ესროლა. ნაცრისფერი ჯაგლაგი არც კი განძრეულა, კუდი გააქნია მხოლოდ, თითქოს ბუზებს იგერიებსო.

ბზოუს არ მოსწონდა, როცა მსიგუდას საღამოობით ეზოში შემოჰყავდა იგი. ჯერ ახლოს მიუშვებდა ქალს, მერე კი, თითქოს პირველად დაინახაო, ერთიანად აკანკალებული ადგილს მოწყდებოდა და ისევ მინდვრისაკენ გაექანებოდა ხოლმე. მსიგუდა ხან სიმინდით იტყუებდა ცხენს, ხან პატარა კუნტას ეძახდა დასახმარებლად. დაუზარელი ბიჭუნა სიამოვნებით ეხმარებოდა და საქმის მცოდნე კაცივით ამბობდა:

— არ მომწონს ბზოუს ასე დიდხანს ყოფნა მინდვრად, მუცელს მოიღორებს.

— მართალია, ნან, მთელი დღეები მუხლებამდე ბალახში ძოვს, მეშინია, არ აწყინოს. მაგის პატრონიც სულ ამას ამ-

ბობდა, ცხენის მეტისმეტად გაძღომა არ შეიძლებაო. ესეც არ იყოს, ნან, ვინმე არაკაცი დაინახავს და შეიძლება რაღაც უხიმანდროს.

— როცა გავიზრდები, მე შევჯდები ბზოუზე.

— გაიზარდე, შვილო, გაიზარდე და ცხენზე შეჯდომას ვინ დაგიშლის! ხომ იცი, როგორ უყვარხარ ბზოუს.

კუნტა და მსიგუდა ცხენს გამოედევნენ, ის კი თამაშ-თამაშით ნაცრისფერ ცხენს მიეჭრა და დაყნოსა. ბზოუს ცხვირში ბუზების და ოფლის არასასიამოვნო სუნი ეცა. მაინც ვერ მოისვენა, გარშემო უტრიალებდა ცხენს, ნაცრისფერი ჯაგლაგი კი ყურსაც არ იბერტყავდა, არც კი გატოკებულა, თითქოს ეშინოდა, ფეხქვეშ მიწა არ გამოეცალოსო. ის ცხენი გამხმარ ხეს ჰგავდა, აქა-იქღა რომ შემორჩენოდა თითო-ოროლა გაყვითლებული ფოთოლი. ძველი ბალანი ტანზე ნაკუწებად ჩამოძენძოდა. ჩაჩირქებული თვალებით უმზერდა ხოლმე ბზოუს საჯინიბოს.

— ვისია, ბებია მსიგუდა, ეს ცხენი? — ჰკითხა ქალს კუნტამ, როცა ნაცრისფერ ჯაგლაგს მოჰკრა თვალი.

— ვისიც არ უნდა იყოს, შვილო, ცხენის ასე უპატრონოდ დაგდება არ შეიძლება. მაგას, ცოტა ყურადღება რომ მიექციათ, ცხენი ვერ შეედრებოდა. ვისაც მოუნდა, ყველა ზედ მოაჯდა და ეგე, რას დაემგვანა! ეგრე გაძვალტყავდა და გაუბედურდა. პატრონმაც აღარ მოისურვა მისი მოვლა და გარეთ გამოაგდო.

— როგორ აქვს ზურგი გაყვლეფილი, ბუზები შეჭამენ საწყალს!

— ეგ იმიტომ, შვილო, რომ უნაგირის ქვეშ არაფერს უფენენ, ზურგიც იმიტომ გადაეყვლიფა. იყო დრო, როცა ერთმანეთს ვერ ასწრებდნენ მაგ ცხენზე შეჯდომას.

— მსიგუდა ბებია, გაუშვებთ წელს ბზოუს მთაში?

— არ ვიცი, შვილო, საქონელს მალე გარეკავენ. თუ ვინმე გამოუჩნდა ყურის მიმგდები, გავუშვებ. რა ვქნა, მიჩვეულია მაინც მთაში ყოფნას.

საქონელი მთაში წასასვლელად რომ აიყრებოდა ხოლმე, ცხენების რემა იქ იყრიდა თავს, სადაც ნაცრისფერი ცხენი ძოვდა. როცა რემა ჯირით-თამაშით გზას დაადგებოდა, ბზოუ სათავეში ჩაუდგებოდა აღალს. მიდიოდა ბზოუ ამაყად, ყელყელაობდა თავმომწონედ, გული სიხარულით ევსებოდა. ყველაზე უკან კი ის ნაცრისფერი ჯაგლაგი მოჩაქჩაქებდა. ვერ იქნა და ვერ მიაღწია ამ ცხენმა მთამდე, შუა გზიდან უკან აბრუნებდნენ მწყემსები ან თვითონ რჩებოდა, როცა მუხლში ძალა გამოელეოდა ხოლმე. მერე იძულებული იყო მთელი ზაფხული მზისგან გადამხმარ, გადარუჯულ ველზე გაეტარებინა, ცხელი ხვატისა და ავი ბუზების მსხვერპლი გამხდარიყო.

წავა წელსაც მთაში, კიდევ უფრო გაიმაგრებს მუხლს, გაინავარდებს, მერე ჩამოვა და გავა ისევ იმ მრგვალ მინდორზე, გავა, ათჯერ შემოუვლის და გამარჯვებული დატოვებს ფლოქვებით დათქერილ სარბენ ბილიკებს.

— სად მიდიხარ, სად, შე სამგლევ!

— გზაჯვარედინზე დაუდექით, ჯერ არ გაუშვათ!

— დათვალეთ, სანამ გარეკავთ, დათვალეთ!

ჰაერს ხმაურით აპობს მათრახის ტყლაშუნი. მეჯინიბეები ცხენებს უტრიალებენ. კვიცები დედების გარშემო დაბორიალობენ და წვრილი ხმით ჭიხვინებენ. ფაშატები საკბენად იწევენ ერთმანეთზე. არის ერთი ჯგლეთა და რიარია.

ბზოუ ეზოში ვერ ჩერდება, წარამარა ჭიშკრისაკენ იწევს, ლამობს ზედ გადაევლოს, მაგრამ ჭიშკარი მეტისმეტად მაღალია. ეზოს მაღალი მესერი არტყია, კაცი ხელს ვერ შეაწვდენს. მოვიდა მსიგუდა, ხელში საბელი უჭირავს. რად უნდა? გააღოს ჭიშკარი, წავა ბზოუ, იქ მივა, სადაც მისი მოძმენი ჭიხვინებენ და მთაში წასასვლელად ემზადებიან. მას არ დავიწყებია ის ცხენები, რომელთა გვერდითაც ხშირად უვლია ბილიკებზე, ვისთან ერთადაც უძოვია მთის მწვანე ბალახი. ბზოუმ კისერი წაიგრძელა და ჭიშკარს იქით გაიხედა. მსიგუდა ძლივს მისწვდა ცხენის მაღალ კისერს, ყულფი ჩამოაცვა.

— მარულაზე ყველა შენ შემოგციცინებს, ახლა კი... აჩუ, ფეხი არ დამადგა, მგლის ლუკმავ! აღარ ვიცი, ვის მივხედო, შენ თუ საკუთარ თავს! — ამ სიტყვებით ქალმა საბელი დაიმოკლა და ცხენს მეჯინიბეებისაკენ წაუძღვა.

— ნუ მიწყენ, მსიგუდა, მაგრამ მე ვერ ვიკისრებ შენი ცხენის მოვლას. რამე რომ დაემართოს, ნუ გამიწყრები, — უთხრა ქალს უფროსმა მეჯოგემ.

— მაგ ცხენს რომ რამე დაემართოს, საზღაურად შენი კარმიდამო არ ეყოფა, — იხუმრა მწყემსების გასაცილებლად მოსულმა შაჰანმა.

— ბზოუ რომ მთაში წაიყვანო, ერთი კაცი მარტო მაგას უნდა მიუჩინო. კარგად მახსოვს, რა დღე აწია შარშან ჩვენს ცხენებს, — თქვა ერთ-ერთმა მეჯოგემ და დაუმატა: — როგორც კოდალა ხეზე კაკუნს ვერ მიატოვებს, ისე ბზოუ ვერ გადაეჩვევა სირბილს. შურთხმა რომ გადაიფრინოს, თავს აიწყვეტს და მერე სდიე ქარს მინდორში. სხვა ცხენებსაც რომ თან წაიყოლებს, ამაშია მთელი უბედურება. სანამ ბადრა ცოცხალი იყო, კიდევ არა უშავდა რა. ბადრამ იცოდა, სად და როდის ეძებნა ბზოუ. პატრონის ერთ დასტვენაზე უკან მორბოდა. მუნჯის ენა დედამ იცისო, ისე ესმოდათ ბადრას და მის ცხენს ერთმანეთისა!

— კი მაგრამ, დარჩეს ცხენი აქ? თქვენ რა გითხრათ! რამდენჯერ უსახელებია ბზოუს ჩვენი აფსარა!

— ჰოდა, ძმაო, თუ შეგიძლია ამ ცხენის დევნა, ადექი და შენ წამოიყვანე...

— კარგი, დად, კარგი. წინ შორი გზა გიდევთ, ცხენის გამო ნუ იჩხუბებთ, — თქვა მსიგუდამ და გაჩუმდა. მერე ცხენს კისერი მოუღრიჯა და სასწრაფოდ დატოვა იქაურობა.

მთელი ღამე ერთი ღერი ბალახი არ მოუწიწკნია ბზოუს. ყურებში ისევ ჩაესმოდა მთაში მიმავალი ცხენების ჭიხვინი და ბოჟირ-ზრიალი. სისხლით დანისლოდა თვალები. რამდენჯერ ასახელა თავისი სოფელი აფსარა, თავისი მოძმენი, მაგრამ

ახლა აღარავის ახსოვს ეს, ყველამ დაივიწყა მისი არსებობა და იძულებულია მაღალი მესრით შემოღობილ ეზოში ტკეპნოს ტალახი. შორიახლო კი ვრცელი ველი გადაჭიმულა, რომლის ერთადერთი ბატონ-პატრონი ახლა ქარია. როგორც ყოველთვის, მთაში მიმავალ ცხენებს ის ნაცრისფერი ცხენიც დაედევნა. ალბათ ახლა მაინც არ მობრუნდება შუა გზიდან. რა უცნაურები არიან ადამიანები! სწრაფი, მუხლმაგარი ცხენი აქ, ბარში დატოვეს, ის ნაცრისფერი ჯაგლაგი კი თან წაიყვანეს. ბზოუს ხანდახან ეჩვენება, რომ მთაში მიმავალი ცხენების ხმაურს, მარულაზე ხალხის ყიჟინა ერჩივნა. ხალხს მაშინ ერთი სიტყვა ეკერა პირზე: ბზოუა, ბზოუ, ბზოუ!... თითოეულს სურდა ხელი შეეხო მისთვის, ერთმანეთს არ აცდიდნენ ცივი წყლის მოტანას, ნატვრის თვალივით ელაციცებოდნენ...

რამდენი ხანია, ცივ წყალში არავის შეუგდია! ყურები ბუზებით გამოევსო. ასეთი რამ არასოდეს დამართნია! ეს ბუზები, ეტყობა, იმ ნაცრისფერი ცხენისგან შეუსხდნენ, მინდორში რომ ძოვდა, რადგან ბუზები მაშინ ესეოდნენ ხოლმე, როცა იმ ცხენს გაუვლიდა გვერდზე. ბზოუს არასოდეს მოსწყურებია გარეთ გასვლა ისე, როგორც ამ ღამეს. ველარ სძლებდა ამ ეზოში. მალე ჩიტების გალობა გაისმა... ცას ნელ-ნელა ბაცი ფერები შეერია და შორს, მთაში, ცხენების ფლოქვებით გათქერილი ბილიკები და ვრცელი ველი გამოჩნდა ლანდად. ბზოუ ჭიშკართან ასვეტილიყო და მიწას ტორავდა. მიუახლოვდებოდა ჭიშკარს, ერთ წამს გახევდებოდა და მერე უკან იხევდა. ასე დადიოდა დიდხანს — წინ და უკან, წინ და უკან... ჭიშკარზე გადახტომა არასოდეს უცდია ბზოუს. კისერს კარიბჭის იქით გადაჰყოფდა ხოლმე და იყურებოდა შორს, შორს, გაშლილი ველისაკენ. ანაზდად, თითქოს რაღაც მოელანდაო, ერთბაშად ისკუპა... ისე გადაევლო ჭიშკარს, ნალიც კი არ წამოუკრავს. გაშლილ ველზე გავიდა და აქეთ-იქით დაიწყო ბორიალი, თითქოს რაღაცას ეძებდა. კარგი მეძებარი ძაღლი ვერ მიაგნებს ისე ნადირის კვალს,

როგორც მან მიაგნო ცხენების ნაკვალევს. ახლა ბზოუს არც აღვირი უკეთია და არც უნაგირი ადგას, გზა კი მთებისკენ მიდის. მიჰქრის ბზოუ, ვინმეს რომ ახლა თვალი მოეკრა მისთვის, იფიქრებდა, ნადირი თუ დაეტანაო. მაგრამ იცნობდნენ ბზოუს, იცოდნენ მისი მუხლმაგრობისა და გულფიცხობის ამბავი!...

— ფათერაკს არსად გადაეყაროს, თვითონ ხომ არ იცის გაჩერება, — წაიდუდუნა სოფლის შარაზე მიმავალმა მოხუცმა ქალმა. როგორც კი დედაბერმა ცხენის თქარათქურს მოჰკრა ყური, მაშინვე გაიფიქრა, მხედრები თუ ეჯიბრებიან ერთმანეთსო, და განაპირდა.

— ჰაი დედასა, როგორ გაველურდა! — ჩაილაპარაკა სოფელ აფსარის მოხუცმა მეთულუხჩემ; იგი დილაადრიან გამოსულიყო ურმით სოფლის შარაზე და მუხლებზე თავისი განუყრელი ყავარჯენი შემოედო. ურემზე დიდი კასრები ელაგა, საიდანაც ძლივს მოუჩანდა მოხუცს თავი. ბზოუმ ურემს რომ ჩაუქროლა, კამეჩებს შიშისაგან მუხლები დაუმძიმდათ.

— ჰიიი-ჰო, თქვე სამგლეებო! რა დაგეცათ? ქაჯი ხომ არ მოგჩვენებიათ! — თქვა ბერიკაცმა. შემდეგ ბრაზიანად დაუმატა: — კარგ ცხენს კარგი ხელი უნდა. ეს აფსარელები ეგეთი ცხენის ღირსნი არიან? არა, ჩვენ ეგეთი კამეჩების ღირსნი ვართ მხოლოდ. ჰიიი-ჰი!

წინ წასული ცხენების მიერ დაყენებული ბუღი ჯერ არ გაფანტულიყო. ბზოუ პირველი გორის ძირას იდგა. მას კარგად ახსოვდა, რომ იქ, სადღაც, ტრიალი მინდორი იყო. ამ გორასთან მოსული ადამიანი კი არა, საქონელიც უმალ ხვდება, რომ უკვე ახლოა მთები, მწვანედ აბიბინებული ნოყიერი ბალახი და ცივი წყაროები. აქ ასვენებდნენ ხოლმე დასაპალნებულ ცხენებს. ბზოუს ადამიანის გარდა სხვა ტვირთი არ უგრძვნია თავის ზურგზე, მაგრამ ისიც აქ ისვენებდა. აქედან იწყება მთის გრძელი და სახიფათო გზაწვრილები. ფეხქვეშ იფშვნება ქვაღორღი. ცხენის კისერი მიწის პირამდეა წაგრძელებული. მიიწ-

ევ ზევით, ზევით და სულ უფრო და უფრო გრძნობ სასიამოვნო სიგრილეს, ნელი ნიავი ნაზად გელამუნება და უკანასკნელი ბუზიც კი შორს მიფრინავს, გშორდება.

— ერთი ამას შეხედეთ, ხალხო!

— ბზოუ მოდის, ბზოუ!

— ისე მოდის, თითქოს პირველი ადგილი განაღდებული ჰქონდეს.

— ჰო-ჰო-ჰო, როგორ გაქაფულა ეს საწყალი!

— ცეცხლი გასდის ფლოქვებიდან, თვალებში სისხლი ჩასდედებია!

— მაგას რომელი ღობე დაიჭერს!

— ბზოუ აქ თავისი ფეხით მოვიდა; მაგას რომ რამე დაემართოს, ჩვენი ბრალი არ იქნება.

— გინდა ასეთი ცხენი დაგიკარგავს, გინდა სახლ-კარი დაუწვავთ შენთვის, — თქვა გამცილებელმა შაჰანმა. მწყემსებიდან ზოგს უხაროდა ბზოუს დანახვა, ზოგი კი აუგად იხსენიებდა მას. უკვე ჩამოეხსნათ ცხენებისთვის საპალნე და ცეცხლის გაჩაღებას შესდგომოდნენ. ბზოუმ პირდაპირ რემას მიაშურა. გახარებული იყო, რაკი, როგორც იქნა, დაეწია თავის თანამოძმეებს, ადგილზე ვერ ისვენებდა და გარშემო უვლიდა რემას დაუსრულებლად. გუშინს აქეთ, რაც ცხენები გზას დაადგნენ, არაფერი ეჭამა, შიოდა ძალიან, მაგრამ არა უშავს, ამაღამ კარგად გამოძღება, დაისვენებს. მთავარი კი მაინც ის არის, რომ მიუსწრო თავისიანებს და ახლა მათთან ერთად ბალახობს. გათენდება და მთაში გაჰყვება რემას. ესმის ჩანჩქერების ხმაური. ხარბად ისუნთქავს მთიდან მონაბერ გრილ ჰაერს და ყუჩდება.

ხეობიდან ამოვარდნილი ნიავივით ილეოდა ღამე. ისმოდა აღვირების ჩხრიალი, კოცონები უკვე ჩანავლულიყო.

— დღეს სხვა ცხენებს აჰკიდეთ ტვირთი, გუშინდელებმა დაისვენონ!

— თქვენთვისაც სხვები შეკაზმეთ!

— ბზოუ, ბზოუ! — დაუძახა შაჰანმა ცხენს და ხელგაშვერილი მისკენ გაემართა.

ბზოუს არასოდეს შინებია აღვირისა, უხაროდა კიდევაც, როცა რკინის ჩხრიალს მოჰკრავდა ყურს. ის ხომ აღვირით გაჰყავდათ საჯინიბოდან. აღვირი ეკეთა მაშინაც, როცა იმ ვეებერთელა მრგვალ მინდორს ურბენდა გარს. მაგრამ ხელი, კაცის ხელი სძულდა ძალიან. ახლაც შეკრთა, როცა აღვირი უცხო კაცის ხელში დაინახა. მეტი რა გზა აქვს! თუ ამ ხალხს ეცოტავება, მარულაზე რომ იმარჯვებს ხოლმე, შეაჯდეს ეს კაციც და გახვითქოს ოფლში. არ გაუჭირდება მისი აყვანა იმ მაღალ მთაზე. იქ კი ცივი წყაროები, გრილი ნიავი და მუხლამდე მწვანე ბალახი ელოდება ბზოუს. შაჰანმა ცხენს აღვირი წამოაცვა. თუ უნდათ, ტვირთიც აჰკიდონ, ბზოუს მუხლი მაინც არ გაეღუნება... ამას ფიქრობდა ცხენი, როცა შაჰანი ახლოს მიუშვა. მოთმინებით ელოდა, სანამ გზას გაუყენებდნენ. ყველაფერი კი წუხელ გადაწყვიტეს — საით წავა ბზოუ, რა ტვირთი უნდა აჰკიდონ...

ეს ყველაფერი გვიან ღამეს, კოცონთან გადაწყდა.

— მკლავებს დაგაწყვეტს, აღვირი არ წაგართვას.

— მკლავები ჯანდაბას, თვითონ არაფერი გადაიკიდოს. ეგეთ ცხენზე ჯდომა თავის გაწირვას უდრის.

— შაჰან, შენს ცხენს ბედმა გაუღიმა! ბზოუ რომ არა, ეგ ცხენი მთას სიზმარშიც ვერ ნახავდა.

— ეგა მაინც სასაპალნე ცხენია, წისქვილში საფქვავს თუ ჩაატანინებ! ბოლო დღეებში იგრეა მიმკვდარებული, ერთ ფუთ სიმინდს ვერ აიკიდებს. ბზოუმ ცხენი გადამირჩინა, — ისე გულიანად იცინოდა შაჰანი, თითქოს ყანა დაუმწიფდა და მოსავალი სად წაიღოს აღარ იცისო.

შაჰანს ბზოუ დოღის დროს თუ უნახავს, თორემ ზედ შეჯდომა და ცხენისთვის ლაგამის ამოდება არც კი დაესიზმრებოდა. იცოდა, კატა ძეხვს ვერ შესწვდებოდა და არც გაუვლია გულში ასეთი რამ.

ჰარუნს რომ სცოდნოდა, აქედან ბზოუზე ამხედრებული წავიდოდა, სულ კისრისტეხით გამოიქცეოდა.

— ეცადე, თვალში არ მოხვდე, თორემ იქვე გაფშეკავს ფეხებს!

— არ გამიგონია, კაცი პირუტყვზე ასე გადაირიოს!

— ისე გიჟდება, როგორც კარგი ვაჟკაცი ლამაზი გოგოს დანახვაზე.

— ახალგაზრდობაში ხომ მიაფშვნიტა არჩვის თიკანს ცალი ფეხი. ახლა სანამ ბზოუ არ მოსტეხს კისერს, არ დაისვენებს. მე კი ბზოუს სილამაზეს ჩემი ცხენის ამტანიანობა მირჩევნია, — თქვა შაჰანმა.

— მაინც რამ გადარია ეს ხალხი, რა ისეთი ცხენი ეგ არის! კარგი სირბილი იცის, ეგ არის და ეგ. სხვა რისი მაქნისია, ნეტავ? არაფრის. დასვი ნართების და — გუნდასავით და უყურე, ჩიტის რძე არ დააკლო! — არ აჩერებდა ენას შაჰანი. მერე მწყემსებს დაემშვიდობა: — მთის მადლი ნუ მოგიშალოთ ღმერთმა!

— ღმერთმა მშვიდობით გატაროთ.

— რა ვქნა, გაწუხებთ, მაგრამ უნდა მიმიხედოთ ცხენს.

— დარდი ნუ გაქვს! იმაზედაც მადლობელი ვართ, აქამდე რომ ამოგიყვანა. ზედ აღარავის შევსვამთ, ტვირთს არ ავკიდებთ და მეტი რაღა უნდა. ირბინოს რამდენიც შეუძლია.

— მაგის სირბილისა რა მოგახსენოთ, ეს კია: ძალიან გაუჭირდებოდა დღეს მაგას ჩემი ტარება, ისე აქვს ზურგი გადატყავებული. ნამდვილად გზაში დამივარდებოდა და მერე კაპიკი იქნებოდა მაგისი ფასი. გავყიდი თუ რა! — თქვა შაჰანმა და ბზოუზე შესაჯდომად მოემზადა.

— ხელი შეაშველეთ, ხალხო, მიეხმარეთ! — გამოსძახა თავისიანებს ერთ-ერთმა მეჯოგემ.

მიაწყდა ხალხი ბზოუს, ვინ უზანგს იჭერდა, ვინ აღვირს. ბოლოს, როგორც იქნა, აიჩაჩხა შაჰანი ცხენზე.

ორი დღე და ღამე თვალი არ მოუხუჭავს მსიგუდას; ისე

წუხდა, თითქოს ვიღაც მოკვდომოდა. გათენდებოდა თუ არა, ბზოუს „ძუძუმტე“ კუნტასთან ერთად ცხენის საძებნელად მიეშურებოდა. ეძებდნენ ყველგან: ტყეში, ველზე თუ ხეობაში, ერთი კუთხე-კუნჭული არ დაუტოვებიათ, ყველაფერი გადაჩხრიკეს, მაგრამ ვერსად მიაგნეს ბზოუს ასავალ-დასავალს. იმედგაცრუებულნი და დაღლილ-დაქანცულნი ბრუნდებოდნენ სახლში. „ახლა მივხვდი, რატომ კეტავდა ბოქლომით მაგის პატრონი საჯინიბოს. მართალი იყო, როცა ამბობდა, კარგი ცხენი და ლამაზი ქალიშვილი ერთნაირად ძნელი მოსავლელიაო; ხან თუ გულზე მოგეფონება, სხვა დროს ისე გაგამწარებს, კბილის ტკივილს დაგავიწყებსო. რამდენჯერ მითქვამს, კაცო, ცოდვას ნუ ჩადიხარ, პირუტყვს ადამიანს როგორ ადარებ-მეთქი. ეჰ, მინდოდა, იმ ცხონებულის ხათრით უპატრონობა არ მეგრძნობინებინა. ხედავ, რა დამემართა! მოსაკლავი ვარ. მე კი რაღას მარგია, სანამ კუნტა გაიზრდება, ეგეც დაბერდება. დაბერდება და დაბერდეს. სანამ პირში სული მიდგას, უცხოს ხელში არ ჩავუგდებ-მეთქი, ვამბობდი, ეგ ჩემი ცოდვით სავსე კი... ძუძუმწოვარა ბალღის გაზრდა მირჩევნია მაგის მოვლა-პატრონობას. რა ვქნა, შენი ჭირიმე, ველარ ავუდივარ ამდენ საქმეს. მარულაზე მთელი სოფელი მაგის იმედზეა, ყველას ბზოუს სახელი აკერია პირზე, ახლა კი მისი დანახვაც არ უნდათ. მთაში რომ არ წაიყვანეს, იმან თუ გადარია! ღმერთო, ცოცხალი და უვნებელი მანახე!“

— ახლა თუ ვიპოვნეთ, მერე აღარ დაგვეკარგება, მსიგუდა ბებია, აი ნახავ, დღეიდან მე მოვუვლი ბზოუს, — თქვა კუნტამ.

— შენ შეძელი, შვილო, და დღესვე წაიყვანე, თუ გინდა. სადაცაა მზე ჩავა, ჩვენ კი მის კვალსაც ვერ წავაწყდით ვერსად. ჭიშკარი გამოიხურე, შვილო, — უთხრა მსიგუდამ ბიჭს.

— პატარა ხომ აღარ ვარ, მსიგუდა ბებია! ბადრა ბაბუამ ხომ შემსვა მაშინ ცხენზე, შარშანს აქეთ ხომ გავიზარდე!

— თუ აღვირით სხვამ ატარა ცხენი, მე და შენ ვერაფერი

მხედრები ვიქნებით, შვილო, — ღიმილით მიუგო მსიგუდამ პატარას.

ეზოში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. რაღაც აკლდა ეზოს. საჯინიბოს კარი ღია იყო და შიგ ქარი დათარეშობდა.

— კუნტა, შვილო, გვიანაა უკვე, წადი სახლში.

— ხვალ ისევ მოვალ, მსიგუდა ბებია და ერთად ვეძებოთ ბზოუ!

— მე და შენ ვერ ვიპოვნით იმას, კუნტა. მეზობლებიც მოუცლელად არიან, ყველა ყანაშია გასული. ერთი-ორი დღე კიდევ და საქმეც მიილევა. მოგვეხმარებიან ალბათ, აბა რას იზამენ. სულ ხომ არ ამომწყდარან მამაკაცები აფსარაში!

ამ დროს ცხენის თქარათქური მოისმა. მალე ბზოუ მოადგა ჭიშკარს. მსიგუდამ მხედარზე ადრე ცხენი შეამჩნია. ბზოუ ისე იყო გაქაფული, გეგონება ახლა ამოსულა მდინარიდანო.

— ბზოუ, ბზოუ მოვიდა! — შესძახა პატარა კუნტამ და ჭიშკარს ეცა. ბზოუ კარებში შემოვარდა და ეზოში მტვრის კორიანტელი დააყენა.

— მსიგუდა, შენი ჭირიმე, ქვეყნის სამასხროდ რომ გავხდე, მე ამ ცხენზე აღარ შევჯდები. ცხენის მეტი რა მინახავს, მაგრამ ეგეთი? არასოდეს! ძლივს ვუჭერდი თავს, მკლავები დამაწყვიტა. არა, ამ ცხენის მოთვინიერება არ იქნება! — თქვა შაჰანმა და ცხენიდან ჩამოხდა. დაღლილ-დაქანცულს ფეხები მთვრალივით ერეოდა, ძლივს მიაბა ცხენი ხეზე. მსიგუდას არ ესმოდა, რას ამბობდა შაჰანი, იდგა და თვალს არ აშორებდა ბზოუს, თითქოს დიდი ხნის უნახავი ღვიძლი ნათესავი დაინახაო.

— არ იკითხავ, სად მოგვისწრო? მთის ძირას!

— მე უგნური, რატომ ვერ მივხვდი, რომ მთაში წასულ ცხენებს დაედევნებოდა? დაგღალა არა, შაჰან? ღმერთმა გიშველოს. ვიფიქრე, რაიმე ფათერაკს ხომ არ გადაეყარა-მეთქი. მუხლები დამაწყდა მაგის ძებნაში, მეტი აღარ შემიძლია!

— მართალი უთქვამს ხალხს, კვიცი გვარზე ხტისო. მაგის

ჯიშში ყველანი ეგეთები იყვნენ. მეტისმეტად მუხლადი და ფიცხები არიან.

— ფიცხი და მუხლადი რომ არ იყოს, აღარც ეგეთი მორბენალი ცხენი იქნებოდა, შაჰან. მათრახს მიჩვეულ ლოხ ცხენებს კი არ ჰგავს. სხვა ჯიშის ცხენია, შვილო, სხვა ძვალი და სხვა ძარღვი აქვს. ნუ გაგიკვირდება მისი ასეთი ქცევა. მაგისთანა ცხენს ხელს თუ არ დააკლებ, არ გილალატებს. ამას იმიტომ გეუბნები, შვილო შაჰან, რომ ახლა ბზოუს ისეთი პატრონი სჭირდება, ამისთანა ცხენის ყადრი რომ იცის. ხომ იცი, ბზოუ სოფლის საკუთრებაა და ისე არ დამიტოვოთ!

— მართალია, მსიგუდა, ბზოუმ ბევრჯერ გაუთქვა სახელი სოფელ აფსარას, მაგრამ ხალხს უთქვამს, კაცი რომ სწორედ გაზარდო, მსხვერპლად უნდა შეეწირო. ეგეთი ძნელი მოსავლელი იქნება ბზოუც.

შაჰანი ხის ჩრდილში ჩამოჯდა. აქაოდა მთიდან მე მოვიყვანე ცხენიო, ისე ლაპარაკობდა და იტყლარჭებოდა, თითქოს ის ყოფილიყოს მისი გამზრდელი და ბატონ-პატრონი.

— ბზოუს ალღო უნდა აუღო. თუ ერთხელ შეგეჩვია, მერე იოლია მაგის მოვლა, — თქვა მსიგუდამ.

— ახლა მე ვუპატრონებ ბზოუს. ნახეთ, არაფერს გავუჭირვებ, — თქვა კუნტამ.

— ჰა, ჰა, ჰა! — გადაიხარხარა შაჰანმა, — მაგის მორჯულება შენისთანა ცხვირმოუხოცავს კი არა, კარგ ვაუკაცს გაუჭირდება.

— შაჰან, შვილო, შენ ეს სასაცილოდაც არ გყოფნის, მაგრამ ორ-სამ წელიწადში შევსვამ ამ ბიჭს ცხენზე და აბა ნახე, მოუვლის თუ არა. აგრე ამბობდა ის ცხონებულიც. ხუმრობდა, კუნტა და ბზოუ ძუძუმტეები არიანო. მარტო დავრჩი, თორემ...

— ჯერ წამოიზარდოს ყანა, მერე უყურე ბზოუს, — შაჰანი ბავშვს მიმართავდა, სინამდვილეში კი მსიგუდას გასაგონად ამბობდა, — სანამ გაიხედ-გამოიხედავ, ერთ ტაროს ველარ იპოვნი სიმინდში. მაგას რომელი ღობე დააკავებს!

— მართალია... რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე! — ხმა ჩაუწყდა მსიგუდას.

— გზაში სულ მაგაზე ვფიქრობდი. მარტოხელა ქალი ხარ, გაგიჭირდება. სიძე-ქალიშვილი თუ ჩამოგაკითხავენ, ისინიც მაშინვე გარბიან. ასეთ ფიცხ ცხენს შენ ვერ დაიურვებ, ცხენის მომვლელს კი იმდენი დროც აღარ რჩება, თავზე ხელი მოისვას. დროც სხვანაირია. რაღა დაგიმალო და ჰარუნს უნდა ძალიან ბზოუს ყიდვა, გიჟდება მაგ ცხენზე!

ჰარუნის ხსენებაზე შაჰანმა ხმა დაიდაბლა, ეტყობოდა, ერიდებოდა მისი სახელის ხსენება. იგი დაჟინებით მისჩერებოდა მსიგუდას და პასუხის მოლოდინში განაბულიყო.

— სანამ ბადრა ცოცხალი იყო, ჰარუნი მაშინაც უგზავნიდა კაცებს. დიდ ფულსაც იძლეოდა, მაგრამ ვერა და ვერ დაითანხმა. გაყიდვაზე თუ მიდგა საქმე, მაგას მაინც არ მივყიდიო, — თქვა ერთხელ და აღარ გადაუთქვამს.

— გაგაგიჟებს ეს ჰარუნი! — აენთო შაჰანი, — არამკითხე მოამბესავით ცხვირს იქა ჰყოფს, სადაც არაფერი ესაქმება. ძველი დრო რომ იყოს, ხელმწიფეს გაუგზავნიდა მაჭანკლებს, შენი ქალი გამომატანეო. ამბობენ, ეგეთი რომ არის, ფეხიც იმიტომ მოიტეხაო.

— სილამაზე, შვილო, ასეთი რამ არის, გულგრილი ვერ დარჩები, მაგრამ მისი ხერხი და გეზიც უნდა იცოდე კარგად, ისე ვერ მიუდგები!

— კარგად ვიცი, როგორ მოიტეხა ფეხი ჰარუნმა. ერთმა მითხრა, ვინც მაგასთან ერთად იყო სანადიროდ. თურმე ძალიან ვიწრო თხემზე გადადიოდნენ ნაშალზე. ჰარუნს არჩვის თიკნისთვის მოუკრავს თვალი. თვითონაც კარგად იცი, როგორი ლამაზები არიან ის გასაწყვეტები. რა დაემართა ჰარუნს, თვითონაც აღარ ახსოვს. დაავიწყდა, თოფი რომ ჰქონდა და თიკნის ხელით დაჭერა მოინდომა. მერე უთქვამს: ისეთი ლამაზი იყო, მოსაკლავად ვერ გავიმეტეო! ხა, ხა, ხა, რომ დაე-

ჭირა, ხელში არ შემოაკვდებოდა? ისკუპა თურმე ციყვივით და ხელი წაუპოტინა. არ ვიცი, მოასწრო თუ არა ხელის ტაცება, მაგრამ იქიდან რომ კისრით გადაეშვა და ფეხი მოიტეხა — ყველამ იცის. ძლივს ჩამოუყვანიათ საკაცით. კარგი ტანადი ვაჟკაცი ყოფილა თავის დროზე. ამისთანა თვალხარბი რომ არის, იმიტომაც დაკოჭლდა. ერთხელ, მარულაზე ბადრას ხალხი მიუგზავნა: გინდა თუ არა შენს ცხენზე შემსვიო. რომ ატყდა და აღარ გაჩერდა, დაუთმო ბადრამ ცხენი, რა უნდა ექნა. როცა მახსენდება, რაც მაგას მაშინ იქ დღე დაადგა, გიჟივით მეცინება, — ლაპარაკობდა შაჰანი და თან მსიგუდას არ აცილებდა თვალს, ჩქარობდა გაეგო, რას იტყოდა ქალი.

— ბადრა ძალიან განიცდიდა იმ ამბავს. სულ იმას გაიძახოდა, რა ღმერთი გამიწყრა, მაგას ცხენი როგორ ვანდეო.

— მათრახის წარამარა ხმარება არ შეიძლება. უნდა იცოდე, როდის უნდა მოიქნიო. სულ რომ მათრახი ურტყა, ცხენი კუდის ქნევას დაეჩვევა და მალე წახდება. ასეთი რამეები მე თუ მკითხეთ, მაგის მეტი რა ვიცი, ცხენზე ვათენებ და ვაღამებ. არჩვის ხელით დაჭერა მოინდომა, ხა, ხა, ხა! — ბაქიბუქობდა შაჰანი, მე ვარ, რაც ვარო და თან ჰარუნს ჰკენწლავდა დროდადრო. მსიგუდას სად ჰქონდა იმის თავი, შაჰანის ლაპარაკისათვის ყურადღება მიექცია. ის კი სარგებლობდა ამით და ათას სისულელეს ჩმახავდა. თუ მიწისძვრაა მოსალოდნელი, ყველაზე უწინ ამას თაგვი გრძნობს, — უმტკიცებდა ქალს. გაქნილი მეჯოგე კარგად ხვდებოდა, რომ ცხენი, რომელიც მისივე თქმით, კარ-მიდამოს ფასი იყო, მარტოხელა ქალის ანაბარა დარჩენილიყო და ცოტაც რომ მოეცადა, იქნებ გაყიდვაზეც კი დაეთანხმებია. მსიგუდას ადრეც ხშირად უფიქრია, გაეყიდა ცხენი, მაგრამ ყოყმანობდა და ამას ვერ ამხელდა. ეს რომ ჰარუნს გაეგო, წელებზე ფეხს დაიდგამდა და მაინც გამოართმევდა ბზოუს. „მე მომცეს ბზოუ და არ დავტოვებ გულნაკლულად, იმდენ ფულს მივცემ, რომ სამ ცხენს ერთად იყიდის კაცი“, — ფიქრობდა გულში მეჯოგე.

— შენი თქმის არ იყოს, მსიგუდა, კარგი ცხენი მთელი სოფლის საკუთრებაა, სახელია. ასეთი ცხენი ჰარუნს რომ ჩაუგდო ხელში, ცოდვას ჩაიდენ!

— ნეტავ, ერთი რიგიანი პატრონი გამოსჩენოდა, რაღა მიჭირდა მაშინ. მე იმის გული აღარ მაქვს, ბზოუ მარულაზე ვატარო და სხვას ვის ვანდო, არ ვიცი, — თქვა მსიგუდამ.

— მართალი ხარ. ხალხის ამბავი ხომ იცი, დაიწყებენ ლაპარაკს... ჩემს მაგივრად სხვა რომ შემჯდარიყო დღეს ბზოუზე, მოკლავდა ცხენს. მაგას თუ კარგად არ მოუარე, დაგეღუპება. ეგერ, უკანა ფეხებზე ნალები აღარ უჩანს. ახლავე უნდა დაიჭედოს, თორემ კოჟრები გაუჩნდება და დაკოჭლდება. ჰარუნი ალბათ კარგ ფულს შემოგაძლევს...

— სანამ ბზოუს პატრონი ცოცხალი იყო, ხშირად ამბობდა ხოლმე: მირჩევნია მგლებმა შეჭამონ ბზოუ, ვიდრე კოჭლ ჰარუნს ჩავუგდო ხელშიო.

შაჰანსაც ამის გაგონება უნდოდა. ბზოუსკენ გაიხედა. ცხენი ხეზე იყო მიბმული და თითქოს ნადირის სუნი იყნოსაო, ფრუტუნებდა, თვალებს ავად აბრიალებდა და შაჰანისა და მსიგუდას საუბარს გატვრენილი უსმენდა. მაგრამ ის ადამიანის ხელს ცნობდა კარგად, ენა კი არ ესმოდა და, აბა, საიდან უნდა გაეგო, რომ სწორედ ახლა მისი ბედი წყდებოდა?... რა იცოდა, რომ იმ ბუდიდან ამოვარდნილი ჩიორას ყოფაში ჩავარდა, მელაკუდას წინ რომ დაცემულა და არ იცის, როდის შეახრამუნებენ. ეს მელა ახლა კოჭლი ჰარუნი იყო, ის კაცი, რომელიც ყველაზე მეტად სძულდა ბზოუს ამქვეყნად. მსიგუდა, მართალია, პატრონივით არ უყვარდა, მაგრამ უკვე მიეჩვია და კიდეც მოსწონდა იგი. რა იქნება, მოხსნას ახლა უნაგირი, შეაგდოს ცივ წყალში და ოფლიანი ზურგი გააგრილებინოს?

რა უშავს, თუ მის მოტანილ წყალს ღომისა და საჭმელების სუნი ასდის! დალევს ბზოუ, ოღონდ ახლა წყალი მოუტანოს და დალევს. რა ქნას, ყელი უშრება. თუ უნდა, მოეფეროს კიდეც.

უწინდებურად კი არ დაფრთხება! პატარა კუნტა მაინც მოვიდეს, ნეტავ, რისი ეშინია! ბიჭი ისმენს დიდების საუბარს, რაღაცას ედავება უფროსებს, ბრაზობს, თითქოს ტირის კიდევაც... როცა ფულზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ბიჭს ბადრას ნათქვამი გაახსენდა: ორი-სამი წელიც მოიცადე და მერე ბზოუს მარულაზე შენ წაგაყვანინებო. მას შემდეგ ერთი ზამთარი უკვე გავიდა, დარჩა კიდევ ორი; ორჯერ კიდევ დაზამთრდებოდა და ბზოუც მისი იქნებოდა. აი, ის კაცი, გზიდან რომ მოაბრუნა ცხენი, წამოდგა და წკნელის ტყლაშუნით ბზოუსკენ გაემართა. კუნტა არ უშვებს, ორივე ხელით ებღაუჭება მას და ერთიანად კანკალებს.

— ვაჰ, გაგიგონიათ! პატრონი ცხენს ყიდდა და მეჯინიბე არ შვრებოდაო! რა წურბელასავით დამეკიდა, კაცო! მოუსვი აქედან! — უყვირა ბავშვს შაჰანმა.

შაჰანი იმ მონადირეს ჰგავდა, თოფს რომ ალალბედზე გაისვრის და შველს მოჰკლავს, თანაც ისეთ მონადირეს, ფრინველის ფიტულის მეტი ნადირი რომ არ უნახავს. როცა მთის ძირას ცხენზე ჯდებოდა, გული შიშისაგან ეწურებოდა. ახლა ის შიშიც გაუქრა. მსიგუდა კი დგას და თავსაფრის კიდით ცრემლებს იმშრალებს. იქნებ გადაიფიქროს? ჩქარობს შაჰანი, ძლივს დაადგა ცხენს უნაგირი. მოახტა ბზოუს და დაუმშვიდობებლად, თითქოს ეს არის ვაჟიშვილის შეძენა ახარესო, ეზოდან გაქუსლა. ნებაზე მიშვებულმა ბზოუმ ვერც კი მოასწრო თვალი მოევლო ნაჩვევი კარ-მიდამოსთვის, თავისი საჯინიბოსთვის, რომელთაც სამუდამოდ შორდებოდა და უმალ შარაგზას გაენთო.

„ჭკუამოკლე ქალმა რა იცის ცხენის ფასი, — ამბობდა თავისთვის შაჰანი და გუნებაში ეცინებოდა, — მართალი უთქვამთ, სანამ სახლს იყიდი, ჯერ იკითხე, ვისი აშენებულიაო. თუ მამის აშენებულ სახლს შვილი ყიდის, იაფად გაყიდის; მაგრამ თუ სახლს იგეთი კაცისაგან ყიდულობ, თვითონ რომ დაუდვია აგური აგურზე, მაშინ უფრო მაგრად უნდა მოიჩხრიკო ჯიბ-

ეები. რა იცის ჭკუათხელმა ქალმა, რამდენი ძალა და ღონე შეალია მაგის პატრონმა ბზოუს. როგორ მოვატყუე! მაგრამ რა იცი, რომ არ გადაიფიქრებს. ხვალვე უნდა მივაშავო თავისი კაპიკები. ერთხანს ვიჭენავებ, გულზე გავხეთქავ იმ ღორ ჰარუნს, არჩვის ხელით დაჭერა რომ მოინდომა! შემეცოდა და ვერ ვესროლეო, ხა, ხა, ხა. ხომ მოიფშვნიტა ფეხი! რა ძალა ადგა! ცოტა ხანს ვაწრუწუნებ და მერე მივყიდი. ოთუსბირს დავუფასებ, ვიცი, თავს მოიკლავს და უარს არ იტყვის. აჩუ, ცხენო, ხომ არ გადაირიე, აღვირს გამიწყვეტს ეს ოხერი! ჰო, მირჩევნია მგლებმა შემიჭამონ, ჰარუნს კი ცხენს ვერ ჩავუგდებ ხელშიო, — აუტეხია მსიგუდას. ჰმ, ცხენი შეიძლება მგლებმა შემიჭამონ, მაგრამ წითელი თუმნიანები?... ფულს ხომ ვერ შემიჭამენ მგლები? უნდა ვიჩქარო, მართლა არ გადაიფიქროს. ცოტა აშარი ქალია, რა ვიცი, არ გაბრაზდეს. აჩუ, ცხენო! შე სამგლევ, შენა! აღვირს აღარ მანებებს, კაცოო, რა უკან ღრეჯავ კისერსა, სახლი ხომ არ მოგენატრა? დროა დაივიწყო სამუდამოდ ის ეზო-ყურე. ახლა ჩემს ხელში ხარ, მინდა გაგყიდი, მინდა უღელში შეგაბამ! მსიგუდას ვილა ჰკითხავს! ჩემი ცხენი მთაში გასუქდება და გამომადგება. მე მეტი ცხენი არ მინდა... მანამდე კი... აჩუ, ცხენო, რას შვრები, არ მომკლა, კაცო!

დღისით, მზისით, რა ცხენი ჩავიგდე ხელში!...

ჩემია, ჩემი, როგორც მინდა, ისე მოვექცევი.

სოფელს სახელს გაუთქვამსო, რა თავში ვიხლი ცარიელ სახელს? საჭმელად ეგ არ გამოდგება და სასმელად.

აჩუ, ცხენო!...

რა ბედნიერ ფეხზე გამიცილებია მწყემსები!"

შაჰანი ცალი ხელით აღვირს ჩაფრენოდა, ცალით — ცხენის ფაფარს და ტკიპასავით მიჰკვროდა ბზოუს. მაინც არ სჯეროდა, რომ ბზოუ მისი საკუთრება იყო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ექაჩებოდა აღვირს და ცხენს წამდაუწუმ ფეხებს სცემდა ფერდებში. ბზოუ ახლა შუა სოფელში მიჰქროდა, ოფლში გაწურულს მტვერი ადვილად ედებოდა და ფერი შეცვლოდა.

გავიდა რამდენიმე თვე...

ბზოუს პირველად გარეგნობაზე შეეტყო, რომ ძველებურად აღარ ცხოვრობდა. ჰარუნი მარულაზე იმიტომ სცემდა ცხენს, რომ სხვისი იყო, მას შემდეგ კი ბადრას აღარ შეუსვია იგი ცხენზე. ჰარუნს უყვარდა ბზოუ, უნდოდა, რაც შეიძლება მალე დაპატრონებოდა მას, გასულიყო მარულაზე და გაემარჯვა. მანამდე ჰარუნს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტება სწამდა: რაც უფრო მაგრად ამოაწნავ ცხენს მათრახს, მით უფრო დაოთხდებაო. აბა, ვის გაუგონია, მათრახი ცხენს აჩქარებდეს? ვინც ცხენის ყადრი იცის, იგი ამას არასოდეს იტყვის.

ადამიანზე არავინ იზრუნებს ისე, როგორც ჰარუნი ზრუნავდა ბზოუზე. ბადრას ფარღალალა საჯინიბოს კი არ ჰგავდა ბზოუს ახალი საჯინიბო, კედლები გვიმრის ფოთლებით ჰქონდა ამოწნული, ქარს არ ატარებდა. როცა ჰარუნი ცხენს თავზე ხელს უთათუნებდა, ის თარსი არჩვის თიკანი აგონდებოდა ყოველთვის. მაშინ მისი ამხანაგი ცოტა მოშორებით, ქვევით იდგა. თიკანმა, ეტყობა, პირველად ის შენიშნა და ქვევით იყურებოდა. რა ლამაზი იყო, რა მშვენიერი, გრძელკანჭება და პრიალაბეწვიანი! ნელა გაცოცდა მისკენ ჰარუნი... თიკანს სხვა გზა არ ჰქონდა, მისკენ უნდა წამოსულიყო. ცოტაც, ცოტაც და...

ხმაურმა ყურები გაუყრუა. ქვები, არჩვი და კაცი ერთმანეთში აილინთ-დაილინთა. ჰარუნი ყვიროდა. ქვევით დაშვებულ ნადირს მისმა ამხანაგმა ტყვია დაადევნა. მერე, როცა დამტვრეულ-დალილავებული ჰარუნი ზევით ამოიყვანეს, უჩვენეს არჩვის ტყავი და უთხრეს:

— ამისთვის როგორ იკლავდი თავს, შე დალოცვილო!

— დამავიწყდა, რომ თოფი მქონდა, — თქვა ჰარუნმა და საკუთარ თავზე გაეცინა. მერე ყველაფერი წვრილად მოუთხრო ამხანაგებს.

იყიდა თუ არა ჰარუნმა შაჰანისაგან ცხენი, მაშინვე საუკეთესო საძოვარზე გაუშვა. ბზოუს გარდა სხვა პირუტყვს

იქ არ აჭაჭანებდა. ბალახი მუხლამდე სცემდა ბზოუს. როცა დაატყობდა, ცხენს მწვანე სამყურა მობეზრდაო, თივას დაკუწავდა, მარილწყალში გაავლებდა და ახლა იმას აჭმევდა. დიდი, სპილენძის ქვაბი ყოველთვის სავსე ჰქონდა კამკამა წყლით.

პირველ ღამეს ბზოუმ პირი არაფერს დააკარა, ერთი ნახტომით გადაევლო ღობეს და იმ მინდვრისაკენ გაკურცხლა, სადაც ჯერ კიდევ დედასთან ერთად ბალახობდა ხოლმე და, სადაც ახლა ნაცრისფერი ჯაგლაგი ცხენი ეგულებოდა. ის იყო მიაღწია თავის საყვარელ ადგილს, რომ ჰარუნიც დაეწია, თავზე ქამანდი წამოაცვა და უკანვე წამოიყვანა. ბზოუ ნელ-ნელა მიეჩვია ახალ პატრონს. ორმა წელმა ისე განვლო, რომ მას ზნე და ხასიათი არ გამოუცვლია, მაგრამ დრო თავისას შვრებოდა. ცხენმა ახალი ზნე-ჩვეულებები შეითვისა და მთლიანად ახალ პატრონს მიენდო. ჰარუნს ეცოდებოდა ცხენი და ცივ წყალში არ შეჰყავდა. ეს მოსწონდა ბზოუს. ვინ იცის, რამდენჯერ გაჰყინვია ფეხები მდინარის ცივ წყალში! ძველი პატრონი იმდენს არბენინებდა ხოლმე, ცხენს გული უსუსტდებოდა და მუხლი ეკვეთებოდა. ახლა ისე გასუქდა, ძველი მოსართავები ველარ სწვდებოდა უკვე. შეჯდებოდა ჰარუნი ცხენზე, ფეხებს გაფარჩხავდა და სოფლის შარაზე გამოვიდოდა. წყალს რომ დაწყვეტ, წისქვილის ქვები ერთხანს კიდევ ტრიალებენ; ბზოუ ჯერ კიდევ უძალიანდებოდა აღვირს. რამდენჯერაც დააპირა გაქცეოდა ჰარუნს, იმდენჯერ მათრახით სცემეს. ჰოდა, ჰარუნმა ვერ შენიშნა, წამდაუწუმ მათრახით ცემამ ბზოუ კუდის ქნევას რომ მიაჩვია. კოჭლი ჰარუნი უშურველი კაცი იყო, უარს ვერავის ეუბნებოდა და ბზოუს ხან ვინ დააჯირითებდა, ხან ვინ.

— კარგი ცხენი მთელი სოფლის საკუთრებაა, შეჯექით და წადით, სადაც გინდათ, — ეუბნებოდა თანასოფლელებს და თვითონ უკაზმავდა ცხენს. ვის ქორწილში უნდოდა წასვლა, ვინ სამძიმარზე მიდიოდა მეზობელ სოფელში — ჰარუნი უარს ვერავის ეუბნებოდა. გარდა იმისა, რომ ასეთი კეთილი კაცი იყო, მას ისიც ეამაყებოდა, ასეთი კარგი ცხენი რომ ჰყავდა. საქმე

იქამდე მივიდა, რომ ბზოუ ვეღარ არჩევდა, ვინ იყო მისი ნამდვილი პატრონი. ყველა ცდილობდა, ისე ეტარებინა ცხენი, როგორც თვითონ სურდა. ზოგს მისი ლამაზი სიარული მოსწონდა, ზოგს ეჩქარებოდა და სირბილით სიქას აცლიდა, ზოგსაც — ვინ იცის, რა... იმ ნაბდის ნაცვლად, რომელსაც ბადრა ისე კეცავდა, რომ უზანგში გაატარებდი, ახლა ბზოუს სიმინდით სავსე დიდი ტომრები ეკიდა. პირველად ტომარა ერთ-ერთი მარულის შემდეგ აჰკიდა ჰარუნმა, აჰკიდა ტომარა და თვითონაც ზედ შეაჯდა. ბზოუს წელი ეტკინა — ტომრები ძალიან მძიმე იყო.

ისევ ბოლო მარულა გაახსენდა. პირველად არ ხედავდა ამ მრგვალ მინდორს, ბევრჯერ გამარჯვებულს დაუტოვებია სარბენი ბილიკები, ახლა კი გაუჭირდა, ძალიან გაუჭირდა ბზოუს. ოფლად გაიღვარა. ხუთჯერ ძლივს შემოურბინა მინდორს. თითო-თითოდ უსწრებდნენ ცხენები. სული ეხუთებოდა, გული ძველებურად ერჩოდა, მაგრამ მუხლები აღარ ემორჩილებოდა. სიმსუქნისაგან ლამის ფეხები დასკდომოდა.

— იქით გაიყვანე შენი ლოხი ცხენი, იქით!

— ერთი უყურე, კუდს როგორ იქნევს, კუდს!

— მათრახი, მათრახი დაარტყი-მეთქი!

— წისქვილში წადი მაგ ცხენით, წისქვილში, მარულაზე რა გინდა!

და ამას ამბობდნენ იმ ცხენზე, რომელსაც რამდენიმე წლის წინათ ნატვრისთვალივით ეფერებოდნენ და ქებით ცამდე აჰყავდათ!

ერთი გვიანი შემოდგომის დღეს ცხენი კარგად გამოძღა, მოსწყინდა ეზოში უქმად გდება და ჩუმად, ისე, რომ არავის დაუნახავს, ეზოდან გავიდა. ნელა, აუჩქარებლად დაადგა იმ გზას, მშობლიური ადგილებისაკენ რომ მიუძღოდა. მიდიოდა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მოენატრა მშობლიური სანახები; ბადრას ძველი ეზო და ფარღალალა საჯინიბო. არა, მას უკვე რა ხანია დაავიწყდა ეს ყველაფერი. დაავიწყდა კი არა, როცა იხსენებდა, უკვირდა კიდევაც, რატომ უყვარდა ასე სირბილი,

რატომ იკლავდა თავს მარულაზე პირველი ადგილისათვის; როგორ სწყინდა ხოლმე, როცა სხვა ცხენი გაუსწრებდა! არა, ბზოუ იმ დაცემული ველისაკენ მიდიოდა, სადაც კვიცობაში დედამისთან ერთად ბალახობდა ხოლმე. იმ კაცმა, ერთ დროს რომ გაიძახოდა — კარგი ცხენი სოფლის საკუთრებაა, გუშინ უნაგირიც კი არ დაადგა, ისე აჰკიდა ტვირთი. ცხენს ზურგი გადაეყვლიფა და ახლა ნაიარევზე ბუზები დახვეოდა. ცოტაღა დარჩა იმ მინდვრამდე, როცა წინ სოფლის მეთულუხჩე შემოხვდა. მოხუცი ურემზე იჯდა, მუხლებზე თავისი განუყრელი ყავარჯენი შემოედო და რაღაცას თავისთვის ღიღინებდა. დროდადრო კამეჩებს სახრეს გადააწნავდა და მორჩილი პირუტყვებიც ზანტად, კუდების ქნევით მიიზლაზნებოდნენ. ბზოუმ ურემს რომ ჩაუარა, მოხუცს გაახსენდა, რა თავპირისმტვრევით მისდევდა იმ დღეს ბზოუ წინწასულ ცხენებს. გაახსენდა ისიც, როგორ იმარჯვებდა ხოლმე ბზოუ მარულაზე და სევდიანად წაიღიღინა: „ვაი მას, ვისაც თქმა სურდა და ველარ ამოთქვაო, ვაი მას, მუხლმაგარს, მუხლი რომ მოეჭრაო... ჰაამ-ჰო!“ — მერე სახრე გადაუჭირა კამეჩებს, თითქოს ისინი ყოფილიყვნენ რაიმეში დამნაშავენი.

ბზოუ გაშლილ ველზე გავიდა. თავი ასწია და გაიხედ-გამოიხედა. შორს, შუა მინდორში ის ნაცრისფერი ცხენი ძოვდა. თითქოს იგრძნო ბზოუს მოსვლა, მანაც ასწია თავი მძიმედ და გაყუჩდა. იდგა და უყურებდა ბზოუს თავისი ჩავარდნილი, უსიცოცხლო თვალებით, დამშრალ ჭას რომ მიუგავდა. წინათ, როცა ბზოუს დაინახავდა, ბრაზიანად ჭიხვინებდა და ახლოსაც არ იკარებდა უცხო ცხენს, ახლა კი ეს ნაცრისფერი ცხენი, თითქოს თავისი ახლობელი დაინახაო, ხმამაღლა აჭიხვინდა და ბზოუს შესახვედრად გამოექანა.

გაშლილ მინდორზე, ბებერი რცხილის ჩრდილში, პირისპირ იდგა ორი ცხენი.

კერია

შააბს ამ ბოლო წლებში რაღაც უცნაურობა დასჩემდა. მისი ცოლი თაკუნა, რომელიც მან სულ ნორჩი შეირთო, ახლა უკვე წელში მოხრილი დედაბერი იყო. ამ ქალმა ცხოვრების უმეტესი ნაწილი მის ჭერქვეშ გაატარა. ის თვალის დახამხამებაზე ხვდებოდა ხოლმე ქმრის გულისწადილს, ახლა კი ვერაფერი გაეგო. იცოდა ქმრის ახირების მიზეზი, მაგრამ მაინც თავგზა აბნეოდა, ვერ მიმხვდარიყო, სად იყო ძაღლის თავი დამარხული.

„რატომ განიცდის დღეს ამას? ნუთუ ვერ დაივიწყა? გუშინ ხომ არ მომხდარა! რამ გაახსენა ახლა? რამდენი ხანია ასე ვართ. აქამდე ვერ შეურიგდა? ეტყობა, საქონელთან ტრიალში, შეშის დაჩეხვა-მოტანაში ავიწყდება ხოლმე ყველაფერი. წუხელ მხიარულობდა კიდევაც. საქმით იკლავს დარდს გულში და მე არაფერს მიმხელს. მაგას ჰგონია, რომ ღამ-ღამობით ღრმად მძინავს და სიბნელეში ვერაფერს ვხედავ. ქვა ხომ არ მიდევს მკერდში, გული ყველაფერს ხედავს და გრძნობს. უჯიგრო ხომ არ ვარ. ის მამაკაცია, მე მეგონა, უფრო ძლიერი იყო“, — ასე ფიქრობდა გულში თაკუნა, ბუზღუნებდა თავისთავთან მოლაპარაკე. მერე ჩუმდებოდა და წვებოდა. შააბი დაბალი ხმით ეძახდა ცოლს, ქალი კი არ ინძრეოდა, თავს იმძინარებდა. „ახალს მაინც არაფერს იტყვის, რაში არგია ტყუილ-უბრალოდ ლაპარაკი?“ ღამეს ბოლო არ უჩანდა. თუ სადმე შორს, სოფლის შუაგულში რომელიმე მთვარეყეფია ძაღლი აღავღავდებოდა, შააბი სწრაფად წამოჯდებოდა ხოლმე საწოლზე და ჭიშკრისაკენ იწყებდა ყურებას. როცა მაგრად ჩაკეტილი ალაყაფის კარების ჭრიალს ვერ გაიგონებდა, ძაღლს ერთი მაგრად შეუკურთხებდა და ისევ ბალიშზე მიდებდა თავს. თავისი საწოლი უკვე დიდი ხანია ფანჯარასთან ედგა შააბს. „ფანჯრიდან ქარი უბერავს, თავს რად იციებ, საკუთარი თავის მტერი ხომ არა ხარ, შე დალოცვილო!“ — ხშირად უთქვამს ქმრისთ-

ვის თაკუნას, მაგრამ შააბი თავისას არ იშლიდა. ისე მოხერხებულად მიედგა საწოლი ფანჯარასთან, რომ როგორც კი თავს წამოწევდა, ერთბაშად შეეძლო დაენახა, რა ხდებოდა გარეთ.

თუმცა იმედგაცრუებული შააბი ძაღლს ლანძღავდა, მაგრამ მაინც გულისყურით უსმენდა მის ყეფას და ფიქრობდა, ნეტავ, არ გაჩუმდებოდესო. ასე იყო ყოველ ღამე. ფანჯრიდან ჩანდა კაშკაშა ვარსკვლავებით მოკირწყლული ცა. ციმციმებდნენ ვარსკვლავები, თითქოს ერთმანეთს თვალს უკრავენ, ეარშიყებიანო. როცა ყველაფერი მიწყნარდებოდა და შუაღამის სიმყუდროვეს მდინარე აძღარასა და ჭრიჭინების ხმაურიღა არღვევდა, შააბი ჩურჩულს დაიწყებდა, იმ ახალგაზრდა ყმაწვილივით აჩურჩულდებოდა, ეს წუთია რომ მოკიდებოდა ოჯახს, თავის დიდი ხნის ნალოლიავებ ადგილას სახლის მშენებლობა წამოეწყო და ახლა მშენებლობის ხედით ტკბებოდა. შააბიც პერანგისამარა გამოდიოდა გარეთ და შუაღამისას თავის ეზო-ყურეს ათვალიერებდა. მისი სახლი ბექობზე, ბორცვიან კორდზე წამომართულიყო. შააბი მაინცდამაინც ვერ დაიტრაბახებდა თავისი ოდით, ეს იყო ერთი დიდი, განიერი ოდა. შქერის წკნელით შემოწნული ეს სახლი შააბმა თვითონ ააშენა. მოგვიანებით, როცა მისივე თქმით, სოფელ აფსარაში „კულტურა შემოვიდა", შააბმა თავისი ფართო ოდა შიგნიდანაც და გარედანაც მოაბათქაშა. ოღონდ „კულტურა" მის კერას მაინც ვერ შეეხო. ბუხარი რომ ბუხარია, იმასაც ვერ მიეჩვია. ისევ რკინის გრძელი ჯაჭვი ჩამოეკიდა შუაცეცხლზე ძველებურად. ცეცხლს აფხაზურ წესზე ანთებდა. შუა ცეცხლზე ორი დიდი კაუჭი ეკიდა. თაკუნას ძალა არ ჰყოფნიდა, ჭერიდან ჭვარტლი ჩამოეწმინდა, შააბი კი ამ დღეებში იმდენ შეშას უკეთებდა ცეცხლს, რომ ცეცხლზე გადებული რკინის ხარიხა სიმძიმისაგან იღუნებოდა. ღამითაც, როცა დასაძინებლად წვებოდნენ, ბლომად მოზიდავდა ხოლმე მუხის შეშას და აყრიდა და აყრიდა ცეცხლს. შუაღამისას ისევ დგებოდა, გარეთ გამოდიოდა, ყურ-

ადღებით მიმოავლებდა თვალს ეზოს, თითქოს რაღაცას ეძებს და ვერ უპოვნიაო. მერე ჩერდებოდა და დიდხანს ვერ სწყვეტდა თვალს თავისი ფართო სახლის სახურავს.

„— ამოდის კვამლი, ამოდის საკვამურიდან კვამლი ბოლქვებად. ეს ჩემი სახლის კვამლია, არ ჩამქრალა ჩემი კერია. კარგი ცეცხლი იცის მუხამ, ადვილად ვერ ჩააქრობ, არც ჩაქრება მტრის ჯიბრზე!“ — ამაყად წარმოთქვამდა შააბი და ხმაში რიხი გაერეოდა. თითქოს ეშინოდა, მის საქონელს არ დავიწყნოდა პატრონის ხმა, უსტვენდა, ხმამაღლა ეძახდა მათ. შააბის კარმიდამოში სხვისი საქონელი რომ გადმოსულიყო, შააბი ისე განიცდიდა ამ ამბავს, თითქოს მისი წილი ლუკმა წაერთმიათ. როცა დარწმუნდებოდა, რომ მის ეზო-ყურეში უცხო საქონლის ჭაჭანებაც არ იყო, თავისი კი მშვიდად იცოხნებოდა, მაშინვე სახლში შედიოდა და წვებოდა, მაგრამ დიდხანს მაინც ვერ იძინებდა და მაშინ ცოლს გასძახებდა ხოლმე:

— გღვიძავს, ქალო?

— რა დაგემართა? — აქეთ ეკითხებოდა დინჯად თაკუნა.

— ერთი გარეთ გადი და ნახე, რამსიგრძე კვამლი ამოდის ჩვენი სახლის სახურავიდან. ისეთი ცეცხლი დავანთე, რომ კვამლი ცასა სწვდება.

— გარეთ რომ არ გავიდე და კვამლს არ დავუწყო ყურება, იქით, მეორე ოთახში, ცეცხლს ვერ დავინახავ?

— გათბი-მეთქი, ის კი არ მითქვამს, ვერაფერს შეგასმენს კაცი! დაიძინე, დაიძინე! — ჩურჩულებდა ცოლზე გაბრაზებული შააბი. შემდეგ კი თავისთვის დასძენდა: „ასეა ზოგიერთების ჯიბრზე!“ თაკუნამ იცოდა, ვისაც ეჯიბრებოდა ქმარი.

— შვილს ეჯიბრები? — ეტყოდა და ამოიოხრებდა.

— დამანებე თავი, თუ ღმერთი გწამს! თითქოს შენი შვილი იყოს და ჩემი არა! ვეჯიბრები კი არადა თარჩეიზე გავიმარჯვე მასთან, შენმა მზემ!

— ისე ვიზამ ბოლოს, ფეხი ვერასოდეს შემოდგას ჩემს ეზოში და შენი ბრალი იქნება ეს, იცოდე!

თაკუნა ჩუმდებოდა, იცოდა, რომ შააბი ამას მისი გულის ასაჩუყებლად ამბობდა. ზოგიერთებზე გაბრაზებული, უდანაშაულო თაკუნაზე ყრილობდა ჯავრს. ასე გრძელდებოდა ერთხანს, მაგრამ ერთ დღეს ისედაც უგუნებოდ მყოფმა თაკუნამ ვეღარ მოითმინა და ხმამაღლა თქვა:

— ხალხს უთქვამს — რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო, ვისი ბრალია? საქონელს ანაცვალე! ღმერთმა მანახოს შენი თხა-ძროხის გაწყვეტა!

თაკუნას თავის ნათქვამზე ცრემლები წამოსცვივდა, პირი კედლისაკენ იბრუნა და კრინტი აღარ დაუძრავს. ეგონა, რომ შააბი ლანძღვას დაუწყებდა, ის კი ისე ხმას არ იღებდა.

„მართლა ჩემი ბრალია? მოხუცი დედაჩემის გარდა, კიდევ ერთი-ორმა მისაყვედურა, თითქოს ყველაფერში მე ვიყო დამნაშავე, ვითომ ჩემზე მეტად შესტკივათ გული ჩემს შვილზე!" იწვა სიბნელეში შააბი და სიტყვასიტყვით იხსენებდა უკანასკნელ საუბარს შვილთან.

შემოდგომის მიწურული იყო. იმ დროს, როცა ყველა რიგიანი ოჯახი სავახშმოდ სხდება, გამგეობის კრებიდან დაბრუნდა შააბის ვაჟი დუგუ. დედამისი სუფრის გაშლას შეუდგა, დუგუ კი იჯდა და ხმას არ იღებდა.

— რა დაგემართა ბიჭო, რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის? ნაცემი ხომ არ ხარ? თუ საწყალი ბაბუაშენი გაგახსენდა? — ღიმილით ჰკითხა შვილს შააბმა.

— ბაბუაჩემი კი არა, შენ მაზიხარ აქ, ა! — კისრისკენ წაიღო ხელი დუგუმ.

— რა გითხარი, ბიჭო, ისეთი, ასე რამ გაგაცოფა? რა დაგემართა, ხუმრობა არ იცი?

— რას ჩაციებიხარ იმ ხალხს? — დაიწყო ოდნავ დამშვიდებულმა დუგუმ, — რას ერჩი, რა დაგიშავეს?

— რა ვთქვი ისეთი?

— იმ მაღლობზე, ეზდორას ააფთრა რომ დგას, ხორბალს დავთესავთო, რომ გითხრეს — რატომ სტკიცე უარი?

— ტყუილი ვთქვი მერე, რაც ვთქვი? რომელი ჭკუათ-მყოფელი დაგლეჯს იქ თამბაქოს და ხორბალს დათესავს? ხორბალი წვიმამ გადარეცხა და გაატიალა, თამბაქო ერთიანად დაგლიჯეთ. არც ერთი რომ აღარ გექნებათ და არც მეორე, მა-შინ მომიგონებთ. თავმჯდომარემ გადაწყვიტაო, — გაიძახით. ვთქვათ გადაწყვიტა, შენ რატომღა უკრავ კვერს? როცა ხედავ, რომ საქმეს აფუჭებს, ვერ იტყვი, ვერ გამოასწორებ? იმისათ-ვის არა ზიხარ იქა?

— მე ახალი კაცი ვარ, ძლივს მიმიღეს, ვინ უწყის, როდის ამიკრავენ გუდა-ნაბადს. მე რომ ახლა იმათ წინ გადავუდგე შენსავით, რა ხეირსა ვნახავ?

— თავის გასამართლებლად ამბობ ამას, დად, როგორი ახალი კაცი ხარ, წელს ხომ უკვე მეოთხე წელია, რაც იქ მუშ-აობ. ჯერ ისა თქვეს, ერთი-ორი წელი იმუშაოსო, მერე — გა-მოცდილება აკლიაო — გპატიობდა ხალხი. ხომ არ გგონია, რომ დიდხანს გაგრძელდება ასე?

— შენ თვითონ იცი, რატომ ვერ მიჩვენებია ხალხისთვის პირი, — თქვა დუგუმ.

— თქვი, ენა ხომ არ გადაყლაპე?

— გინდა ყველაფერი მათქმევინო? შენი ბრალია, ხალხი საყ-ვედურს რომ არ მილევს. მდინარის პირას რომ ჭალის გაჩეხვა მოინდომეს, შენ გადაუდექი წინ ნაჯახით ხელში, არ შეიძლებაო, — გაიძახოდი. პურის დათესვა გვინდოდა და — ისევ შენ გა-მოსტყვერი, რომელი ერთი ჩამოგითვალო? კაციშვილისათვის ვერაფერი მითქვამს, მაშინვე პირში ბურთს ჩამჩრიან: მამაშენი დაარიგე ჭკუაზე, ჩვენ რას გვემართლებიო. აი, როგორ გამიშ-ავდღევე საქმე.

— ხალხს ნურაფერს დააბრალებ და ნურც გეშინია მისი. იმათი კი მართლა უნდა გეშინოდეს, დღედაღამ კუდში რომ დასდევ და სულ პირში შეჰყურებ, არაფერი მისაყვედურონო.

— საყვედურს ვინ ჩივის, იმდენს იზამ, მალე, ალბათ, მომხ-

სნიან კიდევაც. დავანებოთ თავი ამას. მე რაღაცნაირად ვუვლი ჩემს საქმეს, — შეარბილა სიტყვა დუგუმ და გაჩუმდა.

შააბმა კარგად იცოდა შვილის ხასიათი. ასე მორჩილად მაშინ ლაპარაკობდა, როცა რაღაც აწუხებდა. „ნეტავ, რისი თქმა უნდაო", — ფიქრობდა შააბი და შვილს შეჰყურებდა. „თუ ძალიან უჭირს, წინ არ გადავუდგები, ისედაც ბევრჯერ დავწყვიტე გული. მართალიც რომ ვიყო, უარს არ ვეტყვი. რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე, ეს ერთადერთიღა შემრჩა, ამასაც რომ წინ გადავუდგე, სამუდამოდ დავკარგავ, — წუხდა შააბი. დუგუმ ჭიქიდან ცოტაოდენი ღვინო მოსვა, ლუკმა მიატანა და წყნარად, აუჩქარებლად დაიწყო:

— იცი, დღეს კრება გვქონდა.

— ეს კი ვიცი, მაგრამ ერთი რამ ვერ გამიგია, მე რატომ არ გამაგებინეთ? სხვაც არა იყოს, გამგეობის წევრი ვარ, თუ უკვე გამრიცხეთ.

— გეტყვი, რაზეც გვქონდა ლაპარაკი და მიხვდები, რატომაც არ იყავი მოწვეული... წერილი მივიღეთ... საქონელს აღარ მოვაშენებ.

— რაო, რა თქვი? — საკუთარ ყურებს არ დაუჯერა შააბმა.

— საქონელი ხელს გვიშლის საქმეში...

— ხომ არ გაგიჟდი?

— მაცალე, მათქმევინე. როცა გლეხს ბევრი საქონელი ჰყავს, მოცლა არა აქვს. დილაუთენიაც რომ ადგეს, შუადღემდე მათ დევნას უნდება. შებინდდება თუ არა, მინდვრიდან მაშინვე სახლში გამორბის, პირუტყვი დასაბინავებელი მყავსო. არც მაინცდამაინც მუშაობით იკლავს თავს, ან კი რა ენაღვლება, როცა თავისი საქონლითაც კარგად გადის იოლას. გლეხს რაც ნაკლები საქონელი ეყოლება სახლში, დროც მეტი დარჩება და საერთო საქმისთვისაც უფრო გაირჯება. მთავრობამ დაგვავალა და ჩვენც გადავწყვიტეთ, რომ სამი ფურის და თხუთმეტი თხის მეტი არავინ არ უნდა იყოლიოს. ერთ თვეს ვაძლევთ ვადას

ყველას, ნამატი საქონელი ან უნდა გაიყიდოს, ან შეიჭამოს. ეს ხალხის ნებაა. ერთი თვის მერე შევამოწმებთ. ვისაც ზედმეტ საქონელს აღმოუჩენენ, თავის თავს დააბრალოს, რაც მოუვა... ხვალვე კრებას მოვიწვევთ და ყველაფერს დაწვრილებით ვეტყვით ხალხს.

— გადაშენდითო, გვეუბნები, არა?

— აი, ხედავ, როგორ წაღმა გესმის ყველაფერი! ისევ ჯიუტობ. მაგრამ იცოდე, შენი გულისთვის მე საქმეს არ გავიფუჭებ! ერთი თვის ვადა გაქვს, დანარჩენი შენ იცი!

ერთი თვეც მალე გავიდა.

ბოსელი, სადაც შააბს თავისი პირუტყვი ჰყავდა დაბინავებული, დიდად როდი ჩამოუვარდებოდა სიდიდით მის საჯალაბო სახლს. ძროხებს, კამეჩებს, ცხენებს, თავ-თავიანთი ადგილი ჰქონდათ მიჩენილი. ჰოდა, საქმე ისე წავიდა, რომ თურმე გამგეობის წევრები მალულად, როცა სახლის პატრონებს ღრმა ძილით ეძინათ, სანთლებით ხელში კარდაკარ დადიოდნენ და ბოსლებს ამოწმებდნენ, გეგონებოდათ, სახლის პატრონი მიიცვალა და ქონების აღრიცხვა უნდათო. დაპატიმრებითაც კი ემუქრებოდნენ იმათ, ვისაც ცხვარ-ძროხა დადგენილ რაოდენობაზე მეტი აღმოაჩნდებოდა. აფსარელები დღესაც დიდის ამბით ყვებიან, როგორ ითვლიდნენ გამგეობის წევრები შააბის საქონელს. შააბი მალულად უთვალთვალებდა მათ და გულში სიცილით კვდებოდა: „აი, თქვე გოგრისთავიანებო! რა გეგონათ, ჭკუას რომ არიგებდნენ, მე ბამბას კი არ ვპენტავდი!“ მერე კი, როცა შეატყობდა, საქმეს მორჩნენო, ფეხაკრეფით გამოვიდოდა სახლიდან და იტყოდა:

— დათვალეთ?

— დიახ.

— ზედმეტი ხომ არაფერი გიპოვნიათ?

— თვითონ არ იცი, რამდენი გყავს?

— შემეშინდა, წუხელ რომელიმე თხამ ციკანი ხომ არ მოიგო-მეთქი!

— ამ ზამთარში რა დროს დოლია! — იტყოდნენ, აბუზ-ღუნდებოდნენ თავმჯდომარე და მისი მდივანი, რომელთაც არაფრად ეპიტნავებოდათ შააბის ანგლობა.

— რა ვიცი, იქნებ მემდურის და ჩემი ციხეში ჩასმა უნდა... — ცეცხლზე ნავთს ასხამდა შააბი, მაგრამ თუ დაატყობდა, მართლა ბრაზობენო, მაშინვე ღიმილით იტყოდა:

— ახლა აქეთ გამოუხვიეთ, — მიიპატიჟებდა სახლში გულთბილად, — ხომ ხედავთ, მთავრობას არაფერში ვეწინააღმდეგები, არც სათხოვარი მაქვს რამე. ამიტომ თამამად გეპატიჟებით, მობრძანდით, მობრძანდით. მთელი ღამე კარდაკარ სიარულმა დაგღალათ ალბათ, დავსხდეთ, ლუკმა გავტეხოთ და ზედ თითო ჭიქა ღვინო დავაყოლოთ...

შააბი აუცილებლად დაკლავდა ბატკანს ან გოჭს. სტუმართმოყვარე კაცი იყო და ყველას ხელგაშლილად ხვდებოდა. უყვარდა მხიარულება, მისი სახლიდან ხშირად მოისმოდა დიდებული აფხაზური სიმღერები და გულიანი სიცილ-ხარხარი. შააბის ასეთ ხელგაშლილობას თავისი მიზეზიც ჰქონდა. როცა ვაჟიშვილი შეეძინა, შააბს იმედი მიეცა, რომ შვილი გაიზრდებოდა, კერას არ გააციებდა და მისი გვარის ღირსეული გამგრძელებელი იქნებოდა. ამიტომაც იყო, რომ მის ოჯახში სუფრა არ ლაგდებოდა.

შააბი შვილის მომავალზე ზრუნავდა. უნდოდა მის ვაჟიშვილზე ხალხს ეთქვა, პურმარილიანი კაცის შვილიაო. შააბი ამით ამაყობდა კიდევაც და არაფერს ინანებდა. ჰოდა, ყველას გაუკვირდა, როცა უკვე დავაჟკაცებულმა მისმა ვაჟიშვილმა მამის სახლ-კარი მიატოვა და სადღაც შორს გადაიხვეწა, შააბმა არათუ უკლო ქეიფსა და დროსტარებას, არამედ უფრო გულუხვად ხვდებოდა სტუმარს; მისი სახლის წინ კაცი ვერ აივლ-ჩაივლიდა, შააბს სახლში რომ არ შეეპატიჟებინა. მეუღლეს კი, რომელსაც უკვირდა ხოლმე ქმრის საქციელი, ასე ეუბნებოდა:

— როცა დავიხოცებით, ჩემი მამაპაპისეული სახლი იმ

წისქვილს დაემსგავსება, ღარში წვეთი წყალი რომ არ ჩაუდის. ჰოდა, სანამ ცოცხალი ვარ, არავის ვათქმევინებ, შააბის კერა ჩაინავლა, ჩაილიაო. უწინამც დღე დამელიოს, ვიდრე ჩემს სახლში მხიარული სიცილისა და სიმღერის ხმა მიწყდებოდეს! დიახაც, არ უნდა მოენატროს ჩემს ეზო-კარს ფიცხი ცხენების თქარათქური და მხედართა ჟივილ-ხივილი. ყველაზე დიდ ქვაბებში უნდა იხარშებოდეს ჩემს ეზოში ხორცი. სტუმარი მიმრავლოს ღმერთმა!

შააბი ამიტომაც ეპატიჟებოდა გამგეობის წევრებს, რომ დაეცინა მათთვის და ამით გული მოეოხებინა. აფსარელებს არაფერი გამოპარვიათ და ყბად აიღეს შააბის თხებიც და ის ხალხიც, ვინც წარამარა ითვლიდა საქონელს და ერთ ჭედილასაც არავის უტოვებდა, თითქოს ნაქურდალი ყოფილიყოს. გამოთქმა „შააბის თხებივით...“ ანდაზასავით აიტაცა სოფელმა.

დათქმული ერთი თვე რომ გავიდა, შვილი ისევ დაადგა შააბს თავზე.

— რამდენი სულით შეამცირე საქონელი? — ჰკითხა შააბს.

— იცი, რა გითხრა?... აბა, ერთი ბაზარში წადი და ნახე, რა ხდება. საქონლის ტევა არ არის, ეგზეკუცია გეგონება. მაგრამ მყიდველიც რომ არავინ არის? ხორცის დამამზადებელი პუნქტებიც უარზე არიან. რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე, ერთიანად ხომ ვერ ამოვხოცავ პირუტყვს, — მიუგო შააბმა.

— ძვირს აფასებ და იმიტომაც არა გყავს მუშტარი. ცოტა იაფად თუ გაჰყიდი, მყიდველი არ დაგელევა. თუ არადა დაკალი!

— არც დავკლავ და არც გავყიდი. წადი და ასე მოახსენე გამგეობას.

— გამგეობამ შენთან გამომაგზავნა, შენ იქ მაგზავნი? ბურთივით გინდა მაგორავო აქეთ-იქით?

— თუ ფეხებში არ გაუგორდები, წიხლს ვერავინ ამოგარტყამს!

— მე მეტი აღარ შემიძლია. მორჩა და გათავდა! შენი ზუნ-ზლიანი საქონლისათვის ხალხს თვალში ვერ გავეჩხირები. იცოდე, რასაც დასთეს, იმას მოიმკი!

— წადი, წადი, შენს საქმეს მიხედე, მე, ხომ ხედავ, ვერაფერ-ში გადგები. აბა, მეტი რა გითხრა, — აგდებით უთხრა შააბმა შვილს. — იმ ქალიშვილის შერთვა გინდა, არა? კაპიკებს დას-დევ? ის ქალბატონი ხომ მდიდარია, წადი და ჩაესიძე ბარემ. შენ არა მყავდი, მაგრამ არც მაშინ შევყურებდი ვინმეს ხელებში!

მაშინ რა იცოდა შააბმა, თუ ეს საუბარი უკანასკნელი იქნებოდა მამა-შვილს შორის. ამ ამბის შემდეგ უფრო მკა-ცრად დაუწყეს საქონელს დათვლა. თავმჯდომარე და მდი-ვანი თავ-თავიანთი ხალხით კარდაკარ დადიოდნენ, ერთ ზედმეტ რქას არ უტოვებდნენ აფსარელებს. რადგანაც შააბი სოფლის შუაგულში ცხოვრობდა, თავმჯდომარე პირველად მას მიადგა, მერე კი ზევით აუყვა სოფელს. მდივანმა კი სოფ-ლის ბოლოდან დაიწყო ბოსლების შემოწმება. ათიოდე დღეში, არც თავმჯდომარესა და არც მის მდივანს არც ერთი თავლა, ბოსელი და ბაკი არ გამორჩენიათ, ძირისძირობამდე გაჩხრიკეს ყველაფერი. ბოლოს, მთელი სოფელი, როგორც ყოველთვის, კანტორის ეზოში შეიყარა. მდივანს ეტყობოდა წინა ღამით ბლომად ღვინო ეყლურწა, თვალებს ძლივს ახელდა და კალამი ხელიდან უვარდებოდა.

— ჩვენ აქ საქმე საციხედ გვაქვს, ძილი ჩვენთვის არ არის და ჭამა! ძაღლების ყეფით გაბეზრებულნი სოფელ-სოფელ დავწანწალებთ და შენ ღვინით გამომტყვრალხარ? — დაებერა ყელის ძარღვები თავმჯდომარეს. მდივანი წამოხტა და ყველას გასაკვირად პატარა მუშტები მაგიდას დასცხო. ასეთ რამეს მისგან არავინ მოელოდა.

— ჩემგან რა გინდა, მე რა დაგიშავე! — იყვირა მდივანმა და თვალები მოეცრემლა.

თავმჯდომარე გაოცდა, თავისი მდივნისაგან ერთი ხმამა-

ღალი სიტყვა არ ახსოვდა და ახლა გაწიწმატებული კაცის დანახვაზე გული მოულბა. ვინ იცის, იქნებ რა შეემთხვა, ნადირი რომ ნადირია, ერთხელ ისიც შეიძლება გაებას ხაფანგში და ცოტა დაუტკბა:

— უნდა გეჭამა, კაცო, მაშ როგორ! მთელი სოფელი მოგივლია და მშიერ-მწყურვალი ხომ არ დარჩებოდი! შენ კარგად იყავი და ეგ არაფერი...

თავმჯდომარის სიტყვებმა გული აუჩუყა მდივანს, ველარ მოითმინა და გაცხარებულმა ბოლმიანად თქვა:

— ეშმაკსაც წაულია ისიც და მისი პურ-მარილიც, წყალს რომ მიჰქონდეს, ხელს არ გავუწვდი, ერთ კოკას მე თვითონ დავუმატებ, წურბელასავით მოგეკრობა და აღარ მოგეშვება...

თავმჯდომარე გულში ალბათ ფიქრობდა, ნეტავ, მე შემახვედრა ასეთი კაციო.

— ვისზე ამბობ? — ჰკითხა თავმჯდომარემ.

— ვისზე და შააბზე. სხვა აბა ვინ იქნებოდა! — უპასუხა მდივანმა, რომელსაც გული ყელში მობჯენოდა.

— ნიკუბა შააბი?

— ჰო, შააბი. ნეტავ, ერთი ზედმეტი ფეხმოტეხილი თიკანი მეპოვა მის ფარეხში, მაგას ვუჩვენებდი სეირს. ერთ ისეთ საჩივარს გავუშანშალებდი, რომ ციხიდან ცხვირი ველარ გამოეყო გარეთ, მაგრამ რა ვუყო მაგ პირქვედასამარხავს, ზედმეტი ერთი სულიც არა ჰყავს.

— ნორმაზე ნაკლები ხომ არა ჰყავს? — ჰკითხა თავმჯდომარემ და ტუჩები გაილოკა.

— არა, არც მეტი ჰყავს და არც ნაკლები.

— არც ერთი სული?

— ვერაფერი ველარ გავიგე. იმ ღამეს, ვიდრე ბოტს დაგვიკლავდა,თხუთმეტამდედავთვალეთ.ახლახომთოთხმეტი უნდა ჰყავდეს? წუხელ დავთვალე და ისევ თხუთმეტია.

— დამთვრალხართ და მერე დაგითვლიათ!

— მთვრალ კაცს საკუთარი თითების სათვალავიც აერევა, — უთხრა ენამწლაკედ თავმჯდომარემ და ტუჩები ისე გაილოკა, გეგონებოდათ მსუყე ხორცის ნაჭრით ჩაიგემრიელა პირიო.

— საქონელს რომ ვითვლიდით, შააბს მკვდარივით ეძინა და საჭმელ-სასმელს, აბა, ვინ მოგვაშავებდა? — თავი მოისაწყლა მდივანმა, მაგრამ ეტყობოდა თვითონაც არ სჯეროდა, რასაც ამბობდა.

— პირველად ხომ შააბთან მივედით? ჩვენ თხუთმეტი თხა დავითვალეთ, ერთი იქვე დაგვიკლა. თოთხმეტი დარჩა. შენ კი გაიძახი, წუხელ ისევ თხუთმეტი დავთვალეო. — თავმჯდომარეს თვალებში ჭინკები უთამაშებდნენ.

ამბობენ, კაცს რომ თავი მოსძულდება, აღარაფრის რიდი აღარ აქვსო. ალბათ ამიტომაც იყო, რომ საკუთარ თავზე გულაღერღილმა მდივანმა ხმას უფრო აუწია და თავმჯდომარეს პირში მიახალა:

— შენ არ იყავი, რომ გაიძახოდი, ჯერ დავლიოთ, თხების დათვლას მერეც მოვასწრებთო? დათვლის შნო სადღა გქონდა, ერთი ორად გეჩვენებოდა!

თავმჯდომარე გატრუნული იჯდა, თითქოს ლანძღვას კი არა, ლოცვა-კურთხევას უსმენსო. მდივანმა, ალბათ, კარგად იცოდა, რას ნიშნავდა მისი დუმილი და გული შიშისაგან ეწურებოდა.

— ჩვენ როცა დავთვალეთ თხუთმეტი იყო, ერთი დაკლა, დარჩა თოთხმეტი. ახლა შენ მეუბნები, შააბს ისევ თხუთმეტი თხა ჰყავსო. როდის იყო, რომ ამ დროს თხა თიკანს იგებდა? საიდან გაჩნდა ის ერთი თხა? — თავმჯდომარემ თავი ხელებში ჩარგო და ფიქრს მიეცა.

— გაწყდეს მაგათი განაგისი! გააწყალეს გული! თოთხმეტი თუ თხუთმეტი, თხუთმეტი თუ თოთხმეტი, სულ ეს გვაკერია პირზე, თითქოს მეტი საქმე არა გვქონდეს. ეშმაკსაც წაუღია ეგეცა და მაგის საქონელიც! — არ ცხრებოდა მდივანი და თან რაღაც ქაღალდებს ავსებდა.

ზამთრის ჩვეულებრივი ღამე იყო, მდივანს თავი ძირს უვარდებოდა, თავმჯდომარე კი იჯდა მიყუჩებული და ფიქრობდა, როგორ მოეგვარებინა ეს საქმე.

შორს, მთებში, ხვავრიელად ბარდნიდა. თოვლს გადაეთეთრებინა მთის მწვერვალები. ყინვისაგან დამზრალი მდინარე აძღარა დაპატარავებულიყო და კლდე-კლდე უხმაუროდ მიიპარებოდა ზღვისკენ. გლეხები ამინდს ეშურებოდნენ და ზამთრის თადარიგს იჭერდნენ. ზოგი შეშას ჩეხავდა, ზოგიც ჩალას აბინავებდა და რა ვიცი, კიდევ რას აღარ აკეთებდნენ. შააბიც დილიდანვე თავის კარ-მიდამოში ტრიალებდა.

კოლმეურნეობის გამგეობის ეზოში ხალხი ირეოდა, მაგრამ თავმჯდომარეს მათთვის არ ეცალა. შუბლი ისე შეეჭმუხნა, თითქოს სოფელ აფსარას დაღუპვა ემუქრება და ახლა მასზეა ყველაფერი დამოკიდებულიო. იჯდა ასე გაეშმიშებული და ვერც მომსვლელს ამჩნევდა და ვერც წამსვლელს. მდივანი, რომელიღაც გლეხს ცნობას უწერდა იმის თაობაზე, რომ ცხენი მართლა მისი იყო და არა სადმე ნაქურდალი.

— გავგიჟდები, ნამდვილად გავგიჟდები!— ამოიკვნესა თავმჯდომარემ. თხუთმეტი თხა ჰყავდა, ერთი დაკლა, ისევ თხუთმეტი როგორ დარჩა? მდივანი შეკრთა, საწერ-კალამი ხელიდან გაუვარდა და გაიფიქრა, მართლა ჭკუიდან ხომ არ შეიშალაო, მაგრამ მალე მოვიდა გონზე და თავმჯდომარეს ცეცხლზე ნავთი დაუსხა:

— შააბის თხებს რა გამოლევს, მოჭრილ თავზე ახალი თავი ეზრდებათ დევებივით!

— აი, შე ბრიყვო, სახუმაროდ გაქვს ვითომ საქმე? ერთ მშვენიერ დღეს თუ შენ თვითონ წაგაცალეს თავი, ახალი თავის იმედს ნულარ იქონიებ! ყოველ კვირას თუ მაგის თხებს ერთი თხა მოემატა, წლის ბოლოს მთელი ფარა ეყოლება და რაიონიდან რომ კომისია დაგადგება თავზე, ზოგი მაშინ იხუმრე!

მართალია, თავმჯდომარემ საკმაოდ ხმამაღლა უყვირა თავის მდივანს, მაგრამ სახე ძალიან შესაბრალისი ჰქონდა.

ამბობენ, რომ სწორედ იმ დღეს შეიქმნა საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა საგულდაგულოდ დაეთვალა შააბის თხები. მეორე დღეს, როგორც კი კარგად შეღამდა, კომისიის წევრებმა შააბის სახლს ალყა შემოარტყეს, ორ კაცს, რომლებიც სხვებზე უკეთეს მხედველობას იჩემებდნენ, სანთლები მისცეს ხელში და ფარეხში შეუშვეს. დანარჩენები კი გარეთ, შესასვლელთან ჩასაფრდნენ, ვითომ, თუ რომელიმე ურჩი თხა გარეთ გამოვარდა, არსად გაგვექცესო. არავინ იცოდა, შააბი სად იყო, იქნებ სახლშიც იყო, მაგრამ გარეთ არ გამოდიოდა, თითქოს სურდა ეთქვა, რაც გინდათ ისა ჰქენით, თუნდაც ქვა გიხლიათ თავშიო.

ასე იყო თუ ისე, იმ ღამეს შააბისთვის თვალი არავის დაუკრავს. კომისიის წევრებმა კი იმ ღამესვე აქტი გააშანშალეს.

მეორე დღეს, დილით, სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ჭაჭით გამძღარი გოჭივით მძიმედ ხვნეშოდა. ის იყო კაბინეტში შეალაჯა, რომ მაშინვე მაგიდაზე დადებულ აქტს მოჰკრა თვალი.

აი, რა წაიკითხა თავმჯდომარემ: „ჩვენ, იქ მყოფებმა, ორი ყველაზე განათლებული ვაჟკაცი ფარეხში შევუშვით, ორივემ ცალ-ცალკე დათვალა თხები ისე, რომ ერთმანეთისთვის არაფერი უთქვამთ. მერე ასევე ცალ-ცალკე დაწერეს ქაღალდზე, ვინ რამდენი დათვალა და ბოლოს ქაღალდი გადმოგვცეს ჩვენ. ქაღალდზე ეწერა, რომ სოფელ აფსარას მცხოვრების, ნიკუბა შააბის ფარეხში არხეინად იცოხნებოდა თხუთმეტი თხა“.

ხალხს თუ დავუჯერებთ, აქტის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარე მუხლებმოკვეთილი მაგიდაზე დამხობილა და მდივანი რომ არ შესწრებოდა, შეიძლება ველარც აეღო თავი.

— ვაიმე, ძმაო, რა გჭირს, რა არის შენს თავს? რა მეშველება მე უბედურს? — ზარის ხმაზე უკივლია მდივანს. მის ყვირილზე თავმჯდომარე გონზე მოსულა.

— უ-ყუ-რე, უ-ყუ-რეე! — წამოუკნავლია თავმჯდომარეს და თითი საითკენღაც გაუშვერია. საბრალო მდივანს ვერაფერი მიახვედრა მისმა უმისამართოდ გაშვერილმა თითმა. ბოლოს ისღა გაიფიქრა, ნამდვილად ვიღაცასთან უჩხუბიაო და ოთახში მიიხედ-მოუხედია.

— სად არის მკვლელი, ვინ იყო, რა იქნა?... — ყვიროდა თურმე მდივანი. მერე გრაფინისთვის დაუვლია ხელი და კარადაში შეუხედავს.

— მანდ რა გინდა, აქ არის, აქ, — უთქვია თავმჯდომარეს და აქტზე დაუდევს ხელი, — ნახე, ნახე, ისევ თხუთმეტი, ისევ თხუთმეტი თხა!

ამ ამბის მერე შააბს კიდევ ერთი კომისია მიუგზავნეს, შააბმა კიდევ ერთი ბოტი დაკლა.

არავინ იცის, რა ამბავი მოიტანა ამ კომისიამ, მაგრამ თავმჯდომარეს ერთი-ორი დღე ხმა ვეღარ ამოაღებინეს, ენაგადაყლაპულივით დუმდა.

თავმჯდომარის მუხლადი ცხენი მიჩვეული იყო აფსარელების ეზო-ეზო სიარულს. არც ამჟამად უღალატია თავისი ჩვეულებისათვის, როგორც კი ცხენი შააბის ჭიშკარს გაუსწორდა, შეჩერდა და ეზოში შევიდა. მზე ჩადიოდა, საძოვრიდან დაბრუნებული შააბის თხები ჭიშკარს მიდგომოდნენ და გემრიელად იცოხნებოდნენ. თავმჯდომარემ იფიქრა, რას ვკარგავ, მაინც აქა ვარო და თხები დათვალა. მერე, თითქოს არაფერი მომხდარაო, შააბს უთხრა:

— შააბ, ყოველდღე თითო თხას კლავ, კომისია მოდის და ისევ იმდენია. ერთი გამაგებინე, რატომ არ კლებულობს შენი ფარა?

შააბს გაეცინა და თავმჯდომარეს მხიარულად უპასუხა:

— სტუმრიანი კაცის ოჯახს ბარაქა არ მოაკლდება, შენი ჭირიმე, გლეხი კაცი რომ სტუმარს გულუხვად გაუმასპინძლდება, ერთი ათასად ექცევა!

ამბობენ, თურმე აფსარელების თავმჯდომარეს ისე უყვირია შააბისათვის, რომ კინაღამ მზეც კი დროზე ადრე ჩასულა.

გულგახეთქილი თხები აქეთ-იქით გაფანტულან. საწყლებს ეგონათ, ჭექა-ქუხილი ამოვარდაო და აღარ იცოდნენ, სად შეეფარებინათ თავი. მხოლოდ შააბი იდგა უშფოთველად და სახეზე ღიმილი დასთამაშებდა. გაცეცხლებული თავმჯდომარე თხებს გამოსდგომია. უნდოდა თურმე ყველა ერთბაშად საყასბოში — როგორც აფსარელები ამბობდნენ „ზაკატოუკაში" ჩაებარებინა. სანამ სუყველას თავს არ წავაცლი და გუდად არ ამოვიღებ, ფეხს არ მოვიცვლი აქედანო, — ასე დაუქადია თურმე. არც გადაიფიქრებდა, თხები რომ არ გაქცეოდნენ და გავეშებული თავმჯდომარე ხალხს არ შეეჩერებინა.

აფსარელების თავმჯდომარეს დღემდე არ ახსოვს ვინ გადაუდგა წინ. უკვირდა კიდევაც, როგორ გადამირჩა, რომ არ მოვკალიო.

კიდევ კარგი, ხალხმა დროზე გამოიღო ხელი, თორემ ეს ამბავი უფრო ცუდად დამთავრდებოდა. სანამ გაგულისებულ შააბს ხალხი ძლივს აკავებდა, იქვე უსიტყვოდ იდგა შააბის მორჩილი ცოლი თაკუნა. როცა ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, ხალხიც დაიშალა და შააბი და მისი მეუღლე მარტონი დარჩნენ, თაკუნამ, რომელსაც ადრე ხმამაღალი სიტყვა არ უთქვამს ქმრისთვის, ახლა თავი ველარ შეიკავა:

— შენი სულის საწირავი იყვნენ ეგ თხები, დღე აღარ გვაქვს მოსვენება და ღამე. თუ კიდევ ვინმეს შემოუცდა ფეხი ჩვენს ეზოში თხების დასათვლელად, იცოდე, ყველაფერს ვიტყვი, ვიტყვი, საიდანაც მოგყავს დაკლული თხის სანაცვლოდ სხვა თხა!

დიდი ჩხუბი მოსვლიათ თურმე ცოლ-ქმარს. აქამდე წინა ზიხარ, უკან დაჯექიო, არ უთქვამთ ერთმანეთისათვის. საქმე გაყრამდეც კი მისულა და დაინგრეოდა კიდევაც სიამტკბილობით ნაშენი ოჯახი, მეზობლები რომ არ ჩარეულიყვნენ.

ამ ამბის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. შააბის თმებში ვერცხლისფერმა უფრო იმძლავრა, მაგრამ ჯერ მაინც ჭარმაგად იყო, როგორც ხალხი ამბობს, თვალიც კარგად უჭრიდა და მუხლიც მაგარი ჰქონდა.

ერთხელ შააბი კოლმეურნეობის კანტორაში მივიდა. თავმჯდომარე ჩვეულებრივზე ტკბილად მიესალმა მას და თავის კაბინეტში შეიყვანა. როცა დასხდნენ, თავმჯდომარემ შააბს უთხრა:

— როგორც ხედავ, დრო შეიცვალა შააბ, ახლა ასეთი რამეებისა აღარ გვეშინია. ყველაფერს გაფიცებ, მართალი მითხარი, არ მომატყუო, თხას რომ კლავდი და ფარას ციკანი არ აკლდებოდა ხოლმე, როგორ ხდებოდა ეს?

შააბს ხმამაღლა გაეცინა:

— მე თვითონ მიკვირს, აქამდე რომ ვერ მიხვდით, ამას რა დიდი ლარი და ხაზი უნდოდა. სანამ ეგ თქვენი კანონი გამოვიდოდა, ჩემს ახლო-მახლო მეზობლებს თითო-ოროლა თხის მეტი არა ჰყავდათ, გამოვიდა კანონი და ყველას თხუთმეტ-თხუთმეტი თხა ჰყავდა უკვე. ერთხელ მაინც ჰკითხეთ, საიდანა გყავთ ამდენი თხებიო?

— შენი თხები გაუნაწილე?

— რაც ზედმეტი მყავდა.

— სარგებელის გარეშე?

— როგორც ძველად გვქონდა წესად — თიკნები ზიარი იყო, თხები კი ჩემი.

— თხას რომ კლავდი, სანაცვლოდ მათგან მოგყავდა?

— ვინმეს ხომ არ დავაკელი რამე?

— შააბ, მე კარგად მახსოვს, როგორ თავგამეტებით იბრძოდი ჩვენთან ერთად კულაკების წინააღმდეგ. შენ ჩვენი სული და გული იყავი მაშინ, თავს არ ზოგავდი საერთო საქმისათვის. მერე რა ღმერთი გაგიწყრა, რატომ გადაგვიდექი?

— არ ღირს ახლა ამაზე ლაპარაკი, — სიტყვა ბანზე აუგდო შააბმა, მაგრამ თავმჯდომარემ თავი აღარ დაანება.

— კარგი, გეტყვი. საციხედაც რომ გამიხდეს საქმე, მაინც გეტყვი. არ იყავით მართლები, არც შენ ხარ მართალი და არც ჩემი შვილი, ორივენი სხვის დუდუკზე ცეკვავდით.

— რა ჩვენი ბრალი იყო, ზევიდან გვაძალებდნენ.

— ჩემი ბიჭიც მაგას გაიძახოდა და მაგრად ვეჩხუბე. კარგი. ბალსანღურის ტყეს რომ ჩეხავდით მდინარე აძღარას ხეობაში, მაშინაც ზევიდან დაგავალეს? თავადის ჩაყრილი ვაზი ჩვენ რად გვინდაო, — გაიძახოდით! ზვრებს ეს უბირი ხალხი მიუსიეთ. ბალსანაღურს რომ ქონება წავართვით, მეც იქ ვიყავი, თვითონ მემამულეც იქ გავაგზავნეთ, სადაც ჯერ არს. ესეც ხომ კარგად გახსოვს? იოტისოდენაც არ შემცოდებია. შენც ჩემსავით გლეხის შვილი ხარ, ეშინი, მაგრამ, არ გეწყინოს და დარგული ხეხილის ფასი არ იცი, არც გასაკვირია. ერთი ნერგი რა არის, ერთი ნერგი ატამი არ დაგირგავს! ახლაც მიკვირს, როგორ შემომბედა ჩემმა ვაჟბატონმა, ნაჯახი აიღე, ვაზის ასაჩეხად წამოდიო. როცა ვაზს ჭრიან, მეჩვენება, რომ მე მაჭრიან ფეხს. დამიჯერებ?

— მერედა ვინ გიჭერდა, ხმა ვერ ამოიღე?

— ხმა როცა ამოვიღე, გამგეობიდან გამრიცხეთ.

— მაინცდამაინც გინდა მათქმევინო, რომ...

— თქვი, არ მეშინია.

— მე რომ არა, ციხეში ამოგხდებოდა სული.

შააბს ნერვიც არ შეტოკებია სახეზე. თითქოს არც გაეგონოს თავმჯდომარის სიტყვები, ისე ჩაილიმილა:

— ალბათ, მაგრამ ერთი რამ მაინც მინდა გითხრა: გინდაც ციხეში მოვმკვდარიყავი, ჩემს თავს მაინც არ ვუღალატებდი, ფეხებს არავის ავულოკავდი. ვერავინ შეძლო ჩემი გატეხვა.

— რა კაცი ხარ, შააბ, რა კაცი! — თავი გააქნია თავმჯდომარემ. მისმა ნათქვამმა, რომელსაც მსუბუქი იუმორი ერია, შააბს ის დღეები გაახსენა, ერთად რომ მუშაობდნენ და ერთმანეთს მეგობრულად აქილიკებდნენ. მერე კი, როცა მათ შორის შავმა

კატამ გაირბინა, შააბი სულ კრიჭაში ედგა თავმჯდომარეს. ახლაც ველარ მოითმინა და ენამწლაკედ უთხრა:

— შენ ჩემი თხების ამბავი გიკვირს და მე კი ისეთი რამე დაგიმალეთ, ფიქრადაც რომ ვერ გაივლებდით გულში.

თავმჯდომარეს გულმა რეჩხი უყო. ალბათ ისეთი რამ ჩაიდინა, ციხე არ ამცდებაო და აიმრიზა.

— რისი თქმა გინდა?

— რატომ უნდა გითხრა? — შააბმა მოხერხებულად მოიკალათა სავარძელზე, ფეხი ფეხზე გადაიდო და თამბაქო გააბოლა.

— მითხარი, იქნებ არ მენდობი? მითხარი... — შეეხვეწა თავმჯდომარე.

შააბი დუმდა.

— განა რამე დამიშავებია შენთვის?

— რა უნდა დაგეშავებინა? მე გლეხი კაცი ვარ, ჩემი საქმე თოხი და ბარია. სხვებზე ცუდად არ ვმუშაობ. მინდა კარ-მიდამოც რიგიანად მქონდეს მოვლილი. ვიდრე ცოცხალი ვარ, ჩემს სახლ-კარს, ჩემს საქონელს...

— ვიცით, ვიცით, სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ. შენ ის მითხარი, რისი თქმა გინდა, რას გვიმალავ? — გამგეობაში ყველა...

— ღორები! — თქვა უცებ შააბმა.

თავმჯდომარემ ვერ გაიგო, რატომ ახსენა შააბმა ღორები.

— კარგი, მაგრამ ჩვენ, ყველა...

— ერთ მოფარებულ ადგილას დავმალე. პანტიჭამია ღრუტუნებზე გეუბნები, — თქვა შააბმა და ჩაიცინა.

თავმჯდომარემ შვებით ამოისუნთქა და გაიცინა.

— ღორებიც თხებივით მეზობლებს დაუნაწილე?

— ჩემი თხები... თხები ბიჭისთვის მინდოდა, მეგონა დამიბრუნდება, სახლს გაიჩენს, კერას არ გამიცივებს-მეთქი.

— მოდი, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ. ღორები? ღორები არავისთვის არ მიმიცია. ხუმრობ, არა?

— რა ხუმრობა, რის ხუმრობა! ჩემი ეზოს გადაღმა რომ ხეობაა, ხომ იცი, იქ რომ ულრანი ტყეა, იმ ტყეში გავუშვი ღორები. აბა, მათი ამოწყვეტა მე რა ხელს მომცემდა, ჰოდა, ასე ვამჯობინე. ნახევარზე მეტი დამეკარგა. ახლა თითო-ოროლა გოჭი თუ ჭყვიტინებს იქ. ამ შემოდგომაზე ერთი ჩემეული ღორი შემომიჩნდა, ლამის მთლიანად გამინადგუროს ყანა. რამდენჯერმე ვესროლე, მაგრამ ტყვია არ ეკარება. ხომ იცი, შინაური ღორი რომ გატყიურდება, გარეულზე უარესი ხდება. ხალხს უთქვამს — თუ ნათესავი არ გადაგემტერა, სხვისა ნუ გეშინიაო! კარგად არის ნათქვამი. ის ჩემი ცოდვით სავსე ჩემი ღორის ნაშიერი უნდა იყოს. ჰოდა, შემოეჩვია ყანას და ანადგურებს, მასხარად მიგდებს. — შააბი გაჩუმდა. ერთხანს ასე იჯდა, მერე თავი ასწია და დიდი ხნის ნაფიქრალი ხმამაღლა, მუქარით თქვა:

— დავბერდი ვითომ? რაღაც არ მჯერა!

თავმჯდომარემ იცოდა, შააბს ასი ღორიც რომ ჰყოლოდა, ხმას არავინ გასცემდა, ამიტომ მაინცდამაინც ყურადღებით არ უსმენდა; მასთან ღორებზე საუბარი წყლის ნაყვად მიაჩნდა. მაგრამ ცდებოდა თავმჯდომარე... კარგად რომ დაეგდო ყური თავისი ძველი მეგობრისთვის, მიხვდებოდა, თუ რატომ გაჩნდა სოფელ აფსარაში მეორე მოარული გამოთქმა „შააბის ღორების არ იყოს...". აფსარელები ყოველთვის ამ სიტყვებით იწყებდნენ ლაპარაკს, როგორც კი სიტყვა რაიმე საძნელო საქმეზე ჩამოვარდებოდა ხოლმე. ძაღლის თავი კი აი, სად იყო დამარხული:

როგორც უკვე გითხარით, შააბის სახლი ბორცვზე იდგა და ზღვას გადაჰყურებდა. სახლის უკან ციცაბო ფერდა იწყებოდა, სადაც ერთი პატარა ბოსტნის კვალიც არ გაიმართებოდა. ფერდობის ძირში პატარა ღელე მირაკრაკებდა. ძველად, როცა აფსარელები შორი-შორს ცხოვრობდნენ, ამ ღელეზე პატარა წისქვილი ჰქონდათ გამართული. ამ წისქვილისაკენ მა-

შინ ბევრი პატარა ბილიკი მიემართებოდა. უფრო მოგვიანებით კი, როცა აფსარელები ერთ კოლმეურნეობაში გაერთიანდნენ, მდინარე აძღარაზე უკვე ორდოლაბიანი დიდი წისქვილი ააშენეს, პატარა ნაკადული კი მიივიწყეს. წისქვილი და ბილიკები შამბმა და ბუჩქმა დაფარა. მონადირის გარდა ამ გზაზე კაცი აღარ გაიჭაჭანებდა. ზამთარში კი, დიდთოვლობისას, ნადირი მოდიოდა ამ გზით. უფრო მეტად გარეული ტახები მოიწევდნენ აქეთ, რადგან იქ ბლომად ეგულებოდათ წაბლი და რკო. შააბის ღორები სულ აქ დასუნსულებდნენ და მალე გატყიურდნენ და გაველურდნენ კიდეც. მთიდან წამოსულმა ნადირმა ბევრჯერ აზარალა სოფელი. წელსაც ასე იყო. მკაცრმა ზამთარმა სოფლის სანახებში ჩამორეკა გარეული ტახები და სხვა მტაცებელი ნადირი. მართალია, ხშირად გაისმოდა თოფების ბათქა-ბუთქი, მაგრამ მაინც დღე ისე არ გავიდოდა, რომ აფსარელებს ერთი ან ორი მსხვილფეხა საქონელი არ დაეკარგათ.

ანდაზაც „შააბის ღორის ყურივით..." სწორედ მაშინ დაიბადა.

ერთ საღამოს შააბს მეზობლები ესტუმრნენ. სოფელი უსაქმოდ იყო და ირგვლივ რაღაცნაირი სიმყუდროვე სუფევდა. აფსარელები ისვენებდნენ.

იღებოდა მარნის კარები, იხდებოდა ქვევრები, თუხთუხებდა მსუყე ხორცით სავსე ქვაბები. ხელი გამოიღეს მაჭანკლებმაც. საქმე გაუჩნდათ ჭორიკნებსაც, კერიას შემოუსხდნენ მოხუცებიც და ჰყვებოდნენ ხან მთისას, ხან — ბარისას.

— ღიჟვარაზე[2] მოვედით შენთან, შააბ, — დაიწყო მოხუცმა ხაბუგმა.

ხაბუგს ზამთარ-ზაფხულ თურქული ქუდი ეხურა და როცა ვინმეს ესალმებოდა, მაშინვე იხდიდა და ხატის წინ დაყუდებული მლოცველივით ხელში ეჭირა.

— ძველად ასე ვიცოდით: ვინც ღიჟვარაზე მიდიოდა, მას თავისი ოჯახის ყველა წევრი თან მიჰყავდა, შენ კი მხოლოდ

ძუძუმწოვარა ბავშვები წამოგიყვანია. დედაშენი რატომ არ წამოიყვანე, ხაბუგს ვენაცვალე? — ღიმილით უთხრა შააბმა ხაბუგს და მოხუცებს გადახედა, რომლებიც მასზე უფროსები თუ არა, არც ძალიან უმცროსები იყვნენ. ჩვეულებრივ ასე ექილიკებოდნენ ხოლმე აფსარელი მოხუცები ერთმანეთს, როცა ერთმანეთს ხვდებოდნენ და მოიკითხავდნენ. შააბმა საპატიო სტუმრებს სუფთა ღვინით სავსე ქვევრი მოუხადა, თაკუნამ ლორი ააშიშხინა და სტუმრებს კაკალი მიართვა. სადღეგრძელოს სადღეგრძელოზე სვამდნენ. ზამთრის გრძელი ღამე შუაღამისკენ იხრებოდა.

— შააბ, შენი ბიჭის სადღეგრძელო მინდა შევსვა, — ხაბუგმა თავისი ქუდი მოიხადა, მუხლებზე დაიდო და ჭიქა ასწია:

— დუგუს გაუმარჯოს! მართალია, დღეს ის ჩვენთან, თავის სოფელში არ არის, მაგრამ არა უშავს რა, შენ კი სულ ტყუილად ბრაზობ მასზე, შააბ. მაშინ მას დროზე რომ არ გაესწრო აქედან, ცუდად წაუვიდოდა საქმე.

— აქ ვინც დარჩა, ცოცხალი ვერ გადარჩა? ეგ არ გინდა, სხვა სადღეგრძელო დალიე, ჩემი შვილიშვილის სადღეგრძელო! პაპა ენაცვალოს, მაგის იმედი მაქვს, კერიას არ გამიცივებს, — თქვა შუბლშეკვრით შააბმა.

— ქალაქში თუ ცხოვრობს, ვისზე ნაკლები კაცია, — განაგრძო ხაბუგმა, — ჰო, მართლა, ამას წინათ სოხუმში მომიწია წასვლა ერთ საქმეზე. გადავირიე კაცი. სადღაა ძველი სოხუმი, ვეღარ იცნობთ. ავ თვალს არ ენახვება, ისეთია. ერთი ეგ არის, თავგზა აებნევა კაცს, საით წახვიდე აღარ იცი. საავადმყოფოში მივდიოდი და გზე დამებნა. აღარ ვიცოდი, რა მექნა: დავბრუნდი უკან ჩალბაშის ხიდთან, იქიდან დავკარი ფეხი და დუგუსთან წავედი. დუგუ სახლში არ დამხვდა, მისი ვაჟი შაადათი გამომეგება. ძალიან კარგი ბიჭია, მე და ჩემმა ღმერთმა! თვალში რომ ჩაგივარდეს, ხელს არ ამოისვამ! სულ თავზე მევლებოდა. საავადმყოფოში თვითონ წამიყვანა. პაპა-ბებია როგორა მყავსო, — წამდაუწუმ მეკითხებოდა.

— შააბს ჰგავს ხასიათით, აქ რომ იყო პრაქტიკაზე, ყველას მოეწონა ყმაწვილი, — ჩაურთო მოხუცმა, ზურგით რომ ცეცხლს მიფიცხებოდა.

— დუგუს გაუმარჯოს! — ხაბუგმა ჭიქა ბოლომდე გამოცალა და მაგიდაზე დადგა.

— ბოლო ხანებში სოფელში ხომ არ ჩამოსულა? — იკითხა ცეცხლს მიფიცხებულმა მოხუცმა.

— არა, მელოდება ქალაქში როდის ჩაუვალ, — იხუმრა შააბმა.

— რას იზამ, შააბ, სხვანაირი ახალგაზრდობა წამოვიდა, ნუ უწყრები შვილს, მარტო შენ ხომ არა ხარ ამ დღეში, — სიტყვა შეუბრუნა ერთ-ერთმა მოხუცმა.

— სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო, — ვისაც ორი ან მეტი შვილი ჰყავს, მისთვის იოლია შვილთან გაყრა. ერთი თუ ქალაქში წაუვა, დანარჩენები ხომ სახლში ეყოლებიან! იმან იკითხოს, ვისაც ჩემსავით კენტი შვილი გაუზრდია! ასეთი კაცის სახლ-კარი მალე გაუკაცრიელდება, კერია გაცივდება, — თქვა შააბმა და თავი ჩაჰკიდა.

— რას ამბობ, კაცო, კერას ვინ ჩაგიქრობს.

— რა ვუყოთ, რომ შენი შვილი ქალაქში ცხოვრობს, ხომ ცოცხალი და ჯანმრთელია. შვილი ჰყავს, ის არ მიგატოვებს, ჩამოგაკითხავს, — არ დაუთმო ხაბუგმა.

— შაადათი რომ სოფლიდან მიდიოდა, ყველას ეუბნებოდა, როგორც კი სწავლას მოვრჩები, მაშინვე სოფელში ჩამოვალო. შაადათი სიტყვას არ გატეხს, სოფელს არ უღალატებს, — მხარი აუბეს ხაბუგს სხვებმაც.

— მაგის იმედი მაქვს, პაპა ენაცვალოს! — შააბს თვალებში სინათლის სხივი ჩაუდგა. ცეცხლს ჯოხით გამოუჩხრიკა და განაგრძო: — ბალღობიდანვე ასეთი იყო, სოფელი უყვარდა.

— აქ აიდგა ფეხი შაადათმა, შააბ, ის არ მიგატოვებს.

— ჰო, აქეთ აქვს პირი, ჩამოვალ, აგრონომად ვიმუშავებო,

— შემპირდა. ჩამოვიდეს ერთი, ფეხს აღარ გავადგმევინებ ქალაქში!

— ზამთარში დასასვენებლად გამოუშვებენ, ჩამოვა ალბათ, — ჩაურთო თაკუნამ, რომელსაც აქამდე ხმა არ ამოუღია.

— მარტო ხასიათით კი არა გგავს შაადათი, შააბ. ალი-კვალი ბაბუაა, — თქვა ხაბუგმა.

— მაგისა რა გითხრა, ხაბუგ, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად მჯერა, მაგ ბიჭისაგან კაცური კაცი დადგება, სუფთა თვალები აქვს და კაცს რომ ელაპარაკება, თვალის გასწორების არ ეშინია, — თქვა შააბმა, რომელსაც გულს ეფონებოდა შვილიშვილის ქება. ის ბუხართან მიმჯდარიყო და რკინის ჯოხით ცეცხლს უჩხრეკდა. მოხუცი იხსენებდა შაადათის სიტყვებს, სოფელში უკანასკნელად ყოფნისას რომ უთხრა შვილიშვილმა.

შუა შემოდგომა იყო. შააბი ქეჩეჩს ჭრიდა მინდორში და კონა-კონა აწყობდა. „ქეჩეჩს კი მოვჭრი, შევკონავ კიდეც, მაგრამ ძნის დადგმა გამიჭირდება — მომწოდებელი არავინ მყავს. ამ შუა შემოდგომაზე ვინ ვიშველიო, ყველას თავისი გასაჭირი აქვს. ორი-სამი დღე რომ დამრჩეს ქეჩეჩი მინდორში, საქონელი დამილუპავს, მაგათ რომელი ღობე დააკავებს“, — ბუზღუნებდა თავისთვის შააბი.

— გეყურება, კაცო! — მოესმა შააბს თაკუნას ხმა.

— რა გინდა?

— აქეთ გამოიხედე, ნახე, ვინ გვესტუმრა!

„რა მესტუმრება ახლა მე? იმ მწყემსისა არ იყოს, თხები ბოსელში რომ გამოკეტა და თვითონ ლხინში წავიდა, ისეა ახლა ჩემი საქმე“, — ჩაიბურტყუნა გულში შააბმა და ნამგალი ხმელი ქეჩეჩის ღეროში ჩაასო. შააბმა იქით გაიხედა, საიდანაც ცოლის ხმა მოესმა და მისკენ მომავალი მაღალ-მაღალი, კარგად ჩაცმული ვაჟი დაინახა.

შააბმა თავისი შვილიშვილი შაადათი იცნო.

— შენა ხარ, პაპა გენაცვალოს, როგორ გამახარე, ჩემო იმედო, — გულში ჩაიკრა შვილიშვილი შააბმა.

— სახლში შემოდით, ბავშვი დაღლილი იქნება, შენც დილიდან მშიერი ხარ. ერთად ჭამეთ ბარემ, — არ ისვენებდა თაკუნა.

— მე დაღლილი არა ვარ, პაპა, იმუშავე, საქმეს ნუ მოსცდები. ახლავე ტანსაცმელს გამოვიცვლი და მეც წამოგეშველები, — უთხრა მოხუცს შაადათმა. შააბიც არ გასძალიანებია შვილიშვილს.

— შენი სამუშაო ტანსაცმელი, შვილო, აი, იქ, იმ პატარა ოთახში ჰკიდია, — ესღა უთხრა შვილიშვილს გაბადრულმა.

დიდხანს დაობდნენ პაპა და შვილიშვილი, ვინ მიმწოდებელი იქნებოდა და ვინ — დამდგმელი.

— შენ ძირხეზე ვერ ახვალ, დად, მიუჩვეველი ხარ და ჩამოვარდები!

— ნუ გეშინია, პაპაჩემო, არ გახსოვს, რამოდენა ხეებზე დავძვრებოდი ხოლმე, თიკნებისთვის ნეკერი რომ მომქონდა? ხიდან რა ჩამომაგდებს! — ჯიუტობდა შაადათი.

— მე სადღა მაქვს, შვილო, იმდენი ღონე, ამ სიმაღლეზე ქეჩეჩის კონები მოგაწოდო, — უთხრა ბოლოს შააბმა შვილიშვილს და ხეზე ავიდა. შაადათი ფიწლით ბუმბულივით იტაცებდა თივის ბულულს და შააბს აწვდიდა. შვილიშვილის შემყურე მოხუცი მარჯვედ ართმევდა ყმაწვილს თივას და მოხერხებულად აწყობდა ხის გარშემო. ოღონდ ამ სიხარულს პატარა ეჭვის ჭია გასჩენოდა. შააბმა არ იცოდა, როდემდე გასტანდა მისი სიხარული და თავს იმტვრევდა, როგორ გადაეკრა შვილიშვილისთვის სიტყვა სოფელში დარჩენის თაობაზე.

— რომ იცოდე, რაზე ვფიქრობ ახლა, სიცილად არ გეყოფა, — თქვა შააბმა.

— მაინც რაზე ფიქრობ, პაპაჩემო?

— აი, იმ თუთის ხეს, ახლა თივას რომ ვკიდებთ ზედ, ტოტები რომ ჩამოვაკაფო, ისევ თუ ამოიყრის-მეთქი. გაზაფხულზე თიკნებს ნეკერი დასჭირდებათ... ნეტავ, თუ კიდევ მოვესწრები გაზაფხულს?

— რას ამბობ, პაპა, როგორ ვერ მოესწრები, გაზაფხულიც მოვა და ბევრ თივის ძნასაც დავდგამთ ერთად. დამიჯერე, პაპა, ასე იქნება.

— ეჰ, შენს პირს შაქარი, შვილო, მაგრამ იმედი მაინც არა მაქვს. თუ ცოცხალი დავრჩი, თივას საბძელში შევყრი. რა მეშველება, არ ვიცი. თივას თუ ქარმა არ გაუარა, ხომ დალპა მთლიანად.

— რატომ უნდა შეყარო თივა საბძელში?

— თივის მომწოდებელი ალარავინ მეყოლება, დად. ბებია-შენი თაკუნა უკვე მოხუცდა, ღონე გამოელია. შენ ამთავრებ უკვე სასწავლებელს და მალე ალბათ მუშაობასაც დაიწყებ. აბა, ქალაქიდან შენ ვინ გამოგიშვებს?

— თქვი პაპაჩემო გულახდილად, რა გაქვს გულში, რისი გამხელა გიჭირს?

— რა ვიცი აბა, მე რა უნდა გითხრა... მე... რა ვიცი, შვილო...

— ნუ გეშინია, პაპა, დავამთავრებ თუ არა სასწავლებელს, მაშინვე შენსკენ გამოვქანდები. ხომ მოგეცით პირობა ყველას, ჰოდა, სიტყვას არ გავტეხ...

— ოოო, შენ შემოგევლოს პაპაშენი, როგორ გამახარე!

— ეი, დედაბერო, გესმის, რას ამბობს შენი შვილიშვილი? იმედი არ გამიცრუა. ჩამოვა-მეთქი, რომ ვეუბნები ბებიაშენს, არ სჯეროდა. შენი ჭირიმე, დად. აქეთობას ხბოსთვის ხომ არ მოგიკრავს თვალი? ერთი-ორი დღეა, რაც ჩვენმა ძროხამ ხბო მოიგო. მალე ჩვენს ეზოში ზაქიც დაიწყებს კუნტრუშს, კამეჩი უკვე მაკედ არის. რად გვინდა, ვინ არის მაგათი მომვლელიო, — გაიძახოდა ბებიაშენი. მომაწოდე, შვილო, თივა, მომაწოდე, გაკვირვებს ჩემი ლაპარაკი, არა? ჰო, პაპა შემოგევლოს, მომაწოდე, მომაწოდე...

იჯდა შააბი ბუხართან და იგონებდა იმ დღეს, შვილიშვილთან საუბარს. მეზობლები კი სადღეგრძელოს სადღეგრძელოზე სვამდნენ. რამდენადაც შვილიშვილის გახსენებაზე გულში სით-

ბო ელვრებოდა შააბს, მით უფრო იბოღმებოდა თავის შვილზე.

— დუგუმ რაღა ქნას, შააბ, წავიდა ქალაქში და შერჩა იქაურობას. მაგის გამო შვილს როგორ სწირავ, შე კაი კაცო, — გაეპასუხა ხაბუგი.

— ტყუილად ექომაგები, ხაბუგ, კაცმა თავისი მამაპაპისეული სახლი და ეზო-კარი მიატოვა, გაქსუვდა და გატყიურდა, აბა, ეგეთ კაცს როგორ გავამართლებ!

— გატყიურებაზე გამახსენდა, — წამოიწყო ერთ-ერთმა სუფრის წევრმა, რომელმაც სცადა უსიამოვნო საუბარი შეეწყვიტა და შააბს სიტყვა ბანზე აუგდო. — ჰო, რას გეუბნებოდი, დამიგდე ყური: ამ ორიოდე დღის წინათ, ალიონზე, იმ ბილიკს დავადექი, შენი ღორების სადგომისაკენ რომ მიემართება. უცებ, რას ვხედავ, თოვლზე კურდღელი თამაშობს. გამოვუშალე ჩახმახი და იქვე გავაგორე!

— ის საწყალი შენსავით ბებერი და გამხდარი იქნებოდა, თორემ შენ არ მოგეკვლევინებოდა, — გაეხუმრნენ იღბლიან მონადირეს.

— ხნოვანებისა რა მოგახსენო, მაგრამ მისი ყურების დანახვაზე კი შენი ყურები გამახსენდა.

— მოიცა, კაცო, ათქმევინეთ სიტყვა...

— ჰოდა, შინისაკენ მომავალმა, დიდი მუხის ქვეშ, ძველად არყუჯელების წისქვილი რომ იდგა, რაღაცას მოვკარი თვალი. რომელიღაც ცხოველი მუხის ქვეშ დასუნსულებდა და ისმუსნებოდა. ჯერ დათვი მეგონა, რაღა დაგიმალოთ და შევკრთი, ვერ ვესროლე. ძალიან ახლოს იყო და ღმერთი რომ გამწყრომოდა და ამეცდინა, მაშინვე ნაკუწ-ნაკუწ მაქცევდა. მერე, როცა დავმშვიდდი და თოფი კარგად დავუმიზნე, მოზრდილი ღორი დავინახე...

— ნამდვილი ღორი?

— ჰო, ჩვეულებრივი ღორი, შენსავით გრძელდინგიანი. ცოტა წავუჩოქე მუხლზე, ნიშანში ამოვიღე.

— თოფი ხომ არ გაგივარდა?

— ის-ის იყო ყურისძირში უნდა მედრუზა ტყვია, რომ ტახი ჩემსკენ გამოქანდა. დამიჯერებთ, ხალხო? ვუყურებ და თვალებს არ ვუჯერებ — შინაური ღორია! მიყურებს ჯიქურად, შიშის ნიშან-წყალი არ ეტყობა. თოფი დავუშვი და მისკენ გავემართე. შინაური ღორია, რას დამიშავებს-მეთქი, — ვიფიქრე. იმდენად ახლოს მივედი, შემეძლო ჯოხი წამეტაკებინა. უცებ ტახი შეტოკდა და ჩემსკენ გამოენთო. იმისთანა საშინელი ეშვები ჰქონდა, ტანში ცივად დამჭინჭრა.

— თოფი ხომ გქონდა, რატომ არ ესროლე?

— ერთი იმის ეშვები დაგენახა და თოფი როგორღა გაგახსენდებოდა, მაგასაც ვნახავდი. თითო ეშვი ცერის სიმსხო ჰქონდა.

— კიდევ კარგი, ბოტის რქისოდენა არ ჰქონდა, — არ მოეშვა მეზობელი, რომელიც წამდაუწუმ ანგლობდა.

— გამოქანდა თუ არა, მაშინვე ხეს ამოვეფარე, თორემ ნაკუწ-ნაკუწ მაქცევდა.

— გეყოფა, კაცო, ხუმრობა! მე ერთი რამ ვერ გავიგე: ბოლობოლო ღორი შინაური იყო თუ გარეული? — ჰკითხა შააბმა მონადირეს.

— შენ რა გითხრა, თვითონ არ ვიცი კარგად. მონადირეების ამბავი არ იცი, კურდღელი სპილოდ ეჩვენებათ ხოლმე, მაგრამ ახლა, გეფიცებით არაფერი მომჩვენებია, დათვს ჰგავდა, სახედარის ოდენა იყო.

— თოფს თუ გამოგართმევდა და თვითონ დაიცემდა გულში, თორემ შენ იმას ვერ მოკლავდი!

— გაღუღუნებულ ბუხართან ყველა გმირები ხართ! — სუფრის წევრები ახარხარდნენ, ელაზღანდარებოდნენ ერთმანეთს, ოხუნჯობას ბოლო არ უჩანდა. მხოლოდ შააბი არ გარეულა საერთო მხიარულებაში. იგი ჩაფიქრებული იჯდა კერასთან და ცეცხლს უჩხრეკდა.

— სად იყავი, სად გადაგხდა ეს ამბავი?

— ქვევით, არყუჯელების წისქვილი რომ იდგა ძველად, იქ.

„ნამდვილად მაგ ღორმა გამიჩანაგა ამ შემოდგომას ყანა. არც გაზაფხულზე დამინდობს. ჩემი ღორის კოლტიდან კი უნდა იყოს. ახლა ეგ ღორი რომელიმე ძალადმონადირის წერა გახდება და ისიც ქვეყანას შეჰყრის, ეგეთი და ეგეთი ტახი მოვკალიო. თუ კაცი ხარ, გონი და გული ნუ გეტკინება. ჩემს შვილს კი ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია. ვინმემ რომ ჩემი ქონება გააანიავოს, სახლ-კარი გამიპარტახოს, მაგას სიცილად არ ეყოფა. მაგან ჩამაგდო სოფლის ყბაში.“

შააბი ადგა, საყადელიდან ერთი დიდი კუნძი დაითრია და შუაცეცხლთან დააგდო ბრაგვანით. კერიიდან ნაპერწკლები ამოიშალა და ვარსკვლავებივით დაიწყეს ციმციმი.

— ფუ, ეშმაკს, ფუ ეშმაკს! — წამოიძახა ხუმარა სუფრის წევრმა, რაღაც ჩხირს დასტაცა ხელი, შუაზე გადატეხა და ცეცხლში მოისროლა.

შააბი ისევ შეშის მოსატანად გავიდა გარეთ. ცეცხლს შეშა ბლომად ეკეთა და ყველას უკვირდა, რატომ ეზიდებოდა შააბი ხის მძიმე კუნძებს.

— რას შვრები, კაცო, ჩვენს შებრაწვას ხომ არ აპირებ ვახშმად?

— ენთოს, ვინმე გამვლელ-გამოვლელი გამოიხედავს და იტყვის, სახლიდან კვამლი ამოდის, შააბს კერია არ გასციებიაო.

— პატარა ცეცხლი ანთია, კაცო?

— იფნის შეშას სხვა ცეცხლი აქვს, დიდხანს ანთია და სხვანაირად ათბობს, გაიგე?

გარეთ თოვდა, მოდიოდა მშრალი, მსუბუქი თოვლი და დამზრალ მიწას თეთრ საბურველში ხვევდა. გვიანი შუაღამე იყო, როცა შეზარხოშებულმა, ხუმრობით დაღლილმა შააბის სტუმრებმა ჭიშკარი გაიხურეს. შააბმა არც ახლა უღალატა

ჩვეულებას და გულდასმით დაათვალიერა ბოსელი, პირუტყვს დახედა. მერე ეზოს შემოუარა, სათითაოდ მოსინჯა ღობის სარები, რომელიმე ხომ არ მოფამფალდაო და როცა დარწმუნდა, რომ ყველაფერი რიგზე იყო, სახლში შევიდა.

ოთახში შესვლისთანავე შააბმა კედლიდან თოფი ჩამოხსნა. დიდხანს ეკიდა თოფი კედელზე უქმად. მის პატრონს აღარც კი ახსოვდა, როდის ისროლა საბოლოოდ ამ თოფიდან. მტვრითა და აბლაბუდით რომ არ ამოვსებულიყო, ლულაში ჩვარი ჩაეტენათ. შააბმა საიდანღაც გარეული ნადირის ძვლის ქონი გამოაძვრინა და თოფი გაწმინდა. მერე ვაზნებიც გამოძებნა, ფალასკაში ჩააწყო და ყველაფერი ერთად დააწყო.

უყურებდა თაკუნა ქმრის საქმიანობას და აოცებდა მისი საქციელი: „ნეტავი, რად უნდა თოფი? ღვინო თუ მოერია მოხუცს", — იმ ღამეს თაკუნას არაფერი უთქვამს ქმრისთვის, მაგრამ როცა მეორე დღეს შააბი სანადიროდ გამოეწყო, ქალი აიმრიზა, თქმით კი ვერაფერი უთხრა. მან კარგად იცოდა, რომ როცა კაცი სანადიროდ ემზადება, არ უნდა ჰკითხო, როდის მიდის და სად მიდის. ცოლი ყოველთვის პირუჩუმრად აცილებდა ხოლმე ქმარს. თაკუნას აღარც ახსოვდა, როდის გააცილა ქმარი საბოლოოდ სანადიროდ.

ალიონზე დაადგა შააბი ტყისკენ მიმავალ ბილიკს. მან ხუთი თითივით იცოდა ამ ტყის ყველა კუთხე-კუნჭული, გზაწვრილი და ბილიკი. მუხლამდე თოვლში ბილიკის პოვნა გაუძნელდა შააბს და ახლა მხოლოდ ბებერი თხმელის ხეები მიანიშნებდნენ ძველ ნაბილიკარს. ბევრ ხეს დასტყობოდა აქ შააბის ნაჯახის პირი, არა ერთი და ორი ტყის გოლიათი წამოუქცევია. ეს ტყე იყო მისი სახლის თავხე და დედაბოძი და განა მარტო შააბს, მთელ სოფელს არჩენდა ეს ტყე, თუმცა ხშირად დაუნაღვლიანებია კიდევაც აფსარელები. ადრე, შააბის ჭაბუკობისას, დიდ გმირობად ითვლებოდა ამ უღრანში ხეტიალი. მგლებით სავსე იყო იქაურობა. კარგი ვაჟკაცებიც ვერ ბედავდნენ ღამით

ამ ტყით სიარულს. ერთი ღამითაც რომ დაგრჩენოდა პირუ-ტყვი ტყეში, მეორე დღეს მის საძებნელად წასვლა უკვე აღარ ღირდა.

როცა სოფელმა კოლმეურნეობის დაარსება გადაწყვიტა, შააბიც იქ იყო. ის იყო ამ საქმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი. შააბი მაშინ სულ ახალგაზრდა იყო, ჯან-მაგარი და ამტანი, დღე და ღამეს შრომაში ასწორებდა. ძალზე რთული დრო იყო. ზოგი უნდა დაგეშინებინა, ზოგისთვის უნდა დაგეყვავებინა, გული მოგეგო. თვითონ შააბმა კოლმეურნეო-ბას უღელი ხარი ჩააბარა. არ გასულა ერთი კვირაც, რომ მისი ერთი ხარი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ხარის საძებნელად წასუ-ლი ხალხი მის კვალს წააწყდა, კვალი ტყისკენ მიდიოდა. სოფელ-ში ხმა დაირხა, ხარი თვითონ შააბმა მოიპარაო. შააბმა კარგად იცოდა, ვისი ნამამაძაღლარიც იყო ეს, მაგრამ ხმას არ იღებდა. ხალხის ლაპარაკს ყურს არ უგდებდა. მას მხოლოდ იმაზე სწყდე-ბოდა გული, რომ მისი ნალოლიავები ხარი ასე ცუდ-უბრალოდ დაკარგეს. იგი გულმოდგინედ ეძებდა პირუტყვს. კვალმა შააბი ულრან ტყეში შეიყვანა. ბნელოდა, მას კი მხოლოდ გრძელი ხან-ჯალი ერტყა წელზე, მაგრამ ის მაინც უშიშრად მიიწევდა წინ. შააბს ალღომ არ უმტყუნა, უკვე ძალიან ჩამობნელდა, როცა ტყის ბოლოს თავისი ხარი დალანდა. ლაფანი, რომლითაც ის ფეხებით ხეზე იყო მიბმული, გამხმარიყო და პირუტყვისათვის ტყავი აექლიშა. ხის გარშემო ჯაგი და ბალახბულახი ერთიანად იყო გადაჯგლეთილი: ტურები დასტანებიან, მაგრამ ვერ მორ-ევიან. „რა ვქნა, ახლა ეს არ წამომყვება, ხართან ერთად გამი-ჭირდება ტყიდან გასვლა“, — გაიფიქრა გუნებაში შააბმა.

პირველად მელიებმა ატეხეს კივილი. წინასწარ ხარობდნენ გემრიელი ვახშმის მოლოდინში. „მგლებს ეძახიან“, — გაიფიქრა შააბმა. ხარი ბღაოდა, ერთ ადგილას ბუღრაობდა, სულ გადაჯე-გა იქაურობა. შააბი ხმამაღლა ყვიროდა, უსტვენდა, მაგრამ ამ ულრანში ვის რას გააგებინებდა!

უცბად მგლის წყვილმა თვალმა ფოსფორივით დააკვესა. მის უკან მეორე ღრინავდა. შააბი დაიძაბა და ხანჯალი მუჭაში მაგრად ჩაბღუჯა.

... მეორე დღეს დილაუთენია მთელმა სოფელმა შააბის სახლში მოიყარა თავი. სოფელი მის საძებნელად ხალხს გზავნიდა დიდ ტყეში. ეზოს გაცილებულნი არ იყვნენ, რომ შააბიც დაინახეს, ტანსაცმელშემოგლეჯილი და ხელებსისხლიანი...

ვერავინ გაბედა სიტყვის შებრუნება. ისიც კი ვერ ჰკითხეს — იპოვე ხარი თუ არაო. ბოლოს მაინც გაიგეს ყველაფერი. მგლებს პატრონის ცხვირწინ შეეჭამათ ხარი, ის კი არადა, თვითონ ძლივს გადარჩენილა ცოცხალი თურმე.

არც ახალგაზრდობაში ყოფილა შააბი მაინცდამაინც თავგადაკლული მონადირე. მართალია ბევრი ფრინველი დაეხოცა, რამდენიმე მსხვილი ნადირიც მოეკლა, მაგრამ მონადირეობაზე თავს მაინც არ სდებდა, ან კი სად ჰქონდა ნადირობის დრო. მისი საყვარელი საქმიანობა ხვნა-თესვა და ეზო-კარის მოვლა-პატრონობა იყო. ვაი, მისი ბრალი, ვინც მის საქონელს რამეს გაუბედავდა. ყანაშიც რომ გადასულიყვნენ და აეკლოთ იქაურობა, შააბი მაინც დიდად არ ნაღვლობდა.

შააბი ღორის კვალს ეძებდა, მაგრამ მისთვის უცხო იყო მონადირის ჟინი. მან ფერდობი ჩაათავა და არყუჯელების წისქვილთან, მუხნარში შევიდა. აქ ბლომად იცოდა რკო. ერთგან თოვლი გატკეპნილი მოეჩვენა, ახლოს მივიდა, კარგად მოსინჯა იქაურობა. კვალი ახალი იყო და შააბი მიხვდა, რომ სულ ცოტა ხნის წინათ აქ დიდ ღორს გაევლო. შააბს არ გაუჭირდებოდა გაეგო, კვალი შინაური ღორისა იყო თუ გარეულისა, მაგრამ ამჯერად ვერაფერი გაარჩია.

ალაგ-ალაგ ხეებიდან შემლღვალი თოვლი ცვიოდა და კვალს ფარავდა. შააბი გულდასმით სინჯავდა შემოგარენს და კვალს ისევ პოულობდა. ღორმა, ეტყობა, იკრა კაცის სუნი და შეშინებული სულ ზევით და ზევით, მთისკენ გარბოდა. თოვლი

უკვე მუხლებს ასცდა და ახლა გულ-მკერდზე სცემდა შააბს. ძალიან დაიღალა, შეჩერდა და ერთი დიდი წიფლის მიწიდან ამოჩრილ ფესვზე ჩამოჯდა მუხლიდან ქარის ამოსაღებად. „დავბერდი, დავბერდი", — გაიფიქრა შააბმა გულში. შეჰყვა თავის სიბერეზე ფიქრს და მეზობელთან საუბარი გაახსენდა:

— მე სიკვდილისა არ მეშინია, — ეუბნებოდა შააბი აბზაგვს, — სხვა რამ მაშინებს უფრო, არ მინდა ჩემს მამაპაპისეულ სახლს ჩემსავე სიცოცხლეში საძირკველი მოერღვას და ეზოკარს შამბმა და ეკალ-ბარდმა გადაუაროს. ვიდრე ახალგაზრდა ვიყავი და ჯანი მომდევდა, სარეველა ბალახსა და ძეძვის კვალს არ გავაჭაჭანებდი ჩემს ეზოში. ეზოსავით დაგვილი გეგონებოდა ჩემი ყანა, აბზაგვ, ახლა კი, თუ სადმე სარეველა ბალახი წამოყოფს თავს, გული ყელში მებჯინება, თითქოს უკვე ვხედავ აბალახებულ ეზოს, საძირკველმორღვეულ კედელს. ამიტომაა, რომ ნაჯახი სულ თან დამაქვს, ძირშივე ვჭრი ყველა მცენარეს, რომელიც ჩემს სახლს გაპარტახებით ემუქრება.

— ყველას რომ ასე უყვარდეს თავისი მამა-პაპის ნაფუძარი, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა! — თქვა ხმამაღლა აბზაგვმა. იგი კარგად იცნობდა შააბს და დიდ პატივს სცემდა.

— რომ მეცოდინებოდა, სიკვდილის შემდეგ ჩემი შვილი სახლ-კარს დაეპატრონება და კერას არ გაიციებს, სიკვდილსაც არად ჩავაგდებდი, მაგრამ ვინ მომცა მე მაგის ბედი! მეორედ მოსვლა იქნებაო და პირველად ჭიაყელამ დაითხარა თვალები — ჩემს შვილზეა ნათქვამი. როცა სოფელში ყველაფერი აირ-დაირია და ძაღლი პატრონს ვერა სცნობდა, სწორედ მაშინ დაჰკრა ფეხი დუგუმ და ქალაქში გადაიკარგა. მამაჩემს მაინც დააპატიმრებენ, მე რაღა დამრჩენია აქაო და წავიდა, საითაც ხეირი ნახა. კაცი, სადაც დაიბადა და ფეხი აიდგა, იქ უნდა მოკვდეს, თავის მამაპაპისეულ მიწაზე, — თქვა შააბმა.

— შენ არ იყავი, რომ გაიძახოდი, კერძო საკუთრება უნდა მოისპოს, მიწა ყველასია, საერთოაო, ჰოდა, არიგებდი მიწის ნა-

კვეთებს ნაურალზე. ისიც ხომ კარგად გახსოვს, როგორ ჩააბარე ნებით ულელი ხარი კოლმეურნეობას? ახლა შენ ის შააბი აღარა ხარ! საკუთარ საქონელს სხვასთან მალავ. რას ნიშნავს ეს, შააბ? — ეშმაკურმა ღიმილმა ტუჩები აუგრიხა აბზაგვს.

— ბლომად სათქმელი დაგგროვებია ჩემთან, აბზაგვ. მართალი ხარ, ასე ვამბობდი. მერე რა! მე იმას ვიძახოდი, ზედმეტი ვისაც აქვს, იმას ჩამოართვით-მეთქი. სახლ-კარს არ მიხედოთ, ეზო ააბალახეთო, არავისთვის მითქვამს. შეიცვალეო, მეუბნები, ტყუილია. აბზაგვ, არ გეწყინოს, მაგრამ მეგონა უკეთ მიცნობდი. მე შეიძლება თითით საჩვენებელი კაცი არ ვიყო სოფელში, მაგრამ ერთი იცოდე, მე რაც ვიყავი, ახლაც ისა ვარ და ტყუილად ჰგონია ვინმეს, რომ შევიცვალე და საითაც ქარი დაუბერავს, მეც იქით გადავიხრები. უბრალოდ, ზოგ-ზოგებს ვერ შევეწყვე, მხარი არ ავუბი. ხორბლის თესვა იყო და თავისი გაიტანეს, პირში ბურთი ჩამჩარეს, მერე საქონლის თაობაზე მომდგნენ და მეჩხუბეს, მედავეს. ჰოდა, ასე ნელ-ნელა გამინაპირეს. გამინაპირეს იმიტომ, რომ მართალი ვიყავი. იქნებ ჩემს შვილთან ვტყუოდი? რომელი ჭკუათმყოფელი აიღებს ნაჯახს ხელში და ვაზს მოჭრის?

— კარგი კაცო, რა გულს იხეთქავ, ქვეყანას შენ ხომ ვერ გაასწორებ?

— მარტო მე რატომ? ერთად ვთქვათ, მხარი მხარს მივცეთ და საქმესაც ეშველება. როცა ბასლანღურის ვაზიან ტყეს ჩეხავდნენ, მე ვილანძღებოდი, ძაღლის ყბა გამოვიბი, თქვენ კი პირდაფჩენილები შემომყურებდით, სულელურად იკრიჭებოდით. რატომ ხმა არ ამოიღეთ?

— რა მეთქმის, მართალი იყავი, — თავი ჩაჰკიდა აბზაგვმა, — მაგრამ მაინც არ მესმის, ვის რაში არგია ეს ვაზი? კაცი, სანამ ცოცხალია, იმაზე ფიქრობს მხოლოდ, როგორ იცხოვროს უკეთესად, სად ურჩევნია ყოფნა და როგორ ურჩევნია. რა შენი სადარდებელი ეგ არის? დაანებე თავი. შენს ადგილზე მე ავდგებოდი და საერთოდ წავიდოდი აქედან.

— რას ამბობ, კაცო, სად უნდა წავიდე?

— ნეტავ, ჩემი ბიჭიც ქალაქში ცხოვრობდეს, თოკით ვეღარ დამაბამდი სოფელში.

— არა, მე მაგას ვერ ვიზამ. რაც არ შემიძლია, არ შემიძლია. დუგუც სულ მაგას მეუბნება. სახლში ჯერ შემოსული არ არის და გამარჯობის მაგივრად უმალ იმას მომახლის: „ჰა, არ მოდიხარ?" მეც კაი გასათხოვარი გოგოსავით ვიპრანჭები, ჯერ არ გადამიწყვეტია-მეთქი, — ვეუბნები. ის კი ბრაზობს, იბღვირება. მეც იძულებული ვარ სამერმისოდ შევპირდე, გული მოვუგო. მერმისს კი არა, სანამ ცოცხალი ვარ, აქედან ფეხს ვერავინ გამადგმევინებს. იმ ბიჭს კი იმიტომ ვპირდები, რომ ხშირ-ხშირად მინდა ჩამოვიდეს. რა ვქნა, აბზაგვ, შვილი — შვილია, მაგრამ არც მის კმაყოფაზე მინდა ვიცხოვრო. არ მინდა, ვინმეზე ვიყო დამოკიდებული. ასეთ ყოფნას არყოფნა სჯობს!

— რით ვერ გამოიცვალე კაცო ხასიათი, არ დაიღალე, შე დალოცვილო! აი, გიყურებდი ახლა და შენი ახალგაზრდობა მახსენდებოდა. მახსოვს, კოლმეურნეობას რომ ვაარსებდით, შენი ომახიანი ხმა სოფლის ბოლოდან სოფლის თავში ისმოდა. თვალებში ცეცხლი გენთო და ერთ ადგილას ვერ ისვენებდი. მართალი უთქვამთ — მუხლი ბერდება, გული კი არაო. გული არ გღალატობს, შააბ, ჯერჯერობით ერთ სარეველა ბალახს ვერ ნახავს კაცი შენს ეზოში, მაგრამ გაივლის დრო და შენი ბაღჩის ბოლოს ტურები აკივლდებიან, შენ კი იმის თავიც აღარ გექნება, გარეთ გამოხვიდე და დააფრთხო ისინი...

— შენ ისე მელაპარაკები, ნამდვილად დუგუსგან იქნები მოგზავნილი, — ცოტა არ იყოს, გაცხარდა შააბი.

— ვთქვათ, დუგუმ გამომგზავნა, რა მოხდა?

— თუ მართლა იმან გამოგგზავნა, წადი და უთხარი, რომ მე იქ წამსვლელი არა ვარ, მაგრამ თუ ჩემი შვილიშვილი თავის მამა-პაპის ნაფუძარზე არ დავასახლო, მაშინ მე მამაჩემის შვილი არ ვყოფილვარ!

— ჰო, აბა, სულ მაგას ფიქრობს დუგუ! ვიცი, შააბ, რა თავისნათქვამაც ხარ! შენი დღე და მოსწრება ერთი და იგივეს გაიძახი, მომავალზე კი არ ფიქრობ. ერთი დრო იქნება, შენც დაბერდები.

— როცა ისე დავბერდებით, რომ წელში ახრა-დახრაც გაგვიჭირდება, ისიც მოგვიკაკუნებს კარებზე. იცი შენ, ვისზეც ვამბობ.

— გეტყვი, რაც ძველებისაგან ამბად გამიგონია, — ენად გაიკრიფა აბზაგვი, — ძველად სიკვდილის ღვთაება ახლოს იყო ადამიანებთან. წინასწარ ეჩვენებოდა ხოლმე მათ. მივიდოდა, ეტყოდა, ამა და ამ დღეს წაგიყვანო. კაცმა წინასწარ იცოდა, როდის უნდა მიებარებინა უფლისათვის სული. ისიც, სანამ სიკვდილის ჟამი დაჰკრავდა, უვლიდა ეზო-კარს, უვლიდა პირუტყვს. ერთი სიტყვით, სიკვდილის მობრძანებას მომზადებული ხვდებოდა. მერე მოდიოდა ის დალოცვილიც და მიჰყავდა თავისი მსხვერპლი უწვალებლად.

ერთხელ მიქელ-გაბრიელი გზაში გლეხკაცს შეხვედრია:

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს! — მიუგო გლეხმა.

— ვიცი, დიდად არ გეხატები გულზე, მაგრამ მაინც მოვედი!

— ეხ, რა გაეწყობა, მობრძანდი, ავი ხარ თუ კარგი ხარ, მაინც სტუმარი ხარ. შემოდი, — შეიპატიჟა სახლში მიქელ-გაბრიელი.

გლეხმა ცხვარი დაკლა და სტუმარს საკადრისად გაუმასპინძლდა. თავზე ევლება გლეხი სტუმარს და თან ფიქრობს, აი, ახლა კი მეტყვის, უნდა წაგიყვანო, მოემზადეო. მაგრამ მიქელ-გაბრიელი ისე წასულა, კრინტი არ დაუძრავს. გლეხი თურმე სიხარულით ცას ეწია, პურ-მარილმა თავისი ქნა, ახლა რამდენ ხანსაც მინდა, იმდენ ხანს ვიცოცხლებო.

გამოხდა ხანი, მიქელ-გაბრიელი არსად ჩანდა. გლეხკაცი

კი ბერდებოდა, ბერდებოდა, ვიდრე ბოლოს სულ არ დაჩაჩანაკდა. მუხლები ძველებურად ვეღარ ემსახურებოდნენ, წელის ტკივილმა კინაღამ სული ამოართვა, ფეხზე ძლივს იდგა.

ერთხელაც მიქელ-გაბრიელი რომელიღაც სოფელში მიდიოდა და გზად თავის ნაცნობ გლეხთან შეიარა. მასპინძელი მთლად დაჩაჩანაკებული დახვდა. მიქელ-გაბრიელი მიესალმა მას და გზა განაგრძო. გლეხს ბრაზი მოერია:

— მიქელ-გაბრიელო, რატომ არაფერს მეტყვი, რას მიპირებ, შენთან როდის წამიყვან? — ჰკითხა ადამიანმა.

მიქელ-გაბრიელს გაეცინა, თან გაკვირვებული უყურებდა, ეს რას ამბობსო. მერე უთხრა:

— აბა, ერთი წამოდექი!

— ვაი, ვაი, ღმერთო მიშველე, ვაი, წელი, ვაი, მუხლი, — კნასაკნუსით წამოიწია კაცმა. ადგომა სად შეეძლო, სადაც იჯდა, იქვე დარჩა, კერიის პირას. მიქელ-გაბრიელი თავის საშინელ კბილებს აკრეჭდა და სიცილით კვდებოდა. ეწყინა კაცს, ცეცხლი მოეკიდა, მაგრამ რა უნდა ექნა, რა შეეძლო!

— აკი არაფერს მეუბნებიო? — ახლა ხომ გაიგე, რაც მითქვია შენთვის?

— ეს არის? — ამოიკვნესა საწყალობლად ბერიკაცმა.

— აბა, სხვანაირად როგორ უნდა მეთქვა? ყოველდღე ამას არ გეუბნებოდი? — სიცილით იგუდებოდა მიქელ-გაბრიელი.

აბზაგვმა დაამთავრა მოყოლა. შააბი თავდახრილი იდგა, ხმა არ ამოუღია.

— შენ გინდა თქვა, რომ მეც ასე მეუბნება ყოველდღე მიქელ-გაბრიელი — მოემზადეო? — თქვა ბოლოს. — რას იზამ, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, არც მე შევაბერდები ცას, მაგრამ შენ რომ გგონია, არც ისეა საქმე, აბზაგვ. გულხელდაკრეფილი ვერ დავუცდი სიკვდილის მოსვლას. ხვალაც რომ დამიპიროს წაყვანა, დღეს ჩემი თხის მოსაძებნად წავალ ტყეში, თუ ღმერთი გაუწყრა და სახლში არ დაბრუნდა. ასეა წუთი-

სოფელი, დიდი ჩაჩბები მოინელა და მე რაღას დამიხვალიებს! კიდევ გიმეორებ, ვიცი, რომ ცას ვერ გამოვეკერები, მაგრამ სანამ ცოცხალი ვარ და პირში სული მიდგას, არ მინდა ქვეყანას ჩამოვრჩე, ტოლს არავის დავუდებ, არა! – მხარზე ხელი წამოუტყაპუნა შააბმა აბზაგვს და დადუმდა.

ორივეს გულიანად გაეცინა!

მაშინ ამ საუბრისათვის შააბს დიდი ყურადღება არ მიუქცევია. ახლა კი, როცა ღორის კვალმა შორს, ტყეში შეიტყუა, მოსვენებას არ აძლევდა ამაზე ფიქრი. როგორც ბნელ ღამეში ცეცხლი იალებს ხოლმე, ისე ნათლად დაინახა შააბმა თავისი მომავალი, დაინახა და არ მოეწონა. არა, იფნის შეშა უნდა მოზიდოს ბლომად, სხვა ხეს აღარ მოჭრის. იფანმა კარგი ცეცხლი იცის, დიდხანს არ ქრება. ერთხელ შეუკეთებ და ერთი-ორი ღამე არ ჩაქრება, მერე მინავლდება, ჩანაკვერჩხლდება. შააბმა იცის, თუ ნაკვერჩხალზე წყალს დაასხამ, დაანახშირებ, მერე ხელახლა შეიძლება წაუკიდო ცეცხლი. მჭედლები ხომ სულ ასეთ ნახშირს ხმარობენ! ის ნახშირიც ჩაინავლება და მერე? ვინღა მოიტანს შეშას, ცეცხლს ვინ გააღვივებს? „ერთადერთი ჩემი სულისდგმა და პატრონი ჩემი შვილიშვილია, იმას ენაცვალოს პაპა. არა, ხომ უთხრა ბებიამისს, არდადეგებზე ჩამოვალო? ჩამოვა, არ მიმტყუნებს, იმას მაინც აქვს სააქეთო პირი. იქნებ სჯობია, უკან დავბრუნდე, მზის ჩასვლამდე შეიძლება ჩამოვიდეს კიდევაც“.

შვილზე როცა ფიქრობდა შააბი, გული ემღვრეოდა, თვალწინ წარმოუდგებოდა ხოლმე დუგუ, რომელიც მოსვლისთანავე ჰკითხავდა ხოლმე კერიასთან მობუზულ ორ მოხუცს — ჰა, მოდიხართ თუ არაო. შააბი აცქერდება შვილს, უყურებს დიდხანს, დიდხანს და ხმას არ იღებს. „წამობრძანდით, მამა, ჩვენთან. საჭმელ-სასმელი თავზე საყრელი გვაქვს, თქვენთვის არაფერს დავინანებთ, ცივ ნიავს არ მოგაკარებთ“, — წამოეშველება ხოლმე დუგუს ცოლი. რძალი ცუდს არაფერს

ამბობს, შეიძლება თვითონაც ურიგო ქალი არ არის, მაგრამ შააბს ვერ მოუნელებია, რომ მისმა შვილმა ეს ქალი ქონების გულისთვის შეირთო. ადამიანის უპირველესი ქონება სინდისნამუსია. ღორმა იცის: სადაც გაძღება, იქ ჩერდება. აბა, თუ ქონებას არ დაეხარბა, მაშ რამ შეართვევინა მასზე უფროსი ქვრივი ქალი? — „ამისმა ქონებამ მოგხიბლა, შე უბედურო". შააბს უნდა, შვილს ყავარჯენი მოუქნიოს, მაგრამ ეს ყავარჯენი მისთვის დედაბოძია, უამისოდ ნაბიჯს ვერ ადგამს. დუგუ კი, თითქოს ნიშნს უგებსო, იცინის. ეზო აბალახებულია, ბოსელში ერთი-ორი ქეციანი თხაღა კიკინებს. წაიყვანენ შვილი და რძალი ქალაქში, სახლ-კარი კი ოხრად დარჩება, გაპარტახდება. ხანდახან შვილი ჩამოახედებს ცოტა ხნით, მაგრამ რად უნდა? თავის სამარეს თვითონვე უყუროს? ასეთ ყოფნას არყოფნა ჯობია! შააბს თავისუფლება უყვარს. თუკი ვინმეზე უნდა იყოს დამოკიდებული, ისევ თავის შვილიშვილი ურჩევნია, შვილს კი ახლოს არ გაიკარებს.

უცებ ტახს ჰკიდა თვალი; ნელა-ფერდა მიდიოდა, ზანტად მიიზლაზნებოდა, ბოლოს სულ გაჩერდა. შააბმა დაინახა, როგორ უელავდა ტახს დანასავით ალესილი ეშვები. ჰაერი გამჭვირვალე იყო და შააბს თვალი კარგად უჭრიდა. ცოტაც და სათოფე მანძილზე მიუახლოვდებოდა. შააბმა ჩაიმუხლა და ბუჩქებში ჩაიმალა. „საით წავა? ფერდას თუ გადასცდა, მერე მიდი და სდიე, თვალითაც ველარ ვნახავ. ეტყობა, დაღლილია, წავა ვითომ?" ღორმა მიიხედ-მოიხედა. ეტყობა, რაღაც იყნოსა. შააბმა თავის ბეწვის ქურქს დახედა. ქარი მისკენ ქროდა. „ტყუილად ათამაშებ მაგ დინგს, ე მანდ უცებ არ იყნოსო. თუ შენი ეშვებით წვერი არ გავიპარსო, მაშინ მე მამაჩემის შვილი არ ვყოფილვარ!" — დაემუქრა ღორს შააბი.

ტახმა გზიდან გადაუხვია, ქვევით დაეშვა. შააბსაც ეს უნდოდა. ღორი შორს ვერ წავიდოდა. შააბმა ხუთი თითივით იცოდა ეს ადგილი. ვინ იცის, რამდენჯერ შემოუყრია აქ თავისი

ღორების კოლტი! „წავიდეს, სად წამივა, წინ იმხელა კლდეა აყუდებული, რომ ღორი კი არა, ციყვი ვერ ავა ზედ. გამოქვაბულიც არსად არის, ვერ დაიმალება. ქვევით უნდა გაბრუნდეს, სხვ გზა არა აქვს!"

შააბი ქვევით დაეშვა, რათა ტახისთვის გზა მოეჭრა. რამდენი ხანია, ასეთი ძლიერი ნაბიჯით არ უვლია, რაღაცა ძალა წინ ეწეოდა, ცალ ქალამანზე თასმაც კი შეეხსნა, მაგრამ ახლა ამას ვერ ამჩნევდა, რისხვით ანთებულ თვალებში ოფლი ჩასდგომოდა. ტახი თითქოს მიუხვდაო შააბს, სწრაფად, შეუმჩნევლად მოარღვევდა თოვლს, გეგონებოდათ, თხუნელა მოდისო მიწის ქვეშ. შააბმა დაინახა ღორის ბურძგლიანი ჯაგარი, ტახმა თავი ასწია და თოფმაც იგრიალა. ღორის კივილმა მთები შეაზანზარა. ირგვლივ თოვლის კორიანტელი იდგა. ღორი ეშვებით მიწას თხრიდა, ბუჩქნარი სულ მთლად გადათელა, თავდასხმისათვის ემზადებოდა, მაგრამ, ეტყობა, ვერ მიხვდა, საიდან ესროლეს და ადგილიდან არ იძვროდა.

იმის მაგივრად, რომ შააბს მეორე ტყვიაც მიეყოლებინა, ის ღორისკენ გაიქცა სიცილ-ხარხარით. ღორმა ამით ისარგებლა და ფერდობს იქით გაუჩინარდა მოჩვენებასავით. შააბმა სისხლი დაინახა. „ტყუილად მიხაროდა, გამექცა, მაგის დედა ვატირე. შორს მაინც ვერ წავიდოდა, სისხლი ქაფიანია — ეტყობა, ტყვია ფილტვში მოხვდა".

შააბმა თოფში ახალი ვაზნა ჩადო. ფერდობს დაუყვა, თოვლი მუხლებზე სცემდა. აგერ, ისიც. ქვევით ბუზისოდენად მოჩანდა ტახი, რომელიც თოვლს ძლივს მიარღვევდა. ერთი დიდი ნაძვის ქვეშ შააბი ცოტა ხნით შეჩერდა. ეტყობა, ღორს აქ შეესვენა. ხის ქვეშ თოვლი არ იდო და შააბმა კარგად გაარჩია ღორის ნაკვალევი. შააბი ჩაფიქრდა. ეს კვალი სულაც არ ჰგავდა შინაური ღორის კვალს. შააბი გარეულ ტახს მისდევდა. ზევით აიხედა, მაგრამ ნაძვის ხშირ ტოტებში თვალი ვერ გაატარა. ერთი ტოტი ოდნავ მოღუნული ჩანდა. შააბმა კარგად დაათვალიერა ეს ტოტი და მასზე ნაკბილარები დაინახა. „ნამდვილად არჩვის

ნაკბილარებია, ეტყობა, თვითონაც სადმე ახლომახლო დაბოდიალობს", — გაიფიქრა მან.

როგორც კი ცოტა სული მოითქვა, ისევ ტახს გაეკიდა. არჩვი მაშინვე დაავიწყდა. კვალზე დაატყო, რომ ღორი უკვე ახლოს იყო და ნაბიჯს აუჩქარა.

„ჩაგავლებ ყურებში ხელს და ვარსკვლავებს დაგათვლევინებ!"

ჯერ არ შეხვედრია კაცი, ასეთი რამ რომ გაეკეთებინოს, მაგრამ აფსარელი მონადირეებისაგან ხშირად გაუგონია, თუ ტახს სულის ამოსვლამდე ეშვს გააგდებინებ, სამართებელივით ბასრი იქნებაო, ისეთი, რომ კაცი თავისუფლად გაიპარსავს წვერსო. მონადირეებს ხომ ძალიან უყვართ ყველაფრის გაზვიადება. აფსარელ მონადირეებს რომ ჰკითხო, ვისაც კი ერთი ტახი მოუკლავს, ის სადალაქოში აღარ წასულა პირის გასაპარსად. შააბი დასცინოდა ხოლმე მათ და მუცლით მეზღაპრეებს ეძახდა. ახლა კი სურდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, თვითონ ეცადა ბედი.

ის ფერდაც ჩაათავეს. „ჩქარა... ჩქარა..." — ეუბნებოდა თავისთავს შააბი. ზამთრის დღე ხომ ქათმის დამთქნარების ოდენაა! დნებოდა სანთელივით და სადაცაა, ჩაქრებოდა კიდევაც. „დამილამდება, სახლში უნდა დავბრუნდე. ნეტავ, რამდენ ხანს გასძლებს ჩემი იფნის შეშა ერთ შეკეთებაზე? ჩემი დედაბერი მეუბნებოდა, ხვალ-ზეგ ჩვენი შაადათი ჩამოვაო. ჩამოვა, იმას სიტყვის გატეხვა არ უყვარს, უსათუოდ ჩამოვა. როგორ იყო, რას მეუბნებოდა, ძნას რომ ვდგამდით? როგორ დამცინოდა, ჰა? დამაცადოს ერთი, აქ არ ჩამოვა? ყურებს ავახევ მაგ მამაძაღლს." — შააბმა ისევ ღორის კვალს გახედა, — „აი, აქაც დამჯდარა, აქ დაუსვენია. სად წამიხვალ? ამაღამ ვერ დაგეწიე? ხვალ, ზეგ ხომ დაგეწევი!..."

... რამდენიმე დღის შემდეგ სოფელ აფსარის მცხოვრებლებმა ნიკუბა შააბისა და გარეული ღორის ამბავი შეიტყვეს.

ზამთარი იყო, ხალხს საქმე მაინცდამაინც არ აწუხებდა.

ეს ამბავი ათასგვარად შეთხზეს და გადაამღერეს. ერთ დღეღამესაც არ გაევლო, რომ ყველას შააბისა და გარეული ტახის ამბავი ეკერა პირზე. იმდენს ყვებოდნენ, რომ შააბიც ვეღარ ხვდებოდა, სად ტყუილი იყო და სად — მართალი.

შააბს არავისთვის მოუყოლია დაწვრილებით, რა გადახდა თავს. სამი დღის შემდეგ მის საძებნელად წასულმა ხალხმა ტყიდან კოჭლობით მომავალი შააბი დაინახა. ხელები გატყავებოდა, ჩოხა-ახალუხი შემოგლეჯოდა და ბარძაყს იტკიებდა. ტყიდან მომავალ შააბს წინ თანასოფლელები, მისი ცოლი თაკუნა და შვილიშვილი შაადათი შემოეგებნენ. აი, სწორედ მაშინ დაიბადა მოარული გამოთქმა: „შააბის ღორის ყურებისა არ იყოს!"

— ცოცხალი ხარ, კაცო? სად იყავი, აღარ იტყვი? — შეეკითხნენ შააბს მის საძებნელად წასული კაცები. შააბი დიდხანს ხმას არ იღებდა თურმე, მერე კი შეხვეული ხელით ჯიბიდან ორი გრძელბეწვიანი ღორის ყური ამოუღია და უჩვენებია ყველასათვის. იქ მყოფებმა ერთმანეთს გადახედეს, სიცილი ვერ გაებედათ, არ ეწყინოსო, მაგრამ შააბს დაავიწყდა დაღლილობაც და ტკივილიც და გულიანად იხარხარა თურმე.

აფსარელ მამაკაცებს კი სიცილში პირველი ადგილი უჭირავთ. იმდენი უცინიათ, რომ მთებიც კი აუყოლიებიათ სიცილში. მაშინ ერთს უთქვამს: — ნანადირევი ვერ ჩამოგიტანია, მაგრამ ეგ ამბავი დიდხანს ეყოფა ხალხს საოხუნჯოდ და საანგლოდ!

შააბს თითქოს არც გაუგია ამ კაცის ნათქვამი, ისე იცინოდა და მხიარულობდა, თითქოს ეგა ყოფილიყოს პირველი მობურთალი. ხელში ღორის ჯაგრიანი დიდი ყურები ეჭირა, ჰაერში იქნევდა და იცინოდა, იცინოდა შააბი...

ცოდვას ნუ დაიდებ, ძმაო

ჩრდილი ნელ-ნელა გაწვა დედამიწაზე, ისიც თითქოს მას შემოჰყვა, ნაბიჯი არ შეუნელებია, მაშინვე ხის ქვეშ შეყრილ ხალხს მიაშურა, რომლებიც ჩრდილში ჩამომსხდარიყვნენ და გაუთავებლად ოხუნჯობდნენ.

„ვირი რაღა უყავ, რითაც აქ მოჩაქჩაქდი", — ენის წვერზე მოადგა თარსხან აკუაძბის ძმის, საწყალი სასრანის ენაჭარტალა მეუღლეს შურეთს. მაგრამ უმალ მაზლის მზერას წააწყდა და ხმა ველარ ამოიღო, მაგრამ ველარც ეშმაკური ღიმილი მოიშორა სახიდან, რომლის დამალვასაც ნაქურდალივით ცდილობდა და ვერ მოეხერხებინა. ჩრდილში შეკრებილმა ჯამაათმა მზერა მასზე შეაჩერა.

ის პეტრე პირველის სიმაღლე თუ არ იყო, არც თარსხანის მეზობელი ჩიჟივით ანწლის მოსაჭრელად ზედ ასვლა დასჭირდებოდა. მან საკმაოდ შელანძღული ბზის ალაბაშა მიწაში ჩაარჭო, ზედ ნიკაპით დაეყუდა და გაყუჩდა. მისი დაფანჩული წარბები ქვაზე მიმხმარ ხავსს მოგაგონებდათ, თვალები ღრმად ჩაცვენოდა, უპეები ჩაშავებოდა. მის შემხედვარე კაცს ძრწოლა აიტანდა.

„ახლა რომ ეს ალაბაშა წაექცეს და მიწაზე მოადინოს ბრაგვანი? ვინ იცის, იქნებ მკვდარიცაა უკვე და ჩვენ მისი სული გვესტუმრა?" — გაიფიქრა შიშნარევად მეზობლების მარაქაში გარეულმა თარსხანის შვილმა შიბგამ, რომელიც მოსაუბრეებს სიტყვის თქმას არ აცლიდა, ენად იყო გაკრეფილი, თუმცა კი ამ საკრებულოში მას ძაღლადაც არავინ აგდებდა.

არა, ის ცოცხალი იყო, დიდი ხელებით მაგრად ჩაფრენოდა ბზის ალაბაშას, დახავსებული წვერი ზედ დაეფინა და ყოველ შეტოკებაზე მის ძვლებს ჭრიალი გაჰქონდათ.

— შტო? — იკითხა თარსხანმა, რომელსაც იმ არემარეში რუსულის დიდი მცოდნის სახელი ჰქონდა დაგდებული და მოხუცისადმი პატივისცემის ნიშნად ფეხზე წამოდგა.

„იქნებ გაუმაძღრობის გამო ცდუნებას ვერ გაუძლო და ენა გადაყლაპა, ან კიდევ პირში ვერ ეტეოდა და მაკრატლით მოაკვეცეს?“ — გაიფიქრა კვლავ შიბგამ.

ის კიდევ იდგა გაყუჩებული, თითქოს მისი ნათქვამი არც კი გაეგონა, მაგრამ ღრმად ჩამჯდარ თვალებში წამით მაინც გაიელვა ღიმილმა, მერე ეს ღიმილი დაფანჩულ წარბებზე დაეფინა, იქიდან ხავსმოდებულ წვერებზე ჩამოუგორდა და ბოლოს ახალი თოვლივით დადნა და გაქრა.

— შტო სლუჩილსია? — იკითხა ისევ თარსხანმა.

— ნიჩევო...

„ცოცხალია, ყველაფერი ესმის, პასუხის გაცემაც შეუძლია“ — ყველამ შვებით ამოისუნთქა: რაში სჭირდებოდათ უცხო გვარტომის კაცი, ცოცხალმკვდარი და საჭირისუფლო...

— შეხედეთ ერთი, კარგად შეხედეთ, — თარსხანი სულ ახლოს მივიდა მოხუცთან, — დანაოჭებული შუბლი საპყრობილის კარებს არ მიუგავს?

— ო, ალლაჰ, — ამოიგმინეს ქალებმა, რომელთაც სინამდვილეში არასოდეს ენახათ საპატიმრო და წარმოდგენაც არ ჰქონდათ როგორი კარ-ფანჯარა ექნებოდა.

„საპყრობილის მეტი რა გვინახავს!“ — სიამაყე აღებეჭდათ კაცებს სახეზე.

შიბგამ სწორედ მოხუცის შუბლის შემხედვარემ გაიგო, როგორი კარები უნდა ჰქონოდა ციხეს. სიგრძე-სიგანეზე გაწოლილი ნაოჭები მის შუბლს გარდიგარდმო ღარავდნენ, პატარ-პატარა ნაწილებად ყოფდნენ და თითქოს ფესვებით ხორცს ჩასჭიდებოდნენ.

„ეტყობა ძალიან სტკივა — გაიფიქრა ხის ძირას ჩაყუნტულმა ბიჭმა. — როგორ მიუგავს ნაოჭები უაზ-აბას ნანგრევებზე მო-

დებულ ხავსს, რომ ჩამოაგლიჯო, როგორ მოისვენებდა ალბათ საწყალი?“

სტუმრის ღრმად ჩამჯდარი თვალებიდან ისევ გამოკრთოდა ნათელი სხივები. შესაძლებელი რომ ყოფილიყო ამ შუქმფინარი სხივების მოგროვება, რამდენ ნაბადს ეყოფოდა მოსასირმად: ნათესავები, მეგობრები, ახლობლები სულ ნაქარგებიან-მოსირმულ ტანსაცმელში გამოეწყობოდნენ. ყველას ეყოფოდა, იქნებ ცოტა დარჩენილიყო კიდეც.

— პრიშოლ, და? — უთხრა თარსხანმა მოხუცს და ჩაცვენილ მხრებზე, რომელთა შორისაც ღრმად ჩავარდნოდა თავი, ხელი მოუთათუნა. ამის თქმა იყო და მოხუცი ფიცხლად გასწორდა, მხრებში გაიმართა და ღრმად ამოისუნთქა. თვალებიდან გამომჭვირვალი ოქროსფერი სხივები გაუნაცრისფრდა, სხივთა კონა დაიშალა, ძირს ჩამოუცურდა და ბალახებში მიმოიბნა.

— უხიაგი ხომ არაფერი აკადრე, კაცო? — ჰკითხა თარსხანს შეცბუნებულმა მეუღლემ.

— ისეთი არაფერი, მაგას რომ რამე დაემართოს.

— ყველას ასე ვევლებით თავზე, ჩვენ კი არავინ გვკითხავს, გვიჭირს თუ გვილხინს!

ჩრდილში შეყრილი ხალხი თავშეუკავებლად ლაპარაკობდა, თუმცა ალაგ-ალაგ დამცინავად ჩაიქირქილებდნენ ხოლმე, რადგან ჯერ კიდევ ვერ გაეგოთ, როგორ მოექცეოდა თარსხანი მოსულს.

— და, პრიშოლ! — კვლავ ამოიოხრა მოხუცმა. ეტყობოდა რაღაც მძიმედ აწვა გულზე, ქედი მოედრიკა და მიწას ჩაჰყუოდა, სხეული კი შიშს გაეთანგა, ვაითუ, ფეხქვეშ მიწა გამომეცალოსო.

მას მოუნდა გარეულიყო გარეშემყოფთა შორის, როგორც წყლის წვეთი შეენივთება ხოლმე მდინარეს, სურვილი სწვავდა ეგრძნობინებინა მათთვის, რომ ის არ იყო ნადირი, რომელიც სიცივეს და შიმშილს გამოეგდო ტყიდან. მაგრამ, სამწუხაროდ,

ადამიანები ასე ადვილად არ გაიკარებენ უცხო კაცს — როცა ისინი ცდილობენ რაიმე კარგი აღმოაჩინონ მასში, უწინ იმის გაგებას მოინდომებენ, რაში სცოდავს იგი. ასე გრძელდება ერთი ადამიანის მეორისაკენ სავალი გზა და დროც გვარიანი გადის ამასობაში. როგორ სწყუროდა მას, რომ ამ ადამიანებს ეს გზა უკვე განვლილი ჰქონოდათ, ავსა და კარგს რომ გაარჩევდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მას არაფერი გააჩნია ამ შუქმფინარი ღიმილის გარდა, რათა ეცნოთ იგი ამ ადამიანებს. მისი თვალები კი კვლავ და კვლავ აფრქვევდნენ დიდ სითბოსა და სიყვარულს. ხალხი ხშირად ფიქრობს, რომ ძნელია ღიმილით იცნო კაცი, გაიგო, კეთილია იგი თუ ბოროტი, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის.

თარსხანმა ჩაახველა და ცერად გახედა იქ მსხდომთ. მეზობლები და ოჯახის წევრები მიხვდნენ, რომ მას მაინცდამაინც არ მოსწონდა მათი საქციელი. ისინი გაიტრუნნენ და ელოდნენ მეხი როდის გავარდებოდა. მან კიდევ ერთხელ ჩაახველა, მაგრამ საბედნიეროდ ელვას მეხის გავარდნა არ მოჰყოლია. მასპინძელმა სტუმარს თავაზიანად მოხვია მხრებზე ხელი და სამზარეულოსკენ გაუძღვა.

— აფსუს, ვინ უნდა ამოივსოს ცხელი ღომით სტომაქი, — ჩაიბუზღუნა ერთ-ერთმა მეზობელმა, რომელმაც წელან ვერ გაუძლო თარსხანის მრისხანე მზერას და აქამდე თავჩაღუნული იჯდა, ახლა კი წელში გაიმართა, — კარგად მოხარშული ღომის გვერდით თუ ხაფანგს დააგებ, კაცს კი არა, ლომს დაიჭერ.

— ნება ალაჰისაა, იმას სწყალობს, ვისაც კეთილი თვალით შეხედავს... ალაჰ, ალაჰ!

— ხარებს მაინც წაუძღვება წინ.

— კარგი, გეყოფათ! თუ მეზობელს კერიაზე ქვაბი აქვს შემოდგმული, არც ჩვენ დავრჩებით ხახამშრალები!

შიბგა ხედავდა, რომ მეზობლები ქვაბს დასტრიალებდნენ, მაგრამ ვერაფრით გაეგო, რა იხარშებოდა შიგ.

— მურია! — უყვირა შიბგამ ნაგაზს, რომელიც კუდის ქიცინით გაედევნა მასპინძელს და მის სტუმრებს, — რით ვერ გაიგე, როცა უფროსები ლაპარაკობენ იქ შენი ფეხი არ იქნება!

ისეთი ხარხარი ატყდა, თითქოს ერთბაშად მოვარდნილმა წყლის ნიაღვარმა ჯებირი გაარღვია. ამ ხმამაღალ სიცილზე შეშინებული წამოხტა პატარა ბიჭუნა, რომელსაც ვერ გაეგო რა მოხდა, ხან ხალხს უყურებდა და ხან ძაღლს, ბოლოს მურიას ენა გამოუყო და იქიდან მოძურწა. არც ძაღლი დარჩენია ვალში, იმასაც გადმოეგდო ენა, თითქოს ბიჭს ეუბნებოდა, ხომ ვგავართ მე და შენ ერთმანეთსო.

სიცილი დიდხანს არ დამცხრალა, თითქოს შეჯიბრი აქვთო, არავინ აპირებდა გაჩერებას. ალბათ უნდოდათ მასპინძლისათვის ეჩვენებინათ, როგორ ილხენდნენ მის სახლში. სიცილმა თაკარა მზეს გარიდებულ და ნალიის ქვეშ შეყუჟულ ქათმებამდეც მიაღწია და იმათაც, ვითომ ჩვენც აქა ვართო, ერთი კრიახი და კაკანი ატეხეს, მამლები აიქოჩრნენ — ვითომ რა ხდებაო, ხოლო ინდაურები, აქაოდა ჩვენ არაფერი გვეხებაო, ბრაზიანი ყვიტყვიტით გარეთ გამოცვივდნენ.

— შენ რა გითხარი, შიბგა!...

„ტყუილად კი არ ამბობენ, სადაც ბავშვია, სიცოცხლე და სიხალისე იქ არისო“.

— ხა, ხა, ხა!...

ბიჭუნას კი ვერ გაეგო, რატომ იცინოდნენ უფროსები, მაგრამ ხედავდა, რომ მას დასცინოდნენ. ერთი კი გადახედა სტუმრებს და ტუჩებაბზუებული დედისკენ გაიქცა. ქალს ეტყობა შეეცოდა ბავშვი და სიცილი ერთბაშად მოისხიპა. ის არც მანამდე იცინოდა სხვებივით ხმამაღლა, ჩუმად ხითხითებდა და ბოლოს ცრემლმომდგარმა თვალებში ჩითის კაბის განიერი სახელო ამოისვა. პატარა შიბგამ ახლაღა შეამჩნია, როგორ შეცვლილიყო დედის თვალები. შადიას თვალთან ნაოჭები აჰყროდა და ჩაღრმავებოდა.

ისედაც გულაჩუყებულმა ბიჭმა კინაღამ ცრემლები არ გადმოყარა, მაგრამ შერცხვა და თავი ჩაღუნა.

— რა კაცია მამაშენი, რა დღეში ჩაგვყარა, — სხვა ვეღარაფერი მოიფიქრა შადიამ.

შიგბა უკვე მოჩიტული ყმაწვილი იყო, მაგრამ ვაჟკაცი არ ეთქმოდა, ჯერ კიდევ ვერ იდგა მძლავრად მიწაზე ორივე ფეხით. უფროსების აზავთებულმა ხარხარმა, ქათამ-ინდაურის კრიახმა და ყვიტყვიტმა თავბრუ დაახვია ბიჭს. „ნახეთ ერთი, როგორ დავაჟკაცდა... განა ისევ პატარა ხარ..." — წამდაუწუმ აგონებდნენ მას, მაგრამ შიბგას ვერაფერი გაეგო დიდების, თითქოს უყვარდათ და არც უყვარდათ, თან ათას რამეს ჰპირდებოდნენ, ვითომ ნებაზე უშვებდნენ, მაგრამ საკმარისი იყო რაიმესთვის მოეკიდა ხელი, მაშინვე ერთად აუყვირდებოდნენ — რას აკეთებ, არ შეიძლებაო.

შიბგა ერთხანს შეწუხებული იდგა, მერე კი გაფიცხდა: „თუ მურიასოდენა ნდობასაც არ ვიმსახურებ, მე გიჩვენებთ სეირსო", — გაიფიქრა, თავი ასწია და მტკიცე ნაბიჯით სამზარეულოსაკენ გაემართა, სადაც მამა და სტუმარი შევიდნენ, მაგრამ თარსხანის მუქარით სავსე მზერა იგრძნო, შეტრიალდა და სახლის კუთხეში გაუხვია.

„დამაცადე, მოცუნცულდები ისევ ჩემთან, ნახე ერთი თუ გოჭივით დინგით მიწა არ გათხრევინო?!" — მუქარით გახედა მურა ძაღლს.

კარის ზღურბლზე მოკეცილმა მურიამ თათებშუა ჩადებული თავი მისკენ მოატრიალა და ბიჭს შეხედა:

„არც მე ვარ ნაგაზი, მაგრამ არც შენა მყავხარ დიდი ყარამანი, გატყუებენ დიდები".

ახლა შიბგას ერთი სული აქვს მურია, რომელიც არხეინად მოკალათებულა კარის ზღურბლზე და მამისა და სტუმრის საუბარს უსმენს დიდი მონდომებით, გვერდზე გაიყვანოს და ტყავი გააძროს, უნდა, რომ მის სიტყვასაც ყურს უგდებდნენ, ჩაჯდეს

უფროსებში და მოისმინოს, რაზე მასლაათობს სტუმარ-მასპინძელი, არც ერთი მათი სიტყვა არ გამორჩეს და მეზობ-ლებს თვალში ნაცარი შეაყაროს, რომლებიც კაცად არ თვლიან მას...

კარგად რომ დაფიქრდება ხოლმე შიბგა, ხვდება, რომ უფროსები, რომლებიც მას ასე აბრაზებენ, ყველაფერს ისე ვერ აკეთებენ, როგორც უნდათ. ახლა, სახლის კედელზე მი-ყუდებული კარგად ხედავს, როგორ იშლებიან მეზობლები თითო-თითოდ, ორ-ორი, ზოგი ჭიშკრისაკენ მიაბიჯებს, ზოგიც ცდილობს ღობეს გადააბიჯოს და ისე გავიდეს ეზოდან, წუხს შიბგა, რომ მას არ თვლიან ვაჟკაცებში, დასცინიან, თუმცა ისინიც ხშირად ემსგავსებიან იმათ, ვინც ცდილობს ღრუბლის ფთილისაგან ძაფი დაართოს და იმით ქეჩა და ტანსაცმელი შეიკეროს... მიდიან, იშლებიან, აბა, რა უნდა ქნან, ყველაფერს თავისი დრო აქვს.

მზემ უფრო დააცხუნა, კაკლის კენწეროზე მოექცა და ხის ქვეშ გაწოლილი ჩრდილი, სადაც ისინი ისხდნენ, დათვის ტყავი-ვით გაჭიმა და თარსხანის აივანს გააკრა. მარტო უფროსებს კი არა, შიბგასაც ხშირად დაუნახავს, როგორ დაეკიდება ხოლმე დიდი კაკლის ჩრდილი მათ აივანზე, ამ დროს პლანტაციებში თამბაქოს ფოთლები ქურანა ცხენის ყურებივით აიცქვიტებო-და, ხოლო როცა მზე უკვე ჩასვლას დააპირებდა, ეს ფოთლები სითის მონადირე ძაღლის ყურებივით ჩაიკეცებოდნენ ხოლმე. ამ დროს თუ მოკრიფე თამბაქოს ფოთოლი, ყუნწი ტკაცანით ჩამოცილდება ღეროს და მერე გამომშრალი ფოთოლი ისე გათხელდება, რომ თუ გახედავ, სტამბოლში რომ კაცი თუთუნს ეწევა ისე ახლოს მოგეჩვენება, კვეს-აბედს სთხოვ, ყალიონს მოვუკიდებო — გაუგონია შიბგას მამისაგან. რამდენჯერ სცა-და შიბგამ მამის ნათქვამის სისწორეში დარწმუნებულიყო, ბევ-რჯერ მოუწყვეტია თამბაქოს ორი-სამი ფოთოლი, გაუშრია და მერე შიგ გაუხედია, მაგრამ სტამბოლში თუთუნის მწეველი

კაცი კი არა, თავისი ბიძის სასრანის ოდაც კი ვერ დაულანდავს ხეირიანად.

ყველაზე მეტად შიბგას ამქვეყნად დედა უყვარს, მამასაც ურჩევნია და თავის დაიკო შაზინასაც. როცა დედა სახლშია, გული ხალისით აქვს სავსე. ირგვლივ ყველაფერი ლამაზი ეჩვენება, მაგრამ რა უნდა ქნა, ხანდახან ორივესთვის უხილავი ძალა, რომლის წინაშეც ისინი უძლურნი არიან, მაინც აცილებს დედა-შვილს ერთმანეთისაგან. აგერ, ახლაც დედას შვიათის ფაფახივით დაწნული კალათა აუღია და მიდის, სადღაც მიეშურება. თავნება მზე, ყველას უკითხავად კაკლის ძირში ჩრდილს დააპატარავებს და ახლა ოდის აივანზე გააკრავს. ამ დროს ეზოში უჩვეულო მოწყენილობა ისადგურებს. რაღაც ძლიერი ძალა დედას ართმევს მას და სადღაც მიჰყავს. სახლში ორნიღა რჩებიან: ის და მურია, მურია და ის. როცა უფროსები დასცინიან, სწყინს, მაგრამ მაინც ძალიან უხარია, როცა ისინი კაკლის ქვეშ შეიყრიან ხოლმე თავს და ჰყვებიან ხან მთისას, ხან ბარისას, ზღაპრობენ, მხიარულობენ. მაშინ ყველა მათგანი ძალიან უყვარს ბიჭს, — გრძელცხვირაც, დიდყურაც, ავთვალიც...

ალბათ როცა მუშაობენ, ერთმანეთს ხმას არ სცემენ, არ ალაპარაკებენ — ფიქრობს მათი შემყურე, გაკვირვებული შიბგა. „რა, მინდორში რომ ილაპარაკონ, თამბაქო გახმება თუ სიმინდი ტაროს ვერ გაიკეთებს?"

განა შიბგა მინდვრად, სამუშაოზე არ ყოფილა? წელს არ იყო, თესვის დროს ჩელტზე რომ იჯდა და ნახნავებს ყინულმჭრელი გემივით რომ მიარღვევდა.

ერთი რამ დღესაც ვერ გაუგია ბიჭს — რატომ დადო მაშინ მამამ ჩელტზე, სადაც ის იჯდა, წყლით გაჟღენთილი ხის მორი. მაშინაც, წლევანდელისა არ იყოს — მურიამ ეშმაკურად შეხედა შიბგას და ენა გადმოაგდო, — დასცინოდა ალბათ.

დადგა შორს, მიხვეულ-მოხვეულ ბილიკს იქით ჩაიმალა. ახალი გათენებული იყო, ბრიგადირს ჯერ კიდევ არ ეღრიალა: — ეჰეი, რას მიშვრებით, გამოდით, ხალხი არა ხართ!...

„რერაშასთან“ ერთად ხშირად მოსწვდენია შიბგას ყურს ბუზღუნით ნათქვამი სიტყვები; — „ჩვენ თავზე დაგვდგომიხარ და დაგვჭყივი, თვითონ ვითომ რისი მაქნისი ხარ, შრომადღეებს გვიჭამ, ჩელტზე რომ კაცი ზის, ისიც საქმეს აკეთებს, ცხენებს ერეკება, შენ კი უქმად დგახარ და ყვირილს უნდები“. ის კიდევ — „ხალხი არა ხართო!“ მერე კი მის ყვირილს ისევ სიმღერა სძლევს.

ახლაც რა გული მოუთმენს თარსხანს არ შესძახოს, არ იყვიროს. შიბგამ სახლის უკანა კუთხიდან გამოყო თავი. მურიამ ისევ დამცინავად მოწკურა თვალები და თავი თათებში ჩამალა.

— ნუ-ნუ-ნუ... — მოისმა სამზარეულოდან.

„ასე მიმართავს ხოლმე მამა ცხენს, როცა უნდა წყალი დააალევინოს“, — გაიფიქრა შიბგამ.

— ნე-ნენ-ნეეტ! — ეს სტუმარი ამბობდა რაღაცას.

„მამა ალბათ ამასაც ღვინოში ახრჩობს“, — გულში გაიმეორა დედის ნათქვამი ბიჭმა.

მართლაც ასეთი ჩვეულება ჰქონდა თარსხანს — როგორც კი სტუმარს დაინახავდა, ერთი გაიბადრებოდა და მოსულს გულს ვარდივით გადაუშლიდა ხოლმე. „თარსხანი მთების ჩრდილებს ეფარება, მთებს კი ვერ ხედავსო“, — ამბობდნენ მისი ასეთი საქციელის გამო თანასოფლელები, რომელთაც კარგად იცოდნენ, რომ ის არც მეზობლებს და არც მოკეთე-ნათესავებს ღვინოს არ აძალებდა. თარსხანს ყველა როდი გაუბედავდა ამგვარ ნართაულებს. თუმცა იყო სოფელში ერთი-ორი კაცი, ვისაც ჰყოფნიდა სითამამე გაეკენწლა თარსხანი, ისიც მაშინ, როცა ის კარგ გუნებაზე ბრძანდებოდა.

— ნუ-ნუ-ნუ!

— ნი-ნი-ნი!

„რას ჩააცივდა: ჭამე, დალიე! ჭამე, დალიე!“...

განსაკუთრებით მაწანწალა მგზავრებს გადაეკიდებოდა ხოლმე. მათ დანახვაზე თოხიც ავიწყდებოდა და ბარიც, ხის

კენწეროზე რომ ყოფილიყო გასული, თვალის დახამხამებაში ძირს გაჩნდებოდა. პირთან მიტანილ ლუკმას დადებდა და ამვლელ-ჩამვლელს სახლში შეიპატიჟებდა.

ვინ არიან ეს მაწანწალები? გაცრეცილები, ტუჩებჩატეტკილები და ღაწვჩაცვენილები, ბარბაცით და სვენებით ძლივს რომ მიღოღიალებენ შარაგზაზე?

საიდან მოდიან, სადა აქვთ ბინა და საყუდარი?

ვინ არიან ისინი?...

„ჭამე, დალიე! ჭამე, დალიე! — სულ ეს აკერია თარსხანს პირზე, რატომ არ ეკითხებით არაფერს, სცხვენია თუ ეშინია მათი თარსხანს?"

ახლაც, როცა ერთი ასეთი მოხეტიალე კაცი სახლში სტუმრად ეჯდა თარსხანს, ცოლი და მეზობლები ჩააცივდნენ — ჰკითხე ერთი, ვინ არის, სადაურია, აქეთ როგორ მოხვდაო. თარსხანი ისე გაიფხორა, თითქოს ეკითხოთ, გავიგეთ, ამას წინათ მთვარეზე ყოფილხარ და გვითხარი ახალი რა ნახე იქაო. მან ჩაახველა და რაღაც მიკიბ-მოკიბა. თვალებდასიებულმა და სახეაღაჟღაჟებულმა სტუმარმა ძლივს ამოღერღა ორიოდ სიტყვა.

— რაო, რა თქვა, რა თქვა? — დააყარეს კითხვები აქეთ-იქედან. ახლა უკვე ვერც შურეთმა შეიკავა თავი, თუმცა თარსხანისა უფრო ეშინოდა, ვიდრე მიქელ-გაბრიელისა.

— სიკვდილს გამოვექეციო, თქვენ ღმერთმა დაგიფაროთ, სიკვდილს თვალებში ჩახედოთო, — ეს თქვა მხოლოდ.

— უიმე — რას ამბობ, ღმერთმა დაგვიფაროს!...

— მათ კვალზე რომ დადგეს, ხომ დავიღუპეთ!

— ეს ბავშვები რომ არა...

— ჩვენ კი აგერ გულში ვიხუტებთ...

— კაცო, იმან ორი სიტყვა თქვა და შენთან მოფრენილი ბუზი სპილოდ როგორ იქცა? — შებედა თარსხანს თავისმა ცოლმა შადიამ.

ქალს სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, თარსხანმა ისეთი მრისხანებით დაჰკრა ხელი მაგიდას, რომ სუფრაზე ჭიქები ანცი ციკნებივით აცეკვდნენ.

— რამ განგარისხა, კაცო? — უკან აღარ დაიხია და შეუტია შადიამ მეუღლეს.

მოხუცმა წამოიწია, წამოდგომა დააპირა, მაგრამ ვეღარ შეძლო. იჯდა ასე მხრებჩამოყრილი და ხელიდან გავარდნილ ლუკმას მისციებოდა თვალებით, ვეღარც აეღო, სცხვენოდა, მაგრამ დატოვებაც ენანებოდა; ლუკმას ვამბობ, თორემ ერთი ბეწო ღომის ულუფა ჩიტსაც არ ეყოფოდა საკენკად.

ჩაჩანაკ უპოვარს, უკვე სიკვდილი რომ ამოსდგომოდა მხარში, თარსხანი რაღაცას ანიშნებდა და უყვავებდა, — ეს ხელი გამიხმეს, თუ შენმა აქ ყოფნამ გამაბრაზა და ამაღელვაო, თავისიანებს კი შუბლმოქურუხებული უბღვერდა.

მასპინძლის თავაზიანობამ და სტუმართმოყვარეობამ სტუმარს სითბო და სიხალისე ჩაუღვენთა სხეულში, მან თითქოს ფეხდაფეხ ადევნებულ სიკვდილს თვალი ჩაუკრა, ზურგი აქცია და ეზოდან გასვლა დააპირა.

— ნუ გეშინია, თვით მიქელ-გაბრიელიც კი ვერ გაბედავს წიხლი გვიკრას სუფრაზე, — თქვა თარსხანმა აფხაზურად და გაიფიქრა, ღმერთი აფხაზურად უკეთ გაიგებს ჩემს ნათქვამსო.

სტუმარი შემოტრიალდა, მასპინძელს თავი დაუკრა და ყოჩაღად გადააბიჯა ჭიშკრისაკენ, შადიას ამოზელილი ცხელი ღომი ძალასა და ღონეს მატებდა მიმავალს.

რამდენი ასეთი უპოვარი, ნაცნობი თუ უცნობი დაპურებულა აფხაზის ოჯახში. ხშირად არც ვინაობას ეკითხებოდნენ და არც სადაურობას. თარსხანი ხელგაშლილი მასპინძელი იყო. სტუმარს შეიპატიჟებდა, შინაობას ეტყოდა, მოჩქარეს დარჩენას არ დააძალებდა, დამრჩოს ისე მოეფერებოდა და გაუმასპინძლდებოდა, რომ ორი-სამი დღის მერე სტუმარი შინაურად გრძნობდა თავს მის სახლში.

ასე გაუმასპინძლდა თარსხანი დღევანდელ სტუმარსაც, რომლის ბებრული თვალებიდან ისეთი ოქროსფერი სხივთა ნათელი ციაგებდა, როგორც მის სირმებით გაწყობილ ყაბალახზე, რომელსაც მისი პატრონი ხელის დაუბანლად თითსაც არ მიაკარებდა, და თუ ცხენზე არ იჯდა, არც კი მოიხედავდა ხოლმე, რათა ფეხით მოსიარულეს დაბლა არ მოსთრეოდა და მტვერი არ დასდებოდა.

მურია ეშმაკი და გონიერი ძაღლი იყო, როგორც ბევრი მისი თანამოძმე, იგი უტყუარად სცნობდა მეზობელ-ნათესავს, ყველა იმათ, ვისაც კი ამ ეზოში ერთხელ დაედგა ფეხი. იცოდა, ვინ რისი მაქნისი იყო, ვის რა ეჭირა ხელში და რა ედო გულში. მურიას მუდამ ერთი რამ უღრღნიდა გულს, ვერაფრით დაიმორჩილა და ამიტომ ძალიანაც სძულდა ის, რაც ერთთავად უკან დასდევდა — მისივე კუდი.

რამდენჯერ დაუნახავს შიბგას, როგორ ცდილობდა მურია დაეჭირა საკუთარი კუდი და დაეკბინა. კარგ ტანმოვარჯიშეს შეშურდებოდა, ისე ახლოს მიჰქონდა მურიას თავი კუდთან და ძიძგნიდა მას, როგორც მშიერი მგელი. მერე ხელმოცარული და პირში ბალანგამოტენილი დაწვებოდა, ისევ დაეტანებოდა საკუთარ კუდს, მაგრამ ამაოდ. როგორც შიბგა ვერ ახერხებდა დასწეოდა და ფეხი დაედგა საკუთარი ჩრდილისათვის, ისე ვერც მურიას მოეგდო ხელთ თავისი კუდი.

ახლაც იწვა ძაღლი მიწაზე, ჩვეულებრივ მოკაუჭებული კუდი ახლა გაჭიმულად ედო, მერე ისევ ამოიკეცა და თავი წამოსწია.

ძაღლის ბედი დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი პატრონი ჰყავს. ალბათ მურია ტყუილად ბრაზობდა საკუთარ კუდზე, ბუნებას სამართლიანად მიუცია მისთვის ასეთი კუდი, როგორც მაგალითად, ბუნებამ ენა მისცა ადამიანს. ძაღლის კუდის მოძრაობამ მიახვედრა შიბგა, რომ მამა და მისი სტუმარი სუფრიდან ადგომას აპირებდნენ, შიბგამ ისე დაიჭი-

რა თავი, თითქოს მისთვის სულერთი იყო, მამა რას აკეთებდა, სახლის უკან კუთხიდან გამოვიდა და კიბეზე ჩამოჯდა. ახლა იგი მისთვის ორ ყველაზე ძვირფას სამყაროს შორის იჯდა — ერთი გზა გახლდათ, საიდანაც დედა უნდა გამოჩენილიყო, ხოლო მეორე — სამზარეულო, სადაც უფროსები ისხდნენ და მას ძაღლადაც არ აგდებდნენ. მან თავი ასწია და დასავლეთისკენ გაიხედა. გზაზე, საიდანაც დედა უნდა დაბრუნებულიყო, უკვე გრძელი ჩრდილები გაწოლილიყო. მზე ჩადიოდა, სადაცაა ალბათ დედამისიც გამოჩნდებოდა. უცებ ერთი წლის წინ გარდაცვლილი ბებია გაახსენდა. ბებია რომ ძილს დააპირებდა, ტანსაცმელს გაიხდიდა და სკივრში აწყობდა, რომელიც მისთვის მოსახერხებელ ადგილზე ედგა. თურმე სიკვდილსა და ძილს შორის ერთი მტკაველი მანძილი ყოფილა. სიკვდილის პირას მისულნი და უკან მობრუნებულნი იმასაც ამბობდნენ, სიკვდილი ძილზე გაცილებით ტკბილიაო. ერთხელაც შიბგას ბებია, რომელსაც ჩიტის გაფრენის ხმაც აღვიძებდა, ვერც მამლის ყივილმა გააღვიძა და ვერც შვილის ქვითინმა. სკივრიც იქ დარჩა, სადაც იდგა. ვიდრე ბებია ცოცხალი იყო, ეს სკივრი არავის თვალში არ მოხვედრია, არ აწუხებდა არავის, იდგა თავისთვის, მორიდებულად, მისთვის ერთხელ და სამუდამოდ მიჩენილ ადგილზე, მაგრამ შიბგას კარგად ახსოვს, როგორი ზედმეტი აღმოჩნდა ეს სკივრი ბებიას გარდაცვალების შემდეგ. ბებიის ხელით გათხრილი ჭის წყალი ანკარა და ცივი იყო, იმ წყლით გარეცხილი სარეცხი, საპონი რომც არ გეხმარა, ქათქათა გამოდიოდა, მისი ხელით შეკერილი საბნები გამზეურების შემდეგ დიდხანს ინარჩუნებდნენ მზის სუნს, მისი ხელით დამყნილი ვაშლის ხეები არასოდეს მეწლეული არ გამოვიდოდა, ყოველთვის ბარაქიანად ისხამდა სურნელოვან ვაშლებს, ისინი, ვისაც ბებია ბავშვობაში ხელით დაატარებდა, ახლა უკვე გასათხოვრად იპრანჭებოდნენ... ბებიას სკივრში გაუცვეთელი, უკვე მოდიდან გადასული თალხები დარჩა. ამ სკივრის მიკარ-

ება მხოლოდ მის შვილს შეეძლო, მაგრამ იგი კაცად გააჩინა ღმერთმა და დედის ტანსაცმელთან მას ხელი არ ჰქონდა. რძალს ისე უყვარდა დედამთილი, თვალში რომ ჩავარდნოდა ხელს არ ამოისვამდა, მაგრამ რას იზამ, თავის თალხ ტანსაცმელს რძალს ხომ არ ჩააცმევდა...

დედამიწის ზურგზე არ დადიოდა მეორე ისეთი ადამიანი, რომელიც შიბგასავით ამდენი ხალხის სიყვარულს დაიტევდა გულში: დედა, მამა, მისი და შაზინა, ბიძის — სასრანის შვილები — ახრა და აფსირტე, მეზობლები, დედის და მამის ნათესაობა, — ყველას ერთად იტევდა მისი პატარა გული, ყველასათვის მიჩენილი ჰქონდა თავ-თავისი ადგილი, როგორც ფუტკრები ფიჭაში დაიჩემებენ ხოლმე ადგილს.

ახლა თავისი და შაზინა გაახსენდა და გული შეეკუმშა. ის ლიძავაში, დეიდასთან გააგზავნეს მშობლებმა, რათა გოგონას მარტოხელა ქალისათვის ხელი წაეხმარებინა. „რომ დავბრუნდები, ერთ კასრ ზღვის წყალს ჩამოგიტანდ და იჭყუმპალავე, რამდენიც გინდა", — უთხრა წასვლის წინ შაზინამ შიბგას, წითელი პერანგის ჩამოტანასაც შეჰპირდა, აი ისეთს, მარულაში მონაწილე მხედრებს რომ აცვიათ ხოლმე. შიბგამ მაშინვე გარეცხა დიდი გობი და ჩაწვა შიგ, აბა ერთი, თუ ჩავეტევიო. ცხენიც დაბანა და ეზოში გაუშვა. ცხენს ფეხები გაკრული ჰქონდა და შიბგაც დაარხეინებული იყო, რომ ეზოდან ვერსად გაექცეოდა, მაგრამ რად გინდა, არა და არ გაილია ეს ერთი თვე, რამ გააგრძელა ასეო, — ფიქრობდა ბიჭი. — „დღეს რომ დაღამდება და გათენდება, ხვალ რომ დაღამდება და გათენდება...", ითვლიდა შიბგა დღეებს, ვიდრე არ დაიღალა დღეების თვლაში და თვალები გზისკენ ყურებით არ მოექანცა.

შიბგას მაინც ის დრო უყვარს მომეტებულად, როცა თესვა იწყება. აეწყობა გუთნეული, შენ კი გაჭიმული განცხრომით ზიხარ ჩელტზე და არაფერი გადარდებს. შენს ფეხქვეშ ბელტი ბელტზე ისე გადადის, როგორც მოქცევის დროს ზღვის ტალ-

ღები. გულს უხარია, როცა ისინი იმსხვრევიან სახნის-საკვეთის ქვეშ, ხოლო იქ, სადაც გუთანმა ასჯერ უნდა გაიაროს, შენ მიადგები, ერთ გავლაზე მიასწორ-მოასწორებ და შიგ თესლს ჩაყრი... თესვის დროს შიბგაც კაცია, მასაც ანგარიშს უწევენ, ბევრი ჭამე კაცო, არ დაიღალოო, — ეუბნებიან, მაგრამ ახლა?

მურიამ უკან დაიხია, კუდი ისევ მორკალა და უკანა თათებზე დაყუნტდა. სამზარეულო ოთახიდან თარსხანი და მისი სტუმარი გამოვიდნენ: „ჩიტი ისე ვერ დამალავს თავის რძეს, როგორც თარსხანს ვერ შეატყობ, რომ ნასვამია“, — ამბობდნენ თარსხანზე, ვინც მას კარგად იცნობდა, მაგრამ ოჯახის წევრები არ იმჩნევდნენ, თორემ მაშინვე ატყობდნენ, ერთი ჭიქა მაინც რომ ჰქონოდა დალეული.

— შიბგა!— მამა ბიჭს მიუახლოვდა და თავზე ხელი გადაუსვა. „არც უჭამია და არც უსვამს, ლუკმა ყელში არ გადასდის საცოდავს“, — გაიფიქრა თარსხანმა და სტუმრისკენ გაიხედა. თვითონ სტუმარი კი ბზის ალაბაშას დაყრდნობოდა და სადღაც შორეთში იყურებოდა. შიბგა, მართალია სოფელს არ გასცდენოდა, მაგრამ მის სანახებს კარგად იცნობდა. მან თავი ასწია და მთებისაკენ გაიხედა, საითაც გაშტერებოდა სტუმარს მზერა.

— მამა, მამა!

— რა იყო, დად! — ჰკითხა ბიჭს მამამ და თავისკენ მოიზიდა შვილი.

— უაზ-აბა, უაზ-აბა, — ვერ ისვენებდა ბიჭი.

— რა მოხდა შვილო, არ იტყვი?

— იწვის, ნუთუ ვერ ხედავ, რომ იწვის?

— აბა რას ამბობ, სულელო, ჰა-ჰა, ჰა, — გადაიხარხარა თარსხანმა ისეთი ხმით, რომ ბიჭი გაოგნდა. მას არასოდეს გაუგონია მამის ასეთი სიცილი.

უაზ-აბას ციხე კი ცეცხლის ალში გახვეულიყო, ქვა დნებოდა და ფერფლი და ღველფი მთების გულზე გადასდიოდა. იწვოდა უაზის ციხე, რომელიც სახლთან და კაკლის ხესთან ერთად უკვე დიდი ხნის წინათ აღბეჭდილიყო ბიჭის ცნობიერებაში.

გამთენიისას გამოჩნდებოდა უაზ-აბა და მზის ჩასვლასთან ერთად ქრებოდა ხოლმე ჰორიზონტიდან. ახლა კი იწვოდა უაზ-აბა!...

მამა ისევ თავაწყვეტილად ხარხარებდა, ხოლო სტუმარი, თავის თანამგზავრებს ჩამორჩენილი უპოვარი, უდრტვინველად იყურებოდა სადღაც შორეთში.

— მამა, მამა!

— კარგი, გეყოფა, — შეწყვიტა სიცილი თარსხანმა, პერანგის ბოლო ამოიკალთავა და ბავშვს თვალებზე ააფარა.

— წიგნი, მამა, წიგნი?

— დაწყნარდი დად, წიგნიც თავის ადგილზეა და უაზის ციხეც იქ დგას, სადაც იდგა... შენ ჯერ ბევრი რამ არ გინახავს, აბა ერთი გაიხედე! — უთხრა ბიჭს თარსხანმა და პერანგის ბოლო მოაცილა თვალებიდან.

ჰოი, საოცრებავ! უაზის ციხე ისევ იმ ადგილზე იდგა ამაყად, მწვანეში ჩაფლული, მისი ნანგრევები აქლემების ქარავანივით მიცურავდნენ ღრუბლებში, იდგა უაზის ციხე თავის ძველ ადგილზე და მისი დაღლილი თვალებიდან სოფელს შორეული წარსული გადმოსცქეროდა.

— ხედავ? — ჰკითხა შვილს თარსხანმა.

— ჰო! — ბიჭს სახე გაბადროდა.

— უაზის ციხის დაწვა რომ ასე ადვილად შეიძლებოდეს... ხე შეიძლება დაიწვას, კენწერო შეეტრუსოს, მაგრამ ძირი მაინც რჩება, მიწას ებღაუჭება ფესვებით. უაზის ციხეს ვერავინ ვერაფერს დააკლებს, მზეც ვერას გახდა მასთან. ხედავ, ჩვენი მთები დრომ ისე გამოფიტა, რომ უაზის ციხის სიმაღლემდე დადაბლდნენ, ის კი მას შემდეგ, რაც მიწისძვრამ დაანგრია, ისევ აქ არის აღმართული! — ამოიოხრა თარსხანმა. როცა კაცი ამოიოხრებს, მას ან დიდი სევდა აწევს გულზე, ან სიხარული ვერ დაუოკებია. ახლა რატომ ოხრავდა თარსხანი? იქნებ ბოლომდე თვითონაც არ სჯეროდა იმისა, რასაც ამბობდა?

იქნებ ის დიდი მიწისძვრა გაახსენდა და გული შეეკუმშა? ან იქნებ იმაზე სწყდებოდა გული, რომ ციხე თანდათან იშლებოდა და მალე ნანგრევებად გადაიქცეოდა? დიახ, ბევრი ადამიანი ოხრავს დედამიწის ზურგზე, მაგრამ ღმერთმა დაიფაროს, რომ ყველა ერთად ოხრავდეს. მაშინ ხომ ერთბაშად შთაინთქმებოდა დედამიწის მაცოცხლებელი ჰაერი და სიცოცხლეც მაშინვე მოისპობოდა ქვეყნად?!

— ჰო, შვილო, უაზ-აბა არ დაიწვება. ხომ გჯერა ჩემი? — უთხრა მან შვილს და ბიჭის მზერას გააყოლა თვალი. ვერ მიმხვდარიყო, გაიგო თუ არა შვილმა მისი ნათქვამი.

— სტეპან! — გასძახა თარსხანმა სტუმარს, რომელიც ისევ ისე იდგა შუა ეზოში გახევებული.

სტეპანი არ შემობრუნებულა, კისერი ოდნავ მოატრიალა და გამოხედა მასპინძელს. მან რაღაც თქვა. მსგავსი სიტყვები შიბგას ადრეც გაეგონა, ზოგიერთის მნიშვნელობა იცოდა კიდეც, მაგრამ ერთად თავი ვერ მოუყარა და ამიტომ ბოლომდე ვერ გაიგო სტუმრის ნათქვამი.

— ჰო, ჯერ სადა ხარ! — შიბგამ სიამაყე იგრძნო მამის ხმაში, — მზის ჩასვლისას რომ ასე მოგეწონა, მზის ამოსვლისას რომ ნახო, სულ გადაირევი! — თარსხანმა ეს სიტყვები აფხაზურად წარმოთქვა, მაგრამ სტეპანის თვალებში კითხვის ნიშნის ნასახიც არ გაჩენილა.

— აი, აი, აი! — ამბობდა სტეპანი და თავსაც თავისივე ხმის ტაქტზე აქანავებდა და ხან უაზ-აბასკენ იყურებოდა, დაისის მზეს რომ ვერ დაეწვა თავისი სხივებით, და ხან — ზღვისაკენ.

— ის ეშმაკის ფეხი დღეს უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ ეტყობა არ გამოუშვა დეიდამისმა. ქვრივი ქალი ძირგახვრეტილ ქვევრსა ჰგავს, — სხვა რამეზე გადაუტანა სიტყვა თარსხანმა და ეს ისე თქვა, თითქოს დანარჩენებს არაფერი გაეგებოდათ, რისი თქმა სურდა.

— შიბგა! — დაუძახა თარსხანმა ბიჭს, მაგრამ მის მაგივრად

მურიამ მოირბინა, შემთხვევით მე ხომ არ ვჭირდები პატრონსო.

— შიბგა, — გაუმეორა თარსხანმა შვილს, — აბა შენ იცი, შენ ხარ ახლა აქაურობის პატრონი, ჩვენ წავედით, ფრთხილად იყავი, ქორმა არაფერი წაგვაცალოს, თორემ ორივეს დაგვხოცავს დედაშენი.

— ვის ვადევნო თვალყური, წიწილებს თუ ქორს? — შეჰბედა ბიჭმა მამას, თუმცა იცოდა, რომ შეიძლება მის სიტყვებს მამა გაებრაზებინა. თარსხანი შეჩერდა, ნელა შემოტრიალდა და გაფართოებული თვალებით შეხედა შვილს. ბიჭი შეცბა, ვერ გაუძლო მამის მზერას, ოდის კიბეზე აიჭრა, ღრმად ამოისუნთქა და სმენად იქცა.

— ის წყეული ქორი რომ არა, შენც ხომ ჩვენთან ერთად წამოხვიდოდი, — უთხრა თარსხანმა.

— როდემდე უნდა ვუყარაულო იმ წყეულ ქორს, მამა?

— ცოტა ხანს კიდევ უნდა მოიცადო, ზამთარი მოვა და ისიც თავს დაგვანებებს.

— აუჰ, ზამთარი როდის მოვა?

— თუ გინდა, რომ მისი მოსვლა არ გამოგეპაროს, კისერზე ზანზალაკი ჩამოჰკიდე.

შიბგა შეიშმუშნა, ცას შეხედა, საოცრად შორი მოეჩვენა, ხელები გაასავსავა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ მამას სიტყვის თქმა ველარ შეჰბედა და უცებ საშინლად მოენატრა უფროსი და შაზინა, რომელიც ასეთ დროს გაჭირვების ტალკვესი იყო ხოლმე.

— მამა, ხვალ რომ გათენდება, ხომ ჩამოვა შაზინა? — ჰკითხა წყნარად შიბგამ.

— აბა ერთი გაბედოს და არ ჩამოვიდეს, მივატოვებ ყველა საქმეს და... — თარსხანმა სიტყვა აღარ დაასრულა, რადგან თვითონაც ძალიან მონატრებოდა ქალიშვილი.

საბოლოოდ სახლში ერთმანეთის შემყურენი დარჩნენ

მურია, შიბგა, ქორი, რომელიც სადღაც შორიდან უთვალთ-ვალებდა ეზოს და ახლად დაბუმბლულ ნიწილებს, რომლებიც უდარდელად დაწივწივებდნენ კრუხის გარშემო. შიბგამ ჯერ კინაღამ ტირილი არ დაიწყო, მაგრამ მერე გაახსენდა წითელი პერანგი და ზღვის წყალი, კასრის ნაპირებს რომ ეხეთქებოდა და დამშვიდებულმა, კიბიდან ისკუპა. ჯერ მურიას ამოჰკრა ჭიტლაყი, მერე მკლავები ფრთებივით გაშალა და გაიქცა, გაფრენა დააპირა, მაგრამ მიწამ დაიჭირა და არ გაუშვა. მაშინ ისევ გაახსენდა უაზის ციხის ზღურბლზე დადებული წიგნი, რომელიც ციხესთან ერთად იწვოდა, მაგრამ მაინც გადარჩა.

შიბგა თავად არასოდეს ასულა უაზ-აბას ციხეზე და არც ეს წიგნი უნახავს თვალით, მაგრამ უფროსებისაგან ხშირად სმენია, რომ იქ, ციხის ნიშაში დევს წიგნი, რომლის მსგავსიც დღემდე არავის უნახავს. ამ წიგნის ფურცლები ფოლადის ყოფილა, ყდა სპილოს ძვლისა, ათასი კაცის ძალა სდომებია ამ წიგნის გადაფურცვლას, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ.

„საინტერესო ის კი არ არის, რომ ის ასეთი მძიმეა, — ამბობდა ხოლმე თარსხანი, — არამედ ის, რაც შიგ სწერია. წიგნის პირველ გვერდებზე დედამიწის ისტორიაა მოთხრობილი, მერე და მერე კი ათასი ჭკუის სასწავლებელი რამ: თუ ის თავი გადაშალე, რომლის სათაურია „ძალა“, იქ ისეთ რამეს ამოიკითხავ, რომ მთელ ქვეყანას დაიმორჩილებ, მერე წაიკითხავ „ჭკუა“, ვინც წიგნის ამ გვერდს წაიკითხავს, თვით ღმერთსაც შეუძლია გაეჯიბროს ჭკუა-გონებით. თუ იმ ადგილამდე მიხვედი, სადაც წერია „ფრთები“, წაიკითხავ იმ გვერდებს და მაშინვე ისეთი ფრთები გამოგესხმება, რომ ვერც ერთი ჩიტი ვერ გაგეჯიბრება ფრენაში. ასეთი ფრთების პატრონს შეუძლია დედამიწაზე იშრომოს, ხნას, თესოს, დასაძინებლად კი მთვარეზე გაფრინდეს, მაგრამ არავის ძალუძს ამ წიგნის გადაშლა და რომც გადაშალოს, წაკითხვას მაინც ვერ შეძლებს.

„ვინც ზარმაცი არ არის, მუყაითი და გამრჯე ადამი-

ანია, ის გადაშლის იმ წიგნს და წაიკითხავს კიდეც, — ამბობს ხოლმე მამა, როცა უნდა დამსაქმოს და რაიმე გამაკეთებინოს", — გაახსენდა შიბგას, — „რას ამბობ, ოლონდ იმ წიგნის წაკითხვა შევძლო, რას არ გავაკეთებ, რაც უნდა დამავალონ ყველაფერს შევასრულებ, წავიკითხავ იმ წიგნს და დედამიწაზე ჩემი მომრევი აღარავინ იქნება, ჭკუა ღმერთის ოდენა მექნება, ღმერთსაც შემეძლება ვეკამათო, მაგრამ ნეტავ რაზე უნდა ვესაუბრო ღმერთს, რა უნდა ვუთხრა? არა, ისევ ფრთები სჯობია... ჯერ კარგად ვისწავლი ფრენას, რომ უაზრო ფართხუნით არ გავცვითო, ნელ-ნელა გავწვები ცაში და ისე ვილივლივებ, მერე მზეს გავყვები საითაც წავა. ძალიან მაინტერესებს ერთი, საღამოობით ზღვაში რომ იძირება, ანდა ნახშირივით ჩაინავლება ხოლმე, მეორე დღეს როგორღა ამოდის ისევ გაბდღვრიალებული? მერე, იმ ქორისა არ იყოს, ჩვენს წიწილებს რომ მოსვენებას არ აძლევს, ფრთებს დავკეცავდი, ქვევით დავეშვებოდი შურდულივით, ბაღ-ბოსტნებს გადავუფრენდი და ქათმებსა და ინდაურებს სულ დავაწიოკებდი. როცა დავიღლებოდი, წყალში ჩავეშვებოდი, ერთს შევიფართხალებდი წყლის ზედაპირზე, წყალს შევისხურებდი და მერე ისევ ცაში ავიჭრებოდი. მიწაზე დადგომა რომ მომინდებოდა, ჯერ ფეხებს კარგად გავშლიდი და მერე ნელ-ნელა დავეშვებოდი... აუჰ... შაზინას რომ დავენახე, ხომ შიშით გული გაუსკდებოდა? მაგრამ ალბათ როგორ გაეხარდებოდა, როცა დაინახავდა, რომ ეს მე ვიყავი! „უაზის ციხის ნიშაში რომ წიგნი დევს, მე გადავშალე ის წიგნი", — ვეტყოდი შაზინას.

შიბგამ ისევ გაშალა მკლავები, ერთხელ კიდევ ახტა, მაგრამ სად გაფრინდებოდა, მერე ისევ უაზის ციხისკენ გაიხედა. ციხე საღამოს ბინდბუნდში გახვეულიყო, მთების გულზე მიედო თავი და მშვიდად გადმოსცქეროდა ქვეყნიერებას.

მურიას ფრენის თაობაზე ალბათ საკუთარი აზრი ჰქონდა, ის კვლავინდებურად თავის კუდს ჩაფრენოდა კბილებით

და ეზოში გორაობდა. სადაცაა დედა უნდა დაბრუნებულიყო სამუშაოდან, არსად ჩანდა შაზინა, ეტყობოდა, დღესაც არ ჩამოვიდოდა, ის მწვანეთვალება ქორიც რომ დაიკარგა! შიბგა სამზარეულოსაკენ წავიდა.

„ჩემი ბატონი* ხანდახან კბილის ტკივილზე უფრო მამწარებს, — ხშირად გაუგონია შიბგას დედის ნათქვამი, როცა ის მეზობლის ქალს ელაპარაკებოდა ხოლმე, — მაგრამ ოჯახის კაცობით ვერ დაიწუნებ... მოიტანე, მიართვი, მოართვი — ასეთ სიტყვებს მისი პირიდან ვერ გაიგონებ, გამოიტანს კიდეც, რაც გამოსატანია. აალაგებს, ჭურჭელს დარეცხავს და დააბინავებს. სულ ამ დღეშია, აგერ, შევაბერდით უკვე ერთმანეთს“.

შიბგამ სამზარეულოს კარი შეაღო და დაინახა ტაბლა, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინათ თარსხანი და მისი სტუმარი უსხდნენ. ეს ტაბლა ისე იყო გადაწმენდილი, რომ ზედ თითქოს ნამცეციც არ დავარდნილა დღესო.

შიბგა მოუსვენრად აცეცებდა აქეთ-იქით თვალებს, ბოლოს მზერა სტუმრის საგზაო ჩანთაზე შეაჩერა, რომელიც თარსხანის ხელით გამოთლილ ბზის შვიდკბილიან საკიდზე ეკიდა, შიბგა ახლოს მივიდა ჩანთასთან, ოღონდ ხელი არ მოუკიდია, ისე ათვალიერებდა. სხვა რომ ველარაფერი მოიფიქრა, საკიდის კბილები დათვალა და შენიშნა, რომ დილიდან მას არც ერთი კბილი არ დაჰკლებოდა. შიბგამ მოიწყინა, უცებ, რატომღაც ერთი კითხვა აეკვიატა: „რატომ, რატომ უყვარს მამას მაინცდამაინც ეს ორი რიცხვი, შვიდი და ცამეტი? ტანისამოსის საკიდი გამოთალა და შვიდი კბილი გაუკეთა, ცხენების სახტომი მოედანი გააკეთა და ყველაფერი ისე მოზომა, რომ სახტომ მოედანზე ცამეტი ცხენი დატეულიყო. ზღაპრის მოყოლასაც ასე იწყებდა მუდამ: იყო და არა იყო რა, იყო შვიდი ძმა... ან კიდევ... ცამეტთავიან გველეშაპს თავი წააცალეს!“ — ფიქრობს, ფიქრობს ბიჭი, მაგრამ კითხვაზე პასუხი ვერ გაუცია.

ისევ დაეუფლა მოწყენილობა და მორიდებული ქალიშვილი-

ვით მალულად დაამთქნარა. მერე სტეპანის ჭუჭყით გაპოხილ ჩანთას თითი წაჰკრა, მაგრამ ვერც კი შეატოკა, ჩანთა რკინის სარივით მძიმე იყო. უცებ, თვითონაც ვერ გაიგო, რა ეშმაკი შეუჩნდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა მუშტი დაჰკრა სტუმრის ზურგჩანთას ისე, რომ ხელი ეტკინა, ჩანთა ერთი გაქანდ-გამოქანდა და უცებ იატაკზე მოადინა ბრაგვანი. იქიდან რაღაც ნივთები გამოცვივდა და იატაკზე მიმოიბნა. შიბგას შიშისაგან სისხლი გაეყინა ძარღვებში, ვინმემ ხომ არ შემნიშნაო, ირგვლივ მიმოიხედა და მურიას დაუბღვირა, რომელიც სამზარეულოს კარის ზღურბლზე დაყუნტულიყო და თვალებს ეშმაკურად წკურავდა, მერე გაიქცა და შიბგას ნიშნისმოგებით გამოხედა, თითქოს უნდოდა ეთქვა, აი ნახე, თუ ყველაფერი არ ჩავუკაკლო შენს მშობლებსო. შიბგა მაშინღა დამშვიდდა, როცა დაინახა, რომ ჩანთიდან გადმოცვენილი არც ერთი ნივთი არ გატეხილიყო და არავინ ჩანდა ახლო-მახლო ისეთი, ვისაც შეეძლო მისი „გაცემა". იგი დაიხარა და სტუმრის ავლადიდება უკანვე ჩაალაგა ზურგჩანთაში. ვერცხლის თეფში, ჭიქა, ჩანგალი, კოვზი, საპარსი, რომელსაც ასევე ვერცხლის ტარი ჰქონდა. ბიჭი გაოგნებული ათვალიერებდა ამ ნივთების მოხატულობას. ზოგიერთ მათგანზე რაღაც წარწერებიც შენიშნა. ეს ასოები ისე იყო დახრილი, როგორც ერთი მიმართულებით მქროლავი ქარი გადააწვენს ხოლმე სიმინდის ღეროებს. რა იქნება წაიკითხოს ეს ასო-ნიშნები და გაიგოს უცხო სტუმრის საიდუმლოება! მაგრამ ტყუილად გაირჯებოდა, უაზის ციხის ზღურბლზე დადებული წიგნისა არ იყოს, ვერც აქ ამოიკითხავდა იგი ვერაფერს.

— რა მაღლა დაგიკიდია კაცო, ეს საკიდი, ოჯახში ყველა ერთი სიმაღლისა ხომ არა ვართ? — ვერ მოითმინა და უსაყვედურა ქმარს შადიამ, როცა ის ამ საკიდისთვის კედელზე ადგილს არჩევდა.

— ჩვენს მტერს, ოჯახში ყველა ერთმანეთს დაემსგავსოს, ხომ დაგვექცა სახლ-კარი, — უპასუხა თარსხანმა ქალს ჩვეული სიკერპით.

— რას არ იტყვის შენი ენა, — არ ესიამოვნა ქალს ქმრის ბოლო სიტყვები.

თარსხანის და შადიას შეუღლება მოულოდნელად მოხდა. პირველად შააბათის ქორწილში გაიცნეს ერთმანეთი, მომდევნო კვირას კი აკუაძბების სახლში შეხვდნენ. ასე, ერთბაშად შეუყვარდათ ერთმანეთი. შეიძლება ამის ბრალიც იყო, რომ ცოლ-ქმარს აქამდე შერჩათ ერთმანეთის სიყვარული. ქალი დღემდე ისე ეტრფოდა კაცს, როგორც მთის ფრინველი მზის პირველ სხივს. ახლა კი, როცა ქორწილის დღიდან უკვე კარგა ხანმა გაიარა, ისინი ხანდახან აუმაღლებდნენ ხოლმე ხმას, მაგრამ გუნებაში ისევ ენატრებოდათ ის წარსული, ბედნიერი დღეები, როგორც მდინარეს მოენატრება ხოლმე თავისი ძველი, ამომშრალი კალაპოტი.

ერთ დღეს კი...

— საქონელს თუ ყურადღებას არ მიაქცევ, მგლის ლუკმა გახდება, — დაარღვია ერთხელ ღამის სიჩუმე შადიამ და ლოგინში წამოჯდა. ესეც არ იკმარა, შეტრიალდა და ზურგი შეაქცია თარსხანს.

— ვერ გავიგე?! — აფხაზისათვის უჩვეულო მოთმინებით ჰკითხა ცოლს თარსხანმა.

ცოტა ხანს სიჩუმე არც ერთს არ დაურღვევია. უცებ იელვა და ორივეს სახე გაანათა წამით, მაგრამ ელვას ამჯერად ქუხილი არ მოჰყოლია. შადია მიხვდა, მეტისმეტი მოუვიდა, მაგრამ უკანდახევა ნიშნავდა, რომ ის საბოლოოდ უნდა დამორჩილებოდა ქმარს.

შადიას ტანში ცივად დაჭინჭრა.

„სისულელე წამოვროშე და თან ზურგიც შევაქციე“ — ზაფრა შეეპარა ქალს.

— მიპასუხე!

— რას გადამეკიდე? — თქვა ბუზღუნით, საბანი გადაიძრო და საწოლზე ჩამოჯდა. — ამ დილაუთენია რატომ თავს არ დამ-

ანებებ? — ნაჩქარევად ახვეული თმა ისევ ჩამოიშალა და მხრებზე დაეფინა წელამდე. გამჭვირვალე პერანგიდან ქალის ატმისფერი სხეული გამოკრთა, თარსხანს სითბო ჩაეღვარა სხეულში, დაათრო, ძარღვებში სისხლის მოჭარბება იგრძნო. რამდენიმე წუთის შემდეგ თარსხანი და შადია ტკბილად ჩახუტებულნი მშვიდად იწვნენ ლოგინში.

— წარმოიდგინე, მიდიხარ და გზაზე ზღარბი შენიშნე... — უთხრა ცოლს თარსხანმა და შერცხვა, იგრძნო, როგორ უთრთოდა ხმა.

— ... რომელსაც ჭიანჭველები დასევიან, — დაუმატა ქალმა.

— არა, შენ მას ჯოხი წამოარტყი, ცოცხალია თუ არაო, მოგინდა გაგეგო. ის ცოცხალი აღმოჩნდა და ეკლები გაუშვა, რას უზამდი მაშინ?

— თუ ბურთივით დამრგვალდებოდა, წიხლს ამოვკრავდი.

— მაშინ ჩათვალე, რომ ცალი ფეხი უკვე აღარ გაქვს.

— მაშინ ორმოში გადავისვრი.

— ზღარბი თავის ზღარბუნებთან წავა, შენ კი ისევ მარტო დარჩები შარაგზაზე.

— მაშინ გულში ჩავიკრავ და სახლში მოვიყვან, — თქვა შადიამ და ქმარი თავის ნაბადივით სქელ თმებში გაახვია...

შიბგამ შეაგროვა სტეპანის ვერცხლის ნივთები, მაგრამ რა ექნა ტყვიასავით დამძიმებული ზურგჩანთისათვის, აღარ იცოდა. ვერცხლის ნივთები ვერაფერს იტყოდნენ, მაგრამ ზურგჩანთის პირმოსაკრავად ბაწარი სხვანაირად იქნებოდა გაკვანძული, ხომ მიხვდებოდნენ, რომ აქ რაღაც მოხდაო?

ბილიკი, რომლითაც შიბგას დედა საღამოობით შინ ბრუნდებოდა, უკვე დიდი ხანია ღამის ბინდ-ბუნდში გახვეულიყო. შიბგამ, როგორც შეეძლო, ისე მოაკრა ზურგჩანთას თავი, გამეტებით დაახეთქა სკამი, თითქოს მისი ბრალი ყოფილიყო, რომ ის უსკამოდ ვერ სწვდებოდა საკიდს, მერე ისევ გაასწორა, ავიდა ზედ და ჩანთა თავის ადგილზე ჩამოჰკიდა. თვითონ მო-

შორებით დადგა და ვერცხლის ნივთებით სავსე ჩანთას დაუწყო ყურება.

ჩამავალი მზე, რომლის სხივებიც წელან უაზის ციხეს ცეცხლის ალივით მოსდებოდა, უკვე ზღვაში ჩაძირულიყო. მთელ დღეს სიცხით გათანგულმა ბავშვმა რაღაცნაირი შვება იგრძნო. ბუნებამ მოიხედა, მცენარეები გამოცოცხლდნენ, ფოთლებს სიმწვანე დაუბრუნდათ, ღელემ ღელეს გადასძახა, მერე მდინარემ აიტაცა მათი მოძახილი და ზღვისკენ გააქანა, ზღვამდე მისული კი ცდილობდა, რაც შეიძლება შორს შეჭრილიყო მის გულში. ამ დროს ბაღში უამრავი ჩიტი მოფრინდებოდა ხოლმე, ზოგს უყვარდა ერთმანეთი, ზოგს სძულდა, მაგრამ მაინც ერთ ტოტზე ისხდნენ და ერთ სიმღერას მღეროდნენ — ბუნებას უმღეროდნენ. თვითონ შიბგასთვის რომ გეკითხათ, მას დილას საღამო ხანი ერჩივნა. ამ დროს სამყარო უფრო ახლობელი ხდებოდა მისთვის. ჩრდილებით დაბინდულ გზაზე მინდვრიდან შინ ბრუნდებოდნენ დედა, მამა და მისი და შაზინა. ამაღამ მათთან ერთად ამ ბილიკით სტეპანიც მობრუნდება — ვერცხლეულით გავსებული, გახუნებული ჩანთის პატრონი სტეპანი.

მოვა მამა, ბუხარში ნაცარწაყრილ ნაღვერდალს გამოჩხრეკს, მერე ზედ შეშას დააწყობს, ცეცხლს გააჩაღებს, იქვე სკამზე ჩამოჯდება და ყალიონს გააბოლებს. თუმცა ჯერ ახალგაზრდა კაცია თარსხანი, მაგრამ ჩიბუხის წევის დროს ის სოფლის უხუცეს ბრძენკაცს მოგაგონებდათ.

სიმართლე რომ ითქვას, შაზინაც კარგა ხანია ქალიშვილობს, ცდილობს ყველას დაანახოს თუ როგორ ემორჩილება მას უმცროსი ძმა! შიბგა კი ბოშასავით არის — სადაც მოუნდება იქ დაჯდება და ჰყვება თავის თავგადასავალს, რაც უფროსების არყოფნაში გადახდა თავს: ჰყვება ქორისაგან დაშინებულ, ერთმანეთზე მიჭუჭკულ წიწილებზე, კრუხის მამაცობაზე, რომელიც ნამდვილად იმსახურებდა „ყველაზე მამაცი კრუხის“ ორდენს, თავის მტერ-მოყვარე მეგობარ მურიაზე და და რა

ვიცი, კიდევ რას აღარ იტყვის მისი ენა. ამ დროს თარსხანი ხან მალულად, ხან კი თავშეკავებულად იღიმება შვილის ტიკტიკზე, იღიმება კუპრივით შავ ულვაშებში და თვალებიდან სიხარულის ნაპერწკლები სცვივა. მამის შემხედვარე შიბგა უფრო თამამდება და ულურტულებს დაუმთავრებლად, როგორც ხის ტოტზე შემოსკუპებული ბეღურა ჩიტი. შაზინა დედის მიბაძვით დინჯად მიდის თავის ძმასთან, თავზე ხელს უსვამს და ეუბნება: „კაჭკაჭივით ენას ვეღარ აჩერებ, ბიჭო!" მერე თავისი წინსაფრით ოფლით დაცვარულ შუბლს შეუწმინდავს ძმას და ახლა კერიაზე შემოდგმულ ქვაბს მიხედავს, სადაც ღომი თუხთუხებს უკვე, ყველაფერს ისე აკეთებს, თითქოს ამბობს, ამას ჩემს მეტი ვერავინ შეძლებსო, ბოლოს კი ისევ დედასთან მიდის, რომელიც იქვე ფუსფუსებს. ჭერში ლორის გამოსაყვანად ჩამოკიდებული ხორციდან ოქროსფერი ქონის წვეთები ცეცხლში ცვივა, ამ დროს ალი ავარდება ხოლმე და სამზადში ისეთი სუნი ტრიალებს, რომ მშიერ კაცს სულ კბილების კაწკაწს დააწყებინებს. მაშინ მარტო შიბგას თავგადასავალს კი არ გაუშვებ ყურიდან ყურში, არამედ თარსხანის მონაყოლი ნართების ამბავიც კი ვერ მოგტაცებს სმენას. კიდევ კარგი, რომ ამ დროს საშველად მოდის შადია, ყოჩაღი, ხელმარჯვე ქალი და არა ვინმე ხელთუპყარი, თორემ შიმშილი ალბათ თავისას დამართებს, ვიდრე ის ტაბლაზე ღომს მოგართმევს.

„ხომ ვამბობდი, ჯერ დაბინდდება, მერე დაღამდება და როცა გათენდება, შაზინაც მაშინ ჩამოვა-თქო: უკვე დაბინდდა, ახლა ღამეღაა გადასაგორებელი, გათენდება და შაზინაც შემოაბიჯებს ეზოში... აგერ, ზღვა, ხეები, სახლი უკვე სიბნელემ შთანთქა, ახლა მხოლოდ გათენებას უნდა დაველოდო. როცა მზე მთის წვერზე შემოჯდება, ისიც მაშინ მოვა, არა, არა, შაზინა მზის ამოსვლამდე მოასწრებს სახლში მოსვლას!

აგერ, ჩვენებიც გამოჩნდნენ, უკვე ომში დაკარგული საწყალი ბიძაჩემის სახლს მოადგნენ. სადაცაა ჭიშკარში შემოვლენ.

მოვა ახლა მამაჩემი, წინ, რაღა თქმა უნდა, სტეფანეს გამოატარებს. მამა ნაკვერჩხალს გააღვივებს და ცეცხლს გააჩაღებს, ჩიბუხს დატენის და მეც დავიწყებ... მაგრამ სად დაჯდება ამაღამ სტეპანი? თუ უფროს-უმცროსობაზე მიდგებოდა საქმე, მაშინ მამას უნდა დაეთმო მისთვის ადგილი. სტეფანი რომ რომელიმე სახალხო დღესასწაულზე გამოჩენილიყო, სოფლის უხუცესი კუანაჩაც კი წამოდგებოდა პატივისცემის ნიშნად და სტუმარს თავის გვერდით შესთავაზებდა ადგილს. დანარჩენი უხუცესებიც წამოდგებოდნენ და სიჩუმეს მხოლოდ მათი ბებერი ძვლების ჭრიალი დაარღვევდა.

შიბგა გარეთ გამოვიდა და კიბეზე ჩამოჯდა.

მთელი დღის განმავლობაში მცხუნვარე მზით გახურებული ხის კიბე ჯერ კიდევ არ გაგრილებულიყო. შიბგას რაც თავი ახსოვს არ უნახავს უფრო ლამაზი ადგილი, ვიდრე ის, სადაც ხიხ-იკოს დღესასწაული იმართებოდა. იქ მუდამ ბიბინებდა ხასხასა და რბილი, როგორც თივთიკი, მწვანე ბალახი. ხის ძირში შეკრებილი ხალხი თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობდა, უფრო თამამად იქცევიან უხუცესნი, ცოტა მოშორებით მობალახე სამსხვერპლო თხა და ბავშვები, რომლებიც მშობლებს მოეყვანათ აქ. კუანაჩას შეუძლია თავს ნება მისცეს ხმამაღლა ილაპარაკოს, თხა კი ნაღვლიანად უყურებდა გალესილ დანას და საწყალობლად კიკინებდა.

ჩვენამდე მოაღწიეს ძველი ქურუმების სახელებმა: ხალილი, ჭაგუა, ალხაზი, კუტია... ძველ დროს ბავშვებს ხიხ-იკოს დღესასწაულზე დასწრების უფლება არ ჰქონდათ, მაგრამ ხანდახან თუ რომელიმე ღვინომოჭარბებული ქურუმი ბავშვებს მაინც უშვებდა სამსხვერპლოსთან, წმინდა ხესთან შეხებას მაინც სასტიკად უკრძალავდნენ.

მერე იწყებოდა მსხვერპლშეწირვის რიტუალი.

ერთხელ ხიხ-იკოს დღესასწაულზე ქურუმმა კუანაჩამ მსხვერპლად შეწირული თხის გული ზევით ასწია და წარმოთქვა:

„მუხლს ვიდრეკ შენს წინაშე, ოქროს ჩლიქიანო, შენ ხარ ჩვენი შემწე და შემწყალებელი, შენ უკეთ უწყი რას მოგვაგებ ჩვენ, შენს შვილებს...“

— ქვის სროლა რომ დაგვიწყოს? — გაბედა და იკითხა თურმე თარსხანმა.

— შენი ნებაა, ქვას გვესვრი, რკინას თუ ტყვიას! — გაისმა პასუხად კუანაჩას ხმა, რომელიც ცას შესცქეროდა სასოებით და სჭვრეტდა დილის ვარსკვლავს, რომელსაც იქ მყოფთაგან მისი მზერა სწვდებოდა მხოლოდ.

მამაკაცები, პირმოკუმულნი და გახევებულნი, ცას შესცქეროდნენ.

ღეთის შეწევნით მათ დაინახეს, რომ ცაც ისე იყო გვემული, ქვით, რკინით და ტყვიით ისე იყო ნაიარევი, როგორც ცოდვილი დედამიწა.

„მაშ ვილას იმედიღა უნდა ვიქონიოთ?“ — თქვა თარსხანმა უკვე კუანაჩას გასაგონად და მძიმედ ამოისუნთქა.

თარსხანის მკრეხელობამ წაახდინა ხიხ-იკოს იმდღევანდელი დღესასწაული, ღმერთმა, რომლის წინაშეც ასე უდრტვინველად მუხლს იდრეკდნენ მლოცველები, თურმე არ მიიღო მსხვერპლად შეწირული თოვლივით თეთრი თხა, დაკოდილი, როგორც სულთნის ჰარამხანის საჭურისი და არ შეისმინა მასსა და ხალხს შორის შუამავლად მდგარი კუანაჩას არც ერთი სიტყვა... ხე, რომლის ქვეშაც ჯამაათი შეყრილიყო, წამის უმალ გახმა, თითქოს მის ფესვებში ყველაზე შხამიან გველს გაესრიალა, ხოლო ბავშვებს, რომლებიც წუხანდელი ცვარ-ნამით დაცვარულ ხის ფოთლებს ლოკავდნენ, ენები გასიებოდათ, გარეთ გამოეგდოთ და ათას სისულელეს როშავდნენ...

კუანაჩას ღრმად სწამდა, რომ განაწყენებული ხიხ-იკო სამაგიეროს მიუზღავდა ცოდვილთ.

იგი მაინც გულამოსკვნით შეჰღაღადებდა ბატონს:

„ვეამბორები შენს ოქროს ნატერფალებს!“ — მან ხელები

ცისკენ აღაპყრო... „ნუ შეგვრისხავ ჩვენ, ცოდვილთ, ჩვენი ბედის გამგებელი შენ ხარ, ყოვლად ძლიერო... ერთი კვირაც არ გაივლის, რომ კვლავ მოვიყრით მუხლს შენს წინაშე და შემოგწირავთ მსხვერპლად თეთრი თხის გულს...“

ამის შემდეგ მოხდა, რაც მოსახდენი იყო: მამაკაცები წაკამათდნენ იმ სიტყვების გამო, კუანაჩა რომ ცის მეუფეს მიმართავდა. ერთნი ამბობდნენ, რომ კუანაჩას ყოველმა სიტყვამ ისარივით გაჰკვეთა ღრუბლები და მამაზეციერის ყურებამდე მიაღწია, ის კი არადა, მისმა ნათქვამმა სიტყვებმა ცაც კი ნაფლეთებად აქციაო, გაიძახოდნენ, მეორენი — ამ ჩვენი ქურუმის სიტყვები იმ ძაღლის ღავღავსა ჰგავს, ჯირკს რომ უყეფსო.

„აბა, სად ხედავთ ისრებს და მათგან დაცხრილულ ღრუბლებს, საიდანაც ქვის წვიმა უნდა მომსკდარიყო, არც ჩვენ ვართ ბრმები, მაგრამ თვალიც არ მოგვიკრავს, როგორ მისწვდა კუანაჩას სიტყვები ცის საუფლოსო“, — გაიძახოდნენ თარსხანის მომხრენი. სინამდვილეში ეს სიტყვები საპნის ბუშტივით მაშინვე ქრებოდნენ, როგორც კი მათ წარმოთქვამდნენ და თუ კუანაჩას მიერ ღმერთისადმი მიმართულ სიტყვებს არ დაივიწყებს დედამიწა, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ისევე ბრწყინავდნენ, როგორც ცისარტყელა ცის კაბადონზე...

როგორც ყოველთვის, ეზოში პირველად შადია გამოჩნდა. შიბგამ დედის შესახვედრად მოკურცხლა, მაგრამ უცბად გაახსენდა, რომ ის უკვე „დიდია“ და დინჯი ნაბიჯებით, ღირსების გრძნობით გაემართა დედის შესახვედრად. საღამოს ბინდში გამოანათეს დედის თვალებმა და იქაურობას ნათელი მოჰფინეს. მალე თარსხანი და სტეპანიც გამოჩნდნენ. „ალვის ტანი აქვსო“, ამბობდნენ თარსხანზე. იგი ყოველთვის ალვის ხესავით წელგამართული დადიოდა, დგომაც ხომ ასეთი იცოდა და წოლითაც ასე, გაშოტილი იწვა ხოლმე.

— არ იღლები ხოლმე კაცო, სულ რომ ასე გაყინჩული დგახარ? — ხშირად უკითხავთ მისთვის.

— გაბღენძილი კაცის საფლავი ბევრი მინახავს, მაგრამ წელგამართულ სიარულს რომ კაცი მოეკლას, ჯერ არ გამიგია და სანამ არ გავიგებ, ასე ვივლი მუდამ, — სიცილით პასუხობდა მათ თარსხანი.

და აი, ახლაც ასე, ალვის ხესავით გამართული გამოჩნდა ის ჭიშკარში. თავზე ცარიელი კალათა შემოედგა, რომელიც გადმობრუნებულ ფაფახს მოგაგონებდათ. სახეზე ოდნავ შესამჩნევი ღიმილი დასთამაშებდა, მაგრამ შიბგა მაინც დარწმუნებული იყო, რომ დედამისივით ლამაზი და თბილი ღიმილი ამქვეყნად არავის ჰქონდა — როცა დედა იღიმებოდა, შიბგას გარშემო ყველაფერი ნათლდებოდა და ხალისდებოდა. შიბგამ დაინახა, როგორ შეერთდნენ მამის, დედის და მისი ჩრდილები, ცოტა შორიახლოს კი სტეპანის ჩრდილი ბორიალობდა, დაისის მზის ქვეშ გაწოლილ უაზ-აბას ციხის ჩრდილს რომ ჰგავდა. შიბგამ სიბრალულით და თანაგრძნობით შეხედა ამ ჩრდილს იმიტომ, რომ ის უცხო და მარტოსული იყო, როგორც მთიდან შიმშილს და სიცივეს გამოქცეული ირმის ნუკრი.

თარსხანის ხელებს ჯადოსნური ძალა ჰქონდათ. აი, მან გამოჩრიკა ნაცარში მიმალული ნაღვერდალი, შეშის ნაჭერი დაანაფოტა და ცეცხლი ააგუზგუზა, რომელმაც სამზარეულო მეწამული ფერებით გაანათა.

როგორ არ ცდილობდა შიბგა თავი შეეკავებინა, მაგრამ თვალი მაინც ვერცხლეულით სავსე ზურგჩანთისაკენ გაურბოდა. მას ეჩვენებოდა, რომ ზურგჩანთა გაცოცხლდა, ამოძრავდა და სულ უფრო ძლიერად დაიწყო ქანაობა. ბიჭს ცივმა ოფლმა დაასხა, შუბლი უხურდა, როგორც ვარსკვლავი მოსწყდება ხოლმე ცას, ისე ჩასწყდა გული და თვალებიდან ნაპერწკლები წამოსცვივდა — უცებ ანაზდად ზურგჩანთა საკიდს მოსწყდა და ძირს დაეხეთქა. შიშით გულგახეთქილი ბიჭი ადგილზე შეხტა. ზურჩანთიდან ვერცხლის ნივთები ისევ გადმოცვივდა და ერთმანეთში აირია. თეფში, საპარსი, ქამარი გაცოცხლდნენ

და შიბგასკენ გაიხედეს მუქარით. „ა-ა-ა, აი ისიც", გაისმა მათი ვერცხლივით მძიმე ხმა. მერე ხელები გამოისხეს, აიტაცეს იატაკიდან ყველაფერი, რაც ხელში მოხვდათ და შიბგასკენ გაიწიეს რისხვით ანთებულებმა. შიბგა ნამდვილად სირცხვილს ჭამდა: ან გული წაუვიდოდა შიშისაგან, ან თავქუდმოგლეჯილი გაიქცეოდა, უცაბედად მამის მონაყოლი ზღაპარი რომ არ გახსენებოდა... ბრაზისაგან გაშავებული ვერცხლის თეფშები მივიდნენ თუ არა ცეცხლამდე მაშინვე დადუმდნენ და უმოძრაოდ გაშეშდნენ. შიბგას პატარა გულმა, რომელიც უკვე კარის ზღურბლთან ატუზულიყო და გაქცევას ლამობდა, შვებით ამოისუნთქა და კვლავ საგულეს დაუბრუნდა. ბიჭი მიხვდა, რომ ეს ყველაფერი მას მოეჩვენა და შერცხვა.

„ღომისთვის ხომ არ მომერია?" — იკითხა შიბგამ და დედასთან მიირბინა.

„მოურიე, ოღონდ ხომ იცი, მანამდე უნდა ურიო, ვიდრე ხელისგულზე დაწვეთებული ღომი ენას არ დაგწვავს, როცა ალოკავ", — მიუგო ღიმილით შადიამ შვილს.

„ვაითუ, ენა ძალიან დამეწვას?" — იკითხა შიშნარევად ბიჭმა.

„კარგი იქნებოდა, ერთ-ორ დღეს დავისვენებდით შენგან!..."

შიბგა ადგილზე გახევდა, მხოლოდ თავი ასწია და დიდრონი თვალები გაკვირვებით შეანათა დედას. „დედა, შენ ხუმრობ, არა?" — ეშმაკურად უელავდა ბიჭს თვალები.

შადიამ ისეთი სახე მიიღო, თითქოს აჯიკამ თვალები დასწვა და სახეზე ხელი აიფარა და გვერდზე გაიხედა, მაგრამ შიბგა აღარ მოეშვა და ისევ ჰკითხა: „მართლა გინდა ენა დამეწვას და დამებეროს, ვერ ვჭამო, ვერ ვილაპარაკო, ხომ არ ფიქრობ ასე დედა?"

შადიამ თავი ვეღარ შეიკავა და სიცილი აუვარდა.

— ქალო, ამაღამ თქვენი სიცილ-კისკისით გვიპირებ

დაპურებას? — მუხის ჯირკების ტკაცატკუცში თარსხანის ხმამ იმძლავრა.

სანამ შადია სუფრას შლიდა, სამივე მამაკაცი სუფრას მიუჯდა. ის დიდი მაგიდა, რომელსაც ერთბაშად ოცი კაცი შემოუსხდებოდა ხოლმე, ახლა ისვენებდა. ოჯახის წევრებს ეს პატარა ტაბლაც ჰყოფნიდათ. ასეთ დროს შადია პატარა, მრგვალ მაგიდას დადგამდა ხოლმე და მაშინ აღარ იყო სადავო, ვინ სად უნდა დამჯდარიყო. ამ დროს შიბგას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქოს სულერთი იყო მისთვის, მრგვალი იქნებოდა მაგიდა, გრძელი თუ ოთხკუთხედი. მერე ჩუმად გადაავლებდა ხოლმე თვალს, ვის როგორი ულუფა ერგო და როცა დაინახავდა, რომ შადიას ყველასათვის თანაბრად გაენაწილებინა ღომიც და სხვა მისატანებელიც, საბოლოოდ დამშვიდდებოდა ხოლმე. უხაროდა, რომ მაგიდა მრგვალი იყო, არავინ ჯდებოდა უფროს-უმცროსობის მიხედვით და ისიც ოჯახის სრულუფლებიანი წევრი იყო.

— პსი მაღლახ! — წარმოთქვა თარსხანმა და პირველმა გატეხა ლუკმა.

სტეპანმა, რომელმაც არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, ხელი წაიღო ცხელი ღომისაკენ, მაგრამ მაგიდიდან ავარდნილ ორთქლშივე გაუშეშდა ხელი და მასპინძელს შეხედა კითხვის თვალებით, როგორ მოვიქცეო.

თარსხანს არ უყვარდა ჭამის დროს ლაპარაკი, მით უმეტეს, არასოდეს დაუთვლია სხვებისთვის ლუკმა. სტეპანმა მზერა შიბგაზე გადაიტანა: „რაღას უცდი, დაიწყე, ამ მაგიდაზე ყველანი თანასწორუფლებიანები ვართო," ლაპარაკობდნენ მისი თვალები. შადიას კი საჭმელი მოჰქონდა მაგიდაზე და არც ერთს არ უყურებდა. ვერც ერთს რომ ვერაფერი დააცდენინა, სტეპანი წამოდგა მაგიდიდან და თავისი ზურგჩანთისაკენ გაემართა. კვლავ დაჭინჭრა ტანში ცივად შიბგას. სტეპანი დიდხანს ურევდა ხელს ჩანთაში, ბოლოს ჩანგალი და კოვზი ამოიღო

და მაგიდის გარშემო მსხდომთ გადახედა. თარსხანი მეფური იერით იჯდა და დინჯად მიირთმევდა საჭმელს. შადია კვლავ შუაცეცხლთან დაფუსფუსებდა. ეტყობა სტუმარმა დაინახა, რომ მაგიდაზე არაფერი იდო ისეთი, კოვზი რომ დასჭირვებოდა, მერე ჩანგალს დაუწყო წმენდა საგულდაგულოდ, მაგრამ ბოლოს ორივე უკან ჩაყარა ზურგჩანთაში და კვლავ მაგიდასთან დაბრუნდა.

„რაც მომივა, მომივიდეს", — ეწერა სახეზე სტუმარს.

„სადაც მიხვალ, ქუდიც იქაური დაიხურე", — თქვა თარსხანმა აფხაზურად.

მამის სიტყვებმა სულ დააბნიეს შიბგა:

„ან მამამ არ იცის კარგად რუსული, ან არადა სტუმარმა იცის აფხაზური და არ ამხელს", — გაუელვა ბიჭს თავში.

„კარგად დაიმახსოვრე, — უთხრა თარსხანმა სტეპანს, — ჩანგალს ოთხი კბილი აქვს, ადამიანს კი ხუთი თითი, ხელსა და პირს შორის კი მოციქული სულაც არ არის საჭირო".

„კარგი, — უპასუხა სტეპანმა, ამის შემდეგ მეცოდინება, სიბერემდე სიქაჩლეო — მართალი უთქვამს ხალხს". — სტეპანმა პირზე ხელი აიფარა და მხრები აუთახთახდა, ვერ გაიგებდი, ტიროდა თუ იცინოდა.

შიბგა ისევ პირდაღებული შესცქეროდა ხან მამას, ხან სტეპანს. თარსხანმა კუშტად გადმოხედა შვილს, შიბგა შეკრთა, თითქოს ლოყა აეწვაო და ხელში შერჩენილი ცივი ღომის ნაჭერი კვლავ წაიღო პირისკენ. თარსხანმა შეამჩნია, რომ შიბგა დაუღეჭავად ყლაპავდა ღომს, მაგრამ სტუმრის თანდასწრებით აღარ დაუწყო ჭკუის სწავლება.

„ჩვენ ყველას სტუმარს ვეძახით, ვინც ჭიშკარს შემოაღებს და ეზოში შემოვა, მაგრამ სტუმარი ათასნაირი შეიძლება იყოს. ხალხში ამბობენ: „სტუმარი — ცხენი, სტუმარი — ძაღლი, სტუმარი — ღორიო!" სახლის წინ ამვლელ-ჩამვლელს შინ მოვიპატიჟებთ, ლუკმას გავუყოფთ, ღმერთის შემდეგ მის სა-

დღეგრძელოს ვსვამთ... მერე კი ზოგი სტუმარი ისე მოიქცევა, ღმერთსაც დაგავიწყებს და საკუთარ თავსაც...

სტეპანი? ეს როგორი აღმოჩნდებოდა? სტუმარი — ცხენი, სტუმარი — ძაღლი თუ სტუმარი — ღორი?! არადა, იქნებ ღვთისდარი სტუმარი აღმოჩნდეს. რა ბედნიერება იქნებოდა ეს ჩვენი ოჯახისათვის!"

ჩვენ ვხედავთ იმას, რაც გვინდა და რაც არ გვინდა, ვისმენთ იმას, რისი მოსმენაც გვინდა და რისიც არ გვინდა... ერთი კაცი შეედავა თარსხანს ამას წინათ: — „ჩვენ ჩვენი ბედი ყველას შუბლზე გვაწერია", — თქვა და ნაოჭებით დაღარულ შუბლზე ხელი ისე გადაისვა, თითქოს უნდოდა წაეშალა ყველაფერი ცუდი და მხოლოდ კარგი დაეტოვებინა.

„რა საჭიროა ბევრი ლაპარაკი, — შეაწყვეტინა თავის მოპაექრეს თარსხანმა, — ერთი მითხარი, ეს სახლი შენ ამიშენე?"

„შენი სახლისთვის სად მცალია, ჩემთვის ვერ მომიცლია".

„ბეღელი, ძმაო, ბეღელი?"

„როცა შენ ბეღელს მართავდი, ხელი მეც წაგახმარე და ერთი ქათმის ფრთა შევჭამე, ეს იყო ჩემი დახმარება".

„მარანი დად, მარანი?" — აღარ მოეშვა მოწინააღმდეგეს თარსხანი.

„თითიც არ გამინძრევია, რაც მართალია, მართალია!"

„თუ ასეა, დაწყნარდი და შენს მეგობრებსაც გადაეცი, რომ თქვენ შუბლზე ოფლის და ჭუჭყის მეტი არაფერი გაცხიათ, რასაც თვითონ შექმნი, ის არის შენი, მეტი არაფერი".

ხალხური სიბრძნე ამბობს: „დაბმული კამეჩი ყანას ვერ მოხნავსო", ეს იმიტომ მოვაყოლე სიტყვას, რომ სოფელ გუდოუს მცხოვრებლები ათადან-ბაბადან სულ კამათობენ, კამათობენ ხმის ჩახლეჩამდე და ბოლოს მუშტი-კრივზეც გადადიან.

თარსხანი არც იმათ ემხრობა, მაგალითად, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ყველაფერი იქ, ცაში წყდება და ჩვენ უძლურნი

ვართ განგების წინაშეო და არც იმათ, რომლებიც დაჟინებით გაიძახოდნენ, ღმერთი თვითონ ჩვენშიაო. ვინ იცის, იქნებ, დროთა განმავლობაში მასაც ეთქვა საკუთარი სიტყვა და თავისი მომხრეებიც გაეჩინა.

სტეპანი ჯერჯერობით მაინც სტუმარია, მტრედივითაა, სადაც დასვამ — იქ დაჯდება, შიბგასავით სულ იმის ფიქრში არ არის, სუფრის თავში დამსვამენ თუ ბოლოშიო. სადაც ლოგინს გაუშლიან იქ დაწვება, ამოიდებს თავქვეშ ხელებს, დაიფენს მკერდზე თავის გაფანჩულ წვერს და ფიქრობს. სუფრაზეა და, რასაც შესთავაზებ, იმას შეჭამს.

თუ მოვუსმენთ, როგორ მსჯელობს თარსხანი, როგორია მისი აზროვნების ლოგიკა, ხშირად დაგვებადება უამრავი შეკითხვა, უდაბნოს კუზიან მობინადრეებს რომ ჰგვანან.

— მამა! — შეჰბედა ერთხელ შაზინამ თარსხანს, — აი, წერტილმა მოათავა თავისი საქმე და მშვიდად და ლამაზად ზის ქაღალდზე, ძახილის ნიშანი კი ზის სტრიქონის ბოლოში და არც იქით უშვებს მას და არც აქეთ. როცა კითხულობ და წინადადების ბოლოში ძახილის ნიშანი გხვდება, გულს უხარია, მაგრამ ერთი მითხარი, რა ემართება ამ კითხვის ნიშანს? ყოველთვის ასეთი მოკუზული რატომაა, თითქოს წელკავი დამართვოდეს? ნუთუ ვერასოდეს ვეღარ გაიმართება წელში?

— გაიმართება, შვილო, გაიმართება!

— როდისღა?

— როდესაც ყველა იმ კითხვას გაეცემა პასუხი, რომელთა შემდეგაც ის დგას.

— როდის გასცემენ ყველა კითხვაზე პასუხს?!

აჰ, როგორ უნდა თარსხანს, რომ ყველა კითხვას მის სიცოცხლეშივე მოუძებნოს პასუხი, რომ ეს კუზიანი კითხვები, რომლებიც მრავალი მილიონი წლის განმავლობაში იბადებოდა ბუნებაში, თანდათანობით გაიშალონ წელში: დღეს ხუთი, ხვალ ათი და ა. შ...

რამდენ რამეს შეიტყობდა მაშინ თარსხანი. დღესდღეობით კი მას ისიც კი ვერ გაეგო, ვინ იყო და რა ედო სტეპანს გულში. როგორ არ ეცადა, საიდან აღარ მოუარა, ღვინოც დააძალა, მაგრამ ამაოდ, მაინც ვერაფერი შეიტყო სტუმრისაგან. ბოლოს გაბრაზდა: — „არ არსებობს კლიტე, გასაღები რომ არ მოერგოსო", — თქვა და ახალ ეშმაკობას მიმართა, ჯერ ვითომ თვითონ გაუმხილა გულისნადები, — იფიქრა, იქნებ თვითონაც გული გადამიშალოსო, მაგრამ ამჯერადაც მოტყუვდა: პასუხად ისევ ის თბილი, გაცისკროვნებული ღიმილი მიიღო, რომელიც მისი თვალებიდან გამოსჭვიოდა, ალმასის წვრილი ნამცეცებივით წვერზე ეყრებოდა და უკვალოდ იკარგებოდა. თარსხანი და მისი თანასოფლელები ამაოდ ცდილობდნენ სტეპანისათვის დაეცდენინებიათ რამე, ხოლო თვითონ სტეპანი შვებას გრძნობდა ამ ხალხის, განსაკუთრებით კი, თავისი მასპინძლის სიახლოვეს, თარსხანი კი ამასობაში ისე დაიღალა, როგორც მონადირე ძაღლებისაგან დევნილი შვლის ნუკრი.

— ამხანაგო სტეპან! — უთხრა როგორღაც მისი მოსვლიდან ერთი თვის თავზე თარსხანმა. — ისეთი სამართებელი მაქვს...

სტეპანს კვლავ ჩაუდგა თვალებში ღიმი, ამჯერად ალბათ იმით გაკვირვებულს, რომ ამ მთის მიყრუებულ სოფელში ასე ოფიციალურად მიმართავდნენ. ან იქნებ მიუხვდა კიდეც მასპინძელს განზრახვას. თარსხანს არ გამოჰპარვია, როგორ აუნაპერწკლდა თვალები სტუმარს, მისმა დაფანჩულმა წარბებმაც კი ვერ დაფარეს, როგორ აუელვარდა სტუმარს თვალები.

— სამართებელი მაქვს ერთი, საოცარი, — გაიმეორა ისევ თარსხანმა, — ამ სამართებლით ჯერ კიდევ პაპაჩემი პარსავდა თავსა და წვერს თავის პაპას. ახლაც, თუ ქალის თმას მიუტან ახლოს და მოუქნევ, ორად გაჰკვეთს, ხოლო მამაკაცისას ათად.

— ალბათ კაცის თმა...

— არა, ერთიც და მეორეც ეშმაკის ნეკნისგან არის შექმნილი, მაგრამ კაცის თმის ბეწვი უფრო სქელია.

„ღმერთო შემიწყალე! თუ შენ ქალიც და კაციც ერთი მასალისგან შექმენი და ისინი ასე დაუახლოვე ერთმანეთს, მაშინ რატომ არის მათი სამყარო სხვადასხვაგვარი?!“ — გაიფიქრა თავისთვის სტეპანმა.

ამნაირი ქარაგმული ლაპარაკის შემდეგ, თარსხანმა პირველმა გაიცინა, მას სტეპანიც აჰყვა და ორივე დიდხანს ვეღარ დაცხრა.

— ო, ალლაჰ, ალლაჰ! — თარსხანი ქვაღორღიან გზაზე მიმავალი ურემივით ჭრიალებდა სიცილისაგან და მალულად იწმენდდა ცრემლებს.

— ღმერთო, შენ მიშველე! — ხარხარებდა სტეპანი და ცალი ხელით წვერი ეჭირა, სიცილისაგან სასაცილოდ რომ უცახცახებდა.

— მართლა, მართლა, ისეთი სამართებელი მაქვს, რომ... — დაიწყო ისევ თარსხანმა.

„კარგი, ერთი მითხარი, ეს შენი ნაქები სამართებელი შენს წინაპარს თავზე ბეწვს რომ ისე აცლიდა, როგორც შემოსულ კაკალს სძვრება ხოლმე ჩენჩო, დღეს ვის ეღირსება?“ — ძლივს შეიკავა სიცილი სტეპანმა.

— სიცხემ არ შეგაწუხა, გენაცვალე? — როგორც მელია მიიპარება ხოლმე საქათმისაკენ, ისე ფრთხილად შეაპარა თარსხანმა სტეპანს, თან ქვეშ-ქვეშ უყურებდა მის წვერს, რომელიც, მისი აზრით, ხელს უშლიდა გაეგო სტუმრის ვინაობა... — როდესაც გიცქერ, კისერზე ოფლი მასხამს.

— დღეის ამას იქით, შენ ერთი წვეთი ოფლიც კი არ დაგისველებს კისერს, — თქვა სტეპანმა.

— ხომ არ წყრები?!

— რატომ, კაცს, რომელსაც მეორე კაცისა სწყინს, თვითონ არ არის კაცი. კაცი ღმერთს უნდა შემოსწყრეს, რომელიც იმას გვაკეთებინებს, რაც გვინდა და რაც არ გვინდა!

— გეთანხმებით, — მიუგო თარსხანმა, რომელმაც სინამდ-

ვილეში ბოლომდე მაინც ვერ გაიგო, რისი თქმა სურდა ამით სტეპანს.

„ახლა სადღა წამივა? მაგ წვერს რომ ჩამოვპარსავ, მერე დაფაროს თავისი საიდუმლო. ტყეს რომ გაჩეხავ, მიწაც გამოჩნდება — მაშინვე გაიგებ, ნიადაგი შავმიწაა თუ წითელმიწა... მაგრამ მის დაფანჩულ წარბებს რაღა მოვუხერხო? იქნებ ისიც ჩამოვპარსო?! არა, ეს ნამეტანი იქნება"... — თარსხანმა ერთი წუთით წარმოიდგინა წარბებგაპარსული სტეპანი და უნებურად თვალი აარიდა.

— მოიტა შენი სამართებელი, რომელმაც ჩვენი წინაპრები კულტურას აზიარა! — უთხრა სტეპანმა თარსხანს და თავისი სქელი წვერი მიუმარჯვა.

— ხომ არ გწყინს?!

— დაიწყე!

თარსხანი ფეხებგაბოტილი იდგა, ისე მოხრილიყო, თითქოს მას მიაბარეს დიდი, მრგვალი დედამიწა და ახლა ცდილობდა აეწია. ცალ ხელზე სახელო აეკაპიწებინა, მეორეთი კი სამართებელი ჩაებღუჯა და ტუჩები მაგრად მოეკუმა.

— მიდი, რაღას უცდი?

— არ გამიბრაზდე, კაცო!

— მიდი-მეთქი!

თარსხანმა ფრთხილად ჩამოუსვა სამართებელი საფეთქლიდან ნიკაპამდე და თეთრი ზოლი დააჩნია.

— შენი ჭირიც წაუღია, — თქვა მან.

სტეპანმა ლოყაზე ხელი იტაცა და საპონში არეული წვერის ნაპარსი თითებით მოსინჯა, მხრები მოეწურა და აუკანკალდა.

— ხომ არ ტირიხარ?

შეიძლება სტეპანი მართლაც ტიროდა. მან ხომ ახლა ადათი დაარღვია, ან იქნებ ლოცავდა თარსხანს, რომელმაც მას სიცოცხლე, ახალგაზრდობა დაუბრუნა. მართლაც რომ ძნელია ამოიცნო ადამიანის სული, თუ ვერ ხედავ მის სახეს, თვალებს. არ გესმის მისი ხმა.

— ვაიმე დედა, რატომ არ მოვკვდები, — ლოყაზე იტკიცა ხელი შადიამ, — გოჭივით არ გაპარსე კაცი?

— ჩუმად! — ყრუდ წარმოსთქვა თარსხანმა, — თქვენ ყოველთვის ასე იქცევით, როცა რაღაცას გაიოცებთ ხოლმე, თითქოს არ მოგწონდეთ.

— უიმე, დედა!

ამ დროს სტეპანს ზურგი მიეშვირა მთელი სამყაროსათვის, ადამიანებისათვის და წყაროს ცივი წყლით თავს იბანდა. ეტყობოდა, ძალზე სიამოვნებდა.

სამწუხაროდ, შიბგას ვერ გაეგო, ვერ გაეაზრებინა, რაც იქ ხდებოდა, რაზე საუბრობდნენ უფროსები, ამისათვის მას იმდენივე ხანს უნდა ეცხოვრა, რამდენიც მათ იცხოვრეს. სულ მათ გარშემო დაბორიალობდა, ათასგვარი ხრიკებით ცდილობდა გაეგო, რაში იყო საქმე, მაგრამ მაინც ვერაფერს მიხვდა: „რატომ გაკოჭა" მამამ სტუმარი და რატომ დადო სტეპანმა თავი ბატკანივით „სასაკლაოზე". და ბოლოს, რატომ უთხრა თარსხანმა ცოლს, რომ თქვენ ყოველთვის იშმუშნებით, როცა რაიმე ძალიან მოგწონთ და ცდილობთ თავი სხვაგვარად მოგვაჩვენოთო. როცა შიბგამ შეატყო, მაინც ვერაფერს გაიგებ ამათგანო, მურიასკენ შეტრიალდა და წიხლი ამოჰკრა. მურია საშინლად განაწყენდა თავის მეგობარზე, კუდი აიპრისა და გვერდზე გადახტა. შიბგა ფრთხილად მიუახლოვდა სტეპანს, რომელიც ჯერ კიდევ თავს იბანდა და სახეში შეხედა, მაგრამ უამრავ საპნის ბუშტულებს შორის ვერაფერი დაინახა. მერე სკამზე ჩამომჯდარ მამას მიაშურა. თარსხანი თავის სამართებელს ლესავდა. აიღებდა თმის ბეწვს, მოუქნევდა სამართებელს და ათნაწილად კვეთდა. სამართებელი, რომელიც პარსვის შემდეგ ოდნავ დაჩლუნგებულიყო, ისევ ისეთი ბასრი გამხდარიყო, როგორც შინაბერა ქალის ენა. შადია ისევ სამზარეულოში დაბრუნებულიყო და ხაჭოს უდებდა თეფშზე შაზინას, რომელიც ის-ის იყო დაბრუნდა სკოლიდან. მურია კი ჩუმად გაიძურწა და

სახლის ქვეშ შეძვრა, თითქოსდა იმის ნიშნად, რომ ამ ხალხის საქციელი მისთვის კი არა, თვით ალიშკენტერისათვისაც* ერთობ გაუგებარი იქნებოდა. სტეპანი კი, მიუხედავად იმისა, რომ მის სახეზე გატეხილი ყამირი უკვე საკმაოდ პრიალებდა, ისევ თავს იბანდა. არ ენანებოდა არც დრო, არც წყალი და არც საპონი.

„შიბგა უკვე ვაუკაცი კაცია, მისი წაყვანა მაყარშიც შეიძლება!" ხშირად გაუგონია ბიჭს. ეხ, როგორ ცრუობენ უფროსები, არც კი რცხვენიათ და თუ მართალს ამბობენ, რომ ის ვაუკაცია და მისი მაყარში წასვლაც კი შეიძლება, მაშინ რატომ მასაც არ ჰკითხეს რჩევა, როცა გადაწყვიტეს წვერი გაეპარსათ ამ ზურგჩანთის პატრონისათვის, რომელშიც ამდენი ვერცხლის ნივთი ეყარა, რომელთა დანიშნულება მისთვის ისეთივე გაუგებარი იყო, როგორც უაზ-აბას ციხის ზღურბლზე გადაშლილი წიგნი. სამწუხაროდ, უფროსების ნათქვამი ხანდახან იმ საპნის ბუშტებს ჰგავს ხოლმე, ახლა სტეპანის თავზე რომ სკდებოდა.

შიბგამ ხან საიდან მოუარა სტეპანს, ხან საიდან. მამამისი კი იმ გლეხს ჰგავდა, ახო რომ გაეტეხა და ახლა მოხვნას უპირებდა. სტეპანი იდგა წელში მოხრილი და ზურგი შეექცია მიწისთვის, ხალხისთვის, დროსთვის და შიბგასთვის, რომელიც დაჟინებით ცდილობდა შეეცნო მისთვის დახშული სამყარო, ამოეცნო ბებერი ციხის, უაზ-აბას საიდუმლო.

სტეპანმა ერთხელ კიდევ გადაისხა თავზე ცივი წყალი, ცხენივით დაიფრუტუნა, თავი გააქნია და წყლის წვეთების კორიანტელი დააყენა. მერე ხომალდის ანძასავით წელში გაიმართა, შიბგას გადახედა და ჰკითხა: „შიბგა, ნუთუ ეს მე ვარ?"

რა ვუყოთ, რომ ყველა ჩვენს სურვილს ასრულება არ უწერია. ბევრი რამის სურვილი გვკლავს, მაგრამ სამწუხაროდ, ისინი იბადებიან, ჩვენთან ერთად ცხოვრობენ და მერე სამუდამოდ მიდიან იმედების საუფლოში. ასეთ დღეში იყო ჩვენი

შიბგაც, მას ძალიან სურდა, რაც შეიძლება მალე დავაუკაცებულიყო და ცდილობდა ყველაფერში მისთვის მიებაძა, მაგრამ ამაოდ. სურვილი სურვილადვე რჩებოდა. მას ვერაფრით მოეხერხებინა დაენახა ერთი რამ, ეფიქრა მეორეზე, ელაპარაკა მესამეზე და ამ დროს სულ სხვა რამ ეგულისხმა. ახლაც, ვერ გაიგო, რას ეკითხებოდა სტეპანი, ამიტომაც პასუხი მაშინვე არ გაუცია, მაგრამ თვალები, აქამდე მოჭუტული რომ ჰქონდა, უცებ გაკვირვებისაგან გაუფართოვდა. მან დაინახა, თუ როგორ გადაიქცა სტეპანის ღაწვებზე მოწანწკარე წყლის წვეთები მთის ნიაღვრად, სახეზე გამოსული ხორკლები გორაკებივით აღიმართა. გადახოტრილი თავი ცამდე აეწვდინა, გაფარჩაული ფეხები კი საუკუნოვანი ჩინარივით დაებჯინა დედამიწაზე.

— აბა, რას იტყვი? — მიუახლოვდა სტეპანი შიბგას.

სტეპანმა ტანიდან ჩამოდენილი წყალი შიბგას შეასხა, მაგრამ ბიჭი როდი შეშინდა, პირიქით — თვითონვე გადადგა ნაბიჯი მისკენ.

— შიბგა, ეს მე ვარ თუ არა? — გაუმეორა ისევ სტეპანმა.

„ჰო, ჰო, შენა ხარ!“

„არ გინდა მთვარეზე მცხოვრები შენი ნათესავები დაგანახო?“

შიბგა გაშტერდა, თვალები კიდევ უფრო დააჭყიტა, თითქოს სადაცაა ბუდიდან ამოუცვივდებაო.

— მთვარეზე... ნათესავები? — შიბგა კიდევ უფრო ახლოს მივიდა სტეპანთან.

— გაიხედე!...

შიბგა მიუხვდა სტეპანს და გაიბადრა.

აქვს თუ არა უფლება მას, გახადოს ბავშვს ტანსაცმელი და ცივ წყალში აბანაოს? ამაზე სტეპანს არ უფიქრია. მან ბიჭს ხელი ჩასჭიდა, თავისკენ მოიზიდა და დაკოურილი თითებით პერანგის ღილების შეხსნა დაუწყო. შარვალი კი აღარ გახადა. „რა ვიცი, არ ვანყენინო მშობლებსო“, — იფიქრა. მან ჯერ ზევით

ასწია შიბგა, მერე მკერდში ჩაიკრა. შიბგას წყლის ცივი წვეთებით დაუსველდა სახე. ეს წვეთები მოწურწურებდნენ სტეპანის მხრებიდან, როგორც მტირალა კომშიდან ჩამოწურული ნამი. ვინ იცის, იქნებ ეს ნაჟური ცრემლები იყო, რომელიც დიდი მთის ძირში იბადებოდა, სათავეს იღებდა?

ან იქნებ მართლა ტიროდა სტეპანი? იქნებ მას თავისი შვილები მოელანდა, რომლებიც იმ კოცონთან ითბობდნენ ხელებს, სადაც ახლა მისი კონკები იწვოდა?!

ბზის ხიდან გამოთლილი ღარიდან მოჩუხჩუხებდა ანკარა წყარო, რომელიც ჯერ კიდევ თარსხანის შორეულ წინაპრებს გამოეყვანათ. ეს წყარო, რომელიც სათავეს იქ იღებდა, სადაც მთის მწვერვალები ცას უერთდებიან, უკვე ათასი წელია მოჩუხჩუხებდა ამ სოფელში.

„ალაჰ, ალაჰ! კურთხეული იყოს შენი შემოქმედი"...

შიბგა ისე ჭყლოპინებდა, თითქოს პირველად მოხვედროდა წყაროს ცივი წყალი. იგი ცდილობდა თავი დაეღწია სტეპანის მარწუხებიდან, ის კი ხელს მაინც არ უშვებდა. არ იცოდა, მართლა არ უნდოდა ბიჭს წყალში ჭყუმპალაობა, თუ ტყუილად ფხკაკუნობდა. ამ წუწაობაში წყლის წვეთები თარსხანსაც შეესხურა და მათკენ მოტრიალდა. იქნებ გადაწყვიტა შიბგასთვისაც გადაეხოტრა თავი? აბა, ხომ შეიძლება სტეპანს ეულად ეგრძნო თავი!

— ეი, სტეპან!

— ო-ჰო-ჰოო!

— თუ შეგიბერავს როდისმე ფოლადის იარაღისათვის?

— როგორ არა, როცა მისი წრთობა მინდოდა.

— თუ ამ დროს შავი მტვერი ავარდება ფოლადს, რას ნიშნავს თუ იცი?

„ეტყობა რაღაც მოხდება".

— უიმე, დედა, გავთავდი ქალი! — შადია სამზარეულოს კარის ზღურბლზე გახევდა.

— რა თქვა? — გასწორდა სტეპანი და თარსხანს გახედა: ხომ არ ვაწყენინე უნებურადო.

თარსხანმა ისეთივე გულმოდგინებით უთარგმნა ცოლის ნათქვამი სტეპანს, როგორი მონდომებითაც თავს პარსავდა თავის ვაჟს, მაგრამ სამწუხაროდ, ქვიშისაგან თოკს ვერ დაგრეხ. სტეპანს ყურები დაეცქვიტა და ცდილობდა ბოლომდე გაეგო შადიას ნათქვამი, როგორც თარსხანმა უთარგმნა მას.

— ვისაც ქალის წყენინება შეუძლია, იგი ღმერთსაც აწყენინებს, — თქვა სტეპანმა.

— თუ გინდა, რომ ეშმაკი გაახარო, ნურაფერს ნუ მიაქცევ ყურადღებას.

— რატომ?

— ახლავე აგიხსნი, — მიუგო თარსხანმა. — რაც თავი ახსოვთ, ეშმაკი და ქალი ყოველთვის ეჯიბრებიან ერთმანეთს, ვინ უნდა იყოს ეშმაკი ბოლოს და ბოლოს.

— ქალი და ეშმაკი?! — გაკვირვებისაგან ისე გაუფართოვდა თვალები სტეპანს, რომ შიბგას თვალები მოგონება იყო მასთან.

— ჰო, ჰო, ერთი დღეც იქნება, ისინი სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებმებიან ერთმანეთს.

— რამდენი ხანია, ისინი ასე ებრძვიან ერთმანეთს?

— ძალიან დიდი ხანია, ღმერთმა რომ ეს ქვეყანა შექმნა, იმის მეორე დღიდან მოყოლებული!

— შენ როგორ ფიქრობ, რითი დამთავრდება მათი ქიშპობა?

— ჩვენი დროის გადასახედიდან თუ შევხედავთ, გამარჯვება ქალს უნდა დარჩეს.

— მადლობა ღმერთს, მაშინ მამაკაცებსაც მოგვეცემა შვება!

სიცილმა ახალი ძალით იფეთქა, ხარხარებდნენ სტეპანი და თარსხანი, კისკისებდა შადია. შიბგა, მართალია, როგორც

უფროსები ამბობდნენ, არც მთლად ვაჟკაცია, მაგრამ იცის უკვე რა უნდა ეწყინოს და რა — არა. იგი კვლავ დადუმდა, რადგან კიდევ ერთხელ მიხვდა, რომ მისი სურვილები, უფლებები და შესაძლებლობები ერთმანეთს არ ემთხვეოდა.

— მამა, — უთხრა მან თარსხანს, როცა თავზე ხელი მოისვა და თმის ნამუსრევი მოსინჯა ხელისგულით, — შენ როგორ ფიქრობ, მურიასაც ხომ სცხელა?

— მურიასო? — ჰკითხა თარსხანმა შვილს და ღიმილი ძლივს შეიკავა.

— ჰო, მამა, მურიასაც ხომ სცხელა-მეთქი!

— შენ არ შეგინიშნავს, რომ ძაღლები ყოველთვის კანკალებენ სიცივით?

— რატომ კანკალებენ?

„დაიწყო ისევ"... — გაიფიქრა თარსხანმა, მაგრამ ძალიან რომ აღარ გაენაწყენებინა ყმაწვილი, თავი შეიკავა. — აი რა, შვილო: ძაღლს ხომ არც სახლი აქვს, არც ნათესავები ჰყავს, რა ვუყოთ აბა!

შიბგამ მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ მას, თურმე ერთდროულად შეეძლო შებრალებოდა ვინმე და სწყენოდა კიდეც.

ისე შეეცოდა მურია ძაღლი, რომ კინაღამ ატირდა.

— ენა, მამა, ენა? თუ არ სცხელა, მაშინ ენა რატომღა გადმოუგდია და ქაქანებს?

„მამის სული ნუ წამიწყდება, ერთხელაც იქნება ეს ყაჩაღანა ჭკუიდან შემშლის", — გაიფიქრა თარსხანმა, მაგრამ არც ამჯერად უთხრა რამე შვილს, რადგან მის ხელებში მოქცეული ბიჭის თავი სავსე იყო დილის ცვარივით ნათელი და ცის ლაჟვარდივით წმინდა ფიქრებით, და თუნდაც ეს ასე არ ყოფილიყო სინამდვილეში, მას მაინც ასე ეჩვენებოდა, რადგან მამა მაინც მამაა და სხვაგვარად ფიქრი მას არ შეეძლო.

— ენას როგორ არ გადმოაგდებს, ის ძალიან იღლება მთელი დღის განმავლობაში, ყველას, კარგი ადამიანი იქნება თუ ცუდი, ერთნაირი ერთგულებით ემსახურება, ეგეთია მაგის ჯიში!

სტეპანმა შენიშნა, როგორ დააყარა შიბგამ მამას კითხვები და კინაღამ ჩიხში მოაქცია, მაგრამ არ ესმოდა, რას ლაპარაკობდა მამა-შვილი და მათ საუბარში არ ჩარეულა.

— მამა!...

— ნუ ფხაკუნობ, თორემ ყურს გაგიჭრი!

— ღმერთს მართლა არა აქვს სინდისი?

— არა! — მოუჭრა თარსხანმა, რომელმაც აღარ იცოდა რა ეპასუხა.

შიბგა დარჩა უპასუხოდ, ცასა და მიწას შორის გამოკიდებული, მაგრამ ვინც ცდილობს, ყოველთვის პოულობს გამოსავალს.

— მამა!

— გვეყოფა! — მოკლედ მოსჭრა თარსხანმა, რომელიც იძულებული გახდა მამის უფლებებით ესარგებლა.

ეს შიბგას მაინცდამაინც არ გაკვირვებია, როგორც წესი, მათი საუბარი ყოველთვის ასე მთავრდებოდა ხოლმე. თარსხანი მაშინვე რაღაც საქმეს იმიზეზებდა და შიბგა იძულებული ხდებოდა თავისი კითხვები სადღაც გულის კუნჭულში გადაენახა, როგორც გლეხი გადაინახავს ხოლმე მორჩენილ საქონელს, როცა ბაზარი იკეტება...

ყამირი უკვე გატეხილი იყო. ის ადგილი, სადაც ადრე სტეპანი ღიმილს მალავდა, ახლა ერთიანად მოტიტვლებულიყო.

სტეპანს, როცა რამე უხაროდა ან რაიმე სასიამოვნოს იგებდა, შიშის გრძნობა იპყრობდა, რომ ეს ყველაფერი შეიძლებოდა ერთბაშად დამთავრებულიყო და თავის გრძნობებს ნაკლებად ამჟღავნებდა ხოლმე და ცდილობდა ის თავის სულის ღრმა კუნჭულებში გადაემალა. აი, ახლაც, ღიმილი, რომელმაც წამით გადაურბინა ტანჯულ სახეზე, მაშინვე გაუქრა და მან ჩვეული შეუვალი გამომეტყველება მიიღო.

„ალაჰია მოწმე, გადამრევს ეს კაცი!“ — ნერვიულად აუთამაშდა ყვრიმალები თარსხანს, როცა დაინახა, როგორ გაუქრა სახიდან ღიმილი სტეპანს და კვლავ მოიღუშა.

ახლა სტეპანი ახლად დარგულ ხეს აგონებდა თარსხანს. წვერმოპარსულს სახე და თვალები გამოუჩნდა. ჯერ კიდევ გუშინ, მაგიდაზე აჯიკა რომ დადგეს, თვალები აეწვა, კინაღამ ცრემლები წამოსცვივდა. დღეს კი თარსხანის მსგავსად მანაც გადმოიღო აჯიკა ღომზე. ახლა უკვე აღარ უყურებდა სხვებს, აბა როგორ მოიქცევიანო. უკვე იცოდა, რაც უნდა გაეკეთებინა. იცოდა, რომ როცა ძროხა ბღაოდა, პატრონს კი არ ეძახდა, არამედ ხბოს და გარბოდა, რათა სასწრაფოდ ჩაეკეტა ჭიშკარი, სევდიანად შეჰყურებდა კერიაში მოგუზგუზე შეშას და თუ ცეცხლი განელდებოდა, თვითონვე უკეთებდა ახალ-ახალ ნაპობს. „რაღაც, არ მომწონს, რომ თამბაქოს ფოთლები გაყვითლდა, ხომ არ დაავადდა ნეტავ?" — ამბობდა და წყვეტდა ფოთლებს, ხელის გულზე იდებდა და ნაღვლიანად დასცქეროდა. „ეხ, ეს ბუნებაც ისე იქცევა, თითქოს არ უნდა გლეხს ხელი გაუწოდოს, პირიქით, მოსავალს უნადგურებს", — იტყოდა და ფრთხილად წამოაყენებდა ხოლმე ქარისაგან წაქცეულ სიმინდის ღეროებს.

„ეჰ, ალლაჰ, ალლაჰ!" — გააქნია თავი თარსხანმა. „რას ჰგავდა და რას დაემგვანა ეს უბედური, ძლივს არ გამოიხედა თვალებში!"

შადიამ ქმარს შეხედა, მიხვდა, რასაც ფიქრობდა მეუღლე და ალერსიანი მზერა ესროლა მას.

„შენა ხარ ჩვენი იმედი, შენი თავი ნუ მოგვაკლოს ღმერთმა", — გაივლო გუნებაში.

თარსხანმა დაინახა, რომ ცოლი ალერსიანად უმზერდა, გაკვირვებით დაუსტვინა, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, ვითომც აქ არაფერიაო.

ორმა ადამიანმა რომ ერთმანეთს გაუგოს, ამისათვის საკმარისი არ არის ესმოდეთ მათ ერთმანეთის ენა, სამაგიეროდ არსებობს ისეთი რამ, როცა ვერ ხედავ, ვერ გესმის, მაგრამ მაინც მოზიარე ხდები მეორე ადამიანის გულისნადებისა. ეს ხდება მაშინ, როცა გულები ლაპარაკობენ. სტეპანი ჩასწვდა შადიასა და

თარსხანის ნაუბარს. მან თავი ასწია და სახე ღიმილმა გაუნათა, რომელიც ყოველთვის საგონებელში აგდებდა თარსხანს, რადგან ბოლომდე ვერ გაეგო მისი აზრი. ამ დროს სტეპანი იმ ადამიანს ჰგავდა, ფოტოგრაფის წინ რომ ირჩევდა პოზას, სახე გაუშეშდებოდა ხოლმე და მხოლოდ ტუჩებს ამოძრავებდა.

„რა თქვა, რა მინდაო? — ეკითხებოდა ხოლმე ასეთ დროს შადია ქმარს, აქაოდა არც ისეთი უბირი გეგონოთო და დაუმატებდა — მაინტერესებს შენ თვითონ თუ გესმის მისი?"

— ეგ რომ რომ გაიგო, იმოდენა ჭკუა მაინც უნდა გქონდეს, რომ უაზ-აბას ციხის ნიშაში გადაშლილი წიგნი წაიკითხოო, — ამბობდა თარსხანი, როცა გრძნობდა, რომ უძლური იყო განემარტა სტეპანის ნათქვამი.

ამ დროს შადიას ეშმაკურად გაურბოდა თვალები აქეთ-იქით და შიბგას სულ იმის შიში ჰქონდა, დედამისი მეზობელ ალთენასავით არ დაელმებულიყო.

თარსხანი დროს აჭიანურებდა, ვითომ ვერ ამჩნევდა, როგორ იძაბებოდა ხოლმე სტეპანი, როგორ ალმაცერად უყურებდა ცოლი და შიბგა შიშისაგან როგორ იზაფრებოდა. შემდეგ თარსხანი შემოტრიალდა და გამსჭვალავი მზერა ესროლა სტეპანს, თითქოს უნდოდა ეთქვა: „კარგი თავსატეხი კი გამიჩინე, ეშმაკმა დალახვროს!" მერე ცოლს გადახედა, თვალი თვალში გაუყარა — შენღა მაკლდი, ისედაც რა დღეში ვარ კაცი და რაღა შენი მწვიტინი მინდაო. მაგრამ შადია არ იცვლიდა პოზას, მარჯვენა თვალით მარცხენას უყურებდა და შიბგას კიდევ უფრო უხეთქავდა გულს შიშისაგან. სტეპანიც იჯდა ასე გახევებული და არაფერს ამბობდა. ერთი სიტყვით, ვერც ერთ მათგანს ვერ გადაეწყვიტა ეთქვა რაიმე...

— შენ რას გვეტყვი, ჩემო კარგო? — ბოლოს შაზინაზე შეაჩერა მზერა თარსხანმა, — განა იმიტომ არ დაგკანკალებთ თავზე, რომ გაჭირვების დროს მხარში ამოგვიდგე უფროსებს?

— მაინც რა თქვა, არ უნდა გავიგოთ?

— იცი, რა... რა თქვა... და... — თარსხანმა ულვაშებს დაუწყო წიწკნა, თითქოს ისინი უშლიდნენ ხელს რაიმეში და ჯიბეებში დაიწყო ხელის ფათური, თუმცა ძალიან კარგად იცოდა, რომელ ჯიბეში ედო ჩიბუხი. ბოლოს ამოიღო როგორც იქნა, ჯერ ხელში შეუბერა და მერე დაიბერტყა, — აი, ისა... — და თუმცა ჩიბუხი უკვე გვარიანად იყო გაწმენდილი, როგორც კარგი მონადირის თოფი, მაინც თვალთან მიიტანა და დიდხანს ათვალიერებდა შიგნიდან. — ის მინდოდა მეთქვა...

შიბგა ვერა და ვერ დამშვიდდა.

„რას შვრები, დედა, ალბათ ასე აკეთებდა თავის დროზე ალთენაც და აკი დაელმდა კიდეც". ბიჭი გარეთ გამოვარდა, უკან კი მურია ძაღლი მიჰყვა სირბილით. შიბგა უცებ ეზოში გაჩერდა და დედამისივით თვალებით დაიწყო თამაში, აელმებდა თვალებს, ცალი თვალი ერთ მხარეს გაურბოდა, ცალი მეორე მხარეს, თანდათან თვალები აეწვა, დაუწითლდა, ტუჩები გაულურჯდა და გულის ზიდვა დაეწყო. კიდევ კარგი, ეს ყველაფერი რამდენიმე წამს გაგრძელდა, თორემ შეიძლება უბედურება დატრიალებულიყო. ბიჭს შეიძლებოდა თვალის გუგები დასკდომოდა და ენა გახევებოდა. შიბგას უფრო დიდხანს შეეძლო წყლის ქვეშ გაჩერება, ვიდრე ასეთ მდგომარეობაში ყოფნა. მან თითქმის მთელი ეზო შემოიარა და ისევ სახლში შებრუნდა. ის ბრაზობდა მამაზე, რომელსაც სიტყვები ყელში გასჩხეროდა და დედა მის გამო შეიძლება დაელმებულიყო. როცა მან ისევ გადააბიჯა კარის ზღურბლს, ოთახიდან უკვე მხიარული სიცილი მოესმა.

შიბგა თუმცა პატარა იყო, მაგრამ უკვე იცოდა, რომ ასეთი სიცილის შემდეგ უფროსები უთუოდ ლაპარაკს გააბამდნენ. მან ყური მიადო კარებს და გული სიამით აევსო, რადგან ამ ქვეყანაზე ის ყველაზე უფრო თბილი კარები იყო, რომელსაც ყოველთვის დედის თმების სურნელი ასდიოდა.

შიბგამ ღრმად ჩაისუნთქა, გაისუსა და ყური მიუგდო კარის იქიდან მომდინარე სიტყვებს და ხმაურს. გულს დაგადუგი გაჰქონდა, ყურებში გუგუნი ედგა და პირი გაუშრა.

— ალაჰის გულისათვის, რა თქვა მაინც ამ კაცმა! — მოესმა შიბგას შადიას შემპარავი ხმა.

— მე მორწმუნე არა ვარ!

— მაშინ ჩვენს წინაპრებს გაფიცებ, მითხარი, არის თუ არა განსხვავება იმას, რასაც ის ამბობს და მას შორის, რასაც შენ გვითარგმნი?

— საოცარია, იმან, ვისაც ნიფხავი არ აცვია, როგორ უნდა დასცინოს იმას, ვისაც ის დახეული აცვია!

სიცილმა ისევ იფეთქა. პირველად შაზინა აკისკისდებოდა ხოლმე, რომელიც საერთოდ, უფრო მეტს იცინოდა, ვიდრე ლაპარაკობდა. მას შადია აჰყვა, მერე კი სტეპანის როხროხიც გაისმა. თარსხანი კი სიცილის დროსაც ცდილობდა თავი ღირსეულად სჭეროდა. განა შეიძლებოდა მას თავის ოჯახის წევრებთან და სტუმრებთან მათსავით ხმამაღლა ეხარხარა? იგი ყოველთვის წინდახედული იყო, როგორც გემის კაპიტანი, თავის ხომალდს კი, რომლის ბოგურაზეც შემდგარი, შეუპოვრად მიარღვევდა ცხოვრების ბობოქარ ზვირთებს, ის ყველაზე საუკეთესოდ მიიჩნევდა ამქვეყნად. მან იცოდა, რომ მშვიდი და ღრმა ზღვის ქვეშ შეიძლება წყალქვეშა რიფები და თვალთუხილავი მორევები აღმოჩნდეს. არა, არა, იმ წუთიდან მოყოლებული, როცა მაყრებმა ცხენებით შადია მის ეზოში შემოიყვანეს, თარსხანმა ხელთ იგდო ოჯახის სადავეები და აღარც გაუშვია ხელიდან. მაგრამ ხანდახან ცდილობდა ოჯახის წევრებთან ნაკლებად მკაცრი და შემწყნარებელი ყოფილიყო. მაშინ ოჯახში ყველა თანასწორნი იყვნენ და ამას თარსხანი აკეთებდა, ალბათ, მოწყენილობისაგან. ან არადა ეშინოდა, რომ არ გაწყვეტილიყო სიმი, მას რომ ოჯახთან აკავშირებდა. ოჯახი, რომელიც არასოდეს დაფიქრებულა იმაზე, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ სიმის გაწყვეტას, ყოველთვის სიხარულით ეგებებოდა ხოლმე თავისი მბრძანებლის გამოჩენას და ისიც რაღაც დროის განმავლობაში თვითონაც გრძნობდა თავისი

მდგომარეობით მოგვრილ სიხარულს... მაგრამ ძნელი იქნება ალბათ გადმოგცეთ, რა საფრთხე იმალებოდა მისთვის ამ ყველაფრის უკან. შეიძლება ეს სიმი, რომელიც ოჯახის წევრებს ერთმანეთთან აკავშირებდა, ისე დასუსტდა, რომ სადაც იყო გაწყდებოდა და მას ეჩვენებოდა, რომ დღეს თუ არა ხვალ მის ცოლს დასცდებოდა სიტყვები, რომელიც მის თავმოყვარეობას შელახავდა, მაშინ ის უცილობლად დაიკავებდა თავის შეუვალ ადგილს ოჯახის სათავეში, ხოლო მისი ცოლო და შვილები ხელმოცარულნი დარჩებოდნენ, თითქოს ხელიდან გასხლტომოდეთ ჩიტი, რომელიც ის-ის იყო მოეგდოთ ხელში. მაშინ შადია ნაწყენი დარჩებოდა, შვილები კი მარტოსულად იგრძნობდნენ თავს. მამის სახე ისე მყისიერად იცვლებოდა ხოლმე, რომ გაცილებით ადვილი იქნებოდა უზ-აბას ნიშაში გადაშლილი წიგნის წაკითხვა, ვიდრე მისი აზრებისა.

ასეა, დროთა განმავლობაში თარსხანი ოჯახის წევრებისთვის კერპად იქცა, ხოლო მისი სიტყვა ბუნების მიერ ბეჭედდასმულ კანონად. თანდათან შადიაც მიეჩვია ქმრის ასეთ დამოკიდებულებას ოჯახის წევრების მიმართ და აღარაფერი სწყინდა, ეტყობა მიხვდა, რომ უაზროა გაწყრე ღრუბელზე, მზეს რომ ეფარება, მაგრამ ბავშვები? ისინი, თუმცა შორს იდგნენ მისგან, მიახლოებისთანავე იგი უმალ შორდებოდა მათ, როგორც მთა-ბარს, ისინი მაინც ვერც დიდხანს რჩებოდნენ მზეზე და მის სითბოს მოწყურებულები, არც სიცივით კანკალებდნენ, უპატრონოდ დაყრილი კურდღლის ბაჭიებივით. თავიდანვე მიხვდნენ, რომ არსებობს სასწორი, რომელზედაც იწონება და იზომება ადამიანთა ურთიერთობები და როცა მერე და მერე საბოლოოდ დარწმუნდნენ ამაში, მოხერხებულად იყენებდნენ ამას...

ყველაზე პირველად საწყალი სასრანის ცოლი შურეთი შეიტყობდა ხოლმე ოჯახში თარსხანის არყოფნას. როგორც კი გაიგებდა ოჯახის უფროსი სახლში არ არისო, უკუნი ღამეც რომ

ყოფილიყო, შურეთი თვალის დახამხამებაში თარსხანის სახლის კარის ზღურბლზე იდგა დოინჯშემოყრილი და შემართული. „მე უკვე ორი არსება მოვუვლინე ამ ქვეყანას, თქვენ რას აპირებთ?“ — კითხულობდნენ მისი თვალები და ეშმაკურად ციმ-ციმებდნენ. ეს მაშინ იყო, როცა შადიას და თარსხანს ჯერ კიდევ არ ჰყავდათ ბავშვები.

იმ საღამოსაც ასე მოხდა. დოინჯშემოყრილი შურეთი კარის ზღურბლზე იდგა და წარბები აეწკიპა.

— ვაჰ! — ხელი აიფარა თვალებზე. მერე ისევ ჩამოიღო და იქ მყოფთ გადახედა. — რას უყურებ, რატომ აქამდე არ და-გიბინავებია? არაა ვითომ ძილის დრო? აბა, მოუსვით აქედან, თქვე ყაჩაღებო, ლოგინში, ლოგინში! — დაუცაცხანა შურეთმა ბავშვებს, შიბგას მისწვდა, წაატანა ხელი. შიბგამ ვერ მოას-წრო გვერდზე გადახტომა, მაგრამ იხმარა ხერხი, რომლითაც არაერთხელ დაუცავს თავი ამგვარი შემოტევისაგან: მან ორივე ხელი აიფარა ყურებზე და გაქცევა დააპირა. ამ დროს შადია გამოჩნდა და შურეთმა ხელი გაუშვა თავის მსხვერპლს. შიბგა მაინც არ ენდობოდა მას და ხელისგულებით ყურებს იფარა-ვდა. ბოლო ხანებში შურეთის დანახვაზე შიბგას ყურები უკვე უხურდა. იცოდა, თუ ისინი ამ ქალის ხელებში მოხვდებოდნენ, შავი დღე დაადგებოდათ. შურეთს რომ ამჯერად დროზე არ გაეშვა ხელი, შიბგას ყურები შეიძლება ხის გამხმარი ფოთლე-ბივით ჩამოცვენილიყო.

მართალს ვამბობ, შიბგა ორჯერ დარჩა კინაღამ უყუროდ.

შურეთი პირველად მას თავს თავისი სამზარეულოს კუთხე-ში დაესხა. მას რომ ცოტა სინდისი მაინც ჰქონოდა და სცოდ-ნოდა, რომ ბავშვის ასე გამეტება არ შეიძლება, ცალ ყურს მაინც აუწევდა, მაგრამ ის ერთბაშად მოიგდებდა ხოლმე ხელში ორივეს, მერე აჩმაგურას სიმებივით დიდხანს უგრეხდა უკან და თან თვალებში ჩასცქეროდა, როგორც მგელი უც-ქერის ხოლმე მარწუხებში მოქცეულ უმწეო ბატკანს. მარცხენა

ყურს უკან უგრეხდა, მარჯვენას წინ, თითქოს არ შეიძლებოდა ორივე ერთი მიმართულებით ეგრიხა. იმდენ ხანს უგრეხდა, სანამ ყურები საკმაოდ გაცვეთილ წულებს არ დაემსგავსებოდა, რამდენჯერმე რომ გადაებრუნებინათ წალმა-უკულმა. შიბგა მანამდე ითმენდა, ვიდრე ყურის ძირში ძარღვები არ დაუსკდებოდა და მერე იწყებდა ყვირილს.

შიბგა სასრანის სახლის აივანზე რომ გამოვიდა, მაშინღა მოვიდა გონზე. სასრანმა ერთ-ერთმა პირველმა ააშენა წაბლის ხის ოდა სოფელში. შიბგამ ველარ გაიხსენა, როგორ მოხვდა აქ. იწვა მუხის ტახტზე დაგებულ დათვის ტყავზე, რომელსაც სასიამოვნო სუნი ასდიოდა. შურეთი მუხლებზე იდგა და ყურებზე ცივ ტილოს ადებდა. ბიჭი დაუძვრა მას ხელიდან და ტახტზე მიწვა.

— შიბგა, ოარა მიჟდა!* — ძლივს ამოილუღლუღა ქალმა.

შიბგას თვალებში სისხლი მოსწოლოდა, მაგრამ მაინც შეამჩნია, რომ შურეთს სახე ქაღალდივით გათეთრებოდა.

— ოარა მიჟდა, ოარა მიჟდა!... — რაღაც შეტოკდა შიბგას სულში, რაღაც სლუკუნისმაგვარი აღმოხდა, სათაგურში მოხვედრილი ნრუწუნა რომ დაიჭყიპინებს ხოლმე, გული კი ისე გამოშრობოდა, როგორც შემოსულ გოგრას ყუნწი. „რატომ ვარ მე ამიჟდა, როცა ჭა ახრამ და აფსირტემ დაანაგვიანეს?“

— სად წამივლენ, მინის ქვეშ ხომ არ დამემალებიან, საღამოს აქ არ მოვლენ? — ბრაზიანად ჩაილაპარაკა შურეთმა, თითქოს გაიგო შიბგას შინაგანი ხმა.

— ჩემს ყურს რაღას ერჩოდი? — წამოიყვირა შეშინებულმა ბიჭმა, ტახტიდან წამოხტა და ერთი ნახტომით მოაჯირს გადაევლო, ჯერ კინაღამ წაყირავდა მიწაზე, მაგრამ დროზე გასწორდა, როგორც გამოცდილი მხედარი და შურდულივით გავარდა ეზოდან.

ამ სამარცხვინო შემთხვევის შემდეგ შიბგა მთელი კვირა ლოგინს ლესავდა და ჭერს მიშტერებოდა, ფერად-ფერადი

ქაღალდებით რომ იყო დაფარული, ჩაეძინებოდა და მერე შიშნაკრავი ისევ იღვიძებდა. დედის ნაქები ბალიშებიც კი ქვების გროვად ეჩვენებოდა.

მას შემდეგ, რაც შურეთის ტყუპმა ბიჭებმა სულ ამოსვლიპეს ფიჭა, სადღაც გაიქცნენ, ჯოხი კი საბოლოოდ შიბგაზე გადატყდა.

— რაღაც არ მომწონს ამ ბავშვების ჩემთან გამოჩენა, ხომ მშვიდობაა ჩვენებთან? — შიშით უკითხავს შურეთის დედას ზიზას მისი შვილის თანასოფლელი ქალისათვის, რომელიც ბაზარში ფქვილს ჰყიდდა.

— წინაპართა ძვლებს ვფიცავ, ფეხს არ გავადგამ ეზოდან, იმათი ფეხი აღარ ვნახო აქ, — იმუქრებოდა შურეთი, გუნებაში კი ძალზე უხაროდა, რომ ქალაქში წასვლის მიზეზი ეძლეოდა.

მაგრამ შურეთს იმედი გაუცრუვდა. თარსხანმა გადაწყვიტა თვითონ წასულიყო ქალაქში ძმისშვილების ჩამოსაყვანად. ცხენზე ამხედრებულმა თარსხანმა ერთი წინიდან შემოისვა, მეორე უკან — ცხენის გავაზე და ასე შევიდა შურეთის ეზოში. შეცბუნებულ ბიჭებს თვალები ეშმაკურად უციმციმებდათ. თარსხანის საქციელმა ხელ-ფეხი შეუკრა შურეთს და ბიჭებს ყურებიც საღ-სალამათი შერჩათ.

— ხომ კარგად გადაგიგრიხეს ყურები? — ნიშნისმოგებით ჰკითხა ახრამ შიბგას, როცა ისინი მარტონი დარჩნენ.

— ჰო! — ვეღარ დამალა შიბგამ.

— ცალ ყურს ერთ მხარეს გიგრეხდა, მეორეს კი მეორე მხარეს, ხომ ასე იყო? — ვერ დამალა ცნობისმოყვარეობა აფსირტემ.

— ჰო, — უპასუხა შიბგამ და ყურები მარაოსავით აუთრთოლდა.

— რას იზამ, ეგ ისეთია...

— რამდენჯერ უთხრა ძია თარსხანმა, რომ არ შეიძლება ბავშვს ყური აუწიოო!

— არც თავში წამორტყმა შეიძლებაო!

„ყურებს თუ გადაუგრეხ ბავშვს დაყრუვდება, თავში წარამარა თუ ურტყი, მაშინ გონება დაუჩლუნგდება“, — ეტყოდა ხოლმე თარსხანი რძალს.

— შიბგა, გესმის ახლა ჩვენი ლაპარაკი თუ არა?

— ჰო, — წაილუღლუღა მან, მაგრამ თვითონაც კარგად არ სჯეროდა, რასაც ამბობდა.

— ეჰ, არც ბებიაა მაინცდამაინც ჩვენი ყურებისადმი გულგრილი, — ამოიოხრა ახრამ, — ერთს აგახლეჩ, მეორეს დაგიტოვებო, ამას მეუბნება.

შიბგა თითქმის დარწმუნებული იყო, რომ მას უკვე აღარ ჰქონდა ორივე ყური და ყოველ შემთხვევისათვის მაინც დათვალა და თან ბიძაშვილების ყურებიც შეათვალიერა. ძმებს ორთავე ყური თავის ადგილზე ებათ და ბიბილოებში ლანდი გასდიოდათ.

„მესამე ყური რა იქნა, ბებია რომ ეძებდა?“ — შიბგამ მაშინ ვერაფრით ვერ გაიგო რას ნიშნავდა ეს.

— რა იქნებოდა დედასაც ისეთი ხელები ჰქონოდა, როგორც ყველას აქვს, — დაუმატა აფსირტემ, — ხომ დაგინახავს ჩვენი მანდარინის ხის ფოთლები, შააბათის თხებმა რომ დაკორტნეს? თითები მარწუხებივით აქვს და ცივი, ცივი ყინულივით...

შიბგას კვლავ გაევსო ყურები და თავბრუ დაეხვა და თუ ბიჭები დროზე არ შეწყვეტდნენ ლაპარაკს, ალბათ ხმამაღლა აღრიალდებოდა კიდეც, მაგრამ ბიჭები ეტყობა მიხვდნენ, რომ გადაამლაშეს და გაჩუმდნენ.

ეს მათთვის უკვე წასული ამბავი იყო, ახრას და აფსირტეს უარესი ამბებიც გადახდენიათ თავს. შიბგას კი ვერაფრით ვერ მოენელებინა თავზე დამტყდარი ეს უბედურება და გული მინის წვრილი ნატეხებივით ჰქონდა დანამცეცებული.

შურეთს არ უნდოდა ვინმეს შეემჩნია, რომ აღელვებული იყო, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა და შიბგას ათასნაირ საალ-

ერსო სიტყვებს ეუბნებოდა: „შენი ჭირიმე, ჩემო ბიჭო, რატომ არ მოვკვდები, შემოგევლე, ჩემო სიცოცხლე..." ბიჭი კი მაინც დაბღვერილი იწვა და არად მიიჩნევდა შურეთის ნათქვამ ალერსიან სიტყვებს.

— უნდა ყველაფერი ძია თარსხანს გააგებინო! — ყურში უჩურჩულებდნენ ახრა და აფსირტე შიბგას, როგორც კი დედას დაუძვრებოდნენ ხელიდან, — ჩვენ მეტის ატანა აღარ შეგვიძლია. დავკრავთ ფეხს და გავიქცევით.

— სად, სად გაიქცევით? — ეკითხებოდა შიბგა და ხელით იმშრალებდა ჩაორთქლილ ყურებს, ბიჭებს ჩურჩულის დროს რომ დაენამათ.

— ჯოჯოხეთში!

— გეხვეწებით, მეც თან წამიყვანეთ!

— წაგიყვანთ, თუ ეტყვი ბიძაჩვენს, რა დღეში ვყავართ დედას!

— არა! — შიბგამ ტუჩები მაგრად მოკუმა და უარის ნიშნად თავი გააქნია. მას ეცოდებოდა შურეთი, თუმცა ნაწყენი იყო მასზე. მაინც ეცოდებოდა, შეიძლება იმიტომაც, რომ ამ ქალს შიში და რიდი ჰქონდა მამამისისა. ეჯავრებოდა და ეშინოდა შიბგას მისი, მაგრამ მაინც გული ეკუმშებოდა მისი ცოდვით.

ყოველთვის ცდილობდა რითიმე ესიამოვნებინა მისთვის ისე, რომ მას ეს არ შეემჩნია. შიბგა, თუმცა ჯერ კიდევ პატარა იყო, მაინც ვაჟკაცი ეთქმოდა.

ამ საღამოსაც შურეთმა კვლავ წაატანა ბიჭის ყურებს ხელი. შიბგას უკვე თმები ყალყზე დაუდგა, მაგრამ უცებ შურეთმა ხელები უკან წაიღო და ისე გაიღიმა, როგორც ვარსკვლავი ინათებს ხოლმე ანაზდად უკუნ ღამეში.

— შენ შეგიძლია დარჩე, — თქვა მან და ბიჭს თავზე ხელი გადაუსვა, — ჩემი ქვის ნატეხები რომ შენ გგავდნენ, რაღ მიჭირდა მაშინ. — შურეთმა თუმცა იცოდა, რომ თარსხანი სახლში არ იყო, მაინც რიდით მოავლო თვალი სამზარეულოს კუთხე-კუნ-

ჭულს, — ღმერთმა ჰქნას, რომ შენი ქმრის გარდა ყველა კაცი ერთ დღეს ამოწყდეს!...

— რას ამბობ, შურეთ! — შადიამ პირჯვარი გადაიწერა, — ამის თქმა როგორ შეიძლება!

— ამბობენ, ბედოვლათ მასპინძელს ავი ძაღლი უბია ეზოშიო, — ხალხი ბრძენია. საფლავიდან არის ამოსაგდები ის, ვინც წავიდა ამ ქვეყნიდან და ეზოში დამტოვა ყვავების საფრთხობელად, — განაგრძო გაღიზიანებით შურეთმა.

— შურეთ, გაჩერდი, ადამიანო!

— თუ მაგას გვარში ასე ეწერა, მე რატომ უნდა ვიტანჯო, — თქვა გულისტკენით შურეთმა და თვალები მოეცრემლა.

— რა იცოდა იმ საბრალომ, რომ ასე დაემართებოდა! — შადიას ცრემლები ღაწვებზე ჩამოედინა.

— მაგას სამოთხეში ვინ შეუშვებს? რომ მისცენ კიდეც გზა იქით, ჩემს წინაშე ჩადენილი ცოდვები გზას გადაუღობავენ მაინც.

შადიას თითქოს გარკვევით მოესმა ბრახუნი. ნამდვილად სასრანი საფლავში გადაბრუნდა და თავი კუბოს სახურავს დაარტყა.

— მან კარგად იცოდა, რაც ელოდა და მაინც გამაუბედურა, დამღუპა!

— შურეთ, გევედრები!...

— შენ რა გენაღვლება, შენს ეზოში ხე ხარობს, რომლის ჩრდილს შეგიძლია შეეფარო, ჩემი ხის ძირში კი გველმა გაიარა და გაახმო, ზევიდან აფსცახა* მემუქრება, წახვალ მოგკლავ, არ წახვალ — მაინც მოგკლავო...

— ნუ გეშინია, შურეთ, იმედს ნუ გადაიწურავ, ბიჭები დაგეზრდებიან, დაქორწინდებიან და რძლები მზრუნველობას არ მოგაკლებენ, შვილიშვილებს დაგახვევენ და გაგაბედნიერებენ.

შურეთმა არაფერი უპასუხა, იჯდა იმ სტუმრის გამომ-

ეტყველებით, რომელსაც ეგონა ხარს დამიკლავენო და გაძვალტყავებული ქათამი კი დაუკლეს... „ჰო, შვილები, ოჯახი, შვილიშვილები... მართალს ამბობს ჩემი მული შადია, მართალია მისი ქმარიც, მართალს მეუბნებიან ის ქალებიც, ვისაც ქმრები მხარში უდგანან, მათ ზურგს ამოფარებულნი ისინი მშვიდად არიან და არ იციან, რა არის შიში. მართლები არიან ჩემი მეზობლები, ნათესავები და მოკეთეები, მარცხენა თვალზე რომ ხელს მაფარებენ და მაიძულებენ მარჯვენა თვალით შევხედო ყველაფერს. მიჩვენებენ როგორ ვიცხოვრო და მარწმუნებენ, რომ როცა ერთი სანთელი ქრება, მისი შუქი მეორე სანთელს ემატება. თუ ხეს ორი ფესვიდან ერთი გაუხმა, მეორედან სხვა ხე უნდა ამოიზარდოსო, — მეუბნებიან, ბედს უნდა დაემორჩილოო, სულ ამას ჩამჩიჩინებენ... მესმის, განა არ მესმის? დედაზე მეტად ვის სურს თავისი შვილების ბედნიერება? მაგათ რა ენაღვლებათ, სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირიო. რჩევის მიცემა ადვილი საქმეა, როცა გვერდით ვაჟკაცი გეგულება, ქალს რომ ქალობას გაგრძნობინებს და ოჯახსაც თავზე დასტრიალებს. მე კი ქვრივი ვარ, ქვრივ ქალს მამალიც კი ცერად უყურებს. მაგათ ქალებს ქუდის მოხდით ხვდებიან ქუჩაში, ღამე ღრმა ძილით სძინავთ და მე ერთი რომ ამოვიოხრო, იმას არ მაპატიებენ. იმის უფლებაც კი არა მაქვს, ამ მაწანწალისაკენ მაინც გავიხედო ცალი თვალით!" —შურეთმა თვალი იმ ოთახისაკენ გააპარა, სადაც ჩვეულებრივ სტეპანს ეძინა ხოლმე. „ამანაც კი გაიძრო თავისი გაქუცული ტყავი და ერთიანად შეიცვალა. აი, სადამდე დავმდაბლდი, ამ მაწანწალაზეც კი მიმდის გული... არა, არა! ღმერთო, ეს რა ფიქრები მომეძალა!"

— ჩვენი ბატონი სადღა ბრძანდება? — გამოერკვა ფიქრებიდან შურეთი და ცნობისმოყვარეობით გახედა შადიას, — როცა ის სახლში არ არის, თითქოს სუნთქვაც კი მიჭირს.

— შენ რა, არ იცნობ მაგას? ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად! — შიბგას თვალს არ გამოპარვია, როგორი სია-

მაყე აღებეჭდა დედამისს სახეზე, როცა ამას ამბობდა. — ეშ-მაკებიც რომ წაკინკლავდნენ, მსაჯულად მაგას მოიწვევენ!

— ახლაც ვიღაც-ვიღაცების შესარიგებლად ხომ არ არის წასული?

— ღმერთმა დასწყევლოს იუანას შვილები.

შიბგა ადგილზე ვერ ისვენებდა, ვერ დამშვიდებულიყო შურეთიც, რომელსაც წამდაუწუმ თვალი იმ ოთახისაკენ გაურ-ბოდა, სადაც ამ სოფელში ერთადერთ თავისუფალ კაცს ეძი-ნა. შურეთი თავს ერეოდა, შადია კი ამაყად მიდი-მოდიოდა, რადგანაც იცოდა, რომ კაცი, რომელიც ახლა იუანას შვილების შესარიგებლად იყო წასული, დედაბოძად ედგა მის ოჯახს.

თარსხანს არასოდეს დასჭირვებია შეეხსენებინა მეუღლ-ისათვის თავისი ადგილი ოჯახში, არასოდეს აუწევდა ბავშვებთ-ან ხმას. ფეხზე მხოლოდ მაშინ წამოდგებოდა, როდესაც კარში სტუმარი გამოჩნდებოდა, ვისთვისაც მისი სახლის კარი ყოვ-ელთვის ღია იყო. შეიძლება ვინმეს ეთქვა, ზედმეტად ამაყი და ახირებული კაციაო, მაგრამ მაინც თავის შეხედულებისამებრ იქცეოდა და თვით აფსცახაც რომ სტუმრებოდა, თავის ადგილს მაინც არ დათმობდა და სუფრის თავში დაჯდებოდა. მაშინაც კი, როცა ის სახლში არ იყო, ვერავინ გაბედავდა მისი ადგილის დაკავებას. დახვედრა კი გულღია იცოდა. თუ რომელიმე მეზო-ბელი ცხენის ან ურემის სათხოვნელად მოაკითხავდა, იგი მას ჯერ სახლში შეიპატიჟებდა, ჭიქა ღვინოს დაალევინებდა და მხ-ოლოდ მაშინღა შეუკაზმავდა მოსულს ცხენს ან ურმის თვლებს გაუპოხავდა.

— დიდი მადლობა, თარსხან! ღმერთმა ქნას, არ დაგვევიწყე-ბინოს შენი სიკეთე, — ეუბნებოდნენ მეზობლები და ცხენსაც და ურემსაც ისევე ლაზათიანად უბრუნებდნენ უკან, როგორც ჩაიბარეს, რათა მათ პატრონს არ განელებოდა სურვილი, სხვა დროსაც ეთხოვებინა მათთვის ცხენი და ურემი.

თარსხანს არ უყვარდა სიტყვების ზედმეტი რახარუხი: ჩემი

ურემი შენი ურემი, ჩემი ცხენი — შენი ცხენი, ჩემი სახლი — შენი სახლი! იგი ყურადღებას არ აქცევდა მადლიერი მეზობლების ლოცვა-კურთხევას და პირდაპირ სამზარეულოს მიაშურებდა ხოლმე, ხოლო მეზობლებმა უკვე იცოდნენ, რას მოასწავებდა ეს და და იმ გლეხივით უხაროდათ, თავადი რომ თავის ამალაში იახლებდა; დილით მასთან მოსულ კაცს ღვინოს არ დააძალებდა, ერთ ჭიქაზე მეტს არ დაუსხამდა, არაყს თუ შესთავაზებდა, იმასაც ერთი მომცრო ჭიქით — გზაზე დამდგარი კაცი ხიფათს არაფერს გადაეყაროსო, — ფიქრობდა. ხოლო საღამოს უკან დაბრუნებულს ხელგაშლით დახვდებოდა, გვარიანად აქეიფებდა და სახლში კეთილი გულით გაუშვებდა.

რატომ იწმენდნენ ცივ ოფლს მეზობლები და ნათესავები, როცა თარსხანს ცხენს და ურემს თხოვდნენ? რას გაიგებ, ხალხი ჭრელია, იქნებ უნდოდათ სხვებისთვის დაენახვებინათ, რომ მათ ეზოში თვით თარსხანის ცხენი ბალახობდა და ურემი ეყენა? ვითომ ამისათვის ღირდა კაცის შეწუხება? ხალხს ხომ პირს ვერ აუკრავ, ზოგი ამბობდა, თარსხანს იმიტომ სთხოვენ ცხენს და ურემს, იციან ღვინით რომ გაუმასპინძლდებაო. არც ეს უნდა ყოფილიყო მართალი, რადგან უამისოდაც თარსხანის სახლის კარი ყოველთვის ღია იყო სტუმრებისთვის. ვერავინ იტყოდა, თარსხანს ღვინო დაუძმარდა ან ღომი ქვაბში ისე გაუცივდა, კოვზი ტარში უტყდებაო.

სტეპანის მდგომარეობა ამ სახლში ამგვარად შეიძლება განსაზღვრულიყო: როცა სუფრას შემოუსხდებოდნენ ხოლმე, ის სტუმარი იყო, როცა თარსხანი შინ არ იყო, ის იყო მაშინ უფროსი, ხოლო როცა სამუშაოზე გადიოდნენ — დაქირავებული მუშა. თარსხანს რომ სცოდნოდა, როგორ წარმომედგინა სტეპანის მდგომარეობა მის სახლში, განრისხებულს შეიძლება მოვეკალი კიდეც და ჩვენი მოთხრობაც ალბათ ამით დამთავრდებოდა. მომკლავდა იმიტომ, რომ სტეპანი მას საპატიო სტუმრად ჰყავდა მიჩნეული. რაც შეეხება იმას, რომ თარსხანის

არყოფნაში სტეპანი ხდებოდა ოჯახის უფროსი, როგორც ერთადერთი მამაკაცი სახლში, რომელსაც ის ისევე ენდობოდა, როგორც საკუთარ თავს — ამაზე თვითონაც დაგვეთანხმებოდა. მაშ, საიდანღა გაჩნდა ეს სიტყვა „ყმა"? რომელსაც ჩვენის ღრმა რწმენით ასე უნდა განერისხებინა თარსხანი. თვითონაც ხომ სტეპანივით თავაუღებლად მუშაობდა და განა ამიტომ შეიძლებოდა მისთვის ყმა გვეწოდებინა?...

იმ დღეს თარსხანი სახლში არ იყო. შებინდებისას, როცა თარსხანმა ბოლო ღილი შეიკრა ახალუხზე და ქამარი შემოირტყა, სტეპანს გასძახა, უჩემოდ მოგიწევს საქონლის მოვლა-პატრონობაო. სტეპანი წამოდგა და ერთხანს უკან მიჰყვა აბუზული ბავშვივით, რომელიც გაანაწყენეს და მდინარეზე არ წაიყვანეს.

— როცა მეც სახლში ვარ, შენც ჩემსავით ოჯახის უფროსი ხარ, ჩემს არყოფნაში — მისი ბატონ-პატრონი.

— ღმერთი ცაშია, მე კი ქვევით ვარ, ხომ?

— ზევითაც და ქვევითაც შენ ერთი ხარ ჩემთვის.

— უფალ'ი ხომ არ შეგვრისხავს ამისათვის, ჰა?

— შენ იმისი ნუ გეშინია. გაცილებით ძნელია ხელი გაუმართო უბრალო მოკვდავს, ვიდრე გული მოუფონო მას.

„შენს მოსვლამდე ვიფიქრებ, თუ რას ნიშნავს შენი სიტყვებიო", — მთელი თავისი გამომეტყველებით აგრძნობინებდა სტეპანი თარსხანს, რომელსაც ყური აღარ მიუგდია, რა უთხრა შადიამ, ჭიშკარი გაიხურა და ეზოდან გავიდა. ეს იყო გუშინ, საღამოხანს. ერთი მხრივ, ყველა წასული საღამო ერთმანეთს ჰგავს, თითქოს ისინი ერთი დღის ნაშობნი ყოფილიყვნენ, ხოლო მეორე მხრივ, დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან... გუშინ საღამოს ცა ისეთი მოსარკული იყო, რომ კაცი იფიქრებდა ღრუბლები საერთოდ შემოსწყრომიან ცას და ერთად სადღაც გადაქაჯულანო. ერთ კაცს ვერ იპოვნიდით გუშინ ამ დროს სოფელში სახსრების ტკივილს რომ შეეწუხებინოს, რაც ხშირად წვიმის მაუწყებელია ხოლმე.

ახლა კი ცა მოქურუხებულიყო. როდესაც ასეთ დროს თარსხანს ეკითხებოდნენ, ხომ არ იცი, როგორი ამინდია დღეს მოსალოდნელიო, იგი პასუხობდა: „აბა ცისა რა მოგახსენოთ, როცა ჩემი ცოლის გულის ნადებსაც ვერ ვხვდებიო. შეიძლება წვიმამ დაუშვას, შეიძლება ეს ლეგა ღრუბლები ქარმა მთის იქით გადარეკოს და ცა მოიწმინდოსო". ხალხი ჭრელია და ცასაც ყველა სხვადასხვა თვალით უყურებს. ერთი რამ კი აშკარა იყო, რომ სოფლელებს დღეს მაინცდამაინც არ ადარდებდათ, მოვიდოდა თუ არა წვიმა, რადგანაც ორიოდე დღის წინათ საკმაოდ კარგა ხანს იწვიმა და მიწა გვარიანად დააჟია. სიმინდის ყანა მწვანედ აღაღანდა, თამბაქოს ფოთლები კი ქურანა ცხენის ყურებივით აიბზიკა და წაიმწვიტა.

სტეპანი შადიას და შურეთს ეხმარებოდა. ქალები ამტვრევდნენ თამბაქოს ფოთოლს, მას კი სავსე კალათები ეზოსკენ მიჰქონდა. შიბგას ძალიან უნდოდა გამოლაპარაკებოდა სტეპანს, სული სძვრებოდა პირდაპირ. ალბათ, მურიასაც კი არ ექნებოდა ასეთი ძლიერი სურვილი შიბგასთან გამასლაათებისა.

„ამხანაგო სტეპან!" არა, შიბგას არ სურდა ისე მიემართა სტეპანისათვის, როგორც უფროსები მიმართავდნენ. მას უნდოდა მამასავით უშუალოდ, თბილად ეთქვა მისთვის: „სად არიან შენიანები? ვინ არის ის ხალხი, შენ რომ ამას წინათ ეძახდი ძილში, კაკლის ხის ქვეშ მწოლიარე? მოგეყვანა ისინიც, ერთად მოვილხენდით".

სტეპანს თარსხანის ნაჩუქარი ხალათი ეცვა. შიბგა სახელოზე ეჭიდებოდა მას, მაგრამ მაშინვე უშვებდა, თითქოს ხეზე ასულმა გამხმარ ტოტს მოკიდა ხელი და ეშინია არ მოტყდესო. იგი გარშემო უტრიალებდა და სულ იმის ცდაში იყო, როგორმე სახეში შეეხედა მისთვის. სტეპანის სახე ნაოჭებს დაეღარა და მზეზე გარუჯულ ამ ნაოჭებში, ნაიარევებში შიბგას კი არადა, თვით უაზ-აბას ციხის ნიშაში გადაშლილი წიგნის შემოქმედსაც კი გაუჭირდებოდა რაიმეს ამოკითხვა.

„ამხანაგო სტეპან, ამხანაგო სტეპან!“ — შიბგას ესმის, რომ თუ წინ დაუდგებოდა, ხელს შეუშლიდა მუშაობაში და ამიტომ გვერდიდან შესცქეროდა: „დედა სადა გყავს? გენატრება დედა? სულ ჩვენთან უნდა იცხოვრო, როგორც მამაჩემმა? სულ აღარ წახვალ?“

ჭრიალებს და ჭრიალებს სტეპანის მხარზე შემოდგმული კალათაც.

„კალათასაც ორი ასაკი აქვს, — ამბობდა ხოლმე თარსხანი, — ერთი, როცა ის ახალია, მეორე — როცა დაძველდება. ახალი იმიტომ ჭრიალებს, ეშინია უყურადღებოდ არ დატოვონ, ძველი კი — შიშისაგან, ვაითუ გადამაგდონო“.

„ამხანაგო სტეპან, ამხანაგო სტეპან!“... ერთთავად იმეორებდა შიბგას გული და გონება და ათასი კითხვა უტრიალებდა თავში. ეს კითხვები იმ ბარტყს ჰგავდა, ახლახან რომ ამოფრინდა ბუდიდან, გგონია, აჰა, დავიჭერო, უცებ ხელიდან გაგისხლტება და ტოტზე შეფრინდება...

სტეპანი ნელა-ნელა იხსნის ტვირთს მხრებიდან, ჯერ მკერდზე მიიყრდნობს თამბაქოს ფოთლებით სავსე კალათს, მერე მუხლებზე მოინაცვლებს და ახალშობილივით ფრთხილად დებს მიწაზე.

„თამბაქოს ფოთოლი ადამიანის გულს ჰგავს“, — თქვა როგორღაც ერთხელ თარსხანმა, რომელსაც თამბაქოს გაყვითლებული ფოთოლი ხელისგულზე დაედო და ყურადღებით აკვირდებოდა, — „თუ ცეცხლი არ მოეკიდა, არასოდეს გაქრება“.

შიბგა ვერც კი ხედავს, როგორ ასწია უკანა ფეხი მურიამ და გაინაბა იმ ბოძთან, რომელსაც ის მიყრდნობოდა.

„ამხანაგო სტეპან, ამხანაგო სტეპან!“

არა, დღეს სტეპანი სულ სხვანაირი იყო, შიბგას ის ასეთი არასოდეს უნახავს. დილით, საქონელი რომ ბაგიდან გამორეკა, ხუთიოდე სიტყვა თქვა, სახე გაუნათდა, თვალები კი ისე მოხუჭა, რომ ბიჭს შეეშინდა: კაცი, რომლის იმედიც ჰქონდა, რომ

ის ამოიკითხავდა უაზ-აბას წიგნს, ერთბაშად არ დაბრმავებულიყო, მაგრამ შიბგას შიში, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ტყუილი გამოდგა. სტეპანმა კვლავ გაახილა თვალები, რომელთაც დღისითაც კი შეეძლოთ ცაში ვარსკვლავების დანახვა და ღრმად ამოიოხრა, თითქოს გულზე ლოდი აწვა და სურდა მკერდიდან მოეშორებინა. მის სახეს დაუბრუნდა ჩვეულებრივი გამომეტყველება.

თავიდანვე ეტყობოდა, იმ დღეს მაგრად დაცხებოდა. ძროხები კუდით რომ ველარ იგერიებდნენ ბუზებს, რქების ტრიალი დაიწყეს გაბეზრებულებმა, უმოწყალოდ იკბინებოდნენ ბუზები. გეგონებოდათ, მზე სადაცაა დაიწვება და მიწას დაასკდებაო.

სტეპანი თითქოს ვერ ამჩნევდა ამ სიცხეს. შიბგამ უღალატა ჩვეულებას და სტეპანს არ გაჰყვა მინდორში. ჭიშკარს რომ მიუახლოვდა, რატომღაც შეჩერდა, თითქოს წინ ჭაობი დახვდაო, ომახიანად გასძახა მურიას, ფეხები დააბაკუნა გაქვავებულ მიწაზე და ძაღლზე განაწყენებული უკან, სახლში შებრუნდა.

„რატომ არის, რომ ადამიანს ღამე უნდება ძილი და არა დღისით? მეც და სტეპანიც ხომ ორივე ადამიანის შვილები ვართ, მაშ რატომ არ გვესმის ერთმანეთის?“ — აი, რამდენი უპასუხო კითხვა უტრიალებდა ყმაწვილს თავში.

დასიცხული საქონელი აუჩქარებლად მიდიოდა. ძროხები გამხდარ კისრებს წინ იწვდიდნენ და თუ სადმე ბუჩქის ძირში გუშინდელი ბალახის ღეროებს ან ახლად ამოსულ ნორჩ ყლორტებს მოიხელთებდნენ, გრილი, ხაოიანი ენით უმალ პირისაკენ გააქანებდნენ. ეკალ-ბარდებში კისრებს ისე მოხერხებულად ატრიალებდნენ, რომ არც ერთხელ არც ენა და არც კანი არ გაჰკაწვრიათ.

— ეჰ, თქვენ საცოდავებო, ისე უდარდელად მიაბიჯებთ, თითქოს არ იცოდეთ, რომ საბოლოოდ ყველას გალესილი დანა მოგელით, — ფიქრობდა ხმამაღლა სტეპანი და ძროხებს მიერეკებოდა.

საქონელს შეუძლია დღეს მშვიდად ძოვოს, არავინ მოუქნევს მათ სახრეს, ერთმანეთს რომ დაერიონ კიდეც, არავინ ეცდება მათ შეჩერებას. სტეპანს დღეს მათი თავი არ აქვს, სულ გუშინდელი სიზმარი უტრიალებს თვალწინ, რომელმაც მთლიანად შეძრა მისი სული. ნეტავ, რას უნდა ნიშნავდეს ჩვილი ბავშვის ტირილი, ბურთივით რომ გასიებულიყო? სტეპანი ბურღულს ზელს, ზელს, ხელები გაუშეშდა უკვე, მაგრამ ბურღული მაინც სილასავით ცვივა თითებშუა... მერე ბავშვმა შეწყვიტა ტირილი და ისევ სამარისებრი სიჩუმე ჩამოწვა.

თუ საქონელი სადმე ღობეს არ გადათელავდა და გზაში ღობე-ყორეს არ მოედებოდა, მაშინ სტეპანი დროულად მირეკავდა მათ ველზე, მდინარე გუდოუს ნაპირზე... პირუტყვი ხარბად დაუწყებდა ჭამას ლორთქო ბალახს და სტეპანსაც შეეძლო მშვიდად გამობრუნებულიყო უკან და საღამომდე გული დაეარხეინებინა.

სტეპანი შეჩერდა, როგორც კი საქონელი დაღმართამდე მირეკა. ძროხები სირბილ-სირბილით დაეშვნენ ქვევით. როგორც ყოველთვის, დღესაც მოავლო თვალი იქაურობას, გახედა ქვევით გადაჭიმულ გუდოუს ველს და გაიფიქრა, რომ ოდესღაც აქ არც დაღმართი იყო და არც გუდოუს პირას გადაჭიმული ველი. დროთა მდინარებაში ადამიანმა და საქონელმა დააბილიკეს ფერდობი, ხოლო წვიმებმა დახრამეს და დაანაოჭეს ნიადაგი...

მტირალი ბავშვი ისევ დადუმდა ისე, რომ ვერ ეღირსა ღვეზელს... სტეპანმა თვალები გაახილა და მაშინვე იგრძნო ფეხქვეშ მინა.

გუდოუს ველზე ნისლი ბოლომდე არ აკრეფილიყო, შორით მოჩანდა ბილიკები, ხშირი ბუჩქნარი, საიდანაც წითლად გამოკრთოდა ასკილი. უფრო ქვემოთ კი მიიკლაკნებოდა მდინარე გუდოუ, რომელიც ისევე, როგორც ათასეული წლების წინათ, ტალღებს მოაგორებდა... მდინარის გაღმა იზრდებოდა

ასკილი, მაჟალო, ვაშლი, კაკლის ხეები და რამდენიმე ძირი ლეღვის ხე. ღრმად მოხუცები ამტკიცებდნენ, რომ ეს ლეღვის ხე დარგო ერთმა ეულად შთენილმა მოხუცმა. ერთხელ ნადირობიდან დიდი ნადავლით დაბრუნებულს სოფელში არავინ დახვედრია, მას მაშინვე დაუგდია ნანადირევი და ახალ კვალზე თანასოფლელების ძებნა დაუწყია. ზოგი იმასაც ამბობდა, რომ ეს კაცი, ნართების გვარიდან, აქ იმიტომ მოუკლავთ, რომ ის ცდილობდა გადაეთქმევინებინა თანასოფლელებისთვის, შეერთებოდნენ მუჰაჯირებს, მაგრამ თარსხანმა და მისმა მეგობრებმა, რომლებიც ცაზე ვარსკვლავებსაც კი ითვლიდნენ, მთლიანად გააცამტვერეს ამ კაცის შესახებ შექმნილი ლეგენდები და თქმულებები. „სად ნართები, სად მუჰაჯირები და სად თეთრი ლეღვის ფესვები?" — ერთხმად კითხულობდნენ ისინი. მოხუცთა ერთი ნაწილი ძალიან განაწყენდა ამაზე, სხვები კი, ვისაც ნართები ენატრებოდათ, ისე ოხრავდნენ, რომ მათი მუცლები ერთმანეთს ეხლებოდა.

სტეპანმა ისე ამოიოხრა, რომ გული თან ამოატანა. ბიჭი, რომელმაც ვერ იგემა ღვეზელი, აღარ ტიროდა. სტეპანმა როგორც იქნა გულიდან გადაიგდო პირქუში მოგონებები და სიმინდის ყანისაკენ წავიდა.

ეს ყველაფერი დღეს დილით მოხდა. ახლა კი სტეპანი ბოლო კალათას ავსებს თამბაქოს ფოთლით. თამბაქოს ფოთლებს ის ისე მწყობრად აწყობს, როგორც მასრებს ჩოხის ქილებში. თამბაქო უკვე ისე იყო შემოსული, რომ როგორც კი ნემსის წვერს გააკარებდი, მაშინვე ყვითელი სითხე მოჟონავდა.

„ამხანაგო სტეპან, ამხანაგო სტეპან!" — ჩურჩულებდა თავისთვის შიბგა, რომელსაც თურქულად მოერთხა ფეხი იატაკზე და შეჰყურებდა სტეპანს. მისი გამომეტყველება და თავდაჭერა დაგარწმუნებდათ, რომ იგი ნამდვილად თარსხანის შვილი იყო.

მაგრამ სტეპანი ვერც ამას ამჩნევდა. გონებაში მან უკვე

საბოლოოდ გამოიხურა თავისი სახლის კარი, სადაც მისი ცოლის და ბავშვების გვერდით სხვა მამაკაცს დაეკავებინა ადგილი... გუშინდელი სიზმარი რაღას ნიშნავდა? აი, გაიღო ყველა კარი. ის დაღლილ-დაქანცული სამუშაოდან დაბრუნდა, იმ ოთახში, სადაც ჩვეულებისამებრ ისვენებდა, სანამ მეუღლე ვახშამს ამზადებდა, მან რაღაც ურჩხული დაინახა. ის არც ნიანგს ჰგავდა, არც გველს, ეზო მთლიანად გადათხრილი იყო, თოფი კი, რომელიც მას ყოველთვის ერთგულად ემსახურებოდა ფრონტზე, ახლა შიბგას სათამაშო თოფად გადაქცეულიყო. პირველად ნასროლი საფანტი თვითონ გადაეყარა თავზე, მეორედ რომ ისროლა, მეზობელმა ჰაერშივე დაიჭირა ტყვიები და ძაღლებს გადაუყარა, რომლებმაც დაღრღნეს და გადასანსლეს საფანტი... რა ჯოჯოხეთური ღამე გაატარა გუშინ სტეპანმა, როგორც კი თვალს მოხუჭავდა, სიზმრები აბეზარი ბუზებივით დაუპატიჟებლად ესტუმრებოდნენ და სიცოცხლეს უმწარებდნენ.

სტეპანი წამოდგა, წელში გაიმართა და მწყობრად დალაგებულ თამბაქოს ფოთლის გროვას გადახედა.

„ადეექ!“ — საშინელი შინაგანი ხმით იყვირა სტეპანმა. მას რომ ასე მთელი ხმით ეყვირა, თარსხანის ფანჩატურს ძირს დასცემდა ჰაერის ტალღა. ყველაფერი ელვისებურად მოხდა. სტეპანმა თვალი დახუჭა იმის შიშით, რომ რაღაც საშინელება არ დაენახა. თვალის მოხუჭვა ერთი იყო და თამბაქოს ფოთლების გროვა მაშინვე სადღაც გაქრა და სტეპანის წინაშე ჯარისკაცების ასეული აისვეტა. გახუნებულ ფარაჯებში, დაკონკილ და დახეულ ჩექმებში გამოწყობილი ჯარისკაცები ჭაობის პირას წამოსკუპებულ ბაყაყებს ჰგავდნენ... სტეპანს ჯერ დოლის ყრუ ხმა მოესმა. ხმა ეტყობა შორიდან, მთებიდან მოდიოდა, სიკვდილის მაუწყებელი ხმები თანდათან ახლოვდებოდა, მიწას გულის-გულში უვლიდა, საიდანაც სისხლის წითელი წვეთები მოჟონავდა. სტეპანს მოგონებები მოეძალა, მან კვლავ დახუჭა

თვალები, ხელი გაიწოდა, თოფი აიტაცა და ისე მაგრად მიიკრა მკერდზე, რომ კინაღამ გადატეხა კიდეც... დოლის ხმა კი სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდა და სადაცაა ფერდობს იქით რკინის მუზარადები დაიწყებდნენ ბრჭყვიალს.

„მოემზადეთ!" — უნდოდა მთელი ხმით ეყვირა სტეპანს, მაგრამ რაღაც უხილავმა ძალამ შეაჩერა და თოფი ყრუდ დაენარცხა თარსხანის ფარდულის კუთხეში.

„შეჩერდი!" — მიმართა მან ვიღაცას და ღრმად ამოიოხრა, — „გახსოვდეს, რომ შენც მოკვდავი ხარ!" სტეპანმა თვალი გაახილა და აღარც მკერდგამობერილი ჯარისკაცები ჩანდნენ და არც ძველი, ნაჭდევებიანი თოფი. დაინახა მხოლოდ შიბგა და მურია, და კიდევ იქვე დაყრილი თამბაქოს ფოთლები, რომელიც შადიამ და შაზინამ დაამტვრიეს და მან საკუთარი ზურგით მოიტანა აქამდე...

„თარსხან, რა საგულდაგულოდ გაგითლია ეს ბოძები, ცას ხომ არ უკეთებ საბჯენებს!" — გაბედა და ჰკითხა ერთხელ თარსხანს ყველაზე თამამმა მეზობელმა და თვალები ეშმაკურად მოწკურა.

„არა!" — მიუგო თარსხანმა და სუფთად გათლილ ბოძს ხელი აუსვ-ჩაუსვა, — „ძალიან ჭკვიანი უნდა იყოს ის ვიღაცა, შენთვის რომ უთქვამს ცას შეიძლება საყრდენები შეედგასო... ცა თუ ჩამოიქცა, მე ჩემს ფარდულს შევეფარები და რომ იცოდე, ბენვიც არ შემერხევა".

დედამიწა დედის მიერ დასჯილ ბავშვს ჰგავდა — მიუხედავად იმისა, რომ მთელი დღის განმავლობაში მზე მცხუნვარე სხივებით უმოწყალოდ იკბინებოდა და ქვას ქვაზე ადუღებდა, მისი ჩასვლის წინ ისეთი სევდიანი ხდებოდა, იფიქრებდი, სადაცაა ატირდებაო, მაგრამ ხვალ გათენდება და იგი ისევ გაშლის მკლავებს და ჩაეხვევა ამომავალ დღესაც. ასე, ტირილით თვალებდაწითლებულმა დედამიწამ გააცილა მზე, რომელიც არად დაგიდევდათ მის საცოდაობას და მშვიდად შეერია ზღვას და ოქროსფრად მოავარაყა წყლის ზედაპირი.

პირველად არ ხედავდა სტეპანი, როგორ ეთხოვებოდა მზე დედამიწას, მაგრამ ყოველი მათი გამომშვიდობება სულ სხვადასხვანაირი იყო, ამასთან, სტეპანი მზის ამოსვლას ადამიანის ქვეყანაზე მოვლინებას ადარებდა, ჩასვლას კი მისი ქვეყნიდან წასვლას. ბოლო დროს მას ყრუდ ჩაესმოდა ბავშვის საიდანღაც მომავალი სუსტი ტირილის და რაღაც კვნესის მსგავსი, მტრედის ღუღუნს რომ ჰგავდა ოდნავ. სტეპანს დღის განმავლობაში ხშირად ეცვლებოდა ხასიათი, თარსხანი ხედავდა ამას, მაგრამ ეცოდებოდა და თანაუგრძნობდა თავის ხიზანს და არაფერს ეკითხებოდა.

— შიბგა! — მიმართა სტეპანმა ბავშვს, როცა შენიშნა, რომ ბიჭი ფეხდაფეხ მოჰყვებოდა, — ცოტა ხანს მარტო მინდა დავრჩე!

— აჰა, — დაუქნია თავი შიბგამ, ვითომ ყველაფერი გაიგო.

სადაცაა მზე იჭიატებდა და ალბათ მალე ეს ხმებიც მიწყნარდებოდა. სტეპანმა, რომელმაც კარგად არც კი იცოდა საით და რატომ მიდიოდა, ფეხს აუჩქარა.

შარა, რომელზეც ის დღეს საქონელს მიერეკებოდა, ძალიან ფართო იყო. მას შეეშინდა, რომ თუ ეს შავბნელი ფიქრები თავს არ დაანებებდნენ, შეიძლება საქონელი აქეთ-იქით გაქცეოდა, ამიტომაც პირველსავე ვიწრო შუკაში შეუხვია, თამბაქოს პლანტაციას შუაზე რომ ყოფდა. სტეპანს სურდა, ასე ევლო დილიდან საღამომდე და მერე ისევ გათენებამდე, ვიდრე დაღლილობისაგან ცარიელ ტომარასავით არ დაებერტყებოდა ძირს. თან სულ იმას ნატრობდა, რომ გზად არავინ, ჩიტიც კი არ შეხვედროდა... ვის გაურბის, რატომ გარბის დ საით აუღია გეზი?

ისევ გუშინდელი სიზმარი გაახსენდა: მისი სახლის ეზო გადახნულია თავიდან ბოლომდე და მისი ადგილიც ბავშვებისა და ცოლის გვერდით ვიღაცას დაუკავებია... იმ დღეს რომ თარსხანი სახლში ყოფილიყო, შეიძლება მაშინ სტეპანს არც

ენახა ასეთი საშინელი სიზმარი: მარტოობა, მტანჯველი მარტოობა, რომელსაც ის ახლა გაურბის და რომელსაც ის უნდა დაუბრუნდეს...

მოდის არმია, როგორც ზვავი, გადის საათები, დღეები, წლები, განვლეს სოფლები, ქალაქები, ტრამალები, ყვებიან ანეკდოტებს, გაისმის კვნესა, მუსიკა, დაბორიალებს სიკვდილი — სად ეცალა სტეპანს მარტოობისათვის, მაგრამ ის მაინც ყოველთვის მარტო იყო. კაცი შეიძლება არ იყოს მარტო, მაგრამ მაინც ეულად იგრძნოს თავი. რა უნდა ექნა? ირგვლივ იყო ომი, ზვავი, დედამიწას სისხლი სდიოდა. იგი აკეთებდა იმას, რაც მიწის, ბუნების კანონებს ეწინააღმდეგებოდა. ებრძოდა ყველაფერს, რაც ადამიანმა თვითონ გამოიგონა. სტეპანი აფსციხეს, ომის ღმერთს ეხმარებოდა, იგი იმყოფებოდა ადამიანებს შორის და მაინც მარტო იყო...

„სადა ხართ, ჩემო კარგებო, რატომ ვერ ხედავთ, რომ მე ასე ეულად დავძრწივარ ცისქვეშეთში?“ — წერდა ის სამკუთხა ბარათებში, მერე კი გზად საფოსტო ყუთში აგდებდა.

ხუთი წლის განმავლობაში მას დაისის გარდა არაფერი უნახავს, რადგან უტევდა თუ უკან იხევდა, თვალები ყოველთვის დასავლეთისაკენ ჰქონდა მიპყრობილი...

გაზაფხულის ერთ დღეს სტეპანს უთხრეს, რომ მას შეეძლო შინ წასულიყო. ჯარისკაცები სახლებში ბრუნდებოდნენ. გზები, მანქანები, მატარებლები დემობილიზებული ჯარისკაცებით იყო სავსე... სტეპანიც სახლში ბრუნდებოდა, ბრუნდებოდა მარტოსული და გულდამძიმებული. არასოდეს შიშით გული რომ არ შეკრთომია, ახლა საშინელი წინათგრძნობით შეპყრობილს ისეთი გრძნობა დაუფლებოდა, თითქოს რაც ქვეყანაზე ჭიანჭველა იყო, ყველა მას დასეოდა ტანზე. მას წინ ელოდებოდა ორი პატარა და ერთი მოზრდილი ბორცვი, დასავლეთისაკენ პირმიქცეული.

როცა სიკვდილი სიბნელიდან დაიწყებს ხელის ცეცებას,

რათა სწვდეს ადამიანს და თავისკენ მიიზიდოს, მხოლოდ მაშინ ხვდება ის, რა უბოძებია და რა არა მისთვის ბუნებას და იმწამსვე ხდება უფრო კეთილი, ვიდრე ლურჯი ცაა, მზად არის ყველაფერი გასცეს, რაც აბადია.

აი, ასეთ ხაფანგს უგებს ბუნება ადამიანს, უსულგულოდ დასცინის მას, მაგრამ მადლობა ღმერთს, მას არ ესმის ეს სიცილი, თორემ ჩვენ აღმოვჩნდებოდით ის ადამიანები, რომლებიც დედამიწას წარღვნის შემდეგ მოევლინენ.

მზეც, დედამიწის მანათობელი, ხანდახან ადამიანივით იქცევა: როცა ამოსვლას დააპირებს, ჯერ მორცხვად გამოგზავნის თავის სხივებს დედამიწისაკენ და ჩვილი ბავშვივით, რომელსაც ეშინია, რომ ჯერ ვერ გაივლის და დაეცემა, ხელებს იწვდის, ილიმება, მერე და მერე ხელები უფრო უმაგრდება და თავის ძალასაც ირწმუნებს, სული მისი კი კვლავ ხარბი რჩება, მოეხვევა მთელს სამყაროს და ყვირის, რომ ამქვეყნად ყველაფერი მისია, შემდეგ ზენიტში ასული, ამაყად გადმოხედავს მთელ სამყაროს და დაიწყებს ვარვარს მანამ, სანამ არ დაატყობს, რომ დაისი უკვე ახლოა და გარდაუვალი.

აი, ახლაც, მზე უშურველად არიგებდა თავის სხივებს, რადგან ესმოდა, რომ თან მაინც ვერ წაიღებდა მათ. ჩამავალ მზის სხივებში ბანაობდნენ ხეთა ფოთლები, ფესვები, კვირტები... მზე ელიცლიცებოდა სტეპანის სახესაც, დღითიდღე რომ უწყნარდებოდა და უშუშდებოდა.

სტეპანმა თარსხანის მიერ შემოვლებულ ღობეს გადააბოტა და თამბაქოს პლანტაციაში გადავიდა.

„დროზე რომ დავამტვრიოთ ფოთოლი და წესისამებრ გავაშროთ, თარსხანის ბასრი დანით დაჭრილი თამბაქოს ბოლი ფილტვებში სულ ვარსკვლავებს დაანთებს", — გაიფიქრა თავისთვის სტეპანმა, მერე ერთი ფოთოლი, ისე, რომ არ მოუტეხია, ხელისგულზე დაიდო და აწონა. სტეპანის გაყინულ გულს სითბო შეეპარა, გალღვა და მან მზრუნველი თვალით გადახედა

თამბაქოს პლანტაციას, სადაც მისი ოფლიც იყო დაღვრილი და კვლავ ჩაუფიქრდა თავის მდგომარეობას სტუმრის, ოჯახის უფროსის თუ ყმისა... გაახსენდა გზები და საფლავები... მტანჯველი მარტოობა... კვლავ შეეკუმშა გული.

მზე ჩავიდა. საქონელი, რომელიც გუდოუს ველზე გამოვიდა და აღმართს შეუდგა, თავის წვრილფეხობას ბღავილით ატყობინებდა, მალე შინ დავბრუნდებითო. სტეპანმა დილით იმიტომ გარეკა შორს საქონელი, რომ ნახირს გზა-გზა არ ეხეტიალა და მშიერი არ დარჩენილიყო, ახლა კი ძროხები სავსე ჯიქნებით ბრუნდებოდნენ უკან.

შურეთის თამბაქოს პლანტაცია თარსხანის პლანტაციის გვერდით გადაჭიმულიყო, ამიტომაც მის ნაკვეთს თარსხანის მხრიდან აღარ სჭირდებოდა შეღობვა. ამავე დროს, თუ მეზობლებს სასუქი მორჩებოდათ, არ იშურებდნენ და მის ნაკვეთში მიმოფანტავდნენ ხოლმე. და მიუხედავად იმისა, რომ შურეთი მარტოხელა ქალი იყო, მის კარ-მიდამოს მაინც არ აკლდა კაცის ხელი, მეზობლის ქალები კი ცდილობდნენ არ ეწყენინებინათ მისთვის. განსაკუთრებით გულისხმიერებით ეკიდებოდა მარტოხელა ქალს თარსხანის ოჯახი. მეტი რაღა უნდოდა შურეთს — ორი ბიჭი ჰყავდა, ჰქონდა სახლი და ეზო, ორი მეწველი ძროხა, რომელიც დიდ შეღავათს აძლევდა ოჯახს. თვითონ ქალად მშვენიერი სანახავი იყო, ფერხორციანი და შველივით ტანკენარი.

ეს გადასაძრომი, საიდანაც ახლა სტეპანი თამბაქოს პლანტაციაში გადავიდა, რა თქმა უნდა, არ იყო ისეთი მოხერხებული, როგორც თარსხანს ჰქონდა გაკეთებული თავის ნაკვეთის მისადგომზე. ის ძალიან დაბალი იყო, წვრილი ტოტებისაგან შეკრული და ერთ წელიწადს კიდევ თუ გაუძლებდა. სტეპანმა გახშირებული სარეველა ბალახის გლეჯა დაიწყო. ბალახი ზოგ ადგილას ისე გახშირებულიყო, მწყერი ადვილად დაიმალებოდა შიგ, მაგრამ კურდღლის დანახვა უკვე აღარ გაუჭირდებოდა

კაცს. მუშაობის დაწყება ჭირს, თორემ თუ ერთი ხელი წაგივიდა, მაშინ რაღა გიჭირს კაცს. სტეპანი გულმოდგინედ გლეჯდა ბალახს ძირიანად, მიწას დაბერტყავდა და მერე თალამ-თალამ აწყობდა ღობის ძირას.

„ბოლოს და ბოლოს, ვინ ვარ მე?“ — ეკითხებოდა სტეპანი საკუთარ თავს. — „მე ახლა შუშის ქილაში მოხვედრილ ბუზს ვგავარ, რომელმაც ცხვირი იქ წაყო, სადაც მას არ მიესუნებოდა, და ახლა შიგნით ტრიალებს და გარეთ ველარ გამოუღწევია. ეს ხალხი უჩემოდაც კარგად გრძნობდა თავს, მე რაღა მინდა აქ? ადამიანებმა თვითონ მოიგონეს საზღვრები, თვითონ ისურვეს ერთმანეთისაგან გამოცალკევება. დამოკიდებულებაც ერთმანეთისადმი სხვადასხვანაირი აქვთ. ზოგ-ზოგის პლანტაციაში ფუტკარმაც რომ გაიფრინოს, იმასაც ადვილად შეამჩნევენ, ზოგის ნაკვეთში კი მობალახე კამეჩიც რომ დაინახონ, თვალებს დაიბრმავებენ, ვითომ ვერ დავინახეთო. მავანმა რომ ერთი თითი დაიქნიოს, ყველა მასთან გაჩნდება მხარზე თოხგადაგდებული და საშველად გამზადებული, მეორეს კი ამ დროს შეიძლება ღობე დაუმტვრიონ, რათა ფიჩხი მოაგროვონ და ცეცხლი დააგუზგუზონ. კი ბატონო, დაე ადამიანებმა დაუდონ სამანი ერთმანეთს, მათ აქვთ ის, რისი დასაკუთრებაც შეიძლება, მაგრამ მე, მე რა ვაკეთო მათ შორის? რა საერთო მაქვს ამ ხალხთან? და მაინც, კარგად რომ დავუფიქრდეთ, ფუტკრებიც ხომ მხოლოდ თაფლს აგროვებენ? განა ვინმე ჰკითხავს ფუტკარს, რომელი ყვავილიდან მოიტანა მან ნექტარი, ვისია ეს მიწა და ვინ წაიღებს ამ თაფლს? რატომ ვმუშაობ მე თარსხანის ნაკვეთში, როცა მას არაფერი უჭირს, შურეთი კი ამ დროს ცრემლებით ალბობს და თითებით თხრის მიწას, თამბაქოს ნერგი რომ დარგოს?!

ეტყობა სამანი, ადამიანთა გულებს რომ მიჯნავს, უფრო ძლიერია, ვიდრე მიწაში წასული ხის ფესვები. საზღვარი დედებს და შვილებს შორის, მეზობლებს, ქალაქებსა და სოფ-

ლებს, ქვეყნებს შორის, საზღვარი მიწას, მთვარესა და ვარსკვლავებს და ბოლოს, სამანი საფლავებს შორის... ადამიანებმა ერთმანეთს შორის ჩაარჭეს ულპობი მანა და მერე ამ სამანის გამო ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტას მიჰყვეს ხელი. გაპარტახდა დედამიწა... მოფრინდნენ ანგელოზები და ცდომილი სულები სულეთის გზას გაუყენეს, იქ კი ზოგს სამოთხეში მიუჩინეს ადგილი და ზოგს ჯოჯოხეთში და ისევ გაჩნდა საზღვარი... იქაც დაიწყო ბრძოლა ამ საზღვრების გამო და იქაც დაუწყეს ერთმანეთს დევნა და განადგურება... "

სტეპანი ბუჩქ-ბუჩქად გლეჯდა სარეველა ბალახს. იგი ვერ გრძნობდა დაღლას და გული სიამით ევსებოდა, რადგან იცოდა, რომ მარტოხელა ქალს ეხმარებოდა, რომელსაც ასე სჭირდებოდა მხარში ამოდგომა.

როდესაც მის არსებაში ასეთი სასიამოვნო განცდები აღიძვრებოდა ხოლმე, იგი ყოველთვის იხსენებდა ერთი მოხუცის ნათქვამს: „მისმინე შვილო, აი რას გეტყვი: კაცს რომ საკუთარი თავის მოტყუება შეუძლია, სხვა ისე ვერავინ მოგატყუებს. ბედნიერება, როგორც ეს ზღაპარში გვხვდება, წამიერია. ცხოვრებაში ყველაფერს ერთად ვერ იგემებს ვერავინ. ბედნიერება მოზაიკას ჰგავს — დღეს ერთი რამ გგვრის სიხარულს, ხვალ სხვა, ერთი თვის შემდეგ კი კიდევ სხვა რამ და ასე, დაუსრულებლად. აი, შენს წინ გადაშლილია ველი. ეს შენი ცხოვრების ველია და შენ ის უნდა შეავსო მხოლოდ თეთრი მოზაიკით, მაგრამ... შეიძლება ეს მოხდეს ღამით, როცა სიბნელე თოვლს და წვიმას შეერევა, ან დღისით, როცა ახლად პირდაბანილი მზე გორის თავზე შემოჯდება. აი, სწორედ მაშინ შენ დაინახავ იმას, რისი მოჭედვაც გინდოდა მოზაიკით. შორს მოჩანს ჭრელი, მწვანე, ყვითელი ქვები, მათ შორის ალაგ-ალაგ კიაფობს თეთრი კენჭებიც, მაგრამ ისინი გაცილებით ცოტაა სხვა ქვებზე, რომლებიც ნიშნავენ ტანჯვას, წყენას, უბედურებას... არა, შვილო, ისე ვერავინ მოატყუებს კაცს, როგორც საკუთარი გული".

მიუხედავად იმისა, რომ თამბაქოს ხაოიანი ფოთლები აწუხებდნენ, სტეპანმა მაინც ბოლომდე გაიტანა კვალი. ბოლოში გასულმა უკან მოიხედა და თავის ნამუშევარს რომ გადაავლო თვალი, გული სიამით აევსო.

მან გადაწყვიტა ერთი კვალი კიდევ გაემარგლა, მერე გუდოუსკენ დაშვებულიყო და მდინარის ცივი წყლით თამბაქოს მტვერი ჩამოებანა. ასეც მოიქცა. მას დიდ სიამოვნებას ანიჭებდა იმაზე ფიქრი, რომ ხვალ შურეთი ნახავდა მის ნამუშევარს და მას მკლავ-მარჯვენას დაულოცავდა.

მდინარეზე ჩასულს წყლის სასიამოვნო ჩუხჩუხი და ჩუმი შრიალი შემოესმა. ხელები თავისით გაექცა ღილების შესახსნელად. მან გაიხადა ფართო გულისჯიბიანი აფხაზური პერანგი და იქვე, ხის ტოტზე ჩამოკიდა. მერე ძველი, გახუნებული ჯარისკაცული გალიფეც გაიხადა და ისიც პერანგის გვერდით მიაგდო. ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო, არავის შეეძლო მისი დანახვა, გარდა წყალში მორიალე თევზებისა, გვერდებზე წითელი ხალები რომ დაჰყროდათ და ლაღად დაცურავდნენ ალმა-დალმა. მან კიდევ ერთხელ მიმოიხედა. გარშემო მხოლოდ მთვარის მომწვანო-მოყვითალო შუქით განათებული ხეები მოჩანდა. აქა-იქ სიჩუმეს არღვევდა რაღაც კივილი, გარეული იხვის ხმას რომ ჰგავდა. მან ის-ის იყო წყალში შესვლა დააპირა, რომ ანაზდად შეჩერდა და თვალი ჰკიდა სავსე მთვარეს, რომელიც მას დამწიფებულ აფხაზურ ნესვს აგონებდა. სტეპანმა მკაფიოდ გაარჩია მთვარეზე მთები, ზეგნები, ზღვები, საზღვრები მათ შორის და საფლავები, საფლავები... საფლავებს შორის მან ნათლად დაინახა ერთი სამარხი, პირით დასავლეთით მიქცეული და ორი პატარა საფლავი, ცისკენ მიმართული. ციდან ჩამოვარდა კუპრივით შავი ცრემლის მსგავსი რაღაც. სტეპანმა თვალი გაადევნა იმ იმედით, რომ ცრემლი სხვის მინდორში დაეცემოდა, მაგრამ ის სწორედ მის მინდორში ჩამოვარდა, დაიმსხვრა და შავ ლაქად გაიდღაბნა. სტეპანს კვ-

ლავ გაახსენდა თეთრწვერა მოხუცი: „შენი მინდორი, რომელიც გინდა თეთრი მოზაიკით მოჭიქო".

სტეპანი მივიდა დაგუბებულ წყალთან, ტანზე დაიხედა, რომელზედაც ფოთლების ჩრდილები თრთოდნენ. სტეპანს ტანი შავი ბალნით ჰქონდა დაფარული, ზოგ ადგილას ლურჯად გამობერვოდა ცხოვრებისეული შხამით და ტანჯვით სავსე ძარღვები და უცებ საკუთარი თავი ისე შეეცოდა, ტირილი მოუნდა. მარტოობა და მხოლოდ მარტოობა, ბუნება ყრუ იყო, თვითონ კი მუნჯი... რა იცის იმ ოჯახმა, ვინც ის შეიფარა, ან მათმა მეზობლებმა რა იციან მის შესახებ, ვინ იყო, რა წარსული ჰქონდა? „სტეპან, სტეპან!" — ეძახიან და მეტი არაფერი. მან იცის, რომ შიბგადან დაწყებული ყველამ თავისებურად გამოიგონა მისი ბიოგრაფია, მაგრამ სიმართლე რომ ითქვას, არც ერთმა მათგანმა იოტისოდენადაც ვერაფერი გაიგო.

ჩვენ ისეთი იდუმალი ქსელი გავაბით სტეპანის ბიოგრაფიის გარშემო, რომ მკითხველს შეიძლება არცთუ ისე სასიამოვნო ეჭვები გაუჩნდა და ეს ბედისაგან ისედაც დაჩაგრული კაცი იქნებ შეიძულა კიდეც... მაგრამ სტეპანს ვერავინ მოაგონებდა ისეთ რამეს, რომ მას შერცხვენოდა. სინდისი სუფთა ჰქონდა, არ უჭირდა ხალხისთვის თვალის გასწორება და თუ მაინც არ სურდა მის წარსულში ექექათ, ამის მიზეზი სხვა რამ იყო. „ჩემი სახელი ბევრს ჰქვია ამ ქვეყანაზე, არც გვარი მაქვს იშვიათი, ჩემს ძვირფას ბავშვებს ერთი ცხოვრებით უნდა ეცხოვრათ და თითოეულს თავისი კუთვნილი ბილიკით უნდა ევლო. ეს ბილიკი მხოლოდ მათ ეკუთვნოდა და სხვა არავის", — ფიქრობდა იგი. — „მეც ერთხელ უნდა ვიცხოვრო ამქვეყნად და ჩემი გზით უნდა ვიარო, რომელსაც ხან ამომავალი მზე დაჰნათის, ხან ჩამავალი... თუ ეს ყველაფერი მე მომკერძა ბედმა, მაშინ არც მწუხარება, იმედგაცრუება და შავი დღეები ამივლიან გვერდს... და რატომ უნდა დავაბრალო ყველაფერი სხვას, რასაც მე მომიმზადებს ბედი? არა, ყოველ ადამიანს თავისი უბე-

დურება სჭირს და ის აქვს მოსანელებელი! კაცი მაშინ ხარ, როცა რაღაცით დამწუხრებულს კარზე სტუმარი მოგადგება, შენ დაივიწყებ შენს გაჭირვებას და ადამიანს, რომელმაც შენი სახლის ზღურბლს გადმოაბიჯა, გულგაშლილი და ხელგაშლილი დახვდები".

არ ვიცი, რამდენად მართალია სტეპანი, მაგრამ ის ასე ფიქრობს და უყურებს ცხოვრებას. მაგრამ ასეც ხომ ხდება — ზოგიერთები ერთს ფიქრობენ და ამბობენ, მიბრუნდებიან და სულ სხვა რამეს აკეთებენ... მაგრამ სტეპანი მათ არ ჰგავდა.

ქვა, რომელზედაც სტეპანი შედგა, გლუვი და სლიკინა გამოდგა. ის შეტორტმანდა და რომ არ დაცემულიყო, ზედ ქვაზე ჩამოჯდა ისეთი მოძრაობით, თითქოს მართლა ამ ქვაზე ჩამოჯომა სურდა თავიდანვე. ნაღდად გული შეუჩერდა და თვალები დახუჭა ისე მაგრად, რომ კინაღამ ნაპერწკლები წამოსცვივდა და მხოლოდ მაშინ, როცა იგრძნო რომ მირაჟი გაქრა, თვალები ისევ გაახილა... მისგან ცოტა მოშორებით მდინარეში ქალის თმები მოცურავდა და როდესაც ტალღამ თმები ერთად შეკრა, სტეპანმა ერთბაშად დაინახა თოვლივით თეთრი შიშველი ქალის სხეული: იგი ხან გულაღმა გადაწვებოდა წყალზე ისე, თითქოს არც კი ეხებოდა მის ზედაპირს და მაშინ მთვარე ხარბად დაჰნათოდა მის სავსე მკვრივ მკერდს, თავის შუქთა ათინათში ანანავებდა და ეალერსებოდა უმშვენიერეს წყლის ფერიას. მერე ისევ, როგორც კენარი ალვის ხე, მისი მოქნილი სხეული წყალში გაქრებოდა და სქელი თმა ისევ მარაოსავით იშლებოდა წყლის ზედაპირზე.

„ნუთუ მართლა ფერიაა?" — იკითხა გულში სტეპანმა. შიშით არ შეშინებია. ტყვიების ზუზუნს და სიკვდილის თვალებში ყურებას არ შეუშინებია კაცი და ახლა რატომ უნდა შესცვლოდა ფერფური. „ვაითუ, ვჩანვარ?" — პირველ რიგში ეს გაიფიქრა სტეპანმა, —„ჯერ ხომ ხეირიანადაც არც კი დაბნელებულა!"

ფშანში, სადაც ჩვეულებრივ ბანაობდნენ ხოლმე კაცები და

ქალები, როცა არ უნდოდათ ვინმეს დაენახა ისინი, ახლა ქალის გაშლილი თმები მოცურავდა. ტალღები თმებს ხან ერთ მხარეს მიაქუჩებდნენ, ხან მეორე მხარეს, მაშინ წყლის ზედაპირზე იცვლებოდა ხოლმე ქალის სხეული, სანთელს რომ ჰგავდა და ჟრჟოლას ჰგვრიდა მამაკაცს. მთვარის სხივები სირმებად ჩაეწნებოდნენ ხოლმე ქალს თმებში, შეუკონავდნენ და მერე ისევ უშვებდნენ.

სტეპანს გაახსენდა თარსხანის მონაყოლი ალებსა და ფერიებზე. თუმცა ის იფიცებოდა, ჩემი თვალით მყავს ალი ნანახიო, სტეპანმა მაინც არ დაუჯერა და მის გამონაგონად მიიჩნია ყველაფერი. ზღაპარში ადამიანი იმას იგებს, რისი ნახვაც და განცდაც სინამდვილეში სწყურია, თავისთვის ქმნის ამ ტყუილს, მაგრამ სამწუხაროდ, ცხოვრებაში ყველაფერი სულ სხვანაირად ხდება, ამიტომაც მაშინ არ დაიჯერა სტეპანმა თარსხანის ნათქვამი.

ფერიამ კვლავ დაჰკრა ფეხი თეთრი ქვებით მოკირწყლულ წყლის ფსკერს და ზევით ამოცურდა, გულაღმა ამოტრიალდა, მკლავები გაშალა და თავი უკან გადასწია. სტეპანი შეკრთა: მდინარის ჩქერალიდან გამოკრთა ფერიის თოვლივით ქათქათა მკერდი, ნამის ორი წვეთივით რომ ელავდა მთვარის შუქზე და სტეპანმა უკვე სულ ახლოდან დაინახა ქალის ულამაზესი სხეული. იმწუთას ცაზე თითქოს ყველა მნათობი ჩაქრა და დედამიწაზე უკუნი სიბნელე ჩამოწვა. მაგრამ ყველაფერი ეს ისე წამიერად მოხდა, რომ ქათამი დამთქნარებას ვერ მოასწრებდა. ცა ასევე ერთბაშად ისევ მოიჭედა მილიარდი ვარსკვლავით...

„თუ ერთხელ შეძლებ ფერიას შეპყრობას, იგი სამუდამოდ შენი გახდება", — გაახსენდა უცებ სტეპანს თარსხანის ნათქვამი და წამოდგომა დააპირა, მაგრამ სწორედ ამ დროს, თითქოს მიუხვდა განზრახვასო, ფერია წყლის ტალღებს გამოექცა და სტეპანთან ახლოს ნაპირზე გადმოხტა, მაგრამ სად გაქრა ფერია?! ეს ხომ შურეთია! მან მხოლოდ სამი თვე იცხოვრა ქმარ-

თან და მას შემდეგ ქალის მკვრივ, კენარ სხეულს ღამის პერანგის მეტი აღარაფერი შეხებია.

მზის სხივებით და თბილი ნიავით ნაფერები სხეული, რომელიც მამაკაცების ჟინიან მზერას ველარ უძლებდა და ვნებიანად ცახცახებდა მათ ყოველ შემოხედვაზე. ეს ქალი საკუთარი სხეულის გვემით და ტანჯვით ცდილობდა ამოევსო უფსკრული, მასა და მამაზეციერს შორის რომ გაჩენილიყო. ეს იყო შურეთი, აკუაძბა სასრანის მეუღლე, რომელსაც ორი ტყუპი ბიჭის გარდა, მეტი ვერაფერი დაეტოვებინა ამქვეყნად.

სტეპანისათვის ახლაღა შეიქნა ცხადი, რატომ ვერ შეისმინა ღმერთმა მისი ვედრება — არ მოუსწრაფა სიცოცხლე და არ ჩამოაშორა ამ მტანჯველ და მომქანცველ გზას, რომელსაც ის შესდგომოდა. აი, ახლაც ზის ის ქვაზე, მდინარის პირას და უყურებს შურეთს...

ქალი გაიწვართა და ხელები მთვარის სხივებს შეაგება, თითქოს მის შუქთა ჩრდილი საქორწინო კაბა ყოფილიყოს და სურდა ხელით მოესინჯა მისი სინატიფე, მერე სხივთა ათინათი მთელ სხეულს გადაევლო, ალმასივით ბრჭყვიალა წყლის წვეთები სწყდებოდნენ მის გლუვ კანს და თითქოს დედამიწას გადასცემდნენ ქალის სიმხურვალეს და ვნებიან კანკალს. შურეთმა ხელი გაიწვდინა და იქვე ტოტზე გადაკიდებული პირსახოცი ჩამოიღო, ჯერ სავსე მკერდი შეიმშრალა ფრთხილად, რაღაცნაირი ქალური სიამაყით, მერე თეძოებს მიჰყვა და ბოლოსღა შეიმშრალა აწითლებული სახე...

სტეპანს აღარც კი ახსოვდა, რამდენჯერ კინაღამ გონი არ დაკარგა. იგი ჯერ საშინელი სირცხვილის გრძნობამ და სინდისის ქენჯნამ შეიპყრო, რაც ადამიანს პირუტყვისაგან განასხვავებს, მერე ტანსაცმლისაკენ წაიღო ხელი და გაქცევა დააპირა, არც კი იცოდა საით, მაგრამ მოულოდნელად მასში ნადირის ჟინმა გაიღვიძა და კინაღამ არ ეცა შურეთს, როგორც ვეფხვი თავის მსხვერპლს... ანაზდად მან მთელი სიცხადით

იგრძნო, რომ ამიერიდან მისთვის ქვეყანაზე შურეთის გარდა არავინ არსებობდა.

შურეთი ახლა თავის ნაბადივით სქელ თმას ინურავდა და მღეროდა:

„უა-რაიდა გუშა, ჩემი ცოდვით ქვა იწვის,
ა, რაიდა მიხუა, ბედმა ზურგი მაქცია...“

ირგვლივ იდუმალებით სავსე სიჩუმე გამეფებულიყო, რომელსაც ხამუშ-ხამუშ არღვევდა წყლის ქათმის ყივილი, მაგრამ მათი გნიასი არც შურეთს და არც სტეპანს არ ესმოდათ.

სულ რამდენიმე წუთის წინ სტეპანი აპირებდა მდინარის ანკარა წყლით ჩამოერეცხა ოფლი და ჭუჭყი და მწუხარებაც მისთვის გაეტანებინა, ახლა კი იდგა გუდოუს პირას გახევებული და დაბნეული. იგი გაუბედავად აპარებდა თვალს შურეთისაკენ, რომელსაც აბრეშუმივით თმები ახლა მხრებზე ჩამოშლოდა, შიშველი სხეული კი ისევ მთვარის სხივებისათვის მიეშვირა და თავდავიწყებით მღეროდა... ამწუთას შურეთისათვის არ არსებობდა არც სტეპანი, არც სასრანი, რომელიც დილის ნამივით სწრაფად გაქრა მისი ცხოვრებიდან, როგორც ბავშვობის შორეული სიზმარი. არც შვილები, რომლებსაც ახლა სამზარეულოში ეძინათ ტკბილად ჩახუტებულებს, არავინ ამქვეყნად — მდინარე გუდოუს, მთვარის, ვარსკვლავების, ღამის და სიმღერის გარდა. ის მღეროდა, რათა მისი ხმა მხოლოდ მამაზეციერს გაეგონა, მას რომ ასე შემოსწყრომოდა:

„ტოტს ვკიდე ხელი, ხმელი გამოდგა და ჩამოიმსხვრა,
ნორჩ ყლორტს მოვკიდე, ძირში გადატყდა...
უა რაიდა გუშა, ჩემი ცოდვით ქვა იწვის,
უა რაიდა გუშა, ბედმა ზურგი მაქცია...“

ანაზდად შურეთმა იგრძნო, რომ მიწაზე იდგა და რატომღაც შეცბუნდა, ყური მიუგდო სიჩუმეს, დუმდა ყოველი, მხოლოდ საკუთარი გულის ძგერა ესმოდა, ერთნაირად რომ ჰგავდა წყლისქვეშ კენჭების ხმაურს და რაღაცით აღტაცებულ წყლის ქათმის ყივილს... სტეპანმა შემცბარმა აარიდა თვალი ქალს, მაგრამ დიდხანს ვერ გაძლო და ისევ გაიხედა მისკენ: ჯერ ყელზე შეაჩერა მზერა, მერე ქვევით ჩამოჰყვა, მკერდს დააცივდა ხარბად და ბოლოს მიწას დააკვდა თვალებით. შურეთი, რომლის სულის გამოღვიძებას ვერაფერი და ვერავინ შეძლებდა და, რომლისთვისაც უზენაესის გარდა ამწუთში ამქვეყნად აღარავინ არსებობდა, მღელვარებამ შეიპყრო, პირსახოცი ხელიდან გაუვარდა და მან უნებურად ხელებით სცადა სხეულის დაფარვა, თუმცა ეს იმდენად იყო შესაძლებელი, როგორც წამწამებს ჰგონიათ, თუ თვალებს ჩამოეფარებიან, ამით ვისიმე მზერას აიცილებენ.

„რა მემართება?“ — გაიფიქრა, მერე პირსახოცი აიღო და წელზე მოიხვია, ხელისგულებით კი სცადა მკერდი დაეფარა. თმებმა დაფარეს მისი ზურგი...

მიუხედავად იმისა, რომ სტეპანი ასწლოვანი ხეების ჩრდილში იმალებოდა და თითქმის შეუძლებელი იყო მისი შემჩნევა, მან სირცხვილით სახეალეწილმა ისევ აარიდა მზერა შურეთს. ჯერ ცას შეხედა და გაოცდა, თვალები მოიფშვნიტა, ისევ გაახილა და... არა, მას არ ეჩვენებოდა, იგი ნამდვილად ხედავდა ცაზე სხვა მთვარეს და სხვა ვარსკვლავებს, სულ სხვა სამყაროს რომ ეკუთვნოდნენ. იგი გაქვავდა და ასევე დარჩებოდა სამუდამოდ მის ახლოს რომ ყოფილიყო შურეთი. იგი აქ დარჩებოდა სამუდამოდ. მდინარე გუდოუს პირას, მაგრამ მის გვერდით შურეთი იდგა, რომელიც თუმცა ვერ ხედავდა მას, მაგრამ ტანით გრძნობდა მის არსებობას, როგორც მზე გრძნობს მიწას, ვერ ხედავს, მაგრამ რცხვენია მისი, როგორც ახალგაზრდა პატარძალს თავისი დედამთილისა. შურეთმა აჩქარებით

დაიწყო ჩაცმა, სტეპანი კი მის მიერ ახლად აღმოჩენილ მთვარეს და ვარსკვლავებს მისჩერებოდა. ყურისწამღებად ყიოდა წყლის ქათამი.

მეორე დღეს თარსხანი სახლში დაბრუნდა. ეტყობოდა ცხენსაც და მის პატრონს სიქა გაეძროთ ერთმანეთისთვის.

— მორჩა, დღეის ამას იქით შენთან ერთად სახლიდან ფეხისგამდგმელი აღარა ვარ, მგლის ლუკმავ! — ეუბნებოდა თარსხანი ცხენს, როცა ძლივს ჩამოიტანა უნაგირიდან ფეხები, მჭედლის მარწუხებივით რომ მოღუნვოდა.

— რა მოხდა? შენ არ იძახდი, ჩემს ცხენს უფრო შეიძლება მოსძვრეს ყური, ვიდრე მე უნაგირიდან ჩამოვვარდებიო, — ჰკითხა ქმარს შადიამ, როცა ის ასეთ უმწეო მდგომარეობაში ნახა.

— შენ რა, ვერ დაინახე, ძლივს რომ მომაჩაქჩაქა სახლში?

— სჯობია ასე მოგაჩაქჩაქოს, ვიდრე წელსქვევით მარცხი შეგამთხვიოს!

„ერთი ამას დამიხედეთ, ერთი დღე არ ვიყავი სახლში და თავი უკვე ქვრივი ჰგონია“, — გაიფიქრა თარსხანმა, მაგრამ თქმით აღარაფერი უთქვამს, უფრო არ გათამამდეს ქალიო.

— მოვხსნა უნაგირი? — ჰკითხა სტეპანმა და ცხენს გახედა, რომელიც იმ ძაღლივით იდგა, ძალიან რომ გაურისხდნენ.

— უნაგირი კი არ უნდა მოხადო, ცხელი ტყვია უნდა დაალევინო, ეშმაკმა წაიღოს მაგისი თავი და ტანი! — თქვა გაჯავრებით თარსხანმა და გული მოულბა არა იმიტომ, რომ გვერდით ეგულებოდა კაცი, რომელიც მას მოეხმარებოდა, არამედ იგი ააღელვა სტეპანის გულისხმიერებამ, რომელიც ყოველთვის ცდილობდა რითიმე ესიამოვნებინა მასპინძლისათვის.

— თარსხან, დაღლილი ხარ, ჩექმებს გაგხდი!

— ღმერთი გიშველის, რომელი თავადი არზაყანი მე მნახე, რომ შენ გამხადო ჩექმები!

— მოდი, მოდი, უცებ გაგხდი...

— არა სტეპან, ვიდრე მე შემიძლია საკუთარ თავს მოვემსახურო, ამას არ გავაკეთებინებ არავის. როცა აღარ შემეძლება, მერე ვნახოთ... მადლობელი ვარ, ახლა შენ მითხარი ის, რასაც სასრანი მეტყოდა, ცოცხალი რომ ყოფილიყო. — თარსხანი ჩექმებს იხდიდა და თან სტეპანთან მომავალ საუბარზე ფიქრობდა. რაც შეეხება სტეპანს, აღარც მას დაუჟინებია. იმიტომ კი არა, რომ თვითონაც გულში უკადრისად მიაჩნდა მასპინძლისათვის ასეთი სამსახურის გაწევა, არა, მას უბრალოდ მიაჩნდა, რომ როცა ადამიანს არ გააკეთებინებ იმას, რისი გაკეთებაც თვითონ სურს, ეს იმის ტოლფასია, რომ რაღაც მოპარო მას.

— ახლა რომ შიბგა აქ ყოფილიყო, უნდა ეთქვა — აცალეთ ცოტა, მოისვენოსო, მაგრამ ის ეზოში დაბორიალობს ალბათ და ღმერთმა იცის, რას აკეთებს... ეხ, რა დრო დადგა...

— გატყობ შენ და შენი ბედაური ძალიან შემომწყრალხართ ერთმანეთს.

— უჰ, მაგისი... — აღარ დაამთავრა თარსხანმა, რადგან იცოდა, რომ სტეპანი ვერ იტანდა წყევლა-კრულვას და სხვა ამისთანებს, — ვერა და ვერ შეეგუა მანქანას, სულ ყალყზე დგება...

— ამბობენ, ცხოველებში ცხენი ყველაზე ჭკვიანიაო.

— მართალია, მაგრამ მაინც...

— ალბათ გრძნობენ, რომ ყავლი გაუდით.

— ეშმაკმა წაიღოს მაგისი თავი და ტანი! — ველარ მოითმინა და მაინც შეიკურთხა თარსხანმა. — ძველად იყო ვიწრო, მყუდრო ბილიკები, შუკები, ღომიც ყველას სამყოფი იყო ტაბლაზე, ახლა ადამიანი ხარბი გახდა და გაუმაძღარი. სადღაა ახლა ბილიკები, ყველგან ფართო შარაგზებია გაჭიმული, გახვალ გარეთ და ამ შეჩვენებულს მანქანის დანახვაზე ელეთმელეთი მოსდის, გიჟდება, ლამის გაცოფდეს.

— ალბათ ხვდება, რომ მალე აღარავის დასჭირდება და განიცდის.

— უნდა ადგეს კაცი და ჩააბაროს ეგ სამგლე საყასბოში, ძეხვს თუღა გამოადნობ მაგისგან, ჩვენ კი ვიაროთ ფეხით იაზასავით, სანამ მუხლები კანკალს არ დაგვიწყებს და ფერდები არ აგვტკივდება, — თქვა თარსხანმა და თავის ჩექმებს გადახედა, დასაკლავად გამზადებულ ყინწგადაგდებულ წიწილასავით რომ დაღრეცილიყვნენ აქეთ-იქით.

ამ სიტყვების გამგონე მამსირი, თარსხანის მამა, ნამდვილად გადაბრუნდებოდა საფლავში, თითქოს ქურანმაც გაიგო, რომ საყასბოში აბარებდნენ და ერთი ისეთი დაიჭიხვინა და შეიყალყა, რომ კინაღამ უნაგირი გადაიძრო, ისეთი ჩხარაჩხური აუტეხა უზანგებს.

ამბობენ, რომ მამსირი, რომელიც ცხენებს „თურქულასაგან" კურნავდა, წამალს ჯერ თავის შვილებს აძლევდა, მერე ცხენებს. კაცმა არ იცის, მართალი იყო ეს თუ არა, ჭორიკანებს რა გამოლევს ამქვეყნად, ერთს კი დაჯერებით ამბობდნენ, რომ ცხონებულ მამსირს ძალიან ყვარებია პირუტყვი, ცხენები განსაკუთრებით. ჰოდა, აბა წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდებოდა საწყალი მამსირი საფლავში, როცა მისი შვილი ცხენს საყასბოში გააგზავნიდა.

„ალბათ ხვდება, რომ მაგის დრო წავიდაო," — დაიმახსოვრა თარსხანმა სტეპანის ნათქვამი. — „ნეტავი, რას გულისხმობს ეს კაცი?"

— მამა, რას აკეთებდა პაპაჩემი, როცა ცოცხალი იყო, ალბათ თოხი და ბარი არ გაუგდია ხელიდან! არ სჯობდა წაეკითხა უაზ-აბას წიგნი და და ჩაეთქვა, რომ მის შვილიშვილს ცაში ეფრინა?

— რას ამბობ, სულელო, მე და შენ რომ იმდენის გაკეთება შევძლოთ, რაც პაპაშენმა შეძლო, ხალხი გმირებად შეგვრაცხდა.

— აბა, რა დაგვიტოვა პაპამ, ერთი, ეგერ, ის „ჩერკესკა". ისიც უკვე ჩრჩილმა შეჭამა...

— სახელი და დიდება, შვილო, — მიუგო თარსხანმა და, რადგან წინასწარ იცოდა, რომ შიბგა ამ პასუხით არ დაკმაყოფილდებოდა, დაუმატა: — პაპაშენი შეუდარებელი მხედარი იყო, დოღში ყველაზე სწრაფი ჯირითის დროს, მიწიდან ვერცხლის მანეთიანის აღებას ასწრებდა.

შიბგა, რომელსაც კითხვები არასოდეს ელეოდა, გაყუჩდა და ჩაფიქრდა. „დოღის დროს ვერცხლის მანეთიანის აღებას ასწრებდა პაპაჩემი?“ — ეკითხებოდა საკუთარ თავს, ეტყობა ბოლომდე ვერ გაეგო მამის ნათქვამის მნიშვნელობა.

ბავშვი, რომლის გონებაც ჯერ არ დანაგვიანებულიყო ცხოვრების ათასგვარი ხრიკით და ეშმაკობით, თავისებურად აანალიზებდა შთაბეჭდილებებს, მის სრულიად ნორჩ გონებაზე რომ მოეხდინა ცხოვრებას. აი, მას თვალწინ წარმოუდგა ქალაქი აგა: გაზიანი წყალი, გრძელი, ბრჭყვიალა ქაღალდებში გახვეული ფოჩიანი კანფეტები, შავი ციმბირის წყლულით დაავადებული კამეჩები, ჭრელ- ჭრელა ტანსაცმელში გამოწყობილი ბოშები, შინაბერა ქალებს ფულს რომ სცინცლავდნენ დღისით-მზისით და ბოლოს მანეთიანი, მამამისმა მათხოვარს რომ ჩაუგდო ქუდში.

— მამა!

— დაიწყე ისევ, ხომ?

— არა, მაგრამ, იცი რა...

— რაო, რისი თქმა გინდა?

— პაპაჩემი მათხოვარი იყო?

— საიდან მოიტანე, ბიჭო?

— შენ არ თქვი, რომ მან მიწაზე დაგდებული მანეთიანი აიღო?

თარსხანი შეცბა, ხმა ვეღარ ამოიღო, შვილის ნათქვამმა დააბნია, აღარ იცოდა რა ეპასუხა და ჩაფიქრდა. მან წამით წარმოიდგინა თავისი ადგილი ორ თაობას — მამამისსა და შვილს შორის. თუ მამსირი, თარსხანის მამა, თვალს აარიდებ-

და შვილის აკვანს და მოუთმენლად გასწევდა საჯინიბოსაკენ, ის კი, თარსხანი, მზად იყო სრულიად მშვიდად ჩაებარებინა თავისი ცხენი საყასბოში. „შიბგა? ის მთელი დღე ეზოშია, გადის და გამოდის დამპალ მორზე, რომელიც ისეთი ნესტიანია, რომ ბუხარშიც კი ვერ შეუკეთებ და ხელებს აფართხუნებს, ვითომ უნდა გაფრინდეს, ამ დღეშია დილიდან საღამომდე, ვიდრე ქანცი არ გამოელევა და ხელები მოტეხილი ფრთებივით არ ჩამოუცვივა და მინდორში მობალახე ქურანს მგელიც რომ დაეტანოს და ლუკმა-ლუკმა დაგლეჯა დაუპიროს, საშველად მურია ძაღლსაც კი არ დაუძახებს, ისე შეაჭმევს მგელს ცხენს".

თუმცა თარსხანმა კარგად იცოდა, რომ ყველა კაცი თავისი დროის შვილი იყო და სხვა დროში, ძალიანაც რომ მოინადინო, მაინც ვერ ამოაყოფინებ თავს, მაგრამ მიუხედავად თანდაყოლილი გამჭრიახობისა, ბოლომდე მაინც ვერ ხვდებოდა, რა ხდებოდა სინამდვილეში. თარსხანს ბრაზს ჰგვრიდა ბუნების კანონები, რომლებიც მის ნება-სურვილს არ ემორჩილებოდნენ და ხანდახან სურვილი უჩნდებოდა ჭეშმარიტების გაბნეული ნაპერწკლები მუჭში მოექცია და შემდეგ ხელისგულზე დადებული ეს ყველაფერი კარგად გაესინჯა, რათა ჩასწვდომოდა უმაღლეს ჭეშმარიტებას, მაგრამ ვერასოდეს ვერ მოახერხა მათი მუჭში მოქცევა, არ ეტეოდნენ ეს ნაპერწკლები მის ხელისგულზე და რომც დატეულიყვნენ, სულერთია იგი მაინც ვერ შეძლებდა მათ გაერთიანებას, ერთად შეკვრას, რადგანაც ჭეშმარიტების პატარ-პატარა ნამცეცები ქვიშასავით უსხლტებოდა თითებშუა...

თარსხანს საბოლოოდ გაუფუჭდა გუნება. შადიამ თავისი სიტყვებით შელახა მისი მამაკაცური თავმოყვარეობა. თვითონაც რომ ვეღარაფერი უთხრა პასუხად! ნირწამხდარი ტახტზე ისე მიესვენა, როგორც ჩიტი, სხვის ბუდეში რომ მოხვდება ბედის წყალობით. ხელები თავქვეშ ამოიდო და მალე სხეულში სასიამოვნო სითბო ჩაეღვარა.

მაინც რა ტკბილია სიცოცხლე და რამდენად უფრო ბედნიერი იქნებოდა ადამიანი, გაჩენის დღიდანვე სიკვდილის აჩრდილი თავს რომ არ დასტრიალებდეს... მეტისმეტად ხანმოკლეა კაცის ცხოვრება, მაგრამ რას იზამ, შემოქმედს მეტი ხნის სიცოცხლე ვერ გაუმეტებია მისთვის და მაინც, მას არაფერი აქვს ბედთან სამდურავი. უფროსიც და უმცროსიც პატივს სცემს მას, აფასებენ, მის სიტყვას გასავალი აქვს. „და თუ ვინმე მოშურნე და მტერი მყავს, ღმერთი მიუზღავს მათ სამაგიეროს“, — გაიფიქრა თარსხანმა და უკვე დამშვიდებულმა და გახალისებულმა ტკბილი ზმორებით გვერდი იცვალა ტახტზე.

— ეი! — გასძახა ცოლს და თვითონვე ეუცხოვა თავისი ხმა.

— რაღაც შენი ხმა განსვენებულ ყაზილბაქ ჩაჩბას ხმას მაგონებს, მაგის მოსვლამდე არაფერი გეტკინოს, — გაეპასუხა მეუღლე.

— თავის ბატონის ძახილი მსახურს საიქიოშიც უნდა ესმოდეს!

— გისმენ, ჩემო ბატონო! — ცქვიტად შემოტრიალდა კარში შადია, რომელიც აქამდე ოდნავ იყო შეღებული, იქნებ ქმარს რაიმე დასჭირდეს და არ გამომეპაროსო. ახლა ქალმა კარი ფართოდ გააღო და თარსხანს თვალებში შესცინა.

„ქალმა თუ ენა შეგაჩვია, შენ რომ ერთს ეტყვი, ის ათს გეტყვის“, — გაიფიქრა თავისთვის თარსხანმა, მაგრამ ამჯერად ხელი აიღო ცოლის დასჯაზე, რადგანაც ძლივს ხასიათზე მოსულს აღარ უნდოდა გუნება საბოლოოდ გაფუჭებოდა.

— მისმენ თუ არა, თავადის ქალო?

— გისმენ, ბატონო.

— აი, რას გეტყვი, შეგვიწვი წიწილა, მოხარშე ღომი, ალუჩის საწებელა არ დაგავიწყდეს. ეს ერთი. მეორე: დაუძახე შაზინას, ფეხის თითები დამიზილოს და ბოლოს... ჰო, მართლა, ის ეშმაკის ფეხი შიბგა სად არის?

— აგერ ეზოში, მორზე ზის.

— უთხარი ახლავე აავსოს ხელადა ღვინით და ცივ წყალში ჩადგას. სტეპანს კი გადაეცი, რომ უკვე შეიძლება მოხსნას ცხენს უნაგირი. გასაგებია?!

— მორჩი? ახლა მე მომისმინე, ჩემო ბატონო! — თქვა შადიამ, ქმრის გვერდით ტახტზე ჩამოჯდა და ხელები მკერდზე გადაიჭდო. — თუ ერთი წიწილა მაინც დამიდიოდეს ეზოში, მის დედლად ქცევას ვერ მოვესწრო. ვიცი, რომ გჯერა, რასაც გეუბნები, ღომის მომზადება მე არ მეზარება, მაგრამ სახლში ერთი მუჭა ფქვილი თუ მეგულებოდეს, მიწა გამისკდეს და თან ჩამიტანოს; გამხმარი ალუჩა კი ინდაურებს შეუჭამიათ, აბა, გაიხედე ეზოში, ალბათ ამიტომაც ყრიან ცოცხალ-მკვდრები და კისერგადატეხილები სახლის უკან. ღვინო რომ ახსენე, მე თვითონ მომინდა შენთვის ჭიქა მომეჭახუნებინა, მაგრამ გამახსენდა, რომ ჩვენი ქვევრი გატეხილია და ამომშრალა...

— კმარა! — შეაწყვეტინა თარსხანმა მეუღლეს, რომელსაც ენაც და გონებაც ერთნაირად უჭრიდა.

„არა უშავს, ხომ გამოვაძღე ცარიელი სიტყვებით, — გაიფიქრა შადიამ, — სხვა დროსაც ასე მოვიქცევი!“ — და ერთხანს დააპირა ქმრისთვისაც ეთქვა იგივე, მაგრამ დროზე მოთოკა თავი, როგორც მხედარი ალაგმავს ხოლმე ჯირითის დროს ფიცხ ბედაურს.

შადია სწორედ მოიქცა, თავი რომ შეიკავა: როცა თარსხანს შუბლზე ძარღვი დაებერებოდა ხოლმე, მან უკვე იცოდა, რომ სადაცაა მეხი გავარდებოდა.

„ერთი თვე ხმას აღარ ამოვიღებ, ოღონდ დღევანდელი დღე ჩხუბით არ დამთავრდეს, — შიშით გაიფიქრა შადიამ და ტახტიდან ნელა წამოდგა. — ახლა ავდგები და გადაბერებულ დედალს დავკლავ, იმყოფინონ, როგორც უნდათ, ყველიც უკვე შემხმარა, ჰოდა ელარჯს გავაკეთებ!“ მას უნდოდა ქმრისთვის ეგრძნობინებინა, რომ იხუმრა, მკვირცხლად შეტრიალდა და გავიდა ოთახიდან.

ელვა კი გაიკლაკნა, მაგრამ საბედნიეროდ მას მეხი არ მოჰყოლია. ლურჯი ძარღვი თარსხანის შუბლზე დაპატარავდა და მისი სახე ისე განათდა, როგორც სალი კლდე, ნისლისაგან რომ გაინთავისუფლა თავი.

„ქალს არ უნდა მისცე უფლება, ახლოს მოვიდეს შენთან, გული არ უნდა გადაუშალო და სულის კუნჭულში არ უნდა ჩაახედო, — არწმუნებდა საკუთარ თავს თარსხანი, — ქალის ნდობა ისევე არ შეიძლება, როგორც არ შეიძლება ენდო იარაღს. რაც თავი ახსოვს სანდროს, ყოველთვის ატარებდა რევოლვერს. როცა იარაღი ჩამოართვეს, მან მიატოვა ოჯახი და ქალაქში, მილიციაში დაიწყო სამსახური. ახლახანს, უკვე მოხუცებულმა იარაღის გაწმენდა მოინდომა, ლულა ჩვრით გაწმინდა და მერე ცალი თვალით გახედა. რევოლვერში კი თურმე ტყვია ჩარჩენილიყო და სწორედ მაშინ, როცა სანდრო შიგ იყურებოდა, მოულოდნელად გავარდა და სანდრო ცალ თვალს სამუდამოდ გამოეთხოვა. საწყალი! ორი თვალით უჭირდა თვალი გაესწორებინა წუთისოფლისთვის და ახლა რა დღეში ჩავარდებოდა საცოდავი. აი, რა იცის წინდაუხედაობამ". თავისი თავით კმაყოფილმა თარსხანმა ულვაშებზე ხელი გადაისვა.

ადამიანს ბევრი რამ ბეზრდება ცხოვრებაში, გარდა სიცოცხლისა. თარსხანსაც მოსწყინდა ტახტზე ერთ გვერდზე წოლა და კვლავ იცვალა გვერდი. ამ დროს თვალი მოჰკრა შადიას, რომელიც ინდაურებს სიმინდს უფხვნიდა.

თარსხანს შეეცოდა მეუღლე: ჯერ ერთი იმიტომ, რომ იგი ღმერთმა ქალად გააჩინა, მეორეც, აგერ ინდაურს საკენკს უყრის და თან ტკბილად მღერის, ინდაური კი წამოყელყელავდა და ქალს ისე მაგრად ჩასცხო ნისკარტი თავში, რომ თარსხანს გული მოეწურა. ჯერ გული შეეკუმშა, მერე და მერე თავშიც შეუღიტინა ამ აზრმა, ერთი პირობა წამოდგომაც დააპირა, მაგრამ ანაზდად ხელისგულზე დაიხედა და შეყოყმანდა: თარსხანი მართალი იყო, რასაც ფიქრობდა მეუღლეზე. აი,

თითები, არც ერთი არ ჰგავს ერთმანეთს, ისინი ერთმანეთზე გრძელები ჩანდნენ და სიმსხოც სხვადასხვანაირი ჰქონდათ.

„რას იზამ, — გაიფიქრა თარსხანმა, — ასეთია ბუნების მტკიცე კანონი, ეტყობა, ისეა მოწყობილი სამყარო, რომ თითებიც კი სხვადასხვა ზომისა გვაქვს ხელზე".

შადია ფეხაკრეფით მიეპარა ორ მოზრდილ დედალს, მოხერხებულად დაიჭირა და ფეხები გაუკრა. ცოტა ხანს ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია, უყურებდა ქათმებს წვრილ, სულელურად მომზირალ თვალებში და ეცოდებოდა. თან ვერ მოეფიქრებინა, როგორ ეთქვა სტეპანისთვის, ისე დამიკალი, რომ მე ვერ დავინახოო, ან სად იცოდა მან ამდენი რუსული.

ქათმებმა კრიახი დაიწყეს. ხმაურზე სტეპანმა თავი ასწია. ის კარის ზღურბლზე იჯდა, სახით იდაყვს დაყრდნობოდა და სევდიანად უმზერდა შურეთის ეზოს.

— სტეპან, სტეპან, უარა მიჟდა! — აფხაზურად დაუძახა შადიამ სტეპანს.

სტეპანი მაშინვე მიხვდა რასაც სთხოვდა შადია და წამოდგა.

„ვინ იფიქრებდა, რომ ეს კაცი ასე გამოიცვლებოდა, — გაიფიქრა შადიამ და თავისი გამჭოლი მზერა ესროლა სტეპანს. — სულ ახლახანს არ იყო, რომ გაბურძგნული თმა-წვერიდან სახეც არ უჩანდა... ახლა კი პირდაპირ გოლიათს ჰგავს".

სტეპანი კიბეზე იდგა და ჩამავალ მზეზე თვალები უციმციმებდა. შადიამ ისევ გაიხედა ქვეშ-ქვეშ მისკენ, მაგრამ მაშინვე აარიდა თვალი და ახლა ქმრისკენ გაიხედა.

— სტეპან, უარა მიჟდა! — გაიმეორა შადიამ და ხმაზე ისევ დაეტყო, რომ ძალიან ეცოდებოდა დასაკლავად განწირული საბრალო ქათმები.

„უბეი!" — თქვა სტეპანმა და უკეთ რომ გაეგებინებინა ქალისთვის ნათქვამის აზრი, ხელი მკერდზე დაიდო.

— როცა სუფრაზე შემოაქვთ ახლად მოხარშული, მაშინ ხომ კარგად მიირთმევ? — ათასგვარი ნიშნებით შეეცადა გამოეხატა თავისი სათქმელი.

— ეს სხვა საქმეა, შადია, — მიუხვდა ნათქვამს სტეპანი, — მაგიდაზე მოტანილ შემწვარ-მოხრაკულის დანახვაზე ვილას ახსოვს როგორი იყო ის, პატარა ვარია, დედალი თუ მამლაყინწა? სუფრაზე კაცი იმაზეა გამეცადინებული, რაც შეიძლება უკეთესი ნაჭერი ჩაიგდოს ხელში და არჩევანშია, მაყვლის საწებელათი მიირთვას თუ ალუჩისა.

— დღეს კარგად გამოიყურები და ენასაც იმიტომ ველარ აჩერებ, — თქვა შადიამ აფხაზურად, თუმცა ბევრი ვერაფერი გაიგო სტეპანის ნათქვამიდან, — საქმე საქმეზე რომ მიდგება, ქათმის დაკვლაც კი არ შეგიძლია, — ჩაიბუზღუნა და ისეთი ქალური სიამაყით გაიარა, გათხოვების დღიდან რომ აღარ გაუვლია. იგი პირდაპირ ქმრისკენ გაემართა, რითაც სურდა ეგრძნობინებინა, რომ მასზე უკეთესი ვაჟკაცი სხვა არავინ ეგულებოდა.

„ძველად, როცა ჩვენი მხარის თავადი ცხენზე ამხედრებული სადმე ჯარობაზე მიდიოდა, გლეხის ბიჭი ჩიჟი გვერდით მისდევდა ფეხშიშველი, ახლა კი პირიქით, ჩიჟი კარგ ბედაურზე ამხედრებულა, იმ თავადის შვილი კი უკან მიჰყვება ფეხათრევით — აი, როგორ იცვლება დრო! — ჩაილაპარაკა თავისთვის თარსხანმა და ისევ გადაბრუნდა ტახტზე. გულში კი გაიფიქრა: „მართალია ჩემი მეუღლე, მე მართლა თავადი ყაზილბაქ აჩბასავით ვიქცევი!"

თარსხანს ტყუილად არ გახსენებია თავადი და ჩიჟი... ის რომ ასე ძალიან არ დაღლილიყო მგზავრობით, ალბათ ასეთი ნეტარებით არ მიესვენებოდა ტახტზე. მას სიამოვნებდა, რომ შადიამ წიწილის ნაცვლად ორი მოზრდილი დაკლა, შაზინამ წინდები შეუმჩნევლად გახადა და გარეცხა, შიბგამ ხელადა ღვინით აავსო და წყალში ჩადგა გასაციებლად, სტეპანმა კი ცხენს უნაგირი მოხადა და ეზოში მიუშვა საბალახოდ.

ამ განცხრომაში იყო თარსხანი, რომ გაახსენდა შემთხვევა, ერთ ქორწილში ყოფნისას რომ გადახდა თავს. ჯერ ულვაშებ-

ში ჩაელიმა, მერე ღრმად ჩამჯდარ თვალებში ჭინკები აუთამაშდნენ და უცებ სიცილი წასკდა. მას თვალწინ წარმოუდგა განიერ, ფართხუნა შარვალში გამოწყობილი დაბალი, კაცაკუინას შვილიშვილი, რომლისთვისაც ადრე რომ შეგეხედათ, იტყოდით, ეს არის, ვინც არისო. თავი ისე ეჭირა, თუ მოვინდომე ამ დედამიწას ლუდის კათხასავით ხელში შევათამაშებო, რამდენიმე ხნის წინ კი კუნა მეწისქვილის თანაშემწედ დანიშნეს კოლმეურნეობის გამგეობის კრებაზე...

— გისმენ, ძვირფასო კუნა! — უთხრა მაშინ თარსხან აკუაძბამ ახლად გამომცხვარ მეწისქვილეს და ისე გადმოხედა, როგორც ერცახუს წვერზე შემომჯდარმა არწივმა.

— ერთი შეკითხვა მაქვს თქვენთან!

— მკითხე, ძვირფასო კუნა, ადამიანი რჩევას ხანდახან იმ ჯოხსაც კი ეკითხება, ხელში რომ უჭირავს.

— მთელი დღე ვუყურებ და ვერასდიდებით ვერ გავიგე, რა ჰქვია ამათ...

— რა ვერ გაიგე, ძვირფასო კუნა?

— რა არის ეს, თარსხან, — თქვა კუნამ, ფეხის წვერებზე აიწია, ძლივს მისწვდა თარსხანს მკერდამდე და თითი საყელოსთან მიუტანა.

— რა ჰქვია ამ წვრილ, მრგვალ რაღაცას, საყელო რომ შეგიკრავს?

„ვაი შე უბედურო!“ — გაიფიქრა თავისთვის თარსხანმა, მაგრამ ცოდვით ვერაფერი უთხრა და ერთიანად ფქვილში ამოგანგლულ მხარზე დაადო ხელი.

— გეტყვი, როგორ არ გეტყვი, ძვირფასო კუნა! — ალერსიანად უთხრა თარსხანმა ამ გასაცოდავებულ არსებას, მერე მხრები შეათამაშა და ჩოხა შეისწორა ტანზე.

— მაგრამ ჯერ მე შეგეკითხები ერთ რამეს და უნდა მიპასუხო...

— მე აბა რა უნდა გითხრა, არაფერი არ ვიცი...

— შენ რაღაც-რაღაცები იცი, მაგრამ... აბა მითხარი, ეს რა არის? — თარსხანმა ჩოხის ქვემოდან ალისფერი ხალათი გამოაჩინა.

— გეფიცები, არ ვიცი!

— კარგი, მაშ ეს მითხარი, ამას რა ჰქვია! — ჰკითხა ისევ თარსხანმა და ჩოხის ქილებზე დაიდო ხელი.

— წინაპართა საფლავებს გეფიცები, არასოდეს არავის უთქვამს ჩემთვის, რა არის ეს!

— ვაი შენს პატრონს უბედურს! — უნდოდა ეთქვა თარსხანს, მაგრამ მაინც შეიკავა თავი.

— ძვირფასო კუნა! — თქვა თარსხანმა და ისე ამოიოხრა, შიბგა რომ სულს აღარ მოათქმევინებდა ხოლმე თავისი შეკითხვებით. — მე არ მეზარება, სიამოვნებით გაგცემდი პასუხს ყველა კითხვაზე, მაგრამ რაში გამოგადგება ეს ყველაფერი, როცა საერთოდ არაფერი იცი?

— სამწუხაროდ, მართალი ხარ, — თავი ჩაღუნა კუნამ და იქიდან წაფრატუნდა.

თარსხანს, რომელსაც ამ მოგონებამ დიდი სიამოვნება მოჰგვარა, ულვაშებში ეღიმებოდა.

— შენ რა, საკუთარ თავს უცინი? რა ეშმაკი შეგიძვრა? — შადია ამაყად შემოვიდა ოთახში, რადგან მან შეასრულა ქმრის ბრძანება და ახლა, რაკი ოჯახის უფროსს კარგ ხასიათზე ხედავდა, წაეთამამა.

— იცი რა? — რაღაცის თქმა დააპირა თარსხანმა და ტახტზე წამოჯდა.

— წყალი უკვე დულს, — შეაწყვეტინა შადიამ.

— სტეპანი რაღა იქნა?

— შურეთის ეზოში ბალახებს ითვლის!

თარსხანი შეცბა, თითქოს სახრე გადაუჭირესო, ბოლმა მოაწვა და მოიღუშა. მისი ნამგალივით მორკალული წარბები კიდევ უფრო მომშვილდდა და შადიას მიაშტერდა.

— წყალი ადუღდა, — გაიმეორა შადიამ, რომელმაც გადაწყვიტა არ შეპუებოდა ქმარს.

— ადუღდა და ჩაყარე ეგ ქათმები ცოცხლად შიგ! — თარსხანის ხმაში გაღიზიანება იგრძნობოდა, წარბები კი კვლავ ავისმომასწავებლად უთამაშებდა.

შადიას ტანში ცივად დაჭინჭრა. „მიშველეთ, ხალხო, ვერ ხედავთ, რა უბედურება ტრიალებს ჩვენს თავზე!“ — კინაღამ არ იყვირა, როცა ქმრის გაალმასებულ სახეს შეხედა.

— ჰო, ცოცხლად ჩაყარე-მეთქი... — გაიმეორა თარსხანმა.

— ესენი წიწილები ხომ არ არიან, დედლებია, — თქვა შადიამ ისე, რომ ქმრისთვის თვალი არ მოუშორებია.

თუ არ ჩავთვლით თარსხანის შუბლზე შეჭმუხნულ წარბებს, ყველაფერი დანარჩენი თითქოს რიგზე იყო. წყალი ქვაბში უკვე დუღდა, ქათმები იმედგადაწურულები შესცქეროდნენ გალესილ დანას, შიბგა ისევ ღვინით სავსე ხელადასთან ტრიალებდა, ხოლო სტეპანს უკვე დაეთვალა ბალახის სათითაო ღერი შურეთის ეზოში, ახლა ცხენი უნდოდა დაებინავებინა თავლაში და მერე გასეირნებას აპირებდა.

ეს ცვალებადი სამყარო ყველას თანაბრად ეკუთვნის. ყველანი მისი შვილები ვართ, გასაყოფი რა გვაქვს? ხომ ვერ დააბრალებ მეორე ადამიანს იმას, რომ მან მზე თავისკენ შეატრიალა და შენ სიბნელეში დაგტოვა, ან პირიქით — ღრუბლები თავისკენ გაირეკა და შენ პაპანაქება სიცხეში უწყლოდ დაგტოვა?

აი, თუნდაც მთვარე, რამდენ ვინმეს დაუკვეხნია რაინდობა, მაგრამ რომელ მათგანს მოუწადინებია ხელი მიეწვდინა მისთვის და როგორც კალენდრის ფურცელი, მოეწყვიტა ცის კაბადონიდან? ათადან-ბაბადან იგი მშვიდად მოცურავს ცაზე, ჩვენი შორეული წინაპრები უყურებდნენ მას და ოხრავდნენ, როგორც ჩვენ ვოხრავთ დღეს, როცა ვუყურებთ, როგორ მირონინებს ცაზე ღამით სავსე მთვარე... ალბათ, ასეთივე ოხ-

ვრა აღმოხდებათ ჩვენს შთამომავლებს... არავინ იტყვის სამდურავს, ამან და ამან კუბოში ჩემი ადგილი დაიკავაო. ლამაზი ქალის სიმშვენიერით ყველას თანაბრად უნდა დატკბეს, ეს სილამაზე ყველას ეკუთვნის, როგორც ცა ყველა მნათობს. მაგრამ ეს ყველაფერი ერთი შეხედვით გვეჩვენება ასე, ვიდრე ეს ქალი იმდენ აჯიკას არ დაგამხობს თავზე, მთელ სოფელს რომ გაუმწარებდა პირს... და აი მაშინ, როგორც გიჟი, რომელსაც ერთბაშად დაუბრუნდა საღი გონება, ჩახვდები, რა ცრუ ყოფილა ეს სოფელი! მიხვდები, რომ ყოველ ადამიანს საკუთარი მზე დაჰნათის თავზე და მისი მზე ნაკლებად ათბობს მეორე ადამიანს. მთვარე, რომლის ყურებითაც შენი პაპა-ბებია ტკბებოდნენ, იმათ სიცოცხლესთან ერთად ჩაინავლა და შენ რომც არ მოგესურვებინა სხვის მაგივრად ჩაწოლილიყავი კუბოში, ის სხვა მაინც არ დაგითმობდა ადგილს და, რაც არ უნდა ძნელად ეგუებოდე ამ აზრს, შენ ცხოვრებისგან მიიღებ იმას, რაც ბედმა გარგუნა და არც ერთ მისხალ ზედმეტს... და როგორც არ უნდა ეცადო, მაინც ვერაფერს შეცვლი, მაგრამ თანდათან გარკვევით დაინახავ უბირი ადამიანისათვის უხილავ საზღვრებს, რომელიც ადამიანმა, ჩასწვდა რა ბუნების იდუმალ კუნჭულებს, თავის თვისტომთა შორის აღმართა.

იმ დროისათვის, როცა შურეთი პირველად შეხვდა სასრანს, მას უკვე მთელი სოფლის ბიჭები დასდევდნენ. ზოგი სწავლობდა, ზოგი მუშაობდა, ერთნი შესახედაობით გამოირჩეოდნენ, მეორენი აღნაგობით, ზოგიც ჩოფურა იყო, მაგრამ მდიდარი... ერთი რომ მოდიოდა, მეორე უკვე ეზოდან გადიოდა, მესამე მაჭანკლებს გზავნიდა, ხოლო ისინი, ვისაც ენა სამართებელივით ჰქონდა ალესილი, თვითონ მიდიოდნენ შურეთის ხელის სათხოვნელად. იმ დროს შურეთს სჯეროდა, რომ ის ჩიტივით თავისუფალი იყო და ვინც თვითონ მოუვიდოდა თვალში, იმას მისთხოვდებოდა.

მაგრამ...

მაშინ სასრანი ქალაქში სწავლობდა თამბაქოს დამზადების ტექნოლოგიას. ერთხელ ის და მისი თანაკურსელები ტექნიკუმის ეზოდან გამოსვლისას ჭიშკარში შურეთს გადაეყარნენ, სწორედ იმ დროს, როცა ახალგაზრდები გაცხარებული კამათობდნენ იმის შესახებ, ეწეოდა თუ არა თუთუნს ჩარლზ დარვინი!

— შურეთ!

შურეთმა ნაბიჯი შეანელა, მაგრამ არ შეჩერებულა, თუმცა ხმაზე იცნო იურა, თავისი შორეული ნათესავი ბებიის მხრიდან. შეხედულებით, თავდაჭერით და ელეგანტური ჩაცმა-დახურვის წყალობით ის, როგორც ჩვენთან იტყვიან, ღვთის მოციქულს ჰგავდა. იურა რომ წარედგინათ ქალიშვილის წინაშე, რომელიც თვლიდა, რომ ამქვეყნად მისი შესაფერისი არავინ დადიოდა და გულისსწორს ცაში, სხვა პლანეტაზე ეძებდა, ისიც კი ვერ გაუძლებდა ასეთი ჭაბუკის შემოხედვას და მის გულს ერთბაშად შესძრავდა სიყვარულის სასწაულმოქმედი ძალა და თუ ის დროზე არ გაუწვდიდა ხელს ამ ქალიშვილს, მაშინ მას ნორჩი გული, რომელიც სიყვარულისათვის, ოჯახისთვის, სიხარულისა და ბედნიერებისთვის ძგერდა, ბუდიდან ამოუვარდებოდა და უფსკრულში შთაინთქმებოდა.

ასე დაემართა შურეთსაც, როცა იურამ პირველად შეაღო მისი სახლის კარი, მაგრამ შურეთის დედა ზიზა ბრძენი ქალი იყო და ყველაფერს უმალ მიხვდა. მან მაშინვე შეაშველა თავისი ხელი გოგონას აქოთქოთებულ გულს და ხელისგულზე დაიდო, როგორც ახლად გამოჩეკილი, ჯერ კიდევ დაუბუმბლავი ბარტყი, გარდაუვალ სიკვდილს რომ გადარჩა; ის მოეფერა, დაუყვავა მას, ხოლო გოგონას გულმა ძლივს გასაგონად დაიწივწივა: „რა ხდება, რა დამემართა?"

„დედამიწაზე არც ანიხია და არც ღმერთი, არსებობს მხოლოდ სისხლი, მონათესავე სისხლი, ნან! — თქვა მაშინ ზიზამ. — ეს აყლაყუდა კი ჩემი უბედური დედის ღვიძლი ძმის ცოლის

— ხანუმის ბიძაშვილის შვილია... თქვენ ერთი სისხლი გიდუღთ ძარღვებში, ერთი კვერცხიდან, ერთი ბუდიდან ხართ ორივენი ამოფრენილები!"

შურეთი ალბათ მაინც გახარებული იყო, რომ მას ასეთი ძმა გამოუჩნდა. დედამისმა ისეთი თავსატეხი გაუჩინა თავის ქალიშვილს, რომ გოგოს რამდენიმე ღამე თეთრად გაათენებინა. დაე, ღმერთმა შეუნდოს მას ამისთვის. ამის შემდეგ ახალგაზრდები, თუმცა ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, გრძნობებიც ძველებურად ბობოქრობდნენ, მაგრამ მათ უკვე ღრმად ჩაებეჭდათ გონებაში, რომ ისინი სისხლით ნათესავები იყვნენ და არასოდეს არც ერთი წუთითაც არ შეუბღალავთ მათ ეს წმიდათაწმიდა გრძნობა.

რას განიცდიდა თვითონ იურა?

ის ჩვეულებრივი სოფლელი ბიჭი გახლდათ, თუმცა შესახედაობით ღვთის მოციქულს ჰგავდა.

თავიდან იურას ეჩვენებოდა, რომ ქალაქში ყველა სახლი, პირველ რიგში კი ზიზასი, ცას ებჯინებოდა სახურავებით, ფესვები კი ღრმად ჩაზრდოდათ მიწაში და ვეღარ ამჩნევდა, რომ გოგოებს მის დანახვაზე სახეზე ალმური ასდიოდათ და მუხლები ეკვეთებოდათ და წუთით რომ გაყუჩებულიყო, მათი გულის დაგადუგსაც გაიგონებდა. იგი ვერც იმას ხედავდა, როგორ აფორიაქებოდა სული შურეთს. მაგრამ თანდათან მიეჩვია ქალაქს, მრავალსართულიან სახლებს და ფართო ქუჩებს, თავს უკვე ისე გრძნობდა, როგორც თავის სოფელში და ძალიან მალე გაიგო თავისი გარეგნობის ფასიც, უდარდელსა და გულღია ახალგაზრდას ერთხელაც არ გაუტეხია ღამე და ფიქრადაც არ გაუვლია გულში გაეხსნა აბურდული თავსატეხი, ზიზამ რომ გაუჩინა ახალგაზრდებს და, რის გამოც შურეთს კარგა ხანი იყო ღამით თვალი ვეღარ მოეხუჭა. იურას ადრეც ხშირად გაეგონა სოფლელი ბრძენკაცებისაგან — ხე ძირზე ამოდისო და რადგანაც იცოდა, რომ შურეთის და მისი ოჯახიც ერთ ძირზე

ამოსული დიდი ხის ტოტები იყვნენ, ამიტომ მისი სიყვარული ქალისადმი ისეთივე ძმური, უბიწო იყო, როგორც საკუთარი დის, სუსანასადმი. შურეთი კი, ფიქრშიც რომ შეხვედროდა მას, წითლდებოდა და აღარ იცოდა თვალები საით წაეღო.

სასრანმა და იურამ ადვილად გაუსწრეს შურეთს. ქალიშვილმა იურას პირველსავე დაძახილზე ნაბიჯი შეანელა, მაგრამ არ შეჩერებულა, ვიდრე ბიჭები არ წამოეწივნენ და წინ არ გადაუდგნენ. შურეთმა დაინახა, რომ იურა მარტო არ იყო და ისიც იცოდა, რომ მისთვის სულაც არ იყო სულერთი, ვისთან ერთად გაივლიდა ის ქუჩაში.

— მე სასრან აკუაძბა გახლავართ, შვილი ხირზამენ აკუაძბასი, ასი ცხვარი რომ შესწირა ღმერთს მსხვერპლად თავისი ათასსულიანი ფარიდან! — თქვა ამაყად სასრანმა და ხელი იმგვარად გაუწოდა ქალიშვილს, რომ თუ ის თავისას არ შეაგებებდა საპასუხოდ, სულელურ მდგომარეობაში არ აღმოჩენილიყო.

— მე ვარ შურეთ ალშუნბა, იური ჩაზმას, ჩემი საცოდავი ბებიის ღვიძლი ძმის მეუღლის — ხანუმის ბიძაშვილის შვილის ბიძაშვილი! — მიუგო შურეთმა ეშმაკური ღიმილით და ნაზი ხმით, ყვავილის ფურცლების შარიშურს რომ მოგაგონებდათ და თავისი ხელი ისეთი ღირსებით მიაწოდა სასრანს, თითქოს უნდა ეთქვა, ყველას როდი რგებია ასეთი პატივიო.

აი, სწორედ მაშინ სასრანს მარჯვენა ხელი მარცხენაზე ორჯერ უფრო დაუგრძელდა. შურეთის ხელი, სულ რამდენიმე წამით რომ აღმოჩნდა მის ხელისგულში, იყო პატარა, საოცრად თბილი და რბილი, რბილი...

მას შემდეგ შვიდმა წელმა განვლო. ორი თვე ხვდებოდნენ ერთმანეთს. ბოლოს დაქორწინდნენ, მხოლოდ სამი თვე იცხოვრეს ერთად. მერე სასრანი მოკლეს. მალე შურეთს ტყუპი ბიჭი შეეძინა. აი, ასეთია მოკლე და ნაღვლიანი ისტორია სასრანის და შურეთის ცოლქმრობისა, თუ არ ჩავთვლით იმ ბედ-

ნიერ დღეებს, როცა შურეთი და სასრანი ერთმანეთის გარდა ვერაფერს ამჩნევდნენ ქალაქ აგაში და შემდეგ სამი თვის მანძილზე სოფელ გუდოუში მხოლოდ მათთვის თენდებოდა და ღამდებოდა. როგორ იცინოდა შურეთი გულის წასვლამდე, როცა თამბაქოს ტექნოლოგიის ტექნიკუმის სტუდენტები იურა ჩაზმა და სასრან აკუაძბა თავგადაპარსულები დაინახა!

მზე დასავლეთისკენ გადაიხარა. შურეთის კალათები პირთამდე იყო სავსე თამბაქოს ფოთოლით. ეს კალათები მას თარსხან აკუაძბამ, სასრანის უფროსმა ძმამ აჩუქა დაბადების დღეზე. რა აღარ მოიტანეს სტუმრად მოსულმა მეზობლებმა, როცა ქალაქელმა ქალმა სოფელში თავისი დაბადების დღე გადაიხადა: ელარჯი, ჭყინტი ყველი, სულუგუნი, შემწვარი და მოხარშული, აჯიკაში ამოვლებული წიწილები, საცივი, ორნახადი ჭაჭის არაყი, კაჭიჭის ღვინო, მაგრამ არც შურეთი დახვედრია სტუმრებს გულხელდაკრეფილი... მოილხინეს სტუმარმაც და მასპინძელმაც, ლოცავდნენ დიასახლისს ხელგაშლილობისათვის, ხელმარჯვეობისათვის...

სასრანის უხეშ ხელისგულში მოხვედრილმა შურეთის თითებმა მალე მოძებნეს ჭაბუკის გულის გასაღები და ჩაიხედეს მის კუნჭულებში, სადაც ჯერ ვერც ერთ ქალის გულს ამქვეყნად ვერ მოეხერხებინა ცალი თვალით მაინც ჩაეჭყიტა. აი, ახლა მზის ჩამავალი სხივები დაეცა ამ პატარა ხელს და ნაზად მოელამუნა. ვერ იტყოდით, რომ შურეთს ხელები მთლად დაკოჟრილი ჰქონდა, მაგრამ აქა-იქ მაინც გაუხეშებოდა კანი, ნიკოტინის მომწარო სუნი კი, რამდენი არ იბანა, მაინც ვერ მოიშორა ხელიდან, ტანსაცმლის ქვეშ სუნთქავდა მისი ჯანსაღი, ჯერ ისევ ქორფა სხეული, რომელსაც ვერ მიჰკარებოდა მზის მწველი სხივები. შურეთმა ისევ გადახედა თამბაქოს ფოთლით სავსე კალათებს და დაფიქრდა იმაზე, თუ რამდენი უნდა ეშრომა, რომ ბოლოს ასე გაევსო კალათები მწვანე ფოთლით და სახლში წაეღო გასაშრობად და დასამუშავებლად. ჯერ სათ-

ბური უნდა მოგემზადებინა, მერე იმ ადგილას, სადაც თამბაქოს თესლი უნდა დათესილიყო, რომელიც ადამიანის გარდა არავის სჭირდება ამქვეყნად, დასწვავდნენ ნაკელს, ათასი მწერი და მღრღნელი რომ მოესპო, რომელთაც შეეძლოთ უკვე მოვლილი, ამოყლორტილი პლანტაციები ერთბაშად გაენადგურებინათ. მერე, როგორც კი თამბაქოს ნორჩი ყლორტები ამოიწვერებოდნენ, იწყებოდა თოხნა, ერთხელ, ორჯერ... მერე რწყვა, გვალვას რომ არ გაეხმო თამბაქო, მერე ფოთლების დამტვრევა... „ბავშვს უფრო ადვილად გაზრდის კაცი..." — ფიქრობდა შურეთი.

მზე ჩასრიალდა ბებერი მუხის ტოტიდან, ნელ-ნელა ჩაესვენა ზღვაში და ოქროსფრად მოავარაყა მისი ზედაპირი. ეჰ, როგორ უნდოდა შურეთს ახლა, ამწუთში გვერდით მამაკაცი ჰყოლოდა. დაე, ასდიოდეს მას ოფლის მომწარო სუნი, იყოს გაუპარსავი, ხელებდაკოჟრილი და ხმაც ისეთი ჰქონდეს, დოქიდან წამოსულ მობუყბუყე წყალს რომ აქვს, ოღონდ მოვიდოდეს ახლა, ბუმბულივით მსუბუქად აიტაცებდეს ამ კალათს და მხარზე შემოიდგამდეს, მეორეს კი ცალი ხელით იღლიაში ამოიჩრიდეს და მასთან ერთად სახლისკენ წავიდოდეს, სახლში... იქ ალბათ ახრამ და აფსირტემ ყირაზე დააყენეს ყველაფერი. როგორც არ უნდა დასაჯო ეს ქვისნატეხები, თვალს არ დაახამხამებენ, ეშმაკუნები! ერთმანეთზე უარესები არიან. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ შურეთსაც უჭირდა მათი გარჩევა, ისე ჰგავდნენ ბიჭები ერთმანეთს — გარეგნობით, სიმაღლით, ხასიათით. ხანდახან ერთის მაგივრად მეორეს ხვდებოდა, მაგრამ ის არასოდეს დაიჩივლებდა და არ ეტყოდა დედას, მე არ მიქნია, ჩემი ბრალი არ არისო. მაგრამ ერთ დღეს შურეთმა შენიშნა, რომ ერთ მათგანს ყურები მამლის ბიბილოსავით ჰქონდა დაწითლებული, მიხვდა, ასე საქმე ცუდად წავაო და იმ დღიდან მოყოლებული, ბიჭებს ერთნაირად არ აცმევდა.

აი, საით გაექცა ფიქრები შურეთს, რომელიც იჯდა თავის თამბაქოს პლანტაციაში და ტკბებოდა ბუნების სიმშვენიერით. ბავშვებზე ფიქრმა გული გაუხალისა მარტოხელა ქალს.

„ჩემი საყვარლები, ჩემი ეშმაკისფეხები, თქვენ გენაცვალოთ დედათქვენი! — ჩაილაპარაკა თავისთვის ალერსიანად. — ხანდახან გიწყრებით, გწყევლით კიდეც, მაგრამ განა ბოროტებით მომდის, განა არ მიყვარხართ, ჩემს მარტოქალობას რა ვუთხარი, ამან გამამწარა... მე ვიყო თქვენი ჭირის სანაცვლო და ხელები გამიხმეს, თუ გაბოროტებით გცემდეთ! — მან ნაღვლიანად დაიხედა ნაჯაფარ ხელებზე და ცრემლი მოეძალა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და აღარ უტირია. — ღმერთს ვთხოვ, კარგად მიმყოფოს ჩემი ბიჭები! — მერე თავი ასწია და ზეცას შეხედა: — ღმერთო დიდებულო, მომიტევე, თუ ვერ ვიყავ შენი ნების შემსრულებელი, შემინდე მეც, თუ შევცოდე!“ — შურეთს ეგონა, რომ დიდი დრო არ გასულა, რაც ის ამ ფიქრებში იყო, მაგრამ ვინ არ იცის, რა ელვის სისწრაფით გადის დრო. დიდხანს ჯდომისაგან ფეხები გაუხევდა, კალათები კი სახლში იყო მისატანი... რა თქმა უნდა, მას შეეძლო, ისე არ გაევსო ისინი, მაგრამ დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ერთად ენახა თავისი შრომის ნაყოფი. გამრჯე ქალი იყო, ზოგიერთივით აქა-იქ კი არ გამოთოხნიდა თამბაქოს რიგებს, ერთ სარეველას არსად არ დატოვებდა, ათჯერ მივიდოდა თითო ძირთან. სხვა მოიგდებდა თოხს მხარზე და ისე გაუტევდა შინისაკენ, ერთხელ არ გაიხედავდა ყანისაკენ, შურეთი კი მუშაობის მერეც დიდხანს იდგა, უყურებდა თავის ნამუშევარს და გული სიამით ევსებოდა.

„ყოჩაღ, შურეთ, ვინ იტყვის, რომ შენ ქალაქში გაიზარდე“ — აქებდნენ ხოლმე მეზობლები. შურეთმა ხელი მოჰკიდა კალათას, უნდოდა მხარზე შეედგა, მაგრამ თამბაქოთი გაძეკილი კალათის აწევა არც ისე ადვილი გამოდგა და მან ირგვლივ მიმოიხედა, იქნებ ვინმე კეთილ კაცს დავემგზავრო, ამ კალათას სახლამდე რომ მიმატანინებსო, მაგრამ სამწუხაროდ, ახლო-მახლო ადამიანის ჭაჭანება არ იყო. სარეველა ბალახი, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ დაგლიჯა სტეპანმა, უკვე ჩამჭკნარიყო, თუმცა ზოგიერთ მათგანს უჭირდა სიცოცხლესთან გამოთხოვება და კიდევ ცდილობდა სიმწვანე შეენარჩუნებინა.

„ეტყობა, თვალი დამადგა მაგ ეშმაკის კერძმა, — გაიფიქრა ერთგვარი სიამაყის გრძნობით და კვლავ გაწითლდა, როგორც ამ დილით, პირველად რომ დაინახა სტეპანის ნამუშევარი. — ვაითუ, ვინმემ დაინახა? ისედაც ავი ენები ცდილობენ ათასი რამ მომიგონონ. მაგათი ამბავი რომ ვიცი, ეშმაკს ააცეკვებენ ლაპარაკით. მე ჩემი დარდიც მყოფნის და ეს რა სადარდებელი გამიჩნდა კიდევ!“ შურეთმა პატარა ბექი იპოვა, აი, აქედან იოლად ავიკიდებ კალათასო, — გაიფიქრა, მერე მხარი შეუდგა კალათას, ასწია, წელში გაიმართა და მძიმე ნაბიჯებით შინისაკენ გასწია.

შურეთს ჩვეულებად ჰქონდა, როცა რაიმე მძიმე ჰქონდა წასაღები, ცდილობდა გზაში ცუდი ფიქრები არ მოსძალებოდა, მხოლოდ კარგი რამ გაეხსენებინა. მან ყური მიუგდო ძაღლების ღავღავს, რომლებიც ბანს აძლევდნენ ძროხების ბღავილს... ამასობაში, როგორც იქნა, თავის თამბაქოს საშრობ ფარდულსაც მიაღწია.

შურეთმა კარგად იცოდა, რომ დაზიანებული თამბაქოს ფოთოლი უკვე უვარგისი იყო და შეიძლება სხვებიც გაეფუჭებინა, ამიტომ კალათი ფრთხილად ჩამოიღო მხრებიდან, ჯერ მკერდზე გაიჩერა და მერე ფრთხილად, ციმციმ დადგა მიწაზე.

— ოოჰ, ვაი ჩემი ბრალი! — ამოიოხრა და იქვე მიწვა, წამით თვალები დახუჭა და მაშინვე პლანტაციაში დარჩენილი კალათები დაინახა... არ ჩასძინებია, ერთი მილულა თვალი და უცებ მის წინ დღისით-მზისით სასრანი აისვეტა და ეუბნება:

„შურეთ, ბარმიჟდა! როცა მე აქედან მივდიოდი, დამავიწყდა თოფიდან ვაზნები ამომეღო. ჩამოიღე კედლიდან თოფი, რომ ბავშვები ვერ მისწვდნენ“. შურეთმა წამის უმალ გაახილა თვალები და წამოჯდა. მას მიმავალი ქმრის ფეხის ნაბიჯების ხმა შემოესმა და მაშინვე ფეხზე წამოიჭრა: „მოიცადე!“ — მთელი ხმით იყვირა გულმა და ქმრის კვალს დაედევნა.

— შურეთ! — მოესმა გვერდიდან, მაგრამ იგი სულაც არ ჰგავდა ქმრის ძვირფას, ხავერდოვან ხმას.

მოტრიალდა და ცოტა მოშორებით, თუთის ხესთან შიბგას მოჰკრა თვალი. შურეთს გააჟრჟოლა, მაგრამ თავი შეიკავა და შიში არ შეიმჩნია.

— იქ დარჩენილი კალათა იმან მოიტანა, — თქვა შიბგამ, რომელსაც ერთი სული ჰქონდა გაეგო სამადლობელო სიტყვები, რათა შემდეგ რაც შეიძლებოდა სწრაფად მიეტანა ისინი სტეპანის ყურამდე, თუ, რა თქმა უნდა, შურეთს დასცდებოდა ისინი. — აი, იქ ღობესთან დატოვა...

— ვინ ბრძანდება ერთი, მითხარი, უჩემოდ სიცოცხლე რომ არ შეუძლია! — მიაყვირა ქალმა უდანაშაულო ბიჭს.

— სტეპანი, — უპასუხა შემცბარმა შიბგამ და იმავე წამს იგრძნო, როგორ აუცახცახდა ყურები.

— დაგინახა, როგორი გაჭირვებით მოიტანე კალათა სახლამდე და შეეცოდე, — თქვა შიბგამ, რომელიც უკვე ცდილობდა არც მწვადი დაეწვა და არც შამფური.

— მაგას ურჩევნია თავის ოჯახს მიხედოს, ღვთის ანაბარა რომ მიუტოვებია... — აფეთქდა შურეთი, რომელიც მიხვდა, რომ შიბგამ ყველაფერი იცოდა, დასამალ-დასაფარავი აღარაფერი იყო და ახლა თითქოს თავს იმართლებდა. — მე კი არა ვარ შესაბრალებელი, ეგ არის საცოდავი, ეგ, მე კი არ დავწანწალებ სხვის ბაღ-ბოსტანში, არამედ ის... — თქვა შურეთმა და უეცრად იგრძნო, რომ გულმა ჩხვლეტა დაუწყო, მაგრამ მალევე დაავიწყდა ტკივილი და ახლა ისღა ადარდებდა, როგორმე თავი ემართლებინა...

ჩხუბი ხანდახან სიმღერასავითაა — როგორც ერთი, ისე მეორე ყველას ესმის, მისამართი კი ერთი აქვს და ადრესატიც მაშინვე გრძნობს, რომ ეს მის გასაგონად არის ნათქვამი. სტეპანმა ყური მაშინ მოჰკრა შურეთის ხმას, როცა თარსხანის ეზოში შედიოდა. ქალი მარტო ილანძღებოდა, სხვა არავინ ეპასუხებოდა, რომელიც უფრო გააღვივებდა, ცეცხლზე ნავთს დაასხამდა. შურეთი ილანძღებოდა უმისამართოდ, იგი არ ახსენებდა

არც ბავშვების სახელებს, არც მეზობლებისას, არც ძროხისას... იგი შთაგონებული ჩხუბობდა და აშკარა იყო, რომ სურდა მისი ჩხუბი სხვებსაც გაეგოთ, რათა შებრალებოდათ იგი.

სტეპანი, რომელსაც ბევრი ენახა და გადაეტანა ამ ცხოვრებაში, მაშინვე მიხვდა, რომ შურეთი მისი მისამართით ილანძღებოდა. „ეშმაკმა წამიღოს, რა მრჯიდა, რატომ დავეხმარე? მე ჩემი უბედურება არ მყოფნის, ჩემი სიბრალული ვის რაში სჭირდება?“ — ფიქრობდა კაცი. მერე დათრგუნული მივიდა ალუბლის ხესთან და იქვე ჩამოჯდა დაღონებული.

შურეთი ჩხუბით მივიდა ღობესთან, სადაც თამბაქოს ფოთლით სავსე კალათა ეგულებოდა: „მარჯვენა დაგელოცოს, ვინ გამოგგზავნა, ნეტავ?“... — ძლივს გასაგონად ამოილუღლუღა და თვითონვე შეეშინდა საკუთარი ხმისა. ეს კალათა იმაზე გაცილებით მძიმე ჩანდა, თვითონ რომ ძლივს მოიტანა ფარდულამდე. მან გადაწყვიტა მოეტანა ცარიელი კალათა, თამბაქოს ნაწილი მასში გადაეყარა და ისე მიეტანა ფარდულამდე, მერე ერთი ბღუჯა თამბაქო ამოიღო და გულზე მიიხუტა:

— შიბგა! — გასძახა ბიჭს, თუმცა თვითონაც არ იცოდა, რისთვის ეძახდა. ამდენ ჩხუბში ეტყობა ძალა გამოლეოდა და ამიტომაც მისი ხმა ისე გაიბნა სიბნელეში, რომ სტეპანის ყურამდე ველარ მიაღწია. ის იჯდა ხის გადანაჭერზე და უწყინრად იღიმებოდა. შიბგამ, თითქოს რაღაც იგრძნო, მივიდა სტეპანთან და თუმცა მან ანიშნა, ჩამოჯექი ჩემს გვერდითო, მაინც არ დამჯდარა.

— უხ, შე ყაჩაღანა, აქ საიდან გაჩნდი? — ჰკითხა სტეპანმა ბიჭს, თუმცა იცოდა, რომ ეს ონავარი აჩრდილივით დასდევდა ყველგან.

— ბიძია სტეპან, არ წახვიდე, დარჩი ჩვენთან, კარგი? — ვედრებით შეხედა შიბგამ სტეპანს.

— სად უნდა წავიდე, ჩემო ბიჭო! — გაკვირვებით ჰკითხა სტეპანმა ბიჭს, თუმცა მიხვდა, რასაც ეკითხებოდა ბავშვი.

— შენიანებთან!... ჩვენ წავალთ და ყველას ჩამოვიყვანთ, ყველას, ვისაც შენ ამას წინათ ეძახდი, აივანზე ტახტზე მწოლიარე, — ძლივს პოულობდა სიტყვებს ბიჭი. — გაივლის ზამთარი, გაზაფხულიც და ყველანი ერთად წავალთ სკოლაში.

სანთელივით ავარვარებული სტეპანის სახე თანდათან ჩაქრა და ღამის სიბნელეში ჩაინავლა.

— ბიძია სტეპან! — შიბგამ შარვლის ტოტში მოჰკიდა ხელი კაცს და შეაჯანჯღარა. ამ დროს შუბლზე დიდი, მსხვილი წყლის წვეთი დაეცა და უწვრილეს ნამსხვრევებად იქცა მაშინვე. — ბიძია სტეპან, წვიმა მოდის, წვიმა!

— ჰო, შიბგა, შენი ჭირიმე, წვიმს მართლა, დიდი ხანია ველით კარგ, შხაპუნა წვიმას! — უპასუხა ბავშვს სტეპანმა და ცას შეხედა. ცაზე ვარსკვლავები ჩახჩახებდნენ და ძალიანაც რომ მოგენდომებინათ ერთი ღრუბლის ფთილასაც ვერ აღმოაჩენდით და მაინც მოდიოდა თბილი წვიმა, მძიმე, მარილიანი წვეთები ცვიოდნენ დაბლა...

კაცმა რომ თქვას, განა არსებობს ამქვეყნად ქალი, რომელიც კაცის დახმარებაზე უარს იტყვის, იწყენს, თუ მიეშველება, მხარში ამოუდგება და ხელს გაუმართავს? დაე, ეს კაცი იყოს გაუპარსავი, თმადაუვარცხნელი, ოფლის მომწარო სუნი ასდიოდეს, ხელებიც დაკოჟრილი და უხეში ჰქონდეს, მამაკაცი მაინც მამაკაცია — დილით, სახლიდან სახელის საშოვნელად გასული, თავის სახლს პირით მთისკენ დადგამს, დაბრუნდება და... ისევ ზღვისკენ უზამს პირს... კაცი ყოველთვის დიდი იმედია სახლში და ბედნიერია ოჯახიც, თუ ბოროტი ენები არ ასისინდებიან, ჭორი არ გაჩნდება და ოჯახის ბედნიერებასაც ძირს არ გამოუთხრის, საქმეს იქამდე არ მიიყვანს, რომ თოფი, ხანჯალი და თოკი წყვეტდეს საქმეს... პირველად, როცა სტეპანმა ამ სახლის ზღურბლს გადააბიჯა, მას არც კი შეუმჩნევია, ვინ მიაწოდა პური, ვინ დაუდო წინ ღომით თავმობმული თეფში, ვინ დაუგო ლოგინი და ძილი ნებისა უსურვა. მაშინ მას ამის თავიც არ ჰქონდა.

ისიც ხომ არ დაბადებულა სადმე ხის ფუღუროში, მასაც ჰქონდა სამშობლო, სადაც დაიბადა და გაიზარდა, შრომობდა და სადაც კარგიც უნახავს და ცუდიც. მერე კაციჭამიებს დასდევდა, მივიდა მათ ბუნაგამდე და უკან დაბრუნდა გამარჯვებული. როდესაც მან აქამდე განცდილი იმას შეადარა, რაც აქ ნახა, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მთის ანკარა ნაკადულშიც შეიძლებოდა წყალქვეშა ქვები შეხვედროდა.

მაგრამ ერთი თვის შემდეგ თარსხანმა ისე, რომ არც კი დაინტერესებულა, რატომ მოუშვა მან წვერი, თავისი ბასრი სამართებლით რამდენიმე წუთში მთლიანად ჩამოპარსა თმაწვერი. თუმცა მას შადია საკუთარ დად მიაჩნდა, თარსხანის არყოფნისას ის მაინც ეძახდა სახლში ვინმე ახლობელს... და რამდენადაც თარსხანის საწოლში სხვა ვერავინ დაიძინებდა, იგი იძულებული იყო ქვედა სართულში ჩამოსულიყო და მძიმე, რკინის საწოლზე დაწოლილიყო. შადიაც, რომელიც ადრე დაცინვით ასე მიმართავდა ხოლმე სტეპანს: „შენ, ე, სულელო მოხუცო, როგორ ხარ, ჰა?“ ან არადა ზურგზე დაჰკრავდა ხოლმე ხელს და ეუბნებოდა: „საჩუქრები სად არის? იქნებ არ ვარ უარზე?“ ახლა, რაც თარსხანმა გაპარსა და სახე გამოუჩინა, უკვე დაფიქრდა იმაზე, რომ მაინც სიცოცხლე სჯობია სიკვდილს. შურეთიც რომ სულ გამოიცვალა! შემოგხვდება და არც გამარჯობა, არც დილა მშვიდობისა, ტყვიასავით სწრაფად, უბრად ჩაივლის, თითქოს ვინმეს გაენაწყენებინოს. ამას შეიძლებოდა შეგუებოდა კაცი, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება. თუნდაც ის, რომ ადამიანი, რომელიც თითქოს ყველაზე ახლობელია შენთვის და უიმისოდ სიცოცხლე ვერც კი წარმოგიდგენია, ერთ მშვენიერ დღეს გაგაღიზიანებს, მის დანახვაზე ხასიათი წაგიხდება და ერთი სული გაქვს, დროზე გაერიდო მას. სტეპანმა ვერა და ვერ გაიგო, ასე რატომ უწყრებოდა შურეთი, ნუთუ მხოლოდ იმისათვის, რომ დაეხმარა, ერთი-ორი ბღუჯა სარეველა ბალახი გამოგლიჯა და თამბაქოს ფოთლით სავსე კალათა სახ-

ლამდე მიუტანა. რა დააშავა ამ დაღლილმა, უპოვარმა კაცმა იმით, რომ ქვრივ ქალს დაეხმარა, როცა ბებერი მუხის გამხმარ ტოტზე ისვენებდა ზღვაში ჩასვლის წინ? რა მიიღო მადლობის მაგიერ? გალანძღეს და დაამცირეს. „ურჩევნია თავის ოჯახს მიხედოს, ღვთის ანაბარა რომ ჰყავს მიტოვებული... მე ობოლი არა ვარ, თვითონ არის უსახლკარო და დაძრწის კარიდან კარზე ლუკმა-პურის სათხოვნელად!“

სტეპანს ეჩვენებოდა, რომ კარგად იცნობდა აქაურობას... გორაკებს, მდელოებს, ხეობებს... სტეპანს სიკვდილისათვის უფრო ხშირად ჩაუხედია თვალებში, ვიდრე დედისთვის. იგი კარგად სცნობდა მის გამოხედვას. ჯერ კიდევ ბავშვს, ცალ ხელში სათამაშო ეჭირა, მეორეში ცელი. მერე მან მეუღლეს ჩაბარა ბავშვები, — ჩქარა დავბრუნდებიო, — დაიბარა, გადაიკიდა მხარზე შაშხანა და წავიდა, მაგრამ ისეთ ქარტეხილში მოხვდა, რომ სანამ მტერი საბოლოოდ არ დაამარცხა, შინ ვეღარ დაბრუნდა. სახლში კი რა დახვდა? ორი პატარა ბორცვი, ერთმანეთთან მჭიდროდ აღმართული და ერთიც მოზრდილი, პირით დასავლეთისკენ მიქცეული...

ის გაემართა მეზობლის სახლისკენ, რომელსაც მისი ჭიშკარი ჩამოეხსნა და შინ წაეღო, მაგრამ მეზობელიც გარდაცვლილიყო და დასაფლავებას მიუსწრო მხოლოდ, გაეღიმა, მაგრამ არა ბოროტად, უფრო იმიტომ, რომ ამ ოთხი წლის განმავლობაში პირველად ხედავდა, როგორ ასაფლავებდნენ წესის და რიგის მიხედვით ადამიანს.

— რა გაცინებს, ბედშავო, ვერ ხედავ, კაცი მოკვდა! — ეკითხებოდნენ მისი საქციელით გაოგნებული და ნაწყენი ადამიანები, რომლებიც პატივს სცემდნენ წინაპართა ადათ-წესებს.

— თან რომ არ წაიღო ჩემი ჭიშკარი, ის მაცინებს! — იცრუა სტეპანმა, რადგან არ იცოდა, რა ეპასუხა.

ჭირისუფლებმა გადაწყვიტეს დაებრუნებინათ მისთვის

ჭიშკარი, რათა გარდაცვლილისათვის გზა ხსნილი ყოფილიყო სამოთხეში, მაგრამ სტეპანმა აღარ ქნა...

სტეპანმა ხელი ჩაიქნია, მოტრიალდა, ზურგი აქცია იმ გზას, საიდანაც შინ დაბრუნდა და სხვა მხარეს გაემართა, წავიდა იქით, სადაც გზა გადიოდა მთებზე, მდინარეებზე, ხეობებზე. მართალია ხალხი, როცა ამბობს, რომ გზა ადამიანს დარდსა და ნაღველს უქარვებს, დრო კი ყველაფერს კურნავს და ადამიანს ისევ უჩნდება სურვილი დატკბეს სიცოცხლითო. არც სტეპანი გახლდათ გამონაკლისი. როდესაც ის პირველად მოხვდა თარსხან აკუაძბას სახლში, ვერც კი იფიქრებდა, რომ ის წვერს გაპარსავდა, შემოდგომის ერთ თბილ ღამეს ახალ მთვარეს, ახალ ვარსკვლავებს აღმოაჩენდა ცაში და სამუდამოდ გამოეთხოვებოდა ფიქრს თვითმკვლელობაზე. ძველებურად ბრუნავდნენ ქვები, დროის წისქვილზე იფქვებოდნენ დღეები, ხანი გადიოდა... და მაინც, როდესაც სტეპანმა კვლავ იგრძნო, რომ სიცოცხლე სიკვდილზე ტკბილია, მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ ანკარა მთის ნაკადულის ქვეშაც იმალებოდა ბასრი წყლისქვეშა ქვები: „თვითონ არის უსახლკარო და მაწანწალა!...“, „ეი! წავიდა, გეევედრები, არ დამტოვო მარტო...“

რა არ ნახა და განიცადა სტეპანმა ამ ხნის განმავლობაში: ჯერ იყო და თარსხანმა თითქმის ძალით გადაპარსა თავი და წვერი, მერე ის რკინის მაგარი საწოლი, სასაფლაოს იაფფასიან გისოსებს რომ ჰგავდა, ყანაში მუშაობა, შურეთის თამბაქოს პლანტაციაში სარეველა ბალახის მარგვლა, რის გამოც ქალი ხმას აღარ სცემდა მას, თარსხანის ზევით გაქცეული მარცხენა წარბი, რომელიც ხშირად მეხის გავარდნას მოასწავებდა, კუნას ანგლობა სოფლის წისქვილში, როცა ის ფქვილით სავსე ტომრებს აწვდიდა თარსხანს...

სტეპანი აუჩქარებლად მიაბიჯებდა, სიმღერის გუნებაზე იყო და თავისთვის ღიღინებდა. უცებ შეჩერდა და გაიტრუნა, როგორც შველი, მარილიან წყალზე ჩასასვლელად რომ ემზა-

დება. მან გარკვევით გაიგონა თავისი სახელი. ზევით აიხედა და ერთი მაგრად შეიკურთხა. ასეთი ლანძღვა მის ბაგეებს დიდი ხანი არ დასცდენიათ. ესეც, რა თქმა უნდა, თარსხანის გავლენით მოხდა. სტეპანმა ფეხები ძლივს მიათრია კიბესთან და ჩამოჯდა.

ამ დროს ოთახიდან თარსხანი გამოვიდა და სტეპანს მიუჯდა გვერდით.

სტეპანს ხელები მუხლებზე დაეწყო და უყურებდა ჭიანჭველას, რომელიც ბალახის წვეროსკენ მიცოცავდა, ვარდებოდა და მერე ისევ ზევით მიიწევდა.

თარსხანი ადგილზე ვერ ისვენებდა, შფოთავდა შინაგანად, საუბრის დაწყება სურდა და არ იცოდა, საიდან დაეწყო. იგი გონებაში სიტყვებს არჩევდა და თან სტეპანს გასცქეროდა ქვეშ-ქვეშ, თითქოს უნდოდა გამოეცნო, იცოდა თუ არა მან, ვისთან ჰქონდა საქმე.

სტეპანი შეკრთა, თავი უხერხულად იგრძნო, თითქოს სიმინდის ქურდობაზე წაასწრესო. თვალწინ წარმოუდგა დღევანდელი დღის სურათები, იმათი სახეები, ვინც დღეს ნახა, პირველ რიგში კი ქალები...

თარსხანმა ერთხელ კიდევ ცერად გახედა სტეპანს, რომელიც კვლავ ჭიანჭველას უყურებდა, ასე თავგადაკლული რომ მიიწევდა ზევით, ბალახის წვეროსკენ, მაგრამ თავში როგორც კი გავიდოდა, ბალახი სიმძიმისაგან იზნიქებოდა და ჭიანჭველა კვლავ ძირს ვარდებოდა...

— სტეპან! — გაისმა სიჩუმეში თარსხანის ხმა. ამ ხმაში თანაბრად იგრძნობოდა კითხვაც, რჩევაც და უბრალო მიმართვაც, რადგან თარსხანმა მაინც ვერ მოიფიქრა, როგორ დაეწყო საუბარი.

სტეპანმა წუთით თვალი მოარიდა ჭიანჭველას ფუსფუსს და უტყვი სახით თარსხანს შეხედა.

— სტეპან, რომ იცოდე, რა გრძნობები დუღს ახლა ჩემს გულში და მღრღნის! — თქვა თარსხანმა.

სტეპანმა მხრები აიჩეჩა, თითქოს უნდოდა ეთქვა, აბა შენ თუ იცი, გუშინ მე რა სიზმარი ვნახეო.

— ძალიან მინდა ახლა კარგ სუფრას მოვუჯდე, დავლიო, კარგი სადღეგრძელოები ვთქვა, გული გადაგიშალო, მინდა უფრო ახლოს გავიცნოთ ერთმანეთი, შენ რას იტყვი, ჰა, სტეპან?! — ჰკითხა თარსხანმა და ზოგ ისეთ რამეზე ჩამოუგდო სიტყვა, რომელიც მას ახლა სრულიადაც არ ადარდებდა.

— უკვე აღარც მახსოვს, როდის ვიყავი საბოლოოდ ასეთ გუნებაზე, გზაზე დამდგარი კაცი ბევრს კარგავს... ახლა ნამდვილად არ ვიტყოდი უარს ამ სიამოვნებაზე.

— რახან ასეა, მაშინ გავხსნი ახალ, თეთრი ღვინით გაპიპინებულ ქვევრს, შემოვუსხდეთ სუფრას და იქ გამოჩნდება, ვინ ვის!... — თარსხანმა მუხლზე მაგრად დაჰკრა ხელი სტეპანს და წამოდგა.

— აბა, შენ იცი, დღეს როგორ სუფრას გაგვიშლი, — უთხრა თარსხანმა ცოლს, რომელსაც შეშა შემოეტანა და ბუხრის წინ მწყობრად ალაგებდა. — მე კი წავალ და ღვინოს ჩამოვასხამ, უკვე დაღვინდა ალბათ, — დაუმატა მერე და სამზარეულოდან გავიდა.

შადია მიხვდა, რომ დღეს ქმარი ვერ იყო სახუმაროდ განწყობილი და ენაზე მომდგარ კვიმატ სიტყვას გასაქანი აღარ მისცა, რაღაც სერიოზულად აწუხებდა თარსხანს. შადია კარგად იცნობდა ქმარს. ამდენი ხნის ერთად ცხოვრებამ ბევრი რამ ასწავლა მას, ოჯახზე ფიქრსა და ზრუნვაში გადიოდა დრო, მისი სიცოცხლის მზემ უკვე ზენიტს მიაღწია და თვალებთან, რომლებიც ყოველთვის მოწიწებით შესცქეროდნენ ქმარს, პატარ-პატარა ნაოჭებიც გამოჩნდნენ.

მაგრამ, როგორც მას არ შეუძლია ფილთაქვა გადატეხოს ორად, ისე შეუძლებელია გამოიცნო მეორე ადამიანის გულისნადები, თუნდაც ის ყველაზე ახლობელი იყოს შენთვის. საიდან აღარ მოუარა შადიამ ამ აუღებელ ციხესიმაგრეს, რომელ კე-

დელს არ მოუსინჯა ხვრელი და ბზარი, რომ ჩაეხედა რა ხდებოდა მის შიგნით, მაგრამ ამაოდ, ეს ციხესიმაგრე დღემდე აუღებელი რჩებოდა მისთვის და, თუმცა ამ მაგარი კედლების შიგნით შეიძლება არც არაფერი იმალებოდა, შადიას მაინც ეჩვენებოდა, რომ იქ რაღაც იყო იდუმალი, მისგან დამალული. ის არ იყო უჭკუო ქალი, ესმოდა, რომ ერთი ადამიანი ყოველთვის გამოცანად რჩება მეორისათვის. ეს მან კარგად იცოდა მანამდეც, ვიდრე აკუაძბების სახლში მოვიდოდა, მაგრამ ერთ რამეს მაინც ვერ შეეგუებოდა შადია: რატომ უნდა დარჩენილიყო ქმარი ცოლისთვის გამოცანად.

აი, ახლაც, ისე გავიდა ოთახიდან, ვერაფერი გაიგო, რას ფიქრობდა თარსხანი, რატომ მოქურუხებოდა სახე. იგი მუდამ ცდილობდა ქმრის სახეზე ამოეკითხა, რა ედო მას გულში და სჯეროდა, რომ ტყუილად არავინ არაფერს ეძებს და რადგანაც ძებნას იწყებს, ეტყობა იცის, რომ რაღაცას უმალავენ და ადრე თუ გვიან, ის რაღაც აუცილებლად მოიძებნება.

— რა დაგემართა, რამე ხომ არ დაგკარგვია? — ჰკითხა ცოლს თარსხანმა, რომელიც ის-ის იყო ისევ შემოვიდა სამზადში და დაინახა, რომ შადია ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა.

— დაკარგულ ბედნიერებას ვეძებ, შენთან ხომ არ დაუკაკუნებია? — ირონიულად უპასუხა ქალმა.

— მახსოვს... ასე, თხუთმეტი წლის წინათ შემოირბინა ჩემთან... თუ შენ ახლა დაგვიკლავ თეთრ ინდაურს, რომელიც გუშინ ჩვენს მეზობელ თოუფიკას ფეხებში გაებლანდა და მოსტეხა კიდეც მარცხენა ფეხი, მაშინ ზუსტად გეტყვი, სად იმალება დამნაშავე! — იმავე კილოთი დაუბრუნა სიტყვა ცოლს თარსხანმა.

— დავკლავ, მე რომც შემეცოდოს, მაინც დააპატიმრებენ მაგ საცოდავს, ამხელა დანაშაული ჩაუდენია! — თქვა შადიამ და სამზადიდან გასვლა დააპირა, მაგრამ შეჩერდა და ქმარს მიუბრუნდა: — შენ კი ცას შეევედრე, გითხრას, საით წავიდა ჩემი ბედნიერება, ერთ ინდაურად რომ დამიფასე!

— არა მხოლოდ შენი ბედნიერების ამბავს, ჩემი ბედნიერების ასავალ-დასავალსაც გავიკითხავ, მე მგონი, ერთად დაიკარგა ორივე! გეტყვი, როდის დაიკარგა და სად დაიკარგა, ყველაფერს გეტყვი, ოღონდ ნუ მოგვატყუებ მე და სტეპანს და თეთრი ინდაურის მაგივრად კვერცხებზე ჯდომისაგან კურტუმოგახეხილ, ბებერ ინდაურს ნუ დაკლავ!

თარსხანს არასოდეს ჩამოუსხია კასრიდან ღვინო რეზინის მილით, როგორც ამას შვრებოდა ზოგიერთი მისი მეზობელი. მას ღრმად სწამდა, რომ ღვინოს მაცოცხლებელ სითხეს ბროლის ჭურჭლის და მამაკაცის ტუჩების მეტი არაფერი უნდა შეხებოდა, რაც ამ ღვთიურ სასმელს შეურაცხყოფდა. ასვედროიანი კასრიც რომ ყოფილიყო, ის მაინც გვერდით მიუჯდებოდა, ნელ-ნელა მოაყანყალებდა საცობს და მერე კასრს ფრთხილად გადმოაყირავებდა ისე, რომ კასრიდან წვრილ ნაკადულად წამოსული ღვინო პირდაპირ დოქში ჩადენილიყო.

დღესაც ასე მოიქცა, დოქები ისეთი ღვინით აავსო, რომ ვინც მას გასინჯავდა, აღტაცებაში მოსული ჯერ ჭიქას დაუკოცნიდა ძირს, მერე კი მარჯვენას დაულოცავდა მის მომყვანსაც და დამწურავსაც. თარსხანმა მოიარა მთელი მარანი, ღვინით სავსე კასრებს სათითაოდ მიუკაკუნა, თითქოს კიდევ უნდოდა დარწმუნებულიყო სავსე იყო ისინი თუ არა. პასუხად ყრუ გამოძახილი ესმოდა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ცხელი აგვისტოს თვეში ბლომად ექნებოდა ყელის გასაგრილებელი ცივი, კამკამა ღვინო! თარსხანს უხაროდა, რომ არ მოუწევდა ტიკით მეზობლებში სიარული ღვინის სათხოვნელად და სტუმარს თამამად შეიპატიჟებდა შინ.

თარსხანი ერთ დიდ კასრთან მივიდა და საცობს აქეთ-იქიდან ისე შემოჰკრა ნაჯახის ყუა, თითქოს ეუბნებოდა, მოვედი, გამოიღვიძეო. მერე მომძვრალი საცობი ნიჩაბივით ფართო ხელისგულში შეათამაშა და გულიდან აღმოხდა: „იმას ვენაცვალე, ვინც შენ მოგიყვანა, ამქვეყნად გაგაჩინა!“ მერე გულში ეჭვმა

გაკენწლა, ვაითუ, ღვინის მაგივრად კასრში ძმარი დამხვდესო და ნაჩქარევად შეუდგა კასრს დოქი და ღვინის ჩამოსხმა დაიწყო... „რატომ უნდა მიმტყუნოს, ნეტავ? შვილივით ვუვლი, შიგ კლერტსაც კი არ ვაყოლებ ზოგიერთებივით, აქაოდა მაგარი დადგება უფროო", —გაიფიქრა თარსხანმა.

უცებ ნაბიჯების ხმა შემოესმა.

— შენა ხარ სტეპან?! ცოტა იქით გაიწიე, დად, მართალია აქ შენი შრომაც ბლომად არის ჩაქცეული, მაგრამ ამ ცეცხლმოკიდებულმა დანდობა არ იცის!

— მგონი, სულ ახლახან ავავსეთ ეს კასრი, როდისღა მოასწრო რქების გაზრდა? — თვალები გაუფართოვდა ვითომ გაოცებისაგან სტეპანს.

— ნუ იტყვი, დად, ნუ! — ამაყად თქვა თარსხანმა, — ეს ისეთი მაგარია, ისეთი საშინელი ძალა აქვს, რომ ზუბრის რქებიც კი მონაგონია ამასთან. სწორედ ამ დროს კასრიდან წურწურით წამოვიდა ღვინის პირველი შხეფები და თარსხანს ხელზე გადაეღვარა. ორივემ ერთმანეთს გადახედეს: „მოიცადე, — ამბობდნენ თარსხანის თვალები, რომლებიც ჯერ არავის წინაშე არ დახრილიყვნენ. — სანამ ნაღებს არ მოიხდი, ვერ გაიგებ, რა გემოსია რძე, ნუ აჩქარდები, კიდევ ნახავ, რა ღვინო აქვს თარსხან აკუაძბას!..." კასრიდან კი მოჩქეფდა და მოჩქეფდა მოწითალო-ვარდისფერი კამკამა ღვინო და მარანს მათრობელა სურნელით ავსებდა.

— ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე დაღვინებული, — შვებით ამოისუნთქა თარსხანმა, — ჯერჯერობით არც აპირებს.

ამეების შემხედვარე სტეპანს გულში ეცინებოდა, მაგრამ თავს იკავებდა მაინც, შიშობდა არ გაენაწყენებინა მასპინძელი.

თარსხანს რა გამოეპარებოდა, მან შეამჩნია რა დღეშიც იყო სტეპანი, მაგრამ არც თვითონ შეიმჩნია.

„იცინე, იცინე, ბევრი მინახავს შენისთანა! — ფიქრობდა

გუნებაში, არც სწყინდა, თუმცა არც ძალიან უხაროდა. — ვნახოთ ერთი, საღამოს ვინ როგორ გაიცინებს!" — თარსხანმა ნერვიულად დაჰკრა ხელი საცობს და კასრს მაგრად დაუცო თავი. მის შემხედვარე აიცუცარმაც კი შეწყვიტა ხითხითი, ახალი ღვინით სავსე კასრი კი პატარძალივით იდგა მარნის კუთხეში, თითქოს სურდა გამოეცნო, რომელი იყო მისი საქმრო... თარსხანმა ხელადიდან ღვინო უკან ჩააბრუნა კასრში და მეორე კასრთან მივიდა, რომელშიც სამი წლის კაჭიჭის ღვინო ეგულებოდა.

თარსხანი შინ შებრუნდა ღვინით სავსე დოქით ხელში და თან იმაზე ფიქრობდა, მიეცა თუ არა ნება სტეპანისათვის დაენთო ცეცხლი ბუხარში, რაც აფხაზური ადათის მიხედვით დიდ პატივად ითვლებოდა სტუმრისთვის. რატომ მოუნდა მას დღეს ცეცხლი გაეჩაღებინა ბუხარში, ჩამოესხა საუკეთესო ღვინო, რატომ მაინც და მაინც დღეს დააკვლევინა ცოლს დიდი თეთრი ინდაური! — ფიქრობდნენ და ვერაფერი გაეგოთ ვერც სტეპანს და ვერც ოჯახის წევრებს, რომლებიც სულ ფეხდაფეხ დასდევდნენ მას და იმასღა ელოდნენ, როდის დაიკავებდა ოჯახის უფროსი თავის კუთვნილ ადგილს სუფრასთან და მათ საიდუმლოს გაუმხელდა.

შადიას ბევრი რამის გაკეთება შეეძლო ოჯახში ისე, რომ ქმარს არ დაჰკითხებოდა. ის სარგებლობდა ყველა იმ უფლებით, რასაც აფხაზი ქალი იღებდა მაშინვე, როგორც კი ქმრის სახლის ზღურბლს გადააბიჯებდა. კაცი არასოდეს ჩაერეოდა ქალის საქმეებში. ტყუილად როდი ამბობდა შადია, რომ ქალი ძაღლებს კი არ შემოუგდიათ ეზოში, თვითონ მოიყვანეს და ამიტომ ოჯახში ორივე — ქალიც და კაციც თანაბარი უფლებებით სარგებლობდა. ასე მოდიოდა ათადან-ბაბადან. როცა თარსხანი ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი სადმე წასვლას დააპირებდა, ის თავის ყველა უფლებას უტოვებდა. ამ წუთში შადიას არაფრად უღირდა ეს უფლებები, იგი სიამოვნებით დაარიგებდა ბავშ-

ვებს მეზობლებში, ოღონდ მასთან ერთად წასულიყო. არ შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ის ამ შემთხვევაში სახლის საქმეებს გაურბოდა, რამდენადაც მას და თარსხანს ყველა საოჯახო საქმე ზუსტად ჰქონდათ განაწილებული.

თარსხანს არ უყვარდა ცოლთან კამათი. ამ დროს ის განსაკუთრებულად თავშეკავებული იყო, ცდილობდა ზედმეტად არ გაეღიზიანებინა მეუღლე, მაგრამ არც თავზე ხელს გადაუსვამდა და ამით აგრძნობინებდა, რომ თანაუგრძნობდა მას და ესმოდა მისი. ის თვლიდა, რომ ცრემლი საუკეთესო საშუალება იყო ქალის გულის გასანელებლად, მაგრამ ლაგამის დროზე ამოდებაც უყვარდა, რადგან ისიც კარგად იცოდა, ქალი რასაც იტყოდა, ათ იმდენს გულში მალავდა და ცდილობდა ყველანაირად ეგრძნობინებინა, რომ აუცილებლად უნდა წასულიყო და, რომ ეს, უპირველეს ყოვლისა, ოჯახისათვის და მისი კეთილდღეობისათვის იყო საჭირო.

თარსხანის სახლში არავინ ამბობდა — ეს ჩემი საქმეა, ეს შენი, ეს ჩემია, ეს შენიო. ვიდრე თარსხანი მარანში ღვინოს აჭაშნიკებდა, შადიას უკვე თადარიგი დაეჭირა ვახშმისათვის. თარსხანს მაშინვე თვალში მოხვდა ლამპა, შადიას ბუხრის თავზე რომ შემოედგა და იქაურობას შუქის საამო ათინათში ხვევდა.

მან დოქი მაგიდაზე დადგა და სველ გვერდებზე ხელი მიუსვმოუსვა. ბუხრის წინ ბლომად ეყარა გამხმარი შეშის ნაჭრები. ოთახში სასიამოვნოდ თბილოდა.

თარსხანს კვლავ ბუხრის თავზე მოციმციმე ლამპისაკენ გაექცა თვალი. ნეტავ, რა ძალა ეწევა პეპელას, ასე დაჟინებით რომ უვლის ტარაბუას მის გარშემო, საიდან გაჩნდა ახლა ეს პეპელა, ამ დროს ხომ ისინი თითქმის აღარ არიან ხოლმე? პეპელა კი თავგამეტებით ეჯახება ლამპას, თითქოს სურს გატეხოს ის, რომელსაც წლებიც კი ვერაფერს აკლებენ. იქნებ მარტოობით თავგაბეზრებულს თავის მოკვლა გადაუწყვეტია,

რადგან ფიქრობს, რომ მისთვის შეუფერებელ დროს გაჩნდა და მას არაფერი ესაქმება ამქვეყნად?

უცებ გაისმა ძლიერი კაკუნის მსგავსი ხმა. თარსხანმა თვალები დახუჭა და გული შეეკუმშა, მოეჩვენა, რომ დაიმსხვრა ლამპა, მისი უმცროსი ძმის ერთადერთი სახსოვარი. მერე თვალები გახილა და იქით გაიხედა, სადაც ნამსხვრევებად ქცეული ლამპა ეგულებოდა, მაგრამ მისდა გასაკვირად ის კვლავინდებურად იდგა ბუხრის თავზე, ძველებურად ანათებდა ოთახს, პეპელა კი, რომელიც თარსხანს უკვე მკვდარი ეგონა, კვლავ დაუცხრომლად უვლიდა ირაოს და დროდადრო ჯიქურ ასკდებოდა მის შუშის კედლებს.

ბოლო ხანებში თარსხანი ბევრს ფიქრობდა თავის ძმაზე. ახლაც გაახსენდა, როგორ გაემგზავრა სასრანი მეთამბაქოებთან ერთად თურქეთში. წასვლისას მან ისე დაბეჯითებით თქვა, მალე დავბრუნდებიო, თითქოს მთაში მიდიოდა ცხვრის ჩამოსარეკად. გავიდა ერთი კვირა, მერე მეორე, სასრანი კი არ ჩანდა. თარსხანმა ნერვიულობა დაიწყო, რანაირი ფიქრები აღარ უტრიალებდა თავში. გაიხსენა თურქი ვაჭარი მუსტაფა, რომელსაც მათრახით სცემეს მამამისმა და ძია აჩაგუმ. იმ ოხერს ხომ არ გადაეყარა სადმე სასრანი? მერე ერთი თავის მოგვარე გაიხსენა, ოცდაოთხ წელს თურქეთიდან რომ წამოვიდა, ცრემლით ალბობდა მშობლიურ მიწას და თურქულად მოთქვამდა, იქნება იმან დაითანხმა თურქეთში დარჩენაზე? ან იქნებ... როცა შეიტყვეს, რომ აფხაზი იყო, მასაც იგივე დამართეს, რაც სხვა მუჰაჯირებს?

როგორ აწუხებდა ძმის ბედი მაშინ თარსხანს, რა აღარ იფიქრა, რა შავბნელი ფიქრები არ უტრიალებდა თავში, ღამღამობით საშინელ სიზმრებს ხედავდა. ერთ ღამეს ძილში მამის ხმა ჩაესმა. ის, მამამისი, თითქოს უაზ-აბას ციხეზე გადმომდგარიყო და ყვიროდა: „ეჰეი, ხალხო, გაიღვიძეთ, ნუთუ ვერ ხედავთ, რომ თევზებმა შესვეს თავიანთი სიცოცხლე!“ ცა

კუნაპეტი ღრუბლებით დაფარულიყო და კოკისპირული წვიმა მოდიოდა, თარსხანს არ გაჰკვირვებია სიზმარში თევზების ნახვა. მას სწამდა, რომ სიზმარი ზეციური მოვლენაა და თუ ვინმე სიზმრად თევზს ნახავდა, მეორე დღეს აუცილებლად იწვიმებდა... ასე ჰქონდა მას დაცდილი, მაგრამ რატომ ყვიროდა მამამისი უაზ-აბას მთაზე გადმომდგარი? რას ნიშნავდა — „თევზებმა თავიანთი სიცოცხლე შესვესო!" ალბათ იმას, რომ მათ ზღვა შესვეს! და ახლა ჩვენს შორის უფსკრულიღა დარჩა, ვაი, ჩვენი ცოდვა მაშინ!

თარსხანი ეზოში გაიჭრა, წამის უმალ შეკაზმა ცხენი და თვალისდახამხამებაში ზღვის პირას გაჩნდა. იგი შეაცბუნა იმ ამბავმა, რომ მამამისმა, რომელსაც სიცოცხლეში არასოდეს უცრუია, ახლა თურმე ტყუილი უთხრა — ზღვა თავის ადგილას იყო, ოღონდ ტალღები აქოჩრილიყვნენ ცოტა. თარსხანი უზანგებზე აიწია, შუბლი მოიჩრდილა და გაიხედა შორს, შორს, სადამდეც თვალი მიუწვდებოდა. დიდხანს იდგა ასე, ცხენზე ამხედრებული და მანამდე გასცქეროდა უკიდეგანო ზღვას, ვიდრე თვალი არ აუჭრელდა. მან სტამბული კი არა, თურქეთის მთებიც ვერ დალანდა, რომლებიც, როგორც მოხუცები ამბობდნენ, კარგ ამინდში შეიძლებოდა დაენახა კაცის თვალს, მაგრამ შორს, ჰორიზონტზე არაფერი მოჩანდა შავი ზღვის მრუმე კონტურების გარდა, რომლის შესმაც ჯერ ვერ მოესწროთ თევზებს.

თარსხანმა ცხენს ზღვის მლაშე წყალი დაალევინა და გულდამძიმებული სახლში დაბრუნდა. იმ დღიდან მოყოლებული, ყოველ დილით თავის ბედაურს ზღვისკენ მიაქანებდა, მაგრამ მისი ძმა სასრანი აღარ გამოჩენილა. მას უკვე აღარავინ ეკითხებოდა, რატომ კაზმავდა ყოველ ცისმარე დღეს ცხენს, საით ისწრაფოდა ასე გამალებით.

ვინ იფიქრებდა, რომ თურქეთში სასრანი მართლა გადაეყარა იმ ვაჭარს, ოდესღაც მამამისმა მათრახით გვერდები რომ

აუჭრელა, სასრანი მაშინ ჯერ ბავშვი იყო, მაგრამ ახლა, ამ-დენი ხნის შემდეგ მაშინვე იცნო მუსტაფა და იმანაც დასტური უთხრა.

— სად არიან ახლა ბიძაშენი და მამაშენი? როგორ არიან? — ჰკითხა მშვიდად მოსისხლემ, იმის მაგივრად, რომ განრისხებულიყო და ეთქვა: „როგორ გაბედე აქ მოსვლაო?!"

— არც ერთია ცოცხალი და არც მეორე, დაიხოცნენ, — მიუგო აფხაზმა ჭაბუკმა, რომელიც იმედოვნებდა, ამითღა მოეგო თურქის გული.

— ალალი იყოს მათთვის ადგილი სამოთხეში! — თქვა გულდაწყვეტით თურქმა, — პატიოსანი ხალხი იყვნენ შენი წინაპრები.

სასრანი, რომელმაც არ იცოდა, საიდან უნდა დალოდებოდა დარტყმას, გაკვირვებით უყურებდა მუსტაფას.

— ჰო, ასეა, ორივე პატიოსანი ადამიანი იყო... როდესაც მათ თავიანთ ბედაურებზე ამხედრებულებმა მათრახის ცემით წინ გამიგდეს, კარგად იცოდნენ, რამდენი ოქრო მედო ჯიბეში და თავისუფლად შეეძლოთ ამოებერტყათ ჩემთვის ჯიბეები, მაგრამ პატიოსნად მომექცნენ, ფული არ წაურთმევიათ!... ღია ყოფილიყოს მათთვის სამოთხის კარი! ისინი რომ სხვანაირად მოქცეულიყვნენ მაშინ, ახლა ქუდგაწვდილს უნდა მევლო ამქვეყნად! — თქვა ეს ვაჭარმა, მივიდა თავის ქარვასლასთან, ქუჩის მთელ სიგრძეზე რომ გაჭიმულიყო და ცოტა ხანში სასრანს მთელი მთა საქონელი დაუხვავა წინ. ამ საჩუქრებს შორის იყო სწორედ ეს გამჭვირვალე მინის ლამპა, რომელიც ახლა ბუხრისთავზე იდგა და იქაურობას შუქით მოსავდა.

მოგონებები მოსძალებოდა თარსხანს. უცნაური ზნე სჭირდათ მათ. როგორც კი თვალს მოხუჭავდა თარსხანი, მაშინვე შემოესეოდნენ, მოსვენებას არ აძლევდნენ, გაახელდა თვალებს და ისინიც წამის უმალ ქრებოდნენ. თარსხანი ბედნიერი იყო ამ დროს. ან მეტი რაღა გზა ჰქონდა. მხოლოდ ეს მოგონებები

იყო ის ერთადერთი ძაფი, თავის ამქვეყნიდან უდროოდ წასულ ძმასთან რომ აკავშირებდა. კიდევ ორი „ყაჩაღანა“, შურეთი და ეს გამჭვირვალე მინის ლამპა, ბუხრის თავზე რომ გადმომდგარიყო პატარა მნათობივით... კაცმა რომ თქვას, სხვა რაღა უნდა დაეტოვებინა კიდევ ოცი წლის კაცს, ჯერ წესიერად რძე რომ არ შეშრობია პირზე, სიზმარი სანახავი რომ უნახავს? როგორ იცხოვრა ეს ოცი წელი ამ აფხაზმა ჭაბუკმა? ორი წლის განმავლობაში მას იავნანას უმღერიან და გაოცებული თვალებით უყურებს აკვანთან მორიალე ანგელოზებს, ხუთი წლის ბავშვი კატას და ძაღლებს დასდევს ეზოში, დანარჩენი ცამეტი წელი თავს ევლებიან მშობლები და ნათესავები და ისიც კვალში ჩასდგომია გუთანს, რომლის ჭაპანსაც ეწეოდა მისი ოჯახი ოდითგან. სასრანს არასოდეს გადაუხვევია მათ მიერ ნაჩვენები გზიდან და ასეთი იყო ალბათ მისი ბედისწერა, რომ ასე ცოტა ხანს იცოცხლა მან ამქვეყნად.

თარსხანს დიდხანს არ დაუკარგავს იმედი, რომ იპოვნიდა უმცროს ძმას. ცოცხალს თუ ვერ ნახავდა, საფლავს მაინც მოძებნიდა. არც ორმოცისთავზე, არც წლისთავზე სანთლები არ დაუნთია ძმის სულის მოსახსენიებლად და არც ცხვარი დაუკლავს ადათის მიხედვით. როცა ახლობელი ადამიანი გიკვდება, ისიც სიკეთეა, როცა შეგიძლია მისი დატირება, შეგიძლია მიცვალებულის უკანასკნელი სურვილი შეასრულო და დამარხო იგი ბაღში, ზუსტად იმ ადგილას, სადაც მას უყვარდა ჩამოჯდომა და მუხლიდან ქარის ამოღება, როცა შენი ეზოდან ორი წლის განმავლობაში არ ნელდება მისი სულის მოსახსენიებლად დანთებული სანთლების სურნელი, მაშინ მიწა, მას რომ მიაყარე, მსუბუქი იქნება მისთვის და როგორც ნავსადგურიდან გასული გემი მიაშურებს უკიდეგანო ზღვას, ასევე შენც, მიცვალებულის საფლავთან თავდახრით მდგომი, საბოლოოდ ემშვიდობები მას და კვლავ მიანდობ თავს ცხოვრების მარად მედინ ტალღებს.

ყოველი ადამიანის სიკვდილი აუნაზღაურებელი დანაკლისი, შეუხორცებელი ჭრილობა და ენით უთქმელი მწუხარებაა, მაგრამ ის, რაც თარსხანმა გადაიტანა, მტერს არ უსურვებს კაცი.

ვერაფერი გაუქარვებდა თარსხანს ძმის სიკვდილით გამოწვეულ დარდსა და ნაღველს. მაშინაც კი, როცა ის ბედნიერი იყო, უხაროდა რაიმე, ამ სიხარულს და ბედნიერებას ჩრდილივით სდევდა თან გარდაცვლილ ძმაზე ფიქრი და სიცოცხლეს უმწარებდა. ძმის ასეთი უკუღმართი ბედი მუდამ საგონებელში აგდებდა თარსხანს. უნდობლობა დასჩემდა ყველასა და ყველაფრისადმი. აღიზიანებდა ბუხარში შეშის მხიარული ტკაცუნი, გული უკვდებოდა აღელვებული მდინარის შემხედვარეს, კედელზე ჩამოკიდებული თოფის დანახვაზე კი ცრემლი მოეძალებოდა ხოლმე, მან ხომ არც კი იცოდა, როგორ მოკვდა მისი ძმა.

ახლაც, ბუხრის წინ მჯდარს თავისი სასრანის ლანდი ედგა თვალწინ. ძმის ლანდი იდგა ბუხართან. სასრანს ეცოდებოდა ძმა, უნდოდა მარტო დაეტოვებინა მის ფიქრებთან, ოცნებებთან, მაგრამ თან წასვლაც უჭირდა, ეძნელებოდა ძვირფასი ადამიანის მიტოვება.

„ასეთი ბედი ეწერა ალბათ ჩემს გვარს“, — გაიფიქრა თარსხანმა, თუმცა ბოლომდე არ სჯეროდა, რასაც ფიქრობდა. მერე თვალები გაახილა, შუბლზე ჩამოშლილ თმაზე ხელი გადაისვა და ოთახი მოათვალიერა. რაღაც განსაკუთრებულად დიდი და მძიმე მოეჩვენა ჭერი და კედლები, რომლებიც მას თითქოს გასრესით ემუქრებოდნენ. „დღეს სტეპანს დავანთებინებ ბუხარში ცეცხლს. რას იზამ, სასრანი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ეს პატივი მას ერგებოდა“, თარსხანმა ღრმად ამოიოხრა და ნელა, აუჩქარებლად, მაგრამ მაინც ღონივრად წამოდგა სკამიდან.

„სტეპან!“ — გაისმა მისი ომახიანი ხმა და ლამპაში ცეცხლის

ალი შებარბაცდა. პეპელა-მოჩვენება კი სადღაც გამქრალიყო. საცოდავს ეგონა შეამტვრევდა პრიალა მინას და საწადელს მიაღწევდა, სინათლეს დაეპატრონებოდა, მაგრამ მოტყუვდა და სიცოცხლესაც ტყუილუბრალოდ გამოესალმა. „სტეპან!" — ისევ დაიჭექა თარსხანმა და ხელისგულზე უსულოდ მისვენებულ პეპელას დააშტერდა.

— აქა ვართ, სახლის უკან, — საიდანღაც ყრუდ მოისმა შადიას ხმა. „რაო, პატარავ, ძუძუ ხომ არ მოგინდა?" — უნდოდა დაეყოლებინა შადიას, მაგრამ ქმრის განრისხებისა შეეშინდა და თავი შეიკავა.

თარსხანმა ფრთხილად დაასვენა ფრთებდაკეცილი პეპელა მაგიდის კუთხეში და უკანა კარით ეზოში გავიდა, საიდანაც მეუღლის ხმა მოესმა. თვითონაც არ იცოდა, რატომ, სისხლი აემღვრა და მუხლები მოეკვეთა, გულმაც უცნაურად დაუწყო ჩხვლეტა.

ცაზე, აქა-იქ, ღრუბლებშუა ვარსკვლავები ციალებდნენ, ნელი სიო ქროდა, მაგრამ ჰაერი მაინც დამძიმებული მოეჩვენა თარსხანს. მან დაინახა თავისი ძროხა ჭიღრა, რომელსაც არ უყვარდა სახლში გვიან-გვიან მოსვლა. შადია მის უკანა ფეხებთან ჩაცუცქულიყო და ძროხას ისე წველიდა, გეგონებოდათ რაღაც რიტუალს ასრულებსო. სტეპანი კი ძლივს აკავებდა ხბოს, რომელსაც დედის რძე მონატრებოდა.

— წყნარად ჭიღრა, წყნარად, — დაბალი ხმით, მაგრამ ისე, რომ ქმარს გაეგონა, ელაპარაკებოდა შადია ძროხას, თუმცა ეს პატიოსანი პირუტყვი ისედაც მშვიდად იდგა და გემრიელად იცოხნებოდა.

თარსხანი მიუახლოვდა მათ, თავისი გამჭოლი მზერა ესროლა შადიას. თუ აქამდე რძის ორი წვრილი ნაკადული თანაბრად იღვრებოდა სარძევეში, ახლა ცერა-ცერა წავიდა და კინაღამ მიწაზე დაიღვარა.

„შენ ისეთი ცოლი უნდა გყოლოდა, თავის მანდილს რომ

დაგხურავდა", — შორს, გულის სიღრმეში გაივლო შადიამ, წამით შეუშვა ცურს თითები და ელვისებრი მოძრაობით შიშველ მუხლებზე კაბა ჩამოიფარა.

თარსხანმა, ეტყობა, შეამჩნია, როგორ დაფრთხა მისი მეუღლე და შეეცოდა, შეწუხდა, რომ ბოლო ხანებში ველარ ახმარდა ხელს და თავის საქმესაც მას აკეთებინებდა.

— ტყუილად იკლავ თავს, მეტ რძეს ეგ არ მოგცემს, მაგან უკვე ქვევით, საძოვარზე გაანაწილა, ვის რამდენი უნდა ერგოს, ჰოდა, მიუშვით ახლა ხბო, ცოდოა ეგეც და სტეპანიც, — თქვა თარსხანმა.

„გიჯობს იმაზე იფიქრო, რა აზრისა ბრძანდება შენზე შენი ცოლი, ძროხის საქმეს შენ მე ნუ მასწავლი," — ენის წვერზე ედგა შადიას, მაგრამ ამჯერადაც დაატანა ჭკუას ძალა და არაფერი უთქვამს. — რძე თუ აღარ უდგება, რაღაში გვარგია, წაიყვანე და საყასბოში ჩააბარე! „ჩააბარე, ჩააბარე!" — გაელიმა თარსხანს და თავისი ცხენი გაახსენდა, იმასაც ხომ საყასბოთი ემუქრებოდა.

— ესე იგი, ჩავაბაროთ ყველაფერი რაც აღარ გვჭირდება, არა?

ხბომ, რომელიც აქამდე სტეპანის მარწუხებში იყო მოქცეული, უეცრად თავისუფლება იგრძნო, ერთი მძლავრად გაიწია, კუდის ბოლო მაგრად ამოაწნა ცხვირში სტეპანს და თავისი დიდი დრუნჩით დედას ეძგერა ჯიქანში, სტეპანმა თავი ველარ შეიკავა და ბალახებში მოადინა ზღართანი.

ხბო ისეთი ძალით ეძგერა ჭიღრას, რომ კინაღამ ისიც არ წააქცია. შუბლით ერთი-ორჯერ მაგრად უჯიკავა ჯიქანში, თითქოს უნდოდა ეთქვა — თუ ჩემი წილი რძეც სხვას მიეცი, ნახე ერთი რა დღეში ჩაგაგდებო. ბოლოს თავის გრილ ლაშებში მოიგდო დედის ძუძუები და თვალები ნეტარებით მინაბა...

— თარსხან, აბა თუ მიხვდები, რაზე საუბრობენ ახლა დედაშვილი?

— შენს თავს ვფიცავ, ახლა მე მაგათი დარდი არ მქონდეს.

— იქნებ შენ იცი, მითხარი, თუ კაცი ხარ!

— ნუ დარდობ შვილო, — ეუბნება დედა შვილს, — მირჩევნია ტყავი გამაძრონ და საყასბოში ჩამაბარონ, ვიდრე შენი წილი რძე სხვას დავუთმო, — უპასუხა სტეპანმა, თან თვალს არ აშორებდა ხბოს, რომელიც კუდს აქეთ-იქით იქნევდა, ძროხა კი ალერსით ლოკავდა მას თავისი გრილი, ხაოიანი ენით.

— რაღაც არ მჯერა, რომ მაინცდამაინც ამაზე საუბრობდნენ, — არ გატყდა თარსხანი.

— რატომ?

— არა, აი რისი თქმა მინდა: მე ვიცი, რომ ცხოველები კი არა, რიყის ქვებიც კი ელაპარაკებიან ერთმანეთს... შენ რომ გეთქვა, ყური მოვკარი კამეჩების საუბარს და კარგად გავიგონე, რა უთხრა ერთმა მეორესო, დიდი სიამოვნებით დავიჯერებდი, იმიტომ, რომ ათასში ერთხელ კამეჩებს მოუწევთ ხოლმე ყოფნა ქალაქში ნალბანდთან. მაგრამ ჭიღრა, რომელიც გუდოუს ველზე დაბერდა და მეტი ამქვეყნად არაფერი უნახავს, რუსულად რომ ელაპარაკებოდეს თავის ხბოს, მიუხედავად შენდამი დიდი პატივისცემისა, მაინც ვერ დავიჯერებ.

სტეპანმა, რომელიც ცდილობდა გაეგო სად უკაკუნებდა მისი პურმარილიანი მასპინძელი, ისე გულიანად გადაიხარხარა, რომ სიცილისაგან მხრები და მუცელი ერთიანად უთახთახებდა.

— კარგი, ვთქვათ, ჩიგრამ არ იცის რუსული, მაშ მე რას მიშვრები, საიდანღაც მოსულმა კაცმა აფხაზური ერთი სიტყვაც არ ვიცი და მაინც მესმის თქვენი?

— ეს კარგად მითხარი და ამაღამ ერთ სადღეგრძელოს სწორედ იმაზე დავლევთ, როგორ გვესმის ჩვენ ერთმანეთის! — გულწრფელად ესიამოვნა თარსხანს სტეპანის ნათქვამი.

ამქვეყნად ყველაფერს თავისი გამორჩეული ნიშან-თვისება აქვს. მაგალითად, ყველა ხე ერთნაირად როდი იწვის. რცხილა,

მაგალითად, უცებ აბრიალდება და მალევე ჩაინავლება, იფანი ნელა და დიდხანს იწვის, წკატაწკუტით. ყველას კი მაინც მუხის ცეცხლი სჯობია, მუხის შეშა თითქოს დნება ცეცხლში, უკვამლოდ და უხმაუროდ... ოთახი სავსე იყო შუქით და სითბოთი, ბუხრის თავზე შემომდგარი ლამპის შუქი კი ისე ანათებდა იქაურობას, როგორც ცას სავსე მთვარე.

— მე ვიცოდი, რომ შენ შეგეძლო ჯარისკაცული კოცონის დანთება, მაგრამ იმას კი უკვე აღარ მოველოდი, თუ ბუხრის ავანჩავანიც ასე კარგად გეცოდინებოდა, — თქვა თარსხანმა და დაარღვია მყუდროება, ბუხრის თავზე შემოდგმული ლამპის თბილი ათინათის გამო რომ სუფევდა ოთახში.

სტეპანმა კარგად გაიგონა თარსხანის ნათქვამი, მაგრამ რატომღაც იფიქრა, რომ მან ერთხელ უკვე უპასუხა ასეთ კითხვაზე.

„ამის მეტი რა ვიცი? კვეს-აბედით ცეცხლი გამიჩენია და დიდი კოცონი დამინთია, ნაკვერჩხალი მეზობლისთვისაც მიმიწოდებია და შეციებული თანაპოლკელებიც გამითბია, გაყინვას გადამირჩენია... მაგრამ ჩაქრა ჩემი ცეცხლი, ჩემი კერა, მის ადგილას წყლის გუბე გაჩნდა... იქნებ მე შევცდი, როცა ხელი ჩავიქნიე ცხოვრებაზე და ზურგი შევაქციე მშობლიურ სანახებს, მამის ეზო-ყურეს, ახლობლების საფლავებს და ჩემს საბოლოო ნავსაყუდელს... დღეს მე ცეცხლს სხვის კერაზე ვანთებ, გაჭირვებულს ვეხმარები, სხვა თუ ტირის, მეც ვტირი, იცინიან და მეც ვიცინი“.

თარსხანი პასუხის მოლოდინში ქვეშ-ქვეშ უყურებდა სტეპანს, მაგრამ ის ხმას არ იღებდა.

თარსხანს ისევ მოეძალა მოგონებები. ისინი მას სულ უფრო და უფრო შორს გადაისროდნენ ხოლმე და აღარ უშვებდნენ, როგორც ციხეში ჩამწყვდეულ ტყვეს. მერე როდის-როდის ისევ დაანებებდნენ თავს და თარსხანიც თავისუფალი იყო, სულში კვლავ სიმშვიდე ისადგურებდა. ახლაც ასე მოხდა. თარსხანმა,

როგორც იქნა ისევ დააღწია თავი შავბნელ ფიქრთა მორევს. სახე ქარისა და წვიმით გამომშრალ, ალესილ კლდეს მიუგავდა, რომელზედაც ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლის ჩრდილები რიალებდნენ.

— მე კი ვფიქრობდი, ვერ დაანთებს-მეთქი ბუხარში ცეცხლს, — გაიმეორა თარსხანმა წეღანდელი ნათქვამი, რომელზედაც პასუხი ვერ მიიღო. მას ნაკლებად აინტერესებდა, რას ფიქრობდა ახლა სტეპანი და გუნებაში სწყინდა კიდეც, რომ სტუმარმა არ ისურვა გამოპასუხება. „ეგრე ადვილად ვერ წამიხვალ ხელიდან!" — გაიფიქრა ბრაზიანად.

სტეპანმა დაიჭირა მასპინძლის უკმაყოფილო მზერა და უცებ სახეზე ღიმილი გაუკრთა.

— ... არ მეგონა, თუ ასე მარჯვედ შეანთებდი ბუხარში ცეცხლს, — ჯიუტად გაიმეორა თარსხანმა.

— ჯარში ამის მეტი რა მიკეთებია! ყინვაში, როცა ჩემი თანაპოლკელები სიცივისაგან კბილს კბილზე აცემინებდნენ, გაყინული ხის ტოტებისაგან ისეთ ცეცხლს დავაგუზგუზებდი ხოლმე რომ...

„ერთი ამას დამიხედეთ! — განცვიფრდა თარსხანი, რომელიც საუბრის გაგრძელებას უფრო მოელოდა, ვიდრე რაიმე კონკრეტულ პასუხს. — უყურე როგორ ქარგავს სიტყვებს, მე კი მეგონა, რომ ასეთ რამეებში კაციშვილი ვერ შემედრებოდა".

— თარსხან, ეს ის ინდაური არ არის, ყველას რომ ეყელყელავებოდა, შემომხედეთ, მე რა თეთრი ვარ, თქვენსავით შავი კი არ გეგონოთ, ასეთი შემქმნა მე ფრინველთა ღმერთმა, ისე კი ნუ მიყურებთო?! — ჰკითხა სტეპანმა თარსხანს და დაელოდა, როდის გადაიღებდა მასპინძელი თავის საყვარელ ნაჭერს და სუფრას აკურთხებდა.

— სწორედ ის გახლავს! — მიუგო თარსხანმა და კიდევ დაიმატა ღომი და აჯიკა, ეტყობა, რაც ცოლმა გადმოუღო ეცოტავა. — როცა მათ სუფრაზე შემოიტანენ, ყველას ერთი ფერი

აქვთ და სადაოც აღარაფერი რჩებათ, არც იმას ამბობენ, წყალი ცხელიაო და არც იმას, აჯიკა თვალებს გვწვავსო.

— ხო, ხო, ხო, რას გაიხარებენ ახლა მაგისი თანამოძმენი — აკი მე ვარ, რაცა ვარო! — სტეპანმა მოზრდილი ლუკმა ამოაწო აჯიკაში და თან ცალი ხელით წინასწარ მომზადებული წყლით სავსე ჭიქა აიღო.

— არ გინდა, — თქვა თარსხანმა და ჭიქას ხელი დააფარა. თარსხანს გრძელი, მოქნილი თითები ჰქონდა, მეზობლები ამბობდნენ, მაგის თითები ჩონგურისთვის არის ზედგამოჭრილიო. თარსხანმა საყვედურით გახედა ცოლს, ხომ გითხარი მაგიდაზე წყალი არ დავინახოო. შადია ბავშვებთან ერთად მაგიდის ბოლოში იჯდა და თავი ისე დაიჭირა, ვითომ ვერ გაიგო ნათქვამი.

სტეპანმა ჩაკბიჩა ინდაურის ბარკალი, ერთი-ორჯერ ძალუმად მოიქნია ყბები და ერთბაშად შეჩერდა, თვალები გაუფართოვდა და იყვირა:

— ენა! პირი! ყელი! დავიწვი ხალხო! — პირის ღრუ ისე ეწვოდა, თითქოს ნაკვერჩხალი გადაუყლაპიაო, ცალი ხელი პირზე აეფარებინა, მეორეთი კი ჭიქას ეძებდა მაგიდაზე, მაგრამ თარსხანი არ აპირებდა მისთვის ჭიქის მიცემას.

— რას შვრები კაცო, რას ერჩი ამ კაცს! ერთი ყლუპი მაინც დაალევინე, ცოდოა ადამიანი!...

სტეპანმა გულთან ახლოს ჩხვლეტა იგრძნო, მერე ცეცხლი, პირს რომ უდაგავდა, ერთბაშად ჩაქრა და მანაც შეწყვიტა მაგიდაზე ხელის ფათური, ციებიანივით რომ უკანკალებდა და ჭიქა წყალს ეძებდა.

თარსხანს, რომელსაც არ უჭირდა გაფრენილი ჩიტისთვის შეენიშნა, სად ჰქონდა ფეხი მოტეხილი, ვერაფრით ვერ გაეგო, რა ხდებოდა სტეპანის არსებაში. და ეს ხდებოდა არა მხოლოდ იმის გამო, რომ სტეპანს შეეძლო გულში ღრმად დაემარხა და არ გამოეაშკარავებინა თავისი გრძნობები და განცდები, რაც,

საერთოდ, დამახასიათებელი იყო მისი ბუნებისათვის, არამედ არავის აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ მას რაღაც ლოდივით აწვა გულზე და ღრღნიდა, სულს უფორიაქებდა, ვერავინ ხვდებოდა, რომ ის დიდ მწუხარებას გამოექცა, ძალიან გაუჭირდა, მაგრამ მაინც გამოექცა... და დღემდე ვერავის მოეხერხებინა შეეღო მისი გულის ცხრაკლიტული და დაედნო ყინული მის სულში.

— ეი, ქალო! — დაუძახა ცოლს თარსხანმა, რომელსაც ჯერ კიდევ არ გაეშვა ხელი წლიანი ჭიქისთვის.

— აქედან მოაშორე ეს ჭიქა, რამდენჯერ უნდა გითხრა, წყალი არ დავინახო-მეთქი მაგიდაზე! — მან ჭიქა აიღო, ხელისგულზე დაიდო და მეუღლეს მიაჩერდა შუბლშეჭმუხნული.

— ამ კაცს ახლა უჭირდა და შენ არ მიაწოდე წყალი, ვაითუ, ერთხელ შენც გაგიჭირდეს და ისე გაგიხდეს საქმე, ერთი ყლუპი წყალი გენატრებოდეს! — ქორი რომ წიწილას აიტაცებს ხოლმე, ისე დაავლო ხელი შადიამ წყლით სავსე ჭიქას და ტანის მოხდენილი რხევით წაიღო, გაშორდა მაგიდას და შაზინასთან მივიდა, რომელსაც ასევე ეწვოდა პირი და ეს ერთი ჭიქა წყალი მისწრება იყო ახლა მისთვის.

თარსხანი დასწვდა დოქს თავისი გრძელი, მოქნილი თითებით და კაჭიჭი, ის თავისი ნაქები ღვინო, წითლად რომ ლიცლიცებდა ცეცხლის შუქზე, ჭიქებში ჩამოასხა, სტეპანიც გაიშალა მხრებში და თავი ასწია.

— დღევანდელ ჩვენ შეხვედრას გაუმარჯოს! — დაარღვია სიჩუმე თარსხანმა, ღვინით სავსე ჭიქა ასწია და მაშინღა შენიშნა, რომ ეს ის ჭიქა არ იყო, რითაც ჩვეულებრივ სვამდა, ხელში ემძიმა, თითქოს შიგ ღვინო კი არა, თაფლი მდგარიყო.

— ოჰო! — გაკვირვებით შეათვალიერა სტეპანმაც თავისი სასმისი.

— ხელში მძიმეა, მაგრამ სულს შვებას მოჰგვრის! — უნდოდა ეთქვა „ძმაო სტეფანო“, მაგრამ ამჯერადაც რატომღაც

„ამხანაგო სტეფან“ ირჩია, — მოდი, ვთხოვოთ ღმერთს, რომ წყალობის თვალით გადმოგვხედოს, რათა ყოველთვის გვქონდეს ძალა და სურვილი ხელი გავუწოდოთ გაჭირვებულს, მხარში ამოვუდგეთ და თანავუგრძნოთ... კაცი მაშინ არის ძლიერი, როცა თავისზე სუსტს შეამჩნევს და გვერდს არ აუქცევს, ხელს გაუწვდის და წამოაყენებს... გაუმარჯოს!...

„ეჰ, ამას ერთი კარგი არაყი აჯობებდა, გადაჰკრავ და თუ თან არ გადაჰყევი, ხომ შენია ქვეყანა!— გაიფიქრა სტეპანმა და ყოველი შემთხვევისათვის კიდევ ერთხელ მოავლო თვალი მაგიდას, მაგრამ მშობლიურ სითხეს ვერსად მოჰკრა თვალი. — ეს ჩემი მასპინძელი რატომ ერიდება არაყს არ ვიცი, დღეში ერთხელ, ისიც დილით, ერთი პატარა ჭიქით მოსვამს და ეგ არის!“

თარსხანმა დაამთავრა სათქმელი და მეტი არაფრის თქმას აღარ აპირებდა, დალევას კი არ ჩქარობდა და ჭიქა ისე ეჭირა ხელში.

სტეპანმა შენიშნა, რომ თარსხანი მას ელოდებოდა და აწრიალდა, სკამზე შეტორტმანდა გედივით, აფრენა რომ სურდა და ფრთები ვერ გაეშალა. იმიტომ კი არ უჭირდა ჭიქის აწევა, რომ შიგ ღვინო ესხა და არა არაყი, არა, იგი ყოველთვის სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა, როცა მისი ჯერი დგებოდა საადღეგრძელოს თქმისა.

„სადღეგრძელოს გაუმარჯოს!“ — იტყოდა ხოლმე სტეპანი და ჭიქას, არყით იქნებოდა ის სავსე თუ ღვინით, სულმოუთქმელად გადაიმხობდა პირში.

— მოიცა, — უთხრა ერთხელ თარსხანმა სტუმარს, მას შემდეგ, როცა ცოტა გაუშინაურდნენ ერთმანეთს. — შენ რა, დიაკვანი ხომ არ ბრძანდები? — ჰკითხა მოურიდებლად.

— არ მესმის?! — ძლივს ამოილუღლუღა სტეპანმა, რომელიც იმწუთას მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რა გადმოეღო: ღომი, მოხარშული ინდაურის ნაჭერი, ელარჯი თუ ლორი...

— თუ შენ დიაკვანი არა ხარ, არც მე ვარ მღვდელი, — უთხრა მაშინ თარსხანმა. — დიაკვანი ყველაფერზე თავს უკანტურებს, რასაც მღვდელი იტყვის, იმიტომ რომ მისი ნასუფრალით ცხოვრობს. როცა ღმერთმა მღვდელს უფლებები მისცა, ეშმაკმა ისინი დიაკვანს ჩამოართვა... ნუთუ შენ თვითონ არაფრის თქმა არ შეგიძლია, მხოლოდ ჩემი აზრები უნდა გაიმეორო? ჩემი ნათქვამი — ეს ჩემია. ჩემი გაკეთებულიც ჩემია მხოლოდ...

„კარგი, მაგრამ ერთი ეს მითხარი, რა აუცილებელია პირში გადამხობილ ჭიქას უკან სიტყვების კორიანტელი მივაყოლო? არაფრად ვარგა ეს თქვენი წესი". — უნდოდა ეთქვა სტეპანს, მაგრამ მასპინძლის წყენინებას მოერიდა და განაგრძო: — ხომ შეიძლება დავლიოთ და მერე ვილაპარაკოთ? აი, თუნდაც, რატომ არ შეიძლება ვჭამოთ და არ დავლიოთ, ანდა პირიქით?

— ჩემო სტეპან! — თარსხანმა ისეთივე გაკვირვებით შეხედა სტუმარს, როგორც ის უყურებდა მას, მაგრამ ჭიქა არ დაუდგია, რადგანაც სადღეგრძელო უკვე ნათქვამი იყო. — თუ გინახავს, რომ დასაფლავებაზე ვინმე მღეროდეს ან ქორწილში არ მღეროდნენ? — ღვინო და სადღეგრძელო ერთად გაჩნდნენ ამ ქვეყანაზე, აღარ იქნება ღვინო, არც სადღეგრძელო იქნება და პირიქით, თუ სადღეგრძელოს თქმა აღარ იქნება საჭირო, მაშინ ღვინოს ვინ რაღა თავში იხლის... სხვათა შორის, ისიც მინდა გითხრა, რომ ეს კურთხეული სითხე სალოთაოდ კი არ არის მოგონილი, არამედ სამუსაიფოდ, რომლის ერთადერთი მოწმე და მსაჯული მამაზეციერია მხოლოდ.

დღიდან ამ სახლში მოსვლისა სტეპანმა მაინცადამაინც ბევრი ვერაფერი გაიგო აქაური სუფრის წევრებისა. ერთი რამ აოცებდა კიდევ: აქ არავინ სვამდა ღვინოს უზომოდ, ნელ-ნელა, ცოტას სვამდნენ და გემოვნებით.

— გაუმარჯოს! — თქვა ისევ თარსხანმა და სამწლიანი კაჭიჭის ღვინო ნეტარებით შესვა.

— იმ ცხვრის სადღეგრძელო იყოს, რომელიც მარტო თავის

თიკანს არ კვებავს და ობლად დარჩენილსაც აწოვებს ძუძუს! — სტეპანმა ასწია ჭიქა, რომელიც მას თარსხანისაგან განსხვავებით, მაგრად ჩაებღუჯა ხელში.

— ობლად დარჩენილი ბატკანის სადღეგრძელო იყოს! — დაუმატა თარსხანმა და სტეპანისთვის კეთილი, ეშმაკური მზერა არ მოუცილებია.

— გაუმარჯოთ, ღმერთმა იმათაც ხელი მოუმართოთ! — სტეპანმა, ვიდრე დალევდა, ჯერ ჭიქაში ჩაიხედა, ავადმყოფი წამალს რომ დახედავს ხოლმე ისე, მერე კი მოიყუდა და სულმოუთქმელად გადაჰკრა. მას მაინცდამაინც არ მოსწონდა კაჭიჭი, სქელი, მაგრამ მსუბუქი ღვინო, პირველი დაგემოვნებისას ოდნავ რომ მწკლარტავდა პირს, მერე და მერე კი თბილად დაირბენდა ძარღვებში და გულს გაგიხალისებდა, ღონეს მოგცემდა და სხეული აგიმსუბუქდებოდა. ასე დაემართა ამჯერადაც სტეპანს, თვალები ზუსტად ისეთი გაუხდა, ვისი სადღეგრძელოც ამ წუთში შესვა და მზად იყო სულში ჩაეძვრინა არა მარტო თარსხან აკუაძბა და მისი ოჯახი, არამედ მთელი სოფელი გუდოუ...

თარსხანი ნელა ჭამდა, ხორცის ნაჭრებს გულდაგულ ირჩევდა და ცერად გასცქეროდა სტეპანს.

— ეს ღვინო არ არის! — თქვა უცებ სტეპანმა, როცა ერთბაშად იგრძნო, როგორ გაუჯდა წითელი სითხე სისხლში.

— მართალი ხარ! — მიუგო თარსხანმა. — თეთრი ინდაურიც, რომლის ხორცსაც ახლა ჩვენ მივირთმევთ, უკვე აღარ არის ინდაური. ეს რომ ასე არ იყოს, იმდენი აჯიკა წავუსვი ახლა ბარკალზე, რომ ყივყივს ატეხდა და წყლით სავსე ჭიქას დაუწყებდა ძებნას მაგიდაზე.

სტეპანი მიხვდა, რომ თარსხანმა კიდევ ერთხელ გაკენწლა იგი და გული უსიამოვნოდ შეეკუმშა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. არ არსებობს ამქვეყნად ნათქვამი სიტყვა, რომელსაც პასუხი არ მოეძებნებოდეს. სტეპანს რომ ყველაფერზე პასუხი ეძებნა,

მას მთელი სიცოცხლე არ ეყოფოდა... თარსხანიც მიხვდა, გადავამლაშეო და ინანა კიდეც გულში: „ვერ დავაჭირე ენას კბილი, რა ეშმაკი შემიჯდა, არ ვიცი!"

ამქვეყნად უნაკლო ადამიანი არ არსებობს, ისევე როგორც არ არსებობს ადამიანი, ყველას რომ ერთნაირად უყვარდეს... ზოგი არ უყვართ იმის გამო, რომ შურთ მისი, ზოგი ეჯავრებათ ენამწარეობის გამო. სოფელშიც და მის გარეთაც ბევრს უყვარდა თარსხანი მოყვარული გულისა და სიკეთისათვის, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც პირში ეფერებოდნენ და თვალებში შესიციცინებდნენ, მაგრამ სინამდვილეში სძულდათ იგი და ეშინოდათ ამავე დროს. ზოგს ის აღიზიანებდა, რომ მისი ცხენი დოღში ყოველთვის პირველი იყო, მას შეეძლო ეთხოვებინა მათთვის ცხენი და ამიტომ ისინი თავს მის მოვალეებად თვლიდნენ, რაც გულზე ხეთქავდა ზოგიერთს, ზოგს ეჯავრებოდა იმიტომ, რომ თარსხანს სიტყვის შერჩენა არ უყვარდა და მოქიშპეს არასოდეს ვალში არ რჩებოდა. ამისათვის კი მას ჭკუაც კარგად უჭრიდა და ენაც.

„ღმერთმა მოგცეს უნარი მოყვარე მტრისაგან გაარჩიო", — ლოცავს ხოლმე მოხუცი ბრძენკაცი ახალგაზრდას. უმტერო ამქვეყნად კაცი არ დადის და ვაი ასეთ კაცს, თუ მას სადმე მოყვარეც არ ეიმედება. და კიდევ! კაცს აუცილებლად უნდა ჰქონდეს რწმენა, რწმენა სიკეთისა, სილამაზისა, რაც ადამიანს აკეთილშობილებს, კურნავს და დალუპვისაგან იხსნის კიდეც.

— ბავშვი ხომ არა ვარ, ვერ მივხვდე, ვინ მტერია და ვინ მოყვარე — ასე ფიქრობს თარსხანი, მაგრამ სადღაც გულის სიღრმეში მაინც სჯერა, რომ არიან მის გარშემო ისეთებიც, რომლებიც არაფერს იმჩნევენ, თორემ ჩუმ-ჩუმად მაინც უთხრიან მას ორმოს.

თარსხანიცა და სტეპანიც მადიანად ილუკმებოდნენ, შადია კი ჭიქებს მაგიდაზე დადგმას არ აცლიდა, მაშინვე ავსებდა სურნელოვან კაჭიჭით.

— ხალხს გაუმარჯოს! — თქვა თარსხანმა, ინდაურის გამოხრული ბარკალი თეფშზე დადო და ჭიქა ასწია.

„არ ვიცი რა სიკეთეს მისცემს ჩვენი სადღეგრძელო ხალხს, მაგრამ ამ ჭიქის მერე რომ ჩვენ ყველაფერი ვარდისფად მოგვეჩვენება, ეს ნაღდია“, — უნდოდა ეთქვა სტეპანს, მაგრამ ისევ მასპინძლის წყენინებას მოერიდა და თავი შეიკავა.

— მე მარტო აფხაზეთის სადღეგრძელოს არ ვამბობ, ყველა ხალხს გაუმარჯოს დედამიწაზე!

— „ოჰო, ერთი ჩემს მასპინძელს დამიხედეთ, ამას თურმე ხელები უფრო გრძელი ჰქონია, ვიდრე ენა და ჭკუა, მთელი ქვეყნიერების გულში ჩახუტება არ მოინდომა!?“

— დაე, მუდამ აპოხიერებდეს ადამიანი ოფლით მიწას, კმარა, რაც ამქვეყნად სისხლი დაღვრილა. ნურასოდეს დაიბადება ადამიანის გონებაში აზრები, შხამიან გველებივით რომ დასწამლავს ყველაფერს, ცეცხლს შემოუნთებს გულზე ადამიანებს და მერე საბოლოოდ შთანთქავს სიცოცხლეს დედამიწაზე!...

სტეპანი უსმენდა თარსხანს, ცდილობდა გაეგო სადღეგრძელოს აზრი, რათა თვითონაც ეთქვა ისე, როგორც შეეძლო.

— ასე კარგად თქმა მე არ შემიძლია, მაგრამ ბოლომდე მაინც დავცლი ჭიქას, — თქვა სტეპანმა და სასმელს ხელი წაატანა.

შადიამ, რომელიც ჯერ კიდევ მაგიდის გარშემო დაფუსფუსებდა, როგორც იქნა, თავისთვისაც გადაიღო ცოტაოდენი ღომი, ინდაურის ფრთა და მამაკაცებისაგან მოშორებით, მაგიდის ბოლოში ჩამოჯდა. იგი თითქმის არ უსმენდა ქმრის სადღეგრძელოებს, რომლებიც ისედაც ათასჯერ ჰქონდა მოსმენილი და, რომელსაც მისი ქმარი წარამარა ისროდა ლოზუნგებივით. ქალის ფხიზელი გონება უფრო სხვა ფიქრებში იყო გართული. შადიას ძალიან უნდოდა გაეგო მიზეზი, რომელმაც დღეს ეს ამპარტავანი თეთრი ინდაური შეიწირა და ქმარს საგულდაგულოდ შენახული კაჭიჭის ღვინო, ძმის დაბრუნების მოლოდინში

რომ აძველებდა თარსხანი, დაახარჯინა. ის ვერც იმას მიმხვდარიყო, რატომ დასვეს ამჯერად შიბგა მაგიდის ბოლოში, როცა მას უკვე უფლება ჰქონდა მიცემული მამის გვერდით მჯდარიყო და, რაც ყველაზე ძალიან აინტერესებდა, რატომ დაანთებინა დღეს თარსხანმა სტეპანს ბუხარში ცეცხლი.

შადია სმენად იქცა, გაიტრუნა და ცდილობდა სიტყვაც არ გამოჰპარვოდა და, თუმცა ყველაფერი კარგად ესმოდა, მაინც გადაწყვიტა ახლოს მიეჩოჩებინა სკამი მოსაუბრეებთან და კარგად დაკვირვებოდა მათ სახეებს, რადგან დარწმუნებული იყო, ამგვარად გაცილებით მეტს შეიტყობდა, თუ რას ფიქრობდა და გაიცდიდა ბუხრის წინ სუფრასთან მჯდარი ორი მამაკაცი, ბუხარში კი ცეცხლი მხიარულად გუგუნებდა. ერთი დიდი მუგუზალი ხმაურით ჩაიმზღვლა და უამრავი თვალისმომჭრელი ნაპერწკალი საკვამურის მილს ეცა, რათა თავი გაეღწია გარეთ და ვარსკვლავებამდე აჭრილიყო.

შადია გონებაგამჭრიახი ქალი იყო და არასოდეს იბნეოდა, როცა იგრძნობდა ხოლმე, რომ ვინმეს შეეძლო გამოეცნო მისი იდუმალი ზრახვები. ახლაც, ვითომ მამაკაცებმა ზედმეტი ცნობისმოყვარეობა არ შემამჩნიონო, ხუმრობით შეუძახა:

— თქვენ ეი, გემრიელად რომ მიირთმევთ ამ პატიოსან ინდაურს, ერთი ჭიქით მაინც დაგელიათ მაგ საცოდავის სულის მოსახსენიებელი!ან დიასახლისისათვის მაინც გეთქვათ ერთი სიტყვით მადლობა... ერთთავად რომ გაიძახით — ჩვენ, ჩვენ, ჩვენ! — ნება-ნება, გამოზომილად ლაპარაკობდა შადია.

„არა, ეშმაკს ნამდვილად არასოდეს არ სძინავს“, — გაიფიქრა თარსხანმა და გაკვირვებით შეხედა ცოლს... საკმარისია კაცის გონებაში რაიმე აზრი ამოტივტივდეს, რომ ამას შეკითხვა უკვე მზად აქვს: „რაო, რისი თქმა გინდა? რაღას აჭიანურებ?!“... „ნეტავ საიდან გაიგო, რომ სადღეგრძელოები მოვილიე და ახლა იმაზე უნდა ჩამომეგდო სიტყვა, რაც აი, უკვე კარგა ხანია მაწუხებს და გულს მიღრღნის? არა, შეუძლებელია

საიდუმლოს შენახვა, ყველამ ყველაფერი იცის. ეშმაკს არა სძინავს-მეთქი, განა ტყუილია? შემოგიძვრება სულში ეს წყეული, გამოგტყუებს ყველაფერს. არც იცი, რას ფიქრობ და საიდუმლოც აღარ არსებობს!...“ თარსხანმა თვალი აარიდა ცოლს და ოთახის ყველა კუთხე-კუნჭული მიათვალ-მოათვალიერა. ბავშვები უკვე ამდგარიყვნენ მაგიდიდან და ოთახიდან გასულიყვნენ, ბუხარში ტკაცატკუცით იწვოდა მუხის მუგუზლები და ცეცხლის ალი ოთახის კედლებს ეთამაშებოდა, ბუხრის თავზე შემომდგარი სასრანისეული ლამპა სუსტათღა ანათებდა ოთახს, როგორც სანთელი ახლად გაჭრილი სამარის თავზე. თარსხანმა მხოლოდ ახლაღა გაიხედა სტეპანისაკენ. ის კი იჯდა მაგიდასთან თავჩაქინდრული და მხრებჩამოყრილი, თითქოს გრძნობდა, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო.

— იცი რა... — ხმადაბლა, მაგრამ მტკიცე ხმით მიმართა თარსხანმა ცოლს, — მოდი აქ, ახლოს დაჯექი.

— მე უკვე ვივახშმე, — მიუგო შადიამ და თავი ისე დაიჭირა, თითქოს სხვა არაფერი აინტერესებდა, თუმცა უტყუარად გრძნობდა, რომ თარსხანი რაღაც მნიშვნელოვანის თქმას აპირებდა. — მე მგონი ყველა დავაპურე და სადღეგრძელოებსაც ყურადღებით ვისმენდი...

— დაჯექი ჩვენს გვერდით, — გაიმეორა თარსხანმა და ცოლს შეხედა.

— რას ჩამაცივდი, კაცო, ქვეყნის საქმე მაქვს კიდევ! — ვითომ გაწყრა შადია, მერე კი ღიმილით აიღო თავისი თეფში, დანა-ჩანგალი და ძლივს შესამჩნევი სიკეკლუცით მამაკაცების სიახლოვეს ჩამოჯდა.

— კაცი ხანდახან თავის ალაბაშას მოეთათბირება, თუ გაჭირდა, — წაიდუდუნა თარსხანმა და ჭიქაში დაიწყო ყურება, სადაც კიდევ ჩარჩენილიყო კაჭიჭის წითელი წვეთები. — მაგრამ ბედმა მე ამის საშუალებასაც მომაკლო. ნათესავი მე აღარ მყავს, მეზობელი, ჭკუას რომ დაეკითხება კაცი, ძმა და

მეგობარი! და რომც მყავდნენ ისინი და ჩემს გვერდით იყვნენ, რას მირჩევდნენ ვითომ ახლა? იმათ რომ უთხრა, თურქეთში მივდივარ, სულთანის სასახლე უნდა გადავწვაო, გეტყვიან: ან აქამდე რას აკეთებდი, დროზე მოგიფიქრებია, ოღონდ შენ იცი, მალე დაბრუნდიო... განა მხარში ამოგიდგებიან კაცს... მაგათ ტვინი ვინ მისცა, საკუთარ ცხვირს იქით ვერაფერს ამჩნევენ. ყველაფერზე მარტომ უნდა ვიმტვრიო თავი! — ამას თარსხანი თავისთვის უფრო ამბობდა, ვიდრე შადიას გასაგონად. სტეპანიც ისე იჯდა მაგიდასთან, რომ ეტყობოდა, ვერა და ვერ გაეგო, რა იყო დღევანდელი თავშეყრის მიზეზი...

თარსხანმა თავი ასწია და იქ მყოფთ გადახედა. შადია კვლავ უძრავად იჯდა, გახევებული, როგორც ხატის წინ დამხობილი მონაზონი, სტეპანმა კი მასპინძლის მზერა იგრძნო და მხრებში გაიმართა.

თარსხანმა მკვეთრი მოძრაობით ჭიქა აიღო და წამოდგა. წამოდგა შადიაც. სტეპანი, რომელიც ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა, თითქოს სკამს მიეჯაჭვა, ჭიქა აიღო და ისევ დადგა. „ამდენი სადღეგრძელო დავლიეთ და არც ერთხელ არ ავმდგარვართ და ახლა რა ხდებაო", — გაიფიქრა და ქვევიდან გაოცებულმა ახედა ფეხზე მდგარ მასპინძლებს... ბოლოს სტეპანმა ისევ აიღო ხელში ღვინით სავსე ჭიქა და დინჯად წამოდგა.

— მამაჩემსაც ერთადერთი ძმა ჰყავდა! — დაიწყო თარსხანმა, თითქოს საზეიმო რიტუალის შესრულებას შეუდგაო. — სწორედ მაშინ, როცა ორივე ძმას, როგორც ორ ფესვმაგარ მუხას, შეეძლო თავიანთ ჩრდილქვეშ შეეფარებინა სიცხით გათანგული მგზავრი, ერთ-ერთმა მათგანმა სამუდამოდ დატოვა ეს ქვეყანა და დატოვა მეორე ძმა, როგორც ეულად დარჩენილი ოლე... ასეთი ბედი მერგო მეც! — განაგრძო თარსხანმა და მძიმედ ამოიოხრა, თითქოს სურდა გულზე დაწოლილი ლოდი გადაეგდო. — როგორც ხედავ, ახლა მარტოსული ვარ! — თარსხანის ბოლო სიტყვები აშკარად სტეპანის

მისამართით იყო ნათქვამი, თუმცა ამჯერად მისკენ არ გაუხედავს... — როცა ის ცოცხალი იყო, ყოველთვის მშობლიურ სახლისაგან შორს ცხოვრობდა, იშვიათად თუ ვინმეს ვუნახივართ ერთად მამისეულ სახლში... მერე კი უბედურება დაგვატყდა თავს...

„ვხედავ არც მისთვის არის უცხო დაბურულ ტყეში სიარული, სადაც მეც ბევრი მივლია ბილიკ-ბილიკ და გზაწვრილით, მაგრამ ვნახოთ, როგორ მოინახავს იგი უკან დასაბრუნებელ გზას", — გაიფიქრა სტეპანმა, რომელიც გულისყურით უსმენდა მასპინძლის ქარაგმებს, მერე თანდათან იგრძნო, როგორ დაუმსუბუქდა სხეული. ძველი კაჭიჭის ღვინო თავისას შვრებოდა და ერთბაშად საოცარი ძალით იგრძნო როგორ უყვარდა ეს ხალხი და მოეძალა სურვილი ესვა და ელაპარაკა დაუსრულებლად.

— ის თქვენთან, რუსეთში წამოიყვანეს, — განაგრძო თარსხანმა, — მაშინ მე სოფლის მამასახლისი ვიყავი. მთელ სოფელში კარდაკარ ვაგროვებდი ჯანმაგარ ბიჭებს და მატარებელზე ვაგზავნიდი... დაცარიელდა ეზოები, ხალხი გამარჯობას აღარ მეუბნებოდა, ძაღლებს მიქსევდნენ... ერთხელაც მოვიგდე ზურგზე ზურგჩანთა, სამხედრო კომისარიატში გამოვცხადდი და მოვითხოვე ფრონტზე გამიშვით-მეთქი. ფრონტზე წასვლა თუ გინდა, აჰა შენ შაშხანა და წადი მთებში და იქ იომეო, — ასე მითხრეს. ჰოდა, დავდიოდით ჩვენც ტყე-ღრე და ვხოცავდით მტერს, ვიდრე არ დავამარცხეთ. ჩემი ძმა ომიდან აღარ დაბრუნებულა, სტეპან! — ასწია თავი თარსხანმა და პირდაპირ შეხედა თანამოსაუბრეს.

სტეპანი რატომღაც გაიჯგიმა და ხელები ჩამოუშვა, დაავიწყდა, რომ ხელში ღვინით სავსე ჭიქა ეჭირა, მაგრამ დროზე მოეგო გონს და და ისევ გაიმართა ისე, რომ ღვინის არც ერთი წვეთი არ დაუქცევია.

— აღარ დაბრუნებულა ჩემი ძმა, სტეპან! — გაიმეორა გულამოსკვნით თარსხანმა, — სულ მარტო დავრჩი. ცალ მანაზე კი ღობე არ დაიწვნება, ხომ იცი...

სტეპანმა შენიშნა, როგორ აუწყლიანდა თარსხანს თვალები, შადიამ კი თავი ველარ შეიკავა და ღაწვები მსხვილი ცრემლით დაენამა. სტეპანი შეცბუნდა, დაიბნა, აღარ იცოდა რა მოემოქმედებინა. ანგარიშმიუცემლად ჭიქაში დაიწყო ყურება, მოეჩვენა, რომ სასმისიც ცრემლებით იყო სავსე და გული შეეკუმშა.

— ვინ იცის, იქნებ ბედის წყალობაა, რომ შენ ჩვენი სახლის ზღურბლს გადმოაბიჯე, — ღიმილიანი, სითბოჩამდგარი თვალებით შეხედა თარსხანმა სტეპანს. — მამაზეციერმა წყალობის თვალით გადმომხედა, დაინახა, რომ მარტოხელა ვარ და ძმა გამომიგზავნა, მარჯვენა ხელი. მე მსურს, რომ შენ დღეიდან ჩემი ნამდვილი ძმა გახდე.

— გმადლობ... მე... მე არ ვიცი... როგორ... არ ველოდი, ღმერთია მოწმე... რას ვიფიქრებდი, — მთლად დაიბნა სტეპანი. შადიას ცრემლები წასკდა და აქვითინდა. — ჩემთვის უკვე აღარაფერი არსებობს, ყველას და ყველაფერს განვუდექი...

— მე დიდი ხანია მაწვალებს ერთი აზრი და დღეს მინდა გაგიზიარო, მერე კი ორივემ ერთად მოვილაპარაკოთ, — თქვა ფიქრიანად თარსხანმა და თან დაცლილ ჭიქას აწვალებდა ხელში, მერე ისევ სტეპანს შეხედა და გაუღიმა. — არ იფიქრო სახლიდან გაგდებდე, არა, სჯობია კაცს თავისი კუთხე ჰქონდეს. აი, აქ, ბაღის ბოლოში, ვენახის ახლოს სახლი მინდა აგიშენო... სასახლეს მართალია ვერ შეგპირდები, თუმცა ვერც ეზო-კარს დაგინუნებს ვინმე.

თარსხანს სოფელში ბევრი მოგვარე ჰყავდა, სოფლის განაპირას, თითქმის უაზ-აბას ძირში კი ცხოვრობდა აკუაძების გვარის უხუცესი, საიდანაც მთელი მიდამო ხელისგულივით მოჩანდა. უფრო მოშორებით უკიდეგანო ზღვა გაშლილიყო. მრავალი წლის განმავლობაში წვიმებისა და ქარტეხილებისაგან გამოფიტული მორის ძირში იდგა ამ გვარის ოჯახების სხვა სახლები და წყეულ ომს რომ ამდენი ხალხის სიცოცხლე არ შეეწირა, აკუაძები თავიანთ სახლებს უკვე ზღვის სანაპიროზე ააშენებდნენ.

აკუაძბები ოდითგანვე კარგად მრავლდებოდნენ, ბერწი და უჯილაგო ქალი მათ გვარში არ გამორეულა. ხალხში იმასაც კი ამბობდნენ, ვისაც უნდა რომ გამრავლდეს, ქალი აკუაძბების გვარის კაცს გაატანეო ცოლად.

და თუ თარსხანი ჩიოდა, რომ მას არ ჰყავდა ძმა, ნათესავი და ახლობელი, ამით მხოლოდ იმის თქმა სურდა, რომ ოჯახში არავინ ეგულებოდა მხარის გამსწორებელი, მისი ტოლი და სწორი, ჭკუა და საქმე მისებრ რომ მოეკითხებოდა.

თარსხანს გაახსენდა ის დღე, როცა სტეპანი პირველად შემოვიდა მის ეზოში. მაშინ ვერც ერთი მეზობელი და ვერც თარსხანი იფიქრებდა, რომ ეს ჩამოძონძილი მოხუცი სინამდვილეში თარსხანზე უმცროსი იქნებოდა, გამჭრიახი გონება ექნებოდა და არ უნდა აეგდოთ აბუჩად, როგორც ვინმე სულელი ბოგანო, სოფელ-სოფელ ლუკმა პურისთვის მოხეტიალე. მაშინ თარსხანი სახლის მიცემას კი არა, იმაზე ფიქრობდა, ზამთარში სად დაებინავებინა ეს ზინზლიანი ბერიკაცი.

ეზოში შემოსულ კაცს იმას ხომ არ ჰკითხავ, ვინ ხარ, საიდან მოდიხარო. კარგი მასპინძელი კარზე მომდგარ სტუმარს გულღიად შეეგებება — კეთილი იყოს შენი მობრძანებაო — ეტყვის და სახლში შეუძღვება, დააპურებს და მოასვენებს. „ყველი, პური და კეთილი გულიო“ — ასეთი სიტყვებით ხვდებოდნენ სტუმარს თარსხანის წინაპრები. ასე იქცევა დღეს თარსხანიც. როგორც იტყვიან — „სტუმარი ღვთისაა!“ როცა სტეპანი თარსხანის სახლში დაბინავდა, არავის უკითხავს მისთვის, ვინ იყო, რას აპირებდა, არ მიუჩეჩებიათ ხელში თოხი და ბარი და არ უთქვამთ ჩვენთან ერთად იმუშავეო მინდორსა და ყანაშიო. იმ წლებში ასეთი სტუმრები აფხაზეთის სოფლებში იშვიათი ხილი არ იყო. უმეტესი მათგანი მალევე ბრუნდებოდა უკან და დასვენებული, დაპურებული და სურსათ-სანოვაგით გატენილი ზურგჩანთით კვლავ გაუყვებოდა ხოლმე მტვრიან გზაშარას...

თავიდან ყველა ფიქრობდა, რომ სტეპანიც მალე აიკრავდა გუდა-ნაბადს და თავის გზას გაუყვებოდა, არც თვითონ სტეპანი იყო დარწმუნებული იმაში, რომ ეს სახლი იყო მისი საბოლოო ნავსაყუდელი და აქ უნდა დამარხულიყო. მაგრამ მას არ შეეძლო გულხელდაკრეფილს ეცქირნა, როგორ მუშაობდნენ სხვები და თვითონაც აიღო თოხი ხელში. თუ სადმე დაინახავდა, რომ ქალი მძიმე კალათას ეწეოდა, გვერდზე კი არ გაიხედავდა, არამედ ჩამოართმევდა ტვირთს და თვითონ მიჰქონდა, როცა შადია ძროხას წველიდა, მან უკვე იცოდა, რომ ხბო უნდა დაეჭირა. ასე ნელ-ნელა მიეჩვივნენ ისინი ერთმანეთს. თარსხანის ოჯახმა შეიყვარა სტეპანი და უკვე თავისიანად თვლიდნენ.

თუმცა სტეპანისათვის ერთობ მოულოდნელი იყო თარსხანის წინადადება, მას მაინც ბევრი აღარ უფიქრია და დაეთანხმა კიდეც. მაგრამ როცა ღამე მარტო დარჩა, სულში ისევ შემოენთო ცეცხლი და თვალწინ წარმოუდგა ის გზა, რომელიც მან გაიარა და რომლის სიზმარში ნახვაც კი აძრწუნებდა. მიდიოდა ის შარაგზაზე ზურგჩანთამოკიდებული, სიარულით ქანცგაწყვეტილი და დაოსებული. გზის გასწვრივ ჩამწკრივებულიყო სახლები, ახალი, მკვიდრად ნაგები კედლებით. ყველა სოფელში აღმართულიყო თეთრი ობელისკები. რომელთა გარშემო ბავშვები თამაშობდნენ, თეთრად ყვაოდნენ ალუბლები... უფრო შორს კი მოჩანდა საფლავები, საფლავები და ზღვა ყვავილები... ამ საფლავებს შორის გარკვევით მოჩანდა სამი ბორცვი, ორი პატარა და ერთი დიდი, რომელზედაც რამდენიმე ღერი დამჭკნარი ყვავილი ეყარა. ბორცვების თავზე რიალებდნენ ჩიტები, ნისკარტით აიღებდნენ მიწის უმცირე კოლბოხს და აფრინდებოდნენ ზევით, ხის კენწეროებისაკენ, სადაც ბუდეებს აშენებდნენ. ჩიტები მუდმივ ქიშპობაში არიან ადამიანებთან და ავსებენ ცასა და დედამიწას შორის დატანებულ სივრცეს. ომმა არც ჩიტები დაინდო.

სტეპანი შებარბაცდა და რომ არ წაქცეულიყო საწოლზე

ჩამოჯდა. გული საშინლად უცემდა, შემაძრწუნებელმა ხილვებმა გაანთავისუფლეს იგი მარწუხებიდან და მან, როგორც იქნა, შვებით ამოისუნთქა. ახლაღა შეამჩნია, რომ ცაზე მთვარე გაბადრულიყო და მისი სხივები ოთახში იჭრებოდა, საწოლზე, ბალიშზე დაფენილიყო და რაღაც უცნაურ ხმებს გამოსცემდა, კატის კნავილს რომ წააგავდა თითქოს. სტეპანი იჯდა საწოლზე გახევებული, მუშტებშეკუმშული და საცოდავად ეღიმებოდა. ასე იჯდა იგი დიდხანს, შემდეგ მკერდის არეში ტკივილი თანდათან დაუცხრა. მან ღრმად ამოიოხრა და გაშალა დაბუხული თითები. „თუ არავინ გეგულება, ვინც ხელებს დაგიკრეფს გულზე, მაშინ შენ თვითონ უნდა ქნა ეს", — გაახსენდა თარსხანის ნათქვამი, ტუჩები წეღანდელივით საცოდავად აებრიცა საღიმილოდ, ხელები თავქვეშ ამოიდო და ეგრევე მიწვა ლოგინზე.

სტეპანმა თვალები დახუჭა, ეგონა ეგ არის და საბოლოოდ დავაღწიე თავი ავბედით ხილვებსო, მაგრამ შენც არ მომიკვდე, ყველაფერი ისევ თავიდან დაიწყო. „ჩემი წამოსვლის შემდეგ ალუბლები აყვავებულა, — გაიფიქრა და კვლავ მოეძალა მოგონებები, რომელთაც ის ისე შეეჩვია, როგორც ადამიანი ეჩვევა ხოლმე სიკვდილს, როცა იცის, რომ მას ვერსით ვეღარ უგანებს და, რაც უწერია, ის აუცილებლად აუხდება. ახალი სახლები აუშენებიათ: მას მოეჩვენა, რომ გარკვევით იგრძნო ახლად მოჭრილი ფიჭვის ხის სუნი, საფლავები გაპარტახებულია, მაგრამ ყვავილებს, ამ პატარა ბორცვებზე რომ აწყვია, ჯერ კიდევ არ შეშრობია ნამი... ჩიტები კი, საფლავებზე მიყრილ მიწიდან პატარ-პატარა გორახებს რომ აგროვებენ ბუდეების ასაშენებლად, სიცოცხლის გამგრძელებლები არიან დედამიწას და ცას შორის. თურმე არც საფლავის მიწა შეიძლება დაიკარგოს უქმად... მან ყველაფერს ზურგი შეაქცია, ეგონა დამიჩოქებენ და მეტყვიან, რას შვრები, სად მიდიხარ, ნუ დაგვტოვებ, დარჩი ჩვენთან, მაგრამ ვერ მიართვეს! საკუთარი სახლის დაწვაც რომ

გადაწყვიტო, წინ მაინც არავინ გადაგიდგება, პირიქით, ბევრი მოიწადინებს ცეცხლზე ხელები გაითბოს! როცა მდინარე აზვირთდება, ხეებს ძირფესვიანად მოთხრის, მხრებზე მოიგდებს და დინების მიმართულებით დაითრევს, ცოტაღაა იმედი, რომ ისინი სადმე ნაპირზე გარიყვის შემდეგ კვლავ გაიხარებენ, კვლავაც აშრიალდებიან მათი კენწეროები, მაგრამ ბოლოს მდინარესაც ძალა გამოელევა და მათ სადღაც რიყეზე ან თავის აქაფებულ ტალღებს შორის ამოჩრილ ლოდებზე გარიყავს... ასეთია კაცის ცხოვრებაც. მისმა მდინარებამ გამიტაცა მეც და საბოლოოდ აქ, ამ ეზოში გამომრიყა. ჯერ დამაპურეს, როგორც უპოვარი და მშიერ-მწყურვალი, მერე კი, როცა შემატყვეს რომ მეც შემიძლია ხელი გავანძრიო, ძმობა მითხრეს, მიწა მომცეს და სახლი ამიშენეს. ჰოდა ახლა ვწევარ ჩემი ძმის სახლის წაბლის ხით გაწყობილ ოთახში არხეინად გაშოტილი და ვფიქრობ, რას მიმზადებს დღე ხვალინდელი". სტეპანი გაიზმორა, გრძელი ფეხები საწოლის რკინის ქობაზე მოუხვდა და ცივად გააჟრჟოლა. მან თვალები გაახილა. მთვარეს თავისი სხივები აეკრიფა მისი საწოლიდან და ახლა კედლებზე ციალებდა ყვითელ ფერად, თითქოს წაბლის ხეზე გამოყვანილ ჩუქურთმებს ეალერსებიანო, მაგრამ ეს ჩუქურთმებიც, ეს ცივი რკინის საწოლიც და ეს სახლიც უცხო, არამშობლიური იყო მისთვის.

ამ დროს მის თვალები სასრანის პორტრეტს წააწყდნენ, რომლის შეხედვასაც ბოლო ხანებში ასე გაურბოდა. ადამიანები ფოტოსურათებს ჩვეულებრივ ისეთ დროს იღებენ, როცა კარგ გუნებაზე არიან. მათ სურთ სურათებზე თავიანთი თავი ნახონ ისეთებად, როგორებიც სინამდვილეში არიან, ხანდახან კი ისეც ხდება, რომ კაცი ფოტოსურათზე უკეთესად გამოიყურება, ვიდრე მას თავისი თავი წარმოუდგენია. ეტყობოდა, სასრანმაც კარგ გუნებაზე მყოფმა გადაიღო ეს სურათი, დიდი, კეთილი თვალები უცინოდა. მას ლამაზი სახე და მაღალი ყელი ჰქონდა, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ იგი ტანმცირე ვაჟკა-

ცი არ უნდა ყოფილიყო. ოთახის რომელ კუთხეშიც არ უნდა მდგარიყო, ეს დიდი, კეთილი თვალები მუდამ შენსკენ იყურებოდნენ, როგორც ხატი ეკლესიაში.

„ღმერთო ძლიერო! — გაიფიქრა სტეპანმა, — როგორ ჰგავს თავის ძმას, სახე, წარბები, შუბლი, ტუჩები... გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ძმები ერთმანეთს, ალბათ ხასიათითაც ძალიან ჰგავდა თარსხანს“. მთვარე სულ ზევით და ზევით იწევდა, ოთახი მისი შუქით ივსებოდა, სასრანის სახე თანდათან უფრო მკვეთრად იკვეთებოდა. ბოლოს მთვარის სხივები კონად შეიკრა და სასრანის თვალები გაანათა. ამის შემხედვარე სტეპანი ერთბაშად გახევდა. სასრანი პირდაპირ მას უყურებდა. სტეპანმა ვეღარ გაუძლო მის მზერას, საბანი მოისროლა და კვლავ საწოლზე ჩამოჯდა, რომლის თავები საფლავის იაფფასიანი ღობის გისოსებს ჰგავდა. ერთხანს იჯდა ასე გახევებული, მუშტებმოკუმშული, მერე წამოხტა და ჩაცმა დაიწყო. ერთხანს იმაზე იფიქრა, რომელი კარი გამოეღო, ბოლოს ერთ-ერთ მათგანს მიაწვა ნელა, რომ კარს არ გაეჭრიალა და ეზოში ჩავიდა. ცივი ქარი ბალახის გამხმარ ღეროებს აშრიალებდა, ხის შიშველ რტოებს კი ერთმანეთზე გაჰქონდათ რაკა-რუკი. სტეპანი იმიტომ გამოვიდა ოთახიდან, რომ იქ ადგილს ვერ პოულობდა, მაგრამ ეზოში ერთი-ორჯერ რომ გაიარ-გამოიარა, უკვე აღარ იცოდა რა ექნა და საით წასულიყო.

ჭაბუკობაში ხშირად დამართნია ასეთი რამ, უცებ წამოჯდებოდა ხოლმე საწოლზე, ფაცხაფუცხით ჩაიცვამდა და გარბოდა გარეთ, მიდიოდა ქუჩაში არხეინად და იცოდა, რომ ავი თვალი მას არ მიაცილებდა. მეზობლის ძაღლები კუდის ქიცინით ხვდებოდნენ, ისიც ალერსით მიეფერებოდა ხოლმე ბალანზე, გზის პირას დაყრილი ძროხები სცნობდნენ მას და წამოდგებოდნენ ხოლმე, როცა ის გვერდით ჩაუვლიდა მათ, მერე სტვენა-სტვენით, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი უკან მობრუნდებოდა ხოლმე და კარს ფეხის კვრით აღებდა.

იქ ყველა თავისიანი იყო, თუ კარგ გუნებაზე იყო და რაიმე უხაროდა, ამ სიხარულს იგი აღდგომის კვერცხივით ყველას უნაწილებდა, თუ სევდა და ნაღველი მოერეოდა, სულ იმას ცდილობდნენ მალე გაექარვებინათ მისთვის ყოველგვარი დარდი. იმღერებდნენ, იანგლებდნენ და გაამხნევებდნენ. ეს ყველაფერი იყო სახლში, ომამდე, სანამ მას არ გაეზარდა გრძელი წვერი, რომელიც მხოლოდ ახლაღა გაიპარსა.

ახლა? იქნებ უკეთესი იყო ისეთივე დარჩენილიყო, როგორც მოვიდა, მხრებში მოხრილი, გაბურძგნული თმებით და ჩამქრალი თვალებით... ეჰ, თქმა არ უნდა, მაშინ მართლაც შესაბრალისი სანახავი იყო. კუანაჩადან დაწყებული შურეთით დამთავრებული ყველა თანაუგრძნობდა მას, ეცოდებოდათ და აჭმევდნენ, ეცოდებოდათ და ელაპარაკებოდნენ. დიდი ძალა აქვს სიბრალულს — არანაკლები, ვიდრე სინდისს და სიყვარულს, არც ერთზე ნაკლები სიკეთე არ ჩაუდენია ამქვეყნად, იქნებ სჯობდა კიდეც სტეპანისთვის ამ დიდი გრძნობის და ძალის იმედად დარჩენილიყო.

ახლა კი რა ხდება? მან მოიკვეცა თავისი ჭუჭყიანი გაბურძგნული წვერი, ჩამქრალი თვალები კვლავ გაახილა და ირგვლივ მიმოიხედა, ცდილობდა გაეგო რა ხდებოდა ამქვეყნად, რა დაემართა თვითონ მას, რა გარდატეხა მოხდა მის არსებაში? ხანდახან რაღაც აზრი გაუჩნდება, იტყვის და, შეხედეთ ამ ჭკუისკოლოფსო, ესმის პასუხად; ქვრივ ქალს ბაღჩას გაუმარგლავს და მაშინვე წააყვედრებენ: „მაგან თავის ღვთის ანაბარა მიტოვებულ ცოლ-შვილს მიხედოსო!“, ქალები გაურბიან მას, მამაკაცების ლაპარაკში კი ღვარძლი გაერევა ხოლმე...

სტეპანი გაუნძრევლად იდგა ერთ ადგილზე, მერე ირგვლივ მიმოიხედა. როგორც ყოველთვის, ახლაც პირველ რიგში შორს, ზევით აზიდულ მთებს ჰკიდა თვალი, რომელთა გადაღმაც თავისი პატარა კარ-მიდამო და სამი საფლავის ბორცვი ეგულებოდა, ზედ რომ დამჭკნარი ყვავილები ეყარა, რომელსაც ჩიტები

ნელ-ნელა ზევით, ხის კენწეროებზე ეზიდებოდნენ ბუდეების ასაშენებლად. ის ბორცვები ახლა ალბათ თოვლმა დაფარა. მთების ძირში მოჩანდა ბირამ აკუაძბას სახლი, ქვემოთ სხვა აკუაძბას ოდა და ასე იყო ჩარიგებული სახლები ტერასებად. როცა რომელიმე აკუაძბას ეზოში ვაშლის ხეს ნაყოფი სცვიოდა, ქვემო ტერასაზე მცხოვრები ოჯახის ბავშვები იღებდნენ. ერთი სახლის სახურავი მეორეს დაჰყურებდა. თარსხანის სახლი განაპირას იდგა, ვაკე ადგილზე. ამიტომ ხიდან ჩამოვარდნილი ვაშლი იქვე ლპებოდა, თუ ოჯახის რომელიმე წევრი არ აიღებდა...

ცაზე ნამგალა მთვარე ეკიდა. მიდამო ხელისგულივით მოჩანდა. სტეპანისათვის ახლა სულერთი იყო, საით წავიდოდა, ეზო გადასერა და ღობეს გაუყვა. ირგვლივ ჩამიჩუმი არ ისმოდა. სტეპანს ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ის ერთი დარჩენილიყო ეულად ამ მიწისპირზე. ამ სამარისებრ სიჩუმეს ხამუშ-ხამუშ გაყინული ფოთლის შარიშური არღვევდა, რომელიც ტოტიდან ტოტზე ეცემოდა და შემდეგ მიწაზე ეშვებოდა ფრიალ-ფრიალით. შემოდგომა იწურებოდა, ეზო ხის ხმელი ფოთლებით გადაყვითლებულიყო და სტეპანის ფეხქვეშ შარიშური გაუდიოდა.

მთვარის შუქი ზურგიდან სცემდა სტეპანს, მისი წაგრძელებული ჩრდილი პატრონზე ადრე მიადგა და ზედ გადაემხო ღობეს, რომელიც თარსხანის ეზოს შურეთის კარ-მიდამოსგან ჰყოფდა. როდესაც სტეპანი ღობეზე მიდგმულ გადასაძრომზე შედგა, მისი ჩრდილი უკვე იმ ოთახის კედელზე თრთოდა, სადაც შურეთს ეძინა. სტეპანს ტანში გააჟრჟოლა და თმები ყალყზე დაუდგა, მზის სხივჩაუღწეველ უფსკრულში ჩაუცდა ფეხი. მერე შეუმჩნევლად გადაძვრა ღობის მეორე მხარეს და ხმელ ბალახებში გაირინდა. მისი ჩრდილი გაუნძრევლად მიეყინა კედელს. სიკვდილი ერჩივნა მას ახლა ამ კედლიდან მოშორებას, გაყუჩებული იდგა და საკუთარ გულისცემას უს-

მენდა. სტეპანმა ირგვლივ მიმოიხედა, თუმცა გარშემო კაცის ჭაჭანება არ ჩანდა. ფარდულისაკენ გაიხედა, საიდანაც ცხენის ჩუმი ფრუტუნი და ჭიღრას ფშვინვა ისმოდა. ფოთლები კი ისევ ცვიოდა ტოტიდან ტოტზე და მიწას ეფინებოდა. მათი შარიშური მოახლოებული წვიმის ხმას ჰგავდა, როცა წამოწინწკლავს ხოლმე და მიწაზე ხმაურით ეცემიან მსხვილი წვეთები, შორიდან კი მდინარე გუდოუს ყრუ დუდუნი ისმოდა, რომლის ხმაც დღისით, როცა ბუნება იღვიძებს და ათასგვარად ხმიანებს, აღარავის ესმოდა.

მან კიდევ ერთი ნაბიჯი წადგა. მისი ჩრდილი ახლა გვერდით აეკრა კედელს და ფანჯრისკენ აცოცდა, საიდანაც თეთრი ფარდა გამოკრთოდა. ერთბაშად ოთახი განათდა და თეთრი ფარდის მიღმა დასადგურებული, იდუმალებით მოცული სიბნელე და მყუდროება გაფანტა. კედელზე აკრული ჩრდილი შებარბაცდა და კინაღამ არ ჩამოემხო დაბლა, როგორც ხეს მომწყდარი ხმელი ტოტი.

კედელს იქით, სადაც სასრანმა თაფლობის სამი თვე გაატარა თავის მეუღლესთან, სტეპანმა თვალნათლივ დაინახა ქალის სილუეტი, ჩამავალი მზის მეწამული ფერი რომ ჰქონდა. ქალი ფანჯარაზე აკრულ, ამ ჯადოსნური ღამით შობილი კაცის ჩრდილთან მივიდა, თავი მიაყრდნო და წამისად ცივი მიწა, მამაკაცის ჩრდილსა და ქალის ვარდისფრად აალებულ სხეულს შორის რომ ჩამდგარიყო, ერთბაშად დადნა, გაქრა თეთრი ფარდაც და ჩრდილი და ქალის ლანდი შეერთდნენ... უეცრად მოხდა ის, რაც ერთხელ უკვე იხილა სტეპანმა მთვარიან ღამეს მდინარე გუდოუს პირას, როცა მან ფერია და ცაზე აკაშკაშებული მთვარე და ვარსკვლავები დაინახა, რომელთაც მხოლოდ ის ხედავდა და სხვა არავინ. ცა კი იყო ისეთი სუფთა და ლურჯი, რომ ნემსის წვერსაც ადვილად იპოვიდი ამ უკიდეგანო სილაჟვარდეში... მაგრამ ეს ყველაფერი გაელვებას ჰგავდა, რომელიც ისევე მალე ჩაქრა, როგორც მისი ახალგაზრდობა.

ფანჯრის მინა კვლავ თავის ადგილზე იყო და თეთრი ფარდაც ძველებურად ტოკავდა ოთახში. ქალის სხეულიც გამქრალიყო მოჩვენებასავით, ოღონდ მინას შერჩენოდა ორი მსხვილი წვეთი, ნელ-ნელა რომ იღვენთებოდა ქვევით და სადაცაა ფანჯრის რაფაზე დაიმსხვრეოდა.

შუქი ოთახში ისევე მოულოდნელად ჩაქრა, როგორც აინთო, სტეპანის ჩრდილი კი ისევ კედელს შერჩა, გარინდებული იმ მონადირე ძაღლივით, რომელსაც ცხვირწინ აუფრინდა მწყერი და თვითონ ხახამშრალი დარჩა. კვლავ შარიშურით ეცემოდნენ მიწაზე ფოთლები, ყურს ისევე სწვდებოდა გუდოუს ბუტბუტი, რომელსაც დიდად არ ენაღვლებოდა, ვის რა ცეცხლი უტრიალებდა გულში. სტეპანმა ძლივს მოსწყვიტა თვალი სასრან აკუაძბას სახლს, თავის სამოსახლოს გახედა, კეთილმა მასპინძელმა რომ აჩუქა და სიბნელეში გარკვევით დაინახა ხეზე ასული ვაზი, რომლის ნაჟურ ღვინოსაც სვამდნენ დღეს ის და თარსხანი.

„მომილოცნია ახალმოსახლეობა, სტეპან!“ — მიმართა საკუთარ თავს და იგრძნო, რომ ცოტაღა უკლდა ატირებას. სტეპანს სახე მოღუშოდა, თვალებში განუზომელი სევდა ჩაგუბებოდა, აღარ იცოდა რა ექნა, საით წასულიყო, სახეზე უკიდურესი დაბნეულობა აღბეჭდოდა. მას არასოდეს დამართნია ასეთი რამ, ჯერ არ უგრძვნია თავი ასე მარტოსულად. იგი ცოცხალმკვდარი იდგა შუა ეზოში, დათრგუნული და მხრებჩამოყრილი. ახალგაზრდობაში, როცა სახლიდან გამოდიოდა, ქუდს შეისწორებდა, ქამარში მარჯვედ ჩაიტენიდა პერანგს და მხრებში გაიშლებოდა, თითქოს უნდოდა ეთქვა ყველასათვის — მე სწორად ვცხოვრობ და ვიცი, რასაც ვაკეთებო. ბევრ ლამაზ ქალიშვილს ეჭირა მაშინ მასზე თვალი, მაგრამ მან ერთი ამოარჩია, ის, ვისზეც გული შეუვარდა და ურომლისოდაც სიცოცხლე არ შეეძლო. ბევრ გოგოს დასწყვიტა მაშინ გული. ვინ იცის, იქნებ მათი თვალიც ეცა, როცა რამდენიმე წლის მერე,

უკვე ორი პატარა შვილის პატრონს დაუძახეს და ისიც წავიდა და გადაეშვა სისხლის მორევში. მაშინ იგი სხვების რჩევას კი არა, საკუთარ გულის ხმას აღარ უსმენდა. იგი იბრძოდა და ყოველ მის მიერ მოკლულ ადამიანთან ერთად ნაწილ-ნაწილ იფლითებოდა მისი გულიც, მაგრამ რა უნდა ექნა, ეს იყო მისი ვალი — კაცის კვლა... და როცა თავისი ახლობლების საფლავები ნახა, ერთხელ კიდევ ჩაიქნია ხელი...

ახლა რა ქნას? ხანდახან მივარდება თავის ზურგჩანთას, იფიქრებს, ავდგები, წავალ და შოვშორდები აქაურობასო, მაგრამ მაშინვე სხვა, უფრო ძლიერი ძალა ჩასძახებს, რომ აქ უნდა დარჩეს, დარჩეს...

მან კიდევ ერთხელ გაიხედა შორს, მთებისაკენ, თეთრ, კუზიან აქლემებს რომ ჰგავდნენ. შეხედა უაზ-აბას, ყველაზე მაღალს და მიუკარებელს, მერე თვალი ჩამოაყოლა ქვემოთ, მთის ძირამდე, სადაც უხუცესი აკუაძბას სახლი აღმართულიყო... ღრმა ძილით ეძინა სოფელს, პირუტყვს, ბაღსა და ბოსტანს. არ ეძინა მხოლოდ მდინარეს, რომლის ჩუმი ბუტბუტი ძლივს არღვევდა ირგვლივ დასადგურებულ მყუდროებას.

თუმცა სტეპანი გულითა და გონებით შურეთთან იყო, თვალი მაინც თავის სამოსახლოსკენ გაურბოდა. ამ დროს მან დაინახა, რომ ოთახში კვლავ აინთო შუქი და ფანჯარაში სტეპანმა ისევ დალანდა ვარდისფერ საბურველში გამოხვეული ქალის სხეული და მიწაზე კვლავ ჩამოიღვენთა ორი მსხვილი წვეთი... „ალბათ კაჭიჭის ბრალია, ეტყობა ბევრი მომივიდა!" — გაიფიქრა სტეპანმა და იგრძნო, რომ თავბრუ ესხმოდა და შებარბაცდა კიდეც.

„შენ, რა, გინდა უბედურებას გადაგვყარო?" — ჰკითხა გულმა გონებას.

„მე ცოდვილი ვარ ყველა თქვენთაგანის წინაშე, ვაითუ, უზენაესმა არც კი შემიწყალოს?" — ამოილუღლუღა სულმა, რომელიც ყველაზე მეტად გრძნობდა თავს დამნაშავედ.

„შინისაკენ, შინისაკენ!“ — მტკიცედ თქვა გულმა.

მაგრამ არც ერთი მათგანი არ ამბობდა, სად იყო ეს „შინ“ და სად უნდა ეძებნა სტეპანს. მას კი ამ დროს ერთი სული ჰქონდა ლოგინამდე მისულიყო და თავი ბალიშში ჩაერგო...

იმ საღამოს თარსხანს, რომელმაც როგორც იყო ამოიძრო გულიდან ეკალი, ამდენ ხანს სიცოცხლეს რომ უმწარებდა, ანგელოზების ფრთებზე მისვენებულს უდარდელად ჩაეძინა. ჩაეძინა ტკბილი, მშვიდი ძილით და დილამდე ფეხი აღარ გაუტოკებია. როცა გამოიღვიძა, გული ხალისიანად უცემდა და არც თავი სტკიოდა, თვალი არ გაუხელია, ლოგინში ხელი მოაფათურა, მაგრამ საწოლი ცარიელი დახვდა, შადია უკვე ეზოში საქმიანობდა.

— ეჰ, ალაჰ, ალაჰ! — ხმამაღლა ჩაილაპარაკა თარსხანმა, ეტყობოდა, ეზარებოდა ადგომა, — მთელი დღე საქმეში ხარ გართული, მუხლჩაუხრელად შრომობ, მერე კი, რა თქმა უნდა, მკვდარივით ჩაგეძინება, ამ დროს მზე უკვე ამოსულია და დასცინის შენს უნიათობას! — თარსხანმა ტკბილად გაიზმორა და თვალები გაახილა.

მიუხედავად იმისა, რომ წყარო თარსხანის სახლიდან საკმაოდ მოშორებით იყო, წყლის მოსატანად წასულ შადიას სმენას მაინც მისწვდა ქმრის ბუზღუნი, თითქოს თვალნათლივ დაინახა მისი ეშმაკური გამოხედვა, თვითონაც სითბო ჩაეღვარა სხეულში და ალერსიანად გაეღიმა.

ეტყობა მიწას ზაფხულში გვარიანად გაეთბო გული და ღარიდან მოჩუხჩუხე წყალიც, მთის ძირიდან რომ გამოდიოდა, შესამჩნევად შემთბარიყო და ახლა თბილი, სასიამოვნო ორთქლი ასდიოდა. კოკურა უკვე დიდი ხანია გავსებულიყო, მაგრამ შადია წასვლას არ ჩქარობდა. ის იჯდა წყაროსთან, თარსხანის მიერ დაწნულ ხის პატარა სკამზე, ყურს უგდებდა წყლის ბუყბუყს და ფიქრებში გართულიყო. შადიას გუშინდელი საღამო წარმოუდგა თვალწინ. რატომ არაფერი უთხრა წინასწარ

თარსხანმა, რას აპირებდა? მისთვის რომ გეკითხათ, ეს სულაც არ იყო ქალის საქმე. ასე ესმოდა და სჯეროდა თარსხანს, მაგრამ როგორ მოითმინა და ბოლო წუთამდე არაფერი თქვა! სანამ ინდაურის ბოლო ძვალიც არ გაკვნიტეს და უამრავი სადღეგრძელო არ თქვეს, მანამდე არ ისურვა თავისი გულისნადების გამჟღავნება. სტეპანს ბუხარში ცეცხლი დაანთებინა, სასრანისეული ლამპაც კი აანთო ამ დღის აღსანიშნავად. თარსხანს აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ სტეპანს შეეძლო უარი ეთქვა შემოთავაზებულ წინადადებაზე. „შენი შეკაზმული ბედაური რომ ვინმეს აჩუქო, განა ის ვილაც უარს იტყვის ასეთ საჩუქარზე?“ — ფიქრობდა თარსხანი.

თარსხანს კი არ ეთმობოდა თბილი ლოგინი. მან ხელები თავქვეშ ამოიდო და შეეცადა დაწვრილებით გაეხსენებინა ყველაფერი, რაც გუშინ საღამოს სუფრაზე მოხდა. იხსენებდა, რა თქვა სტეპანმა, როცა მან თავისი ხვაშიადი გაუზიარა, წამით თითქოს შეცბა კიდეც — რამე ხომ არ შემეშალაო, — გაიფიქრა, — მაგრამ მერე ნელ-ნელა დამშვიდდა და საბოლოოდ ირწმუნა, რომ გუშინდელი საუბარი ზუსტად ისე წარიმართა, როგორც თვითონ ეწადა და კიდევ ერთხელ შვებით ამოისუნთქა. „ღვინო კი ნამდვილად დიდებული მაქვს“, — გაიფიქრა თარსხანმა და გული სიამაყით აევსო. მან თითებზე ჩამოთვალა, რამდენი სადღეგრძელო დალიეს გუშინ. სტეპანი, როგორც არასდროს, მშვენივრად ამბობდა სადღეგრძელოებს, დინჯად წონიდა ყოველ სიტყვას და ჭიქასაც ბოლომდე სცლიდა. უხაროდა თარსხანს, უხაროდა, რომ გულიდან ლოდი გადაიგდო და გუშინდელი სუფრა ასე კარგად წარიმართა.

„მარყუჟში თავგაყრილ კაცს სამი გზა აქვს თავის დასახსნელად, — ფიქრობდა თარსხანი, — თუ გაწყვეტს თოკს, ბედი ჰქონია, თავისუფლებას მოიპოვებს; თუ თოკი მაგარი გამოდგა, თავი სამუდამოდ მოსწყდება სხეულს და კაცი სამუდამოდ უნდა გამოეთხოვოს წუთისოფელს; და თუ წინააღმდეგობას

შეწყვეტს და მორჩილად მიჰყვება იმას, ვისაც ქამანდის ბოლო უჭირავს, იძულებული იქნება აკეთოს ის, რასაც უბრძანებენ, თუმცა ლუკმა-პური არ მოაკლდება. ასე იყო ყოველთვის. მამაჩემისგან ვიცი, რომ პაპაჩემს ასე მიჰყავდა თავისი შვილი ქამანდგამობმული, არც მე ამცდენია მამაჩემის ქამანდი, თუმცა დიდხანს ვუწევდი წინააღმდეგობას... რას იზამ, ეს ყველაფერი მე ხომ არ მომიგონია!... ჰოდა, არ უნდა მიწყრებოდეს სტეპანი. ახლა გლეხები იყრებიან მშობლიური სანახებიდან და ზღვის პირას სახლდებიან. არავინ ეკითხება მათ: „ეი, თქვენ, საით გაგიწევიათ, საით მიგიხარიათ!" — მიწის და ქალის გულისთვის რას არ მოიპოვებს კაციო, — უთქვამთ ძველებს. ერთი ნაგლეჯი მიწისთვის მამა შვილს მტრად გადაკიდებია, ძმა ძმას სასიკვდილოდ გაუმეტებია და მეზობელს მეზობელი არ დაუნდვია. ჩვენს უკან მავალი ყმაწვილკაცებისათვის მიწას უფრო ნაკლები ფასი ექნება, ვიდრე ღობის ძირში უპატრონოდ მიგდებულ ქეციან ძაღლს. მათი ოცნება ის არის, ისხდნენ ხის ძირას გაშლილ სუფრასთან, რომელიც მდინარის პირას ხარობს და ფოთლების ნაცვლად ცხელი, დაბრაწული პურები ასხია... სტეპანი ასეთი არ არის! ის ცა და დედამიწასავით განსხვავდება მათგან. ასეთი კაცისთვის მიწა უფრო მეტია, ვიდრე ღობის ძირში აყროლებული ძაღლის ლეში. იცის, რომ ღომი ციდან არ ჩამოდის და არც რძის მდინარე მოქუხს სადმე. მხოლოდ სასრანისათვის არ დავიშურებდი ასეთ მიწას, სტეპანს რომ მივეცი. ცაზე რომ ჩიტმა გადაუფრინოს და ხორბლის მარცვალი დაუვარდეს, ზღვად გასკდება მოსავალი, ისეთი, რომ მამითადი თუ არ მოიწვიე, მარტო კაცი ვერ აიღებს. ვენახშიც მზის შუქი ჩაბუდებულა, ეს ის მიწაა, სადაც უცხო კაცს ჯერ ფეხი არ დაუდგამს... მარტო ჩემი მტერი დარჩეს ამ ქვეყანაზე... — თარსხანს სული აფორიაქებოდა, იგი უკვე საბოლოოდ გამოფხიზლდა და თვალი მოავლო ოთახს. მოძალებული გრძნობები დაიოკა, ტანი ერთი შეიფერთხა და საწოლზე წამოჯდა.

„ვაი, შე საცოდავო, შენ თუ ყოველ დილით ასე ძილმა თავი წაგართვა და ლოგინში იგორავე, ნამდვილად შესალოცი გაგვიხდები“, — ჩაილაპარაკა შადიამ წყაროსთან, იფიქრა ქმარი ვერ გაიგებსო, მაგრამ თარსხანის მახვილ ყურს რა გამოეპარებოდა!

„ო, ალლაჰ, ალლაჰ!“ — ჩაიბუზღუნა, როცა ცოლის ნათქვამს მოჰკრა ყური, მერე წამოდგა და მხრებში გაიშალა, ისე გაიჯგიმა, კინაღამ ჭერს აჰკრა თავი — მთელი დღე მუხლს რომ არ ჩახრი კაცი და საღამოს კაჭიჭს დააყოლებ, დილაუთენია რაღა აგაყენებს?

— არა, მეტის მოცდა უკვე აღარ შეიძლება, — განაგრძობდა შადია, — ოთხშაბათს თხას დავკლავ და ალაჰს შევახვეწებ მაგ საცოდავის თავს, ვიდრე სულ არ წასულა ხელიდან.

— ძველებურად სისხამ დილით რომც არ ავდგე, თქვენ მაინც არაფერს მოიკლებთ, არც ღომს, არც ელარჯს და არც ცივად მოხარშულ დედალს...

„ვაი, შე საბრალო, გირჩევნია ხმა არ ამოიღო!“

— შენ კაჭიჭი წყალი ხომ არ გგონია, ბანგივით მაგარი და მათრობელაა!

— იმიტომ ხომ არ იყო, რომ სტეპანს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, იდგა შუა ეზოში გახევებული და თავჩაქინდრული, თითქოს სამოთხის კარი ცხვირწინ მიუჯახუნესო, მისი ჩრდილი შენი ძმის საძინებელი ოთახის კედელს აკვროდა და თრთოდა, სული მისი კი ოთახში დაბორიალობდა მანამდე, ვიდრე მარტო მთიები არ შემორჩა ცას.

— მე მთელი ღამე საღათას ძილით მეძინა, შენ რა უძილობა შეგეყარა?

— მე ფანჯარასთან ვიწექი, მთვარის ნათელი არ მოსცილებია ჩემს საწოლს, ვარსკვლავები კი გათენებამდე თვალს არ მაშორებდნენ.

— დიდი ამბავი!

თარსხანს სიცილი აუტყდა, ფიცხლად წამოდგა საწოლიდან და ჩაცმა დაიწყო, მაგრამ შარვლის ტოტში ფეხის გაყრა ვერ მოეხერხებინა, ასკინკილით დაიწყო ოთახში ხტუნაობა და შიგადაშიგ რაღაც სიტყვებს ისროდა ცოლის მისამართით. შადიამ გაიგონა ქმრის სიცილი, რომელმაც დაფარა წყლით სავსე კოკურის ბუყბუყი, წამოდგა, მივიდა ჩახრიალასთან, წამოავლო ხელი კოკურას და შინისაკენ წავიდა. კარი თარსხანმა გაუღო. ის ღიმილით შეხვდა ცოლს, დათაფლული მზერა ესროლა და აივანზე გავიდა. თარსხანმა თვალი მოავლო თავის კარმიდამოს და ღრმად ჩაისუნთქა მთის გრილი, მაცოცხლებელი ჰაერი. მერე ეზოში ჩავიდა. ირგვლივ ყველაფერი თრთვილს დაეფარა, რომელიც უკვე დნებოდა, ცვარ-ნამად გადაქცეულიყო. თარსხანმა შეარხია ხის ტოტები და ზედ შერჩენილი თრთვილი მიწას უწვრილეს წინწკლებად მოეფინა. მერე შუა ეზოში შეჩერდა, ჯერ კიდევ არ გამოფხიზლებულიყო, უნდოდა საქმეს შესდგომოდა და არ იცოდა საიდან დაეწყო. ბოლოს ხელი ჩაიქნია და წყაროსკენ გაეშურა პირის დასაბანად.

თარსხანის ნაჯახი იმავე ადგილას იყო ხეში ჩასობილი, სადაც ის ჩვეულებრივ სტოვებდა ხოლმე. არვის ჰქონდა უფლება უიმისოდ ხელი მოეკიდა ნაჯახისთვის. წყაროდან უკან მობრუნებული, უკვე საბოლოოდ გამოფხიზლებული თარსხანი ის იყო ეზოში შევიდა, რომ გულში ეჭვმა გაჰკრა, მგონი ნაჯახი თავის ადგილზე არ უნდა იდოსო. „სულერთია, ტყავს გავაძრობ!“ — დაიმუქრა გულში, თუმცა თვითონაც არ იცოდა კარგად ვის და რატომ ემუქრებოდა. ნაჯახი ისევ იქ იდო, სადაც მან დატოვა, მან ხელი მოკიდა ტარს და თითები სიცივემ დაუსუსხა. „ტყავს გავაძრობ!“ — გაიმეორა მუქარით თარსხანმა, თუმცა დარწმუნდა, რომ ნაჯახს უცხო ხელი არც გაჰკარებოდა. „აბა, ერთი, გაგიბედავს და ხელი დაგიკარებია!... ამდენი ფული მივაფშვნიტე, ამ ეშმაკის კერძმა შაიბმა კი სისხლი გამიშრო...“

თარსხანის მეზობელი შაიბი მჭედელი იყო. მუშტარი თუმცა

ბევრი ჰყავდა, გამდიდრებით მაინც ვერ გამდიდრდა. თარსხანი არაფერს ერჩოდა შრომისმოყვარე შაიბს. ეს სიტყვებიც უფრო იმიტომ მოაყოლა, რომ არ უნდოდა წელანდელი მისი მუქარა უმისამართოდ დარჩენილიყო. არც ბევრი ფული წაურთმევია მჭედელს მისთვის. ის არ იყო ისეთი ადამიანი, ფულისთვის კაცს თავდაყირა რომ დაჰკიდებს, იქნებ როგორმე ზედმეტი კაპიკი გავაგდებინოო.

თარსხანმა აიღო ნაჯახი და სწრაფი ნაბიჯით გაემართა ახლო მდებარე ხეობისაკენ, სადაც დამორილი აკაციის სარები ეყარა.

მან სხვათა ნათქვამიდან და საკუთარი გამოცდილებითაც კარგად იცოდა, რომ ახლად მოჭრილ აკაციის მზის გულზე დაგდება არ შეიძლებოდა, რადგანაც აკაცია მალე ხმება და ლურსმნის ჩარჭობა რომ გინდოდეს, ხის გულამდე კი არა, ქერქშიც ვერ გაატარებ, ეგრეევე გაიღუნება ლურსმანი. ამიტომ როგორც კი მოჭრიდა ხეს, მაშინვე გასხეპდა და ჩრდილში დააგდებდა, ზევიდან კი ფიჩხს წააყრიდა ხოლმე. გავიდოდა დრო და აკაციას კანი შემოალპებოდა, გული კი სწორი რჩებოდა ლარივით და ამასთან ერთად გალესილ ნაჯახსაც ადვილად ემორჩილებოდა.

თარსხანი მივიდა იმ ადგილას, სადაც მის მიერ შარშან მოჭრილი აკაციის ხის ნამორები ეყარა. მან აკაცია მანამდე მოჭრა, ვიდრე ხეში წყალი ჩადგებოდა. ხეობაში, სადაც ეს ნამორები ეყარა, მიწა უკვე ლხვებოდა და თხელი, სასიამოვნო სუნით გაჟღენთილი ორთქლი ასდიოდა, ბალახებს და ხეებს ნისლში ხვევდა... თარსხანმა ფიჩხის კონები გადასწია და გამოაჩინა მწყობრად დალაგებული სარები, კარგად შეათვალიერა და ზედ ფეხი ისე შედგა, როგორც დათვი თავის მსხვერპლს დააჭერს ხოლმე თათს. „ასე იყო საჭირო, ჩემო კარგებო, თორემ მე ხომ ვიცი თქვენი ამბავი, საკმარისი იყო ერთხელ დაეხედა მზეს თქვენთვის, მაშინვე ცხვრის რქებივით დაიგრიხებოდით!“ —

ჩაილაპარაკა თარსხანმა და ნაჯახს ცერა თითით ფხა გაუსინჯა. „ახ, ახლა შენი ჯერი დადგა, შენ იცი, თუ არ მიღალატებ!“ — მიმართა ნაჯახს, რომლის ბასრი პირი მზეზე ლაპლაპებდა.

აკაციის მორები მაინცდამაინც მსხვილი არ ყოფილა, მაგრამ ისინი მჭიდროდ ეყარა ერთ ადგილზე, საკმაოდ მძიმე იყო და ჭირდა მათი დაშორიშორება. თარსხანმა ცერად დაჰკრა ხეს ნაჯახი და ქერქის გაცლა დაიწყო, მერე გული გაუსინჯა და კმაყოფილმა თავი დაიქნია, ხის გული არ დაყანდებულიყო და სამშენებლო მასალად ნამდვილად გამოდგებოდა.

თარსხანს რომელიღაც მელოდია აეკვიატა, უსტვენდა და მარჯვედ იქნევდა ნაჯახს. დაღლა ჯერ არ ეტყობოდა. ის აკაციის მორს შუაზე აპობდა, მერე მოზომილად ჭრიდა და ცალკე აწყობდა. გარშემო მერქნის სასიამოვნო სურნელი დადგა. როცა გაზაფხულზე ეს აკაციები დაჭრა, ფიქრობდა, ღობის სარებად გამოვიყენებო, მაგრამ მაშინ ვერ წარმოიდგენდა, რომ ამ სარებით სტეპანისათვის ნაჩუქარი მიწის შემოღობვა მოუწევდა. თარსხანი სარს წვერს წაუთლიდა, მერე ხელში შეატრიალებდა და კმაყოფილი სახით იქვე, ხეზე მწყობრად აყუდებდა. მუშაობაში გაფიცხებულს კვლავ მოეძალა მოგონებები, ზოგი კარგი და სასიამოვნო, როგორც მთიდან მონაბერი დილის ნიავი, სიამით რომ უვსებდა გულს, ზოგი კი შავი ღრუბელივით მძიმე და სევდიანი, მუშაობის ხალისს რომ უკარგავდა და ტანჯავდა. მოგონებები დიდხანს ებრძოდნენ ერთმანეთს თარსხანის გულსა და გონებაში, ვიდრე მან ერთი მძლავრად არ ამოიოხრა და უმალ ქარს არ გაატანა ერთიცა და მეორეც. ასეთი რამ ხშირად ემართებოდა თარსხანს, ბოლო ხანებში კი გაცოფებამდე მიდიოდა, თუმცა მიზეზს არ ამბობდა და არც გაოცებული გარშემომყოფნი ეკითხებოდნენ რამეს, რადგან იცოდნენ, რომ გაღვიძებული ვულკანის ჩაქრობა მათ ძალღონეს აღემატებოდა.

მზე უკვე შუბის ტარზე ამოწვერილიყო და უშურველად გზავნიდა თავის სხივებს დედამიწაზე. აკაციის მორები ნაჯა-

ხის ერთი დაკვრით შუაზე იპობოდა. თარსხანს გულის სიღრმეში ებრალებოდა აკაციის ხეები, რომლებიც ახლა გამხმარი, დაწვრილებული და თავ-ბოლო წათლილი მიწაში უნდა ჩაერჭო და ზედ წნელის ღობე უნდა შემოეწნა. ორივე მხრიდან წათლილმა აკაციის სარებმა მოგონებათა ახალი ტალღები ააგორეს თარსხანის გულში. ამ მოგონებებმა კიდევ ერთხელ ჩაუთუთქა გული, რადგან ის ამ დროს სტეპანზე ფიქრობდა, უხაროდა, რომ ამ ლტოლვილ, მრავალჭირნახულ კაცს საკუთარი კუთხე და კერა ექნებოდა, მაგრამ საიდანღაც გამომტყვრალმა მძიმე აზრებმა კვლავ დაიპყრო მისი არსება და ეს სასიამოვნო წუთები ჩაუშხამა... თარსხანს გუშინდელ დღესავით ახსოვს, როგორ უყვებოდა ბაბუამისი მუხლებზე შემომჯდარ შვილიშვილს, ტყეში აფსცახას რომ შეხვდა. ახლაც, როგორც კი აკაციის სარს ერთი მხრიდან წაუთლის თავს და მერე მეორე მხრიდან დაიწყებს გათლას, თავს წამოადგება აფსცახა და ეუბნება:

„მითხარი კეთილო კაცო, რატომ თლი სარს ორივე მხრიდან, განა საკმარისი არ არის ერთი მხრიდან გათალო?"

თარსხანს ნაჯახი ლამის ხელიდან გაუვარდეს, ნაჯახის ტარზე კი შავი ჩრდილი ეცემა.

„მიწა... წყეული მიწა!..."

— „შენ მართალი ხარ, მიწა ყველაფერს შთანთქავს! — აიტაცა მისი სიტყვა და კვერი დაუკრა აფსცახამ. — მაგრამ ერთი მითხარი, შენ თვითონ ვისი ან რისი იმედით ცოცხლობ?"

„აქ დაბლობი ადგილია, ნამი ადვილად არ აშრება მიწას..."

„ვიცი, ხანდახან მეც შემომიცდება ხოლმე ფეხი აქეთ".

„ვის დაუტოვებია წუთისოფელი, გულში იმედის ნაპერწკალი რომ არ უღუოდა?!"

„ხა, ხა, ხა! — ნამგალივით წელში მოიკაკვა აფსცახა, — გქონდეს იმედი, ვინ გიშლის... რა საბრალოა ადამიანის მოდგმა... გამუდმებით წუხს იმაზე, რა ეშველება, ერთ მშვენიერ დღეს პირისაგან მიწისა რომ აღიგავოს მთები და ოკეანეები... და მაინც

ნიადაგ იმის ფიქრშია, რა შექმნას, რა ააშენოს. ფიქრობს მომავალზე... ო, რა გულუბრყვილოები ხართ ადამიანები!... თუმცა შეიძლება უკეთესიც კია... კაცს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უნდა ჰქონდეს რაღაცის იმედი, სიცოცხლესაც ღიმილით უნდა გამოეთხოვოს, ამით არის ადამიანი მშვენიერი, სხვანაირად იგი ვის რაში სჭირდება? ძველად ადამიანები სხვანაირები იყვნენ, ვიდრე მათ არ შთავუნერგე იმედი, რომელიც მე არაფრად მიღირდა. მე ჯერ არ დამედგა თვალი მასზე. ის უკვე შიშს შეეპყრო და უსასოობისგან ხელებს იმტვრევდა. მერე ვპოულობდი მას გაპარტახებულ ყანაში, რომელიც მისი ოფლით იყო მორწყული და გაპოხიერებული, ან ყელამდე ლაფში ჩაფლულს, ცრემლმორეული გამხმარ ლუკმას რომ ლოღნიდა... ღმერთი ერთია ქვეყანაზე, — ამტკიცებთ თქვენ და მასზე ლოცულობთ მხოლოდ. საცოდავებო, ტყუილად გგონიათ, რომ სწორედ მამაზეციერმა შთაგინერგათ იმედი. როცა ღმერთმა შექმნა ადამიანი, მას დაავიწყდა, რომ არაფრად ღირს სიცოცხლე იმედის გარეშე. მაგრამ განა მე ძალმიძდა მეთქვა მამაზეციერისათვის, რომ ამით მან გაწირა ადამიანი ტანჯვისა და გვემისათვის. მე ვიცი, როცა ადამიანს შთაუნერგავ აზრებს, იგი თვლის, რომ ეს ასეც უნდა ხდებოდეს და მადლობას არ გეტყვის ამისათვის. მე არასოდეს ვჩქარობდი, ვიცდიდი და როდესაც დაჰკრავდა ვინმეს აღსასრულის ჟამი, მისკენ მივიჩქაროდი, რათა მიმეცილებინა იგი სამუდამო სასუფევლამდე... წასასვლელი უნდა წასულიყო და მომავლისათვის დაეთმო ადგილი. მაგრამ განა ისე უბრალოდ შემეძლო შევჭრილიყავი სასიკვდილოდ განწირულის სახლში და დამეძახა: „ეი, შენ, გაათავისუფლე ადგილი, მომავლიდან სხვა მოდის უკვე!“ ერთი მუცლის გვრემით უნდა მომკვდარიყო, მეორეს ჩახმახისათვის უნდა გამოეკრა თითი და შუბლში ეთხლიშა ტყვია, სხვები კი სამკვდრო-სასიცოცხლოდ უნდა გადამეკიდა ერთმანეთისათვის, თავზე უნდა დამეტეხა ადამიანებისათვის ჭექა-ქუხილი, მეწყერი და წყალდიდობა...

თქვენ ღმერთის მეტი არავინ გწამთ ამქვეყნად, მე კი ამ დროს მშვიდად ვაკეთებდი და გავაკეთებ ჩემს საქმეს, მაგრამ კაცი, რომელსაც სიცოცხლეშივე გადაწუროდა იმედი, უბადრუკ არსებად გადაიქცეოდა და მას იქაც კი არ გაუღებდნენ კარს, საითაც მე მივუძღვებოდი! დიდი ხანი გავიდა, ვიდრე ვეტყოდი ადამიანებს, რომ მათი ღმერთის გარდა არსებობს სხვა ღმერთიც, რომლის არსებობაც მათ არ უწყიან. ერთხელაც მივეშურებოდი კაცთან, ვისი აღსასრულის ჟამიც დამდგარიყო და გზაში გადავაწყდი გლეხს, რომელიც თხმელის ტოტებს ჭრიდა, ძირს უთლიდა და მიწაში ასობდა. მერე წნელით ღობავდა და ტანჯულ სახეზე ცრემლი ღვარად ჩამოსდიოდა. მე მხედრად გადავიქეცი, მივუახლოვდი მას და თითქოს არაფერი ვიცოდი, ვკითხე:

„რა დაგემართა, დად? სამშობლოდან გადახვეწას ხომ არ გაიძულებენ, ასე მწარედ რომ მოთქვამ?“

„წასულია ჩემი საქმე!“ — მიპასუხა გლეხმა და ცრემლი გადაყლაპა.

„ასე რატომ ამბობ დად? შენი სიმინდის ყანა ზღვასავით ღელავს, თვალი არ ეცეს! გეტყობა, არც შენი სიცოცხლის ფიალა დაიცლება მალე... იქნება ავი ამბავი გაუწყეს ზღვის გადაღმიდან?“

„იქაურების კი არა, აქაურების დანახვა არ მინდა თვალით“.

„მაინც რამ დაგაღონა?“

„დადგა ჩემი აღსასრულის ჟამი, სამი თვის სიცოცხლეღა დამრჩა... ვერც ამ სიმინდის მოსავალს ავიღებ! რამდენი ოფლი დავღვარე და პირუტყვის საჯიჯგნად უნდა გახდეს ყველაფერი!“

მრავალნაირად შეიძლება ნუგეში სცე ადამიანს მწუხარების ჟამს, მაგრამ ამაოა ყოველი, ვერც ერთი შენს მიერ ნათქვამი სიტყვა მტლედ ვერ დაედება კაცს, რომელსაც უბედურება დასტყდომია. ხომ ვერ ეტყვი ბედკრულ მამას, რომელმაც შვილი

დაკარგა, შენს შვილს ზეცა კარს არ უღებს და მალე უკან დაგიბრუნდებაო?...

მაშინ გადავწყვიტე მეთქვა ყველასთვის, ვისაც არავინ სწამდა მამაზეციერის გარდა, რომ ისინი სასტიკად ცდებიან, როცა ამას ამბობენ. „დღეის ამას იქით, — ვთქვი მე ხმამაღლა, როცა ცოტა გავიმანძილე, — წინასწარ ვერავინ შეიტყობს, როდის დაჰკრავს მისი სიკვდილის ჟამი“. მე მივეცი ადამიანებს ის, რისი მიცემაც დაავიწყდა მათთვის ღმერთს, მე მივეცი ადამიანებს ი მ ე დ ი .

უკანაგზობას, როცა მოვითავე ყველა ჩემი საქმე, ახლა უკვე მაწანწალას სახით გამოვეცხადე იმ გლეხს.

„ღმერთმა ხელი მოგიმართოს! — ვუთხარი მე, — იმდენ ხანს იცოცხლე, სანამ იარსებებს ცა და დედამიწა!“

„გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს, — მომიგო გლეხმა, შეწყვიტა ღიღინი და შემომხედა, — ახ, ეს შენა ხარ? — მიცნო მაშინვე, — თუ იმდენ ხანს ვერ ვიცოცხლებ, რამდენსაც ცა და დედამიწა იცოცხლებს, ყვავს მაინც აღარ ჩამოვრჩები დღეგრძელობაში“.

„ყვავმა დიდი-დიდი ორას წელს იცოცხლოს, შენ კი ჯერ სალ კლდესავით გამოიყურები!“ — მინდოდა გამეგო სიმტკიცე იმედისა, დღეს რომ შთავუნერგე ადამიანებს.

„ჯერ მანამდე ვიცოცხლო, მერე ცხოვრება გვიჩვენებს ღირს თუ არა მეტხანს სიცოცხლე. უკან მოვიხედავ და თუ ჩემს მიერ განვლილ გზაზე კვალი ვერ დავამჩნიე, მაშინ სჯობს მივენდო აფსცახას და გავყვე უკან მორჩილად, საითაც წამიძღვება. თუ არადა, შემეწევა ღმერთი და გამიგრძელებს სიცოცხლეს...“

კარგად ვიცოდი, რომ ადამიანები არასოდეს არაფრად არ აგდებდნენ ჩემს დამსახურებას მათ წინაშე, მაგრამ თუ იმ ერთადერთ კეთილ საქმესაც, რომელიც მე მოვიმოქმედე, თავიანთ ღმერთს მიაწერდნენ, უკვე აღარ მოველოდი. ბოლმა მომაწვა, მაგრამ იმდენი მოთმინება გამოვიჩინე, ქვასაც რომ შეშურდებოდა და ხმა აღარ ამომიღია.

ამ გლეხკაცს ჩემთვის არ ეცალა, იგი კვლავ თავდავიწყებით უმღეროდა აჟვეიფშას.*

„უა, შენგან მოძღვნილი ყველაფერი შეიჭამა და შეისვა, გვიბოძე კიდევ, ნუ გვეტყვი უარს...“

...მღეროდა გლეხი და აკაციის სარებს ორივე მხრიდან უთლიდა ბოლოს, მერე ღონივრად მოიქნევდა და მიწაში ასობდა...

„ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ... — ვთქვი ცოტა არ იყოს დარცხვენილმა, მერე შევხედე მას და ვითომდა გულუბრყვილოდ ვკითხე: — არ მესმის, რატომ უთლი წვერს მაგ სარს ორივე ბოლოდან?“

„ვისაც სარი არ გაუთლია და მიწაში არ ჩაურჭვია, ის ამას ვერ გაიგებს“, — მითხრა და მრავალმნიშვნელოვნად შემომხედა. ეტყობოდა, მეტი არაფრის თქმას არ აპირებდა და ამ შემოხედვით უნდოდა ეგრძნობინებინა, რასაც ფიქრობდა.

„ამქვეყნად არაფერი არ არის მარადიული, ეს სარიც დალპება ოდესმე და ახლის ძებნით რომ თავი არ მოვიკლა, გადმოვაბრუნებ და მეორე მხრიდან ჩავასობ მიწაში!“ — მითხრა ბოლოს.

ამ ნაღვლიან ლეგენდას ისე დაეპყრო თარსხანის გული და გონება, რომ მან ვერც კი გაიგო, როგორ წაადგნენ თავს შიბგა და სტეპანი.

— ყურები გვაბია და არ გვესმის, თვალი გვასხია და ვერ ვხედავთ, — თქვა თარსხანმა, მათი უეცარი გამოჩენით გამოწვეული მღელვარება რომ დაემალა, — ეტყობა გულის და გონების იმედითღა უნდა ვიაროთ დედამიწაზე, — დაუმატა, ნაჯახი ერთი მოქნევით ჩაასო პირით მომსხო აკაციის მორში და თვითონაც ზედ ჩამოჯდა.

სტეპანმა ერთბაშად ვერ გაიგო, რისი თქმა სურდა თარსხანს, ან ვერ გამოვიძინე კარგად, ან არადა კაჭიჭი ჯერ არ გამომ-

ნელებიაო — გაიფიქრა. მერე, როგორც იყო გაიაზრა, მაგრამ პასუხის გაცემა უკვე გვიანი იყო. თარსხანს უკვე აღარც ახსოვდა თავისი წინანდელი ნათქვამი, მას კვლავ მოეძალა სასიამოვნო ფიქრები, სტეპანის დანახვაზე რომ აეშალა. სტეპანი ხმას არ იღებდა. მან მოათვალიერა ადგილი, სადაც შეიძლებოდა დამჯდარიყო, მაგრამ მერე გადაიფიქრა.

— ამას ახრას და აფსირტეს წავუღებ და კალათებს დავწნავთ, — თქვა შიბგამ და აკაციის ხიდან ამძვრალი ხრალის შეგროვება დაიწყო. ეტყობოდა ბიჭს უხაროდა, რომ ტყეში წამოჰყვა უფროსებს. — შურეთის კალათასაც გამოვუცვლით ძირს, — ვერ ისვენებდა ბიჭი.

ამ სახელის გაგონებაზე სტეპანს გული ყელში მოებჯინა, სხეულში რაღაცნაირი სითბო ჩაეღვარა, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ეს ნეტარი წუთები, წამის უმალ უჟმური ფიქრები აეშალა და გააჟრჟოლა, თითქოს ტანზე ჭიანჭველები დაეხვივნენო.

თარსხანი ფიქრებიდან გამოერკვა.

— ახალ სახლს ყველაფერი ახალი უხდება, — თქვა თარსხანმა, — ბზის ხისგან გამოთლილი კოვზით დაწყებული და პირმშვენიერი პატარძლით დამთავრებული, რომელსაც რძის გარდა არაფრისათვის დაუკარებია პირი.

— განსაკუთრებით ახალი სარები! — თქვა სტეპანმა, რომელიც მიუხვდა თარსხანს სათქმელს.

„უყურეთ ერთი ამ მელას, ვერაფერს რომ ვერ გამოაპარებ. მიმიხვდა გულისნადებს!“ — გაიფიქრა თარსხანმა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა.

— ყველაფერი ღობის სარიდან იწყება. კარ-მიდამო თუ კარგად არ შემორაგვე, პირუტყვი აიკლებს შენს ბაღჩა-ბოსტანს. ხალხს უთქვამს, კარგად დაწნული ღობე გაცეცხლებულ ქალსაც კი დააკავებსო.

— ქალმა თუ ერთი გაიწია, წკნელის ღობე კი არა, მკვიდრად

ნაგები ციხესიმაგრე ვერ დააკავებს! — არ დაეთანხმა სტეპანი და რატომღაც გაწითლდა...

თარსხანი მეტისმეტად გააოცა სტეპანის ნათქვამმა, რადგან, როცა ის მის სახლში ცხოვრობდა, არც ერთხელ ქალებზე სიტყვა არ დასცდენია. კვლავ შეუჩნდა ეჭვის ჭია, ღრმად ჩაფიქრდა და მერე თქვა:

— თუ ცხენს ლაგამი არ ამოსდე, თავის ჭკუაზე წაგიყვანს ისე, რომ ვერაფერს გააწყობ...

— ქალის გრძნობები მიწიდან ამოხეთქილ წყაროს ჰგავს, — კვლავ გააოცა სტეპანმა თავისი ნათქვამით თარსხანი და ბოლომდე თქვა, რაც სულს უშფოთებდა და აქამდე გულში ძლივს იტევდა: — მის სათავეს თუ ქვით ამოავსებ, ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოს, რომ დაშრა, გაქრა წყარო, მაგრამ ის მალე გაიკვლევს გზას იქ, სადაც ყველაზე ნაკლებად ელოდები.

— იქაც უნდა მიაყარო ქვა და თუ ესეც არ უშველის, მაშინ გამდნარი ტყვიით უნდა ამოავსო წყაროს სათავე!...

— მთელ.დედამიწას გამდნარი ტყვიით ვერავინ დაფარავს. განა იცის ვინმემ, რამდენი ეშმაკისეული სული ბობოქრობს დედამიწის გულში! — თქვა სტეპანმა და მხოლოდ ახლაღა გაბედა თვალი გაესწორებინა თარსხანისათვის.

თარსხანს თავი უბრუოდა, მაგრამ ცდილობდა ეს არ შეემჩნია სტეპანს.

— აკრძალული ხილი ყოველთვის უფრო გემრიელია, — განაგრძობდა სტეპანი და თანდათან ფიცხდებოდა, — ჯორს თუ ცხენის დასაბმელ პალოზე მიაბამ, თავი რაში ეგონება.

თარსხანს მწარედ მოხვდა სტეპანის სიტყვები, თვალები ბრაზიანად დააკვესა და დამცინავად გაეღიმა. სტეპანს არ გამოპარვია მისი განწყობილების უეცარი შეცვლა და მაშინვე ინანა.

— ეს ისე, სიტყვას მოვაყოლე, — შეწუხდა სტეპანი. სიტყვა ხორბლის მარცვალს ჰგავს, საკმარისია ხნულში მოხვდეს, მაშ-

ინვე გაღვივდება და დაფესვიანდება... — მე არავინ არ მყოლია მხედველობაში, ზოგადად ვთქვი, ჩვენ ხომ ხშირად ვსაუბრობთ ასე, ხომ მართალია?!

თარსხანს ის კი არ სწყენია, რომ მისმა ახალმა ნაძმობმა ასე თამამად ჩამოაგდო მასთან სიტყვა ქალებზე, მას გული უფრო იმაზე დასწყდა, რომ ამჯერად ვერ მოახერხა თავისი აზრების დაფარვა და ამ მისთვის ჯერ კიდევ უცხო ადამიანმა გამოიცნო მისი გულის ხვაშიადი.

— და მაინც, — მტკიცედ თქვა თარსხანმა, წამოდგა, ერთი ხელის დაკვრით ნაჯახი ხიდან ამოაძრო და განაგრძო: — თუ ქვა და ღორღიც ვერ ჩაკეტავს სათავეს, მაშინ გამდნარი ტყვიით უნდა ამოავსო იგი!

„საბრალო ქალები!" — გაიფიქრა გულში სტეპანმა, მაგრამ აღარ ისურვა ცეცხლზე ნავთის მისხმა და გაჩუმდა.

— ნამდვილად სამივეს გვეყოფა კალათების დასაწნავად, — არ ცხრებოდა შიბგა, — დეიდა შურეთის ძირგავარდნილ კალათასაც შევაკავებთ, აქ იმდენი ხრალია, რომ...

სტეპანს ისევ დაურბინა ტანში ჟრუანტელმა.

„შურეთ, ა, შურეთ, სახლში ხარ თუ არა? გამოიხედე!"

ეს ჩიპსას ხმაა, ბრიგადირისა, ინდაურივით გაფხორილი სულ უკან რომ დასდევს ქალს.

„ეი, შურეთ, ჭირმა კი გაწყვიტოს შენი კრუხ-წიწილა, ჯოხზე გაკრული მენახოს შენი ხბოს ტყავი, მოდი ერთი, ნახე, აიკლეს მთელი ეზო!" — გაჰკივის მეზობლის მოხუცი ქალი კუაკუა.

„შურეთ, ღობეზე გადმოხტი, ნუ გეშინია, რა ასი წლის დედაბერი შენ მყავხარ... სტეპანი ისევ წავიდა და აღარ დაბრუნებულა, მომეხმარე ერთი, ამაკეცინე ეს საწოლი", — გაიძახის წარამარა შადია. „შურეთ, შურეთ, შურეთ!" — გაისმის მთელი დღე დაუსრულებლად. ხან ნათესავი ეძახის, ხან მეზობელი, ხან ვინ, ხან — ვინ.

პირველ ხანებში ეს სახელი არავითარ განსაკუთრებულ

გრძნობებს არ იწვევდნენ სტეპანში. ეს იყო ჩვეულებრივი აფხაზური სახელი, როგორც ჩიპსა, კუაკუა, შადია, შიბგა... მერე კი თანდათან იგრძნო, რომ ამ სახელის გაგონებაზე გული უფრო მძლავრად უცემდა და მკერდიდან ამოვარდნას ლამობდა, ქვეყანა ვარდისფერი ხდებოდა და ისიც მზად იყო დაუსრულებლად ესმინა, ოღონდ ვინმეს დაეძახა:

„შურეთ, შურეთ!" ეს სახელი ისეთივე ტკბილხმოვანი გახდა მისთვის, როგორც აფხიარცაზე დაკრული მელოდია.

აკაციის სარები საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა წასაღებად. თარსხანმა და სტეპანმა გაჭირვებით გამოზიდეს ისინი ხეობიდან.

— სტეპან, — თქვა თარსხანმა და სარები ძირს დაყარა. — ჩვენი ხარები ფშაკანის ნაყანევში ძოვენ, კარგი იქნებოდა აქეთ ამოგერეკა.

— ეს ის ფშაკანი არ არის, ამას წინათ ცხენი რომ ითხოვა შენგან, მაგრამ მერე არსად აღარ გამგზავრებულა, დაბანა და ისე მოგიყვანა სახლში? — ჰკითხა მხიარულად სტეპანმა თარსხანს.

„ამას ხომ ვერაფერს გამოაპარებ!" — გაიოცა გულში თარსხანმა, მაგრამ არაფერი დაიმჩნია:

— ეგ არის, ეგ, სულ ღვინის ჭიქაში რომ ძვრება! — უპასუხა სტეპანს. „ხარები თუ შეგიბამს უღელში", უნდოდა ეკითხა, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა და ესღა უთხრა: — ურემი საბძელთან დგას, ხომ იცი?

„მე არ მივაგორე საბძელთან? ნეტავ, როდის იქნება, რომ კაცი რასაც ფიქრობს იმას იტყვის?..." — ჩაეღიმა სტეპანს და ქვევით დაეშვა...

გუშინ მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს შურეთს. მან ისიც კი ვერ მოახერხა ხეირიანად მიალერსებოდა მის ფანჯარაზე აკრულ მოცახცახე ჩრდილს. ძილგატეხილი ქალი მოგონებების მორევში ჩაიძირა და თავზე ისე დაათენდა, რომ თვალი

ველარ მოხუჭა. ეძნელებოდა შურეთს თავის თბილ ლოგინთან განშორება. ბოლოს მაინც გადაიძრო საბანი, წამოდგა, თითების ჩვეული მოძრაობით შეიბნია აზლუდი, სავსე მკერდს ძლივს რომ იტევდა და კაბა სწრაფად გადაიცვა. წინ გრძელი სამუშაო დღე ელოდა.

დიდი ხანი იყო გაორებული შურეთი, თუმცა ვერც თვითონ და ვერც გარშემომყოფნი ამას ვერ ამჩნევდნენ. გათენდებოდა თუ არა, მისი ფიქრი და გონება ოჯახს დასტრიალებდა: დროზე უნდა დაეპურებინა თავისი ორი ყაჩაღანა ბიჭი და მერე მთელი დღე თვალი უნდა სჭეროდა მათზე, რომ რაიმე ხიფათს არ გადაჰყროდნენ, მერე ეზოსთვის უნდა მიეხედა. ძროხა საბალახოდ გაეგდო, ბოლოს კი ბრიგადირი დაადგებოდა თავს და სამუშაოდ ეძახდა და ასე გადიოდა დღეები... დღისით ის ქვრივი იყო, ოჯახზე გადამკვდარი, მუხლჩაუხრელი უკარება ქალი. საღამოთი კი, როცა მზე გამოეთხოვებოდა დედამიწას, ზღვაში ჩაესვენებოდა და ჩაინავლებოდა, როცა იდუმალი სიჩუმე ისადგურებდა ირგვლივ, ხოლო აფსირტეს და ახრას მშვიდი, ბავშვური ძილით ეძინათ, მაშინ შურეთი ფარდებს ჩამოაფარებდა, გაშლიდა ლოგინს, სადაც უკვე ერთის მაგივრად ორი ბალიში იდო და პერანგისამარა მივიდოდა სარკესთან...

იყურებოდა სარკეში შურეთი და თავის ორეულს ელეპარაკებოდა.

„შენი ბრალია ყველაფერი, სიცოცხლე გამიმწარე, დღე შავად გამითენე, ახლა მაინც დამტოვე მარტო ღამესთან და ჩემს ერთადერთ სიხარულთან“.

„ვაი, შე საბრალო, — მოისმა პასუხად ორეულის ხმა, — რაც გიწერია, იმას ვერსად გაექცევი, ბუნების ძალას წინ ვერ აღუდგები“.

„ბუნება, ბუნება! — სასოწარკვეთილებით ამოიკვნესა შურეთმა, რომელიც სარკის წინ იდგა და შავად მბზინავი თმები ნაბადივით ეფინა მხრებზე. — სულ ერთ და იმავეს რატომ გაიძ-

ახი! განა ბუნებამ წინააღმდეგობა უნდა გამიწიოს იმ გზის არ-ჩევაში, რომლითაც მე მოვისურვებ სიარულს?!"

„მერე, რატომ თვითონ არ აირჩიე შენი სავალი გზა, ხელი ვინ შეგიშალა?"

„ეშმაკმა და ქაჯმა, თვითონაც არ ვიცოდი, რას ვაკეთებ-დი!... იურასი რა ბრალია, როგორც კი დავინახე სასრანი, მაშ-ინვე ყველა და ყველაფერი დამავიწყდა, თავგზა ამებნა..."

„საქმეც იმაშია, რომ ადამიანი თვითონ არის თავისი ბედის მჭედელი და რაც ცხოვრებამ არგუნა წილად, იმით უნდა იყოს ბედნიერი!"

შურეთის დიალოგი თავის ორეულთან ყოველ საღამოს ამ ადგილას წყდებოდა, ბოლოს და ბოლოს დაანებებდა იგი თავს თვითგვემას და წვებოდა. დიდხანს მაინც არ იძინებდა. თუ წვიმდა, ის გატრუნული უსმენდა როგორ ეცემოდნენ წვიმის მსხვილი წვეთები ფანჯრის მინაზე და მერე ნელ-ნელა ქვევით იღვენთებოდნენ. მთვარიან ღამეს კი ფარდას გადასწევდა და ოთახი მთვარის შუქით ივსებოდა, რომელიც ნაზად ეალერსე-ბოდა ქალის ვნებით დამუხტულ სხეულს. ბოლოს კი დაწვე-ბოდა ლოგინში, მკერდით მიეხუტებოდა ბუმბულის ბალიშს და უსმენდა მდინარე გუდოუს ჩუმ დუდუნს, ჭრიჭინების ჭრიჭინს და იძინებდა... რა ბედნიერი იქნებოდა შურეთი, რომ სიზმრები, რომელსაც ის ყოველღამე ხედავდა, აცხადებოდა, მაგრამ სამ-წუხაროდ, გაახელდა თუ არა თვალს, მისი ტკბილი ზმანებები სადღაც უკვალოდ ქრებოდა... საბრალო ქალს თვალები ცრემ-ლებით ევსებოდა და გული ეკუმშებოდა...

შადია ჯერ ისევ წყაროსთან იჯდა ფიქრებში გართული, შურეთმა კი უკვე მოწველა ძროხა და ყველის ამოყვანას შეუდგა. როცა შურეთი ამ სახლში მოიყვანეს, ეს ძროხა უკვე ჰყავდა სასრანს. შურეთმა წკეპლა დაჰკრა ძროხას გავაზე, ეზოდან გააგდო და უკან შებრუნდა, რადგან პირუტყვი ყოვ-ელთვის თვითონ იგნებდა გზას საძოვრისკენ და საღამო ხანს

უკან ბრუნდებოდა. ეზოში შემობრუნებულ შურეთს თვალი უნებურად თარსხანის აკუსკიასაკენ* გაექცა. თარსხანის სახლის ფანჯრის მინებზე ასხლეტილი მზის შუქმა თვალი მოსჭრა და კარგად ვერ დაინახა, ვინ დადიოდა აივანზე. მან ცოცხი აიღო და ეზოს დალაგება-დასუფთავებას შეუდგა, თუმცა მისი კარმიდამო ყოველთვის სანიმუშოდ იყო დაგვილი და დაკრიალებული. მერე სახლში აბრუნდა და ლოგინები გამოიტანა გასამზეურებლად, თან წარამარა მაზლის ეზოსკენ იყურებოდა, მაგრამ აბეზარი მზე აქაც არ ასვენებდა და ვერა და ვერ გაეგო, რა ხდებოდა თარსხანის ეზოში.

შურეთი ყოველთვის გუმანით ხვდებოდა, როდის უნდა გამოჩენილიყო მაზლი თავისი სახლის აივანზე, მაგრამ ამჯერად ალღომ უმტყუნა და ვიდრე ის ეზოს ჰგვიდა, ლოგინს ამზეურებდა და შიგადაშიგ კვეთს ურევდა რძეში, თარსხანი ისე შევიდა სახლში, რომ მან წამითაც ვერ დალანდა მაზლი.

„რა ვქნა, მთელი დღე ეზოში ვტრიალებ და იმ მათხოვრის ოდენა უფლება არ უნდა მქონდეს, გზაჯვარედინზე ქუდი რომ გაუშვერია და გროშებს თხოულობს!...

ღმერთია მოწმე, რაც ეგ ჩასახლდა მაგათთან, დაუპატიჟებლად ფეხი არ შემიდგამს იმ ეზოში... ზოგიერთებივით მეც თვალებს ხომ არ ვუჟუჟუნებ... ერთი ეს ოთახიღაა ჩემი სულის ნავსაყუდელი.

განა რა ჩემი ბრალია, თუ ჩემს კედლებზე ვიღაცის ჩრდილი დაბორიალობს? და თუ ფანჯრის მინას ჩემი ცრემლის ორი კურცხალი დაეწვეთა, რა ვქნა? მეც ხომ ქალი ვარ ბოლოს და ბოლოს!“ — ასე ფიქრობდა შურეთი, როცა სახლის აივანზე გამოსული თარსხანის მზერა იგრძნო, რამაც ძალიან დააბნია, ისევ ცოცხს დაავლო ხელი და ღობის გასწვრივ ფოთლების ახვეტა განაგრძო, წუხელ ღობიდან მალულად გადმომხტარ სტეპანს რომ მიმოებნია.

შურეთი მაშინღა შებრუნდა სახლში, როცა ცოტა დაიმშვიდა

გული და თან შეამჩნია, რომ თავისი ერთობ უჩვეულო ქცევით მეზობლების ყურადღება მიიქცია.

შურეთი დღეს სახლიდან გასვლას საერთოდ არ აპირებდა, დარჩენილი სიმინდის ფქვილი ორ დღეს კიდევ ეყოფოდა, მაგრამ ანაზდად ისეთი ძლიერი სურვილი გაუჩნდა წისქვილში წასულიყო სიმინდის დასაფქვავად, რომ ახლა თოფითაც რომ გადადგომოდი წინ, უკან ვეღარ დააბრუნებდი.

გადაწყვიტა თუ არა წისქვილში წასვლა, შევიდა ოთახში, სარკესთან მივიდა და ისე გულმოდგინედ დაიწყო მორთვა-მოკაზმვა, თითქოს წისქვილში კი არა, თეატრში აპირებდა წასვლას და თან თავის ორეულს ელაპარაკებოდა.

„შენი გამკვირვებია, ნეტავ, ვიცოდე, რა გემართება!" — ჰკითხა სარკიდან ორეულმა.

„რა ვქნა, ადამიანი ვარ, პირუტყვი ხომ არა..."

„ბარმიჟდა, თუ გზაზე სადმე იმას გადაეყარო, გამოელაპარაკო კი არადა, ზედაც არ შეხედო, თორემ ხომ იცი, ავი ენა ხესაც კი გაახმობსო..."

„გავყიდი ერთ ძროხას, თუ დამჭირდა ყველას ერთად გავყიდი, ერთ დავიტოვებ მხოლოდ ბავშვებისათვის... ისე მოდურად ჩავიცვამ და გავიპრანჭები, როგორც მაშინ, როცა ჩემს წინაშე ია-ვარდით მოფენილი გზები იყო გადაშლილი... წელიწადში სამ-ოთხჯერ თუ ქალმა ისე ვერ ჩაიცვა, რომ ნათესავ-მეზობელმა ვერ იცნოს, მამაკაცი კი არა, მშობელი დედა არ იზამს პირს მისკენ".

„ბარმიჟდა, ღმერთმა დაგვიფაროს და თუ შენმა მაზლმა გაიგო, რომ ღამე შენს ფანჯარასთან მამაკაცის ჩრდილი დაბორიალობდა, არც ერთს არ დაგინდობთ!"

„ხანდახან ქალაქშიც წავალ, კინოშიც, თეატრშიც; სტუმრად..." „ბარმიჟდა!..."

შურეთი მოსცილდა სარკეს, ტომარა სიმინდით აავსო, მერე რის ვაი-ვაგლახით ზურგზე მოიკიდა, მაგრამ ისე ემძიმა, რომ

ნაბიჯიც ვერ დასძრა ადგილიდან. თითქოს ჯიბრზე, აზღუდიც კინაღამ შემოასკდა მკერდზე.

აზღუდის გარეშე რომ წასულიყო წისქვილში, ხომ ყბად აიღებდნენ იქ მოგროვილი სოფლის ჭორიკანები?

„ღმერთო დიდებულო, რა დაგიშავე, რას მერჩი? ცოტა მაქვს სადარდებელი, ახლა ესეც რომ დამიმატე?“ — სასოწარკვეთილმა ტომარა ზურგიდან მოიხსნა და ისე დაახეთქა მიწაზე, რომ ტომარა გასკდა და სიმინდო ხრიალით წამოვიდა გარღვეული პირიდან.

მერე კი, ვითომ აქ არაფერიო, შურეთმა შვებით ამოისუნთქა და ხის ტახტზე ჩამოჯდა, იქვე, სამზარეულოს კუთხეში რომ იდგა.

„დილია მშვიდობისა, კუნა, კარგო კუნა, თავადო კუნა“, — აჟღურტულდა შურეთი, თითქოს ეს-ეს არის წისქვილის ზღურბლს გადააბიჯაო.

„გამარჯობა შურეთ, მშვენიერო შურეთ, ანგელოზო, ვაი, რომ საძინებელი ოთახი მეჩეთად გადაგქცევია, სურვილი ვერ დაგირწყულებია, ამქვეყნიურ სიამეს მოკლებულო, უბედურო შურეთ!“

„ეხ, შე ლონდრე, რა იქნებოდა ერთ უმთვარო ღამეს გადმოსულიყავი ჩემს ეზოში, მოსულიყავი ფანჯარასთან!“

„შენს პირს თაფლი და შაქარი, შურეთ, მშვენიერო შურეთ-ანგელოზო!“

„მაშ რაღა დაგემართა, დაგავიწყდა, რომ მამაკაცი ხარ, კუნა-თავადო?“

„შიშმა დამთრგუნა, კიდურები გამიხევა!“

„მამაკაცის ვნებას წინ ვინ დაუდგება, კუნა-თავადო!“

„წყალი ყოველთვის აქრობს ცეცხლს, შურეთ, მშვენიერო, შურეთ, ანგელოზო!“

„ნუთუ შიშმა დაგჯაბნა და დაგიმონა, წყალმა ცეცხლი ჩააქრო, ნუთუ ჩემი მაზლის შიში გთრგუნავს?!“

„ვინც შენ დაგღუპა, ჩემი მკვლელიც ის არის, შურეთ, მშვენიერო შურეთ, ანგელოზო!“

შურეთი ერთბაშად გამოერკვა და ისტერიული სიცილი აუვარდა. იცინოდა და მთელი სხეული ვნებიანად უცახცახებდა. ახლა რომ ბრიგადირ ჩიპსას შემოესწრო მისთვის, იქვე დაეცემოდა ვნებამორეული, თვით კუნა-მეწისქვილესაც კი დაავიწყდებოდა თარსხანის რისხვით სავსე თვალები და მის გახევებულ სხეულს უმალ დაუბრუნდებოდა სიცოცხლე, ხოლო კუანაჩა ამას წამოიძახებდა: „მან იხილაო ღმერთი...“

მისთვის კი ამ დროს არ არსებობდა არც კუნა, არც ჩიპსა და არც კუანაჩა — ისინი მისთვის მწვანე ბუჩქნარში მდგარი გამხმარი ხეები იყვნენ!

იგი ფიქრობდა მხოლოდ ერთ ადამიანზე, მასთან იყო ფიქრით, ოცნებით, გრძნობდა მის სხეულს, ესმოდა მისი გულის ფეთქვა, ხედავდა მის თვალებს...

შურეთი გაუხდელად მიესვენა ტახტზე და კვლავ ფიქრების მორევში ჩაიძირა.

„ვინ ვარ მე ბოლოს და ბოლოს? — ეკითხებოდა საკუთარ თავს. — ხან ყელამდე ლაფში ვეფლობი, ხან მგონია ედემის ბაღში დავაბიჯებ. ყველა ჩემი გრძნობა და ოცნება საწოლშივე კვდება. სიცილის გუნებაზე ვარ და ვტირი, მიხარია და თავს ისე ვიჭერ, თითქოს გამწყრალი ვარ ყველასა და ყველაფერზე. ხანდახან იმას ვამბობ, რაც გულშიც არ გამივლია, ვაკეთებ იმას, რისი გაკეთებაც არ მინდა. მაინც იქით ვიყურები, საითაც გახედვა არ მინდა... ვინ ვარ მე, ვინ ვარ მე, ვინ მეტყვის ამას? იქნებ სულ არ ვიმყოფები იქ, სადაც დანარჩენები არიან? ცოცხალი ვარ თუ მკვდარი? იქნებ ის, რასაც ახლა მე ვუყურებ, კუბოს სახურავია და არა ჩემი ოთახის ჭერი?... კარგი, ვთქვათ, მე მოვკვდი და საიქიოში ვიმყოფები! მაშ რატომ ვერსად ვხედავ სასრანს? ნუთუ ღმერთმა მხოლოდ იმისთვის შექმნა ადამიანი, რომ დასცინოს მას?! ეტყობა ადამიანს შვებას ჰგვრის

ცრემლი, რომელსაც ის აფრქვევს, რათა დაიყუჩოს აუტანელი ტკივილები". — შურეთს ღანვებზე ორი მსხვილი კურცხალი ჩამოუგორდა, ნიკაპზე ჩამოეღვენთა და ყელთან შეერთდა. ამ დროს მან თვალი შეასწრო ჩრდილს, რომელიც წამით ფანჯარასთან გაკრთა. იგი ელვის სისწრაფით წამოხტა ტახტიდან და ფანჯარასთან მიიჭრა. — ჩრდილი თავისთავად არ არსებობდა, სადღაც ახლოს მისი პატრონიც იქნება, — გაიფიქრა მან და სწორედ ამ დროს თვალი შეასწრო სტეპანს, რომელიც თარსხანის ეზოში ღობის გასწვრივ მიიზლაზნებოდა.

„მეხი შენ დაგეცეს!" — ხმამაღლა აღმოხდა ქალს.

სტეპანი ადგილზე შექანდა, როგორც ტყვიადაკრული გედი, თუმცა შურეთის ხმა მას არ გაუგონია.

„მეხი კი დაგეცეს, რამოდენაა ეს მიწაგასახეთქი!..."

ხარები ფშაკანის ნაყანევში არ აღმოჩნდნენ, სტეპანმა ისინი ვერც პაჩას მინდვრის ბოლოში იპოვა, სადაც აბზინდის მეტი არაფერი ხარობდა. „ვიპოვი, სად დაიკარგებიან, დაბმულები ხომ არ იყვნენ, სადმე ახლო-მახლო იქნებიან", — გაიფიქრა სტეპანმა და ხარების ძებნა განაგრძო.

მინდვრის გადაღმა, რიყეზე სტეპანმა თვალი მოჰკრა ძროხებს, რომლებიც ზანტად იცოხნებოდნენ და კუდით ბუზებს იგერიებდნენ. მათ შორის ორი დიდი მოზვერი, ერთი ულაყი და ერთი ჭაკი ცხენი მოჩანდა. მათ დანახვაზე სტეპანს იმედი მიეცა, რომ თარსხანის ხარებსაც მალე იპოვიდა და გზა განაგრძო. ცოტა მოშორებით ბექობზე აგუახაას საგვარეულო სასაფლაო მოჩანდა. „მიცვალებულებს თუ დასტირიან თარსხან აკუაძბას ხარებიო", — ჩაეღიმა გულში სტეპანს და აღმართს შეუდგა.

„უცნაური ხალხია ეს აფხაზები, — გაიფიქრა სტეპანმა. ისინი უმეტესად ფერდობებსა და ტაფობებში სახლდებიან, მიცვალებულებს კი ამაღლებულ ადგილებზე ასაფლავებენ. იშვიათად ნახავ სამარეს, მესრით რომ იყოს შემოღობილი. როგორ

აბალახებულა აქაურობა! აფხაზს ისეთი რა გაუჭირდა, რომ სამ თვეში ერთხელ აქაურობა არ მოთიბოს და საფლავებს ეკალ-ბარდი მოაშოროს? ან ჯვრის გაკეთება რა ძნელი გახდა? ასე ხომ დაიკარგა საფლავი! ჯვარი რომ იყოს, მგზავრი შეჩერდება, ქუდს მოიხდის და სულს უხსენებს მიცვალებულს... უდროობას თითქმის არ უჩივიან, არც მაინცდამაინც მუშაობით იკლავენ თავს, მაგრამ საფლავებს კი მაინც არ უვლიან...“

სტეპანი სულ უფრო და უფრო ზევითმიიწევდა. მალე მიაღწია გორაკის თავს, შედგა და ირგვლივ მიმოიხედა. მთიდან მობერილმა გრილმა ნიავმა შვება მოჰგვარა და დაღლილობა გაუქარვა. მის თვალწინ მთელი თავისი სილამაზით გადაშლილიყო სოფელ გუდოუს სანახები: მდინარეები, რომელნიც სათავეს შორს, მთის ძირებთან იღებდნენ და ქვევით, ასევე შორს, ზღვას უერთდებოდნენ, ტყეები და ბუჩქნარები. სასაფლაოზე მაღალი კვიპაროსები შრიალებდნენ. სტეპანს რატომღაც არ მოსწონდა სასაფლაოს სიახლოვეს ხეებს რომ რგავდნენ. ისინი ყოველთვის უსიამოვნო გრძნობებს იწვევდნენ მასში. სტეპანმა აქაც იგრძნო, რომ მწვერვალები ყოველთვის უდიდეს მოწონებას იწვევდნენ აფხაზის გულში, მაგრამ ვერასდიდებით ვერ მიმხვდარიყო, რატომ არ უვლიდნენ ისინი თავიანთ საფლავებს, როგორც თავიანთ წმინდა ადგილებს, როგორც მაგალითად, ანიხას, აჟიირას* და სხვა სალოცავებს.

საფლავებს შორის გამოირჩეოდა ერთი, ქვით შემოზღუდული საფლავი, რომელიც ზედ მთის წვერზე მდებარეობდა. „ვინ ასვენია ნეტავ, აქ? იქნებ აგუახაას გვარის ყველაზე გამოჩენილი ადამიანი ან კაცი, რომელმაც სიცოცხლეში დიდი სიმდიდრე დააგროვა და მემკვიდრეებს მისი დოვლათის გაყოფაში ერთმანეთი რომ არ ამოეხოცათ, წამოიღეს და მისი მთელი სიმდიდრე აქ დაახვავეს?“

წაფერდებულ და მიწაში ღრმად ჩავარდნილ საფლავს ცალ მხარეზე საფეხურები ჰქონდა დატანებული, რომელიც ბალახს

დაეფარა, რაც იმის უტყუარი ნიშანი იყო, რომ დიდი ხანია აქ კაციშვილს ფეხი არ დაედგა. სტეპანმა გარშემო შემოუარა საფლავებს, თუმცა ზოგიერთ მათგანზე ალბათ ზედაც დააბიჯებდა, ისე მოსდებოდა ბალახი და ეკალ-ბარდი იქაურობას. მაღალი კვიპაროსი კი შრიალებდა, თითქოს საფლავებს შორის მობორიალე კაცისთვის უნდოდა ეთქვა: შენც ეს დღე მოგელისო. სტეპანს საბოლოოდ მოეწამლა გუნება. მას ისევ გაახსენდა სამი საფლავის ბორცვი, რომლებიც, ალბათ ასევე იყო უპატრონოდ მიტოვებული და გავერანებული.

მან ერთხანს კიდევ იბორიალა აქეთ—იქით, მერე გამოერკვა და გაახსენდა, რისთვისაც გამოგზავნა თარსხანმა: „რა მინდა აქ, რა მესაქმება? სად არიან ხარები? თარსხანი ჩემი იმედით არის, მე კიდევ აქ საფლავებს შორის დავბორიალობ!" — გაურისხდა საკუთარ თავს სტეპანი, ერთბაშად მოსხლტა ადგილიდან და თითქმის სირბილით დაეშვა ქვევით.

თარსხანს ორი ხარი ჰყავდა. ერთი მათგანი უკვე კარგად მობერებულიყო. საწყალს თვითონაც კარგად ესმოდა, რომ უკვე აღარაფერში ვარგოდა, თავი მუდამ შორს ეჭირა ნახირისაგან, აქაოდა ძროხებთან მე არაფერი მესაქმება და არც მეკადრებაო. ის ყოველთვის მარტო მიდიოდა საძოვარზე და უკანაც მარტო ბრუნდებოდა. მეორე კი სულ ძროხების კუდუკან ტრიალებდა, არ ასვენებდა მათ და მისი ბრალი იყო, რომ იმ ადგილებიდან, სადაც სოფელ გუდოუს ნახირი ძოვდა, ხშირად მოისმოდა რქების ჯახა-ჯუხი.

სტეპანმა ჯერ ის მოუსვენარი ხარი იპოვა, რომელიც სხვა ხარებთან ერთად ბალახობდა შააბათის ნაყანევში, მან თვითონ დახარა თავი მორჩილად და სტეპანმაც ადვილად ჩააბა რქებში თოკი, მეორე ხარი გუდოუს ნაპირზე წიწკნიდა აქა-იქ შემორჩენილ ბალახს. როგორც კი სტეპანი და თავისი მენყვილე დაინახა, თავი ასწია, თანამოძმეს ისე შეხედა, თითქოს უნდოდა ეთქვა — მოდი გავიქცეთო, მაგრამ მან გულგრილად აარიდა

თვალი და სტეპანმა ადვილად ჩამოაცვა მასაც თოკი კისერზე.

შურეთმა მოხსნა პირი იატაკზე წაქცეულ ტომარას, რომელსაც ნაკერები გამორღვეოდა და სიმინდის ნაწილი მომცრო ტომარაში გადაიტანა. მას ერთი სული ჰქონდა, როგორმე გასცილებოდა თავის სახლს, ეზოს და გარეთ გასულიყო. ახლა მას ორი გზა იზიდავდა, რომელიც აკუაძბას სამფლობელოს იქით იწყებოდა. ერთი გზა ქალაქისაკენ მიდიოდა, საითაც ყოველთვის მიუწევდა გული ახალგაზრდა ქვრივს, მაგრამ თავისი უფროსი მაზლის რიდიც რომ·არ ჰქონოდა, საამისოდ არც მოცლა ჰქონდა და არც საშუალება, თანაც თავის ორ ყაჩაღანას უპატრონოდ ხომ ვერ დაყრიდა სახლში! ამიტომ რჩებოდა მეორე გზა, წისქვილისკენ მიმავალი, რომელიც სოფლის თავში იწყებოდა და და მის ბოლოში მთავრდებოდა. წისქვილში რომ მისულიყო, შურეთს მთელი სოფელი უნდა გაევლო, საიდანაც ათასი თვალი უყურებდა და ვაი, ქვრივის ბრალი, თუ ვინმე ავ თვალს გააყოლებდა. ვიღა აუკრავდა მერე პირს სოფლის ჭორიკანებს!

ამიტომაც შურეთის არჩევანი დღეს ისევ წისქვილისკენ მიმავალ გზაზე შეჩერდა. ეზოდან გამოსულმა უკან მოიხედა, ვითომ ტომარა კარგად თუ მაქვს მოკიდებული ზურგზეო, სინამდვილეში კი კიდევ ერთხელ გააპარა თვალი თარსხანის ეზოსკენ, სულ რაღაც წამის განმავლობაში მან მაზლის კარმიდამოს ყველა კუთხე-კუნჭული მოათვალიერა, მაგრამ საინტერესოს ვერაფერს მოჰკრა თვალი.

„ეს ქვისნატეხები სულ წავიდნენ ხელიდან! — გაახსენდა შურეთს თავისი ორი ყაჩაღანა ბიჭი, რომლებსაც ლუკმა ბოლომდე არ გადაეყლაპათ, წამოცვივდნენ მაგიდიდან და ქუჩაში გაცვივდნენ. — რატომ უნდა ვუბრაზდებოდე უცხო კაცს, რომელიც ერთხელ ალერსიანად არ შემომხედავს, — უწყრებოდა საკუთარ თავს ახალგაზრდა ქვრივი. — სასრანის გარდა ყველა უცხო იყო ჩემთვის და უცხოა დღესაც. ვიდრე მაზლს ბატონო-

ბით ელაპარაკები და მონადირე ძაღლივით კუდს უქიცინებ, ემსახურები მას, ის შენ ძვირფას რძალს, მისი ერთადერთი ძმის ცოლს გიწოდებს. მაგრამ აბა, თუნდაც ერთხელ ელარჯის მაგივრად ღომი მიაწოდე, ან კაჭიჭით სავსე დოქი მაგიდის კუთხეში დადგი, მორჩა, იმ დღიდანვე ამოგირეცხავს გულიდან და ცოლის საშუალებით გაგაგებინებს, რომ შენ სხვა გვარის შვილი ხარ. მაზლის ცოლი მაინც მაზლის ცოლია. მან ზუსტად იცის, რა არის შენი და რა — იმისი, განსაკუთრებით მაშინ, როცა მას აქვს ზურგი, რომელსაც შენ მოკლებული ხარ... მე კი რა მაბადია? ერთადერთი რამ, რითაც მე ვსულდგმულობ, ის არის, რომ მყავს დედა, რომელიც ქალაქში ცხოვრობს! და კიდევ ეს ორი პატარა. იმათ რა ჭკუა მოეკითხებათ! ამას წინათ მიწას ასხლეტილი ნაჯახი ტარით ტუჩებში მომხვდა და ერთიანად ჩამიტეტკვა, ეს ეშმაკის ფეხები კი სიცილით კვდებოდნენ და მიწაზე გორაობდნენ. საღამოთი კი, როცა საწოლზე ჩამოვუჯდები და ვეხვეწები, რომ დაიძინონ, ისინი მეკითხებიან: „დედა, ნახე, როგორ გაებნენ თევზები ჩვენს ფაცერში?!" ამბობენ, ბავშვები ადრე თუ გვიან ყველაფერს უგებენ დედასო, მაგრამ ასეც რომ მოხდეს, მე რა ხეირი უნდა ვნახო აქედან! განა მაშინაც ასეთ გუნებაზე გავიღვიძებ, ან ვიღა მოიპარება ღამ-ღამობით ჩემს ფანჯარასთან. ეს მაშინ იქნება, როცა მე ღობის ძირებში ჭინჭარს დავუწყებ ძებნას, რათა ინდაურის ჭუკებს საჭმელი დავუმზადო, გამვლელ-გამომვლელი კი კეთილი თვალებით შემომხედავს და იტყვის: „ნახეთ ერთი, ბებია შურეთს რამდენი ინდაური გაუზრდია". სხვები ბაალუ-ფხა მადინას* შემადარებენ... ოოო, ლოგინიდან წელი ვერ ავითრიო, ოღონდ გამაგებინა, რას ფიქრობს ერთი ეგ მელაკუდა!" — მისდა უნებურად გაახსენდა შურეთს სტეპანი. მან კიდევ ერთხელ გააპარა თვალი მაზლის ეზოსკენ და დაინახა ის, ვისი დანახვაც ასე გულით ენადა: სტეპანს რქებში თოკი ჩაება ხარისთვის და რაც ძალი და ღონე ჰქონდა თავისკენ ეწეოდა გაკერპებულ პი-

რუტყვს. ხარიც და კაციც შუაგზაზე შეეჩეხნენ შურეთს. „ეშ-მაკმა წაიღოს შენი თავი და ტანი, საიდან გამოტყვრა ეს მი-წაგასახეთქი!" — თქვა გულში შურეთმა და ისე დაიბნა, რომ ის პატარა ტომარაც, ზურგზე რომ ეკიდა, კინაღამ ძირს არ დაუვარდა. შურეთმა ძალ-ღონე მოიკრიბა, გზის პირზე მიიწია და გზა დაუთმო კაცს და მის უკან მოდევნებულ ორ ხარს.

შურეთს ეგონა, რომ მან პირველმა დაინახა სტეპანი, მაგრამ ცდებოდა. სტეპანმა ქვრივი ჯერ კიდევ მოსახვევში დალანდა და მაშინვე სასიამოვნო სითბო·ჩაეღვარა სხეულში. გული ისე უძგერდა, ეგონა, სადაცაა ბუდიდან ამომივარდებაო.

სტეპანმა თვითონაც არ იცოდა რატომ გაჩერდა. გაჩერდ-ნენ ხარებიც, რათა სული მოეთქვათ და იმასღა ფიქრობდნენ, როგორ გაეგრძელებინათ ეს მშვენიერი წამები.

დილით შურეთმა დაინახა, როგორ გამოვიდა სტეპანი ეზო-დან და სადღაც წავიდა, მაგრამ არ მოელოდა, თუ აქ, სოფლის შუკაში გადაეყრებოდა.

ახალგაზრდა ქვრივს მაშინვე თვალწინ წარმოუდგა გა-მეხებული თარსხანი, ალვის ხესავით რომ ასვეტილიყო მის წინ, დაინახა მაზლის ცოლი, რომელიც, თუმცა ხმას არ იღებს, მაგრამ სახეზე ეტყობა რასაც ფიქრობს: „იცოდე, რაც ბედის წიგნში გიწერია, იმას ვერ გაექცევი. ჩემი ბედი სხვაა — შენი სხვა". გაახსენდა თავისი ბავშვები, რომელთაც მხოლოდ ის აინტერესებთ, რამდენი თევზი გაება მათ ფაცერში და, რომლე-ბიც ისე უყურებენ დედას, როგორც ბარტყები მერცხალს.

საოცარ ნეტარებას განიცდის ადამიანი, რომლის გულშიც სიყვარულის ცეცხლი გიზგიზებს. იგი დღე და ღამე მხოლოდ იმაზე ოცნებობს, როგორ შეხვდეს, ნახოს თავისი გულისწორი, წამით შეავლოს თვალი მას. აი, ასეთი ბედნიერი კაცი იყო ახლა სტეპანი, რომელსაც თავი ჩაექინდრა თარსხანის ხარებივით და თვალს ძლივს აპარებდა შურეთისკენ. შურეთმა კი შეისწორა სიმინდის ტომარა მხრებზე და გზა განაგრძო. უცნაურმა სურ-

ვილმა შეიპყრო სტეპანი, იფიქრა ხარებს გავუშვებ, ავირბენ აგუახაების სასაფლაოზე, ყვავილებს დავალაგებ საფლავის ქვებზე, მერე უკან დავბრუნდები, დავეწევი შურეთს და სიმინდის ტომარას წისქვილამდე მივატანინებო.

„ვინ იცის, — ფიქრობდა სტეპანი, — იქნებ გზაში გამომელაპარაკოს კიდეც. მე კი ვეცდები მის თვალებში თანაგრძნობის მცირე ნიშანი დავინახო. ხომ ამბობენ: — თუ წყალს დიდხანს და დაჟინებით დააცქერდები, შეიძლება ქვებიც კი ამოცურდნენ ზევითო“.

შურეთი გრძნობდა, რომ სტეპანი დაჟინებით უცქეროდა. ბოლოს მიხვდა, რომ ტყუილად იდგა ერთ ადგილზე გახევებული, თოკი ღონივრად გამოსწია და უკან გაჰყვა ქალს. ო, როგორი ვიწრო ეჩვენებოდა მას წისქვილისაკენ მიმავალი ეს გზა, რომელიც იმ მდინარეს აგონებდა სტეპანს, ცოტა ხნის წინ, მთის წვერზე მდგომმა რომ დაინახა! შურეთს უნდოდა გზა დაეთმო სტეპანის და მისი ხარებისთვის, მაგრამ რაღაც აკავებდა და მძიმე ნაბიჯით წინ მიდიოდა. „მიწამ კი გიყოს პირი, რაღა მაინცდამაინც აქ გადამეყარე! — ახლა უკვე უბოროტოდ თქვა გულში შურეთმა. — ჩემს ფანჯარასთან შენი ჩრდილი დაბორიალებდა მხოლოდ. ვის რაში სჭირდება ჩრდილი, როცა მისი პატრონი სადღაც შორს მობუზულა და ახლოს მოსვლა ვერ გაუბედია!“

„მაინც რა ჰქვია იმ ძალას, მამაკაცს რომ ისე ააცახცახებს, როგორც ქარი ვერხვის ფოთოლს? — ეკითხებოდა სტეპანი საკუთარ თავს და თითქმის ძალით მიათრევდა ორ გაკერპებულ ხარს. — დღე და ღამე ყურებთან ტყვია მიზუზუნებდა, მაგრამ შიში რა იყო არ ვიცოდი, ახლა კი ბავშვივით მობუზული მივალაჯუნებ შუა ქუჩაში და არ ვიცი, რა მოვიმოქმედო. ან რა უნდა ვუთხრა ქალს, რომელსაც ჩემგან „გამარჯობა“ და „ნახვამდის“ მეტი არაფერი გაუგონია... არც თვითონ შემოუხედავს არასოდეს ჩემთვის ალერსიანად... მორჩა, ახლა ვეტყვი, აუცილე-

ბლად ვეტყვი, რომ მომწონს! ჩვენ ორივე ომმა გაგვაუბედურა, მარტოობისათვის გაგვწირა. თუ ვერ გამიგებს, მაშინ მშვიდობით თარსხან! სამზარეულოში ისევ მიყუდებულია ჩემი ბზისგან გამოთლილი ჯოხი, ირმის რქების საკიდზე კი ზურგჩანთა ჰკიდია... — სტეპანის გონება ელვის სისწრაფით მუშაობდა. — თუ ახლაც არ გამიღიმა ბედმა, მაშინ მთელი ცხოვრება უბედური ვიქნები... არა, ახლა უნდა გადაწყდეს ყველაფერი!"

— გამარჯობა, შურეთ! — მიესალმა ქალს სტეპანი და ძლივს დაიოკა მღელვარება.

— ღმერთმა სიკეთე მოგცეს! — მიუგო ქვრივმა ისე, ზედაც არ შეუხედავს.

— მთელი დღე ამათ ძებნაში ვარ... ერთი ალთას იყო, მეორე ბალთას...

— უჰ, რა მძიმეა ეს ტომარა...

— როგორ ვერ მოვიფიქრე! — შეწუხდა სტეპანი, თოკს ხელი გაუშვა, ორიოდე ნახტომით შურეთთან მიიჭრა და წამის უმალ ჩამოართვა ქალს ტვირთი.

შურეთი ერთ ადგილზე გახევდა, პირი დააღო, მაგრამ ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა.

— თარსხანმა სამოსახლო მომცა... შენს გვერდით... რა კარგი კაცია! — სტეპანმა დაინახა, რომ ხარები კარგა მანძილზე დაწინაურებულიყვნენ და ორიოდე ნაბიჯი შურეთისკენ გადადგა.

— ხალხია ირგვლივ! — მტკიცე ხმით თქვა შურეთმა და გვერდზე გაიწია.

— დღეს ნაკვეთის შემოღობვა უნდა დავიწყოთ... თარსხანმა უკვე დაამზადა აკაციის სარები, თან ორივე მხრიდან გაუთლია, ასე, რომ თუ ერთ მხარეს დალპება, ამოვაძრობ სარს და მეორე წვერიდან ჩავასობ ისევ. აბა, ყოველ წელიწადს ახალ-ახალი სარების მოტანა განა ადვილი საქმეა?

— მოვედით უკვე, ხალხის ყბაში ნუ ჩამაგდებ, უკან გაბრუნდი.

— შენ აქ დარჩი... თუ გინდა სახლში დაბრუნდი! კუნამ რომ მითხრას წყალი გადავუგდე და ვერ დაგიფქვავო, ხელით დავატრიალებ დოლაბს! — სტეპანი დაიბნა, ერთ ადგილზე დატრიალდა და მერე ტომარას სტაცა ხელი.

შურეთმა ალერსიანი თვალებით შეხედა ზურგზე სტეპანს, საიდანაც უკვე ოფლს გამოეჟონა.

— მე არავისი მეშინია! — შემოტრიალდა უცებ სტეპანი და თვალებში შეხედა შურეთს. მის თვალებში აბრიალებულმა ნაპერწკლებმა ქალს კიდევ ერთი ნაბიჯით დაახევინა უკან. — მე არავისი მეშინია! — გაიმეორა მტკიცედ სტეპანმა.

— არ მინდა ერთად დაგვინახონ! — შურეთმა ვერ გაუძლო მამაკაცის მზერას და თავი დახარა, — შენ რა გაქვს დასაკარგი!

— მე?!

— ჰო, ჰო, შენ! — წამოიძახა შურეთმა. მერე სწრაფად დაავლო ხელი სიმინდის ტომარას, ბუმბულის ბალიშივით ამოიჩარა იღლიაში და სწრაფი ნაბიჯით წისქვილისაკენ გაემართა...

აქამდე დაცარიელებული სამყარო ერთბაშად ვარდისფერი ნისლით აივსო, ამ ვარდისფერ ნისლში კი ციცინათელები დაციმციმებდნენ. ისინი ხან შურეთს შემოეხვეოდნენ, ხან კი ყველა ერთად სტეპანის გარშემო დაიწყებდნენ რიალს, ბოლოს კი ფუტკრის გუნდასავით აგორგლებული ციცინათელების გუნდი სოფლისკენ გაეშურა, რათა ყველასათვის ემცნოთ ახალი ამბავი.

„შურეთ, ბარმიჟდა“, — ჩაესმა მას თავისი ორეულის ხმა, ღამღამობით სარკიდან რომ შემოსცქეროდა. „ნუთუ ვერ შენიშნე, როცა იმ წყეულმა სიმინდის ტომარა ჩამოგართვა და ხეზე ჩამოჰკიდა, უხილავი ხელებით მკერდზე რომ მიგიზიდა?“

„მან თქვა, არავისი არ მეშინიაო“, — შეეპასუხა შურეთი თავის ორეულს.

„შურეთ, ბარმიჟდა, მე ვიცი, რა საშინელებაა შური! ფრთხილად იყავი იცოდე!“

„არც მე მეშინია არავისი! სახლი, ეზო, ყველაფერი, რაც კი გამაჩნია, დაე, აკუაძბებს დარჩეთ!... სულერთია, სად ვიქნები, ოლონდ შვილები ჩემთან იყვნენ, დედა ენაცვალოთ იმათ, ვინა ჰყავთ ჩემს მეტი? თავიდან იმათაც გაუჭირდებათ... ბოლოს და ბოლოს, მე თვითონ ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე! ერთხელაც ავდგები და ყველას გასაგონად ვიტყვი: რა გინდათ ჩემგან? თქვენ თქვენთვის იყავით, მე ჩემთვის ვიქნები, მე თქვენთან არაფერი მესაქმება და ნურც თქვენ იკითხავთ ჩემსას. აი, ახლა ავდგები, წავალ და ჟაგუას კლდიდან გადავეშვები უფსკრულში, ამით ვის რა დააკლდება? ვინც კვდება, საკუთარ თავს უკვდება მხოლოდ!"

„შურეთ, ბარმიჟდა, ნუთუ ვერ შენიშნე, ვინ გითვალთვალებდათ, როცა იმ წყეულმა ტომარა გამოგართვა და გულში ჩაგიკრა?"

„მე არავისი და არაფრის არ მეშინია!... მე სხვა გვარის ქალი ვარ, ჩემი ქმარი ცოცხალი აღარაა და მეც აღარაფერი მაქვს საერთო აკუაძბების გვართან!"

„ბარმიჟდა, ნუთუ სულ დაგიბნელდა გონება? როცა ის ეშმაკის კერძი ტომარას გართმევდა, ზემოთ, გორაკზე ბრიგადირი ჩიპსა იდგა და იქიდან გადმოგცქეროდათ ორივეს, წისქვილიდან კი ამ დროს ფქვილიანი წინსაფრის ბერტყვით ძაბა გამოვიდა და გვერდით ჩაგიარათ. სად გქონდა მაშინ თვალები?"

„გავყიდი, ყველაფერს გავყიდი!..."

„ბარმიჟდა, შენთვის განკუთვნილი ბალღამი უკვე თუხთუხებს ქვაბებში!"

„მე არავისი და არაფრის არ მეშინია!"

„ბარმიჟდა! ო, ჩემო საბრალო შურეთ!"

შურეთი ფეხარეული მიაბიჯებდა წისქვილისაკენ და შიშისაგან მუხლები უკანკალებდა... სტეპანი კი ისევ იდგა ერთ ადგილას გახევებული და სასოწარკვეთილი მზერით მიაცილებდა ქალს. ვარდისფერი ბურუსი გაქრა. შუკაში გარკვევით

მოჩანდა ქალის და კაცის სილუეტი, რომელთაგანაც არც ერთმა არ იცოდა, რას მოუტანდა მათ ხვალინდელი დღე.

ჭორის ნერგი სოფელში უფრო სწრაფად და კარგად ხარობს, ვიდრე ქალაქში. ისეთ ადამიანს რა გამოლევს, ვისაც არ ეხერხება ენაზე კბილის დაჭერა. სადღაც რაღაცას მოჰკრავს ყურს და მეტიც არ უნდა, დადის კარდაკარ, ენას ასავსავებს, ბუზს სპილოდ აქცევს და ოდნავაც არ ედარდება, რომ მისმა ერთმა გადაბრუნებულმა სიტყვამ შეიძლება კაცს გული მოუკლას, ოჯახი დაანგრიოს, მეგობარი მეგობარს დანასისხლად გადაჰკიდოს...

ბოლო ხანებში თარსხანის ყურამდე რაღაც ხმებმა მიაღწია, გულზე ცეცხლი ეკიდებოდა, მაგრამ ბოღმას გულში იბრუნებდა და არაფერს ამბობდა. იფიქრა, ჯერ კარგად გავერკვევი რა ხდებაო, მაგრამ საამისოდ ველარ მოიცალა — ერთ დღეს შეატყობინეს, რომ მისი ბიძა სიკვდილის პირას იყო და ეტყობოდა მალე დასტოვებდა სააქაოს. ეს კაცი მისი დედის ძმა იყო, ერთადერთი ბიძა, რომელსაც დედა ბინაყურს ეძახდა. ბავშვებს ძალიან უყვარდათ ეს სათნო მოხუცი და წარამარა მის სახელს იფიცებდნენ. როგორც კი თარსხანს ბიძის ავადმყოფობა შეატყობინეს, გული შეეკუმშა, მიხვდა, რომ ბიძამისი საამქვეყნო აღარ იყო. წაუსვლელობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. კაცი სრულიად უცხო ადამიანის ჭირს მიიტანს ახლოს გულთან, შინაურს და ახლობელს კი უნდა უჭირისუფლო, როგორც წესი და რიგია.

ამიტომ მართალი იყო თარსხანი, როცა აღარ დაუხანებია და მაშინვე ავადმყოფ ბიძასთან წასასვლელად მოემზადა. ჩვეულებრივ, როცა ის სახლიდან გადიოდა, ოჯახის წევრებს სათითაოდ უბარებდა, ვის რა უნდა გაეკეთებინა მის მოსვლამდე, მაგრამ ახლა ამის თავი სადღა ჰქონდა! სოფელში ჭორები მის რძალზე ისე გამრავლებულიყო, როგორც თაგვი მიტოვებულ წისქვილში. თარსხანს ამქვეყნად ყველაზე მეტად ჭორისა

ეშინოდა და სძულდა. ამიტომაც იყო, რომ იგი ჭორს თაგვებს ადარებდა, რომელიც ბავშვობიდან საშინლად ეზიზღებოდა. პატარაობისას დაესიზმრა, როგორ ტივტივებდა რძეში დამხრჩვალი თაგვი. იმ დღიდან მოყოლებული მას რძე პირში აღარ ჩაუშვია.

ჭორმა დაიბუდა სოფელში, იბარტყა და ყველგან წამოყოფდა ხოლმე თავს, წისქვილი იქნებოდა ეს თუ დღეობა-ქორწილები, ავადმყოფის სასთუმალთან თუ ცოლ-ქმრის სარეცელზე და თარსხანი მიხვდა, რომ მას უკვე ძალა აღარ შესწევდა ცხოვრება ძველებურ კალაპოტში დაებრუნებინა და თვლიდა, რომ ყველაფერში თვითონ იყო დამნაშავე.

როგორც კი კაცი ავისა და კარგის გარჩევას ისწავლის, სულ იმაზეა გამეცადინებული, როგორმე შეიტყოს, რას ფიქრობენ მასზე სხვები, ყური აქვს გამახვილებული, გადაკვრით ეკითხება მავანსა და მავანს, ცუდს ხომ არაფერს ამბობენ ჩემზეო. მაგრამ პირში ვინ ეტყვის ამას... ან რაში სჭირდება, რას მისცემს ეს მას. თუ კაცი ჭკვიანია, იმას მაინც იზამს, რომ ყურად იღებს შენიშვნებს, შეეცდება ნაკლი გამოასწოროს. ასეთი ადამიანი გულში მადლიერიც კი იქნება იმათი, ვინც მას საკუთარი ნაკლი დაანახა, მაგრამ ყველა ხომ ასეთი არ არის? ზოგიერთი ადამიანი მის მიმართ გამოთქმულ მცირე შენიშვნასაც კი მოთმინებიდან გამოჰყავს და ხშირად ერთი შეხედვით უბრალო სიტუაცია შეიძლება ტრაგიკული შედეგით დასრულდეს. ენაჭარტალა ადამიანებს კი რა გამოლევს ქვეყანაზე! ზოგს სხვისი წარმატება სწყინს და შური ალაპარაკებს, ზოგი საერთოდ ღვარძლიანია და თუ ვინმეს გული არ ატკინა, ვერ მოისვენებს. გარდა ამისა, არის ისეთი ხალხიც, რომლებიც მხოლოდ ენას იქავებენ და მანამ ვერ დაიძინებენ, ვიდრე ის ლაპარაკისაგან არ გაუხევდებათ...

მაგრამ, ღმერთია მოწმე, იმ დღეს, როცა თარსხანი აკაციის სარებს თლიდა სტეპანის სამოსახლოს შემოსაღობად, მართლა

შეხვდნენ ერთმანეთს შურეთი და სტეპანი, ამ უკანასკნელმა ჩამოართვა ქალს სიმინდით სავსე ტომარა და წისქვილამდე ისე მიაცილა, რომ გული ვერ გადაუშალეს ერთმანეთს. შურეთი მარტო შევიდა წისქვილში, სტეპანი კი მაშინვე უკან გამობრუნდა.

ძაბა მთელი კვირა ეძებდა ხელსაყრელ ვითარებას, პირისპირ დარჩენილიყო შადიასთან. ამ ქალზე სოფელში ხმები დადიოდა, რომ შინაბერად დარჩენილს ბოღმა ახრჩობდა და ყველანაირად ცდილობდა სხვებისთვისაც გაემწარებინა სიცოცხლე. იგი გამოუსწორებელ ჭორიკანად ითვლებოდა და აი, ძაბამ, რომელიც წყაროსთან იცდიდა, ვიდრე მისი ჭურჭელი აივსებოდა, გზად მიმავალი შადია დაინახა. მაშინვე ისე აწრიალდა, როგორც გალიაში მომწყვდეული მხეცი, სხვა რომ ვერაფერი მოფიქრა, დაავლო კოკურას ხელი, წყალი გადაღვარა და შადიას გამოედევნა, მაგრამ ამჯერად მწევარი ვერ დაეწია კურდღელს. შადია, ეტყობოდა ჩქარობდა, გულს დარდი შემოსწოლოდა და მოღუშული შურეთის ეზოსკენ იყურებოდა.

„არა უშავს, სალაპარაკო იყოს, თორემ დროს და ადგილს ყოველთვის მონახავს კაცი", — ჩაილაპარაკა ძაბამ გუნებაში, სალმის ნიშნად შადიას მხოლოდ თავი დაუკრა და გზა განაგრძო.

მაგრამ შადიას ნახვამდე ძაბას ჩუმად რა გააჩერებდა. სულ ცოტა ხანში მთელი სოფელი კარდაკარ მოიარა, ყველგან აასავსავა ენა, მაგრამ მაინც ვერ დაცხრა, ვერ მოისვენა, ერთი სული ჰქონდა ფეხი მოერთხა შადიას წინ, მოწმედ ბრიგადირი ჩიპსა მოეყვანა და ყველაფერი დაწვრილებით ეთქვა, რაც ნახა და გაიგონა.

ბოლოს მოთმინების ძაფი გაუწყდა და გადაწყვიტა თვითონ მისულიყო სახლში შადიასთან, თუმცა ეს არც ისე ადვილი იყო მისთვის, რადგანაც ის თარსხანის სახლში მიდიოდა. ალაჰმა უწყის მხოლოდ, რამ აიძულა ასეთი ნაბიჯი გადაედგა. იქნებ ამ

მელაკუდამ იგრძნო, რომ თარსხანის ავტორიტეტი, ცოტა არ იყოს, შეირყა და ახლა მასთან სახლში მისვლა არც ისე საძნელო საქმედ ეჩვენებოდა... ასე იყო თუ ისე, ერთ საღამოს, როცა თარსხანი სახლიდან გაიგულა, ჩუმად, შურეთს რომ არ დაენახა, სტეპანს გვერდით გაუარა, რომელსაც ფიჩხის კონა გაედო მხარზე და საბძლისაკენ მიემართებოდა, და სამზარეულოში შევიდა, სადაც შადია ბუზღუნ-ბუზღუნით იჭერდა ვახშმის თადარიგს.

— რა ქარმა გადმოგაგდო! — გაკვირვებით მოშვილდა წარბები შადიამ და აჯიკაში ამოსვრილი ხელები გაშალა. — რატომ თვალი არ დამიდგება ქალო, — შეარბილა მერე ხმა, ძაბას არ ეგონოს მისი მოსვლა მეწყინაო. — თარსხანის ერთადერთი ბიძა სიკვდილის პირას ყოფილა, არ ვიცი რა გვეშველება! ეხ, რა იცი, საიდან დაგატყდება უბედურება ადამიანს!

ძაბამ, როგორც კი სიტყვას „საიდან" მოჰკრა ყური, რაღაც ენიშნა, ახლა კი დადგა ჩემი ჯერიო, — გაიფიქრა და მოხსნა კიდეც გუდას პირი:

— მარტო ხარ სახლში?

— მარტო ვარ, მარტო, ნეტავი, საერთოდ არ ვიყო!...

— ნუ სცოდავ ქალო, რა გჭირს საწუწუნო, ნეტავი, ყველას შენსავით გაუმართლოს!

— ეჰ, ჩემო ძაბა, ხალხმა სალაპარაკოდ მოიცალა, საქმე ვიღას ახსოვს, ყურებში თითი უნდა გაიკეთო კაცმა, რას აღარ გაიგონებ! — ისეთი სახით თქვა შადიამ, თითქოს მთელი ქვეყნის საფიქრალს ის ფიქრობსო და თანაც ხელებზე მიმხმარ აჯიკას იშორებდა. — ალაჰი არ გვაპატიებს, არა!

— პირიქით, ალაჰმა მოწყალე თვალით უნდა გადმოგვხედოს! ლაგამი თუ გავწყვიტეთ, რაღა დაგვაკავებს მერე? — თქვა ძაბამ, თვალები ეშმაკურად მოწკურა და ფრთხილად ჩამოჯდა სკამზე. — ადამიანმა რომ მხოლოდ ის აკეთოს, რაც მოეხუშტურება, შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს ყულფში გაუყაროს თავი!

„რამ მოიყვანა ეს შინაბერა ამ საღამოს აქ, — თავს იმტვრევდა შადია, — ძროხები ჯერ არ ამოსულან, საქმე გამოელია, თუ რა!“ შადიას კარგად მოეხსენებოდა ძაბას ენის ამბავი, იცოდა, რომ კარგი ამბის სათქმელად არ მოვიდოდა და ამაზე წუხდა. იცოდა, რომ სოფელში რაღაც ჭორები დაირხა შურეთზე და იმასაც კარგად ხედავდა, სოფლელები გვერდს როგორ უვლიდნენ შურეთის სახლს და ქვას მის ეზოში ისროდნენ. შადიას ტანში ცივად გააჟრჟოლებდა ხოლმე, როცა წარმოიდგენდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს თარსხანს მოთმინების ფიალა აევსებოდა და, რადგანაც კარგად იცოდა ქმრის ხასიათი, შიში ზარავდა, ოჯახი არ დამექცეს, არ დავიღუპოო.

გრძნობდა რა მოსალოდნელ საფრთხეს, შადია უნდობლად ეკიდებოდა ამ მითქმა-მოთქმას. არც ერთხელ ყური არ უთხოვებია სოფლელი ენაჭარტალებისათვის, ასე ადვილად არავის შეალახვინებდა თავისი ოჯახის და ნათესავების ღირსებას. ამიტომაც იყო, რომ ქალები ადვილად ვერაფრის თქმას ვერ უბედავდნენ და, თუკი ვინმე შეეცდებოდა სიტყვა გადაეკრა მისთვის, ისე შეუბღვერდა ხოლმე ჭორიკანას, ის საცოდავი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა იქიდან. მაგრამ მოგეხსენებათ, ქალი მაინც ქალია, თანაც ხომ უნდა გაეგო ბოლოს და ბოლოს, სად ტყუილი იყო და სად მართალი, ამიტომაც, როცა ძაბამ გაბედა სიტყვის ჩამოგდება ისეთ ამბავზე, რასაც სოფელში სხვა ვერც ერთი ქალი ვერ გაუბედავდა, შადიას არ გაუგდია ის ჯოხით, პირიქით — ჩუმად განაგრძო აჯიკის გაკეთება და ახლა იმის მოლოდინშიღა იყო, რას ეტყოდა ეს ეშმაკი შინაბერა.

— ვერ დაგხვდი კარგად, მე საცოდავი, არ იფიქრო შენი მოსვლა მეწყინა! — შადიამ თავი მიანება საქმეს და ძაბას გვერდით მიუჯდა. — ამ ბოლო ხანებში ძალიან გალამაზდი, რაც მართალია, მართალია! — უთხრა სტუმარს და ორად ჩაკეცილ ღაბაბზე შეხედა, ინდაურის ჩიჩახვივით რომ გამობერვოდა ძაბას.

— ეჰ აბა, სხვა რისი იმედი უნდა მქონდეს? — უპასუხა შინაბერამ და ყურების უკან თმები შეისწორა.

შადიას აღარაფერი უთქვამს, ერთხანს ორივე დუმდა. ძაბას გაცურება ადვილი საქმე არ იყო, შადია კი თავისი ქმრის ზურგს ამოფარებული თავს ისე იჭერდა, რომ ეს ჭორები უნიადაგო იყო და მალე დაავიწყდებოდა ყველას. არც ერთმა არ იცოდა, საიდან დაეწყო საუბარი. შადიამ ვეღარ გაუძლო ძაბას დაჟინებულ მზერას და თვალი აარიდა.

შინაბერას ჭკუით, ეს იმის ნიშანი უნდა ყოფილიყო, რომ სიტყვას მას უთმობდნენ. ამან მხნეობა შემატა მას და როგორც კი მასპინძელი სამზარეულოს კარს მიაცივდა თვალებით, გადაწყვიტა, მეტი ყოყმანი აღარ ღირსო და პირდაპირ დაიწყო:

— ამ სოფელში თუ თქვენზე მეტად ვინმე მიყვარდეს, ჩემი ძმა აღარ მენახოს შინ ცოცხალი მოსული!

— ღმერთო მომკალი, ღმერთო მომკალი, ეგ რა თქვი ადამიანო, — ჩამოიხოკა ლოყა შადიამ და ხელი მოუთათუნა ძაბას მკლავზე, მერე საფეთქელი დაიზილა თითებით, აქაოდა ნახე, როგორ განვიცადე შენი ნათქვამიო.

— თარსხანი ხომ ღმერთია ჩვენი!...

— ჰო, მართალია, მაგრამ ყველასთვის ვეღარ იცლის, არა სცალია, — ხაზგასმული სიამაყით დაუკრა კვერი შადიამ.

— შენ კი დედოფალი ხარ ჩვენი, — უკვე გაიკაფა ძაბა.

— ამას ჩემზე ამბობ? — გადაირია შადია, რომელსაც ვერ გაეგო, რატომ იყო მისი ქმარი ღმერთი, თვითონ კი დედოფალი.

— ოქროსავით ბავშვები გყავთ...

— ჯერ რა ვიცი, მერე ვნახოთ, გამოჩნდებიან რა შვილებიც არიან!

შადიას თვალი ჭიშკრისაკენ გაექცა და ძაბას გაუღიმა. გულმა რეჩხი უყო, მოეჩვენა, რომ სადაცაა კარებში მათი „ღმერთი“ გამოჩნდებოდა.

— სასრანი, უბედური სასრანი რა უდროოდ წავიდა ჩვენგან! — ძაბა მისამღერიდან მოთქმაზე გადავიდა, — ღმერთო,

შვილები დიდხანს უცოცხლე!... სასრან, სასრან, შე საცოდავო!...

— ვინ იცის, როგორები გაიზრდებიან? — შადიამ კარგად იცოდა, რომ ცეცხლი, რომელიც თანდათან ღვივდებოდა, მის სახლსაც მისწვდებოდა და მაინც ზედ ნავთი გადაასხა. ეს ძაბას არ გამოპარვია, რომელიც ჭინკას უგებდა მახეს და ეშმაკი კი დაიჭირა.

— სანთელივით ერთბაშად აენთო და ასევე ერთბაშად ჩაქრა, ჩაქრა სამუდამოდ!...

ძაბამ ცხვირი მოისრისა, ვითომ ცრემლის შეკავება სურდა, შადიამ კი ლამის თვალები დაითხარა თითებით, რომ როგორმე ერთი-ორი კურცხალი გადმოეგდო. იჯდა ორი ქალი — ძაბა ლაკაშია, შადია ხაჯიმბა და დასტიროდნენ სასრან აკუაძბას, რომელსაც თანამებრძოლებმა დაუკრიფეს ხელები და ცივ მიწას მიაბარეს.

— როცა ეს არგასახარებელი — უნდოდა ეთქვა „გათახსირებულიო", მაგრამ ველარ გაბედა — რადედას სიმღერით სახლში შემოიყვანეთ, იცი, რას ვგრძნობდი მაშინ?

„თქვი ერთი პატიოსნად, მაინც რას გრძნობდი იმ დღეს?" — თავისთვის გაიფიქრა შადიამ.

— არ ვიცი, შეიძლება იმიტომ, რომ ჩემშიც აკუაძბას სისხლია — იმ დღეს ჟრუანტელმა ამიტანა, გული კინაღამ ბუდიდან ამომივარდა და მუხლები მეკვეთებოდა. როგორ მხიარულობდა ყველა, გახსოვს? ვინ სანთებელას ანთებდა, ვინ ფარიკაობდა და თოფს ისროდა! ჩვენ კი სუფრას ვშლიდით მაყრებისთვის. როგორც კი ეგ არგასახარებელი დავინახე, ადგილზე გავშეშდი, თეფშები კინაღამ დავამტვრიე... კიდევ კარგი სიბნელეში ვერავინ დამინახა, ცრემლები ვერ შევიკავე...

როცა ძაბამ სასრანისა და შურეთის ქორწილის დღე გაიხსენა, შადიასაც მოეძალა მოგონებები. იმ დღეს უამრავი სტუმარი ეწვია აკუაძბების სახლს. ეზო სავსე იყო ხალხით, ისინი ჯგუფ-

ჯგუფად იდგნენ, ჰყვებოდნენ მთისას და ბარისას, ყოველი მხრიდან მხიარული ხარხარი გაისმოდა. სამზადშიც ხალხმრავლობა იყო, ზოგი ხორცით სავსე ქვაბებთან ტრიალებდა, ზოგიც მწვადს წვავდა. ქალები ისეთი სისწრაფით გარბიგამორბოდნენ, თვალს ვერ შეასწრებდით. შადიას ცხადად წარმოუდგა თავისი ქმარი, რომელიც ახოვნებით და თავდაჭერით ყველასაგან გამოირჩეოდა. აგერ ის, ალვისხესავით აწვართული ჭიშკრისაკენ მიდიოდა, რათა თვითონ შეგებებოდა კარებში ნეფიონს, თავის რძალს, რომლისთვისაც იგი ალბათ სულსაც არ დაიშურებდა.

ძაბა უკვე ეშხში შესული ყვებოდა, როგორ დაინახა იმ დაწყევლილ დღეს წისქვილისაკენ ერთად მიმავალი სტეპანი და შურეთი... მერე სტეპანმა გამოართვა სიმინდის ტომარა, მკლავში ხელი გამოსდო, როგორც ეს ქალაქელებმა იციან და ორივემ გვერდზე გადაუხვიეს... ყვებოდა ძაბა და თან წამდაუწუმ ბრიგადირ ჩიპსას იმონმებდა...

შადიას კი, რომელიც აქამდე ძალას ატანდა თავს, რომ როგორმე ცრემლი მორეოდა, თვალებში ქორწილისა და იქ მოტრიალე თავისი ქმრის გახსენებაზე, მსხვილ-მსხვილი ცრემლები გადმოსცვივდა ბუდეშური თვალებიდან, გარუჯულ ღაწვებზე ჩამოეღვენთა, ნიკაპთან დაუგროვდა და კალთაში ჩაუცვივდა ღაპა-ღუპით... „რადედა, რადედა!...“ მოისმოდა შორიდან მაყრული. თარსხანს მოუსვენრობა დაეტყო, ღელავდა. ის ჭიშკარში იდგა და თავისი ბრგე ტანით თითქმის მთლიანად ფარავდა შემოსასვლელს ისე, რომ ჭიშკარში შემომსვლელს მისთვის მხარის აქცევა გაუჭირდებოდა. შადია თვალებით მოეფერა ქმრის ზურგს. წარმოიდგინა, როგორ მიესვენა ნეტარებით მის ფართო მხრებზე. მთელი არსებით გრძნობდა მამაკაცის სხეულს. ის გრძნობდა, როგორ ძალუმად უცემდა გული, თითქოს რაღაცას ეუბნებოდა, მაგრამ შადიას ბოლომდე არ ესმოდა მისი ხვაშიადი. ასე იყო იმ დღეს, ასეა დღესაც...

ძაბა გაუთავებლად ქაქანებდა, შადია კი ცრემლებად იღვრებოდა. ეცოდებოდა მეუღლე, მისტიროდა თავის ახალგაზრდობას და გულს უმდუღრავდა ისიც, რომ არ იცოდა, რა ელოდა ხვალ მას და მის ოჯახს.

— წავედი ახლა, — თქვა ძაბამ, წამოდგა და კარებისაკენ წავიდა, მაგრამ ზღურბლზე ისევ შეჩერდა, თითქოს რამე დავიწყებოდეს. — ამ სოფელში, თუ თქვენზე მეტად ვინმე მიყვარდეს, ჩემი ძმა არ მენახოს შინ დაბრუნებული!

— ღმერთს ნუ სცოდავ, ძაბა! — შადიამ კაბის კალთა შეისწორა და შეეცადა დაემალა ცრემლიანი თვალები, მერე უპეები შეიმშრალა, ეტყობა არ უნდოდა მეუღლეს ნამტირალევი ენახა. ღაწვებზე შერჩენილი, მოცხარის გამჭვირვალე ნაყოფივით მსხვილი კურცხალი ნიკაპზე ჩამოუგორდა და მიწაზე დაეცა.

— ეს ყველაფერი იმან მათქმევინა, რომ როგორც თქვენს სისხლით ნათესავს, მინდა მომავალშიც ღმერთს ისევე უყვარდეთ, როგორც აქამდე და სიკეთით და ბედნიერებით სავსე ვნახო თქვენი ოჯახი, — მოჩვენებითი გულისტკივილით თქვა ძაბამ... — ღორის ტილი რომ ფეხზე დაგაჯდება, თავზე აგაცოცდებაო, ხალხს უთქვამს. ასეა, უცხო ადამიანს თუ შეიცოდებ და შეიფარებ, ჯერ გარეთ დაიდებს ბინას, მერე კარებში შემოიჭვრიტება, თანდათან ოჯახში შემოგიძვრება და ბოლოს იქნებ შენი საწოლისკენაც გააპაროს თვალი... ხვალინდელი დღე არ გამითენდეს: თქვენთვის სიკეთე არ მსურდეს... აბა, წავედი ახლა და დაე, ჩვენი საუბარი ჩვენს შორისვე დარჩეს. მე სამარე ვარ...

— ღმერთო კი მომკალი!

„ისე შეიცხადე, თითქოს ძალიან გეხატებოდე გულზე. თუ იმის თქმა გინდა, წადი, თუ მიდიხარ, რა გამიჭირე საქმეო“, — იქედნურად გაეღიმა გულში ძაბას, რომელმაც ვერ გაიგო, რას ნიშნავდა შადიას ეს წამოძახილი. სიმართლე რომ ითქვას, არც

თვითონ შადიას სცხელოდა იმისთვის, ეფიქრა, რას და როგორ ამბობდა.

ავადმყოფ ბიძასთან მიმავალ თარსხანს რომ გულზე ცეცხლი ეკიდებოდა, სულ ძაბას ოინები გახლდათ. იმას, რასაც შადია იტანდა და ითმენდა, სხვა ვერა ქალი ვერ მოითმენდა, მაგრამ ერთხელაც ველარ მოითმინა და, როცა თარსხანმა ეზოდან გასვლა დააპირა — არ ვიცი, რა ეშმაკი შეუძვრა, გაოცებულმა უკან მიაძახა:

— შენ რა, მარტონი გინდა ისინი დატოვო?

— როგორ თუ მარტონი? ამით რისი თქმა გინდა? — გაკვირვებით აჭიმა წარბები თარსხანმა. შადია შეცბა. ქმრის თვალებმა შეაშინეს...

— იქნებ რაიმე იცი მათ შესახებ და არ მეუბნები? მითხარი!

— რა უნდა გითხრა, ხომ არ გგონია კარდაკარ დავდივარ და ყველას ვუსმენ, ვინ რას იტყვის! — აღარ შეეპუა თარსხანს შადია.

— არა, შენ რაღაც იცი და მიმალავ. მითხარი, მაინც რას ლაპარაკობენ? — აღარ მოეშვა ცოლს თარსხანი.

— წადი და ძაბა ლაკაშიას ჰკითხე, ის გეტყვის! — მიახალა შადიამ და ვითომ აღარ მცალიაო, ჭურჭლის დალაგება დაიწყო განჯინაში.

თარსხანს არასოდეს ხელი არ აღუმართავს მეუღლეზე, მაგრამ ასე, ორცეცხლშუაც არასოდეს ყოფილა ადრე.

„როგორ, უკვე ძაბას ყურამდე მიაღწია ამ მითქმა-მოთქმამ?" — თავზარი დაეცა თარსხანს, მუხლებში სისუსტე იგრძნო და რომ არ დაცემულიყო, იქვე, ჯორკოზე ჩამოჯდა.

„ოჰ, მე ხომ ვიცი მაგ შინაბერას ამბავი..." თარსხანმა გაიხსენა ის დღე, როცა სტეპანი პირველად შემოვიდა მის სახლში, როგორი იყო ის, ვიდრე საკუთარი ხელით თმა-წვერს გაპარსავდა. მწარედ გაეღიმა, როცა გაახსენდა, თუ როგორ ემასხრებოდა ძაბას, სტეპანს უნდა გაგაყოლო ცოლადო. — „ჰმ, საბ-

ოლოოდ კი რა გამოვიდა... რატომ მიწა არ გასკდება და თან არ ჩამიტანს! — შუბლზე ხელი შემოირტყა გამწარებით, — ახია ჩემზე!...“

შადიამ თვალი ველარ გაუსწორა ქმარს, რომელიც ჯორკოზე იჯდა გახევებული, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო და ენაზე იკბინა, რა ეშმაკი შემიჩნდა, ასე პირდაპირ როგორ მივახალე კაცს ყველაფერი და გული ვატკინეო. „რა ვქნა, წამომცდა, მომკლას თუ უნდა! — ერთი პირობა გაიფიქრა — მივალ, ჩამოვეკიდები კისერზე, დავაწყნარებო, მაგრამ თითქოს ფეხებზე წისქვილის დოლაბები დაჰკიდესო, ნაბიჯიც ვერ გადადგა.

„თანდათან უნდა შემეპარებინა, მოვფერებოდი და მერეღა მეთქვა, გზაზე დამდგარ კაცს გული როგორ გავუხეთქე! — იტანჯებოდა საწყალი ქალი. მიწამ კი მიყოს პირი ძაბასთან ერთად!“ — სწყევლიდა საკუთარ თავს შადია და გული შეეკუმშა, როცა დაინახა, როგორ გაიხურა თარსხანმა ჭიშკარი და წავიდა.

ეს ბოლო დარტყმა რომ არა, თარსხანი აპირებდა შადიასთვის ეთქვა — თუ ბიძაჩემი ცოცხლებში აღარ წერია, სტეპანიც თან წავიყვანოთო. გადაწყვეტილი ჰქონდათ, როცა უკან დაბრუნდებოდნენ კარგად გაერკვიათ, ვინ იყო ამ ჭორების სულისჩამდგმელი და გამავრცელებელი და ეცადათ, როგორმე ჩაეხშოთ ეს მითქმა-მოთქმა და თუ, ბოლოს და ბოლოს, გამართლდებოდა ანდაზა: „უცეცხლოდ კვამლი არ არსებობსო“, მაშინ გამოსავალი ერთი იყო — სტეპანი უკან უნდა წასულიყო იმ გზით, რომელი გზითაც მოვიდა. ხალხს უთქვამს — მგელი რაც არ უნდა გააძღო, თვალი მაინც ტყისკენ უჭირავსო. რაც შეეხება შურეთს, მისი ბედი მაშინ გადაწყდა, როდესაც სასრანის დაღუპვის ცნობა მოვიდა: თუ ის ღირსეულად დაიჭერდა თავს, ბავშვებსაც წესით და რიგით აღზრდიდა, მაშინ მას შეეძლო სრულუფლებიან წევრად ჩაეთვალა თავი, მაგრამ თუ ეშმაკი შეაცდენდა და მისი ძმის ხსოვნას შელახავდა, შურეთი

ვალდებული იყო შვილები აკუაძბებისთვის დაეტოვებინა, თვითონ კი დედამისთან დაბრუნებულიყო, მერე კი თუნდაც თავში ქვა ეხალა. თარსხანი თავისი გვარის ღირსებას არავის შეალახვინებდა. ეს ასე იქნებოდა და ვერც ვერავინ გაბედავდა მათ საქმეში ჩარევას, რადგან ოჯახის შერცხვენას არავის აპატიებდა.

თარსხანმა კარგად იცოდა, რომ ჩექმის ლანჩა უფრო ადრე გაცვდებოდა, ვიდრე ძაბა ლაკაშია ენას დაადუმებდა. როცა ის ბიძამისის სახლში შევიდა, თავიდან ვერავინ შეამჩნია, რა ცეცხლი ენთო მას გულში, მაგრამ ქალის თვალს რა გამოეპარება! ცოტა ხნის შემდეგ იქ შეკრებილმა ქალებმა შენიშნეს, რომ მას მხოლოდ ბიძამისის ავადმყოფობა არ უდაღავდა გულს და მათ ძვირფას ბიძაშვილს სხვა სადარდებელიც გასჩენოდა. თარსხანიც მიხვდა, რომ სატკივარს ვეღარ დამალავდა, ქალებმა მაინც მოახერხეს, ჩაეხედათ მის სულში... გადაწყვიტა, როგორმე მორეოდა თავს და ვითომც აქ არაფერრიო, წამდაუწუმ მიუახლოვდებოდა ხოლმე ავადმყოფი ბიძის საწოლს, ჩამოუჯდებოდა სასთუმალთან, საბანს უსწორებდა და ცდილობდა გამოლაპარაკებოდა მომაკვდავს, რომელიც პასუხად ტუჩებს აცმაცუნებდა მხოლოდ. „ადამიანი მზად უნდა იყოს ყველაფრისთვის", — ფიქრობდა თარსხანი და ყველანაირად ცდილობდა სიმშვიდე შეენარჩუნებინა. მეზობლები, რომლებსაც ნაუცბათევად გამოეტირათ მომაკვდავი, ეზოში ფუსფუსებდნენ, მომსვლელებისათვის სუფრას შლიდნენ და, რადგანაც ავადმყოფის გადარჩენის იმედი ყველას გადაწურული ჰქონდა, ქელეხის სამზადისს შედგომოდნენ. თარსხანმა, როგორც ამ ოჯახის უახლოესმა ნათესავმა, ეზო ძირისძირობამდე შემოიარა, ყველაფერს საგულდაგულოდ ათვალიერებდა, ხან მოთუხთუხე დიდ ქვაბებთან მიდიოდა, ხან ფეხზე მოტრიალე ქალებს აძლევდა მითითებებს. ვიდრე საქმით იყო გართული, თავისი საწუხარი გადაავიწყდა, მაგრამ როგორც კი ცოტა ხანს მარტო დარჩა, კვლავ წაეკიდა გულზე.

„მე ერთი რამით ვარ მდიდარი და ის მაძლებინებს, — როგორც კაცს რული მოერევა ხოლმე, ისე მოეძალა თარსხანს ფიქრები. — ეს არის ის, რაც ჩემია, რაზედაც მე მაქვს უფლება, რაც განგებამ მე მარგუნა წილად. ძაღლმაც კი იცის იმ ძვლის ფასი, მას რომ მიუგდებენ და, რაც არ უნდა დაბერდეს და დაძაბუნდეს, სხვა ძაღლს აღარ დაუთმობს. ფაფახზე რომ ცეცხლი წამეკიდოს, ჩემი ნაბდით უნდა ჩავაქრო. ვინ დავადანაშაულო იმ უბედურებაში, მე რომ მჭირს? ვის შევდგე წიხლით, ვინ მოვკლა?... მამაზეციერი რომ არ შემოგვწყრომოდა და ჩვენთვის სასრანი არ წაერთმია, ეს ენაჭარტალა შინაბერა ძაბა კრინტსაც ვერ დასძრავდა. იმ ტოტს, რომელზედაც მე ვიჯექი, ვერავინ შეარხევდა, მე თვითონ რომ არ მომეჭრა ის! ვინ მაძალებდა — შინ შეუშვი, იძმე და დაასახლე ის უპოვარიო? ხომ შემეძლო დროზე მეთქვა — მოგიარეთ, ფეხზე დაგაყენეთ, ახლა კი წადი, საიდანაც მოხვედიო! მაგრამ არა, არ ვქენი, მოვეფერე, მოვუარე, როგორც დავარდნილ პირუტყვს, გვერდით მოვიყენე, ძმობა ვუთხარი, მაგრამ ესეც არ ვიკმარე და გაღვივებულ ნაპერწკალს წყლის მაგივრად ნავთი მივასხი ზედ!... არც ამ ქალმა დამინდო და თავისი ნაბანი წყალი გადამასხა თავზე...“ თარსხანს თვალწინ წარმოუდგა მეუღლე, ძაბა, ჩიპსა, კუნა, სტეპანი, მაგრამ სისხლი ეცა თავში, როცა გაახსენდა თავისი რძალი, რომელსაც პატივს სცემდა და ძმაზე ნაკლებ არ უყვარდა.

„რაღაც უბედურებაა მაგის თავს!“

„რატომ არ მოვკვდები!“

„მაგისთანა ბედნიერი კაცი არ მეგონა ამქვეყნად!“

„ერთ ადგილზე ვერ ჩერდება, ისე წამოხტება ხოლმე, თითქოს მდუღარე გადაასხესო!“

„ეტყობა აქ ქალის ხელი ურევია, თორემ ეს არ ჰგავს კაცის საქციელს!“

ბიძაშვილები და რძლები, ქალიშვილები და მეზობლები

ჩუჩუნ-ტუტუნით ეუბნებოდნენ ერთმანეთს ახალ ამბავს და თვალით თარსხანზე ანიშნებდნენ..

და მაინც უამრავი საქმე, რომელიც თარსხანს, როგორც ოჯახის ახლობელს აეღო თავზე, არ აძლევდა მას იმის დროს, რომ გამუდმებით თავს დატეხილ უსიამოვნებაზე ეფიქრა, თორემ გაგიჟებას აღარაფერი უკლდა. ერთი პირობა მოახერხა კიდეც დაეოკებინა გულში ჩაგუბებული ბოღმა და სცადა თავი დაემშვიდებინა. „რა მოხდა ბოლოს და ბოლოს, ეტყობა, მეც მეტისმეტად ვაზვიადებ, ენაგრძელი ქალის აყოლა ხეირს არ მომცემს. ქარის მოტანილ ამბავს ქარივე წაიღებს უკან. არა მგონია ჩემი რძალი ისეთი ნამუსგარეცხილი იყოს, რომ საქვეყნოდ მომჭრას თავი და არც სტეპანი ჩანს ისეთი კაცი, რომ ყველაფერი ასე ერთბაშად წყალში გადამიყაროს". თარსხანს ცოტა მოეშვა გულზე, მხრებშიც გაიმართა და როცა ეზოში შემოსული შურეთი დაინახა, რომელმაც თვალი აარიდა მაზლს, შეებრალა კიდეც ეს საბრალო ქალი. მას ხომ კარგის მეტი არაფერი ახსოვდა რძლისაგან და თარსხანს ერთი წუთით ისიც კი მოუვიდა თავში აზრად, სტეპანს დავუძახებ და გვერდით მოვისვამ მტრის გულისგასახეთქადო.

დიდი პატივით დამარხეს თარსხანის ბიძა. დასაფლავებაზე შურეთი არ მოსულა და თარსხანი ისევ გაცეცხლდა. „მე ჩემი სიცოცხლის ბოლო დღეებზე უფრო მეტს ვფიქრობდი, ვიდრე სიცოცხლეზე, — ფიქრობდა თარსხანი და არც კი ესმოდა, რას ეუბნებოდნენ სამძიმარზე მოსული ნათესავ-მეგობრები. — სიკვდილზე მეტად ამქვეყნად იმისი მეშინოდა, ისეთ დღეში არ ჩავვარდნილიყავი, ხალხისთვის თვალი ვეღარ გამესწორებინა და სირცხვილნაჭამს თავდახრილს არ მევლო ცხოვრების დარჩენილ გზაზე. მეგონა, რომ მაგრად მეჭირა ცხენის სადავეები, რომელსაც მე მივაჭენებდი, დეზებიც რკინისა მეკეთა ჩექმაზე, მაგრამ ახლა ზოგიერთებს სურთ მომაჩვენონ, რომ ლაგამის მაგივრად ხელში დამპალი თოკი მიკავია, დეზებიც დაჟანგულია

და ცხენის მაგივრად ვირზე ვარ ამხედრებული". როცა ასეთ ფიქრებს გაცოფებამდე მიჰყავდა თარსხანი, ის მაშინვე ცოლს დაუწყებდა ხოლმე თვალებით ძებნას, რომელიც ბიძამისის გარდაცვალების შემდეგ გვერდიდან არ სცილდებოდა ქმარს. ამ დროს თარსხანს ნაკლებად აფიქრებდა, რას იტყოდა ბალხი მის ასეთ საქციელზე. იგი თვალებით ჭამდა ცოლს, რომელსაც უჭირდა ქმრისთვის თვალის გასწორება, კანკალი აიტანდა ხოლმე და შიშისაგან ფერფური მისდიოდა. „მომკალი თუ გინდა! — ამბობდა გულში შადია, — გინდა თოკით ჩამომკიდე, გინდა თოფი მესროლე, მე შენი ვარ!... მაგრამ იცოდე, შურეთი ჩვენ აღარ გვეკუთვნის, სტეპანი კი უცხოა ჩვენთვის... განა არ ვუთხარი, წამოდიო, ვუთხარი, მაგრამ არ გამომყვა — ჩემი ქმარი რომ ცოცხალი ყოფილიყო, მეც მასთან ერთად იქ ვიდგებოდი დათალხულიო... გუშინ ხომ ვიყავი, ხვალაც მოვალო, — ასე მითხრა".

„და შენ მარტონი დატოვე ისინი?!"

„ჰო, ერთად დავტოვე ორივე... შენი ძმის სიკვდილმა ხელფეხი გაუხსნა მას".

„ერთი ის მიბრძანე, მე როგორ უნდა მოვიქცე ახლა?"

„გუშინ მთელი დღე, სანამ ის ბოსტანს ბარავდა, ქალბატონი გვერდიდან არ მოშორებია, ხან წყალს მოაცუხცუხებდა წყაროდან, ხან კალთის ქვეშ გამოკრული რაღაც სასუსნავი მოჰქონდა მისთვის მალულად და სანამ ის მადიანად ილუკმებოდა, ეგ ნამუსგარეცხილი იჯდა და თვალს არ აშორებდა".

„შენ რაღას აკეთებდი, იდექი სარგადაყლაპულივით და ხმა ვერ ამოიღე, არა? განა არ იცი, რომ ჩემს შერცხვენას არავის ვაპატიებ და არც შენ დაგადგება კარგი დღე?"

„ვუთხარი, როგორ არ ვუთხარი; შურეთ, ძვირფასო, რას სჩადიხარ? ნუთუ არ გესმის, რას ლაპარაკობს ხალხი? ღმერთი გიშველის, ნუ გაახარებ მტერს და ნუ გამოგვაჭენებ დუნიაზე! იცი რა მიპასუხა? თქვენ იმაში მადანაშაულებთ, რომ ცოცხ-

ალი ვარ და მზეს ვუყურებ კიდევო. მერე თავი ისე დაიჭირა, თითქოს გული ვარამით აქვს სავსე და დაიწყო ტირილი, აქაოდა რა მოხდა, თუ კაცი დამეხმარა და მე მადლობის ნიშნად წყალი და ლუკმა-პური მივაწოდეო".

დუმს თარსხანი, ხმას ველარ იღებს, დუმს შადია, დგას მხრეგჩამოყრილი და ქმარს თვალს ვერ უსწორებს...

ერთი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც თარსხანმა მიწას მიაბარა ბიძა. კვირის თავზე მოთოვა, სამი დღე ბარაქიანად ბარდნიდა, ციდან მხიარული ფარფატით ცვიოდა უამრავი თეთრი ფანტელი და დედამიწას ქათქათა საბანში ახვევდა. თოვლის მოსვლას ყოველთვის სიხარულით ხვდებიან ადამიანები, მაგრამ ბავშვების სიხარულს ამ დროს მაინც არაფერი შეედრება. ახლაც ყველაზე მეტად შიბგამ გაიხარა. მან ჯერ მთის მწვერვალზე შენიშნა თოვლის თეთრი ღრუბელი, რომელიც ნელნელა ქვევით იწევდა. შიბგას გული სიხარულით აუძგერდა და ძალიან მოუნდა ეს სიხარული სტეპანისთვის გაეზიარებინა, რომელიც ბუხრის წინ იჯდა თავჩაქინდრული, მაგრამ მერე თავი შეიკავა, თოვლმა კი ჯერ ტყეები ჩამოათეთრა, მერე უაზაბა გახვია თეთრ საბურველში და სულ მალე ეზოში მხიარული ყიჟინით გავარდნილ შიბგას თავზე დატრიალდა დიდი თეთრი ფანტელების კორიანტელი. გუდოუელებს უხაროდათ თოვლის მოსვლა, მაგრამ რომ გეკითხათ მათთვის, მაინც რა ნახეთ კარგი ამ თოვლშიო, ხეირიან პასუხს ვერავინ გაგცემდათ. არც თარსხანი გახლდათ გამონაკლისი. მით უმეტეს, რომ შეშა ბლომად ჰქონდა მომარაგებული, საჭმელ-სასმელი თავსაყრელად ჰქონდა, მარანიც სავსე ეგულებოდა სანოვაგით. როგორც კი პირველი თოვლი მოვიდოდა ხოლმე, თარსხანი დაზეთავდა თავის ორლულიან თოფს, მხარზე გადაიკიდებდა და გარეთ გამოდიოდა. სოფელში მას კარგ მონადირედ იცნობდნენ. სანადიროდ მიმავალ თარსხანს გზად შემხვედრი სოფლელები იღბლიან ნადირობას უსურვებდნენ ხოლმე. თუ ნადირობი-

დან უკან მობრუნებული თარსხანი მეზობელთან შეივლიდა და პატარებს საჩუქრად მოკლულ შაშვს გადასცემდა, ოჯახის უფროსი ამაყად აცხადებდა, რომ მათ ეწვია თარსხან აკუაძბა და იწყებოდა სამზადისი, რომ ღირსეულად დახვედროდნენ საპატიო სტუმარს. ქათამს ან ინდაურს ხომ აუცილებლად დაკლავდნენ, მაგრამ თუ მასპინძელი გულუხვი იყო, შეიძლება რომელიმე ჩლიქოსანიც დაეკლა და მწვადიც აეშიშხინებინა.

ამჯერად თარსხანს დიდად არ გახარებია თოვლის მოსვლა. შეიძლება იმიტომ, რომ წელს სხვა წლებისაგან განსხვავებით, თოვლი ნელ-ნელა შემოიპარა სოფელში, მერე კი ერთ ღამეში სულ გადაათეთრა ყველაფერი — მინდორი, ხევი, ბაღჩა-ბაღი, ოდა-სახლები. სამი დღე და ღამე თოვდა გადაუღებლად, მერე კი ერთბაშად შეწყდა თოვა და გამოიდარა. ზოგიერთები წუწუნებდნენ, რომ ამინდი ნაადრევად გაფუჭდა, ვერ მოასწრეს საზამთროდ თადარიგის დაჭერა, მეორენი კი იმას სწუხდნენ, რომ თოვა შეწყდა და თითქოს ამ უკანასკნელთ ცამ უსმინაო, ისევ დატრიალდა ქარბორბალა, ღრუბლები ლამის მიწაზე განერთხნენ და კვლავ დაიწყო ბარდნა.

თარსხანი სამზარეულოში იჯდა და ავი ეჭვები უღრღნიდა გულს. იგი მარტოსულად გრძნობდა თავს ამ უსაზღვრო სამყაროში. ბოლოს ვეღარ მოითმინა, წამოდგა, სამზარეულოდან გამოვიდა და სასტუმრო ოთახის კარი გამოაღო. პირველად, როგორც ყოველთვის, კედელზე ჩამოკიდებული ძმის სურათი მოხვდა თვალში. სასრანის მხიარულ სახეზე ახლა უსაშველო დარდი და სევდა აღბეჭდილიყო, თითქოს უნდოდა ეთქვა უფროსი ძმისთვის, რომ ამქვეყნად უიმედობა და უნდობლობა იყო გამეფებული. ალბათ ასეთი სახე ჰქონდა მას, როცა ტყვიამ მოუსწრაფა სიცოცხლე.

„ნუ სწუხარ, ძმაო!“ — ამოიგმინა თარსხანმა, მერე ერთბაშად შემოტრიალდა და აივანზე გავიდა. — „ტყვიამ მოგიღო ბოლო და ტყვიითვე ჩამოგრეცხ ჩირქს, შენ რომ მოგცხეს!...

ჯერ ამას მოვკლავ, დავრდომილი რომ შევიფარე და ფეხზე დავაყენე, კაცად ვაქციე, მერე იმას მივაყოლებ, შენ რომ ნამუსი ვერ შეგინახა! მერე კი აღარც მე მინდა თავი ცოცხალი!" — ამ სიტყვებით მან მტკიცე ნაბიჯებით ჩაიარა კიბეზე და იქით წავიდა, საიდანაც სტეპანი უნდა გამოჩენილიყო.

„ნუ იჩქარებ, თარსხან!" — თითქოს თოვლის ხმა ჩაესმა თარსხანს, — „ჯერ შენ ყველაფერი არ იცი დანამდვილებით!"

„ნუ ჩქარობ, თარსხან!"

„ნუ მოჰკიდებ ხელს იმას, რისი გაკეთებაც შენ არ ძალგიძს!"

„დედამიწა ისედაც დამძიმებულია ცოდვებით, შენ ნუღარ დაუმატებ!"

„რას ვერ შევძლებ? რომელი ცოდვით მაშინებ?" ესმოდა სხვადასხვა მხრიდან ხმები, მაგრამ ამ აზრს ჩაეჭიდა თარსხანი და, თუმცა არ უნდოდა სხვა ხმებისთვის მიექცია ყურადღება, ისინი მაინც არ ასვენებდნენ მას.

თარსხანი ის კაცი იყო, რომელიც ქარსაც კი არ აპატიებდა, მისთვის თუნდაც ჩოხის კალთა რომ აეფრიალებინა. მან გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, დაწვრილებით შეეტყო ყველაფერი, რაც ამ მითქმა-მოთქმასთან იყო დაკავშირებული, მოეძებნა დამნაშავე და ხანჯალი გაეყარა მისთვის გულში. მაგრამ თარსხანმა ისიც კარგად იცოდა, რომ გულისხმას ადვილად არ უნდა აყოლოდა, ჯერ კარგად უნდა დაფიქრებულიყო და, როდესაც უკვე ყველაფერი აწონ-დაწონა და საქმის ბოლომდე მიყვანა გადაწყვიტა, სწორედ ამ დროს შემოუთვალეს ბიძის ავადმყოფობის ამბავი.

ერთი კვირა გავიდა, სანამ ბიძამისი სიცოცხლეს ეთხოვებოდა. თარსხანი განუწყვეტლივ თავს ედგა ავადმყოფს, როცა კვირის თავზე ბიძა გარდაიცვალა, ახლა დასაფლავების სამზადისს უნდა შედგომოდა და ისე მიილია ორი კვირა, რომ თარსხანმა ვეღარ მიხედა თავის სატკივარს.

„ვისი ან რისი უნდა მეშინოდეს? ან რატომ უნდა ვაპატიო, თითქოს არაფერი მომხდარიყოს? — ფიქრობდა დასაფლავებიდან შინ მომავალი თარსხანი, — კაცი, რომელიც უკვე ადამიანს აღარ ჰგავდა, ცხოვრებას დავუბრუნე, ფეხზე დავაყენე, ნუთუ ეს კაცი ბედავს საქვეყნოდ გამოაჭენოს ჩემი ოჯახი? ჯერ მე მყარად ვდგავარ ფეხზე, ოჯახის სადავეებიც მტკიცედ მიჭირავს ხელში და ვიცი კიდეც, როგორ დავიცვა მისი ღირსება. მე მაგას ვუჩვენებ... მივაყენებ კედელთან კუთხეში, ჩავხედავ თვალებში, რომელშიც მე გავაღვივე სიცოცხლის ნაპერწკალი... აბა, ერთი, თუ ბიჭია ნუ ამოშაქრავს ყველაფერს! ვათქმევინებ, ყველაფერს ვათქმევინებ და თუ აღმოჩნდება, რომ ყველაფერში ის არის დამნაშავე, მე ვიცი მერე მაგისი...“

თარსხანი სახლში რომ დაბრუნდა, დაინახა სტეპანი, რომელიც მის ბაღჩას ბარავდა.

„ჰმ, ერთი ამას დამიხედეთ! — ბოღმა მოაწვა თარსხანს, — ჯერ სოფელი აალაპარაკა, ენაჭარტალა ქალების ყბაში ჩამაგდო და ახლა ცდილობს გული მომიგოს!“

სტეპანმაც შენიშნა თარსხანი. ბარი ღრმად ჩაასო მიწაში, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და მის შესახვედრად გაემართა. როცა თარსხანმა სტეპანი დაინახა, გადაწყვიტა გაშორებოდა, ვაითუ, თავი ვერ შევიკავო და ცხელ გულზე კაცის ცოდვა დავიდოო, ორიოდე ნაბიჯიც გადადგა სტეპანისაკენ, მაგრამ მეტი ველარ შეძლო და ადგილზე გაიყინა.

— ვიზიარებ შენს მწუხარებას! — თქვა სტეპანმა და ფართო ხელისგული მკერდზე მიიდო, — მე მითხრეს, რომ ჩემი იქ ყოფნა აუცილებელი არ იყო და აღარ მოვედი...

„უყურე ერთი ამას, ისე მომისამძიმრა, თითქოს ძირძველი აფხაზი ყოფილიყოს, თუმცა არც ერთხელ არ უნახავს, როგორ დასტირიან და მარხავენ ჩვენში მიცვალებულს. მაინც ვინ არის ეს კაცი?“

— შენი იქ წასვლა აუცილებელი არ არისო, ასე მითხრა შადიამ და შურეთმაც კვერი დაუკრა.

შურეთის ხსენებაზე თარსხანს სისხლი თავში აუვარდა და კინაღამ გაამჟღავნა თავისი ზრახვები, უკვე რომ კარგად მოეფიქრებინა, მაგრამ ჯერჯერობით გულში ინახავდა და შესაფერის დროს უცდიდა.

სტეპანმა კარგად ვერ გაიგო, რა ჩაიბურტყუნა პასუხად მისმა ნაძმობმა. იქნებ ის თქვა, რომ მას დიდი უბედურება დაატყდა თავს და ჯერ გონზე ვერ მოსულა. თუ რაღაც გამოსცრა მუქარის მსგავსი? დაბნეულმა სტეპანმა მხრები აიჩეჩა და ისევ ბაღჩისაკენ წავიდა.

თქვენ გახსოვთ ალბათ, როგორ ელაპარაკებოდა შურეთი თავის ორეულს სარკეში. ერთი აფრთხილებდა მას, რომ დაეოკებინა ვნება, არ აჰყოლოდა გრძნობებს, არ ეღალატა შვილებისათვის და არ შეელახა გარდაცვლილი მეუღლის ღირსება, მეორე კი აქეზებდა გათავისუფლებულიყო ამ შავბნელი ფიქრებისაგან, მინდობოდა გულისხმას და ებრძოლა საკუთარი ბედნიერებისათვის. ასე დაემართა ახლა თარსხანსაც. იგი გაორებული იყო. „რაღას უცდი და ვიღას უცდი? შენს ფაცერში მოხვედრილი თევზი შენი თევზია! გინდა უკან გადაისვრი წყალში, გინდა კიდევ ამოიყვან ფაცერიდან და წაიღებ სახლში!...“ — ჩასძახოდა თარსხანს ერთი ხმა. „ნუ იჩქარებ, თარსხან!... დედამიწა ისედაც დამძიმებულია ამდენი ცოდვით, კაცთა მოდგმა რომ სჩადის, შენ ნუღარ დაუმატებ შენსას. იმას, რის გამოც შენ სირცხვილნაჭამი დადიხარ, ხალხი მალე დაივიწყებს, ჩადენილ ცოდვას კი ღმერთი არ მოგიტევებს!“ — აფრთხილებდა მეორე ხმა.

თარსხანი ხანდახან ახერხებდა მოეთოკა ნერვები, მაშინ გულიც მოულბებოდა ხოლმე, მაგრამ მეორე წუთს ისევ ახრჩობდა ბოღმა და მზად იყო კაცი მოეკლა...

ბიძის სიკვდილით გამწარებულს ასი თვალი და ასი ყური გამოესხა, რომ ბოლომდე გაეგო, რა ხდებოდა მის ირგვლივ... გული სიძულვილით ჰქონდა სავსე. ამ დროს სტეპანი ცდილობ-

და რაიმეთი ესიამოვნებინა და დარდი გაექარვებინა თავისი კეთილისმყოფლისთვის. ძაძებში გამოხვეული შურეთი ფეხის წვერებზე დადიოდა და შეშინებული თვალებში შესცინებდა მაზლს, შადიას კი პირში წყალი ჩაეგუბებინა და არაფერს ამბობდა, თუმცა ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ მან კიდევ ბევრი რამ იცოდა, მაგრამ ქმრის ხათრით ხმას არ იღებდა.

თარსხანს არ უყვარდა, როცა ირგვლივ სამარისებრი სიჩუმე ისადგურებდა, განსაკუთრებით უკუნ ღამეში, როცა ხმელი ფოთლების შარიშურიც აღარ ისმოდა. ასეთ დროს მას საშინელი სიზმრები ტანჯავდა: მათრახივით მოქნილი გველები, მიცვალებულები და ვარცლი, რომელშიც მათ აბანავებდნენ, ვიდრე მიწას მიაბარებდნენ. ამ საღამოსაც, როცა სამარისებრი სიჩუმე გულზე მაჯლაჯუნასავით დააწვა, იგი საწოლზე წამოჯდა, საბანი გადაიძრო და ფეხები იატაკზე დაფენილ დათვის ტყავზე დააწყო. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტყავი დიდი ხნის წინათ გააძრეს მის პატრონს, მას კიდევ შერჩენოდა სითბო, თუმცა თარსხანის გახევებული ფეხები თითქმის ვეღარაფერს გრძნობდნენ. თარსხანი მოტრიალდა და ცოლს გადახედა. შადიას თავისი ნაბადივით ხშირი, შავი თმა მკერდზე ეყარა, ხელები ქმრის საწოლისკენ გამოეწვდინა და მშვიდად სუნთქავდა. თარსხანს წამით ძარღვები ვნებიანად შეუტოკდა, მაგრამ ეს უეცარი აღტკინება მაშინვე ჩაქრა და მან უკვე ბრაზიანად ჩაილაპარაკა: „წყალმა შთანთქა თქვენი ჯიში და მოდგმა, რამდენი ვაჟკაცი ჩაწვა უდროოდ მიწაში თქვენი გულისთვის, რამდენი ახლაც ვერ ისვენებს საფლავში ღირსებაშელახული, ვის ხსოვნასაც აღარ სცემენ პატივს...“ — თარსხანი ერთხანს ასე, გულზე დარდმოწოლილი იჯდა საწოლზე, მერე წამოდგა და ჩაცმას შეუდგა.

მთელი კვირა განუწყვეტლივ ბარდნიდა, ხანდახან ქარიც დაუბერავდა, ხევხუვებში თოვლის კორიანტელს დაატრიალებდა და ნამქერს ხან სად მიაყრიდა, ხან — სად. ბუნება მთლიანად თეთრი საბურველით შემოსილიყო.

პირველ თოვლზე მთვარის მოყვითალო-მოთეთრო სხივები რიალებდა. ასეთ ამინდში ყოველთვის ციოდა, რაც მაშინვე იგრძნო თარსხანმა. ტანში ცივად გააჟრჟოლა, თავისი თბილი ქურქის საყელო აიწია და კისერი შიგ ჩამალა. ეს ქურქი თარსხანს არ უყვარდა და ხალხში იმით არასოდეს არ გამოვიდოდა. სიჩუმემ, მახრჩობელასავით რომ უკრავდა სუნთქვას ლოგინში და გულისმომწყვლელი სევდა, ძილს რომ უფრთხობდა, თარსხანი საწოლიდან წამოახტუნა და ამ ყიამათში ეზოში გამოიყვანა. იგი თავით მიეყრდნო ხეს, იდგა ასე, გაყრუებული და გაჰყურებდა ეზოს, თოვლს რომ გადაეთეთრებინა ერთიანად. მერე ნელ-ნელა ღობის გადაღმა უწვდინა თვალი, სადაც დიდი ზვინივით მოჩანდა ძმის სახლი და თვალში ცრემლი მოერია. ერთხანს იდგა ხესთან გულდამძიმებული, მერე სტეპანის ნაკვეთისაკენ გაიხედა, სადაც დათოვლილი, უზარმაზარი მურყნის ხეების და აკაციის სარების მეტი არაფერი მოჩანდა. ამ ხეებიდან მის წინაპრებს ყოველ შემოდგომაზე გიდლებით დაშაქრული კაჭიჭი ჩამოჰქონდათ და ქვევრებში წურავდნენ. თარსხანს რაღაცნაირი, შესაბრალისი ღიმილი აღბეჭდოდა სახეზე და თავი ჩაექინდრა. „სახლში შევალ და დავწვები", — თქვა გუნებაში, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა, მაინც არ დამეძინება და ტყუილად გავიტანჯავ თავსო. მერე სამზარეულოს კარი შეაღო და იქვე ტახტზე ჩამოჯდა. წაბლის ხისგან შეკრული ტახტიც გაყინული მოეჩვენა, სიცივე ტანში უარესად შეუჯდა და თარსხანიც უფრო მოიბუზა, კისერი კი უფრო ღრმად ჩამალა საყელოში. თარსხანმა სასტუმრო ოთახისაკენ გაიხედა. უეცრად მოეჩვენა, რომ ეზოში რაღაც ჩრდილი გაკრთა. თარსხანმა ყურები ცქვიტა, ჯერ კისერი დაიგრძელა, მერე წამოდგა და ფანჯარაში გაიხედა. მან მაშინვე დაინახა სტეპანი, რომელიც ეტყობა აკუასკას უკანა კიბიდან ჩავიდა ეზოში. თეთრად გადაპენტილი მიდამო ხელისგულივით მოჩანდა მთვარის შუქზე, მაგრამ თარსხანს, თითქოს თვალებში ბურუსი ჩაუდგაო, წამით თვალთ

დაუბნელდა. როგორც კი კვლავ დაეწმინდა თვალები, მან კვლავ დაინახა სტეპანი, რომელიც ახალ თოვლზე მიაბიჯებდა და ეზო შუაგულამდე გადაჭრა. სტეპანს მხარზე თავისი ზურგჩანთა ეკიდა, რომელიც სავსე იყო ვერცხლის ნივთებით, ხელში კი ისევ ის ბზის ალაბაშა ეჭირა. შურეთმა სიტყვა მისცა სტეპანს, რომ ამ ღამით მასთან ერთად გაიქცეოდა. სხვა გზა აღარ იყო, თუ ასე არ მოიქცეოდნენ, მაშინ სამუდამოდ ჩაქრებოდნენ ის მთვარე და ვარსკვლავები, რომელთაც მათ გარდა ვერავინ ხედავდა ამქვეყნად...

„ეი, შეჩერდი, გესმის!" — უნდოდა დაეყვირა თარსხანს თავის მჭექარე ხმით და თავზარი დაეცა სტეპანისთვის, მაგრამ თვითონაც ვერ გაიგო რატომ, ხმა ველარ ამოიღო და სასოწარკვეთილი მიეყრდნო აივნის სვეტს. სტეპანს არ შეუმჩნევია თარსხანი და სიმართლე რომ გითხრათ, ახლა მისთვის ზურგიდან ზარბაზანიც რომ დაგემიზნებინათ, შეიძლება ისიც ვერ დაენახა. იგი მტკიცე ნაბიჯით მიარღვევდა თოვლს და ასე უახლოვდებოდა ღობეს, რომელიც თარსხანისა და შურეთის სახლებს ერთმანეთისაგან მიჯნავდა.

არა, თარსხანს თვალი არ ატყუებდა. შურეთის სახლის ფანჯარაში წამით იელვა შუქმა და ისევ ჩაქრა. სტეპანი, რომელიც აქამდე რწევა-რწევით მიაბიჯებდა, ერთი ნახტომით გადაევლო ღობეს და შურეთის ეზოში აღმოჩნდა. თარსხანმა ძლივს შეასწრო მის ჩრდილს თვალი.

„ესეც შენ, თარსხან აკუაძბა! — მიმართა საკუთარ თავს თარსხანმა, როცა მარტო პირისპირ დარჩა ღამესთან, მოყვითალო-მოთეთრო შუქით რომ იყო გაჯერებული. — შენ არ იყავი, რომ გაიძახოდი, რასაც შენი თვალით არ ნახავ და მოისმენ, არ დაიჯეროო?!... შენ თუ ნამდვილი მამაკაცი ხარ, რაღას უყურებ, იმოქმედე!..." — აბრიალდა რისხვის ცეცხლი მის გულში, ერთი მძლავრად შეტოკდა, როგორც აჯილღა ცხენი გაწყვეტს ხოლმე ლაგამს, ორი ნახტომით ოთახში გაჩნდა და კედლიდან

ძველი თოფი ჩამოხსნა. ხმაურზე შადიას გამოეღვიძა. საწყალ ქალს ელდა ეცა, ქმარი რომ საწოლში ვერ ნახა, შეშინებული გარეთ გამოიჭრა და დაინახა ფერწასული თარსხანი, რომელსაც ხელში თოფი ეჭირა და თვალები რისხვით უელავდა. შადია მიხვდა, რომ შეიძლებოდა უბედურება დატრიალებულიყო და ქმარს წინ გადაუდგა.

— არ დაგვღუპო! — შეევედრა ქმარს. — თავში ქვა უხლიათ, დაანებე თავი, რაც უნდათ, ის ქნან!

— გზიდან ჩამომეცალე! — არაადამიანური ხმით დაიღრიალა თარსხანმა, — ყველას დაგხოცავთ! — შადია მივარდა გამეხებულ ქმარს და ისე ჩააფრინდა თოფს, როგორც გამწარებული ძუ დათვი, რომელიც გრძნობს, რომ შეიძლება შვილები დაუხოცონ.

— ჩამომეცალე-მეთქი!

— ვაი, ჩემს თავს, ვის ანაბარა ტოვებ ბავშვებს?!

შიბგა კი ამ დროს საწოლზე წამომჯდარიყო და სევდიანად ფიქრობდა ცაზე, რომელიც სიბნელემ შთანთქა, ვარსკვლავებზე, ცას რომ მოსწყდა და სადღაც ჩაიკარგა, მშობლებზე, რომლებსაც არ ეძინათ ამ საშინელ ღამეს. მერე ბიჭს გარედან ხმამაღალი ლაპარაკი შემოესმა, ფანჯარაში გაიხედა და დაინახა, რომ მეზობლების ოდებში ზედიზედ ინთებოდა შუქი. ბავშვი მიხვდა, რომ კარგი არაფერი ტრიალებდა მათ თავს, ფაცხაფუცხით ჩაიცვა ტანსაცმელი და აივანზე გავარდა.

— ნუ დაგვღუპავ, გონს მოდი, ადამიანო!

— მომშორდი, თორემ თქვენც ზედ მიგაყოლებთ!... ჩემს შერცხვენას არავის შევარჩენ! — თარსხანმა მძლავრად აიქნია თოფი, შადია უკან გადავარდა და ორი მეტრის მოშორებით წელამდე თოვლში ჩაემხო. თარსხანს არც კი გაუხედია ცოლისკენ, იარაღი მაგრად ჩაბღუჯა ხელში და სტეპანის ნაკვალევს გაჰყვა.

— მიშველეთ ხალხო, ნუთუ ვერ ხედავთ, რა უბედურებაა

ჩვენს თავს! — კიოდა სასომიხდილი შადია და ხელები ცისკენ აღეპყრო. ციდან ფანტელები ცვიოდა და მაშინვე დნებოდა მის თბილ ხელისგულებზე... მთელი სოფელი სანთლების შუქით იყო გაჩირაღდნებული, თითქოს გუდოუელებს ყველას ერთად სურდათ პარაკლისი გადაეხადათ თავიანთი მიცვალებულებისთვის. ხმაურით იღებოდა სახლების კარები და ფანჯრები. „მიშველეთ, ხალხო, არ გესმით, ნუთუ თქვენს შორის არავინ არის ნამდვილი ვაჟკაცი!“ — ყვიროდა საბრალო ქალი, მაგრამ ვაი, რომ ამაოდ. კაცები იდგნენ კარებში და ელოდნენ, რა მოხდებოდა. მათ შეეძლოთ წინ გადადგომოდნენ თარსხანს, ხელი აეღებინათ საშინელ განზრახვაზე და აერიდებინათ მისთვის ცოდვა, რითაც ასე იყო დამძიმებული დედამიწა. მაგრამ თარსხანს უნდა აღესრულებინა ის, რასაც ისინი ითხოვდნენ და მოელოდნენ მისგან.

თარსხანიც სტეპანის მსგავსად ერთი ნახტომით გადაევლო ღობეს და გუდოუელებმა კარგად დაინახეს, როგორ გაწვა შურეთის ეზოში მისი გრძელი ჩრდილი.

— მიშველეთ!...

თარსხანმა დაუმიზნა და ორჯერ დააქუხა თოფი... ორი ადამიანის ჩრდილი, შურეთის ფანჯარაში რომ მოჩანდა, გაქრა.

გულისგამგმირავმა კივილმა, ოთახიდან რომ გამოიჭრა, შესძრა იქაურობა. გასროლის ხმა, ფანჯრის მინების ლაწუნი და კივილი გასცდა სოფელ გუდოუს სანახებს და შემზარავ ექოდ გადაუარა ტყეებს, მდინარეებს, თოვლით დაფარულ მთებს და ზვავად ჩაიშალა ხევხუვებში.

შადიამ, რომელიც ქმარს მისდევდა, კაბის კალთა წამოსდო ღობის სარს და კვლავ ჩაეფლო წელამდე თოვლში. „მიშველეთ, ხალხი არა ხართ?“ — უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა ქალმა და კიდევ ერთხელ შეჰღაღადა ხალხს, ღმერთს, ქვეყანას...

— ნუთუ არავინ არის თქვენს შორის ვაჟკაცი!...

როგორ არა, სოფელ გუდოუში მრავლად იყვნენ ვაჟკაცები,

რომელთაც შეეძლოთ აღეკვეთათ მოსალოდნელი უბედურება, წაერთმიათ თარსხანისათვის თოფი, რომლითაც ის, როგორც ეშმაკი თავისი მაკრატლით, ცდილობდა გაეწყვიტა აბრეშუმის ნაზი, სიყვარულის ძაფი, ორი ადამიანის გულებს ერთმანეთთან რომ აკავშირებდა, მაგრამ არც ერთ მამაკაცს ნაბიჯიც არ გადაუდგამს, რათა ეხსნათ თარსხანი ცოდვისაგან. მხოლოდ ზოგიერთმა მოუთმენელმა გამოაღო თავისი სახლის კარი და ზღურბლს გადმოაბიჯა. თარსხანი ნათლად ხედავდა, გრძნობდა მათ მზერას, იცოდა რასაც ელოდნენ მისგან. ისიც კარგად იცოდა, ვერავინ გაუბედავდა წინ გადადგომას, რადგან თუ მტრად გინდა მოიკიდო ვინმე, ხელი უნდა შეუშალო მას, ხელი უნდა აუკრა შურისსაძიებლად შემართულ თოფზე... ეს მშვენივრად მოეხსენებოდათ გუდოუელებს. ჰოდა, აბა ვინ ისურვებდა თარსხანის მტრად გადაკიდებას?

ამასობაში შადია კვლავ გაიმართა თოვლში, სარზე გამოდებული კაბის კალთა გახია და კვლავ მიეჭრა გაშმაგებულ მეუღლეს.

კიდევ ორჯერ იქუხა თარსხანის თოფმა, მაგრამ შადიამ მოასწრო ხელი აეკრა თოფის ლულაზე და ტყვია ვეღარ მისწვდა მიზანს. კვლავ ჩამოსწყდა ცას ვარსკვლავები, როგორც სასიკვდილოდ დაჭრილ ჩიტს — ფრთები. გუდოუელებმა გაიგონეს სროლის ხმა და გულზე მოეფონათ. ეს იმას ნიშნავდა, რომ თარსხანმა აღასრულა თავისი ვალი.

— ეჰეი, რა ამბავია, აღარ იტყვით?

— ღმერთო, რატომ ვარ ცოცხალი!

— ეს რა ტრიალებს თარსხან აკუაძბას სახლში?

— რამ დაგვაყრუა, აქამდე სად ვიყავით?!

ქათქათა თეთრ თოვლზე, თანდათან გამოიკვეთა ადამიანების შავი სილუეტები. ყველა მხრიდან გამორბოდა ხალხი და ჭიანჭველებივით შეესია თარსხანის ეზოს. ერთხანს ყველა ადგილზე გახევდა. მამაკაცებს ვერ გადაეწყვიტათ, მოეხადათ თუ არა ქუდები, ქალები კი მზად იყვნენ ლოყები ჩამოეხოკათ.

— მორჩა... გათავდა... დავიღუპეთ!...

თარსხან აკუაძბა გაუნძრევლად იდგა ეზოში და სახეზე მკვდრისფერი ედო. უცებ ხალხს გამოეყო მეწისქვილე კუნა, თარსხანს თოფი ხელიდან გამოგლიჯა, მუხლზე დაირტყა და დაამსხვრია. ბრიგადირმა ჩიპსამ მძლავრად გაჰკრა მხარი თარსხანს და შურეთის სახლის კიბეზე აირბინა. და თუმცა სახლის კარი ღია იყო, ზოგი რატომღაც ჩალეწილი ფანჯრიდან მიძვრებოდა ოთახში. ხალხი ჯგროდ მიაწყდა შურეთის ეზოს. ოთახში შესულებს გულისმომწველი სანახაობა გადაეშალათ თვალწინ: კუთხეში, შეშინებული კურდღლის ბაჭიებივით დაზაფრულები ისხდნენ ახრა და აფსირტე. არსად ჩანდნენ, არც შურეთი და არც სტეპანი. იქ მყოფებმა თითქმის ერთად გაიხედეს უკანა კარისკენ, ღიად რომ დარჩენილიყო. ბაღში ახალ თოვლზე გარკვევით მოჩანდა ნაფეხურები: ერთი დიდი, მეორე ცოტა პატარა!...

შენიშვნები

* აფხაზეთში ქალები გარეშე პირთან ქმრის სახელის ხსენებას ერიდებიან.

* ალიშკენტერი — ძაღლების მფარველი ღვთაება აფხაზურ მითოლოგიაში.

* ოარა მიჟდა! — მიმართვა (აფხ.).

* აფსცახა — სიკვდილი (აფხ.).

* აჟვეიფშა — ნადირობის ღვთაება (აფხ.).

* აკუასკია — სტუმრებისათვის განკუთვნილი ოთახი (აფხ.).

* ანიხა და აჟიირა — აფხაზური წარმართული ღვთაებანი.

* ბაალუ-ფხა მადინა — აფხაზური ხალხური ეპოსის გმირი ქალი.

Abkhazian Prose
Summary

Under the noise of shells muses are silent. All of us knows it very well. Who cares for literature when villages and towns transform into a theatre of war? In one of the films by Fellini a little boy asks the adults: where does the music go when the musicians finish their performance?! No one can give him a proper answer.

The 14th of August 1992 turned out to be fateful for the Abkhazs and Georgians. Much water has flown under the bridges ever since. But our communities continue to live with their backs turned upon each other.

And only literature returns to us to provide a pillar of the bridge for the future. Mikho Beroshvili's translation of storybook by Abkhaz writers is one of the distinguished translations among the books translated from Abkhaz language in recent years.

The book contains short stories by the founder of Abkhaz literature Dimitri Gulia, by the late Alexi Jenia and by excellent writers Alexi Gogua and Juma Akhuba.

They show very well nobleness, chivalrous nature and vivid humor of the Abkhazs, their everyday life and traditions...

სარჩევი

წინასიტყვაობა 3

დიმიტრი გულია
კამაჭიჭი 5
(თარგმანი ანა წვინარია-აბრამიშვილისა და მიხეილ ბეროშვილის)

ალექსი გოგუა
სად იკეთებენ ბუდეს თოლიები? 199
(თარგმანი ანა წვინარია-აბრამიშვილისა და მიხეილ ბეროშვილის)

ჯუმა ახუბა
ბზოუ 225
კერია 269
(თარგმანი მიხეილ ბეროშვილის)

ალექსი ჯენია
ცოდვას ნუ დაიდებ, ძმაო 311
(თარგმანი მიხეილ ბეროშვილის)

შენიშვნები 516
SUMMARY 517

მადლობას ვუხდით ევროპულ ფონდ
HORIZON-ს ფინანსური დახმარებისთვის

Our deep gratitude for financial support
to the European Foundation HORIZON

აფხაზური პროზა

დიმიტრი გულია
ალექსი გოგუა
ჯუმა ახუბა
ალექსი ჯენია

თბილისი
2011

წიგნზე მუშაობდნენ: ლეილა სიხარულიძე,
რუსუდან კაიშაური

დამკაბადონებელი ნიკოლოზ გელაშვილი

კულტურულ ურთიერთობათა
ცენტრი — კავკასიური სახლი
თბილისი, გალაკტიონის ქ. 20